

ბ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
G. TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

ახლო აღმოსავლეთი  
და საქართველო

XIII

THE NEAR EAST AND  
GEORGIA

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ILIA STATE UNIVERSITY  
2021

*ედვნება აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის  
დაბადებიდან მე-100 წლისთავს*

*Dedicated to the 100<sup>th</sup> anniversary of Academician  
Konstantin Tsereteli*



აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი Academician Konstantin Tsereteli  
(1921-2004)

სარედაქციო კოლეგია:

თამაზ აბაშიძე, გრიგოლ ბერაძე, ირინე ნაჭყებია, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, გიორგი სანიკიძე, თამთა ფარულავა, ჰიროტაკე მაედა (ტოკიოს მეტროპოლიტენის უნივერსიტეტი), ჯორჯიო როტა (ვენის უნივერსიტეტი), გუდარზ რაშტიანი (თეირანის უნივერსიტეტი)

Editorial Board:

Tamaz Abashidze, Grigol Beradze, Irene Natchkebia, Nikoloz Nakhutsrishvili, George Sanikidze, Tamta Parulava, Hirotake Maeda (Tokyo Metropolitan University), Giorgio Rota (University of Vienna), Goodarz Rashtiani (University of Tehran)

რედაქტორი: გიორგი სანიკიძე

Edited by **George Sanikidze**

საქართველო, თბილისი 0162, აკად. გ. წერეთლის ქ. 3

3. Acad. G. Tsereteli Str., 0162 Tbilisi, Georgia

ტელ./ფაქსი. Phone/Fax: (+995 32) 233 114

E-mail: [giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge](mailto:giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge)

<http://www.iliauni.edu.ge>

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“ გამოიცემა 1991 წლიდან. 2017 წლიდან კრებული გარდაიქმნა ყოველწლიურ ჟურნალად

© ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

G. Tsereteli Institute of Oriental Studies of the Ilia State University

ISSN: 2587-4780

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

Ilia State University Press

3/5 Cholokashvioli Ave., 0162 Tbilisi, Georgi

## შინაარსი

კონსტანტინე წერეთელი - 100	10
Konstantin Tsereteli – 100	16

### ენათმეცნიერება - Linguistics

<b>რამაზ გორგაძე, ვიქტორ ჩიკაიძე</b> <i>რამდენიმე თურქული ნასესხობის შესახებ ქართულსა და სომხურ ენებში</i>	19
<b>Ramaz Gorgadze, Viktor Chikaidze</b> <i>About Some Turkish Borrowings in Georgian and Armenian Languages</i>	25
<b>ელისო ელიზბარაშვილი</b> <i>სპარსული ნასესხობანი „γάρჯα“ - „განძი“ და მათი ასახვა ტოპონიმებში</i>	29
<b>Eliso Elizbarashvili</b> <i>Persian Borrowings “γάρჯα” – „განძი“ and Their Reflection in Toponyms</i>	35
<b>მარინა მეფარიშვილი</b> <i>მყარი და დრეკადი შემაერთებელი ქსოვილების აღნიშვნა სემიტურ ენებში</i>	39
<b>Marina Meparishvili</b> <i>The Denotation of the Hard and Flexible Connective Tissues in Semitic Languages</i>	49
<b>გურამ ჩიქოვანი</b> <i>მულღაზანზარი „ვეფხისტყაოსანში“</i>	55
<b>Guram Chikovani</b> <i>“Mulghazanzar” in “The Knight in the Panther’s Skin”</i>	63
<b>მარიკა ჯიქია</b> <i>başıaçık-ის ტიპის კომპოზიტები თურქულში</i>	66
<b>Marika Jikia</b> <i>A Kind of Composites Containing Somatic Lexeme in Turkish (Başıaçık Type)</i>	72

ლიტერატურათმცოდნეობა -  
Literary Criticism

**მზია ბურჯანაძე**

*ისლამური რევოლუცია და ირანელი ემიგრანტები  
ფარიბა ვაფის საბურველს მიღმა*

74

**Mzia Burjanadze**

*The Islamic Revolution and Iranian Emigrants beyond  
Fariba Vafi's Veil*

82

ისტორია, წყაროთმცოდნეობა, ნუმისმატიკა  
History, Primary Source Studies, Numismatics

**გრიგოლ ბერაძე, თამაზ აბაშიძე**

*XVII საუკუნის რამდენიმე სპარსული ისტორიული  
დოკუმენტის შესახებ*

85

**Grigol Beradze, Tamaz Abashidze**

*On Some Persian Historical Documents of the Seventeenth Century*

102

**კახაბერ დემეტრაშვილი**

*ინგლისელთა სავაჭრო კომპანიის ურთიერთობა  
საქართველოსთან XVI საუკუნეში*

110

**Kakhaber Demetrashvili**

*Relations of the English Trading Company with Georgia  
in the XVI Century*

120

**ჯაბა მესხიშვილი**

*რუსეთ-იაპონიის ომის (1904-1905) მიმართ განწყობები  
საქართველოში*

124

**Jaba Meskhishvili**

*Attitudes towards the Russia-Japan War (1904-1905) in Georgia*

130

**ირინე ნაჭყებია**

*ნაპოლეონის წარგ ზავნილთა თვალით დანახული  
ყაჯართა რეზიდენციები (1806-1809)*

133

**Irine Natchkebia**

*Qajar's Residences as Viewed by Napoleon's Envoys (1805-1809)*

145

<b>ნიკოლოზ ნახუცრიშვილი</b> <i>ხუზისტანის ქართველობა - ისტორია და დღევანდლობა</i> <i>(ამინ ყეზელბაშანის ახალი გამოკვლევების მიმოხილვა)</i>	154
<b>Nikiloz Nakhutsrishvili</b> <i>Georgians in Khuzestan – History and Current Reality</i> <i>(Review of Recent Investigations by Amin Ghezelbashan)</i>	166
<b>გიორგი სანიკიძე</b> <i>პოლიტიკის ზეგავლენა ისტორიის აღქმაზე:</i> <i>ირანისა და აზერბაიჯანის შემთხვევა</i>	169
<b>George Sanikidze</b> <i>How Politics affects the Perception of History:</i> <i>The Case of Iran and Azerbaijan</i>	185
<b>ირაკლი ფაღავა, ევგენი ჭანიშვილი</b> <i>დავით აღმაშენებლის ზეობის ნუმისმატიკური ისტორია:</i> <i>საფასის მიმოქცევა, სამონეტო ემისიები და ფულადი პოლიტიკა</i>	192
<b>Irakli Paghava, Evgeni Chanishvili</b> <i>Numismatic History of David IV the Builder: Money Circulation,</i> <i>Issued Coinage, and Monetary Policy</i>	214
<b>Irakli Paghava</b> <i>Regional Numismatic Interaction Across the Christian-Muslim Frontier</i> <i>in the 11th Century Caucasus (Case Study of the Kingdom of</i> <i>K'akhet-Hereti and the Shaddādid Emirate)</i>	220
<b>ირაკლი ფაღავა</b> <i>რეგიონული ნუმისმატიკური ურთიერთქმედება</i> <i>ქრისტიანულ-მაჰმადიანური საზღვრის გადაღმა XI საუკუნის</i> <i>კავკასიაში (კახეთ-ჰერეთის სამეფოსა და შადადიანთა</i> <i>საამიროს მაგალითზე)</i>	226
<b>Aliaksandr Filipau</b> <i>The Issue of Appellation of the Mamluk State in the Early Bahrite Period</i> <i>within the Views on the Administrative and Political Governing</i>	230
<b>ნინო ჩარეკიშვილი</b> <i>მცველები „მცველთა ხეთური ინსტრუქციის (LÚ.MEŠMEŠEDI)“ მიხედვით</i>	240
<b>Nino Charekishvili</b> <i>Bodyguards of Hittites According to the “Instruction for the Royal Bodyguard</i> <i>(LÚ.MEŠMEŠEDI)”</i>	265

რელიგიის კვლევები - Religious Studies

**ნათია დუნდუა**

*კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული ასოებით შესრულებული სპარსული სახარება* 272

**Natia Dundua**

*Persian Gospel in Georgian Script (S-16) Preserved at the Georgian National Center of manuscripts* 279

**დავით თინიკაშვილი**

*ინტერკონფესიური საერთო ლოცვა და მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები* 281

**David Tinikashvili**

*Interconfessional Common Prayer and the Orthodox Canon Law* 290

**Ярослав В. Пилипчук**

*Христианство в кавказской Албании* 299

**Yaroslav V. Pylypchuk**

*Christianity in Caucasian Albania* 311

ეთნოლოგია - Ethnology

**ლალი გულედანი**

*მსოფლიო ებრაელობის ძირითადი ეთნიკური განშტოებები - ამქენაზები და სეფარდები* 315

**Lali Guledani**

*The Major Ethnic Divisions of the World's Jews – the Ashkenazim and the Sephardim* 322

კულტურის კვლევები - Cultural Studies

**თამარ მოსიაშვილი**

*რუზ ალ-იუსუფი: ლიბანელი ობოლი გოგონა, რომელიც ეგვიპტის თეატრისა და პრესის ვარსკვლავი გახდა* 324

**Tamar Mosiasvili**

*Ruz al-Yusuf: Lebanese Orphan Girl Who Became a Star of Egyptian Theater and Press* 332



გენდერული კვლევები - Gender Studies

**თინათინ კუპატაძე**

*ფემინიზმის საწყისები ირანში - პრინცესა*

*თაჯ ოს-სოლთანეს მემუარები*

339

**Tinatın Kupatadze**

*The Beginning of Feminism in Iran - The Memoirs of*

*Qajar Princess Taj al-Saltana*

349

ინტერდისციპლინური კვლევები -  
Interdisciplinary Studies

**თამარ დემეტრაშვილი**

*ჩიქვან-ლიპარტიანთა ირანული სამოსი მარტვილის მონასტრის*

*ფრესკებზე*

351

**Tamar Demetrashvili**

*Chikvani-Lipartianis' Iranian Clothing on the Frescoes of*

*Martvili Monastery*

360

**თამარ ლეკვეიშვილი**

*სამოსი, როგორც პოლიტიკური ორიენტაციის ინდიკატორი:*

*ოდისის მთავარი ლევან II დადიანი*

366

**Tamar Lekveishvili**

*Dress as an Indicator of the Political Orientation: Iranian Clothing*

*of Levan II Dadiani, Ruler of the Samegrelo Principality*

373

პოლიტიკა - Politics

**მირანდა ბაშელიშვილი**

*რბილი ძალის როლი ირანის რეგიონულ პოლიტიკაში*

379

**Miranda Basheleishvili**

*Role of Soft Power in Iran's Regional Policy*

387

**Tamta Bokuchava**

*US-Turkey Relations: Long-Term Struggle*

389

**თამთა ბოკუჩავა**

*აშშ-თურქეთის ურთიერთობები: ხანგრძლივი კონფრონტაცია*

400

<b>ინგა ინასარიძე</b> <i>„ტრაიბალიზმის“ როლი თანამედროვე კატარის პოლიტიკური მოწყობის სისტემაში</i>	405
<b>Inga Inasaridze</b> <i>The Role of Tribalism in the Formation Nowadays Political System of Qatar</i>	423
<b>თეა პიტიურიშვილი</b> <i>ირანის თემა და 2020 საარჩევნო წელი საქართველოში (ქართული მედიამასალების მიხედვით)</i>	426
<b>Tea Pitiurishvili</b> <i>Iran-Related Topic and Election Year 2020 in Georgia (Based on Georgian Media Materials)</i>	441

მეცნიერის არქივიდან - From the archive of scholar

<b>ალექსანდრე გვახარია</b> <i>მოგზაურობის დღიური (კომენტარები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა თამთა ფარულავამ)</i>	441
<b>Alexandre Gvakharia</b> <i>Travel Diaries (Commented and prepared for publication by Tamta Parulava)</i>	

## კონსტანტინე წერეთელი (1921-2004)

2021 წელს შესრულდა გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის, აღმოსავლეთ-მცოდნეობის ქართული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, მთელს მსოფლიოში აღიარებული სემიტოლოგიის კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან 100 წელი. რთულია მთელი კომპეტენტურობით აკადემიკოს კ. წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობის ყველა სფეროს დახასიათება. ზოგადად კი მისი დახასიათება, როგორც ერთ-ერთი მისი უცხოელი კოლეგა აღნიშნავდა, შედარებით იოლია - აკად. კ. წერეთელი იყო ღვთით ბოძებული ნიჭის ენათმეცნიერი, რომელიც ღრმად ჩასწვდა სემიტოლოგიის, განსაკუთრებით არამეისტიკისა და ებრაისტიკის ურთულეს სიღრმეებს.

კ. წერეთელი ცნობილი ქართული ისტორიული გვარის წარმომადგენელი იყო, ამასთანავე იგი ერეკლეს II-ის მერვე თაობის შთამომავალიც იყო, მისი ქალიშვილის - მარიამ ბატონიშვილის ხაზით.

კ. წერეთელი დაიბადა 1921 წლის 4 თებერვალს თბილისში, მასწავლებლის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1937 წელს, ის ჩაირიცხა სტუდენტად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1941 წელს კავკასიურ-აღმოსავლურ ენათა განხრით. თავისი მომავალი სპეციალობის შესწავლა კ. წერეთელმა სტუდენტობის დროიდან დაიწყო, როცა ის აღმოჩნდა თავის დიდ მასწავლებელთა მთელი პლეადის გარემოცვაში და მოისმინა კურსები როგორც იბერიულ-კავკასიურ ენებში, ასევე აღმოსავლურ, ძველ ბერძნულ, ლათინურ, სომხურ ენებში. ასპირანტურაში აკადემიკოს გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით იგი სწავლობდა ბიბლიის ებრაულ ენას, რომლის სალექციო კურსის კითხვა დაიწყო 1944 წლიდან, როდესაც ისრაელის სახელმწიფო ჯერ არ არსებობდა და ებრაულის სწავლება დიდი გამბედაობა იყო.

1945 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის (მოგვიანებით - ენათმეცნიერების) ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ენათა განყოფილებაში გ. წერეთლის ხელმძღვანელობით კოტე წერეთელმა განაგრძო მუშაობა ებრაულ-არამეული ფილოლოგიის სფეროში; დაიწყო ქართული და ებრაული ბიბლიის შედარებითი კვლევა, რაც ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის შესწავლისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი იყო. ამავე ხანებში საფუძველი ჩაეყარა არამეული ენის თანამედროვე დიალექტების შესწავლას საქართველოში მცხოვრები ასირიელების მეტყველების მიხედვით. 1946 წელს მან დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1956 წელს - სადოქტორო დისერტაცია. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსების დღიდან (1960) ის ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილებას. 1959 წლიდან იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 1964-65 წლებში - აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, 1977-1983 წლებში - სემიტოლოგიის კათედრის გამგე. 1991 წელს კ. წერეთლის ინიციატივით შეიქმნა ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრა, რომელსაც თვითონვე ედგა სათავეში.

1974 წელს კ. წერეთელი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს - ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

მისი მასწავლებელი, აკად. გიორგი წერეთელი აღნიშნავდა, ბრწყინვალე შედეგები, რასაც კ. წერეთელმა მიაღწია თავის სამეცნიერო მოღვაწეობაში, განაპირობა მისმა იშვიათმა ლინგვისტურმა ალლომ და დიდმა შრომისმოყვარეობამ. 1993 წელს კ. წერეთლის 70 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ კრებულში ერთ-ერთი იტალიელი კოლეგა წერდა, რომ კ. წერეთლის ენობრივი ფაქტების შეკრებისა და ანალიზის დაუღალავ უნართან შერწყმულია დიდი ლინგვისტური ნიჭი და გრამატიკის დისკრიფციის იშვიათი ტალანტი. ყოველი მისი ნაშრომი პროდუქტია ფართო ერუდიციისა. ამ ნაშრომთა მნიშვნელობამ და გავლენამ დიდი ხანია გადაკვეთა ჩვენი ქვეყნის ფარგლები. კ. წერეთლის ავტორიტეტი დღეს აღიარებულია ყველგან, სადაც კი იკვლევენ ებრაისტიკისა და არამეისტიკის პრობლემებს. ეს კი ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის აღიარება და ავტორიტეტი.

კ. წერეთლის გამოკვლევებმა არამეისტიკის დარგში არაერთი ახალი პერსპექტივა შექმნა. მისმა ნაშრომებმა თანამედროვე არამეული ენისა და, საერთოდ არამეული დიალექტების სტრუქტურის შესახებ, საფუძველი ჩაუყარა არამეისტიკის პრობლემათა კვლევას და ბიძგი მისცა ორიენტალისტიკაში ამ დარგის ინტენსიურ განვითარებას (გერმანიაში, აშშ-ში, იტალიაში).

კ. წერეთელი თვალსაჩინო მკვლევარი იყო ძველი არამეული ენისა და დამწერლობისა, რომელზეც თითქმის სამი ათასი წლის წინ შეიქმნა პირველი წერილობითი ძეგლები. სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგები აღნიშნულ ენასთან და დამწერლობასთან დაკავშირებით მან განაზოგადა მონოგრაფიაში „არამეული ენა“. ამ ნაშრომის ერთ-ერთი ღირსება ისაა, რომ მასში მოცემულია ისტორიულ ასპექტში ძველი და ახალი არამეული ენის ლინგვისტური მიმოხილვა, რაც ჩვენში პირველად განხორციელდა. აღნიშნულ ნაშრომში შესწავლილია ძველ არამეულ ენაზე შედგენილი არაერთი წერილობითი ძეგლის მონაცემები, მათ საფუძველზე დახასიათებულია არამეული ენის სხვადასხვა დიალექტი, ძველი არამეულის ფონოლოგიური სისტემა და კონსონანტიზმი, სინტაქსის საკითხები და სხვა.

თავისი მეცნიერული ღირებულებითა და დანიშნულებით აკად. კ. წერეთლის ნარკვევი ძველი არამეული ენის შესახებ შეიძლება დავაყენოთ ამ რანგის ისეთ ნაშრომთან გვერდით, როგორიცაა ჯ. გაბრინის „ძველი არამეული“ (რომი, 1956), რ. დეგენის „ძველი არამეული ენის გრამატიკა“ (ვისბადენი, 1969), ს. სეგერტის „ძველი არამეული ენის გრამატიკა“ (ლაიფციგი, 1975).

საყოველთაოდაა აღიარებული კ. წერეთლის ღვაწლი ახალი არამეული (იმავე თანამედროვე ასურული ენის) კვლევის საქმეში. ამ დარგში მას გამოქვეყნებული აქვს „თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა“ (თბ., 1968), „თანამედროვე ასურული ენა“ (მოსკოვი, 1964), რომელიც თარგმნილია იტალიურად, გერმანულად და ინგლისურად. ახალ არამეულ ენასთან დაკავშირებით სოლიდური ნარკვევი მოცემულია კ. წერეთლის ზემოაღნიშნულ წიგნშიც „არამეული ენა“ (ეს ნაწილი წიგნისა ცალკე გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე, ბერლინში).

კ. წერეთლის ნაშრომთა ციკლი მოიცავს აგრეთვე სტატიებს, რომლებიც მიძღვნილია არამეული დიალექტოლოგიისადმი. ამ სახის ნაშრომთაგან აღსანიშნავია მისი წიგნი „მასალები არამეული დიალექტოლოგიისათვის“. ნაშრომი მრავალმხრივია

საინტერესო: უპირველეს ყოვლისა, იგი წარმოადგენს პირველ პუბლიკაციას ტექსტებისა, რომლებიც საქართველოში მცხოვრები ასურელების - ურმიელების დახმარებითაა შედგენილი (ტექსტები ჩაწერილია უშუალოდ კ. წერეთლის მიერ სოფ. ძველ ქანდაში, მცხეთასთან ახლოს).

არამეული დიალექტოლოგია კ. წერეთელმა გაამდიდრა საქართველოში დადასტურებული სხვა არამეული დიალექტების შესწავლითაც. 1963 წელს მან გამოაქვეყნა ვანის დიალექტზე შედგენილი ტექსტების ნიმუშები. 1976 წელს კ. წერეთელმა გამოსცა აგრეთვე ტექსტების ნიმუშები თანამედროვე ასურული ენისა, ამჯერად, სალამასის დიალექტზე (ირანიდან გადმოსახლებულ ასურელთა ენაზე). კ. წერეთლის მიერ გამოქვეყნებული ტექსტები სხვადასხვა არამეულ დიალექტზე მნიშვნელოვანი წვლილია სემიტურ დიალექტოლოგიაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კ. წერეთლის შრომები საქართველოში აღმოჩენილ არამეულ წარწერებთან დაკავშირებით. ეს წარწერები, ბერძნულ ტექსტებთან ერთად, წინაქრისტიანული ხანის ერთ-ერთი წერილობითი ძეგლია საქართველოში. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლისთვის. წარწერებში მოხსენიებულია ისტორიული პირები, საქართველოს სამეფო კარის სტრუქტურა, სხვადასხვა ისტორიული მოვლენა, რაც საშუალებას იძლევა გაშუქდეს წინაქრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიის არაერთი საშინაო და საგარეო პრობლემა.

კ. წერეთელმა გამოავლინა საქართველოში ხმარებული არამეული დამწერლობის სამი ტიპი: ჩრდილომესოპოტამიური, ფალაური და ძველი (ე. წ. სახელმწიფო) არამეული. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არამეული წარწერების დიდი ნაწილი შესრულებულია, როგორც ახლა ცნობილია, ე.წ. „არმაზული“ დამწერლობით (ეს ტერმინი შემოდებულია აკად. გ. წერეთლის მიერ მცხეთის ერთ-ერთ უბანში - არმაზში ნაპოვნი არამეული წარწერების მიხედვით), რომელმაც განვითარების გარკვეული გზა განვლო. არამეული დამწერლობის გამოყენების არეალი საქართველოში საკმაოდ ფართოა (არმაზი, ბორი, უფლისციხე, ურბნისი, ძალისა, დედოფლისგორა და სხვ.). ამ დამწერლობითაა შესრულებული ეპიტაფია („არმაზის ბილიგვა“), სამეფო კარის ქრონიკა („არმაზის მონოლინგვა“), წარწერები სამეურნეო დანიშნულების საგნებზე, ოქროს სამაჯურებსა და ბეჭედზე, სათამაშო ფირფიტებზე და ა.შ., რომელთა შესახებაც კ. წერეთელს ნაშრომთა მთელი ციკლი აქვს შექმნილი, სადაც მოცემულია ახალი ვარაუდები და ინტერპრეტაციები. მათში გარკვეულია არამეული დამწერლობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. ვარაუდობენ, რომ საქართველოში აღმოჩენილი არამეული წარწერების შესწავლა შესაძლებელს ხდის დავუშვათ ქართული ტექსტის ალოგოლოტოგრაფიული წესით გადმოცემა, ე.ი. სათანადო ტექსტი იწერებოდა არამეულად და იკითხებოდა ქართულად. არ გამოირიცხება, რომ ლეონტი მროველისეული „მწიგნობრობა ქართული“ არამეულის ამ მიზნით გამოყენებას ვარაუდობს.

საქართველოში აღმოჩენილი ძველი არამეული ეპიგრაფიკის ძეგლებთან დაკავშირებით აღსანიშნავია კ. წერეთლის ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება არამეული და ირანული ეპიგრაფიკის „ბარ ზაფთა“-ს, რაც აღნიშნავს „სახლის ძეს, სახლის შვილს“ სეფე-წულის მნიშვნელობით. მცხეთა-სამთავროში აღმოჩენილი წარწერის

პალეოგრაფიკული ანალიზი ავტორს აფიქრებინებს, რომ იგი შესრულებულია არამეული დამწერლობის პართული სახეობით. ზოგიერთ ასოთა გარკვეული მსგავსება არმაზულთან კი იმით აიხსნება, რომ თვით არმაზული ასოების მოხაზულობა სიახლოვეს იჩენს საშუალო ირანულ დამწერლობებთან. წარწერის ენასთან დაკავშირებით კ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ იგი არამეული დამწერლობითაა შესრულებული და მისი ყოველი სიტყვა არამეულადვე პოულობს ახსნას.

ახალ ვარაუდებსა და ახალ ინტერპრეტაციებზეა დამყარებული კ. წერეთლის მოსაზრებანი არმაზის ბილინგვის თითქმის ყოველ არამეულ სიტყვასთან დაკავშირებით, რასაც მან მიუძღვნა მონოგრაფია „შენიშვნები არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტზე“ (1992). ამ დროისთვის გამოქვეყნებული იყო მრავალი მოსაზრება და შენიშვნა აღნიშნული ტექსტის მიმართ, რომელიც 1941 წელს პირველად გამოსცა აკად. გ. წერეთელმა, დაგროვდა ახალი ეპიგრაფიკული მასალა. ყოველივე ეს მოითხოვდა არმაზის ბილინგვის არამეული ტექსტის ხელახლა გამოცემას ყველა ახლადგამოთქმული მოსაზრებისა და სათანადო ეპიგრაფიკული მასალის გათვალისწინებით, რაც წარმატებით განახორციელა კიდევ წიგნის ავტორმა.

კონსტანტინე წერეთელს ნაშრომთა მთელი ციკლი აქვს შექმნილი ებრაისტიკის დარგში. მისი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა კვლევა-ძიება. იგი ამყობდა, რომ მისი ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობა მეგობარი ებრაელი ხალხის ისტორიას, მისი ენისა და ქართველ ხალხთან ურთიერთობის შესწავლას მიუძღვნა. 1944 წლიდან, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ისრაელის სახელმწიფო, ხოლო საბჭოთა კავშირში ანტიებრაული განწყობილება სუფევდა, მან დაიწყო ბიბლიის ებრაული ენის კურსის კითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სიცოცხლის ბოლომდე იყო მისი ერთგული მსახური. კ. წერეთლის დამსახურება ებრაულ და ქართულ ისტორიულ ურთიერთობათა შესწავლის საქმეში დიდადაა დაფასებული ისრაელის სამეცნიერო, და არა მარტო სამეცნიერო, წრეებში. მის ნაშრომებს გამორჩეული ადგილი უკავიათ ისრაელის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში.

ებრაისტიკის დარგში შექმნილ კ. წერეთლის ნაშრომთაგან უნდა აღნიშნოს „ადგილობრივი ბრუნვის (ლოკატივის) წარმოშობისთვის ძველ ებრაულსა და არამეულში“ (მოსკოვი, 1963); „სემიტიზმები ქართულ ბიბლიურ ტექსტებში“ (მოსკოვი, 1968); „კომპოზიტების შემადგენლობისთვის ებრაულში“ (თბილისი, 1961); „ებრაული დამწერლობა, ებრაული ენა“ (თბილისი, 1977). ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს ასახავს კ. წერეთლის შრომები: „‘ჰარონმაზია’ ქართულში“ (თბილისი, 1954); „ებრაელის აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში“ (თბილისი, 1979); „ქართული ეთნიკური ტერმინის „ურია“-ს/“ჰურია“ შესახებ“ (თბილისი, 1979); „ქართველ ებრაელთა ენის საკითხისთვის“ (თბილისი, 1994); „მცხეთის არამეული ამულეტი“ (თბილისი, 1996, ინგლისურად - ლეიდენი, 1996); „ქართველის აღმნიშვნელი ებრაული ტერმინი მცხეთელი ებრაელის ეპიტაფიაში“ (თბილისი, 1998) და სხვ. კ. წერეთელმა გამოაქვეყნა სტატია ტერმინ „ივრითის“ ხმარების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში (თბილისი, 1983). მან სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა „ქართველისა“ და „საქართველოს“ აღმნიშვნელ ტერმინებს არამეულსა და ებრაულში (თბილისი, 1993). ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე საუბარია მის სხვა ნაშრომებშიც.

ებრაული ენის სტრუქტურის საკითხები განხილულია ზოგად გამოკვლევებში

სემიტური ენების შესახებ. მათ შორის უნდა დასახელდეს: „ერთი სუპრასემიტური ფონემის შესახებ თანამედროვე სემიტურში“ (თბილისი, 1976, ინგლისურად - 1982); „ხშულთა სპირანტიზაციის საკითხისთვის თანამედროვე სემიტურ ენებში“ (თბილისი, 1976, გერმანულად - 1980); „მამაკაცისა და ქალის აღმნიშვნელი სიტყვები სემიტურში“ (თბილისი, 1987); „სემიტური ენები საბჭოთა კავშირში“ (ინგლისურად, ტოკიო, 1968); „სემიტურ-ქართული ენობრივი ურთიერთობა“ (იტალიურად, მილანი, 1992).

2000 წელს კ. წერეთელმა გამოაქვეყნა წიგნი „სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში“, რომელშიც განხილულია ამ ტერმინთა გავრცელების არე და დრო, ქართულში შემოსვლის გზები და ეტიმოლოგიები; გამოყენებულია არამართო ქართული წერილობითი წყაროები, დაწყებული ბიბლიით, სადაც მოცემულია ყველა ამ ხალხის სახელწოდება, არამედ ბიბლიის ებრაული, ბერძნული, სომხური და სირიული ტექსტები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კ. წერეთლის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „ბიბლიის ებრაული ენა“, რომელიც შეიცავს ენის გრამატიკას, ბიბლიურ ტექსტებსა და მის ლექსიკას.

აკად. კ. წერეთელი წარმატებით იკვლევდა ქართველ ებრაელთა ეპიგრაფიკულ ძეგლებს, რომლებიც იუდეურ-არამეულ (რაბინულ) ენაზეა დაწერილი. ერთ-ერთ მათგანში შემონახულია ქართველის აღმნიშვნელი ებრაული სახელწოდება („გურგ“), რომელიც უკანასკნელ ხანებამდე უცნობი იყო. ამრიგად, დღეისთვის უკვე ცნობილია როგორც ებრაელის ქართული სახელწოდება, ისე ქართველის ებრაული სახელწოდება.

როგორც ზემოთ დავინახეთ, კ. წერეთლის ნაშრომები გამოქვეყნებულია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მრავალ ქვეყანაში და ეძღვნება არამეისტიკისა და ებრაისტიკის პრობლემებს. სწორედ ამ დარგებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში მას მიღებული ჰქონდა არაერთი საპატიო ჯილდო. მას სხვადასხვა სამეცნიერო შრომებში მიღებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი პირველი ხარისხის სამეცნიერო პრემია. ერთ-ერთ მის ცნობილ მონოგრაფიას „სირიულ ენას“, რომელიც მოსკოვში დაიბეჭდა 1979 წელს, მიღებული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია, ხოლო 1982 წელს გამოცემულ წიგნს - „არამეული ენა“ (ქართულად და რუსულად), რომელიც ავტორმა თავისი მასწავლებლის აკად. გ. წერეთლის ხსოვნას მიუძღვნა, სხვა გამოკვლევებთან ერთად არამეისტიკის დარგში, 1989 წელს მიანიჭეს გ. წერეთლის პრემია. საქართველოს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა კ. წერეთლის ნაშრომთა ციკლმა - „საქართველოს არამეული წარწერები“ (1999). აკადემიკოსი კონტანტინე წერეთელი იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, „ღირსების ორდენის“ კავალერი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისთვის კ. წერეთელი დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის მედლით. ებრაისტიკაში გაწეული ღვაწლისთვის მას გადაეცა ისრაელის მეცნიერებათა აკადემიის ჯილდო - ალბერტ აინშტაინის პრემია.

აკად. კ. წერეთლის სამეცნიერო ავტორიტეტის მაჩვენებელი იყო მისი არჩევა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების წევრად. იგი იყო ამერიკის აღმოსავლური საზოგადოების საპატიო წევრი, გერმანიის აღმოსავლეთმცოდნეთა სამეცნიერო საზოგადოების და აღმოსავლეთის შემსწავლელი საზოგადოების ნამდვილი წევრი და სხვ. მას სისტემატურად იწვევდნენ აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრებში ლექციების წასაკითხად (ბერლინის, მიუნხენის, ერლანგენის, ჰაიდელბერგის, საარბრიუკენის, ბონის, რომის, ნეაპოლის, გენუის, მილანის, ვენეციის,

ტურინის, პარიზი-სორბონის, ბუდაპეშტის, ტურკუს და ჰელსინკის უნივერსიტეტებში). კ. წერეთელი ხშირად იღებდა მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებისა და კონფერენციების მუშაობაში (მოსკოვი, დელი, კანბერა, ტოკიო, საუთჰემპტონი, იერუსალიმი და სხვ.).

კ. წერეთლის გამოკვლევები ებრაისტიკაში და არამეისტიკაში, მთელი მისი სამეცნიერო შემოქმედება მომავალ ახალგაზრდა მკვლევართ გარკვეულ გეზსა და მიმართულებას აძლევდა. ის დიდ დროს უთმობდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას; გზას უკვალავდა ახალგაზრდებს მეცნიერებაში.

აკად. კ. წერეთელი ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც: მონაწილეობდა სხვადასხვა სამთავრობო თუ აკადემიური კომისიების და დელეგაციების მუშაობაში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ებრაელთა საქართველოში დამკვიდრების 2600 წლის აღმნიშვნელი სახელმწიფო კომისიის მუშაობაში, იყო ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი, აგრეთვე რიგი სამეცნიერო საბჭოს წევრი. მისი ინიციატივითა და ძალისხმევით თბილისის ქართულ სკოლაში დაიწყო ებრაული ენის სწავლება.

აკად. კ. წერეთლის მაღალნიჭიერება და ერუდიცია შერწყმული იყო მის გამორჩეულ ადამიანურ თვისებებთან. სიცოცხლის ბოლომდე ის ნაყოფიერ და აქტიურ სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა.

რამდენიმე წლის წინ თბილისში გაიხსნა კონსტანტინე და მისი ტრაგიკული ბედის მქონე ვაჟის, მხატვარ სოსო წერეთლის სახლ-მუზეუმი, რომელიც შედის თბილისის მუზეუმების გაერთიანებაში. თბილისში არსებობს კონსტანტინე და სოსოს წერეთლების ქუჩაც. კ. წერეთლის მემორიალური კაბინეტები ფუნციონირებს გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტსა და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის ნაშრომები უდავოდ დგას ქართული მეცნიერების საამაყო, მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევათა რიგში.

მომზადებულია გრიგოლ გიორგამის ნარკვევის მიხედვით წიგნიდან  
*„კონსტანტინე წერეთელი. სემიტოლოგიური და ქართველოლოგიური შტუდიები“*  
(თბილისი: ლოგოსი, 2001).



## KONSTANTIN TSERETELI (1921-2004)

The year 2021 marked the 100th anniversary of the birth of an outstanding Georgian scholar Academician Konstantin Tsereteli. He was world-renowned Georgian linguist, honored Scientist, doctor of Philology, professor, Member of the Presidium of Georgian Academy of Science. For nearly 60 years he worked fruitfully in the field of Semitic linguistics. He was at the head of the School of Georgian Semitics, founded by Academician George Tsereteli.

K. Tsereteli was born in Tbilisi, on February 4, 1921, in a teacher's family.

In 1937 he left the Tbilisi Secondary School. His interest in languages brought him to the philological faculty of the Tbilisi University. Being the second-years student he proceeds to study Caucasian and Oriental languages. Here along with Georgian, Abkhazian and Avar languages he studies Near East peoples' languages (Old Persian, Arabic and Turkish), also Greek and Old Armenian.

In 1941 K. Tsereteli graduated successfully from the University and the same year was enrolled as a post-graduate student at the Academy of Sciences of the Georgia in specialty "Hebrew and Aramaic Philology". His post-graduate work carried out under the guidance of professor George Tsereteli.

Prominent results achieved by K. Tsereteli in his research work were due to his rare linguistic feeling and marvelous capacity for work. He is the author of more than 200 scientific works, including monographs and manuals, published in Georgian, Russian, German, English, French, Italian, Finnish, in many academic centers of the world, which are believed to be great contribution to Semitic linguistics.

While taking his post-graduate course K. Tsereteli begins to study Modern Aramaic (Assyrian) dialects. He wrote down and studied Aramaic dialects in Georgia and Armenia, as well as those spoken in Iraq and Syria. It can be mentioned K. Tsereteli's following works: "Essay of Comparative Phonetics of the Modern Assyrian Dialects" (Tbilisi, 1958, in Georgian and Russian), "Materials on Aramaic Dialectology" (Tbilisi 1965, in Russian), "A Reader of the Modern Assyrian Language with a Dictionary" (Tbilisi 1958, 1980, in Georgian and Russian), "Modern Assyrian Grammar" (Tbilisi 1968, in Georgian), and many others. Of special significance for Aramaic dialectology development was Tsereteli's work "Modern Assyrian Language" (Moscow 1964, in Russian), which was published in Italian (1970), German (1970) and English (1978) and received a high appraisal. It should be noted that Tsereteli's works on Aramaic dialectology stimulated further development in this field, which had been practically stopped after Noldeke.

From Modern Aramaic dialects' studies K. Tsereteli turned to research and studies of one of the Middle Aramaic dialects - classical Syriac language. In the 1979 a book by Tsereteli "Syriac Language" was edited (in Russian) in Moscow which contained a

systematic description of the Syriac language. K. Tsereteli worked fruitfully on Old Aramaic language and inscriptions found in the territory of Georgia.

Based a study of Aramaic language structure and 3000-year fixed history K. Thereteli published his monograph "The Aramaic Language" (in Georgian and Russian (Tbilisi 1982), Italian translation – "Grammatica generate dell'aramaico" (Torino 1995). This first attempt of presenting a historical grammar of Aramaic language was a result of many years' work, where are given grammatical characteristics of development of the Aramaic Language in different periods.

K. Tsereteli was also intensively working in the field of Comparative Semitic Linguistics.

In his research work K. Tsereteli did not restrict himself to the semitological topics. His contribution to studies of linguistics and cultural-historical interrelations of the Georgians and Near East peoples is well known for specialists. Mention should be also made of the Tsereteli's work on Georgian ethnonimics. Special nitice also deserves Tsereteli's investigation of origin of Georgian ethnic terms which denote Seniitic peoples: Arabs, Jews, Syrians, Assyrians, Ethiopians. For solution of this problem Georgian historical and literature sources and Georgian, Armenian, Hebrew, Syriac, Greek Bible texts have been used ("Ethnic Terms Denoting the Semititic Peoples in the Georgian Language", Tbilisi, 2000, in Georgian). Cultural-historical importance of such research is doubtless and therefore deserves special attention.

Scientific results obtained by K. Tsereteli find wide application in special literature. Indicative of Tsereteli's high academic authority was his publications in well-known Western journals and collections as well as delivering on Semitological subjects in many Universities. He presented also the papers at International Congresses and Conferences. K. Tsereteli was selected a Honorary Member of the American Oriental Society, Member of the Deutsche Morgenlandische Gesellschaft and Member of the International Society for Oriental Studies.

From 1949 K. Tsereteli was engaged in pedagogical work at the Tbilisi State University. For many years he delivered lectures on Comparative Grammar of Semitic Languages and Courses in various North-Semitic Languages (Hebrew, Aramaic and Syriac). In 1959-1960 K. Tsereteli headed the faculty of Oriental Studies of the Thilisi State University, he headed the Chair for Semitic Studies and the for Hebrew-Aramaic Philology of the same University. At the same time he was the head of coordinative Centre of teaching of Oriental Languages at the Georgian Ministry of Education. Under his guidance and initiative Oriental Languages (Arabic, Persian, Turkish and Hebrew) were intensively learned at schools of Tbilisi.

For his academic works K. Tsereteli was repeatedly rewarded with 1st Prize of the Tbilisi University (1951, 1959, 1965). In 1980 his monograph "Syriac Language" (Moscow, 1979) was rewarded with the Ivane Javakhishvili (founder of the Thilisi University) Prize, while in 1989 he received the George Tsereteli (prominent Georgian orientalist) Prize for a series of works: "Structur of Aramaic Language", in 1998-State Prize for "Aramaic

Inscription from Georgia”.

For outstanding contribution to Oriental Studies and training of scientists K. Tsereteli received the honorary title of Honoured Scientist and was decorated with the Order of Honour. In 1988 he was elected a Member of the Georgian Academy of Sciences.

Today there is a Museum house of Konstantin Tsereteli and his tragically perished son – painter Soso Tsereteli in Tbilisi.

A slightly revised version of the essay from  
*Konstantin Tsereteli. Semitological and Kartvelological Studies*  
(Tbilisi: Logos, 2001)

რამაზ გორგაძე, ვიქტორ ჩიკაიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

## რამდენიმე თურქული ნასესხობის შესახებ ქართულსა და სომხურ ენებში

სტატია წარმოადგენს ჩვენი მრავალწლიანი შრომების გაგრძელებას და მიზნად ისახავს ქართულ-სომხურ საერთო მნიშვნელობის სიტყვებში თურქული წარმომავლობის ლექსიკური ერთეულების დადგენას და ანალიზს. განხილული მასალა აღებულია სამივე ენის ლექსიკონებიდან.

როგორც მოსალოდნელი იყო, განხილული ლექსიკური ერთეულები ძველ ქართულ ენაში არ იძებნება. ზოგიერთი მათგანი თუ არ დასტურდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, ფიქსირდება ნიკო ან დავით ჩუბინაშვილების ნაშრომებში.

ჩვენთვის საინტერესო ზოგი სომხური ლექსიკური ერთეული იძებნება საშუალო სომხური ენის ლექსიკონში (ამაგი, ბილი, დამადი, ელჩი). უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სიტყვა, თანამედროვე სომხური ენის განმარტებით ლექსიკონებში, წარმოდგენილია დიალექტური ნიშნით და განმარტებულია მისი ლიტერატურული შესატყვისის სინონიმური სიტყვის საშუალებით, რაც ენაში მიმდინარე უცხო სიტყვებისგან „თვითგანწმენდის“ პროცესის მაჩვენებელია.

### 1. აღჩუ

ქველ-ში მოცემული ლექსიკური ერთეული ეტიმოლოგიური მინიშნების გარეშე განმარტებულია შემდეგნაირად: „სათამაშო კოჭის (ვეგის) ზედა, ოდნავ ამოღარული მხარე.“<sup>1</sup> აღნიშნული სიტყვა არ ფიქსირდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, რაც სავარაუდოდ, მის გვიანდელ ნასესხობაზე მეტყველებს, მაგრამ იგი გვხვდება ნიკო ჩუბინაშვილის<sup>2</sup> და დავით ჩუბინაშვილის<sup>3</sup> ლექსიკონებში. უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი სიტყვა არც ბ. გიგინეიშვილის ცნობილ ლექსიკონში არის განხილული.<sup>4</sup>

მოცემული ლექსიკური ერთეული ჩვენს მიერ თანამედროვე თურქულ სალიტერატურო ენის და დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში ვერ იქნა მოძიებული, თუმცა იგი აშკარად წარმოადგენს თურქულენოვან ნასესხობას და დასტურდება

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქველ), ერთტომეული. მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა, თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1986, 24.

<sup>2</sup> ნ. ჩუბინაშვილი ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. რედ. ალ. ღლონტი, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1961, 135.

<sup>3</sup> დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი. მოამზადა აკ. შანიძემ, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1984, 22.

<sup>4</sup> ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ.: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, 2016.

შემდეგ ენებში: აზერბ. **Alçı**<sup>5</sup>, თურქმ. **Alçy**<sup>6</sup> და აღნიშნავს „კოჭის ყველაზე მომგებიან მხარეს (თოხანის საპირისპირო).

ქართულ ენაში დადასტურებული „აღჩუ“ სიტყვის ანალოგიური ფორმის და მნიშვნელობის ლექსიკური ერთეული **აყჩი** (აღჩუ) ფიქსირდება თანამედროვე სომხურის განმარტებით<sup>7</sup> და დიალექტურ<sup>8</sup> ლექსიკონებში. აღსანიშნავია, რომ იგი საშუალო სომხური ენის ლექსიკონში არ გვხვდება, რაც მის გვიანდელ ნასესხობაზე მიუთითებს.

თურქულ ნასესხობად მიიჩნევენ აღნიშნულ სიტყვას (**alça**) აგრეთვე პროფ. სტ.მალხასიანცი თავის ისტორიული ხასიათის განმარტებით ლექსიკონში, რომელიც სომხურ ენაში წარმოდგენილია ორი დიალექტური ფორმით **აყჩი** (აღჩუ) და **აყჩი** (აღჩი).<sup>9</sup>

## 2. ახალუბ-ი

საკვლევი ლექსემის ამოსავალი სიტყვა, სავარაუდოდ, უნდა იყოს თურქული ლექსიკური ერთეული, რომელიც მომდინარეობს **arka-luk** ფორმიდან (**arka** „ზურგი, უკანა მხარე“, **luk** „აბსტრაქტულობის მანიშნებელი აფიქსი“), რაც ნიშნავს - „უსახელი მოსაცმელი ძველად“<sup>10</sup> და „კურტანი“.<sup>11</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ დასტურდება არც სულხან-საბა ორბელიანის და არც ჩუბინაშვილების ლექსიკონებში.

წარმომავლობის მინიშნების გარეშეა წარმოდგენილი ქეგლ-ში შემდეგი განმარტებით: „წელში გამოყვანილი (ნაოჭასხმული ან ჩაქებდაყრილი) ჩასაცმელი მამაკაცისა, წელამდე სარჩულდადებული“.<sup>12</sup> ბ. გიგინეიშვილის განმარტებით, იგი არის - „ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი მამაკაცის პერანგი (ჩვეულებრივ, ატლასისა) დილკილოებით შესაკრავი.“ საგულისხმოა, რომ ავტორი არ მიუთითებს წარმო-მავლობას და დასძენს, რომ იგი ძველ და საშუალო ქართულ ენაში გამოვლენილი არ არის.<sup>13</sup>

საშუალო სომხური ენის ლექსიკონში საკვლევი სიტყვა არ ფიქსირდება. იგი გვხვდება დიალექტებში **არჩაყოქი** [არხალულ] და **არჩაყოქი** [არხალულ] ფორმებით.<sup>14</sup> თანამედროვე სომხური ენის განმარტებით ლექსიკონში შეტანილია **არჩაყოქი** ფორმით და შემდეგი მნიშვნელობით: „ძველი, მამაკაცთა და ქალთა მუხლებამდე

<sup>5</sup> Azərbaycan dilinin İzahlı Luğat, Bakı: Azərbaycan Elmlər Akademiyası nəşriyyatı, 1966, 191.

<sup>6</sup> Туркменско-Русский Словарь, Москва: Советская Энциклопедия, 1968, 42

<sup>7</sup> Еդ Աղայան, Արդի Հայերենի բացատրական բառարան, I- II, Հայաստան Հրատարակչություն, Երևան, 1976. (ედ. ადაიანი, თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი, I - II, ერევანი, 1976), I, 11.

<sup>8</sup> Հայոց լեզվի բարբառային բառարան, Հրաչյա Աճառյանի անվան լեզվի ինստիտուտ, Երևան, 2001. (სომხური ენის დიალექტური ლექსიკონი, ერევანი, 2001), I, 17.

<sup>9</sup> Մալխասեանց Ստ., Հայերեն բացատրական բառարան, I-IV, Հայկական ՍՍԻ պետական հրատարակչության, Երևան, 1944-1945. (მალხასიანცი სტ., სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი, I- IV , ერევანი: სომხ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1944-1945), I, 18.

<sup>10</sup> Türkçe Sözlük, Ankara, 1969, 48

<sup>11</sup> თურქულ-ქართული ლექსიკონი, სტამბოლი, 2001, 70.

<sup>12</sup> ქეგლ, 53.

<sup>13</sup> გიგინეიშვილი, 35.

<sup>14</sup> Հայոց լեզվի բարբառային բառարան,, I, 127.

სამოსი.<sup>15</sup> სომხურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობა მოცემული ლექსიკური ერთეულის თურქული წარმომავლობის შესახებ ეკუთვნის პროფ. სტ.მალხასიანს.<sup>16</sup>

### 3. ბაშიბუზუკი

მოცემული საკვლევი ლექსიკური ერთეულის ამოსავალი ფორმა უნდა იყოს თურქული **başbozuk** „1. არასამხედრო, სამოქალაქო პირი. 2. თავაშვებული“.<sup>17</sup> აღნიშნული სიტყვა მოცემული ფორმით არ იძებნება თურქული ენის დიალექტოლოგიურ და სხვა ლექსიკონებში.<sup>18</sup>

**ბაშიბუზუკი** არ ფიქსირდება არც საბასეულ და არც ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში. იგი დასტურდება მხოლოდ ქართული ენის „უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში“ ორი მნიშვნელობით: „1. ისტ. ოსმალთა არარეგულარული ქვეითი ან ცხენოსანთა ჯარის მოლაშქრე მე-18 – 19 სს.; 2. მოძვ. გადატ. ყაჩაღი, ავაზაკი.“<sup>19</sup>

ჩვენთვის საინტერესო სიტყვა, როგორც მოსალოდნელი იყო, არ იძებნება „სამ.სომხური ენის ლექსიკონში“, თუმცა გვხვდება „დიალექტურ ლექსიკონში“ **բաշիբուզուկ** ფორმით და ორი მნიშვნელობით - 1. ოსმალთა იმპერიის ძველი არმიის უკანონო ჯარისკაცი; 2. გადატ. აღვირახსნილი, ავაზაკი, ველური.<sup>20</sup>

მოცემული ლექსიკური ერთეული, ანალოგიური ფორმით და მნიშვნელობებით, დამოწმებულია აგრეთვე თანამედროვე სომხური ენის განმარტებით ლექსიკონში.<sup>21</sup> იგი თურქულ ნასესხობად არის მიჩნეული პროფ. სტ. მალხასიანის მიერ.<sup>22</sup>

### 4. ბოზართმა

მოცემული ლექსიკური ერთეული უნდა ეკუთვნოდეს თურქულ ენათა ჯგუფს, კერძოდ კი იგი დასტურდება აზერბაიჯანულ ენაში - **bozartma** „ცხიმიანი ხორცით გაკეთებული წვნიანი“.<sup>23</sup>

ქეგლ-ში იგი დასტურდება და წარმომავლობაზე მინიშნების გარეშე განმარტებულია როგორც „ცხვრის ხორცის სოუსი“.<sup>24</sup> აქვე მითითებულია, რომ ეს სიტყვა წარმოადგენს ძველი ხმარების ლექსიკურ ერთეულს. ცნობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ქართლსა და კახეთში გავრცელებულია ცხელი კერძის ერთ-ერთი სახეობა „ქათმის ბოზართმა“.

მსგავსი ნასესხობა **բոզարթմա** [ბოზართმა] ფორმით ფიქსირდება თანამედროვე სომხური ენის განმარტებით ლექსიკონში - „ბატკნის ხორციით, ხახვით და სხვადასხვა სანელებლებით მომზადებული კერძი.“<sup>25</sup> ზოგიერთ დიალექტში მითითებულია, რომ

<sup>15</sup> ლე. Աղայան, I, 135.

<sup>16</sup> Ստ. Մալխասեանց, I, 269.

<sup>17</sup> Türkçe Sözlük, 88; თურქულ-ქართული ლექსიკონი, 153.

<sup>18</sup> Türk Lehçeleri Sözlüğü, Ankara; Resimli Türk Dili Sözlüğü, Istanbul, 1967, Древнетюркский словарь. Ленинград: Наука, 1969.

<sup>19</sup> უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1989.

<sup>20</sup> Հայոց լեզվի բարբառային բառարան, 164.

<sup>21</sup> ლე. Աղայան, I, 170.

<sup>22</sup> Ստ. Մալխասեանց, I, 331.

<sup>23</sup> Azərbaycan Dilinin İzahli Lugati, 299.

<sup>24</sup> ქეგლ.

<sup>25</sup> Աղայան ლე., I, 198.

აღნიშნული კერძი ბატონის ხორცის ნაცვლად მზადდება ღვიძლის, გულის, ან ფილტვების გამოყენებით.

მოცემული ლექსიკური ერთეული არ არის დაფიქსირებული არც საშუალო სომხური ენის და არც გ.ჯაჰუკიანის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში. პროფ. სტ. მალხასიანცი მას განიხილავს როგორც თურქული ენის ნასესხობას.<sup>26</sup>

## 5. ბულამა

საკვლევი ლექსემა მომდინარეობს თურქული **buğulama / buğulamak** „ორთქლში მოხარშული; საჭმლის ორთქლზე მოხარშვა“<sup>27</sup> სიტყვიდან (**buğ / buğu** „ორთქლი“ ძირი + ზმნის მაწარმოებელი **la** აფიქსი); **buğ** ძირი-სიტყვა დასტურდება სხვა თურქულ ენებშიც: აზერბ., უზბეკ., თურქმ., უიღურულში.<sup>28</sup>

ქეგლ-ში აღნიშნული ლექსიკური ერთეული წარმოდგენილია მისი წარმომავლობის მითითების გარეშე და განმარტებულია შემდეგნაირად: „მცირეწვნიანი კერძი ხორცისა“. მოცემული სიტყვა არ ფიქსირდება საბასეულ, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში, თუმცა დასტურდება „ქალაქურ ლექსიკონში“.

თანამედროვე სომხური ენის განმარტებით ლექსიკონში დასტურდება **բուղլամա** [ბულამა] ფორმა - „ორთქლში მოხარშული ხორცის“ მნიშვნელობით.<sup>29</sup> საშუალო სომხური ენის ლექსიკონში აღნიშნული ლექსემა არ ფიქსირდება.

პროფ. სტ. მალხასიანცი თავის ლექსიკონში მას მიიჩნევს თურქული ენიდან მიღებულ ნასესხობად, თუმცა მისი შესატყვისი სიტყვა-ფორმა მითითებული არ აქვს.<sup>30</sup>

## 6. დამად-ი

აღნიშნული ლექსიკური ერთეული მომდინარეობს **damak** „სასა“ სიტყვიდან.<sup>31</sup> სხვა თურქული ენებიდან მოცემული ლექსემა ანალოგიური ფორმით და მნიშვნელობით დასტურდება მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაში (**damage**).<sup>32</sup>

საკვლევი სიტყვა, მისი წარმომავლობის მითითების გარეშე, ფიქსირდება ქეგლ-ში და ახსნილია შემდეგნაირად: „**დამად**-ი ცხენის ავადმყოფობა: მაგარი სასის დასიება.“ იგი აგრეთვე შეტანილია ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონში,<sup>33</sup> თუმცა არ არის წარმოდგენილი არც სულხან-საბა ორბელიანის და არც ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში.

<sup>26</sup> Մալխասեանց Մու., I, 381.

<sup>27</sup> Türkçe Sözlük, I, 226. თურქულ-ქართული ლექსიკონი, 180.

<sup>28</sup> Türk Lehçeleri Sözlüğü, 146.

<sup>29</sup> Աղայան Էդ., 208.

<sup>30</sup> Մալխասեանց Մու., 391.

<sup>31</sup> ლ. რუხაძე, თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში, თბ.: მწიგნობარი, 2013, 87.

<sup>32</sup> Türk Lehçeleri Sözlüğü, 146.

<sup>33</sup> ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ.: განათლება, 1978, 133.

სომხური ნასესხობა **դասաղ** [დამალ] – „სასა“ მნიშვნელობით და, მისი თურქული წარმომავლობის მითითებით, დასტურდება საშუალო სომხურის,<sup>34</sup> თანამედროვე ენის განმარტებით ლექსიკონსა<sup>35</sup> და პროფ. სტ. მალხასიანცის ნაშრომში.<sup>36</sup>

## 7. დუდუკი

მოცემული სიტყვა ფიქსირებულია ქეგლ-ში ეტიმოლოგიური მინიშნების გარეშე და ახსნილია შემდეგნაირად: „**დუდუკი** სალამურის მსგავსი ჩასაბერი საკრავი“. იგი დასტურდება დავით ჩუბინაშვილის ნაშრომშიც.<sup>37</sup> არ განიხილება ბ. გიგინეიშვილის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში.

აღნიშნული ლექსემა შესწავლილი აქვს თურქოლოგ ლ. რუხაძეს თავის გამოკვლევაში. ავტორი აღნიშნავს, რომ „ამ სამუსიკო ინსტრუმენტის სახელწოდება არის თურქული წარმომავლობის და იგი, როგორც ფენომენი, განვითარდა ქართულ ნიადაგზე“ (**düdük** - ჩასაბერი საკრავი, სასტვენის, ბუკის, დუდუკის).<sup>38</sup> სხვა თურქულ ენებში, გარდა აზერბაიჯანული ენისა, **düdük** სიტყვა მოცემული ასოწყოებით ჩვენს მიერ არ არის დაფიქსირებული.<sup>39</sup>

საკვლევი სიტყვა საშუალო სომხურ ენაში არ ფიქსირდება, მაგრამ დასტურდება სომხური ენის დიალექტებში.<sup>40</sup>

ქართულისაგან განსხვავებით, მოცემული სიტყვა თანამედროვე სომხურ სალიტერატურო ენაში შედარებით ფართო სემანტიკური ველით არის წარმოდგენილი. ძირითადი მნიშვნელობის („დუდუკი“) გარდა, აქვს გადატანითი მნიშვნელობაც – „სხვისი კარნახით მოქმედება, ლაპარაკი (სხვისი რუპორობა).“<sup>41</sup> პროფ. სტ. მალხასიანცის მიხედვით, სომხური სიტყვა, რომლის მნიშვნელობებია – „1. პატარა, ჩვეულებრივი სალამური. 2. ზურნა“, არის სომხური დიალექტური ლექსიკური ფონდის შემადგენელი ნაწილი, წარმოადგენს თურქული ენის ნასესხობას და მომდინარეობს **düdük** სიტყვიდან.<sup>42</sup>

## 8. დუზი

მოცემული ლექსიკური ერთეული მომდინარეობს თურქული **düz** „ბრტყელი, სწორი, დაცემული ადგილი, ვაკე“ - სიტყვიდან.<sup>43</sup> იგი ფიქსირდება აგრეთვე სხვა თურქულ ენებშიც: აზერბ. **düz**, ყაზახ. **tüz**, ყირგზ. **tüz**, თურქმ. **düz**, უიღურ. **tüz** და სხვა.<sup>44</sup>

აღნიშნული სიტყვა შეტანილია ქეგლ-ში წარმომავლობის მითითების გარეშე და ახსნილია შემდეგნაირად: „**დუზი** კუთხ. (ფშ. ქიზ.) დაცემული, სწორი მინდორი, ვაკე.“

<sup>34</sup> Բ. Ղազարյան, Միջին հայերենի բառարան, Երևանի Համալսարանի Հրատարակչություն, Երևան, 1987. (რ. დაზარიანი, საშუალო სომხური ენის ლექსიკონი, ერევანი, 1987.) I, 157.

<sup>35</sup> Էդ. Աղայան, I, 272.

<sup>36</sup> Մտ. Մալխասեանց, I, 484.

<sup>37</sup> Դ. Բუբինաშვილი, 483.

<sup>38</sup> რუხაძე, 3.

<sup>39</sup> Türk Lehçeleri Sözlüğü, 194.

<sup>40</sup> Հայոց լեզվի բարբառային բառարան, I, 354.

<sup>41</sup> Էդ. Աղայան, I, 314.

<sup>42</sup> Մտ. Մալխասեանց, I, 537.

<sup>43</sup> რუხაძე, 40.

<sup>44</sup> Türk Lehçeleri Sözlüğü, 198.



სურხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების და ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონებში იგი დაფიქსირებული არ არის.

აღნიშნული ლექსემა არ დასტურდება აგრეთვე საშუალო სომხური ენის ლექსიკონში, რაც მის გვიანდელ ნასესხობაზე მიუთითებს. თანამედროვე სომხური ენის განმარტებით და დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში წარმოდგენილია, როგორც კუთხური ლექსიკა. პროფ. სტ.მალხასიანცი სომხური ენის დიალექტებში არსებულ **դյուც** [დოუზ] სიტყვას მიიჩნევს თურქული **diüz** ლექსემიდან მომდინარე ნასესხობად და აღნიშნავს: „სწორი; ვაკე ადგილს“.<sup>45</sup>

## 9. თოხმახი

ისტორიული ლექსიკის კუთვნილი ეს სიტყვა მომდინარეობს თურქული **tokmak** „კვერი, ხის ჩაქუჩი“ ლექსემიდან.<sup>46</sup> აღნიშნული სიტყვა ანალოგიური მნიშვნელობით ფიქსირდება სხვა თურქულ ენებშიც: აზერბ. **tokmag**, ყირგ. **tokmok**, უზბ., თურქმ., უიღურ. **tokmak**.<sup>47</sup>

მოცემული სიტყვა არ აღინიშნება არც სულხან-საბა ორბელიანის, არც ნიკო ჩუბინაშვილის, ქართული ენის განმარტებით და სინონიმთა ლექსიკონებში. დავით ჩუბინაშვილი მას განიხილავს „კვერის“ მნიშვნელობით და ოსმალური წარმომავლობის სიტყვად.<sup>48</sup> იგი დასტურდება ჯავახურ ლექსიკაში: „ხვედა, გრძელი ტარითა და ცალ მხარეს გრძელი ყუით, იხმარებოდა როდინში კორკოტისა და მარილის დასანაყავად“. „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „**თოხმახი** ხორბლის დასანაყი ხის ჩაქუჩი. მისი განსაკუთრებული სახეობა გამოიყენებოდა ქვაფენილების დასაგებად.“

პროფ. სტ. მალხასიანცი თავის ნაშრომში განიხილავს აღნიშნული სიტყვის დიალექტურ ფორმას **թոխմախ** [თოხმახ] და მიიჩნევს თურქულ ნასესხობად. მისი მნიშვნელობა განმარტებულია სინონიმის შესაბამისად და აღნიშნავს: „1. ხის ჩაქუჩს, ურატას. 2. საპენტელას, საწეწელას, საჩეჩელს.“<sup>49</sup> ამავე მნიშვნელობით დასტურდება აგრეთვე სომხური ენის დიალექტებში.<sup>50</sup> საშუალო სომხურ ენაში მოცემული სიტყვა არ არის დადასტურებული.

## 10. თულუხ-ი

მოცემული ლექსემა წარმოადგენს თურქული ენიდან ნასესხებ სიტყვას: **tuluk / tulum** „ტიკი, რუმბი“.<sup>51</sup> აღნიშნული ლექსიკური ერთეული ფიქსირდება აგრეთვე სხვა თურქულ ენებშიც: აზერბ. **tulug**, თურქმ., უიღურ. **tulum**.<sup>52</sup>

როგორც თურქული ნასესხობა, ქეგლ-ი მას განმარტავს შემდეგნაირად: „**თულუხ-ი** [თურქ. თულუქ „ტიკი“] ძვ. წყლის საზიდავი რუმბი. // წყლის სატარებელი კამეჩის ტყავი. // წყლის (ცხენით და მისთ.) საზიდი კასრი // კუთხ. (მთ.) წყლის საზიდავი

<sup>45</sup> Մալխասեանց Ստ., I, 525

<sup>46</sup> Türkçe Sözlük, 1480; თურქულ-ქართული ლექსიკონი, 1368.

<sup>47</sup> Türk Lehçeleri Sözlüğü, 894.

<sup>48</sup> დ. ჩუბინაშვილი, 568.

<sup>49</sup> Ստ. Մալխասեանց, II, 114.

<sup>50</sup> Հայոց լեզվի բարբառային բառարան, 124.

<sup>51</sup> თურქულ-ქართული ლექსიკონი, 1375; Türkçe Sözlük, 745.

<sup>52</sup> Türk Lehçeleri Sözlüğü, 902.

სპილენძის ჭურჭელი, - დიდი თუნგი“. მოცემული ლექსიკური ერთეული არ იმეზნება საბასეულ და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონებში.

იგი არ ფიქსირდება აგრეთვე საშუალო სომხური ენის ლექსიკონში. დიალექტებში წარმოდგენილია **թուլუխ** [თულუხ], **թուլუღ** [თულუღ] და **թուლუმ** [თულუმ] ფორმით და ფართო სემანტიკური ველით. „წყლის საზიდავი ტიკის“ გარდა გამოხატავს - 1. ცხოველთა შარდის ბუმბუს; 2. უმწოდ გასუქებულ ადამიანს“.53 სომხური ენის განმარტებით ლექსიკონში იგი წარმოდგენილია **տիկ** [ტიკ] სინონიმზე მითითებით.54

მოცემულ სიტყვას თურქული ენიდან ნასესხობად მიიჩნევს პროფ. სტ. მალხასიანი.55

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ქართულ, ასევე სომხურ ენებში ფართოდ იხმარებოდა „თულუხ“ + თურქული პროფესიის აღმნიშვნელი „-ჩი“ აფიქსიანი სიტყვა - „თულუხჩი“, რაც თულუხით წყლის მზიდავს, „მეთულუხჩეს“ ნიშნავს.

---

<sup>53</sup> ჯაიგ ქეღიქი բարբառային բառարան, I I, 141.

<sup>54</sup> Աղայան Էդ., I, 462.

<sup>55</sup> Մալխասյանց Ստ., I I, 123.

## ABOUT SOME TURKISH BORROWINGS IN GEORGIAN AND ARMENIAN LANGUAGES

The article is a continuation of our work and aims to identify and analyze lexical units of Turkish origin in words of common Georgian-Armenian meaning:

- Alchu - is a corresponding lexeme of this Georgian word of unknown origin is Armenian - ալչու / ալչի, derived from the Turkish-speaking world (cf. Azerbaijani alçı, Turkmen alçy).

- Akhalukhi is a relatively new borrowing in Georgian, as it is recorded in relatively late literary monuments. The corresponding Armenian lexeme - աքիսալուկ - is also not found in Middle Armenian. Presumably the origin of the research lexeme should be the Turkish form arka-luk.

- The basic form of Bashibuzuk lexical unit in Georgian should be Turkish başıbozuk. In Armenian linguistic literature it is considered to be borrowed from Turkish.

- Bozartma- is confirmed in Georgian special literature without any hints of origin. It must belong to the group of Turkish languages, in particular it is confirmed in the Azerbaijani language. The corresponding Armenian lexeme բոզարթմա is not recorded in Middle Armenian and is a relatively late borrowing. Prof. St. Malkhasyants considers it as a borrowing from the Turkish language.

- Bughlama is a relatively late borrowing. Presented without indication of origin. It is probably derived from the Turkish word - buğulama / buğulamak. Armenian matching is not recorded in the average Armenian. Prof. St. Malkhasyants considers the dialectal word բուղլամա to be borrowed from the Turkish language, although its corresponding word-form is not indicated.

- The word damaghi is a relatively late borrowing and is fixed without indicating its origin. Should be derived from the word damak. The lexeme given from other Turkish languages is confirmed only in the Azerbaijani language in the form of damage.

The Armenian dialect word դամաղ, with reference to Turkish origin, is confirmed in Middle Armenian and the work of Prof. St. Malkhasyants.

- Duduk, a relatively late borrowing, is recorded without any etymological references. Derived from the Turkish word düdük.

The corresponding word duduk is not recorded in Middle Armenian, but is confirmed in dialects. Prof. St. Malkhasyants considers it to be borrowed from the Turkish word düdük.

- Duzi is a late borrowing. Must be derived from the Turkish word düz, which is also recorded in other Turkish languages: Azerbaijani. düz, Kazakh. tüz, Kyrgyz. tüz, Turkm. düz, Uighur. tüz, etc. The corresponding lexeme is not confirmed in the dictionary of the Middle Armenian language, which indicates its late borrowing. According to the definition

of the modern Armenian language and the word դյուզ [dʒuz] presented in dialectological dictionaries, Prof. St. Malkhasyants considers it to be borrowed from the Turkish düz lexeme.

- Tokhmakh-i - This word, which belongs to the historical vocabulary, is derived from the Turkish tokmak lexeme. This word is also recorded in other Turkish languages: Azerbaijani. tokmag, kirg. tokmok, Uzbek, Turkmen, Uighur. tokmak. Prof. St. Malkhasyants considers the dialectical form of the mentioned Tokhmakh word and considers it to be borrowed from Turkish. It is confirmed in the dialects of the Armenian language. The word given in the average Armenian language is not recorded.

- Tulukh-i is a relatively late established word. It is considered to be a Turkish borrowing. Should be derived from the lexeme tuluk / tulum, which is also found in other Turkish languages: Azerbaijani tulug, Turkmen, Uighur tulum. It is not recorded in the dictionary of the average Armenian language. St. Malkhasyants considers the forms թուլուխ, թուլուղ and թուլուս presented in the dialects to be borrowed from the Turkish language.

#### გამოყენებული ლიტერატურა - References:

1. გიგინეიშვილი, ბაქარ. *ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. თბ.: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, 2016.
2. თურქულ-ქართული ლექსიკონი. სტამბოლი, 2001.
3. მელიქსეთ-ბეგი, ლეონ. *სომხურ-ქართული ლექსიკონი*. თბ.: ნეკერი, 1996.
4. ნეიმანი, ალექსანდრე. *ქართულ სინონიმთა ლექსიკონი*. თბ.: განათლება, 1978.
5. ორბელიანი, სულხან-საბა. *ლექსიკონი ქართული*, I-II, თბ.: მერანი, 1993.
6. რუხაძე, ლია. *თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში*. თბ.: მწიგნობარი, 2013.
7. სარჯველაძე, ზ. *ძველი ქართული ენის სიტყვის კონა*. თბილისი: პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.
8. *უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი*. თბილისი, 1989.
9. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ)*, ტ. I-VIII. მთავარი რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა. თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1950-1964.
10. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ)*, ერთტომეული. მთავარი რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა, თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1986.
11. ლლონტი, ალექსანდრე. *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*. თბილისი, 1984.
12. ჩუბინაშვილი, დავით. *ქართულ-რუსული ლექსიკონი*. მოამზადა აკ. შანიძემ, თბილისი: საბჭოთა საქართველი, 1984.
13. ჩუბინაშვილი, ნიკოლოზ. *ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ*. რედ. ალ. ლლონტი, თბ.: საბჭოთა საქართველი, 1961.

14. Աղայան, Էդ. *Արդի Հայերենի բացատրական բառարան*, I- I I, Հայաստանի Հրատարակչություն, Երևան, 1976. აღიანი ედ., *თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I - I I. ერევანი, 1976 (სომხურ ენაზე).
15. Աճառյան, Հր. *Հայերեն արմատական բառարան*, I-IV, Երևանի Համալսարանի Հրատարակչություն, Երևան, 1971-1979. აჭარიანი ჰრ., *სომხური ენის ძირთა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, I-IV. ერევანი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971 - 1979 (სომხურ ენაზე).
16. Սալխասեանց, Ստ. *Հայերեն բացատրական բառարան*, I-IV. Հայկական ՍՍՌ պետական հրատարակչություն, Երևան, 1944-1945. მალხასიანცი სტ., *სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I- IV. ერევანი: სომხ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1944-5 (სომხურ ენაზე).
17. *Փասանակակից հայոց լեզվի բացատրական բառարան*, I-IV. Հրայա Աճառյանի անվան լեզվի ինստիտուտ, Երևան, 1969-1980. *თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I-IV. ერევანი: სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1969-1980.
18. Ղազարյան, Ռ. *Միջին հայերենի բառարան, Երևանի Համալսարանի Հրատարակչություն*, Երևան, 1987. ღაზარიანი, რ. *საშუალო სომხური ენის ლექსიკონი*. ერევანი, 1987.
19. *Հայոց լեզվի բարբառային բառարան, Հրայա Աճառյանի անվան լեզվի ինստիտუտ*. Երևան, 2001. სომხური ენის დიალექტური ლექსიკონი, ერევანი, 2001 (სომხურ ენაზე).
20. *Армяно-русский словарь*. Ереван: Издательство Академии наук Арм. ССР, 1984.
21. *Древнетюркский словарь*. Ленинград: Наука, 1969.
22. *Турецко-Русский словарь*. Под. ред. А.Н.Баскакова и др., Москва: Русский язык, 1977.
23. *Туркменско-Русский Словарь*. Москва: Советская Энциклопедия, 1968.
24. *Azerbaycan dilinin Izahli Luğat*. Bakı: Azərbaycan Elmlər Akademiyası nəşriyyatı, 1966
25. *Türkçe Sözlük*, I-II cilt. Ankara: TDK, 1988.
26. *Türkçe Sözlük*. Ankara, 1969.
27. *Türk Lehçeleri Sözlüğü*. Ankara: Resimli Türk Dili Sözlüğü, 1967.

## სპარსული ნასესხობანი „γάρζα“ - „განძი“ და მათი ასახვა ტოპონიმებში<sup>1</sup>

სტატიაში განვიხილავთ ორი ნასესხობის - ქართული „განძი“ და ბერძნული „γάρζα“, სემანტიკურ მნიშვნელობებსა და ეტიმოლოგიას, მათ შორის ტოპონიმებთან მიმართებაში.

ძველი ბერძნული ენის ლექსიკონების მიხედვით<sup>2</sup> γάρζα ნიშნავს „განძს“ (treasure, Schatz) „სამეფო ხაზინას“ (царская казна), „განძსაცავს“ (казнохранилище) და „ფულად თანხას“ (денежная сумма); γάρζოფსლაკიონ - „საგანძური“, „განძსაცავს“ (treasury, Schatzkammer, казнохранилище, сокровищница); γάρζოფსლანჯ - „განძისმცველს“ „ხაზინადარს“ (treasurer, Schatzmeister, хранитель казны). სოფოკლესის რომაული და ბიზანტიური პერიოდის ბერძნული ენის ლექსიკონში<sup>3</sup> γάρζა, რომლის ლათინური ექვივალენტია gaza, განმარტებულია როგორც „განძი“ (treasure), „ფული“, ან „ზოგადად რაიმე ღირებული“ (money, or valuables in general); γარζოფსლანჯ - როგორც „განძისმცველი“ (treasurer), γარζოფსლაკიონ - „საგანძური“ (treasury). რაც შეეხება ლათინურ სიტყვას gaza, მისი მნიშვნელობები ანალოგიურია - „საგანძური, განძი, სიმდიდრე, მარაგი“<sup>4</sup> - და დადასტურდება ციცერონის (ძვ.წ. II ს), ჰორაციუსის (ძვ.წ. II ს), ლუკრეციუსის (ძვ.წ. II ს), ლივიუსის (II ს) და სხვათა ტექსტებში და ვულგატაში. დიმიტრაკის ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ სპარსული წარმომავლობის სიტყვას γარჯა-ს აქვს შემდეგი მნიშვნელობები: „საცავში შენახული ძვირფასი ნივთები, საგანძური; ძვირფასი ლითონის მონეტების საგანძური; ერთად შეკრებილი ფულის დიდი რაოდენობა“. ხოლო γარჯოფსლანჯ და γარჯოფსლაკიონ შესაბამისად განიმარტება როგორც „განძსაცავი“ (მესσαოფსლანჯ) და „საგანძური“ (მესσαოფსლაკიონ).<sup>5</sup>

γარჯა და მისგან ნაწარმოები ზემოთ დასახელებული სიტყვები ბერძნულ წერილობით ძეგლებში ძვ.წ. V საუკუნიდან დასტურდება, კერძოდ თეოფრასტეს (ძვ.წ. IV-III სს) პოლიბიუსის (ძვ.წ. II ს), პლუტარქეს (ძვ.წ. II ს), დიოდორეს (ძვ.წ. II ს), ეპიფანესა (IV-V სს) და სხვათა თხზულებებში. გვხვდება სეპტუაგინტასა [II ეზრა, 5.17; 6.1; 7.20; 7.21; ესაია 39, 2; ეზეკიელი 27, 24 ამოსი 7.1] და ახალი აღთქმის წიგნებში [მოც.საქ. 8.27; ლკ. 21.1; ინ. 8.20; მრ. 12.41,43]. ბიზანტიელი ლექსიკოგრაფის ჰესიპიოსის მიერ γარჯა განმარტებულია როგორც „სიმდიდრე, ხაზინა“ (πλοῦτον, ταμεία), ხოლო γარჯოფსლაკიონ

<sup>1</sup> სპარსულთან დაკავშირებით ლიტერატურის მოწოდებისა და კონსულტაციისთვის მადლობას ვუხდით ირანისტ ქ-ნ ელენე გიუნაშვილს.

<sup>2</sup> Иосиф Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т. 1 (Москва: ГИС, 1958); Henry G. Liddell and Robert Scott, An Intermediate Greek-English Lexicon (Oxford 2001).

<sup>3</sup> Evangelinos A. Sophokles, Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods (Harvard University Press, 1914).

<sup>4</sup> Иосиф Х. Дворецкий, Латинско-русский словарь (Москва: Русский язык, 1976).

<sup>5</sup> Δημήτριος Δημητράκης, Μέγα Λεξικόν Ὄλης τῆς Ἑλληνικῆς Γλῶσσης, τόμος Γ (Αθήνα, 1953).

როგორც „განმსაცავი, საფულე“ (θησαυροφυλάκιον, βιβλάντιον).<sup>6</sup> ანალოგიური განმარტებებია სვიდას ლექსიკონში (Xs): γάζα - θησαυρός (განძი, საუნჯე, საგანძური), ხოლო γάζοφυλάκιον - θησαυροφυλάκιον (განმსაცავი).<sup>7</sup> სიტყვა γάζα დიმოტიკი ბერძნულში ხმარებული აღარ უნდა იყოს და ამდენად არც გ. ბაბინიოტისის<sup>8</sup> ახალი ბერძნული ენის და არც ე. კრიარასის<sup>9</sup> შუასაუკუნეების ლექსიკონებში არ არის შეტანილი და განმარტებული.

რობერტ ბეკესი ბერძნული სიტყვის γάζα-ს სპარსულ წარმომავლობაზე მიუთითებს. საშუალო სპარსულში გვაქვს ganj, რაც ნიშნავს „სამეფო საგანძურს“. მაირჰოფერი აღადგენს მის ძველ სპარსულ, მიდიურ ფორმას - ganza.<sup>10</sup> სპარსულიდან უნდა იყოს ასევე ნასესხები სომხური ganj, არაბული kanz და ებრაული gēnez. ხოლო ლათინური gaza და სირიული gazzā ბერძნულის გზით უნდა იყოს შესული ამ ენებში.<sup>11</sup>

ქართული სიტყვა „განძი“ ასევე სპარსულ ნასესხობად ითვლება,<sup>12</sup> თუმცა სულხან-საბა მას სომხურიდან მომდინარედ მიიჩნევს - „განძი სომხურია, უნჯსა უწოდენ“. „უნჯი“ თავის მხრივ ნიშნავს - საქონელი; განძი, იუნჯა, მეუნჯე, ნაუნჯარი. საუნჯე, საუნჯენი, სამხრისანი“.<sup>13</sup> თანამედროვე ქართულში „განძის“ მნიშვნელობებია: „ძვირფასი ნივთები, ძვირფასი რამ, ფასეულობა; სიმდიდრე, ქონება.“<sup>14</sup> დავით ჩუბინაშვილი მიუთითებს ამ სიტყვის სპარსულ წარმომავლობაზე და განმარტავს როგორც „უნჯი, საუნჯე, საგანძური, დამალული ხაზინა, кладъ, сокровище“.<sup>15</sup> ანალოგიურად განმარტავს მას ნიკო ჩუბინაშვილი „განძი - უნჯი, საუნჯე, საგანძური, ხაზინა დამალული, клад“.<sup>17</sup> ილია აბულაძე ამ სიტყვას განმარტავს როგორც „საუნჯე, ქონება, სიმდიდრე“<sup>18</sup> და ახალი სპარსულიდან მომდინარედ თვლის, რამდენედაც IX საუკუნემდე ქართულ წერილობით ძეგლებში არ გვხვდება.<sup>19</sup> ხოლო IX საუკუნიდან ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება როგორც სიტყვა „განძი“ ისე მისგან ნაწარმოები „საგანძური“: „დავიცარიელენ საგანძურნი ჩემნი ტამართათვს კერპთადას“ (ბალავარიანი)<sup>20</sup>; „განძი ოქროდაა არა არს ჩუენ თანა“ (მამათა სწავლანი);<sup>21</sup> „უპყრა წერაქუსავე თვსსა და განვიდა კლდესა მას, სადა-იგი პირველ პოვა განძი, ჰგონებდა, თუ პოოს სხუადცა“ (მამათა ცხოვრება);<sup>22</sup> „შევიდა ქუაბსა მას და იხილა მუნ-შინა განძი

<sup>6</sup> Hesychii Alexandrini lexicon, Kurt Latte ed. Vol. 1 (Copenhagen: Munksgaard 1953).

<sup>7</sup> *Suidae Lexicon, ed. Immanuel Bekker* (Berlin: G. Reimer, 1854).

<sup>8</sup> Γεώργιος Μπαμπινιώτης, Λεξικό της Νέας Ελληνικής Γλώσσας (Αθήνα 1998).

<sup>9</sup> Εμμανουήλ Κριαράς, Λεξικό της μεσαιωνικής ελληνικής δημώδους γραμματείας, 1100-1669, τόμος Δ (Θεσσαλονίκη, 1975).

<sup>10</sup> Manfred Mayrhofer, *Handbuch des Altpersischen* (Wiesbaden, 1964).

<sup>11</sup> Robert Beekes, *Etymological Dictionary of Greek*, v.1 (Laiden-Boston, 2010).

<sup>12</sup> მზია ანდრონიაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან (თბილისი, 1966), 298-299.

<sup>13</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული (თბილისი, 1966).

<sup>14</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ), ტ.2 (თბილისი, 1951).

<sup>15</sup> დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი (თბილისი, 1984).

<sup>17</sup> ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ (თბილისი 1961).

<sup>18</sup> ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (თბილისი, 1973).

<sup>19</sup> მამათა სწავლანი, *X და XI სს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ (თბილისი 1955)*, xvii.

<sup>20</sup> ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამომც. ილია აბულაძე (თბილისი 1957), 108.3.

<sup>21</sup> მამათა სწავლანი, აბულაძე, 164.4.

<sup>22</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი A-1105 313r.

მიუწდომელი, ოქრო და ვერცხლი“ (ქართლის ცხოვრება);<sup>23</sup> “და განძსა წერილ არს ყოველი ჭემმარიტებით“ (გრ. ხანძთელის ცხოვრება).<sup>24</sup>

სეპტუაგინტაში დადასტურებულ γάρ-ს ქართულში შეესაბამება სიტყვები: „საუნჯე“ (II ეზრ. 5.17; 7.20; ეზევ. 27.24), „საფასე“ (II ეზრ.7.20; ესაია 39.2) და „ჭურჭერი/ჭურჭელი“ (ამოს. 8.1) - მაგ.: II ეზრა, 5.17; „რათა მოიხილო სახლსა შინა საუნჯისა მეფისა ბაბილოვნისასა“ (II ეზრა. 5.17. B); “რათა მისცე სახლიდამ საუნჯისა მეფისა” (II ეზრ.7.20 B); „ნეშტი იგი მიერ დამარხვად საფასესა სახლსა სამეუფოსა“ (II ეზრ.7.20 JIDFS). ხოლო ტერმინებს γαρ-სა და γარ-სა ქართულ ტექსტში შეესაბამება სიტყვები: γარ-სა - „სახლი საფასისა“ (2 ეზრა 10.6.OJIDFS); „სახლი საუნჯისა“ (2 ეზრა 10.6.B); γარ-სა „ჭურჭერი“ (1 ეზრა 2.11.OJIDFS); „მეფასე“ (1 ეზრა 8.19.OJIDFS), „მცველი სუნჯისა“ (1 ეზრა 8.19.B); „საუნჯის საცავი“ (1 ეზრა 8.46.B); „საფასეთმცველი“ (1 რიცხვ. 28.1 DFIS); „საუნჯეთა მცმივილი“ (1 რიცხვ. 28.1 B.). ხოლო ახალ აღთქმაში სიტყვა γარ, ქართულად გადმოტანილია სიტყვით „საფასე“ - „ყოველსა ზედა საფასესა მისსა“ (საქმე 8.27); γარ-სა - „ფასის-საცავი“ (ლკ.21.1; ინ.8.20; მრ. 12. 41; 12.43), „სახლი საფასისა“ (ინ.8.20), „ფასის შესაწირავი“ (მრ. 12.41), „შესაწირავი“ (მრ. 12.43); ახალი აღთქმის ლექსიკონში<sup>25</sup> γარ ნიშნავს „საგანძურს“ (treasure) - გარკვეული ქონებისა და სიმდიდრის ერთობლიობას, რაც მნიშვნელოვან აქტივს წარმოადგენს პოლიტიკური ერთეულისთვის. ამგვარი განმარტება იდენტურია სპარსული სიტყვისა ganz, რაც უპირველესად „სამეფო საგანძურის“ აღმნიშვნელია, ხოლო ტერმინი ganz-a-bara - განძისმცველი - საიდანაც მოხდა ამ სიტყვის აღდგენა<sup>26</sup>, სახელმწიფო პირის ტიტულს წარმოადგენდა<sup>27</sup> ქართული „მეჭურჭლეთუხუცესის“ ანალოგიურად. „მოციქულთა საქმის“ ზემოთ დამოწმებულ მონაკვეთში სწორედ კანდაკე დედოფლის საგანძურეზეა საუბარი. ხოლო ფლავიოსის ძველ ქართულ თარგმანში γარ-სა გადმოტანილია სიტყვით „საჭურველის მცველი“<sup>28</sup> და γარ-სა - „ჭურჭელთ-სამცველი“.<sup>29</sup>

„ვეფხისტყაოსანში“ აღნიშნული მნიშვნელობით იხმარება სიტყვა „საჭურჭლე“, კერძოდ როდესაც საუბარია იმ სიმდიდრეზე, რასაც თინთინი გასცემს გამეფებისას: „ჩემი საჭურჭლე, შემგან დანაბეჭდულევი“ (53); „უბრძანა: წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია“ (55); განძზე, რასაც ტარიელი იპოვის ქვაბში: „შევე საჭურჭლეს, რომელსა ფასი არ დაედებოდა“ (1186); და იმ ქონებაზე, რასაც ქაჯთა ციხეში აღმოაჩენენ პოემის გმირები მისი აღების შემდგომ: „რომე პოვეს საჭურჭლენი, აწმცა თვალით ვით ითქმოდა!“ (1433).<sup>30</sup>

<sup>23</sup> ქართლის ცხოვრება, გამომც. სიმონ ყაუხჩიშვილი (თბილისი 1955), 22.1.

<sup>24</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, რედ. ილია აბულაძე, წგნ.1, (თბილისი 1963), ოე 51.

<sup>25</sup> Johannes P. Louw, Eugene A. Nida, Greek-English Lexicon of the New Testament: Based on Semantic Domains, 2 vols. (New York, 1988-1989).

<sup>26</sup> Mayrhofer, Handbuch des Altpersischen; Walther Hinz, Altiranisches Sprachgut der Nebenüberlieferungen (Wiesbaden, 1975).

<sup>27</sup> ჯონას კ. გრინვილი, არამეული ენა აქემენიდთა იმპერიაში (თბილისი 2009), გვ.29.

<sup>28</sup> იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელისტყუაობისანი, გამომც. ნინო მელიქიშვილი, ტ.2 (თბილისი: მეცნიერება, 1988), XI, 1, 3 და სხვ.

<sup>29</sup> იოსებ ფლავიოსი, იუდაებრივისა ძუელისტყუაობისანი, IX, 8, 2 და სხვ.

<sup>30</sup> მითითებულია ნ.ნათაძის სასკოლო გამოცემის მიხედვით (თბილისი 2011).



სიტყვა „საგანძური“ მრავალგზის დასტურდება გვიანდელ ტექსტში, აპოკრიფულ თხზულებებში „დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა (ანუ „განძთა ქვაბი“), რომელიც შესულია ქართლის ცხოვრების მარიამისეულ ნუსხაში (1633-1646წწ.).<sup>31</sup> საყურადღებოა, რომ ამ ტექსტში „ქვაბი საგანძური“ იხმარება სულიერი და არა მატერიალური საუნჯის გაგებით.

სპარსულ სიტყვა ganz საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მასთან დაკავშირებულია მრავალი ტოპონიმი. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია ისტორიული სპარსეთის მნიშვნელოვანი ქალაქი განჯა (აზერ. Ganca), რომელიც აზერბაიჯანში სიდიდით მეორე დასახლებაა და იგი არანის პროვინციაში მდებარეობს. აღნიშნული ტოპონიმი ჩვენთვის საინტერესოა ორი ფაქტორის გთვალისწინებით. პირველი ის არის, რომ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში - მათიანე ქართლისა, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და ლაშა-გიორგის დროინდელი მეათიანე - ეს ქალაქი იხსენიება სახელით „განძა“: ქართლის ცხოვრება: 292, 4; 302, 16; 317, 4, 8; 349, 17; 367, 20; 368, 17; 370, 26; განძის ამირა ფალდონი 279, 14; 297, 16; 312, 20; განძა მოაოხრა გიორგი II-მ 313, 7; განძის ათაბაგი 340,18; განძის ათაბაგი დაამარცხა დავით აღმაშენებელმა 328, 14. განძელნი 340, 10.<sup>32</sup> ამ ფაქტს კი ძველ სპარსულ ganzა-სთან მივყავართ, სანაცვლოდ ფალაური ganj ფორმისა. გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთი არაბული ვერსია ქალაქის დაარსებისა და სახელდების შესახებ, რაც 859/60 წლით თარიღდება და მუჰამად იბნ ხალიდს მიწერება. მასვე ეკუთვნის ქალაქის სახელდება. კერძოდ, მუჰამად იბნ ხალიდს ჰქონდა ხილვა დაფლული საგანძურის შესახებ და ესმა ხმა, რომ ამოეთხარა ეს განძი და ამ ქონებით აემუშენებინა ქალაქი. მუჰამად იბნ ხალიდი ასეც მოქცა და ქალაქს „საგანძური“ უწოდა.<sup>33</sup> თუმცა, როგორც ამას მაკკენზი ასკვნის, ტოპონიმის წარმომავლობა სპარსული ganz-იდან ქალაქის ჯერ კიდევ ისლამამდელ პერიოდში Vს-ში არსებობაზე მიანიშნებს.<sup>34</sup> ხოლო აღნიშნული ლეგენდა, რაც განჯას ამ ქალაქში დაცულ საგანძურს უკავშირებს<sup>35</sup> და, სინამდვილეში, მუჰამად იბნ ხალიდის ღვაწლის განდიდებას ემსახურება, გვაგონებს პომპონიუს მელას (II) ანალოგიურ მონათხრობს პალესტინაში მდებარე ქალაქ ღაზას შესახებ. რომელიც გეოგრაფი გვამცნობს, რომ პალესტინის ქალაქ ღაზას<sup>36</sup> სპარსულად „განძსაცავის“ მნიშვნელობა აქვს, რადგანაც აქ მოიტანა და შეინახა მეფე კამბისეს II-მ (ძვ. წ. VI ს) მთელი ნადავლი, რაც წარმატებული სამხედრო ლაშქრობის შემდგომ წამოიღო ეგვიპტიდან ძვ. წ. 525 წ. [Pomp. Mela 64.1].<sup>37</sup> როგორც ჩანს, ამ ლეგენდას არ იცნობს, ან არ იყენებს ევსებოზს კესარიელი (IVს), როდესაც ღაზას

<sup>31</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: S-30, 001r.

<sup>32</sup> ქართლის ცხოვრება, რედ. ყაუხჩიშვილი.

<sup>33</sup> Vladimir Minorsky, *Studies in Caucasian History* (London: Taylor's Foreign Press, 1953) 5-6; Vladimir Minorsky, *A History of Sharvān and Darband in the 10th-11th Centuries* (Cambridge: W. Heffer & Sons Ltd., 1958) 25-26, 57-58.

<sup>34</sup> David N. MacKenzie, *A Concise Pahlavi Dictionary* (London, 1971), 35.

<sup>35</sup> ზოგადად, განძის პოვნის გავრცელებული მითოლოგიური მოტივია. შეიძლება გავიხეხოთ ფარნავაზის სიზმარი და მის მიერ განძის პოვნა.

<sup>36</sup> რომაულ ტრადიციაში ქალაქი მოიხსენიება როგორც Gaza, რაც ამავდროულად განძსაცავს ნიშნავს.

<sup>37</sup> “Ceterum in Palestina est ingens et munita admodum Gaza: sic Persae aerarium Vocant, et inde monem est, quod cum Cambyses armis Aegyptum peteret, huc belli et opes et pecuniam intulerat”

ადგილმდებარეობისა და ისტორიის შესახებ წერს.<sup>38</sup> თუმცა პალესტინის ამ ქალაქის საგანმურთან დაკავშირების ტრადიცია ბიზანტიელ ავტორებთანაც გრძელდება. კერძოდ, სტეფანე ბიზანტიელი (VI ს) განმარტავს, რომ ამ ადგილას ზევსმა დატოვა თავისი განძი და ამიტომ ქალაქს ეწოდა „ლაზა“, რაც სპარსულად საგანმურს ნიშნავს.<sup>39</sup> ჰესიხიოსი (V-VI სს) წერს, რომ ქალაქს „ლაზა“ ეწოდება სპარსელთა მეფის მიერ მოტანილი დიდძალი ნადავლის გამო.<sup>40</sup>

ტოპონიმ „ლაზას“ ეტიმოლოგიის თაობაზე არსებობს სხვა თეორიებიც (ებრაულიდან წარმომავლობის, სირიულიდან წარმომავლობის, თეოლოგიური ახსნა და სხვ.), რომელთა შესახებაც აქ არ შევჩერდებით. ზოგადად კი, ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა შორის თანხმობა დღეისათვის არ არის მიღწეული. უნდა ითქვას, რომ „ლაზა“ ერთ-ერთი უძველესი ქალაქი და ტოპონიმია. ის ძვ. წ. VI საუკუნეზე, კამბისესის მეფობამდე გაცილებით ადრე არსებობდა. პირველად იგი დასტურდება ძვ.წ. XV ს ეგვიპტურ წარწერებში, სადაც მოთხრობილია თუთმოს III-ის სამხედრო კამპანიების შესახებ აზიაში. ამ მასალების მიხედვით, რაც შესწავლილი აქვს იაკობ კაცენშტაინს, „ლაზა“ იხსენიება სახელებით Ga-da-tu (ან Ga-sa-tu).<sup>41</sup>

ბერძნული ფორმა Γάζα წარმოადგენს ებრაული ვერსიისა ტრანსლიტერაციას, რომელიც დასტურდება სეპტუაგინტაში და ამ გზით არის შესული მრავალ ენაში. ქართული „ლაზა“ მომდინარეობს ბერძნული Γάζα-დან და ასახავს იმ ფონეტიკურ პროცესებს, რასაც ადგილი ჰქონდა შუასაუკუნეების ბერძნულში: კერძოდ ეს ეხება γ-სა და ζ-ს წარმოთქმას. ამ სახით გვხვდება ის ქართულ წერილობით ძეგლებში.<sup>42</sup>

„განჯა“ ზოგჯერ ერევათ მის თითქმის ჰომონიმურ უძველეს აქემენიდურ ქალაქთან „განძაკი“, რომელიც ირანის აზერბაიჯანში ურმიის ტბის შემოგარენში მდებარეობდა. ტოპონიმი განძაკი ითვლება რომ მომდინარეობს მიდიური სიტყვიდან ganz<sup>43</sup>, რაც ლოგიკურადაც აიხსნება რადგანაც იგი თავისი ტაძრებით ცნობილი ზოროასტრული რელიგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი და ატროპატენას დედაქალაქი იყო. პირველი წყარო, სადაც ეს ტოპონიმი დასტურდება არის სტრაბონის გეოგრაფია, როდესაც ავტორი მოგვითხრობს მარკუს ანტონიუსის პართიაში ლაშქრობს შესახებ ძვ.წ. 36 წელს.<sup>44</sup> კერძოდ, განძაკში - Γάζακα - მდებარეობდა საზაფხულო სამეფო სასახლე.<sup>45</sup> Agazaca სახელით იცნობენ ქალაქს პტოლემეოსი (I-II სს)<sup>46</sup> და ამიანე

<sup>38</sup> Legarde, Paul de, ed., *Onomastica sacra* (Göttingen: A. Rente, 1870).

<sup>39</sup> Meineke, Augustus, ed., *Stephani Byzantii ethnicorum quae supersunt* (Berlin, 1849): «μυθολογίῃσι δὲ τινεὶ ὑπὸ Διὸς κλισθῆναι καὶ. ἐν αὐτῇ ἀπολιπεῖν τὴν ἰδίαν γάζαν, οὕτω τῶν Περσῶν τὰ χρίματα καλοῦντων.»

<sup>40</sup> Hesyhii Alexandrini Lexicon: “Γάζα· πῖσις, παρὰ δὲ Πέρσαις βασιλείων. ἢ οἱ ἐκ τῶν πολλῶν φερόμενοι φόροι”

<sup>41</sup> Jacob H. Katzenstein, “Gaza in the Egyptian Texts of the New Kingdom”, *Journal of the American Oriental Studies*, 1982, 102 (1): 111-113.

<sup>42</sup> მაგ.: ჟამთააღმწერელი წერს: „გავლეს დიდი ანტიოქია და მივიდეს ვიდრე ლაზამდე“. - ქართლის ცხოვრება, რედ. როინ მეტრეველი (თბილისი, 2008) 646, 16.

<sup>43</sup> Heinrich Hübschmann, *Persische Studien* (Strassburg, 1895) 231-32; *Joseph Marquart, Untersuchungen zur Geschichte von Eran I* (Göttingen: Dieterich, 1896) 160, n. 2; Walter B. Henning, “Coriander,” *Asia Major*, N.S. 10, 1963, 195-99.

<sup>44</sup> Klaus Schippmann, “Arsacids ii. The Arsacid Dynasty” in *Encyclopedia Iranica*, v.II, (London and New York, 1987), 528.

<sup>45</sup> Meineke, Augustus, ed. . *Strabonis Geographica* (Lipsiae: B.G. Teubneri, 1877), 11.13.3

<sup>46</sup> Karl Friedrich August Nobbe, ed., *Claudii Ptolemaei Geographia*. Lipsae, 1843, t. I, 4.2;

მარცელინე [Ammianus Marcellinus 23.6.39], ხოლო პლინიუსი ატროპატენაში მდებარე ქალაქს უწოდებს Gazae [Plinius 6.42-43]. ამავე სტეფანე ბიზანტიელი (ახ.წ.VI ს) გვამცნობს, რომ განძაკი, მიდიის უდიდესი ქალაქია - Γάνζακα, πάλις μέριστη τῆς Μηδίας. ხოლო მის მაცხოვრებელს Γάνζακινος უწოდებს.<sup>47</sup> ბიზანტიელ ავტორებთან დასტურდება ასევე Γάνζακα ფორმა.<sup>48</sup>

ბოლოს, მოკლედ შევეხებით პონტოს სამეფოს ქალაქს, რომელსაც გაზიურა (Γαζίσουρα) ეწოდებოდა. სტრაბონი (ძვ. წ. I ს-ახ.წ. I ს) წერს, რომ ეს ძველი სამეფო რეზიდენცია იყო, რომელიც მის დროს უკვე გაუდაბურებულია.<sup>49</sup> ხოლო რომაელი ავტორი დიონ კასიუსი (ახ. წ. II-III სს) მოგვითხრობს, რომ გაზიურაში იყო გამაგრებული მითრიდატე VI პონტოელი (ძვ. წ. II-I სს) რომაელების წინააღმდეგ.<sup>50</sup> ზოგიერთი მკვლევარი გაზიურას აიგივებს ტალაურასთან - Τάλαυρα - მითრიდატე დიდის ერთ-ერთი ციხე-სიმაგრესთან.<sup>51</sup> ტოპონიმი „Τάλαυρα“ მხოლოდ ორ ავტორთან - დიონ კასიუსისთან (ახ. წ. II-III სს) და აპიანესთან (ახ. წ. I-II სს) დასტურდება [Dion Cass. xxxv. 14; Appian 17.115]. ცნობილია, რომ ტალაურაში იჭრებოდა ფული, შემორჩენილია ძვ. წ. I ს-ით დათარიღებული მონეტები წარწერით „ΤΑΥΛΑΡΑ“. არაა გამორიცხული, რომ, თუ ეს ორი ქალაქი მართლაც იდენტურია, სწორედ ამის გამო დარქმეოდა მას Γαζίσουρα განძსაცავის, ხაზინის მნიშვნელობით. თუმცა, ამ ვერსიის სასარგებლოდ არანაკლებ საინტერესო ცნობა არსებობს. კერძოდ, აპიანე გვამცნობს, რომ ციხე-ქალაქს ტალაურას მითრიდატე პონტოელი იყენებდა როგორც განძსაცავს და აღწერს იქ დაცულ მთელს სიმდიდრე [Appian 17.115.]. ვიქრობთ, ტოპონიმების „განჯასა“ და „განძაკისგან“ განსხვავებით, „Γαζίσουρα“ ნაწარმოებია არა მიდიური „ganz“ ძირიდან, არამედ ბერძნულში უკვე შესული და დამკვიდრებული ნასესხობიდან „γάνζα“.

ამრიგად, სპარსული ნასესხობები, ქართული "განძი" და ბერძნული "γάνζα", ამ ენებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა შესულიყო. ორივე ასოცირდება ტოპონიმებთან, რამაც ხელი შეუწყო ლეგენდების შექმნას ქალაქების დაარსების თაობაზე. თუმცა ამ ლეგენდებს მეტწილად არაფერი აქვთ საერთო ისტორიულ რეალობასთან, არამედ წარმოაჩენენ იდეოლოგიურ მიმართულებას.

---

დეტალურად იხ.: Vladimir Minorsky, "Roman and Byzantine Campaigns in Atropatene," Bulletin of the School of Oriental and African Studies, 11/2, 1944, 261-62.

<sup>47</sup> Meineke, Stephani Byzantii ethnicorum.

<sup>48</sup> იხ. Wilhelm Pape, Wörterbuch der griechischen Eigennamen (Braunschweig, 1875).

<sup>49</sup> Meineke, Strabonis Geographica. 12.3.15: τὰ Γαζίσουρα, παλαιὸν βασιλείον, σὺν δ' ἔρημον -

<sup>50</sup> (Dio Cassius 36,14)

<sup>51</sup> William Smith, Dictionary of Greek and Roman Geography (Boston, 1854); William J. Hamilton, Researches in Asia Minor, Pontus and Armenia, v.1 (London, 1842), 360.

## PERSIAN BORROWINGS “γάζα” – „გაზა“ AND THEIR REFLECTION IN TOPONYMS

Semantic meanings, etymology, and related toponyms of the Persian borrowings - Georgian "გაზა" and Greek "γάζα" are discussed in the article. According to the ancient Greek dictionaries, "γάζα" means "treasure", "royal treasury", "treasury" and "sum of money"; "γαζοφυλάκιον" – "treasure", "treasury"; "γαζοφύλαξ" – "treasurer". In the Roman and Byzantine periods "γάζα", the Latin equivalent of "gaza", is defined as "treasure", "money" or "anything of value at all"; "γαζοφύλαξ" - as "treasurer"; "γαζοφυλάκιον" - as "treasury". As for the Latin word "gaza", its meanings are similar – "treasure, wealth, stock", which is attested in the texts of Cicero (1<sup>st</sup> century BC), Horatius (1<sup>st</sup> century BC), Lucretius (1<sup>st</sup> century BC), and others, as well as in the Vulgate.

The word "γάζα" and its derivatives mentioned above are found in Greek written sources dating back to the 5<sup>th</sup> c BC, namely in the works of Epiphanes (5<sup>th</sup> c BC), Theophrastus (4<sup>th</sup>-3<sup>th</sup> c BC), Polybius (2<sup>nd</sup> c BC), Plutarch (1<sup>st</sup> c BC), Diodorus (1<sup>st</sup> c BC), etc. They are found in the Septuagint (Ezra II, 5.17; 6.1; 7.20; 7.21; Isaiah 39: 2; Ezekiel 27, 24 Amos 7.1) and in the books of the New Testament (Gen. 8.27; Luke 21.1; John 8.20;). According to the Byzantine lexicographer Hesychius, "γάζα" is defined as "wealth, treasury" and "γαζοφυλάκιον" is defined as "treasury, purse". Similar definitions can be found in the dictionary of Suda (10<sup>th</sup> c): "γάζα" - "treasure" and "γαζοφυλάκιον" - "treasury".

Beeckes refers to the Persian origin of the Greek word "γάζα". In the Middle Persian language, "ganj" means "royal treasure". Mayrhofer restored its old Persian form "ganza" from the term "ganza-bara", a state treasurer's title. Armenian "ganj", Arabic "kanz" and Hebrew "génez" must also be borrowed from Persian. However, Latin "gaza" and Syriac "gazzā" must be introduced into these languages via Greek.

The Georgian word "treasure" is also considered to be borrowed from Persian, although it is not attested in Georgian written sources until the 9<sup>th</sup> century. From the 9<sup>th</sup> century, we have both the word "გაზა" and its derivative "საგაზაჲრო" ("treasure").

The Persian word "ganj" attracts attention with the abundance of toponyms associated with it. One of the most famous of these is the important historical city of Ganja (Azerbaijani: Gəncə). This toponym is interesting for us, taking into account two factors. First, in the ancient Georgian written sources this city is referred to as „გაზა“ (Gandza): Life of Kartli - 292, 4; 302, 16; 317, 4, 8; 349, 17; 367, 20; 368, 17; 370, 26; 279, 14; 297, 16; 312, 20; 313, 7; 340.18; 328, 14; 340, 10. This fact leads to the ancient Persian "ganza", and not to the Falian form of "ganja". In addition, one of the Arabic versions of the founding and the city, which dates back to 859/60 and is attributed to Muhammad ibn Khalid . According to this legend, the name of the city also belongs to him. In particular,

Muhammad ibn Khalid had a vision of a hidden treasure, and he heard a voice that ordered to dig this treasure and build a city with this property. So did Muhammad ibn Khalid and called the city a “treasure”. However, as Mackenzie concludes, the origin of the toponym from the Persian “ganz” indicates the city's existence in the pre-Islamic period, in the 5<sup>th</sup> c.

Moreover, the legend mentioned above that connects Ganja with the treasures stored in this city is a common mythological motive for searching for treasures. We can recall the dream of Parnavaz and his discovery of treasure as it is in the *Life of Georgia*. And this narrative serves to glorify the merits of Muhammad ibn Khalid, and reminds us of a similar story by Pomponius Mela (1<sup>st</sup> c) on the city of Gaza in Palestine.

The Roman geographer informs us that the Palestinian city of Gaza [a city in the Roman tradition is referred to as Gaza, which also means treasury] means "treasure" in Persian, as King Cambyses II (6<sup>th</sup> c BC) stored all the booty, brought from Egypt after the successful military expedition in BC 525 (Pomp. Mela 64.1). It seems that this legend was unknown for Eusebius of Caesarea (4<sup>th</sup> c) when he wrote about the location and history of Gaza (Eusebius "Onomastica Sacra"). However, the tradition of associating this Palestinian city with treasures is continued by Byzantine authors. In particular, Stephanus Byzantinus (6<sup>th</sup> c) explains that Zeus left his treasure at this place, and therefore the city was called “Gaza”, which translated from Persian means treasure. Hesychius (5<sup>th</sup>-6<sup>th</sup> cc.) writes that the city was called “Gaza” because of the great booty of the king of Persia.

There are other versions explaining the etymology of the toponym “Gaza” (origin from Hebrew, origin from Syrian, theological explanation, etc.), on which we will not stop there. In general, to date, researchers have not come to a consensus on this matter. It should be noted that “Gaza” is one of the most ancient cities and place names. It dated back to the 6<sup>th</sup> c BC and existed long before the reign of Cambyses. This toponym is first attested in the Egyptian inscriptions of the 15<sup>th</sup> c. telling the story of Thutmose III's military campaigns in Asia. According to materials studied by Jacob Katzenstein, Gaza is referred to as Ga-da-tu (or Ga-sa-tu).

The Greek form Γάζα is a transliteration of the Hebrew version attested in the Septuagint and thus introduced into many languages. Georgian "ღაზა" comes from the Greek “Γάζα” and reflects the phonetic processes that took place in medieval Greek: in particular, this refers to the pronunciation of γ and ζ, as it is found in Georgian written sources.

Ganja is sometimes associated with the almost eponymous ancient Achaemenid city of Gandzaki, located on the outskirts of Lake Urmia in Iranian Azerbaijan. It is believed that this toponym derives from the Median word “ganz”, which could be explained by the fact that it was one of the most important centers of the Zoroastrian religion famous for its temples. The first source where it is attested is the geography of Strabo - Γάζακα (Strabo 11.13.3). Ptolemy (1<sup>st</sup>-2<sup>nd</sup> cc) and Ammianus Marcellinus (4<sup>th</sup> c) refer to this city as Agazaca (Ptolemy 4.2; (Ammianus Marcellinus 23.6.39), while Pliny (Pliny, Natural History 6.42-43) calls the city Gazae. Stephanus Byzantinus (6<sup>th</sup> c) informs us that Γάζακα is the largest city of the Medes. Another form attested in byzantine sources is Γαύζακα.

Finally, we will briefly touch the city in the kingdom of Pontus, which was called Gaziura (Γαζιούρα). Strabo writes that this was an old royal residence. And the Roman author Dion Cassius (II-III centuries AD) tells us that Mithridates VI of Pontos (II-I BC) was fortified in Gaziura against the Romans (Dio Cassius 36,14). Some scholars equate Gaziura with Talaura - Τάλαυρα - one of the fortresses of Mithridates the Great. It is known that money was mined in Talaura. There are preserved coins dated to the 1<sup>st</sup> century with the inscription “ΤΑΥΛΑΡΑ”. Appian informs us that the fortress-city of Talaura was used by Mithridates of Pontos as a treasury and describes all the treasures preserved there (Appian 17.115.). It seems, that unlike the toponyms “Ganja” and “Ganzaki”, Γαζιούρα derived not from the Median “ganz”, but from the Persian borrowing, γάζα already established in the Greek Language.

Thus, the Persian borrowings, Georgian “განძი” and Greek “γάζα”, entered these languages independently of each other. They both are associated with toponyms that promoted the emergence of legends on the foundation of the cities. However, these legends mostly have little to do with historical reality but display ideological trends.

#### **ბიბლიოგრაფია - Bibliography:**

1. აბულაძე, ილია. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. თბილისი, 1973.
2. ანდრონიასვილი, მზია. *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*. თბილისი, 1966.
3. *ბალავარიანის ქართული რედაქციები*. გამომც. ილია აბულაძე. თბილისი, 1957.
4. გრინფილდი, ჯონას კ., *არამეული ენა აქემენიდთა იმპერიაში*. თბილისი, 2009.
5. *მამათა სწავლანი, X და XI სს-თა ხელნაწერების მიხედვით*. გამომც. ილია აბულაძე. თბილისი 1955.
6. ორბელიანი, სულხან-საბა. *ლექსიკონი ქართული*. თბილისი, 1966.
7. ფლავიოს, იოსებ. *მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელისტყუაობისანი*. გამომც. ნინო მელიქიშვილი, ტ. 2. თბილისი: მეცნიერება, 1988.
8. *ქართლის ცხოვრება*. გამომც. სიმონ ყაუხჩიშვილი. თბილისი 1955.
9. *ქართლის ცხოვრება*. რედ. როინ მეტრეველი. თბილისი, 2008.
10. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ)*. ტ. 2. თბილისი, 1951.
11. ჩუბინაშვილი, დავით. *ქართულ-რუსული ლექსიკონი*. თბილისი, 1984.
12. ჩუბინაშვილი, ნიკო. *ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ*. თბილისი 1961.
13. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. რედ. ილია აბულაძე, წგნ. 1. თბილისი, 1963.
14. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: S-30.
15. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი A-1105.
16. Beekes, Robert. *Etymological Dictionary of Greek*, v.1. Leiden-Boston, 2010.
17. Hamilton, William J. *Researches in Asia Minor, Pontus and Armenia*, v.1. London, 1842.
18. Henning, Walter B., “Coriander,” *Asia Major*, N.S. 10, 1963, 195-99.

19. *Hesychie Alexandrini lexicon*. Kurt Latte ed., Vol. 1. Copenhagen: Munksgaard 1953.
20. Hinz, Walther. *Altiranisches Sprachgut der Nebenüberlieferungen*. Wiesbaden, 1975.
21. Hübschmann, Heinrich. *Persische Studien*. Strassburg, 1895.
22. Katzenstein, Jacob H. "Gaza in the Egyptian Texts of the New Kingdom." *Journal of the American Oriental Studies*, 1982, 102 (1): 111-113.
23. Legarde, Paul de (ed.). *Onomastica sacra*. Göttingen: A. Rente, 1870.
24. Liddell, Henry G. and Scott, Robert. *An Intermediate Greek-English Lexicon*. Oxford 2001.
25. Louw, Johannes P. and Nida, Eugene A. *Greek-English Lexicon of the New Testament: Based on Semantic Domains*, 2 vols. New York, 1988-1989.
26. MacKenzie, David N. *A Concise Pahlavi Dictionary*. London, 1971.
27. Marquart, Joseph. *Untersuchungen zur Geschichte von Eran I*. Göttingen: Dieterich, 1896.
28. Mayrhofer, Manfred. *Handbuch des Altpersischen*. Wiesbaden, 1964.
29. Meineke, Augustus (ed.). *Strabonis Geographica*. Lipsiae: B.G. Teubneri, 1877.
30. Meineke, Augustus (ed.). *Stephani Byzantii ethnicorum quae supersunt*. Berlin, 1849.
31. Minorsky, Vladimir. "Roman and Byzantine Campaigns in Atropatene." *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, 11/2, 1944, 243-265.
32. Minorsky, Vladimir. *A History of Sharvān and Darband in the 10th-11th Centuries*. Cambridge: W. Heffer & Sons Ltd., 1958.
33. Minorsky, Vladimir. *Studies in Caucasian History*. London: Taylor's Foreign Press, 1953.
34. Nobbe, Karl Friedrich August (ed.). *Claudii Ptolemaei Geographia*. T. 1. Lipsae, 1843.
35. Pape, Wilhelm. *Wörterbuch der griechischen Eigennamen*. Braunschweig, 1875.
36. Schippmann, Klaus. "Arsacids ii. The Arsacid Dynasty" in *Encyclopedia Iranica*, v.II. London and New York, 1987, 525-536.
37. Smith, William. *Dictionary of Greek and Roman Geography*. Boston, 1854.
38. Sophokles, Evangelinos A. *Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods*. Harvard University Press, 1914.
39. *Suidae Lexicon*. Ed. Immanuel Bekker. Berlin: G. Reimer, 1854.
40. Δημητράκης, Δημήτριος, Μέγα Λεξικόν Όλης της Ελληνικής Γλώσσας, τόμος Γ. Αθήναι, 1953.
41. Κριαράς, Εμμανουήλ. *Λεξικό της μεσαιωνικής ελληνικής δημώδους γραμματείας, 1100-1669*, τόμος Δ. Θεσσαλονίκη, 1975.
42. Μπαμπινιώτης, Γεώργιος. *Λεξικό της Νέας Ελληνικής Γλώσσας*. Αθήνα 1998.
43. Дворецкий, Иосиф Х. *Древнегреческо-русский словарь*, т. 1. Москва: ГИС, 1958.
44. Дворецкий, Иосиф Х. *Латинско-русский словарь*. Москва: Русский язык, 1976.

## მყარი და დრეკადი შემაერთებული ქსოვილების აღნიშვნა სემიტურ ენებში

1. სტატიაში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლებიც ეხება ერთ-ერთი თემატური ჯგუფის ლექსიკურ-სემანტიკურ ანალიზს სემიტურ ენებში. საზოგადოდ, ლექსიკურ-სემანტიკური ხასიათის კვლევები მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის როგორც ისტორიულ-შედარებით, ისე ზოგად-ტიპოლოგიური თვალსაზრისით. ამგვარ შეპირისპირებით მასალაზე მუშაობისას პირველ რიგში უნდა იქნეს გათვალისწინებული ლექსიკურ ერთეულებს შორის არსებული რეგულარული ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისები. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა სხვადასხვა სახის შემაერთებული ქსოვილების ანუ ძვლებისა და ძვლოვანი წარმონაქმნების აღმნიშვნელი ლექსემების თემატური ქვეჯგუფი, რომელიც იერარქიულად უფრო ფართო, სხეულის ნაწილების ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს მიეკუთვნება.

ნაშრომის მიზანი იყო, გამოვლენილიყო ძირები, რომლებიც ხასიათდებოდნენ ფართო დისტრიბუციითა და სწორი რეგულარული ფონეტიკური შესატყვისებით, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მათი აღდგენა პროტოსემიტურ დონეზე იმ მნიშვნელობით, რაც უკავშირდებოდა განსახილველ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს, კერძოდ, ძვლებისა და ძვლოვანი წარმონაქმნების როგორც მყარი შემაერთებული ქსოვილების აღნიშვნას. კვლევის შედეგად გამოვლინდა რამოდენიმე ძირი, რომელიც პროტოსემიტურ დონეზე შეიძლება აღდგეს იმ მნიშვნელობებით, რაც ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ეს ძირებია: \*ḫm, \*šl, \*ḥm, \*ḥr და qm. სწორედ ისინი გადმოსცემენ ისეთ მნიშვნელობებს, როგორცაა: ძვალი, ნეკნი, კბილი, რქა. იმავდროულად, გამოვლინდა ძვალ-ხრტილოვან სისტემაში შემავალი დრეკადი შემაერთებული ქსოვილების აღმნიშვნელი ძირებიც: ḫpr, \*ḥb და \*r. ისინი გადმოსცემენ ისეთ მნიშვნელობებს, როგორცაა: 'ფრჩხილი; ბრჭყალი', 'ნერვი, ძარღვი, მყესი' და 'თმა, ბეწვი, ბალანი'. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

2. ძვალ-ხრტილოვან სისტემაში შემავალი მყარი, არადრეკადი შემაერთებული ქსოვილების აღნიშვნა სემიტურ ენებში.

2. 1. „ძვალი“: ვინაიდან ძვალი წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო განსახილველი სემანტიკური თემატური ჯგუფის საკვანძო ერთეულს, ამიტომ უპრიანი იყო, პირველ რიგში დამეზილიყო და ერთმანეთს შეპირისპირებოდა სემიტურ ენებში დადასტურებული აღნიშნული მნიშვნელობის მატარებელი ლექსიკური ერთეულები.

ზოგადად, ძვალი არის ცოცხალი ორგანიზმის სიმტკიცისა და სიმყარის მიმცემი სუბსტანცია, მას დამცავი ფუნქციაც ენიჭება. მედიცინაში იგი განიმარტება როგორც მყარი შემაერთებული ქსოვილი. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ძვალი“



დახასიათებულია როგორც „ადამიანისა და ცხოველის სხეულის მაგარი შემაერთებული ქსოვილი.“<sup>1</sup> ანალოგიურ განმარტებას ვპოულობთ ინგლისურადაც, კერძოდ, “Bone – hard substance forming the skeleton of animals; part of this.” სხვადასხვა სემიტურ ენაში დადასტურებული ლექსიკური ერთეულების შეპირისპირებისა და ანალიზის შედეგად დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად „ძვლის“ სემანტიკის გადმოცემა უკავშირდება საერთოსემიტური წარმომავლობის სამთანხმომენიან ძირს ‘*ṭm*. აღნიშნულ ძირს ახასიათებს ფართო დისტრიბუცია. „ძვლის“, „მთავარი ძვლის“ მნიშვნელობითა და ზუსტი ფონეტიკური შესატყვისებით იგი დასტურდება მრავალ სემიტურ ენაში: არაბულში, ებრაულში, აქადურში, სამხრეთარაბულში, ეთიოპურში. ჩამოთვლილ ენებში გარდა ზოგადად „ძვლის“ და „მთავარი ძვლის“ მნიშვნელობისა, გვხვდება აგრეთვე მათგან ნაწარმოები და ასოციაციურად მოტივირებული ლექსემები, რომელთა მნიშვნელობაა „კამათელი“, ასევე „ბედი, იღბალი, ბედისწერა“, სადაც „კამათელი“ გაგებულია როგორც ბედთან, იღბალთან შეჭიდებისას გამოსაყენებელი საგანი, ინსტრუმენტი, რომელიც ძვლოვანი სუბსტანციის მქონეა. გარდა ამისა, თუ სემანტიკურ ველს ოდნავ გავაფართოვებთ, აქვე შემოვა ისეთი ზმნური მნიშვნელობები, როგორცაა: „*იყო ძლიერი, ძლევამოსილი; დიდებული; პატივსაცემი იყო*.“ ეს ზმნური მნიშვნელობები ფიქსირდება გარდა ზემონახსენები ენებისა, ასევე უგარიტულსა და ეპიგრაფიკულ სამხრეთარაბულში, რასაც ქვემოთ წარმოვადგენთ ილუსტრაციის სახით.

განსახილველი ძირის პირველი რადიკალია მჟღერი ფარინგალური სპირანტი ‘ანი, იგი საკმაოდ სტაბილური ფონემაა და იმავე ფონეტიკური მნიშვნელობის შესატყვისებითაა წარმოდგენილი არაბულში, ებრაულში, არამეულში, უგარიტულში, ჩრდილოეთიოპურსა და ჰარარიში, შაჰრიში, სოკოტრისა და ეპიგრაფიკულ სამხრეთარაბულში, ის მცირედ სახეცვლილია ჰარსუსისა და მეჰრიში, აგრეთვე სამხრეთიოპურ ენებში, სადაც მას ცვლის ლარინგალური მაგარი შემართვა ‘ან უფრო იშვიათად ყრუ ლარინგალი h.<sup>2</sup> ბოლოკიდურ პოზიციაშია ბილაბიალური ნაზალური სონორი m, რომელიც ყველა სემიტურ ენაში ანალოგიური შესატყვისებითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება მედიალურ პოზიციაში მდგომ *ṭ*-ს, იგი საგანგებო კომენტარებს საჭიროებს. ეს არის მარკირებული ფონემა და სემიტურ ენებში მას მოდიფიცირებული, ფონეტიკურად სახეცვლილი შესატყვისები შეესაბამება. არაბულსა და უგარიტულში ესაა გამჟღერებული გლოტალიზებული ანუ „ემფატიკური“ i, სამხრეთარაბულში მას შენარჩუნებული აქვს გლოტალიზაცია და ინტერდენტალური წარმოთქმაც (j), ებრაულსა და ჩრდილოეთიოპურში მას შეესატყვისება გლოტალიზებული ყრუ სიბილანტი ṣ, სოკოტრისა და არამეულში კი - გლოტალიზებული დენტალური ხშული *ṭ*.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, (ქეგლ), საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, ენათმეცნ. ინსტ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1986, 544.

<sup>2</sup> მ. მეფარიშვილი სემიტურ ენათა ისტორიული გრამატიკა, ნაწილი I, ფონეტიკა, ფონოლოგია, თბილისი, 2008, 39-41.

<sup>3</sup> მეფარიშვილი (2008). op. cit. 83; აგრეთვე M. Meparishvili, The Proto-Semitic Sibilants, (Budapest, 1089), Proceedings of the SPEECH RESEARCHES’89, International Conference, June 1-3, 1089, Budapest, edited by Tamas Szende, 101.

საილუსტრაციოდ წარმოვადგინოთ: სემიტური ძირი 'ḫm „ძვალი, მთავარი ძვალი“ (წარმოებული მნიშვნელობები: „კამათელი“, „ბედი, იღბალი, ბედისწერა“, აგრეთვე „იყო ძლიერი, ძლევამოსილი, დიდებული, ღირსეული“).<sup>4</sup>

არაბული 'ai<sup>3</sup>m „ძვალი“, mu-'i<sup>3</sup>am „მთავარი ძვალი, მთავარი ნაწილი (კისერი, თემო და სხვ.)“, ებრაული 'ešem „ძვალი“ და „კამათელი“, აქადური 'ešem-tu „ძვალი“ და „კამათელი“, ეთიოპ. (ტიგრე) 'ešem „ძვალი“, ეთიოპ. (ტიგრინია) 'ašmi „ძვალი“, ეთიოპ. (ამჰარული) 'eṭen „კამათელი“, ეთიოპ. (გურაგე) aṭem „ძვალი“, ეთიოპ. (არგობა) haṭem, ეთიოპ. (ჰარარი) 'aṭ (ბოლო -am მარცვლის ამოვარდნით, რაც ვ. ლესლაუს დაკვირვებით, ჰარარისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა)<sup>5</sup> „ძვალი“, ახალი სამხრეთარაბული (ჰარსუსი) 'aj em-et „ზურგი“, ასა( მეჰრი) 'aj em-et „ზურგის ძვალი“. ძირი 'ḫm იმავე სემანტიკურ ველში შემავალი მნიშვნელობით: „იყო ძლიერი, ძლევამოსილი, დიდებული, ღირსეული“): არაბული 'ai<sup>3</sup>ima „იყო ძლიერი, ძლევამოსილი“, ეპიგრაფიკული სამხრეთარაბული 'i<sup>3</sup>m „იყო დიდებული, პატივსაცემი“, უგარიტული 'i<sup>3</sup>m „იყო დიდებული, ძლევამოსილი“, ებრაული 'šm „იყო ძლიერი, ძლევამოსილი, დიდებული“.

წარმოდგენილ მასალაზე დაკვირვება საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ საერთოსემიტური წარმომავლობის ძირი 'ḫm გადმოსცემს ზოგადად ძვლის, მთავარი საყრდენი ძვლის სემანტიკას, რასაც ასოციაციურად უკავშირდება სიმლიერის, საყრდენისა და ძლევამოსილების სემები.

2.2. „ნეკნი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგადად ძვლის სემანტიკას გადმოსცემს საერთოსემიტური წარმომავლობის ძირი 'ḫm, თუმცა საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ პროტოსემიტურ დონეზე აღდგება კიდევ ერთი ძირი (šl'), რომლის სემანტიკა უკავშირდება კონკრეტული ძვლის, კერძოდ, *ნეკნის* აღნიშვნას. ვფიქრობ, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს, იგი ორგანიზმის ძვლოვანი სისტემის უმნიშვნელოვანეს ერთეულს წარმოადგენს, რადგან ეს მოხრილი ძვლები ახდენენ სხეულის ზედა ნაწილის ფორმირებას და სიმყარეს ანიჭებენ სხეულს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ნეკნი“ განისაზღვრება როგორც „რკალისებური ძვალი, რომელიც ხერხემლიდან მოდის გულმკერდის ძვალთან.“<sup>6</sup> მსგავსად განიმარტება იგი ინგლისურადაც, სადაც მას უწოდებენ მოხრილ ძვალს, რომელიც ამოზრდილია ხერხემლიდან და ქმნის სხეულის ზედა ნაწილის ჩონჩხს: “ rib - one of the curved bones, springing from the spine and making the framework of the upper part of the body.” ძირი šl' „ნეკნის“ მნიშვნელობით ფართო გავრცელებით გამოირჩევა. იგი ეთიოსემიტურის გარდა უკლებლივ ყველა სემიტურ ენაში დასტურდება ზუსტი ფონეტიკური შესატყვისებით.

მოკლედ შევხვით ძირის ფონეტიკურ შემადგენლობას. შუა პოზიციაში წარმოდგენილია ლატერალური სონორი l, რომელიც უცვლელი სახით გადადის ყველა

<sup>4</sup> სემიტური ენების შეპირისპირებითი მასალა მოძიებულია და ამოღებული შემდეგი ორენოვანი ლექსიკონებიდან: W. Leslau, Etymological Dictionary of Harari, Berklay & Los Angeles, 1963; E. Littman and M. Höffner, Wörterbuch der Tigre-Sprache, Wiesbaden, 1962; T.M. Johnstone, Harsusi Lexicon and English-Harsusi Word-List, London, New York, Toronto, 1977; Oxford University Press; L. Koehler, A Dictionary of the Hebrew Old Testament in English and German; W. Baumgartner, A Dictionary of the Aramaic Parts of the Old Testament in English and German, Leiden, 1958; J. Aisleitner, Wörterbuch der Ugaritischen Sprache, Berlin, 1967; A. Biberstein-Kazimirski, Dictionnaire arab-français, Paris, 1960, etc.

<sup>5</sup> Leslau, 36.

<sup>6</sup> ქეგლ, 358.

სემიტურ ენაში. ბოლოკიდურ პოზიციაშია საკმაოდ სტაბილური მჟღერი ფარინგალური სპირანტი 'აინი, რომლის შესატყვისებზეც ზემოთ ვისაუბრეთ. რაც შეეხება თავკიდურ რადიკალს, იგი განმარტებებს საჭიროებს. ეს პროტოსემიტური ფონემა /š/ აღდგება როგორც ყრუ ლატერალური გლოტალიზებული თანხმოვანი, სემიტურ ფონოლოგიურ სისტემაში ის უკიდურესად მარკირებულია და მეტად მოდიფიცირებული, წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი, ფონეტიკურად განსხვავებული (š ž š ʃ ʒ) შესატყვისებით, რომელთა შორისაა: არაბულსა და გეეზში – „ემფატიკური“ დენტალური ხშული š, ებრაულში, აქადურსა და უგარიტულში – „ემფატიკური“ (გლოტალიზებული) ყრუ ალვეოლარული სიბილანტი ž, სამხრეთ-არაბულში - ლატერალური (თუმც გლოტალიზაციადაკარგული) მჟღერი სიბილანტი ž, ეთიოპემიტურში სამი რეფლექსი იჩენს თავს: ჩრდილიეთიოპურში – ყრუ გლოტალიზებული სიბილანტი ž, სამხრეთეთიოპურში კი- ž-ს გარდა კიდევ ორი რეფლექსი: გლოტალიზებული დენტალური ხშული š და გლოტალიზებული აფრიკატი ž. არამეულში მისი შესატყვისია 'აინი, რომელიც საერთოდ უკანა-ენისმიერთა სექციას განეკუთვნება.<sup>7</sup>

როგორც აღინიშნა, ეს ძირი *ნეკნის* მნიშვნელობით დასტურდება ყველგან, გარდა ეთიოპურისა. აქ საერთოსემიტური ძირი š! არ შენარჩუნებულა. ვფიქრობ, ტერმინი *ნეკნი* ეთიოპურ ენებში სხვადასხვა გზით გადმოიცემა, ზოგან გამოყენებულია ყუშიტურიდან შემოსული ფორმები, ან კიდევ ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული ძირი ( მაგ., ამჰარული gadon), ზოგან კი აღწერითი გზაა გამოყენებული, სადაც შესიტყვება შეიცავს ორ ლექსიკურ ერთეულს, რომელთაგან ერთია სიტყვა „ძვალ“, ხოლო მეორე – სიტყვა „მოხრილი, გაღუნული“ ან „გვერდითი, გვერდისა“. ამ მხრივ საინტერესოა ჰარარის შემთხვევა, სადაც მნიშვნელობა „*ნეკნი*“ გადმოცემულია ორნაწილიანი შესიტყვებით: mihi 'aš, სიტყვა mihi ნიშნავს „გვერდს, გვერდითს“, ხოლო 'aš - „ძვალ“,<sup>8</sup> შესაბამისად, mihi 'aš არის „*ნეკნი*“ ანუ „*გვერდითი, გვერდის ძვალ*“.

საილუსტრაციოდ წარმოვადგინოთ: სემიტური ძირი š! „*ნეკნი*“<sup>9</sup>

არაბული dil' „*ნეკნი*“, სამხრეთარაბული (ჰარსუსი) žela' „*ნეკნი*“, ასა (მეჰრი) žola', ასა (შაჰრი) žal', ასა (სოკოტრი) žalh , ეპიგრაფიკული სამხრეთარაბული žl' „*ნეკნი*“, ებრაული žela' „*ნეკნი*“, არამეული(ბიბლ.) 'ala', არამეული (სირიული) 'al'ā , აქადური šelu / šilu „*ნეკნი*“, უგარიტული š! „*ნეკნი*“.

ამგვარად, ექვს არ იწვევს, რომ ძირი š! პროტოსემიტურია და მისი მნიშვნელობაა „*ნეკნი*“ როგორც აღმნიშვნელი კონკრეტული, მეტად მნიშვნელოვანი ძვლისა.

2. 3. „*კბილი*“. მედიცინაში „*კბილი*“ განიხილება როგორც მყარი ძვლოვანი ქსოვილი. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „*კბილი*“ შემდეგნაირადაა განმარტებული: „ძვლოვანი წამონაზარდი პირის ღრუში.“<sup>10</sup> ინგლისურად იგი ამგვარად განიმარტება: “tooth- an ivory process of the jaw”. ჩვენს ინტერესს განაპირობებს ის, რომ იგი ცოცხალი ორგანიზმის ყბის მყარი ძვლოვანი წარმონაქმნია.

„*კბილის*“ სემანტიკის გადმოსაცემად სემიტურ ენებში ფართო დისტრიბუციითა და ზუსტი ფონეტიკური შესატყვისებით გამოიყენება სამი ძირი, ესენია: ა. ძირი šnn, ბ. ძირი šrs და გ. ძირი tny. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ა. სემიტური გემინირებული ძირი šnn მნიშვნელობით „*კბილი*“ ფართოდაა გავრცელებული სემიტურ ენათა ყველა შტოსა და ჯგუფში. ამ მხრივ ერთადერთი

<sup>7</sup> მეფარიშვილი, 2008: 83; აგრეთვე Meparishvili, 1989: 102.

<sup>8</sup> Leslau, 36 and 105-106.

<sup>9</sup> ქეგლ, 262.

გამონაკლისია ახალი სამხრეთარაბული ენების ქვეჯგუფი, სადაც ეს ძირი არ გვხვდება. განსახილველი გემინირებული ძირის პირველი რადიკალია სემიტური პრეპალატალური ყრუ ნაპრალოვანი შიშინა სიბილანტი  $\text{š}$ , (სამხრეთსემიტური  $s$ ), ხოლო მეორე და მესამე გაორმაგებული ძირეულია დენტალური ნაზალური სონორი  $n$ , რომელიც ყველა სემიტურ ენაში უცვლელად ანალოგიური რეფლექსებითაა წარმოდგენილი. განსახილველი ძირი „*კბილის*“ მნიშვნელობით გვხვდება ძველ-ებრაულში, არამეულში, უგარიტულში, აქადურში, ჩრდილოარაბულსა და ეთიო-სემიტურ ენებში. ნათქვამის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ:

სემიტური  $\text{šnn}$  -- სამხრეთსემიტური  $\text{snn}$  „*კბილი*“

არაბული  $\text{šinn}$  „*კბილი*“, ეთიოპ. (გეეზი)  $\text{sen}$ , ეთიოპ. (ტიგრინია)  $\text{senni}$ , ეთიოპ. (ჰარარი)  $\text{sen}$  და  $\text{sin}$ , ეთიოპ. (გაფატი)  $\text{sena}$ , ეთიოპ. (გურაგე)  $\text{sen}$ , ებრაული  $\text{šen}$  „*კბილი*“, არამეული (ბიბლიის)  $\text{šen}$ , არამეული (სირიული)  $\text{šanā}$ , აქადური  $\text{šinnu}$  „*კბილი*“, უგარიტული (ზმნური მნიშვნელობა)  $\text{šnn}$  „*კბილებს აკრაჭუნებდა, აღრჭიალებდა.*“

ბ. ამჯერად განვიხილოთ „*კბილის*“ სემანტიკის მქონე სემიტურ ენებში საკმაოდ გავრცელებული და სწორი ფონეტიკური შესატყვისებით წარმოდგენილი მეორე სემიტური ძირი  $\text{šrš}$ . აღნიშნული ძირი დასტურდება ყველა სამხრეთარაბულ ენაში, აგრეთვე ჩრდილოარაბულსა და ეთიოსემიტურში, კერძოდ, გეეზში, ამჰარულსა და ჰარარიში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილ ენებში მოცემული ძირითად მოცემულია არა ზოგადად „*კბილის*“, არამედ უფრო მეტად დაკონკრეტებული, კერძოდ, „*ძირითადი, არასარძევე კბილის*“ მნიშვნელობა, რაც მას განასხვავებს ზოგადი „*კბილის*“ მნიშვნელობის მქონე სემიტური  $\text{šnn}$  ძირისგან. სამხრეთსემიტური ენების გარდა ანალოგიური მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეული დასტურდება არამეულში, სახელდობრ, სირიულ ენაში.

მოკლედ შევხვით ძირის შემადგენელ რადიკალებს. შუა მედიალურ პოზიციაში წარმოდგენილია ვიზრანტი სონორი  $r$ , რომელიც ყველა ენაში ანალოგიური რეფლექსითაა გადმოცემული. მესამე ძირეულია შიშინა  $\text{š}$  (სამხრეთსემიტური  $s$ ), რომლის შესატყვისები წინა ძირის ანალიზისას განვიხილეთ. რაც შეეხება თავკიდურ პოზიციაში მდგომ ფონემას, იგი პროტოსემიტურ დონეზე აღდგება როგორც გლოტალიზებული ლატერალური სიბილანტი  $\text{š}$ , რომელიც სემიტურ ფონოლოგიურ სისტემაში უკიდურესად მარკირებულია და მისი შესატყვისები ძლიერი ტრანსფორმირებულობითა და ფონეტიკური მრავალფეროვნებით ხასიათდებიან, რაც „*ნეკნის*“ აღმნიშვნელი ძირის ანალიზისას ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. ნათქვამის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ:

სემიტური  $\text{šrs}$ . – სამხრეთსემიტური  $\text{šrs}$ . „*ძირითადი (არასარძევე) კბილი*“

არაბული  $\text{širs}$  „*ძირითადი კბილი*“, ეპიგრაფიკული სამხრეთარაბული  $\text{šrs1}$ , ახალი სამხრეთარაბული (ჰარსუსი)  $\text{ma-žreh}$  ( $s > h$ ) „*ძირითადი კბილი*“, ასა (მეჰრი)  $\text{me-žoreh}$  ( $s > h$ ), ასა (სოკოტრი)  $\text{ma-žareš}$ , ეთიოპ. (გეეზი)  $\text{šars}$ , ეთიოპ. (ამჰარული)  $\text{šers}$ , ეთიოპ. (ჰარარი)  $\text{širs}$ , არამეული(სირიული)  $\text{'ar'ā}$  „*ძირითადი კბილი.*“

გ. „*კბილის*“ სემანტიკის გადმოცემა უკავშირდება კიდევ ერთი ძირს, სახელდობრ,  $\text{tny}$  –ს, თუმცა საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქ „*კბილის*“ მნიშვნელობა მეორეულია, ეს ძირი პროტოსემიტურ დონეზე აღდგება როგორც „*ორი; მეორე*“. რაც შეეხება „*კბილის*“ სემანტიკას, იგი თავს იჩენს მხოლოდ არაბულსა და სამხრეთარაბულ ენებში და კორელირებს ამ ძირის ძირითად მნიშვნელობასთან, კერძოდ, იგი დასტურდება მნიშვნელობით „*წინა წყვილი, მჭრელი გაორმაგებული კბილი.*“ საილუსტრაციოდ წარმოვადგინოთ:

სამხრეთსემიტური *tny* „წინა წყვილი, მჭრელი გაორმაგებული კბილი“

არაბული *tāniyy-at* „წინა წყვილი, მჭრელი გაორმაგებული კბილი“, ახალი სამხრეთარაბული (ჰარსუსი) *me- ten-et* „წინა წყვილი, მჭრელი გაორმაგებული კბილი“, ასა (მეჰრი) *me- teny-at*, ასა (შაჰრი) *me- ten-ut*, ასა(სოკოტრი) *me-tni-oh*.

რთული არ არის იმის შენიშვნა, რომ აღნიშნული ძირი „კბილთან“ დაკავშირებული სემანტიკით საერთოსემიტური წარმომავლობისად არ უნდა მივიჩნიოთ. მისი დისტრიბუცია ფართო არ არის, იგი თავს იჩენს მხოლოდ სამხრეთსემიტური შტოს ორ ქვეჯგუფში - ჩრდილო და სამხრეთარაბულში. იგი არ მოიპოვება არც ეთიოსემიტურში და არც მით უმეტეს ჩრდილოდასავლურსა და აღმოსავლეთსემიტურში. შესაბამისად, ამ ძირით გადმოცემული მნიშვნელობა („წინა წყვილი, გაორმაგებული მჭრელი კბილი“) სემანტიკურად მოტივირებულ ლექსიკურ ერთეულად უნდა მივიჩნიოთ. იგი კორელირებს საერთოსემიტურ ძირთან *tny*, რომელიც პროტოსემიტურ დონეზე აღდგება მნიშვნელობით „ორი; მეორე“. ამ ძირითადი მნიშვნელობით იგი დასტურდება უკლებლივ ყველა სემიტურ ენაში (შდრ. მაგ., არაბული *'itnāni* „ორი“, *tāni* „მეორე“).

წარმოდგენილი ძირების განხილვის შედეგად დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: „კბილის“ სემანტიკა გადმოცემულია ორი საერთოსემიტური წარმომავლობის ძირით, ამასთან, მათი მნიშვნელობები ერთგვარად განსხვავებულია; პირველი მათგანი (სემიტური *šm*) გამოხატავს „კბილის“ ზოგად მნიშვნელობას, ხოლო მეორე კი (სემიტური *šrš*) – კონკრეტულ ჯგუფს კბილებისას, რომლებიც „ძირითადი (ანუ არასარძევე) კბილების“ სახელითაა ცნობილი. მესამე ძირი კი დისტრიბუციის სიმწირის გამო საერთოსემიტური წარმომავლობის ლექსიკურ ერთეულად ვერ იქნება მიჩნეული. იგი „კბილის“ მნიშვნელობით ჩრდილო და სამხრეთარაბული ენების წიაღში ლოკალურად განვითარებული ჩანს. აქვე დავძენთ, რომ ამავე ენებშიც „კბილთან“ დაკავშირებული მნიშვნელობა იკვეთება როგორც მეორეული, იგი სემანტიკურად მოტივირებული, ასოციაციური ლექსემების მაგალითად უნდა განვიხილოთ.

2. 4. „რქა“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „რქა“ შემდეგნაირადაა განმარტებული: „მაგარი ძვლოვანი წარმონაქმნი ზოგიერთი ცხოველის თავზე.“<sup>10</sup> თითქმის იგივე განმარტებაა მოცემული ინგლისურადაც, კერძოდ: “Horn – the hard projection on the heads of certain animals, the substance of it”. ვინაიდან „რქა“ ცოცხალი ორგანიზმის სხეულის ძვლოვანი წარმონაქმნია, იმავდროულად იგი, სავარაუდოდ, არქაული, ბაზისური ლექსიკის პლასტს უნდა განეკუთვნებოდეს, უპირანი იყო, დაძეგნილიყო ამ მნიშვნელობის მქონე ძირები სხვადასხვა სემიტურ ენებში. ენობრივი მასალის შეპირისპირებისა და ანალიზის შედეგად დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „რქის“ სემანტიკა გადმოცემულია *qm* ძირით, რომელიც საერთოსემიტური წარმომავლობისად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნული ძირი გამოირჩევა ფართო გავრცელებით, იგი ამ მნიშვნელობით დასტურდება ჩრდილოარაბულში, ებრაულში, აქადურში, უგარიტულში, არამეულსა და სამხრეთარაბულში. რაც შეეხება ძირის შემადგენელ რადიკალებს, თავკიდურ პოზიციამში წარმოდგენილია უფულარული ყრუ ხშული ფონემა *q*, რომელიც სემიტურ ფონოლოგიურ სისტემაში სტაბილურობით გამოირჩევა, მისი შესატყვისები ყველა ენაში უცვლელად გადადის და ემთხვევა პრაფონემის ფონეტიკურ მნიშვნელობას. სტაბილურობისა და შესატყვისების იდენტურობის

<sup>10</sup> ქეგლ, 380.

თვალსაზრისით მისი მსგავსია მეორე რადიკალიც, შუალედურ პოზიციაში გვხვდება პრეპალატალური ვიბრანტი სონორი r, რომელიც ანალოგიური რეფლექსებითაა წარმოდგენილი ყველა ენაში. იგივე შეიძლება ითქვას ბოლოკიდურ პოზიციაში მდგომ დენტალურ ნაზალურ სონორ n-ზე, რომელიც ფონეტიკურად იდენტური შესატყვისებითაა წარმოდგენილი ყველა ენაში. ვიდრე საილუსტრაციოდ წარმოვადგენდეთ „რქის“ მნიშვნელობის მატარებელ საერთოსემიტური წარმომავლობის ძირ qrn-ს, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთ ენაში დადასტურებული ფორმის განმარტება. ასე მაგალითად, ეთიოსემიტურ ჰარარიში ბოლოკიდურ პოზიციაში მდგომი n იკარგვის, რაც ცნობილი ეთიოპისტის ვ. ლესლაუს აზრით, ამ ენაში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა, ასევე საყურადღებოა ამჰარული ფორმა qand, რომელიც, იმავე ავტორის აზრით, ასახავს ერთდროულად ორ კომბინატორულ ცვლილებას: მეტათეზისა და r-სა და n-ს დისიმილაციას,<sup>11</sup> რასაც ჩვენც ვიზიარებთ. ასევე უნდა აღინიშნოს ახალ სამხრეთარაბულ ენებში მეორე ძირეული r-ს ამოვარდნის ტენდენცია, შაჰრისა და სოკოტრიში. იგი სრულიად დაკარგულია, ხოლო ჰარსუსისა და მეჰრიში გვაქვს ორ-ორი ფორმა, როგორც სამივე ძირეული თანხმოვნის შემცველი, ისე მეორე ძირეულ-ნაკლულიც. ამგვარად, სამთანხმოვნის ძირი qrn „რქის“ სემანტიკის გამომხატველია და ექვს არ იწვევს მისი საერთოსემიტური წარმომავლობა. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ:

სემიტ. qrn „რქა“

არაბული qarn „რქა“, ებრაული qeren „რქა“, უგარიტული qrn, აქადური qarnu, არამეული qarna, ეთიოპ. (გეეზი) qarn, ეთიოპ. (ტიგრინია) qarni, ეთიოპ. (ჰარარი) qar, ეთიოპ. (ამჰარული) qand (qarn>qand) ახალი სამხრეთარაბული (ჰარსუსი) qeron და qon, ასა (მეჰრი) qon და qeron, ასა(შაჰრი) qun, ასა (სოკოტრი) qan.

3. ძვალ-ხრტილოვან სისტემაში შემავალი დრეკადი შემაერთებული ქსოვილების აღნიშვნა სემიტურ ენებში.

ზემოთ განხილული იყო ძვალ-ხრტილოვან სისტემაში შემავალი მყარი, არადრეკადი ერთეულების აღმნიშვნელი საერთოსემიტური წარმომავლობის ძირები, თუმცა ჩვენი ინტერესის საგანს ამავე სისტემის არამყარი, დრეკადი ერთეულებიც წარმოადგენდა. შეპირისპირებითი მასალის ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოიყოს ასევე შემდეგი ერთეულები: „ფრჩხილი; ბრჭყალი“, „ნერვი, ძარღვი, მყესი“ და „თმა, ბეწვი; თმის საფარი“. ეს მნიშვნელობები გადმოცემულია შემდეგი სემიტური ძირებით: ḥr, ‘šb და š'r. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

3.1. „ფრჩხილი, ბრჭყალი“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს ლექსიკური ერთეულები შემდეგნაირადაა განმარტებული: „ფრჩხილი - რქოვანი წამონაზარდი თითის წვერზე (ხელისა და ფეხის თითებზე)“; „ბრჭყალი - კაუჭა და ცხვირბასრა ფრჩხილი ფრინველისა და ზოგი ცხოველისა“.<sup>12</sup> ფრჩხილისა და მისი ნაირსახეობის (ბრჭყალის) განმარტება ინგლისურადაც მსგავსია: “nail- the horny shield of the ends of the fingers; a claw.”

ენობრივი მასალის შეპირისპირებისა და ანალიზის შედეგად დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი სემანტიკა გადმოცემულია ḥr ძირით, რომელიც საერთოსემიტური წარმომავლობისად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნული ძირი გამოირჩევა

<sup>11</sup> Leslau, 128 and 77.

<sup>12</sup> ქეგლ, 583 და 64.

ფართო გავრცელებით, იგი ამ მნიშვნელობით დასტურდება უკლებლივ ყველა სემიტურ ენაში, კერძოდ, ჩრდილოარაბულში, ებრაულში, აქადურში, უგარიტულში, არამეულში, სამხრეთარაბულსა და ეთიოსემიტურ ენებში. რაც შეეხება ძირის ფონეტიკურ შემადგენლობას, თავკიდურ პოზიციაშია სემიტური ყრუ გლოტალიზებული ინტერდენტალური სიბილანტური ფონემა  $\text{ʔ}$ , რომელიც განსხვავებული რეფლექსებითაა წარმოდგენილი სხვადასხვა ენაში, მათზე ზემოთ, „ძვლებზე“ მსჯელობისას ვისაუბრეთ; მეორე ძირეულია ბილაბიალური ყრუ ხშული ფონემა  $\text{p}$ , რომელიც იმავე ფონეტიკური მნიშვნელობით დასტურდება აღმოსავლურ და ჩრდილოდასავლურ სემიტურში, ხოლო სამხრეთსემიტურ ენებში (არაბული, სამხრეთარაბული, ეთიოსემიტური) მცირედ სახეცვლილი რეფლექსით - ყრუ ლაბიოდენტალური ნაპრალოვანი  $\text{f}$  რეფლექსითაა გადმოცემული, ბოლოკიდურ პოზიციაში დგას სონორი ვიბრანტი  $\text{r}$ , რომელიც ყველგან უცვლელადაა წარმოდგენილი.

საილუსტრაციოდ წარმოვადგინოთ:

სემიტური ძირი  $\text{ʔpr}$  „ფრჩხილი; ბრჭყალი“

არაბული  $\text{i}^3\text{ufr}$  /  $\text{'u-i fur}^3$  „ფრჩხილი (ფეხის და ხელის თითის); ბრჭყალი“, ებრაული  $\text{šippor-en}$  „ფრჩხილი; ბრჭყალი“, აქადური  $\text{šupuru}$  „ფრჩხილი; ბრჭყალი; თითი“, ეთიოპ. (გეეზი)  $\text{šefir}$  „ფრჩხილი“, ეთიოპ. (ტიგრე)  $\text{šefēr}$ , ეთიოპ. (ტიგრინია)  $\text{šefri}$ , ეთიოპ. (ამჰარული)  $\text{ʔefēr}$  „ფრჩხილი“, ეთიოპ. (გურაგე)  $\text{ʔefēr}$  „ფრჩხილი“, ეთიოპ. (არგობა)  $\text{ʔuffer}$ , ეთიოპ. (ჰარარი)  $\text{ʔefre}$ , ეთიოპ. (გაფატი)  $\text{šefra}$  „ფრჩხილი“, ახალი სამხრეთარაბული (ჰარსუსი)  $\text{jefir}$  „ფრჩხილი (ფეხის და ხელის თითის)“, ასა( მეჰრი)  $\text{jefir}$ , ასა(შაჰრი)  $\text{jefēr}$ , ასა(სოკოტრი)  $\text{ʔayfer/ʔefēr}$  „ფრჩხილი (ფეხის და ხელის თითის)“; არამეული(ბიბლ.)  $\text{ʔepar}$  „ფრჩხილი“, არამეული (სირიული)  $\text{ʔepra}$  „ფრჩხილი, ბრჭყალი“.

უდაოა, საერთოსემიტური ძირით  $\text{ʔpr}$  აღინიშნება დრეკადი ძვლოვანი შემაერთებელი ქსოვილი „ფრჩხილი; ბრჭყალი“.

### 3.2. „ნერვი, ძარღვი, მყესი“.

დრეკადი ძვლოვანი შემაერთებელი ქსოვილის შემადგენელი მომდევნო ერთეულია „ნერვი, ძარღვი, მყესი“, რომელიც გადმოიცემა სემიტური ძირით  $\text{'šb}$ . ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია: „ნერვი არის „ბოჭკოვანი წარმონაქმნი ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში, ასეთი ბოჭკოები ქმნიან თავისა და ზურგის ტვინისგან განშტოებულ სისტემას, რომელიც მართავს ორგანიზმის ქცევას; მყესი კი არის „შემაერთებელი ქსოვილის მყიფე და დრეკადი იოგი, რომლითაც კუნთი მიმაგრებულია ძვალზე“, ხოლო ხრტილი არის „შემაერთებელი ქსოვილის ერთ-ერთი სახეობა, მოქნილი და მკვრივი.“<sup>13</sup> შდრ. ინგლისური განმარტება: *nerve- sinew, tendon; a fibre or bundel of fibres, conveying feeling impulses to motion etc.* განსახილველი სემანტიკა გადმოცემულია  $\text{'šb}$  ძირით, რომელიც საერთოსემიტური წარმომავლობისაა, თუმცა ჩვენთვის საინტერესო სემანტიკით იგი სემიტური ენების შედარებით შეზღუდულ რაოდენობაშია დადასტურებული. კერძოდ, ჩრდილოარაბულში, პოსტიბლიურ ებრაულსა და ახალ სამხრეთარაბულ ენებში. სემანტიკური ველი მოიცავს ზმნურ მნიშვნელობებს: „დაახვია, დაწნა, ერთმანეთს მიაბა, მიაერთა; გადაახვია“, რომელიც ასოციაციურად უკავშირდება ლექსემებს „ნერვი, მყესი“.

რაც შეეხება ძირის ფონეტიკურ შემადგენლობას, თავკიდურ პოზიციაშია სემიტური ყრუ გლოტალიზებული ალვეოლალური სიბილანტური ფონემა  $\text{/š/}$ ,

<sup>13</sup> ქეგლ, 358, 344, 583.

თავკიდურ პოზიციაშია ფარინგალური 'ანი, ხოლო ბოლოკიდურ პოზიციაშია მჟღერი ბილაბიალური ხშული b, რომელიც ანალოგიური რეფლექსებით დასტურ-დება ყველა სემიტურ ენაში. ვფიქრობ, შესაძლებელია ეს ძირი აღვადგინოთ მნიშვნელობით „*ნერვი, ძარღვი, მყესი*“, თუმცა წინა ძირისგან განსხვავებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კატეგორიულნი ვერ ვიქნებით, გამორიცხული არ არის, ძირის დომინანტური მნიშვნელობა ზმნურ შინაარსს უკავშირდებოდეს.

საილუსტრაციოდ წარმოვადგინოთ:

სემიტური ძირი 'ᶤb „*ნერვი, ძარღვი, მყესი*“

(სემანტიკური ველი მოიცავს აგრეთვე ზმნურ მნიშვნელობებს: „*დაახვია, დაწნა, ერთმანეთს მიაბა, მიაერთა; გადაახვია*“ )

არაბული 'aᶤab „*ნერვი, ძარღვი*“, 'aᶤabu<sup>3</sup> „*დაახვია, დაწნა*“, ებრაული 'ᶤb „*დაწნა, გადაახვია*“ ებრაული (პოსტბიბლ.) 'ᶤb „*სახსარი დაეჭიმა, მყესი იღრმო*“, ახალი სამხრეთარაბული (ჰარსუსი) 'aᶤb-et / 'aᶤab „*ნერვი, ძარღვი, მყესი*“, 'aᶤob ასა (მეჰრი) 'aᶤeb-et, 'aᶤawb ასა (შაჰრი) 'eᶤb-et „*ნერვი, ძარღვი*“, 'aᶤob „*დაახვია, გადაახვია*“, ასა(სოკოტრი) 'eᶤab „*დაახვია, გადაახვია*“.

3.3. დრეკადი ძვლოვანი (რქოვანი) შემაერთებელი ქსოვილის კიდევ ერთი ერთეულია „*თმა, ბეწვი, ბალანი; თმიანი საფარველი*“, რომელიც აღინიშნება პროტოსემიტური ძირით ᶤr. იგი იძებნება სემიტურ ენათა ოჯახის ყველა შტოსა და ჯგუფში, კერძოდ, აქადურში, უგარიტულში, არაბულში, არამეულში, ეთიოსემიტურსა და სამხრეთარაბულ ენებში. განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია: „*თმა არის ადამიანის თავზე ამოსული ძაფისებური რქოვანი ნაზარდი, საერთოდ ბალანი, ბეწვი.*“<sup>14</sup> დავძენთ, რომ სემანტიკურ ველში გარდა აღნიშნული მნიშვნელობებისა, თავს იჩენს აგრეთვე მცენარეული მნიშვნელობებიც (მაგ., „*ბალახი*“).

შევეხოთ ძირის ფონეტიკურ შემადგენლობას, მედიალურ პოზიციაშია მჟღერი ფარინგალური სპირანტი 'ანი, ბოლოკიდურ პოზიციაში კი - ვიზრანტი სონორი r, რომელთა შესატყვისებზეც ზემოთ ითქვა. რაც შეეხება თავკიდურ პოზიციაში მდგომ /ᶤ/-ს, ესაა პროტოსემიტური ყრუ ლატერალური სიბილანტური ფონემა, რომელიც სახეცვლილია და განსხვავებული რეფლექსებითაა წარმოდგენილი. ლატერალური წარმოთქმა მას შენარჩუნებული აქვს მხოლოდ სამხრეთარაბულ ენებში (რეფლექსი ᶤ), არაბულში, ეთიოსემიტურში, უგარიტულში, აქადურში გვაქვს შიშიბა პრეპალატალური სიბილანტი ᶤ, არამეულ ენებში კი - ალვეოლარული სიბილანტი s, ებრაულში მას შეესატყვისება გრაფემა „სინ“-ით აღნიშნული ბგერა (ტრანსკრიფციაში ᶤ), რომელიც დიაქრონიაში სისინა s-ს წარმოთქმას შეერწყა.<sup>15</sup>

საილუსტრაციოდ წარმოვადგინოთ:

სემიტური ძირი ᶤr „*თმა, ბეწვი, ბალანი; თმიანი საფარველი*“

არაბული ᶤar „*თმა, ბეწვი, ბალანი*“, ხოლო ᶤar „*მცენარეული საფარი, თმის საფარველი*“, ებრაული ᶤar „*თმა, ბალანი, ბეწვი*“, აქადური ᶤar-tu „*თმა, ბალანი, ბეწვი*“, უგარიტული ᶤr-t „*ცხოველის ბეწვი*“, არამეული(ბიბლ.) ᶤar „*თმა, ბალანი*“, არამეული (სირიული) sa'ra „*თმა*“, ეთიოპ. (გეეზი) ᶤer-t „*თმა, ბეწვი*“, ეთიოპ. (ამჰარული) ser „*თმები*“, ახალი სამხრეთარაბული (ჰარსუსი) ᶤor „*თმა, ბეწვი, ბალანი; მცენარეული*

<sup>14</sup> ქეგლ, 241, 60.

<sup>15</sup> მეფარიშვილი, 2008: 104-105. აგრეთვე Meparishvili, 1989: 101.



საფარი“, ასა( მეჰრი) ser „თმა, ბეწვი, ბალანი; მცენარეული საფარი“. ასა(შაჰრი) ša‘r „გამხმარი ბალახი“, ასა (სოკოტრი) ša‘ihor „თმა“, ხოლო ša‘ar „ბალახი“.

4. დასკვნა. ზემოთ წარმოდგენილი მასალის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი საშუალებას იძლევა დაბეჯითებით ითქვას შემდეგი:

4.1. მყარი, მაგარი შემაერთებელი ქსოვილების ანუ ძვლებისა და სხვა მყარი ძვლოვანი სტრუქტურების სემანტიკის მქონე თემატური ჯგუფის აღნიშვნა დასტურდება პროტოსემიტურ დონეზე რეკონსტრუირებულ შემდეგ ძირებში: \*ḫm, \*šl’, šnn, šrš და qrn, მათ შესატყვისება შემდეგი მნიშვნელობები: „*ძვალი, მთავარი ძვალი*“, „*ნეკნი*“, „*კბილი*“, „*ძირითადი, (არასარძევე) კბილი*“ და „*რქა*“, სახელდობრ, პროტოსემიტურ დონეზე უნდა აღდგეს საერთოსემიტური ძირები შემდეგი მნიშვნელობებით: სემიტ. \*ḫm „*ძვალი; მთავარი ძვალი*“, \*šl’ „*ნეკნი*“, šnn „*კბილი*“, šrš „*ძირითადი (არასარძევე) კბილი*“ და qrn „*რქა*“. რაც შეეხება საერთოსემიტურ ძირს ḫny, იგი პროტოსემიტურ დონეზე აღდგება მნიშვნელობით „*ორი; მეორე*“, ხოლო ჩრდილო და სამხრეთარაბულ ენებში განვითარებული მნიშვნელობა „*წინა წყვილი, მჭრელი გაორმაგებული კბილი*“ იკვეთება როგორც მეორეული, ძირის ძირითადი მნიშვნელობიდან განვითარებული. იგი სემანტიკურად მოტივირებული, ასოციაციური ლექსემების მაგალითად უნდა განვიხილოთ.

4. 2. არამყარი ანუ დრეკადი ძვლოვანი წარმონაქმნების თემატური ჯგუფის აღნიშვნა დასტურდება პროტოსემიტურ დონეზე რეკონსტრუირებულ შემდეგ ძირებში: ḫpr, \*šb და š‘r. სახელდობრ, პროტოსემიტურ დონეზე უნდა აღდგეს საერთოსემიტური ძირები შემდეგი მნიშვნელობებით: ḫpr „*ვრჩხილი; ბრჭყალი*“, \*šb „*ნერვი, ძარღვი, მყესი*“ და

š‘r „*თმა, ბეწვი, ბალანი; თმიანი საფარველი*“.

## THE DENOTATION OF THE HARD AND FLEXIBLE CONNECTIVE TISSUES IN SEMITIC LANGUAGES

1. The paper presents some results of a study related to the analysis of one of the lexical-semantic groups in Semitic languages. In general, comparative analysis of semantic fields and lexical groups in different languages is an important problem of contemporary linguistic studies both from the viewpoint of comparative and typological linguistics. Of particular interest to us was the thematic sub-division of lexical units denoting different hard or flexible connective tissues, particularly, bones and bone formations, which belongs to a hierarchically broader lexical-semantic group of body parts. The aim of the study was to reveal and identify the roots, which were characterized by wide distribution and correct regular phonetic correspondences, as a result, it would be possible to reconstruct them at the Proto-Semitic level with the meanings associated with the lexical-semantic group under consideration, that is - bone and bone formations.

It has been revealed several roots that can be restored at the Proto-Semitic level to the meanings that were the subject of our interest. These roots are: 'tm, <sup>3</sup>/4l', šnn, <sup>3</sup>/4rš, qrn and tny. They denote such meanings as: *bone, rib, tooth, horn*-hard connective tissues. In the same time, It has been revealed several roots: ṭpr, 'šb and š'r, which denote such meanings as: '*nail (fingernail, toenail); claw*', '*sinew, nerve*' and '*hair, wool*'. Let's briefly consider each of them separately.

### 2. 1. The denotation of bony, cartilaginous hard connective tissues.

'Bone' is the main unit of considered sub-division, it is the solid, hard connective tissue, which could be interpreted as '*Bone – hard substance forming the skeleton of animals; part of this*'. It is a substance that gives a living organism- human being, animal- body strength and firmness, it has protective function too. For expressing of above-mentioned meaning in different Semitic languages is used a root 'tm, which is widespread and could be found in different Semitic languages, e.g., in Arabic, Hebrew, Aramaic, Akkadian, Ugaritic and South-Arabian languages; the only exceptions are Ethio-Semitic ones. The root consists of three consonant phonemes, first radical is voiced pharyngeal fricative 'ayn, which preserves its phonetic significans almost everywhere ( with exceptions of Akkadian, where it has been lost and MSA Harsusi and Mehri , as well as South-Ethiopian Amharic, Gurage, Gafat, where it is changed and substituted by glottal ', rarely by h), third radical is bilabial nasal sonorant m (with same reflexes), as for second radical, it needs some explanations; it is glottalized (emphatic) interdental sibilant /t̪/,<sup>1</sup> which is modified in different Semitic languages and gives the following correspondences: j in South-Arabian, i in Arabic, Ugaritic, š in Hebrew, Akkadian and North-Ethiopic, ṭ in Aramaic, Soqotri and South-Ethiopic.

---

<sup>1</sup> M. Meparishvili, The Proto-Semitic Sibilants, (Budapest, 1089), Proceedings of the SPEECH RESEARCH '89, International Conference, June 1-3, 1089, Budapest, edited by Tamas Szende, 101 and Meparishvili M. Comperizon of Proto-Semitic Phonological System with modified Systems in different Semitic Languages, The Near East and Georgia, VIII, Ilia State University. Tbilisi, 2014. 73.

Illustrating example: Common Semitic root ʾṭm ‘bone; main bone’ (compound meanings: ‘bones’, ‘fate, destiny, luck’, also verbal meaning ‘be strong, stark; be mighty’).<sup>2</sup>

Arabic ‘ai<sup>3</sup>m ‘bone’, mu-‘i<sup>3</sup>am ‘main bone; main part (nek, hip etc.)’, Hebrew ‘ešem ‘bone’ and ‘bones’, Akkadian ešem-tu ‘bone’ and ‘bones’, Ethiop. (Tigre) ‘ešem ‘bone’, Ethiop. (Tigray) ‘ašmi ‘bone’, Ethiop. (Amharic) ‘eṭen ‘bones’, Ethiop. (Gurage) aṭem ‘bone’, Ethiop. (Argoba) haṭem, Ethiop. (Harari) ‘aṭ (< ‘aṭam with a dropping of last -am syllable)<sup>3</sup> ‘bone’, Modern South-Arabian (Harsusi) ’aj em-et “back”, MSA (Mehri) ’aj em-et ‘bone of back’. In addition, in semantic field of the root ʾṭm also are verbal meanings: ‘be strong, stark; be mighty’: Arabic ‘ai<sup>3</sup>ima ‘be strong; be mighty’, Epigraphic South-Arabian ‘i<sup>3</sup>m ‘be strong, be mighty; be respected’, Ugaritic ‘i<sup>3</sup>m ‘be strong, stark; be mighty’, Hebrew ‘šm ‘be mighty, numerous’.

**2.2.** ‘Rib’ is a kind of bones, the solid, hard connective tissue, which can be interpreted as: ‘rib - one of the curved bones, springing from the spine and making the framework of the upper part of the body’. For expressing of above-mentioned meaning in different Semitic languages is used a root šl’, which is widespread and could be found in different Semitic languages, e.g., in Arabic, Hebrew, Aramaic, Akkadian, Ugaritic and South-Arabian languages; the only exceptions are Ethio-Semitic ones. Second radical of the root is stable and unchanged phoneme - alveolar lateral sonorant l, third radical is voiced pharyngeal fricative ‘ayn, which was considered above (see ‘bone’). As for the first radical /š/, it should be underlined, that this phoneme- voiceless glottalized sibilant- is the most modified one in the Semitic phonological system.<sup>4</sup> It occurs by different reflexes, it’s correspondences are: ḏ in Arabic and Geez, š in Hebrew, Akkadian, Ugaritic and North-Ethiopic, ž in South-Arabian languages, ṭ in South- Ethiopian and ‘ayn in Aramaic.

The considered root šl’ ‘rib’ exists in every Semitic languages (the only exceptions are Ethio-Semitic ones, where meaning ‘ribs’ are forming by different way, e.g., neologisms, borrowings from Qushitic, as well as compound formation; for example, in Ethio-Semitic Harari ‘rib’ is expressed by miḥi ‘aṭ ‘bones; the bone(s) of the side’<sup>5</sup>, first word miḥi means “near, beside, vicinity”, second word ‘aṭ (< Semitic ‘aṭam ‘bone’ by dropping of last syllable -am)<sup>6</sup> means “bone”.

Illustrating example: Common Semitic root šl’ ‘rib’<sup>3</sup>

Arabic ḏil’ ‘rib’, Modern South-Arabian (Harsusi) žela’ ‘rib’, MSA (Mehri) žola’ ‘rib’, MSA (Shahri) žal’ ‘rib’, MSA (Soqotri) žalḥ ‘rib’, Epigraphic South-Arabian žl’ ‘rib’, Hebrew šela’ ‘rib’, Aramaic (Bibl.) ‘ala’ ‘rib’, Aramaic (Syriac) ‘al’ā ‘rib’, Akkadian šelu/ šilu ‘rib’, Ugaritic šl’ ‘rib’.

<sup>2</sup> The comparative data of Semitic languages, used below, have been taken from different dictionaries, e.g., for Harari- W. Leslau, Etymological Dictionary of Harari, Berkley & Los Angeles, 1963; for Tigre - E. Littman and M. Höffner, Wörterbuch der Tigre-Sprache, Wiesbaden, 1962; for Harsusi - T. M. Johnstone, Harsusi Lexicon and English-Harsusi Word-List, London, New York, Toronto, Oxford University Press 1977; for Hebrew - L. Koehler, A Dictionary of the Hebrew Old Testament in English and German, for Aramaic (Bibl.) - W. Baumgartner, A Dictionary of the Aramaic Parts of the Old Testament in English and German, Leiden, 1958; for Ugaritic - J. Aistleitner, Wörterbuch der Ugaritischen Sprache, Berlin, 1967; for Arabic - A. Biberstein-Kazimirski Dictionnaire arab-français, Paris, 1960. etc.

<sup>3</sup> Leslau, 36.

<sup>4</sup> Meparishvili, 1989: 102 and Meparishvili, 2014: 73.

<sup>5</sup> Leslau, 106.

<sup>6</sup> Leslau, 36 and 105-106.

**2.3.** ‘*Tooth*’ also is a hard, solid connective tissue, which is very important for living organism (human being, animal), it has a protective function. For expressing of above-mentioned meaning in Semitic languages are used three roots: šnn, šrš and tny. Which one could be defined as Common Semitic and reconstructed in Proto-Semitic with the meaning of *teeth*? Let’s consider each one.

a. The first root is šnn., which might be reconstructed at the Proto-Semitic level, it is very widespread root and occurs in Arabic, Hebrew, Aramaic, Akkadian, Ugaritic, and Ethio-Semitic languages, the only exceptions are South-Arabian ones. The root consists of two consonant phonemes; second doubled radical is nasal dental sonorant n, with has same correspondences in different languages, initial radical is Proto-Semitic pre-palatal voiceless sibilant phoneme š, which is realized by two reflexes:<sup>7</sup> particularly, by š in Akkadian and North-Semitic and by alveolar sibilant s in South-Semitic languages.

Illustrating example: Common Semitic root šnn - South-Semitic root snn ‘*tooth*’

Arabic sinn ‘*tooth*’, Ethioph. (Geez) sen ‘*tooth*’, Ethiop. (Tigray) senni, Ethioph. (Harari) sen and sin ‘*tooth*’, Ethioph. (Gafat) sena, Ethioph. (Gurage) sen, Hebrew šen ‘*tooth*’, Aramaic (Bibl.) šen, Aramaic (Syriac) šanā ‘*tooth*’, Akkadian šinnu ‘*tooth*’, Ugaritic (verbal meaning) šnn ‘*to grind one’s teeth*’.

b. The next root is šrš, which expresses a meaning of ‘*molar tooth*’, in the other word, root šnn denotes a ‘*tooth*’ (abstract meaning) and root šrš - ‘*molar tooth*’, (concrete meaning), that is some group, some kind of the teeth. The considered root consists of first radical - voiceless glottalized sibilant ṣ̌ (reflexes: ḏ ḏ̣ ṣ ṣ̣), second radical is vibrant sonorant r and last one is prepalatal sibilant š. This root exists in Arabic, Aramaic (Syriac), South-Arabian and Ethio-Semitic languages.

Illustrating example: Common Semitic root šrš – (South-Semitic root šrs) ‘*molar tooth*’

Arabic ḏirs ‘*molar tooth*’, Epigraphic South-Arabian ḏrs1, Modern South-Arabian (Harsusi) ma- žreh (s > h) ‘*molar tooth*’, MSA (Mehri) me- žoreh (s > h) ‘*molar tooth*’, MSA (Soqotri) ma- žareš (s > h > š) ‘*molar tooth*’, Ethio-Semitic (Geez) ḏars, Ethio-Semitic (Amharic) ṭers ‘*molar tooth*’, Ethio-Semitic (Harari) ṭirs, Aramaic (Syriac) ‘ar’ā ‘*molar tooth*’.

c. The third root is tny, it consists of interdental voiceless ṭ, nasal sonorant n and approximant y. This root is reconstructed in Proto-Semitic, but it means “*two; second*”, so it cannot be related to considered lexical-semantic sub-group. The meaning ‘*incisor tooth*’ is secondary one, developed within the South-Semitic group from the main meaning.

Illustrating example: South-Semitic tny ‘*incisor tooth*’

Arabic ṭāniyy-at ‘*incisor tooth*’, Modern South-Arabian (Harsusi) me- ṭen-et ‘*incisor tooth*’, MSA (Mehri) me- ṭeny-at, MSA (Shahri) me- ṭen-ut ‘*incisor tooth*’, MSA (Soqotri) me-tni-oh ‘*incisor tooth*’.

**2.4.** ‘*Horn*’ is a solid connective tissue, which can be interpreted as: ‘*Horn – the hard projection on the heads of certain animals, the substance of it*’. For expressing of above-mentioned meaning in different Semitic languages is used a root qrn, which is widespread and could be found in each Semitic languages, e.g., in Arabic, Hebrew, Aramaic, Akkadian, Ugaritic, South-Arabian and Ethio-Semitic ones. The root consists of three consonants, first radical is voiceless uvular q, second one is prepalatal vibrant sonorant r, third radical is dental

---

<sup>7</sup> S. Moskati, A. Spitaler, E., von Soden W. Ullendorf. An Introduction to the comparative Grammar of the Semitic Languages, Phonology and Morphology, Wiesbaden. 39.

nasal sonorant n. All three phonemes are stable, unchanged and are presented everywhere by the same reflexes.

Illustrating example: Common Semitic root qrn ‘horn’

Arabic qarn ‘horn’, Hebrew qeren ‘horn’, Ugaritic qrn ‘horn’, Akkadian qarnu ‘horn’, Aramaic qarnā, Ethioph. (Geez) qarn ‘horn’, Ethio-Semitic (Tigray) qarni, Ethio-Semitic (Harari) qar, Ethio-Semitic (Amharic) qand (qarn>qand), Modern South-Arabian (Harsusi) qeron and qon ‘horn’, MSA (Mehri) qon and qeron, MSA (Shahri) qun, MSA (Soqotri) qan ‘horn’.

### 3.1. The denotation of bony, cartilaginous flexible connective tissues.

‘Nail (*fingernail, toenail*); *claw*’.

*Nail* is a flexible connective tissue, bone formation, which can be interpreted as ‘nail- the horny shield of the ends of the fingers; a claw’. For expressing of above-mentioned meaning in different Semitic languages is used the Common Semitic root ṭpr, which is widespread and could be found in different Semitic languages, e.g., in Arabic, Hebrew, Aramaic, Akkadian, Ugaritic, Ethio-Semitic and South-Arabian languages; The root consists of three consonant phonemes, the first radical is Proto-Semitic glottalized (emphatic) interdental sibilant /t̤/. Different correspondences of this phoneme was considered above (see 2.1. ‘bone’). The second radical is voiceless labial plosive /p/, presented by same reflexes in Akkadian and North-Semitic languages and by labio-dental voiceless fricative f in Arabic, South-Arabian and Ethio-Semitic ones. Last radical is vibrant sonorant r. The Analysis of compared data allows to say: the meaning ‘Nail (*fingernail, toenail*); *claw*’ is denoted by the Common Semitic root ṭpr.

Illustrating example: Common Semitic root ṭpr ‘nail; *fingernail, toenail; claw*’

Arabic i<sup>3</sup>ufr / ‘u-i fur<sup>3</sup> ‘nail; *fingernail, toenail*’; *claw*’, Hebrew šippor-en ‘nail (*finger, toe*)’, Akkadian šupuru ‘nail (*finger, toe*)’; *claw; finger*’, Aramaic (Bibl.) ṭepar ‘*fingernail, toenail*’, Aramaic (Syriac) ṭepā ‘*fingernail, toenail*’; *claw*’ Ethiop. (Geez) šefr ‘*fingernail*’, Ethio-Semitic (Tigray) šefri ‘*fingernail*’, Ethio-Semitic (Tigre) šefer, Ethio-Semitic (Gafat) šefra ‘*fingernail*’, Ethio-Semitic (Argobba) ṭuffer, Ethio-Semitic (Amharic) ṭefer, Ethio-Semitic (Harari) ṭifir ‘*claw; fingernail*’ Modern South-Arabian (Harsusi) j efir ‘*fingernail, toenail*’, MSA (Mehri) j efir ‘nail; *fingernail, toenail*’, MSA (Shahri) j efer, MSA (Soqotri) ṭayfer/ṭefher ‘*fingernail, toenail*’.

### 3.2. *Sinew, nerve*’

Nerve, sinew, tendon is a flexible cartilaginous connective tissue, which can be interpreted as: ‘nerve, sinew, tendon - a fibre or bundel of fibres, conveying feeling impulses to motion etc.’ The denotation of this meaning is related to the root of Common Semitic origin ‘šb, which is not widespread and could be found in Arabic, Hebrew and different South-Arabian languages. In addition, semantic field also consists of verbal meanings: ‘to tie, bind’; ‘to unite, attach’. The root consists of three consonant phonemes, the first radical is voiced pharyngeal fricative ‘ayn, which was considered above (see ‘bone’), the third last radical is stable, unchanged voiced labial plosive b, as for second radical, in medial positin is voiceless glottalized (emphatic) sibilant phoneme /š/. We may suggest, it’s possible to reconstruct the root ‘šb with a meaning *nerve, sinew*’.

Illustrating example: Common Semitic root ‘šb ‘*sinew, nerve*’

(compound verbal meanings: ‘to tie, bind’; ‘to unite, attach’)

Arabic ‘aşab<sup>3</sup> ‘*sinew, nerve*’ ‘aşabu ‘to tie, bind, twist’, Hebrew ‘šb ‘‘to tie, bind’, hebrew (Post-Bibl.) ‘šb ‘*stretch, set dislocated joints*’, MM Modern South-Arabian (Harsusi) ‘aşeb-et / ‘aşab ‘*sinew, nerve*’; ‘aşob ‘to tie, bind’, MSA (Mehri) ‘aşeb-et ‘*sinew, nerve*’,

’aşawb ‘to tie, bind’, MSA (Shahri) ‘eşbet ‘sinew, nerve’; ‘oşob ‘to tie, bind’, MSA (Soqotri) ‘eşab ‘to tie, bind’.

### 3.3. ‘Hair, wool’

One more unit belongs to flexible connective tissues is ‘hair, wool; vegetation’, which is denoted by the root š‘r. *Hair* can be defined as: ‘hair – filament growing from the skin of an animal as the covering of a man’s head; such filaments collectively’. The root š‘r is widespread and could be found in different Semitic languages, e.g., in Arabic, Hebrew, Aramaic, Akkadian, Ugaritic, Ethio-Semitic and South-Arabian languages. It should be noted, that the meaning ‘vegetation’ (e.g., *grass*) associated with the ‘hair, wool’.

The root consists of three consonant phonemes, the first radical is voiceless lateral sibilant /š/,<sup>8</sup> which is realised by the following reflexes: pre-palatal š in Arabic, Akkadian, and Ugaritic, alveolar s in Aramaic and Ethio-Semitic and lateral sibilant ś in South-Arabian languages and Hebrew, the second radical is voiced pharyngeal fricative ‘ayn, the last one is vibrant sonorant r.

Illustrating example: Common Semitic root š‘r ‘hair; wool’ also ‘vegetation’

Arabic i<sup>3</sup>ufr / ša‘r ‘hair, wool’, šu‘r ‘vegetation’. Hebrew še‘ar ‘hair’, Aramaic (Bibl.) še‘ar, Aramaic (Syriac) sa‘rā ‘hair’, Akkadian šar-tu ‘hair; wool’, Ugaritic š‘r-t ‘wool’, Ethiop. (Geez) še‘er-t ‘hair’, še‘ar ‘to grass’, Ethio-Semitic (Amharic) ser ‘grass’, Modern South-Arabian (Harsusi) šor (with a dropping of medial ‘ayn) ‘hair, wool’, MSA (Mehri) šeer ‘hair, wool’, MSA (Shahri) ša‘r ‘dry grass’, MSA (Soqotri) ša‘ihor ‘hair’, ša‘ar ‘grass’.

#### 4. Summing up all the facts discussed above we may conclude that:

**4.1.** Following roots: ‘ṭm, šl‘, šnn, šrš and qrn denote meaning of different kinds of bones – that is hard connective tissues - might be regarded as roots of Common Semitic origin, they are expressing the following meanings: *bone* (abstract meaning), *rib* (concrete meaning), *tooth* (abstract meaning), *molar tooth* (concrete meaning) and *horn*. they exist in various groups and branches of Semitic language family, so, they could be reconstructed in Proto-Semitic in the following way:

Common Semitic root ‘ṭm with a meaning ‘bone; main bone’ (abstract meaning);

Common Semitic root šl‘ with a meaning of ‘rib’ (concrete meaning of a ‘bone’);

Common Semitic root šnn with a meaning of ‘tooth’ (=all kinds of teeth - abstract meaning);

Common Semitic root šrš with a meaning of ‘molar tooth’ (= that is some group of teeth);

Common Semitic root qrn with a meaning of ‘horn’.

As for the root ṭny, considered above, of course, it is Common Semitic, but it means ‘two; second’, so it cannot be related to considered lexical-semantic group of “different kinds of bones”. The meaning ‘incisor tooth’ is the rather-developed one within the South -Semitic group from the main meaning.

**4.2.** The roots: ṭpr, ‘şb and š‘r denote meaning of different kinds of flexible cartilaginous connective tissues, they might be regarded as roots of Common Semitic origin expressing the following meanings: ‘Nail (fingernail, toenail); claw’, ‘sinew, nerve’ and ‘hair, wool’. In particular, the roots could be reconstructed in Proto-Semitic in the following way:

Common Semitic root ṭpr with a meaning of ‘Nail (fingernail, toenail); claw’;

Common Semitic root ‘şb with a meaning of ‘Sinew, nerve’;

Common Semitic root š‘r with a meaning of ‘Hair, wool’.

<sup>8</sup> Meparishvili, 1989: 102 and Meparishvili, 2014: 73.

## დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. მეფარიშვილი, მ. *სემიტურ ენათა ისტორიული გრამატიკა, ნაწილი I, ფონეტიკა, ფონოლოგია*. თბილისი, 2008.
2. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ერთტომეული, (ქეგლ), თბილისი: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, ენათმეცნ. ინსტ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1986.
3. Aisleitner, J. *Wörterbuch der Ugaritischen Sprache*. Berlin: Akademie Verlag, 1967.
4. Biberstein-Kazimirski, A. *Dictionnaire arab-francais*. Paris, 1960.
5. Johnstone, T.M. *Harsusi Lexicon and English-Harsusi Word-List*. London, New York, Toronto: Oxford University Press, 1977.
6. Koehler, L. *A Dictionary of the Hebrew Old Testament in English and German*, Baumgartner, W. *A Dictionary of the Aramaic Parts of the Old Testament in English and German*. Leiden, 1958.
7. Leslau, W. *Etymological Dictionary of Harari*. Berklay & Los Angeles, 1963.
8. Littman, Enno and Höffner, Maria. *Wörterbuch der Tigre-Sprache*. Wiesbaden, 1962.
9. Meparishvili, M. The Proto-Semitic Sibilants, (Budapest, 1989), *Proceedings of the SPEECH RESEARCH '89*, International Conference, June 1-3, 1989, Budapest, edited by Tamas Szende.
10. Meparishvili. M. Comperizon of Proto-Semitic Phonological System with modified Systems in different Semitic Languages. *The Near East and Georgia*, VIII, Tbilisi, 2014.
11. Moskati, A. Spitaler, E. Ullendorf, W. von Soden. *An Introduction to the comparative Grammar of the Semitic Languages, Phonology and Morphology*. Wiesbaden, 1964,

## მულაზანზარი „ვეფხისტყაოსანში“

რუსთველის პოემაში რამდენიმე ქალაქია ნახსენები. ესენია: გულანშარო, ტარიელის ქალაქი, ავთანდილის ქალაქი, როსტევანის ქალაქი, ქაჯთა ქალაქი და მულაზანზარი. სპეციალურ ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული გულანშაროსა და მულაზანზარის შესახებ.

ამჯერად შევეხები მულაზანზარს და განვიხილავ მის ეტიმოლოგიას. სანამ უშუალოდ გადავიდოდე საკითხზე, გავიხსენებ ზოგიერთ მომენტს პოემის შინაარსიდან.

დავიწყოთ ნესტან-დარეჯანის გაუჩინარებით. როდესაც ხვარაზმმას ძის, სასიძოს მოკვლით აღშფოთებული მეფე შერისხავს თავის დას, ნესტან-დარეჯანის გამზრდელ მამიდას, დავარს, ეს უკანასკნელი შურს იძიებს და გასცემს ძმისშვილის გადაკარგვის ბრძანებას. ორი მონა კიდობანში სვამს ნესტან-დარეჯანს და ზღვაში ჩაუშვებს. კიდობანი ტალღებში სწრაფად გაუჩინარდება და გამზრდელი მამიდა, შეძრწუნებული, თავს იკლავს. სატროფოს დაკარგვით გახელებული ტარიელი, შეიტყობს თუ არა ასმათისგან მომხდარს, ფიცხლად შეკაზმული, ას სამოც მამაც მხედართან ერთად სწრაფად გაჩნდება ზღვის ნაპირთან, მაგრამ ნესტან-დარეჯანი უკვე გაუჩინარებულია. მამაცი რაინდი შედის ზღვაში. გადის თორმეტი თვე, შემდეგ იწურება კიდეც ოცი, ძებნა კი უშედეგოდ სრულდება. ტარიელი ნესტან-დარეჯანის ასავალ-დასავალს ვერ დაადგენს, ზღვიდან ხმელეთზე გადადის და ძებნას აგრძელებს. მას თამხლები მეომრები თანდათან შემოეცლებიან. ბოლოს ტარიელთან რჩება ასმათი და ორი მონა.

ტარიელი ასე იხსენებს ავთანდილთან მულაზანზარს და მის პირველ შეხვედრას ნურადინ ფრიდონთან:

*„ღამით მევლო, მოვიდოდი, ზღვისა პირსა აჩნდეს ბაღნი.*

*ჰგვანდა, ქალაქს ვეახლენით, ცალ-კერძ იყვნეს კლდეთა ნაღნი.“ (597: 1,2)<sup>1</sup>*

*„ზახილი მესმა, შევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა“ (599: 1)*

*„ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა...“ (600: 1)*

*„მართ ვითა ქარი მოქროდა...“ (600: 2)*

გმირები ხის ძირში ჩამოსხდებიან და ტარიელი გაიგებს, რომ სიმწვანეში ჩაფლული ქალაქი მულაზანზარია, ხოლო შავ ტაიჭზე ამხედრებული მოყმე, მისი მეფე და მფლობელი, ნურადინ-ფრიდონი:

*„მულაზანზარის ქალაქი, ახლოს მე მაქვსო რომელი,*

*ნურადინ-ფრიდონ სახელ მძეს, მეფე ვარ მუნა მჯდომელი;*

*ესე საზღვარი ჩემია, სადა ხარ გარდამხდომელი,*

*ცოტა მაქვს, მაგრა ყოველგნით სიკეთე-მიუწვდომელი.“ (606)*

<sup>1</sup> პოემიდან ციტირებებს ვახდენ „ვეფხისტყაოსნის“ 1996 წლის გამოცემიდან (რედაქტორი: ნ. ნათაძე).



ირკვევა, რომ „ზღვასა შიგან კუნძულია“, რომელიც მემკვიდრეობით ნურადინ-ფრიდონისაა. მულაზანზარი მდიდარია სანადირო ადგილებით, ნურადინ-ფრიდონი კი ნადირობის ტრფიალია და ბიძისა და ბიძის შვილების მიერ დაკოდილი, ტარიელს მძად გაეფიცება. ამის შემდეგ ტარიელი არ ურჩევს ნურადინ-ფრიდონს აჩქარებას, პირდება დახმარებას და გამირები ქალაქს მიაშურებენ ძალების მოსაკრევად:

„მივედით მისსა ქალაქსა ტურფასა, მაგრა ცოტასა;  
გამოეგებნეს ლაშქარნი, ისხმიდეს მისთვის ოტასა“. (617: 1, 2)

მულაზანზარით მოხიბლული ტარიელი ამბობს:  
„მივედით, ვნახეთ ქალაქი მისი ტურფა და მდიდარი,  
ყველასა ტანსა ემოსა ზარქაში განაზიდარი“. (618: 3, 4)

წალკოტში ჩაფლული მულაზანზარი, რომ მდიდარი ქალაქია იქედანაც ჩანს, რომ მისი მცხოვრებლები ოქროთი მოსირმული ძვირფასი ტანსაცმლით არიან შემოსილი, მაგრამ, ამავე დროს, იგი საზღვაო და სახმელეთო დამაკავშირებელი პუნქტია - გზათა გასაყარი და თავშეყრის ადგილი ვაჭართა, მეზღვაურთა და მოგზაურთათვის:

„ესე ქალაქი გზა არის ნავთა, ყოველგნით მავალთა,  
შემომკრებელი ამბავთა უცხოთა რათმე მრავალთა“. (643: 1, 2)

ასე ახასიათებს თავის სატახტო ქალაქს ნურადინ-ფრიდონი, რომლის ნახვით ავთანდილიც მოხიბლული დარჩა:

„ქალაქს შევიდეს, მუნ დაჰხვდა სრა მოკაზმული სრულითა,  
სახელმწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა;  
მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს რულითა!  
შეჰფრფინვიდიან ავთანდილს გულითა სულ-წასრულითა“. (1019)

სანამ ავთანდილი ნურადინ-ფრიდონს მულაზანზარში ჩაკითხავდა, შეხვდა ტარიელს ქვაბში, რომელიც უიმედობას მისცემოდა. მძაღნაფიცმა პირობა დაუდო ვეფხისტყაოსან რაინდს, რომ გააგრძელებდა ნესტან-დარეჯანის ძებნას და ერთ წელიწადში დაბრუნდებოდა მასთან:

„ამა დროსა გარდავსცილდე, აქავ ქვაბსა არ მოვიდე,  
ცან, ცოცხალი არ თურე ვარ, უღონიოდ მოგკვე კიდე“. (946: 1, 2)

შემდეგ ავთანდილი ტარიელს სთხოვს ასწავლოს ნურადინ-ფრიდონის სამეფოს ადგილ-სამყოფელი:

„რად მოიშორვე შენ ფრიდონ, მომცემი მაგა ცხენისა?  
მუნით იცნობის ამბავი, ღონე მის მზისა ლხენისა,  
აწ მე მუნ მივალ, მასწავლე გზა მძად-ფიცისა შენისა“. (955: 2, 3, 4)

ტარიელი პასუხობს:

“აღმოსავლითვე წადიო, პირსა იარე ზღვისასა,  
თუ ჰნახო, ჩემი უამბე, გკითხავს ამბავსა ძმისასა“. (956: 3, 4)

პოემის ტექსტის მიხედვით ავთანდილმა სამოცდაათი დღე დაჰყო გზაში, სანამ ნურადინ-ფრიდონის სამეფოს საზღვარს მიაღწევდა. ცხენზე ამხედრებული რაინდი ზღვის ნაპირს მიჰყვებოდა, როცა შუა ზღვაში მენავენი შენიშნა, დაელოდა მათ და მულაზანზარის გზა ჰკითხა. მათ მოახსენეს:

“ნურადინ ფრიდონ მეფეა ამა ქვეყნისა ჩვენისა,  
მოყმე მხნე, უხვი, ძლიერი, ფიცხლად მომხლოტომი ცხენისა“. (980: 1, 2)

ავთანდილმა გაიხარა, რომ ბოლოსდაბოლოს ნურადინ-ფრიდონის სამფლობელოს მიაღწა და მენავეებს სატახტო ქალაქამდე მანძილი ჰკითხა:

*„რა ვიარო, ოდეს მივალ, ან გზასა აქვს რა სიდიდე?“ (981: 3)*

შემდეგ ტექსტის მიხედვით ვგებულობთ, რომ მენავეებმა ავთანდილს „უწინამძღვრეს“, გვერდიდან არ მოშორდნენ და გზა ასწავლეს:

*„მოახსენეს: „ესე გზა მულაზანზარს მიმავალი.*

*მუნ დაგხვდების მეფე ჩვენი მშვილდ-ფიცხელი, მახვილ-ხრმალი;*

*აქადაღმა ათ დღე მიხვალ ნაკვთად სარო, ფერად ლალი“.* (982: 1, 2, 3)

ესე იგი ცხენზე ამხედრებულ ავთანდილს ქვეყნის საზღვრიდან კიდევ ათი დღე უნდა ევლო, რომ მულაზანზარში ჩასულიყო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მანამდე, ტარიელთან შეხვედრის შემდეგ, ფრიდონის სახელმწიფო საზღვრამდე მანძილის გავლას ცხენოსანმა რაინდმა სამოცდაათი დღე მოანდომა, ცხადი ხდება, რომ აქ საუბარია დიდ მანძილზე, თუ ათასობით არა, ასობით კილომეტრზე. მანძილის დროით გაზომვა ჩვეულებრივი და დასაშვები იყო ძველ აღმოსავლეთში.

ავთანდილი მენავეებს რომ დაემშვიდობა, სწრაფად იარა და ათ დღეზე ადრე ჩავიდა მულაზანზარში, სადაც ნურადინ-ფრიდონმა იგი ძმად მიიღო:

*„მოეხვივნეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰრიდონ;*

*თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონ“* (997: 1, 2)

მულაზანზარი ზეიმით შეხვდა ტარიელის ძმადნაფიცს. რაინდებმა ერთად დაჰყვეს რამდენიმე დღე, ერთმანეთს გაუზიარეს, გაანდეს გულის ნადები. მათი აზრები ტარიელს და ნესტან-დარეჯანს დასტრიალებდნენ.

ბოლოს ავთანდილი წასასვლელად მოემზადა. მას ძმადნაფიცისთვის სიტყვა ჰქონდა მიცემული და დროს ვერ დაკარგავდა, ამიტომ მოუბოდიშა ნურადინ-ფრიდონს და სთხოვა, ეჩვენებინა წასვლის წინ ის ადგილი, სადაც მან ნესტან-დარეჯანი ნახა:

*„დგომა მე ზავრისა ცთომაა, კარგსა იქმს, თავსა სწვრთიდესა;*

*სადა გინახავს იგი მზე, წამომყევ ზღვისა კიდესა“.* (1025: 3, 4)

მოყმებმა „ქალაქი განვლეს, მივიდეს პირსა დიდისა ზღვისასა“. „დიდი ზღვა“, სავარაუდოდ ინდოეთის ოკეანე უნდა იყოს. ფრიდონმა ავთანდილს უთხრა:

*„აქ მათ ზანგთა მონათა მზე მოიყვანეს ნავითა“* (1032: 1)

*„...შორს მნახეს, ადრე გამექცეს, ნავი მფრინველე ჩნდა ვითა“.* (1032: 4)

მულაზანზარში ვიზიტის შემდეგ ავთანდილს წინ ელოდება ახალი თავადასავალი, წინააღმდეგობები. მათ არაბი რაინდი წარმატებით გადალახავს და ნესტან-დარეჯანის კვალს დაადგება.

პოემის დასასრულს ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ქაჯთა ტყვეობიდან იხსნიან ნესტან-დარეჯანს. ტარიელი ზღვათა მეფეს უგზავნის მახარობელს და გმირები ზღვათა სამეფოსკენ იღებენ გეზს.

ტარიელი მეფეს უთვლის, რომ მან დაიჭიროს ქაჯთა ციხე და მეციხოვნენი ჩააყენოს. „ქაჯეთით მომყავს ჩემი მზე, ჩემი ლახვართა მსობელი; მწადია გნახნე პატვიით, ვითა მამა და მშობელი“ - წერს ინდოთ მეფე ზღვათა ხელმწიფეს. ამასთანავე სთხოვს შეხვდეს ქაჯთა ქვეყნის საზღვართან და თან იახლოს, უსენის თანხმობით, მისი ცოლი და ნესტან-დარეჯანის დობილი, ფატმანი.

ზღვათა მეფემ, როგორც კი მიიღო ინდოთ მეფის, ტარიელის გზავნილი, მაშინვე ამალით გაემშურა ქაჯთა სამეფოს საზღვრისკენ და თან ფატმანი იახლა. დიდი გზა

ჰქონდათ გასავლელი. ათი დღე მოუძინენ ადგილზე მისვლას. შევჩერდები აქ და ვიტყვი, რომ ვეფხისტყაოსანში ხშირად არის მითითებული ქვეყნებსა და ქალაქებს შორის მანძილები და შიგადაშიგ, მიმართულებებიც. შემდეგ, პოემის ტექსტის მიხედვით, საუბარია ქორწილზე, რომელსაც ზღვათა მეფე იხდის თავის სამეფოში და იგი შვიდი დღე გრძელდება. ქორწილი გრძელდება ასევე მულლაზანზარშიც. მანამდე ზღვათა ხელმწიფე გასამგზავრებლად ხომალდს აძლევს პოემის გმირებს. აქ ტექსტში არ არის მითითებული რამდენი ხანი დაჰყვეს ამჯერად ჩვენმა გმირებმა გემზე, მაგრამ ნათქვამია, რომ არაერთი ზღვა გადალახეს: „*გამოვლნეს ზღვანი სამთავე ერთგან ძმად შენაფიცართა*“ (1456: 1) კვითხულობთ ტექსტში, რაც მიუთითებს მათ მიერ დიდი, მრავალდღიანი მანძილის დაფარვას.

მულლაზანზარი ჩასულებს დიდი სიხარულითა და ზეიმით შეეგება. ნესტანდარეჯანისა და ტარიელის ქორწილი, რომელიც რვა დღე გრძელდებოდა, საყოველთაო დღესასწაულად იქცა:

*„მივიდეს, სადა ქალაქი დიდი მულლაზანზარია,  
სცემდეს ბუკსა და ტაბლავსა, გახდა ზათქი და ზარია“. (1468: 1, 2)*  
*„...გარდახდეს ფრიდონისასა, სრა ნახეს მოსაწონები,  
გამოეგება მრავალი ოქროს სარტყლითა მონები“. (1470: 1, 2)*

ამის შემდეგ გმირები, ტარიელის დაჟინებული მოთხოვნით, მიემართებიან არაბთა სამეფოსკენ, სადაც ავთანდილს სატრფო ელოდება. პოემაში ამაღელვებლად არის გადმოცემული ერთი მხრივ, ავთანდილის შეხვედრა როსტევან არაბთა მეფესთან, ხოლო მეორე მხრივ, მნათობთა სადარ თინათინთან.

მულლაზანზარიდან როსტევანის სამეფომდე ისევ დიდ მანძილს გადიან პოემის გმირები: „*მიჰხედეს არაბთა საზღვარსა, რა ვლეს მრავალი ხანები*“ - წერს პოეტი. აქაც, სავარაუდოდ, რამდენიმე დღე უნდა ყოფილიყვნენ გზაში. ქორწილი არაბეთში ერთი თვე გაგრძელდა და ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ადასტურებს, რომ დრო და სივრცე ერთერთი საინტერესო საკითხია „ვეფხისტყაოსანში“. პოემის გმირები დიდ მანძილებს გადიან, გზაში დიდხანს არიან, მოგზაურობენ ზღვაზე და ხმელეთზე. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია მულლაზანზარის ადგილსამყოფელი, რომლის დადგენაში დაგვეხმარება ამ სიტყვის ეტიმოლოგია. უწინარეს ყოვლისა განვიხილავ სხვადასხვა ვერსიებს.

1902 წელს ნიკო მარმა მეხოტბეთა პოეზიისადმი მიძღვნილ ნაშრომს დაურთო ლექსიკონი, სადაც შემდეგნაირად არის განმარტებული *მულლაზარი*: “(прс. مغزار) ბაღნარი “*луг*”, “*лужайка*”, “*цѣтникъ*” I, 10, 2; *მურლაზარობა* - “*быть лужайкой*”, “*цѣтником*” X, 10, 3. (Март, 1902: 1, 10, 2, რნწ). ნ. მარის გამოცემულ „თამარიანის“ ტექსტში კვითხულობთ:

*„ლაწვი მწყაზარი -  
ა მულლაზარი!  
უგავს ელო-ბა  
კრონოს ციერსა“ (Март, 1902: 1, 10, 2, რნწ).*  
ამავე ტექსტში ფიქსირდება აგრეთვე „*მულლაზარობა*“:  
*„მნათო-ვლითა:  
მანათო-ვლითა*

ლანქემულაზარო-ბს

იგ გამლეზარე“ (Mapp, 1902: X, 10, 3, რიფ).

მულაზანზარი დამოწმებული აქვს ნიკო მარს აგრეთვე იმ ლექსიკონში, სადაც „ვისრამიანის“, „ამირანდარეჯიანის“, „რუსუდანიანის“ და „დიდარიანის“ იშვიათი სიტყვებია წარმოდგენილი. ეს ლექსიკონი მეცნიერმა დაურთო ცნობილ ნაშრომს *“Вопросы Вепхисткаосани и Висрамиани”*: მულაზანზარი = მულაზარი مرز , “поле”, მინდორი, “лу”; Rs., IX, 6: „*შმა მისი მულაზანზარში იადონის ყივილსა უამე არი*“ (Mapp, 1966: 201).

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 1966 წელს თბილისში გამოცემული ხსენებული ნაშრომი შეიცავს ნიკო მარის 1887-1917 წლების საარქივო მასალებს და იგი გამოცემულია პროფ. ი. მეგრელიძის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

მულაზანზარი გვხვდება „შაჰ-ნამეში“: 1934 წლის საიუბილეო გამოცემას დართული აქვს პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი, სადაც მულაზანზარი განმარტებულია, როგორც ფრინველებით გამორჩეული ადგილი: „*მულაზანზარი 3202 დ: 3214 ბ; 4193 დ: სპ. مرز م مურღზარ დად. ვარ. მულაზარი უფრო სწორია. სპ. مرز م მურღ. ფრინველი და ا ج اზი. აქედანაა მურღა-ზარ-ი ფრინველით მდიდარი ადგილი, ფრინველოვანი, ე.ი. ბალი* (ფირდოუსი, 1934: 600):

*„მე ბეჟან მქვია სახელად, მოვალ ქიშვარდის გვარისა,  
არმავანს ტახნი დავსოცენ, უმუხთლე უზებარისა;  
აქ ყოფა მესმა თამაშად ტან-სარო, პირად მთვარისა,  
და ნახვა მომინდა, წამოველ, ტურფისა მულაზარისა“.*

(ფირდოუსი, 1934: 600, სტროფი № 4193)

მულაზანზარი წარმოდგენილია „შაჰ-ნამეს“ ადრინდელ გამოცემაში. ტექსტი გამოსცა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ:

*„ბანოვანთ თავთა სიტურფით ვერ აქებს ბრძენთა ენანი:  
ტანად აზატნი სურათნი და თვალად მზისა შუენანი,  
მსგავსი სამოთხის ყვავილთა მულაზანზარისა მფენანი,  
და ვარდი კოკობი უპრჩვენედი, უკუნის გამათენანი“.*

(აბულაძე, 1916: 57, სტროფი 177, 3)

*„ესენი ვარდის საკრეფად მულაზანზარს იარებიან“.*

(აბულაძე, 1916: 359, სტროფი 1310, 3)

*„მთა სუმბულითა ყაყაჩობს და ველნი მულაზანზარისა“.*

(აბულაძე, 1916: 572, სტროფი 2116, 4)

აღნიშნული გამოცემის თანმხლებ ლექსიკონში მულაზანზარი განმარტებულია, როგორც ბალი, ფრინველთა ადგილი: „*სპ. مرز م - მურღზარ - ბალი, ფრინველით მდიდარი ადგილი; დადიანის ვარიანტით, „მულაზანზარი“, უფრო სწორია*“ (აბულაძე, 1916: 817). სარგის კაკაბაძის რედაქტორობით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია მულაზანზარის შემდეგი განმარტება: „*ქართულ ნიადაგზე გადაკეთებული სპარს. მურღაზარ - შაჰრ - მცირე კორდის ქალაქი*“ (კაკაბაძე, 1926: 210).

მულაზანზარის ეტიმოლოგიის დადგენას შეეცადა ჰ. ბეილი, რომლის სტატია დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში. მეცნიერმა სიტყვაში გამოყო სამი კომპონენტი. ესენია:

1. ძირეული მორფემა *მურღ* > ქართ. *მულღ*.

2. სუფიქსი -ზან < ჩან < ჩანა.

3. სუფიქსი -ზარ < ჩარ < ჩარა.

სიტყვის ფუძეა *მურგაზან* (ქართ. *მულღ ზან*). მნიშვნელობა - „მინდორი“, „ნათესი“, „სამოვარი“ (ბეილი, 1989: 58).

აღნიშნულ სტატიაში მეცნიერის მიერ მითითებულია სპარსულში *მარღ-ზარ* - „ბალახოვანი ადგილი“, „მდელო“. ჰ. ბეილი იმოწმებს მარჯორი უორდროპს, რომლის განმარტებით სპარსული „*მარგა*“-ს მნიშვნელობაა „სიმწვანე“, „ბალახი“, „მდელო“, ხოლო *ზან* - კომპოზიტის მეორე კომპონენტი „მცირეს“ უნდა აღნიშნავდეს (ბეილი, 1989: 56).

ნიშანდობლივია ბუდისტურ და მანიქურ სოლდურში *მრღ* ძირის არსებობა. ახალ სოლდურში გვაქვს *მარღ*, ხოლო ზოროასტრიულ ფალაურში *მღვ - მურვ*. ჰ. ბეილი გამოყოფს ავესტურში სიტყვას *მგრგვა*, რომლის მნიშვნელობაა „ფრინველი, ჩიტი“. შემდეგ ხაზგასმულია ანალოგიური კონსონანტური შედგენილობის სიტყვები, კერძოდ ტურფანის სპარსულში *მურვ*, პართულში *მურღ*, ახ. სპარსული *მურღ*, აგრეთვე პართულიდან მომდინარე სომხური ფორმა *მარგ*, სირიული *მრგ* და არაბული *მარჯ* (ჯ ძველი გ-სთვის) ოსურში მოყვანილია *მარღ* „სამოვრის“ მნიშვნელობით (ბეილი, 1989: 57).

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები მულღაზანზარის ეტიმოლოგიის შესახებ ეყრდნობა ფუძისეულ სპარსულ *მარგას* და გამომდინარეობს ლიტერატურულ წყაროებში დაცული *მულღაზარიდან*, თუმცა მულღაზანზარის სრული გაიგივება *მულღაზართან*, ჩემი აზრით, მოითხოვს დაზუსტებას.

დავიწყოთ იმით, რომ *მულღაზარი (მულღანზარი)* და *მულღაზანზარი* ერთი და იგივე არ არის, არამედ ორი განსხვავებული სიტყვაა.

საერთო ამ ორ სიტყვაში არის *მულღა*, რომელიც სპარსული წარმომავლობისაა (*მარგა*) და მისი მნიშვნელობაა „მდელო“, „კორდი“, „ბაღი“, ანუ სამწვანეში ჩაფლული ადგილი. ამასთანავე, როგორც აღინიშნა, *მურღ* غر სპარსულში ფრინველსაც ნიშნავს და *მურღზარ* مرز შეიძლება ითარგმნოს აგრეთვე როგორც ფრინველებით მდიდარი, სავსე ადგილი. ნიკო მარის მიერ მულღაზარის დაკავშირება მდელოსთან, მწვანე მინდორთან, ჩემი აზრით, სავსებით მართებულია. რაც შეეხება *მულღაზანზარს*, აქაც *მულღა* მდელო, ანუ სიმწვანეა. სიტყვის შემდეგი შემადგენელი ელემენტი, ჩემი აზრით, განსხვავებით გაგრძელებული ეტიმოლოგიებისა, უნდა იყოს არაბული *ზინჯ//ზანჯ* (შდრ. *ზანგი*) - زنج . *ზინჯ//ზანჯ* > *ზანზ*. ფონეტიკურად დასაშვებია ჯ-ს ჩანაცვლება ზ-თი. *მულღაზანზარის* მესამე შემადგენელი ელემენტი არაბული - (ზ)არ. აქ ზ თანხმოვანი ჩავარდნილია. იგი შემოკლებული ფორმაა არაბული სიტყვისა - *ბარრ* ( بر ), რაც ნიშნავს ხმელეთს, მიწას. თანხმოვან ზ-ს ჩავარდნა სამ კომპონენტთან სიტყვაში დასაშვებია.

არაბული „*ბარრ*“-ის (ხმელეთი بر ) არსებობა მულღაზანზარში გარკვეულ ანალოგიას პოულობს აღმოსავლეთ აფრიკაში არსებული ქვეყნის, ზანზიბარის სახელწოდებასთან. ზანზიბარი ორი კომპონენტისგან შედგება: *ზანზი* - ბარ ( زنجار ). პირველი (*ზანზი* زنج ) იგივეა, რაც მულღაზანზარში არსებული „*ზანზ*“ და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეთნიკურობის გამომხატველ არაბულ *ზინჯს* ( زنج ) უკავშირდება. ზანზიბარის მეორე კომპონენტში (*ბარ* < არაბ. *barr* بر ) ზ შენარჩუნებულია. ამგვარად

ზანზიბარი არაბული წარმომავლობის, შეიძლება ითქვას, სპარსულ-არაბული სიტყვაა და ნიშნავს „ზინჯების მიწას“ ანუ „ზინჯების ქვეყანას“. აღსანიშნავია, რომ წერილობითი ტრადიციის თანახმად „ზანზიბარი“ არაბულად იწერება, როგორც „ზანჯიბარ“ (zanġibār - زانجبار). ასეა იგი წარმოდგენილი ლექსიკონებში.

ქართული *მულა-ზანზ-არ* (< არაბ. სპარს. مرغانزار ) შეიძლება ითარგმნოს, როგორც „სიმწვანეში ჩაფლული (მწვანე) ზინჯების მიწა, ანუ ქვეყანა“. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, ფრიდონის სამეფო ზინჯების ქვეყნად წარმოგვიდგება და მისი ადგილმდებარეობა აფრიკის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში უნდა იყოს, როგორც ამას ვარაუდობს ცნობილი გეოგრაფი, „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარი ასტრონომიისა და გეოგრაფიის კუთხით, პროფ. ლევან მარუაშვილი. მეცნიერმა სცადა დაედგინა „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები ქვეყნებისა და ქალაქების ადგილმდებარეობა პოემის გმირების ხმელეთითა და ზღვით გადაადგილების მიხედვით, აგრეთვე გეოგრაფიული და დასახლებული პუნქტების, ქალაქების დახასიათების, ბუნების აღწერის, ბუნებრივი მოვლენების გათვალისწინებით. მულაზანზართან მიმართებით ლ. მარუაშვილი წერს, რომ ეს ქალაქი „შეესაბამება ირანელების (კერძოდ შირაზელების) მიერ აფრიკის აღმოსავლურ სანაპიროზე X საუკუნეში დაარსებულ ერთ-ერთ ქალაქთაგანს, უფრო ზუსტად, კილვას, რომელიც განვითარებულ შუა საუკუნეებში ზინჯთა სამეფოს დედაქალაქად ითვლებოდა“ (მარუაშვილი, 2012: 80).

ზინჯთა ქვეყანა (არაბულად - bilād al-zanġ بلاد الزانج ) ისტორიულად მოიაზრება სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში. ის 303/916 წელს მოინახულა არაბმა მოგზაურმა აღმასყდომ და დაგვიტოვა აღმოსავლეთ აფრიკაში ადრეული შუა საუკუნეებიდან გამორჩეული ამ ქვეყნის აღწერილობა (The Encyclopaedia of Islam, 2002: 445). სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის სანაპირო ცნობილია აგრეთვე როგორც სუაჰილის სანაპირო და აფრიკული ტომის, ბანტუს საცხოვრისი. აქვეა განთავსებული ზანზიბარის არქიპელაგი, რომლის ეტიმოლოგიაზე ზემოთ ვისაუბრე და იგი დაკავშირებულია ზინჯ-თან. ზინჯებს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ არაბებთან, ირანელებთან და ინდოელებთან. აქ თავს იყრიდნენ არაბულ, სპარსულ, ინდურ ენებზე და ბანტუსზე მოლაპარაკე მოგზაურები, ვაჭრები. რუსთველის ეპოქაში ხსენებული გეოგრაფიული რეგიონი შეადგენდა ისლამური სამყაროს ნაწილს და იგი ცნობილი იყო გარე სამყაროსთვის. აღნიშნულ პერიოდში არაბული-ისლამური სამყარო იყო ერთგვარი თავისუფალი ეკონომიკურ-პოლიტიკური ზონა, სადაც ადამიანები გადაადგილდებოდნენ დაუბრკოლებლად. აქედან გამომდინარე, დასაშვებია რუსთველის მიერ აღმოსავლეთ აფრიკის სანაპირო ზოლში მულაზანზარის ლოკალიზება, რომლის დასტური შეიძლება იყოს მულაზანზარის ჩვენეული ეტიმოლოგია (*მულა - ზანზი (ზანჯ)-(ი) - (შ)არ*). აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენგან განსხვავებით, ლ. მარუაშვილი მულაზანზარში ასახელებს ორ ელემენტს. ესენია „მულ“ და „ზანზიბარ“. პირველ ელემენტს მეცნიერი ხსნის ფრანგი ორიენტალისტის, გაბრიელ ფერანის ცნობაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც „მულ“ „არაბულად ეწოდებოდა აფრიკის კონტინენტის სანაპირო ზოლს“ (მარუაშვილი, 2012: 84). ამრიგად, მეცნიერი გვთავაზობს ეტიმოლოგიას - „მულ ვა ზანზიბარ“ (არაბულად „აფრიკის სანაპირო და ზანზიბარი“) (მარუაშვილი, 2012: 84). მოყვანილი მსჯელობა, ჩემი აზრით, შეიცავს ბუნდოვანებას, ვინაიდან, ერთი მხრივ, აღმოსავლეთ აფრიკის არაბული წარმომავლობის სახელი არის, უწინარეს ყოვლისა, სუაჰილი (მდრ. არაბ. sawāhīlī سواحلي

; „სანაპირო“ > *suahili* და არა „მულ“, ხოლო მეორე მხრივ, **ზანზიბარი**, როგორც მულაზანზარის შემადგენელი, თავის მხრივ იშლება ორ ელემენტად: არაბ. *ზანჯ/ზენჯ*, ირან. *گنج* „ზინჯები“, „ზანგები“ და არაბ. *ბარ* ب: „ხმელეთი“, რაც, ჩემი აზრით, უნდა იყოს გათვალისწინებული მულაზანზარის ეტიმოლოგიის დადგენის დროს.

მულაზანზარის სამეფოს ადგილმდებარეობის დადგენას ლ. მარუაშვილის გარდა შეეცადა აგრეთვე რამდენიმე მკვლევარი. მათ შორის გამოვყოფ ა. სვანიძეს, რომელმაც მულაზანზარი ტრაპიზონთან დააკავშირა (სვანიძე, 1934: 16). ტრაპიზონი რუსთველის დროს მნიშვნელოვანი ქალაქი-სახელმწიფო იყო. მისი დაარსება და აღზევება თამარ მეფეს უკავშირდება. ზღვისპირა ქალაქი სავაჭრო გარიგებებისა და მოგზაურთა თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. განსაკუთრებით ინტენსიური იყო ურთიერთობა ვენეციასთან. ვენეციელებსა და ტრაპიზონელებს სავაჭრო ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული, რაზეც მიუთითებს ა. სვანიძე (სვანიძე, 1934: 16). მეცნიერის აზრით „*მულაზანზარის საბადლო სამეფო ტრაპიზონის სამეფო „უნდა ყოფილიყო“*“ (სვანიძე, 1934: 16). ა. სვანიძე თავის ნაშრომში მულაზანზარის ლოკალიზების საკითხს ეხება მხოლოდ. იგი სიტყვის ეტიმოლოგიას არ განიხილავს. რაც შეეხება ქალაქის ადგილმდებარეობას, მეცნიერის მიერ მისი ტრაპიზონთან დაკავშირება განპირობებულია იმით, რომ „*მულაზანზარის ქალაქი და სამეფო თურქების მოსაზღვრეა და, მაშასადამე, აზიაში მდებარეობს, რადგან თურქები ამ დროს ჯერ არ იყვნენ ევროპაში გადასული*“ (სვანიძე, 1934: 15). ეს ფაქტი მოჰყავს ა. სვანიძეს ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად, როცა მულაზანზარს ტრაპიზონს უკავშირებს.

მოყვანილი გეოგრაფიული შეფასებებიდან მულაზანზარის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით სარწმუნოდ უფრო მიმაჩნია პროფ. ლ. მარუაშვილის მიერ მისი ლოკალიზება აღმოსავლეთ აფრიკის სანაპირო ზოლში თანამედროვე ტანზანიისა და ზანზიბარის მიდამოებში. **არ შევუდგები იმის მტკიცებას, რომ მულაზანზარი იგივეა რაც ზანზიბარი, მაგრამ ეტიმოლოგიური შემადგენელი, ნაწილობრივ, ჩემი აზრით, ორივესთვის საერთოა.**

ორიოდე სიტყვით შევჩერდები ზანზიბარზე: ზანზიბარი არაბულად არის *ზანჯიბარი* (زنجبار). სუაჰილის ენაზე იგი წარმოითქმის, როგორც *ზანზიბარ* (*zanzibar*). ზანზიბარი წარმოადგენს ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის ნახევრად-ავტონომიურ ნაწილს. იგი მდებარეობს აღმოსავლეთ აფრიკაში, ინდოეთის ოკეანეში, მატერიკიდან 25 კილომეტრზე, შედგება ზანზიბარის არქიპელაგისგან. ზანზიბარს ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აღმოსავლეთ აფრიკაში. იგი იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. აქ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ არაბები, აფრიკელები, შირაზელი ირანელები. ეს უკანასკნელნი მეთავე საუკუნეში ჩავიდნენ ზანზიბარში შირაზიდან და დამკვიდრდნენ კუნძულზე. მეთავე საუკუნეში შირაზელებმა ზანზიბარზე ააშენეს დიდი მეჩეთი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კუნძულზე ისლამის გავრცელებაში. ზანზიბარი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა მოგზა-ურთათვის მიმზიდველ ადგილს. მასზე გადიოდა სავაჭრო გზა, ამიტომ რეგულარულად სტუმრობდნენ ინდოელი, არაბი, სპარსი, აფრიკელი ვაჭრები. გავიხსენოთ, როგორ ახასიათებს ფრიდონი თავის სატახტო ქალაქს: „*ესე ქალაქი გზა არის ნავთა, ყოველგნით მავალთა, შემომკრებელი ამბავთა უცხოთა რათმე მრავალთა*“. საერთოდ, აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროს ოდითგან ბილდ აღ-ზინჯ ანუ ზინჯების ქვეყანა ერქვა. ქართული ზანგიც

ზანჯი/ზინჯიდან მომდინარეობს. სახელწოდებაში „ზანზიბარ“ ხაზგასმულია, რომ კუნძული წარმოადგენს ზინჯებით დასახლებულ მიწას (ხმელეთს). რაც შეეხება მულღაზანზარში პირველ კომპონენტად სპარსული *მულღას* (< *მარგ*) არსებობას, ეს შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ აღმოსავლეთ აფრიკის სანაპირო ზოლი და კერძოდ, ზანზიბარი მეათე საუკუნიდან არაბების გარდა შირაზელებით იყო დასახლებული. შესაბამისად, მულღაზანზარში პირველ კომპონენტად სპარსული *მულღას* („მინდორი“) და შემდგომ წევრებად არაბულ/სპარსულ *ზინჯის/ზანგის* და არაბული *(ბ)-არ(რ)-ის* არსებობა დასაშვებად შეიძლება მივიჩნიოთ. მითუმეტეს, ზღვაში კუნძული ხმელეთად აღიქმება და ბუნებრივია მისი ამ სახით მოხსენიება.

ამგვარად, სარწმუნოდ მიმაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მულღაზანზარი შეიძლება მომდინარეობდეს სამკომპონენტო სიტყვიდან *მულღა-ზანზ(ი)-(\*ბ)არ(\*რ)* ( مرغز انزار ) < *მურღა-ზანჯი-ბარ(\*რ)* ( مرغزنجبار ). იგი ითარგმნება, როგორც სიმწვანეში ჩაფლული ზინჯების ქვეყანა.

**Guram Chikovani**

*Free University of Tbilisi*

## “MULGHAZANZAR” IN “THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN”

In Shota Rustaveli’s poem “The Knight in the Panther’s Skin”, several cities are mentioned. These are Gulansharo, Tariel’s City, Avtandil’s City, Rostevan’s City, The City of the Kadjes, and Mulghazanzar. Numerous opinions have been expressed in the special literature about Gulansharo and Mulghazanzar.

Mulghazanzar is a prosperous city, a connecting point between the land and the sea – a crossroads and gathering place for merchants, sailors, and travelers.

According to the poem’s text, Avtandil spent seventy days on the road before reaching the borders of Nuradin-Pridon’s kingdom. The knight mounted on horseback was riding along the seashore when he noticed the boatmen in the middle of the sea, waited for them, and asked the way to Mulghazanzar. They reported that Nuradin-Pridon was the king of their country.

Avtandil rejoiced that he had finally reached Nuradin-Pridon’s domains and asked the boatmen for the distance to the capital city, i.e., Mulghazanzar.

Then, according to the text, we learn that the boatmen were leading Avtandil, not moving away from him and showing the way.

From the kingdom’s borders, it took Avtandil mounted on horseback another ten days to reach Mulghazanzar. We are talking about the very long distances, if not thousands, hundreds of kilometers. Measuring distance using time was general and acceptable in the ancient East.



When Avtandil took leave of the boatmen, he hurried away and arrived at Mulghazanzar ten days earlier, where Nuradin-Pridon received him as a brother.

Mulghazanzar met Tariel's sworn brother in triumph. The knights spent a few days together.

At last, Avtandil was getting ready to leave. He apologized to Nuradin-Pridon and asked him to show before leaving the place where he had seen Nestan-Darejan.

The brave warriors passed through the city, coming to the mouth of the great sea. The great sea is supposed to be the Indian Ocean.

After the visit to Mulghazanzar, new adventures and obstacles awaited Avtandil. The Arab knight successfully overcame all of them and hit the trail of Nestan-Darejan.

Time and space represent one of the most interesting and significant issues in "The Knight in the Panther's Skin". The heroes of the poem are overcoming great distances, staying on their way for a long time, and traveling by sea and land. In such a situation, the location of Mulghazanzar is important, which, in my opinion, can be established by the etymology of this word.

Niko Marr connects Mulghazanzar with the Persian *mulghazar* (مرغزار), one of the meanings of which is "green field". This word is defined by Iustine Abuladze as "a place distinguished by birds" (*murgh* – "bird" and *zar* – Georgian suffix *-ovani*, expressing belonging). The following explanation of Mulghazanzar is given in "The Knight in the Panther's Skin" edited by Sargis Kakabadze: "adapted on the Georgian ground the Persian *murghazar* - *shahr* – "small greensward city". H. W. Bailey singled out three components in the word: 1. the root morpheme *murg* > Georgian *mulgh*; 2. the suffix – *zan* < *chan* < *chana*; 3. the suffix – *zar* < *char* < *chara*. Bailey cites Marjory Wardrop, who explains the meaning of the Persian word *marga* for "green", "grass", "meadow", and *zan* – the second component of the composite, should mean "small". The above considerations are based on the Persian *marga* and are derived from *mulghazar*, preserved in literary sources.

In my opinion, the complete identification of Mulghazanzar with *mulghazar* requires clarification because here, we have two different words. Common among them is *mulgha* (*marga*), of Persian origin. The following constituent elements of the word, in contrast to the common etymologies, must be the Arabic *zinj/zanj* (زنج): *zinj* > *zanz*. Phonetically it is possible to replace "j" (ǧ) with "z" (cf. country name – Zanzibar < *zanǧi bar(r)*). The third component of Mulghazanzar is Arabic "(b)ar". I think the consonant "b" has dropped out here. It is a shortened form of the Arabic word *barr* (بر), meaning "land", "ground", "earth". The dropping of the consonant "b" is allowed in a three-component word: *mulgha* - *zanz* - *ar* < *mulgha* - *zanj* - (b)ar.

Thus, Mulghazanzar of "The Knight in the Panther's Skin" can be translated as "the land, i.e., country of the Zinjes, drowning in the greenery (green)". If this is the case, then Pridon's kingdom represents the country of Zinjes, and its location must be assumed on the east coast of Africa. It is noteworthy that the geographer Levan Maruashvili, who according to the text of the poem studied the distances and movement of the poem's heroes by land and sea, associated Mulghazanzar with the city of Kilwa, founded by the Shirazi people on the east coast of Africa in the tenth century. This city was considered the capital of the Zanj kingdom in the Middle Ages.

## გამოყენებული ლიტერატურა - References:

1. აბულაძე, იუსტ. *შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები*. ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ძველი ქართული მწერლობა. ტომი I. თბილისი: სტამბა „ქართლი“, 1916.
2. ბელი, ჰ. ვ. “მულაზანზარი”, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია*, 4, 1989: 56-58.
3. კაკაბაძე, ს. „ვეფხისტყაოსანი“ *სარგის კაკაბაძის რედაქტორობით. გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი*. ტფილისი: ს.ს.მ. უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, 1926.
4. მარუაშვილი, ლ. *სამყაროს ასახვა „ვეფხისტყაოსანში“*. შოთა რუსთაველის ასტრონომიული და გეოგრაფიული ცოდნა. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი: დაიბეჭდა ი.მ. ნათია ტორაძის მიერ, 2012.
5. სვანიძე, ა. *ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-გეოგრაფიული სარჩული*. თბილისი: სახელგამი, 1934.
6. ფირდოუსი, აბუ-ლ-ყასიმ. *შაჰ ნამე, ქართული ვერსიები*. ტომი II. ტფილისი: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1934.
7. *The Encyclopaedia of Islam*. New Edition Prepared by a Number of Leading Orientalists, edited by P.J. Bearman, Th. Bianquis, G.E. Bosworth, E. van Donzel and W.P. Heinrichs under the patronage of the International Union of Academies, Vol. XI, W-Z. Leiden: Brill, 2002.
8. Март, Н. *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, книга 4-ая: Древне-грузинские описцы (XII в.), I. Певец Давида Строителя, II. Певец Тамары*. Грузинский текст издал и словарём снабдил Н. Март. С. Петербург: тип. В.Ф. Киршбаума, 1902.
9. Март, Н. *Вопросы Вепхисткаосани и Висрамиани*. Тбилиси: Мецниереба, 1966.

## başıaçık-ის ტიპის კომპოზიტები თურქულში

ნებისმიერ ენაში უნივერსალურია სიტყვათშეერთებათა სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელი და იგი ორგანზომილებიანია. ერთი გულისხმობს აგებულებას, კერძოდ, რთული სიტყვა, როგორც სტრუქტურა, ორი ან მეტი ფუძის შეკავშირებაა სხვადასხვა მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალებებით, რის შედეგადაც დგინდება თხზულ სიტყვათა ფორმალური ჯგუფები. კომპონენტა მნიშვნელობებიდან გამომდინარე კი გამოიყოფა ერთცნობიანი ან ორ- და მეტცნობიანი სახელები, რაც მიიღება ფუძეთა მნიშვნელობების გამთლიანების გზით ან კომპონენტა მნიშვნელობების თავმოყრით.

სალიტერატურო თურქულ ენაში სიტყვათთხზვის ბევრი ქმედითი მოდელია. ესაა ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, სხვადასხვა ფუძეთაგან შედგენილი რთული სიტყვები, შერთმული შესიტყვებანი, m-დუბლეტები და სხვ. ამ პროცესში გამოიყენება აგრეთვე იზაფეტური კონსტრუქცია, რაც თურქული ენის (არამხოლოდ ანატოლიური თურქულის) უდავოდ მნიშვნელოვანი და სპეციფიკური მახასიათებელია. მორფოსინტაქსური ნიშნების მიხედვით გამოკვეთილია პირველი, მეორე და მესამე იზაფეტის სტრუქტურები. ამათგან პირველი იზაფეტის შემთხვევაში არსებითი სახელები, ფაქტობრივად, მირთვით არის მარკირებული, მეორე იზაფეტის კონსტრუქციაში ფიგურირებს მართვა, ხოლო მესამე იზაფეტის სტრუქტურა შეთანხმების წესებით ფორმდება.

სიტყვათთხზვის სეგმენტში გვხვდება ე.წ. ერთშემადგენლიანი იზაფეტით წარმოებული ნაირგვარი რთული სიტყვები. ერთშემადგენლიანი იზაფეტით თურქულში განიხილება სიტყვის ისეთი ფორმა, რომელშიც ფიგურირებს III პირის კუთვნილებითი აფიქსი და რომლის წარმოთქმაც აღძრავს ამ სიტყვისათვის მსაზღვრელი წევრის არსებობის ასოციაციას, უფრო სწორედ იმას, რომ იგი (მსაზღვრელი წევრი) პოტენციურად იგულისხმება (მაგ. bazı 'ზოგიერთი მისი' – ეს სიტყვა გულისხმობს წინამავალ კომპონენტად მისთვის აუცილებელ წევრს, ვთქვათ, onların-ს 'მათი' (სარიშვილი, 1984:172).

წინამდებარე წერილში განვიხილავთ შედგენილ სიტყვათა ერთ ტიპს, რომლის პირველი კომპონენტი სხეულის ნაწილის ან შინაგანი ორგანოს აღმნიშვნელი ლექსემაა, ხოლო მომდევნო წევრი კი მისი როგორობის მაჩვენებელი ზედსართავი სახელია (ერთი-ორჯერ ამ უკანასკნელის ფუნქციით არსებითი სახელიც შეგვხვდა – başıkabak, ağzı kalabalık, რიცხვითი სახელიც და მიმღეობაც – ağzı bir ).

ასეთი ტიპის რთული სიტყვა გამონაკლისის გარეშე იდიომატურია და თავისი სემანტიკით ადამიანის მორალური თვისებების – ღირსებისა და შინაგანი ბუნების (მორალურად ამაღლებულის ან დაცემულის) გამომხატველია (სარიშვილი, 1984: 172).

ამ კონსტრუქტის მოდელი ასეთია:

არსებითი სახელი + III პირის მხ. რიცხვის კუთვნილებითი აფიქსი + ზედსართავი სახელი: el 'ხელი' + i (POSS III P.SING) + dar 'ვიწრო' – 'ხელი მისი ვიწრო'. გადატ. 'ძუნწი, წუწურაქი'.

ფაქტობრივად, შედგენილ სიტყვაფორმათა ამ სახეობაში ატრიბუტული მსაზღვრელი კი არ უსწრებს საზღვრულს, არამედ მოსდევს მას. ანუ თურქულ ენათა გამჭოლი მახასიათებელი – პრეპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრული – არ არის მანიფესტირებული, რაც ატრიბუციის კვალობაზე საერთოდ არაბუნებრივია თურქულისათვის. ჩვენი კვლევის ობიექტი თხზული სიტყვა პოსესიური სიტყვაშეერთების განსაკუთრებული სახეობაა. ესაა ენობრივ ერთეულთა თურქულ ენათათვის დამახასიათებელი მორფოსინტაქსური წარმონაქმნი, რომელიც ფაქტიურად სიტყვაფორმათა სპეციფიკური რიგის მქონე წინადადებაა. ტიპური მსაზღვრელ – საზღვრულია güzel kadın 'ლამაზი ქალი', თუ რიგს შევაბრუნებთ – Kadın güzel – ვიღებთ მარტივ წინადადებას: პირველი სიტყვით Kadın გადმოიცა ქვემდებარე, ხოლო მეორე წევრი არის შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი güzel, რასაც ერთვის ფონეტიკურად ცარიელი მორფემით გადმოცემული კოპულა: Kadın güzel 'ქალი ლამაზია'. ამას შევუთანადეთ განსახილველი სიტყვები, რომელთა პირველი კომპონენტი ზემოთ განხილული ერთწევრიანი იზაფეტის ფარდია (ანუ ქვემდებარეა), ხოლო შედგენილი შემასმენელი მხოლოდ სახელადი ნაწილით არის რეპრეზენტირებული.

სიტყვაფორმები ამოვკრიბეთ თურქული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან (Türkçe Sözlük 2011) და თურქულ-ქართული ლექსიკონიდან (Türkçe- Gürcüce Sözlük 2001).

ამ სიტყვების მართლწერის საკითხი – ერთად თუ ცალ-ცალკე – არ არის მოგვარებული.

### **ağız 'პირი':**

ağzı açık – პირი მისი ღია (ა). გადატ. დაბნეული, გულუბრყვილო; პირდაღებული

ağzı bir – პირი მისი ერთი(ა). გადატ. დათანხმებული

ağzı boş – პირი მისი ცარიელი(ა). გადატ. ყბედი

ağzı bozuk – პირი მისი მოშლილი(ა). გადატ. ავცია

ağzı büyük – პირი მისი დიდი(ა). გადატ. ტრაბახა, ამპარტავანი

ağzı çelikli – პირი მისი ფოლადიანი(ა). გადატ. ყბადაულლეელი, ყბაგაუცვეთელი

ağzı dualı – პირი მისი დალოცვილი(ა). გადატ. მლოცველი

ağzı gevşek – პირი მისი მოშვეებული(ა). გადატ. საიდულოს არშემნახველი; ყბედი, ლაქლაქა

ağzı kalabalık – პირი მისი ხალხმრავალი(ა). გადატ. მიეთმოეთი; ენატარტარა, მოლაყბე

ağzı kara – პირი მისი შავი(ა). გადატ. პირშავი, ავცია; ცილისმწამებელი

ağzı kenetli – პირი მისი მაგრად შეკრული(ა). გადატ. საიდუმლოს შემნახავი

ağzı kilitli – პირი მისი კლიტედაღებული(ა). გადატ. 1. საიდუმლოს შემნახავი;

2. მმარხველი

ağzı pek – პირი მისი ძლიერი(ა). გადატ. საიდუმლოებით მოცული

ağzı pis – პირი მისი ბინძური(ა). გადატ. მლანძველი

ağzı sıkı – პირი მისი მაგარი(ა). გადატ. საიდუმლოს შემნახავი

**ayak 'ფეხი'**

ayağı bağı – ფეხი მისი შეკრული(ა). გადატ. არათავისუფალი; გათხოვილი

ayağı uğurlu – ფეხი მისი ბედნიერი(ა). გადატ. ფეხბედნიერი, კარგი ფეხისა

**baldır 'წვივი'**

baldırıcıplak – წვივი მისი შიშველი(ა). გადატ. ხულიგანი; მაწანწალა, გლახაკი, მათხოვარი

baldırıkara – წვივი მისი შავი(ა). (ბოტანიკური ტერმინი) ვენერას თმა, ტყის ქოჩორა

**baş 'თავი'**

başı açık – თავი მისი ღია(ა). გადატ. 1. თავშიშველი; 2. თავზეხელაღებული;

3. აშკარა başı açık yalan აშკარა ტყუილი

başı bağı – თავი მისი შეკრული(ა). გადატ. 1. თავსაბურავიანი; 2. თავისუფალი;

3. ცოლიანი; 4. დანიშნული

başiboş – თავი მისი ცარიელი(ა). დამოუკიდებელი; თავისუფალი; გადატ.

თავაშვებული; თავის ნებაზე მიშვებული

başibozuk – თავი მისი გაფუჭებული(ა). 1. უწესრიგო საზოგადოება;

2. ისტ. ჯარისკაცებში გარეული მეომარი საერო ფენიდან. გადატ. არეული, მოუგვარებელი.

başı bütün – თავი მისი მთელი(ა). გადატ. ის, ვისაც მეუღლე ცოცხალი ჰყავს.

başı devletli – თავი მისი იღბლიანი(ა). გადატ. ბედნიერი

başı dik – თავი მისი შვეული(ა). გადატ. 1. ამაყი; 2. მამაცი

başı dinç – თავი მისი მხნე(ა). გადატ. უმფოთველი, მშვიდი

başı dönük – თავი მისი მობრუნებული(ა). გადატ. ა) თავბრუდახვეული,

ბ) თავგზააბნეული

başı dumanlı – თავი მისი კვამლიანი(ა). გადატ. 1. ნასვამი; 2. შეწუხებული, სევდიანი

başıkabak – თავი მისი ყაბახი(ა). გადატ. 1. ქაჩალი, მელოტი. 2. გადახოტრილი,

გადაპარსული

başı kapalı – თავი მისი დახურული(ა). გადატ. საიდუმლო, იდუმალი

başipek – თავი მისია ძლიერი(ა). ა) ჯიუტი; ბ) ბრიყვი, ტუტუცი

başı sert – თავი მისი მაგარი(ა). გადატ. ჯიუტი, გაუგონარი

başı yumuşak – თავი მისი რბილი(ა). გადატ. მორჩილი

**bel 'წელი'**

beli büyükük – წელი მისი მოხრილი(ა). გადატ. წელმოტეხილი, წელში გატეხილი

beli ince – წელი მისი წვრილი(ა). წელწვრილი

**boyun 'კისერი'**

boynu büyükük – კისერი მისი მოხრილი(ა); გადატ. სევდიანი, ყურებჩამოყრილი

boynueğri – კისერი მისი ქედმოხრილი(ა); დამორჩილებული

**burun 'ცხვირი'**

burnu büyükük – ცხვირი მისი დიდი(ა). გადატ. ცხვირაწეული; ყოყოჩა, ქედმაღალი

burnu keskin – ცხვირი მისი მჭრელი(ა). გადატ. მახვილი ყნოსვის მქონე

### **çene ‘ყბა’**

çenesi düşük – ყბა მისი ჩამოვარდნილი(ა). გადატ. ყბედი, ლაქლაქა, ენაჭარტალა  
çenesi kuvvetli – ყბა მისი ძლიერი. გადატ. ყბედი, ლაქლაქა, ენაჭარტალა

### **dil ‘ენა’**

dili ağır – ენა მისი მძიმე(ა). გადატ. ა) (ლიტ. ნაწარმოების) მძიმე ენა; 2) ენამწარე, ცუდი ენის მქონე

dili bağı – ენა მისი შეკრული(ა). გადატ. სიტყვაძუნწი

dili bozuk – ენა მისი გაფუჭებული(ა). გადატ. უწმაწური

dili tutuk – ენა მისი მოდუნებული(ა). გადატ. ბლუ, ენაჩლუნგი

dili uzun – ენა მისი გრძელი(ა). გადატ. კადნიერი, უტიფარი

dili yatkın – ენა მისი გადახრილი(ა). გადატ. ის, ვინც ადვილად სწავლობს უცხო ენას

dili zifir – ენა მისი ჭუჭყი(ა). გადატ. ენამწარე, ავცია, ყიამყრალი

### **el ‘ხელი’**

eli açık – ხელი მისი ღია(ა). გადატ. ხელგაშლილი, გულუხვი; მოწყალე

eli ağır – ხელი მისი მძიმე(ა). მძიმეხელიანი

eli bol – ხელი მისი უხვი(ა). გადატ. ბარაქიანი; გულუხვი

eli boş – ხელი მისი ცარიელი(ა). გადატ. ხელცარიელი; უსაქმო

eli çabuk – ხელი მისი სწრაფი(ა). გადატ. მარჯვე, ხელმარდი, ხელსწრაფი

eli dar – ხელი მისი ვიწრო(ა). გადატ. ძუნწი, ხელმოჭერილი, ქვაწვია, წუწურაქი

eli düzgün – ხელი მისი სწორი(ა). გადატ. ხელმარჯვე

eli geniş – ხელი მისი ფართო(ა). გადატ. ა) შეძლებული; ბ) ხელგაშლილი

eli hafif – ხელი მისი მსუბუქი(ა). მსუბუქი ხელი (მაგ., ექიმის)

eli mahkum – ხელი მისი გასამართლებული(ა). გადატ. იძულებული

eli selek – ხელი მისი პურადი(ა). გადატ. ხელგაშლილი

eli sıkı – ხელი მისი ვიწრო(ა). გადატ. ხელმოჭერილი, მომჭირნე, ანგარიშიანი

eli uz – ხელი მისი კარგი(ა). გადატ. ხელმარჯვე; თავისი საქმის მცოდნე ოსტატი

eli uzun – ხელი მისი გრძელი(ა). გადატ. ქურდი, ხელმრუდი

### **gönül ‘გული’**

gönlü açık – გული მისი ღია(ა). გადატ. მხიარული, გულღია

gönlü alçak – გული მისი დაბალი(ა). გადატ. თავმდაბალი

gönlü bol – გული მისი უხვი(ა). გადატ. ხელგაშლილი

gönlü dar – გული მისი ვიწრო(ა). გადატ. ხელმოჭერილი

gönlü gani – გული მისი შეძლებული(ა). გადატ. ხელგაშლილი

gönlükara – გული მისი შავი(ა). გადატ. ბოროტი, შავგულა

gönlü tok – გული მისი მამლარი(ა). გადატ. ის, ვისაც თვალი არ უჭირავს სხვის

ქონებაზე

gönlü yaralı – გული მისი დაჭრილი(ა). გადატ. უპასუხო სიყვარულის განმცდელი

gönlü zengin – გული მისი მდიდარი(ა). გადატ. უშურველი

### **göz ‘თვალი’**

gözü aç – თვალი მისი მშვიერი(ა). გადატ. თვალხარბი, გაუმამლარი, ხარბი; შურიანი

gözü açık – თვალი მისი ღია(ა). გადატ. 1) ფხიზელი; 2) გამჭირახი; გონებაშავილი;

საზრიანი;

gözü bağı – თვალი მისი შეკრული(ა). გადატ. უმეცარი ( ის, ვინც უყურებს და ვერ ხედავს)

gözü kapalı – თვალი მისი დახურული(ა). გადატ. ის, ვინც არ იცის, გარშემო რა ხდება; უნდილი

gözü kara – თვალი მისი ძლიერი(ა). გადატ. უშიშარი, მამაცი, გამბედავი

gözü keskin – თვალი მისი მჭრელი(ა). გადატ. კარგად მხედველი

gözü pek – თვალი მისი ძლიერი(ა). გადატ. მამაცი, უშიშარი, მედგარი

gözü sulu – თვალი მისი წყლიანი(ა). გადატ. აცრემლებული

gözü tok – თვალი მისი მაძლარი(ა). გადატ. მცირედით კმაყოფილი

### **kulak ‘ყური’**

kulağı delik – ყური მისი ნახვრეტი(ა). გადატ. შეგნებული, საზრიანი; გონებამახვილი

kulağı kesik – ყური მისი მოჭრილი(ა). გადატ. დიდი გამოცდილების მქონე; ფხიზელი

kulağı tıkalı – ყური მისი დაცობილი(ა). გადატ. ბევრის მნახველი

### **kalp ‘გული’**

kalbi bozuk – გული მისი გაფუჭებული(ა). გადატ. ა) სუსტი გულისა, გულით ავადმყოფი; ბ) ღვარძლიანი, ავი, ბოროტი

kalbi bütün – გული მისი მთელი(ა). გადატ. კეთილშობილი, სულმაღალი, პატიოსანი

kalbi kırık – გული მისი გატეხილი(ა). გულგატეხილი

kalbi sağ – გული მისი ჯანმრთელი(ა). გადატ. სამართლიანი, პატიოსანი

kalbiselim – გული მისი საღი(ა). გადატ. სუფთაგულიანი

kalbi temiz – გული მისი სუფთა(ა). სუფთა გულის პატრონი

### **yürek ‘გული’**

yüreği dar – გული მისი ვიწრო(ა). გადატ. სუფთა. გულჩვილი, მგრძნობიარე

yüreği delik – გული მისი გახვრეტილი(ა). გადატ. სევდიანი, დარდიანი,

გულდაკოდილი

yüreği dolu – გული მისი სავსე(ა). გადატ. ღვარძლიანი, გულღრმო, შურის მაძიებელი, შურიანი, ბოროტი; სიძულვილით აღსავსე

yüreği geniş – გული მისი ფართო(ა). გადატ. ა) დიდსულოვანი, გულღია; ბ)

უშფოთველი; გ) მოსიყვარულე

yüreği katı – გული მისი ხისტ(ა). გადატ. მკაცრი, უგულო, გულქვა

yüreği pek – გული მისი ძლიერი (ა). გადატ. მკაცრი, უგულო, გულქვა

yüreği temiz – გული მისი სუფთა (ა). გადატ. წმინდა; კეთილი განზრახვის მქონე;

yüreği yanık – გული მისი მგზნებარე(ა). გადატ. გულიანი

yüreği yufka – გული მისი ფაფუკი(ა). გადატ. გულჩვილი, გულთბილი; მოწყალე,

გულისხმიერი

### **yüz ‘სახე’**

yüzü ak – სახე მისი თეთრი(ა). გადატ. პირნათელი

yüzü asık – სახე მისი დაღვრემილი(ა). გადატ. პირქუში

yüzü kara – სახე მისი შავი(ა). გადატ. პირშავი. შერცხვენილი

yüzü koyun – სახე მისი გულუბრყვილო. გადატ. პირქვე

yüzü pek – სახე მისი ძლიერი(ა). გადატ. ის, ვისაც შეუძლია თქვას ის, რაც წყენინების გარეშე ძნელი სათქმელია; ის, ვინც ადვილად ამბობს უარს იმაზე, რასაც მას სთხოვენ.  
yüzü sıcak – სახე მისი მხურვალე(ა). გადატ. მომხიბლავი  
yüzü yumuşak – სახე მისი რბილი(ა). გადატ. დამთმობი, დამყოლი

ამ სტრუქტურის მქონე ასამდე თურქული სიტყვაფორმიდან ქართულ სასიტყვეთში ორი ერთეული ჩანს დამკვიდრებული: ბაშიბუზუკი და ბაშიაჩუკი. ბაშიბუზუკ-ი (ბაშიბუზუკისა) [თურქ. ბაშიბოზუქ „თავაწყვეტილი“]. 1. ისტ. ოსმალთა არარეგულარული ქვეითი თუ ცხენოსანი ჯარის მოლაშქრე (XVIII-XIX სს....გადატ. თავაწყვეტილი ადამიანი, მოთარეშე, მოძალადე; ყაჩაღი, ავაზაკი. 2. სამოქალაქო პირი. 3. ანარქისტი.

ქეგლ-ის პირველ გამოცემაში ამ სიტყვის საილუსტრაციო მასალად მოყვანილია სტალინის სიტყვები: „დროა შური ვიძიოთ სახელოვანი ამხანაგებისათვის, რომლებიც მხეცურად დახოცეს მეფის ბაშიბუზუკებმა... მოსკოვში, ბათუმში... თბილისში, გურიაში, ბაქოსა და სხვა ადგილებში“ (ქეგლ-ი 1950:1002).

რაც შეეხება ბაშიაჩუკს: ეს თურქული კომპოზიტი უცილოდ აკაკი წერეთლის მოთხრობის მთავარი პერსონაჟის სახელს – ბაშიაჩუკს – მიემართება, ხოლო აღმოსავლეთ-მცოდნე ისტორიკოსთათვის მას სხვა დატვირთვაც აქვს: ოსმალთა, არაბი და სპარსელი მემკვიდრეები იმერეთის სახელდებისას ჩვენი ქვეყნის ამ კუთხეს მხოლოდ başıaçuk-ით ან açukbaş - ით მოიხსენიებენ. კერძოდ, აი რას წერს აკად. სერგი ჯიქია გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის კვლევით ტექსტში: „...იმერეთი აქ açuk baş-ად.... და თურქული ენის თვალსაზრისით ასევე კანონიერი შესიტყვებით başı açuk-ით იხსენიება, რაც ასე ითარგმნება: თავდია, თავმოხდილი, თავდაუხურავი. ს. ჯიქია იმოწმებს 1583 წელს გარდაცვლილ აჰმედ ფერიდუნ ბეის, რომელიც açukbaş meliqi-თ ასახელებს იმერეთის მეფედ. ოსმალთა ჟამთაღმწერლები, იბრაჰიმ ფეჩევი, ევლია ჩელები და ქათიბ ჩელებიც ამავე სახელდებას იყენებენ. მაკარი ანტიოქიელის თხზულებიდან ირკვევა, რომ არაბი და სპარსი ისტორიკოსებიც ოსმალთა მსგავსად იმავე სახელდებას მიმართავენ. ამ ფაქტს XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ეხება იოზეფ ჰამერიც: “Baschatschuk . d.i. offener oder bloßer Kopf“ (ჯიქია 1958:80-83)...ეს განმარტებები სრულ თანხმობაშია ვახუშტი ბაგრატიონისეულ დეტალიზაციასთან: „ქუდი მცირე ნაჭრისაგან, რომელიც არა ბურვით, განა მდებარე არს თხემსა ზედა...“ (ბაგრატიონი 1941:32). ვახუშტის სწორედ ამ ცნობის მიხედვით უწოდა აკაკიმ თავისი მოთხრობის პერსონაჟს ბაში-აჩუკი... ოსმალური დოკუმენტალისტიკის სპეციალისტი ცისანა აბულაძე ამის თაობაზე წერს: ძველ თურქულ ისტორიულ ლიტერატურაში საქართველოს მხარეები – იმერეთი (უპირატესად), გურია და სამეგრელო – იწოდება başı açuk-ად ან auuk baş-ად (აბულაძე 1967: 174). ქართული ონომასტიკონის დიდ მოამაგეს, პროფ. ალექსანდრე ღლონტს იმერეთის ტოპონიმიკური ძიებანის სათაურად გამოტანილი აქვს „თავახდილეთის“ ტოპონიმიც...



## A KIND OF COMPOSITES CONTAINING SOMATIC LEXEME IN TURKISH (BAŞLAÇIK TYPE)

The general structural-semantic model of word combinations is universal in any language and it is two-dimensional.

One implies combining two (or more) stems by different morphological-syntactic means. As a result, formal groups of composed words are established.

According to the meanings of the components, there are distinguished names with single or double- and more notions, which are obtained by unifying the stems or by putting together separate meanings of the components.

There are many effective models of word-forming in the literary Turkish language. These are composites with doubled stems, compound words composed of different stems, rimed word combinations, m-doublets, etc. In this process is used also an izafet construction, which is undoubtedly an important and specific characteristic of the Turkish language (not of only Anatolian Turkish). According to morphosyntactic indicators, the structures of the first, second, and third izafets are distinguished. From these, in the case of the first izafet, the nouns are actually marked by adjunction, in the construction of the second izafet we have government, and the structure of the third izafet is formed according to agreed rules.

It can be said that almost all the main concepts of the grammatical order of this language are passed through the prism of izafet by the dominant sign - the determinant (in a broad sense) precedes the determined word.

In the segment of word composing we find a variety of complex words produced by the so-called single-component izafet. In the paper we discuss one type of such words, the first component of which is a somatic lexeme for example -baş 'head' -, and the next member is third-person singular possessive affix 'ı' 'and then an adjective açık 'open' 'head of him (is) open'. Prefix + adjective: el 'hand' + i (POSS III P.SING) + dar 'narrow' - 'hand it's narrow'. Transfer 'stingy'. This is a morphosyntactic formation of linguistic units characteristic of Turkish languages, which is literally a sentence with a specific order of word forms.

This type of complex word is idiomatic without exception and by its semantics, it expresses the moral qualities of a person – dignity and inner nature (morally elevated or fallen).

In fact, in this one kind of composed word form, the permeable characteristic of Turkish languages is violated - the attributive determinant follows the determined word.

For Georgians, this Turkish composite inevitably refers to the name of the main character in Akaki Tsereteli's story - Bashiachuk - while for orientalist historians it has also

another meaning: Ottoman, Arab and Iranian historians when naming Imereti to refer to this part of our country only by Başaçık.

In the paper we discuss about 100 word forms containing lexemes ağız 'mouth', ayak 'leg', baldır 'shin', baş 'head', bel 'waist', boyun 'neck', burun 'nose', çene 'chin, jaw', dil 'tongue', el 'hand', gönül 'heart', göz 'eye', kulak 'ear', kalp 'heart' and yürek 'heart'.

#### დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. აბულაძე, ცისანა. ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ. *თბილისის უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 121, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1967, 165-185.
2. ბაგრატიონი, ვახუშტი *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*. თ.ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.
3. *თურქულ-ქართული ლექსიკონი*. ლია ჩლაიძის რედაქციით. ორ ტომად. სტამბოლი, 2001.
4. სარიშვილი, ედიშერ. რთული სიტყვის სტრუქტურისათვის თურქულ ენაში. *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, № 3, თბილისი, 1984.
5. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ)*. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტომი I, ა-ბ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950.
6. ლლონტი, ალექსანდრე. *ტოპონიმიკური ძიებანი*, VI, თავახდილეთის ტოპონიმია. თბილისი, 1990.
7. ჯიქია, სერგი. *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი*, წიგნი III. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958.
8. *Türkçe Sözlük – Türkçe Sözlük/haz. Şükrü Haluk Akalın...[ve başk.]*.11.bsk. – Ankara: Türk Dil Kurumu, TDK Yayınları, 2011, 549.

## ისლამური რევოლუცია და ირანელი ემიგრანტები ფარიბა ვაფის საბურველს მიღმა

ისლამური რევოლუციის შემდგომი პერიოდი სპარსულ მწერლობაში ქალთა ლიტერატურის განსაკუთრებული მომძლავრებით აღინიშნა. ამ ტერმინის ქვეშ ხშირად ქალისთვის განკუთვნილ საკითხავს მოიაზრებენ, თუმცა აქ მისი სხვა, ჩემი აზრით, უფრო ზუსტი მნიშვნელობა იგულისხმება: კერძოდ, მწერალი ქალების მიერ შექმნილი ლიტერატურა.

სქესობრივი ნიშნით ხელოვნების მოღვაწეთა გამიჯვნა თუ ცალკე გამოყოფა საკითხისადმი იქნებ არცთუ სწორი დამოკიდებულება იყოს. თუმცა თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში ქალთა ხვედრითი წილი და, რაც მთავარია, პროფესიონალური სრულყოფილება იმდენად თვალშისაცემი გახდა, რომ მოვლენამ ადგილიც დაიმკვიდრა და სახელიც თავისთავად დაირქვა.

ფარიბა ვაფი ერთ-ერთია იმ მწერალთა შორის, რომელიც ჩვენს საუკუნეში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ავტორად იქცა ირანში და თანამედროვე ირანული პროზის სახელი დასავლეთშიც გაიტანა. 2017 წელს მის რომანს „თარლან“ გერმანიაში „ლიბერატორის“ პრემია მიენიჭა.

ფარიბა ვაფის ნოველების და რომანების მთავარი თემა ადამიანებს შორის დარღვეული სულიერი კავშირები და ახლობლებს შორის ჩამოწოლილი გაუცხოებაა. ამ მძიმე პრობლემებს კი ფონად მუდამ ქალის შინაგანი სამყაროს ღრმა ანალიზი უდევს.

ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალი ამბობს: „ქალის სამყაროზე წერა ჩემი დიდი სურვილი იყო. ქალზე უკეთ ვინ დაწერს საკუთარ თავზე? ჩემი აზრით, ჩვენს ლიტერატურაში ჯერაც უამრავი რამაა უთქმელი ამ თემაზე. უამრავი დაფარული გრძნობა და ჩუმი ქალური ხმაა, რომელზეც არასდროს დაწერილა.“<sup>1</sup>

ასეთი დამოკიდებულების გამო მას ქალების მწერლადაც მოიხსენიებენ. თუმცა, ვფიქრობ, ფარიბა ვაფის სამწერლო სივრცე ბევრად უფრო ფართოა. მისი ინტერესის საგანი - ქალის შინაგანი სამყარო ხომ - საკუთარი სულიერი შფოთვისა თუ პირადი მოუწყობლობის საკითხებს გარდა, საერთო-ადამიანურ, ზოგადპრობლემურ მოვლენებსაც იტევს. ფარიბა ვაფი თავს მოვალედ მიიჩნევს, ეს ყველაფერი - პირადი და საზოგადო - ერთდროულად გამოიკვლიოს, რადგან ადამიანი მუდამ ურღვევადაა მიბმული იმ რეალობას, რომელშიც უწევს არსებობა; მისი პირადი ტკივილი საზოგადო

<sup>1</sup> მოჟდე დაყიყი, „პატარა და უბრალო რამეების გვირ“. ირანული ჟურნალი „დღევანდელი ქალები“ 2 (2015), ინტერვიუ ფარიბა ვაფისთან.

<https://zananemrooz.com/article/196/%DA%AF%D9%81%D8%AA%E2%80%8C%D9%88%DA%AF%D9%88-%D8%A8%D8%A7-%D9%81%D8%B1%DB%8C%D8%A8%D8%A7-%D9%88%D9%81%DB%8C>

ტკივილებისა და რეალური მოვლენების ჯაჭვის შედეგია, ურომლისოდაც იქნებ მისი ცხოვრებაც სხვანაირი ყოფილიყო.

ამიტომ, რომ ვაფის მრავალშრიან თხზულებებში ყველა მკითხველი სხვადასხვა შრეს პოულობს - საკუთარი ინტერესის, გემოვნებისა და ინტელექტუალური მზაობის შესაბამისს.

მთავარი კი ისაა, რომ ფარიბა ვაფისთან მუდამ არის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი - გლობალური მასშტაბის - პრობლემები, რომელთაც ავტორი რიგითი ადამიანების - დიასახლისების, მოსამსახურე ან ინტელექტუალური ფენის წარმომადგენელი ქალების ყოფით სურათებში თუ შინაგან იმპულსებში მონდომებით ფუთავს. არასდროს წერს იმისთვის, რომ მკითხველი პოპულისტური თემებით მოიზიდოს. თუმცა მუდამ წერს იმ საკითხებზე, რომლებიც დღევანდელ სამყაროში ერთგვარ მოდადაც იქცა და, ამდენად, მუდამ იზიდავს მკითხველს, მით უფრო, დასავლეთის ქვეყნებში. ფარიბა ვაფი წერს გენდერულ თემატიკაზე, რევოლუციური და პოსტრევოლუციური ირანის სირთულეებზე, ემიგრაციისა და ემიგრანტების პრობლემებზე. ეს მისი პერსონაჟების, მის გარშემო მყოფი რეალური ადამიანების ტკივილებია. ეს თემები მისი მწერლობის განუყოფელი ნაწილია, ისევე, როგორც წერის სტილი: სადა, ლაკონური, ფსიქოლოგიური წვდომებით სავსე, იუმორითა და ირონიით მოგვირისტებული.

დღევანდელი სტატიის თემადაც ფარიბა ვაფის ერთი რომანი - „დასასრულის შემდეგ“, კერძოდ კი, რომანის ორი პრობლემური საკითხი - შევარჩიე: ისლამური რევოლუცია - პოსტრევოლუციური ირანი და ირანელი ემიგრანტები - მათი პრობლემები და მტკივნეული გაუცხოება წასულებსა და დარჩენილებს შორის.

რევოლუციური ირანისა და მისი პოსტრევოლუციური მდგომარეობის შესახებ რომანში საკმაო მასალაა, თუმცა, ძირითადად, შეფარულად და „გაკვრით“ მოტანილი. სათქმელის ნახევრად თქმის, მსუბუქად „გახსენების“, „შემთხვევით“ მოხსენიების მანერა ამ შემთხვევაში, როდესაც ავტორი ისლამურ რევოლუციაზე წერს, ცხადია, დიდწილად მკაცრი ცენზურითაა გაპირობებული. მწერალი თავადაც საუბრობს ინტერვიუებში ამ საკითხზე და იმასაც უმატებს, რომ, ოფიციალური ცენზურის გარდა, არსებობს თვითცენზურაც, რომელიც, ერთი მხრივ, ოფიციალური ცენზურის არსებობას უწყვეს ანგარიშს და, მეორე მხრივ, ავტორისეულ შინაგან ხმას უგდებს ყურს. ავტორისთვის კი მოვლენების და სათქმელის ნახევარტონებში ხატვის ტექნიკა ბუნებრივი და ორგანულია. ის მუდამ ასე საუბრობს. ეს მისი სამწერლო სტილია, რომელსაც ცნობს და იღებს მისი მკითხველი.

ერთ-ერთ ინტერვიუში კორესპონდენტის შეკითხვის პასუხად, თავიდანვე ირჩევთ ლაკონურ სტილს თუ ბოლოს მუშაობთ ტექსტის შემოკლებაზეო, ვაფი ამბობს: „თუმცა თავიდანვე შეკუმშულ სტილს ვირჩევ, მაგრამ მოგვიანებითაც ბევრ რამეს ვიღებ ტექსტიდან. სიმართლე გითხრათ, ერთგვერდიანი ტექსტის ერთ აბზაცამდე დაყვანა ჩემი საყვარელი საქმიანობაა.“<sup>2</sup>

რომანში მოქმედება პოსტრევოლუციურ ხანაში, უკვე ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მიმდინარეობს. მაგრამ ჯერაც იგრძნობა რევოლუციის დანატოვარი: ქალის კდემემოსილების „უტყუარი საბუთის“ - ჰეჯაბის აუცილებლობა, საზოგადოებაში

<sup>2</sup> მოჟდე დაყიყი, პატარა და უბრალო რამეების გმირი.

ქალის მოკრძალებული ქცევის მოთხოვნა, წესრიგის დამცველების მარადი სიფხიზლე... რელიგიური ატრიბუტიკის შემაწუხებელი ტვირთი და მასთან დაკავშირებული დისკომფორტი ჩანს ირანში სტუმრად ჩამოსული, დღესდღეობით შვედეთის მკვიდრი ირანელი ემიგრანტის - მანზარისა და მისი მასპინძლის - როიას ერთ-ერთ ეპიზოდში: ირანულ სინამდვილეს მონატრებულ მანზარს ყველაფერი მოსწონს და ყველაფერს ალტაცებაში მოჰყავს, ყველას და ყველაფერს ფოტოებს უღებს: ასწლოვან მუხას, გადახურულ ქუჩას, გამვლელ-გამომვლელს... მაგრამ რევოლუციამოვლილ, თვალთვალსა და ღალატს მიჩვეულ მოქალაქეებს მისი არ ესმით. ეჭვის თვალით და უნდობლად შესცქერიან ქალს, რომელიც ფოტოაპარატით დაქრის ქუჩაში, ყველაფერთან ერთად, თავსაფარიც მხრებზე ჩამოვარდნია. ამ სიტუაციაში საინტერესოა მანზარის მასპინძლის - როიას რეაქცია: „მანზარს შევხედე და გადავარდნილ თავსაფარზე ვანიშნე. ყურადღება არ მოუქცევია. ისევ ადამიანების დაჟინებული მზერისგან აღმართულ უხილავ საპყრობილეში ვფართხუნობდი და ისე ვიქცეოდი, თითქოს ამ ფოტოგრაფ ქალბატონს არ ვიცნობდი.“<sup>3</sup>

როია თავისუფლად მოაზროვნე ადამიანია, თითქოსდა, პირობითობებისგან დაცლილი და მასზე ასეთი ეპიზოდები გავლენას არ უნდა ახდენდეს. მაგრამ ეს „უხილავი საპყრობილე“ ის რეალობაა, რომელსაც მისი ცხოვრება ჰქვია და რომელიც არასდროს აძლევს ადამიანებს მოდუნების საშუალებას; მუდამ მკაცრ არტახებში ყოფნას აიძულებს.

კიდევ ერთ ეპიზოდში, როდესაც ირანულ სინამდვილეს გადაჩვეული, სიცხისგან სულმეხუთული მანზარი მეჩეთში თავსაფარს გადაიდრობს და იტყვის, მე, თქვენგან განსხვავებით, ასეთ რამეებს ყურადღებას არ ვაქცევო, ირანელი მეგობარი ეუბნება, „აქ ცოტა მეტი ხნით რომ დარჩე, ასეთ თეორიებს აღარ განავითარებ, სხვებს დაემსგავსები, აქ მწელია, სხვანაირი იყო.“<sup>4</sup>

ასეთი მომენტები, სადაც პოსტრევოლუციური ირანის რელიგიური მოთხოვნებისგან გამოწვეული დისკომფორტი და დამაბულობა ჩანს, ბევრია რომანში, თუმცა მწერლის ძირითადი სათქმელი თავად რევოლუციის პერიოდს უკავშირდება. პერიოდს და პრობლემას, რომელმაც ქვეყანას კიდევ ერთი დიდი ჭრილობა გაუჩინა, მოუშუშებელ ტკივილად რომ ექცა მის ხალხს. ეს ჭრილობა ემიგრაცია გახლავთ. საკითხი, რომელიც თანამედროვე სამყაროში ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება, თუმცა, თავისი არსით, ის არც ჩვეულებრივია და არც - ნორმალური. საკუთარ კულტურას, საკუთარ მიწას და ახლობლებს მოწყვეტილი ადამიანები ძალიან ხშირად ვერსად პოულობენ სიმშვიდესა და ახალ სამშობლოს და ცხოვრების ბოლომდე ფესვებგადაჭრილ ხეებს ემსგავსებიან.

თავად რევოლუციური პერიოდის ირანის სურათები და რეალობა რომანში ე.წ. „ფლემბეკების“ საშუალებით შემოაქვს მწერალს და ხშირად ეს მოგონებები ასოციაციური ხასიათისაა. თითქოსდა შემთხვევითი, თითქოსდა ფერგამკრთალი, მაგრამ მუდამ მნიშვნელოვანი. ეს გამკრთალი მომენტებია სწორედ იმ უამრავი დღევანდელი პრობლემის საწყისი და საფუძველი, რაც მოურჩენელ ტკივილად

<sup>3</sup> ფარიბა ვაფი, „დასასრულის შემდეგ“, სპარსულიდან თარგმნა მ. ბურჯანაძემ, (თბილისი, „ინტელექტი“, 2021), 55.

<sup>4</sup> ვაფი, „დასასრულის შემდეგ“, 111.

შერჩენია უამრავ ადამიანს - წასულსა თუ დარჩენილს. ამ ფლემშეკების გარეშე რომანის სათაურიც აზრს დაკარგავდა: „დასასრულის შემდეგ.“ მწერლის კითხვა თუ პასუხი რომანში სწორედ წარსულ მომენტებს უკავშირდება, რომელთა სამუდამოდ დასრულებისა თუ გაგრძელების შესაძლებლობა სხვადასხვანაირად ესმით ვაფის პერსონაჟებს.

„ქალაქი მოწყენილი იყო. კედლები - ლოზუნგებით დაფარული, ფერები - მორუხო-მონაცრისფერო. არც კარგი სპექტაკლი მოიძებნებოდა სადმე, არც - კარგი ფილმი. ერთადერთი ადგილი, სადაც დავდიოდი, ბიბლიოთეკა იყო.“<sup>5</sup>

რევოლუციური სიტუაციის ეს უნივერსალური სურათი, რომელიც ერთნაირი წარმატებით მოერგებოდა ნებისმიერი ქვეყნის რევოლუციურ ვითარებას, ამ შემთხვევაში კონკრეტულად ირანული ქალაქების ჩამკვდარ, უდიდამო და გაუხარელ ყოფას ასახავს.

რომანის მთავარი პერსონაჟი - როია - თუმცა ხშირად იხსენებს სხვადასხვა მომენტს თავისი სიყმაწვილის პერიოდიდან, არასდროს ყველა რევოლუციის დროს გადახდენილი მძიმე ამბების შესახებ. მხოლოდ ერთ მომენტში, „მსუბუქად და შემთხვევით“, შეხსენებასავით დაუდგება თვალწინ მძიმე სურათი: „ბორკილდადებული ხელები ელვასავით გამიკრთა თვალწინ და ტვინში გამიარა. ყურებმა წილი დამიწყო და წამომახურა.“<sup>6</sup>

ასეთ შემთხვევებში ისევ ცენზურა-თვითცენზურის გამოვლინების წინაშე ვდგებით. მწერალი ამბობს, მაგრამ თავს არ გვახვევს. დამნახავი ხედავს, გამგონს ესმის. მეტის თქმის საშუალებას ცენზურა არ მისცემდა, მაგრამ არც თვითცენზურა ანიჭებს მეტის თქმის სურვილს. რაც ითქვა, საკმარისია. ამ ერთ გაელვებაში რევოლუციური ხანის უმძიმესმა რეალობამ ჩაიარა.

ერთ შეხვედრაზე, როდესაც ფარიბა ვაფის სთხოვეს, მეტი განმარტება მიეცა ამგვარი, ხშირად ქარაგმულად, მინიშნებით თქმული დეტალების გამო, მწერალმა არაორაზროვნად უპასუხა: „ჩემი აზრით, ავტორს რისი თქმაც უნდოდა, წიგნში უკვე ითქვა. ამიტომ არაა საჭირო, მისი განმარტებები ნაწარმოებს დაეფურთოთ.“<sup>7</sup>

როგორც უკვე აღვნიშნე, რომანში შემოტანილი ყველა დღევანდელი პრობლემა ძველ დროს უკავშირდება. ყველა აწმყო წარსულიდან მოდის. ყველა ტკივილს თავისი ფესვები აქვს.

ასადს ისე მოუწია ქვეყნიდან წასვლა, რომ მშობლებსაც ვერ დაემშვიდობა. უნდა გაქცეულიყო, რომ არ დაეჭირათ. ოჯახმა არ იცის, ცოცხალია თუ მკვდარი. ძმა დაკითხვაზე დაჰყავთ, ემუქრებიან, რამდენიმე წლით ციხეში ამწყვდევენ. დედას ინსულტი ანადგურებს და შვილების დარდი ჭამს. ასადის ბიძა იმ დღეს იხსენებს, როცა ასადმა პირველად დარეკა შვეციიდან. დედას ვერაფერს ეუბნებიან, ეშინიათ, სადმე სიხარულით არ წამოსცდეს. ყველაფერი ფარულად და მალულად უნდა მოხდეს. და, აი, დგება მომენტი, როცა დედა შვილს უნდა დაელაპარაკოს. შვილს, რომელიც ამდენ ხანს

<sup>5</sup> ფარიბა ვაფი, „დასასრულის შემდეგ“, 113.

<sup>6</sup> ფარიბა ვაფი, „დასასრულის შემდეგ“, 73.

<sup>7</sup> აჰმად შაქერი, ფარიბა ვაფის რომანი „დასასრულის შემდეგ“ ლიტერატურული კრიტიკის ოცდამეათე შეკრებაზე, ბიბლიოთეკა „ფირუზი“, თეირანი. 28 ივლისი, 2020. <http://a-shakeri.ir/?p=165>

მკვდარი ეგონა. „ტელეფონმა დარეკა. ჰაჯ მამადმა, ღმერთმა შენდობა მისცეს, რამდენიმე სიტყვა თქვა ტელეფონში და ყურმილი ჩემს დას გადასცა. საღი ხელით გამოართვა, ყურზე მიიდო და გაშემდა. არ სჯეროდა, რომ ასადის ხმა ესმოდა. ვუთხარი, დაელაპარაკე-მეთქი. დამუნჯებულიყო. შევანჯღრიე, ქალო, რამე უთხარი-მეთქი. ბებრული თვალებიდან ცრემლი სდიოდა, მაგრამ, სიტყვა რა არის, ისიც არ დასცდენია!“<sup>8</sup>

რევოლუციის მიერ მოტანილ და დატოვებულ ტკივილებს ყველა პერსონაჟი აწმყოშიც ატარებს. ნასრინმა სიყვარული დაკარგა და მას მერე დაცარიელებული სულით ატარებს ცხოვრებას. შეყვარებულმა ნასრინი მიატოვა, მასზე და მის სიყვარულზე უარი თქვა და ქვეყნიდან წავიდა. ეს საქციელი მშვიდობიან დროს და მშვიდ ქვეყანაში იქნებ გაკიცხვის ღირსი ყოფილიყო, მაგრამ არა ირანში და არა ისლამური რევოლუციის ზეობის ხანაში. ძნელია, გმირობა მოსთხოვო კაცს, როცა მის ქცევას შიშის იმპულსები განაგებს და ამ შიშის სათავე ძლევამოსილი იდეაა, რომელსაც სახელად ისლამური რევოლუცია ჰქვია.

მომაქვს ამონარიდი ნასრინის მოგონებიდან, როცა ის შეყვარებულთან - თავის შორეულ ნათესავთან - ერთად მთაში სეირნობს. ახალგაზრდები გულუბრყვილოდ იმედოვნებენ, რომ რევოლუციის ფხიზელ გუშაგებს მთის ფერდობებზე დაემალებიან:

„დაისის ბინდბუნდში უკნიდან ვილაც ეძახის. ნასრინს ამ ხმის მბრძანებლურ და მუქარით აღსავსე ინტონაციაზე სიმწრით აჟრჟოლებს... შიშით ხევდება და უკვირს, რომ სიარული ისევ შეუძლია. ლოცულობს, რომ ეს ხმა აღარ გაიგონოს. უნებურად ზევით იყურება და ხედავს, რომ ცა არასდროს ყოფილა ასე ლამაზი და არ სჯერა, რომ თვითონ აქ, დაბლა, უბედურების წიაღისკენ მიაბიჯებს. თავის თავს არწმუნებს, რომ ისინი წავიდნენ. რომ მათ არაფერს ერჩოდნენ. არადა, სწორედაც რომ მათთან ჰქონდათ საქმე. ორნი იყვნენ. ნასრინმა მითხრა, შორეული ნათესავი არც კი შემობრუნებულა, რომ ენახა, უკან რა ხდებოდა, რა ამბავი იყო. მგელიც რომ დასხმოდა თავს, არ მოიხედავდა. ორმა მორიგე მორეულ ნათესავს გაჩერება უბრძანა. გაჩერდა. ნელ-ნელა შემობრუნდა. შიშისგან ფერი აღარ ედოო.“<sup>9</sup>

რა თქმა უნდა, ამ სურათში რევოლუციური ალტყინების მუქი ფერები და მოვლენის დეტალები ისევ ვუალირებულია და მკითხველს ეს არ უკვირს, რადგან ფარიბა ვაფის სამწერლო სტილი მისთვის ნაცნობია. მით უფრო, რომ საბურველს მიღმაც შეიძლება იმ პანიკის დანახვა, რაც საფუძვლად უდევს კაცის სიმხდალესა და ღალატს: მის წინაშე ევინის ციხის და მოსალოდნელი წამების პერსპექტივა იმდენად ცოცხალი და რეალურია, რომ მაღალი მატერიებისთვის ძალა აღარ რჩება.

საბავშვო ბაღის დირექტორი, სური-ჯუნი, რომელთანაც ნასრინი აღმზრდელად იწყებს მუშაობას, უკვე ხანდაზმულ ასაკში იძულებული ხდება, ბაღი დაკეტოს, თავრიზიდან წავიდეს და სხვაგან ეძებოს სამუშაო და საცხოვრებელი.

„მიმახვედრეს, რომ, თუ საკუთარი ნებით არ დავეკეტავთ (საბავშვო ბაღს - მ.ბ.), ნებართვას გაგვიუქმებენ. ერთი-ორი დღის ამბავი არაა. კარგა ხანია, ვიცით. ბაღი რომ გავხსენი, მაშინვე ვიცოდი, რომ კრიჭაში ჩამიდგებოდნენ. ბევრი ვიფიქრეთ. ჩემთვის

<sup>8</sup> ფარიბა ვაფი, „დასასრულის შემდეგ“, 145.

<sup>9</sup> ფარიბა ვაფი, „დასასრულის შემდეგ“, 62.

აქედან წასვლა ადვილი არაა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.“<sup>10</sup>

სური-ჯუნი ქვეყნიდან არ მიდის, მაგრამ სამუდამოდ ტოვებს მშობლიურ ქალაქს, საიდანაც სხვა ვითარებაში არასდროს წავიდოდა. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, რევოლუციისთვის არასაიმედო ადამიანების დევნასთან გვაქვს საქმე.

თუმცა ბევრია ისეთი, რომელსაც არა მარტო ქალაქთან, ქვეყანასთან მოუწია განშორება. წავიდნენ სრულიად უცხო, შორეულ ქვეყნებში. წავიდნენ სიცოცხლის, შვილების, ახლობლების გადასარჩენად. ზოგი - სამუდამოდ, ზოგი - დროებით, მაგრამ ყველას თან გაჰყვა შიში, დარდი, მონატრება და მძიმე წარსული. ამ მძიმე ტვირთის ტარება კი ადვილი არაა. მით უფრო, უცხო ქვეყანაში, უცხო კულტურაში, მარტოობაში. იძულებით ემიგრანტებს, რომელთაც სამშობლო კეთილდღეობისა და დალბენილი ცხოვრების ძიების გამო არ დაუტოვებიათ, ახალ ქვეყანაში უამრავი სირთულე დახვდათ: ენის არცოდნა, განსხვავებულ კულტურასთან შეუთავსებლობა, უთვისტომობა და სიმარტოვე.

„იქ ჩასვლას არ გავუბედნიერებთ. ჩემთვის ვფიქრობდი, რა მინდა აქ, ამ გაყინულ, უსასრულო ღამეების ქვეყანაში-მეთქი?! ყველა საქმე უაზრობად მეჩვენებოდა. სულიერად იმდენად განადგურებული ვიყავი, ვინმეს რომ გაეგო, საავადმყოფოში მიკრავდნენ თავს და ბავშვსაც ჩამომართმევდნენ“<sup>11</sup> - ასე იხსენებს შვედეთში დასახლების პირველ ხანას ირანში სტუმრად ჩამოსული მანზარი.

პირად მოუწყობლობას და სულიერ შფოთვის უფრო მძიმე პრობლემა ემატება - შვილი ვერ ეგუება ირანიდან წასვლას და დედას მტრად ეკიდება. ვერ პატიობს ემიგრანტის ხვედრის არჩევას, თავის მიუსაფრობას და მარტოსულობას:

„არ ვიცი, მარიამს რა დაემართა. არ მესმოდა. ტიროდა. არაფერს ჭამდა. ამბობდა, ირანში მინდა დაბრუნება, მამასთანო. მეკითხებოდა, რატომ დაშორდი მამაჩემს და აქ რისთვის წამომიყვანეო. სერიოზულ სათქმელს ამბობდა, თავის ტოლებს სულ არ ჰგავდა. მოზრდილ ადამიანად ქცეულიყო, რომელიც მხოლოდ იტანჯება... არ მინდა, მთელი სიცოცხლე მხოლოდ შენთან გავატაროო. მისაფერებლად არ მიკარებდა. მის ოთახში რომ შევდიოდი, საწოლის ქვეშ მიძვრებოდა და მემალეებოდა. მეუბნებოდა, აქაურობა არ მომწონს, შენ არასოდეს ჩემზე არ ფიქრობო. ჩემს ცხოვრებისეულ სირთულეებზე ვუყვებოდი, ვეუბნებოდი, რომ იძულებული გავხდი, ირანიდან წამოვსულიყავი. ამბობდა, ცოტა რომ მოგეთმინა და ირანში დავრჩენილიყავით, ახლა ბებიაც მეყოლებოდა, ბიძებიც და ქვეყნის დეიდა-მამიდაცო.“<sup>12</sup>

მანზარი არ ცდებოდა, როცა პატარა მარიამის სევდა მოზრდილი ადამიანის ტანჯვად ეჩვენებოდა. გოგონას სულს სამუდამო დაღად შერჩა არა მარტო ძალად წართმეული სამშობლოსა და ახლობლების სევდა, არამედ - დედის მიმართ მტრული დამოკიდებულებაც. დედა-შვილს შორის გაუცხოების მტანჯველი კედელი გაჩნდა, რომლის დარღვევა ვეღარც დრომ, ვეღარც განათლებამ და ვეღარც დალაგებულმა ცხოვრებამ ვეღარ შეძლო.

<sup>10</sup> ფარიბა ვაფი, „დასასრულის შემდეგ“, 112.

<sup>11</sup> ფარიბა ვაფი, „დასასრულის შემდეგ“, 87.

<sup>12</sup> ფარიბა ვაფი, „დასასრულის შემდეგ“, 89.



გლობალურმა მოვლენებმა - ისლამურმა რევოლუციამ და მის კვალდაკვალ დაწყებულმა უმძიმესმა ირან-ერაყის ომმა მრავალი ადამიანის ცხოვრება შეცვალა. ბევრი დაიღუპა, ბევრიც აიყარა და, მშვიდობიანი ცხოვრების ძიებაში, მთელ მსოფლიოს მოედო. „დიდი დანაკარგი გვექონდა. მთელ მსოფლიოში ვართ მიმობნეულები. საყვარელი მამა!..სულ იმას ამბობდა, კმარა, სიკვდილი მაცალეთ და მერე, რაც გინდათ, ის ქენით. თქვენს მოსანახულებლად მოგზაურობამ დამდალაო.“<sup>13</sup>

მანზარის მონათხრობის ამ ამონარიდში ისევ გაკვრით იხსენიებს ფარიბა ვაფი ომისა და რევოლუციის სიმძიმეს: „დიდი დანაკარგი გვექონდა.“ ასევე, მოკლედ, ლაკონურად, სანტიმენტების გარეშე შემოაქვს ემიგრაციის მძიმე თემა: „მთელ მსოფლიოში ვართ მიმობნეულები“. და ბოლოს, „დარჩენილებს“ სევდას გვიმხელს ბედისწერისგან მარადიული ხეტიალისთვის გაწირვის გამო: „საყვარელი მამა! სულ იმას ამბობდა, კმარა, სიკვდილი მაცალეთ და მერე, რაც გინდათ, ის ქენით. თქვენს მოსანახულებლად მოგზაურობამ დამდალაო.“

მშვიდობიან, პროგრესულ, თავისუფალ ქვეყანაში ვითომ მშვიდად დამკვიდრებულ ემიგრანტებს უცხო კულტურასთან შეჯახება უამრავ საფიქრალს და დისკომფორტს უქმნის. ამას ნოსტალგიის მოურჩენელი სენიც ემატება, რომელიც ბევრს ცხოვრების ბოლომდე არ ანებებს თავს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მანზარისა და ასადის საუბარი:

„ერთხელ ჩხუბი მოგვივიდა. ვუყვირე, გეშინია-მეთქი. ცივად მითხრა, რომ მეშინოდეს, აქ არ ვიქნებოდით. ვუთხარი, სწორედაც იმიტომ ხარ აქ, რომ შეგეშინდა-მეთქი. ახლა ხომ ყველაფერი დამთავრებულია, რატომ არ ბრუნდები? დედა გიკვდება-მეთქი. ასადმა მიპასუხა, თვითონაც იცი, რომ ვერ დავბრუნდები. თუ გინდა თქვა, რომ ვერ ხვდები?“<sup>14</sup>

ამ მოკლე დიალოგში, მწერლისეული ნახევრად თქმის თუ სათქმელის შებურვის ტექნიკის მიღმა, ბევრი რამის დანახვა შეიძლება: „წასულები“, რაც არ უნდა ბედნიერები ეგონათ ისინი „დარჩენილებს“, უამრავი პრობლემისა და სადარდებლის წინაშე დგანან; ასადმა წარსულში დიდი შიში გამოიარა და ეს შიში იმდენად ცოცხლად და ხელშესახებად უდგას თვალწინ, რომ წლების მერეც არ უფერულდება. მანზარი სწორედ ამას საყვედურობს ასადს, რომ ძველი შიშის გამო უარს ამბობს სამშობლოში წასვლაზე. ასადის პასუხი, რომ მეშინოდეს, აქ არ ვიქნებოდით, მოვლენას მეორე მხრიდან წარმოაჩენს. კერძოდ კი, მას რომ სასჯელისა შინებოდა, არც პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაებმებოდა და არც ემიგრაციაში მოხვდებოდა.

ძველი ცხოვრებიდან გამოყოფილი მოუშუშებელი ჭრილობების გაგრძელებად ადამიანებს ხშირად ახალ ცხოვრებაში შექმნილი ტკივილები ემატებათ. მუდამ შეჭირვებულ და წარსულით დამძიმებულ ადამიანს მხიარულება და ბედნიერება აღარ „გამოსდის“. ვეღარც თვითონ პოულობს სიმშვიდეს და ვეღარც საყვარელ ადამიანებს აბედნიერებს.

სამშობლოში დარჩენილებს კი ისინი ბედნიერები ჰგონიათ და ხშირად ღალატშიც სდებენ ბრალს.

<sup>13</sup> ფარიბა ვაფი, „დასასრულის შემდეგ“, 53.

<sup>14</sup> ფარიბა ვაფი, „დასასრულის შემდეგ“, 75.

თანამედროვე ირანელი მწერალი გოლი თარაყი, რომელმაც საკუთარ ზურგზე იწვნია ემიგრაციის სირთულეები, სევდითა და ირონიით საუბრობს რევოლუციისა და ომის დროს სამშობლოში დარჩენილი ადამიანების მტრულ დამოკიდებულებაზე წასულების მიმართ და საილუსტრაციოდ ესმაილ ფასიჰის რომანიდან „სორაია კომაში“ ეპიზოდსაც ასახელებს:

„ირანში დარჩენილები გამეტებით ეწინააღმდეგებიან მათ, ვინც ქვეყანა დატოვა. მათი ლოგიკა ასეთია: თქვენ ხომ წახვედით? ჰოდა, მიბრძანდით, ჩვენთვის მიუღებლები ხართო. არც ტყუიან, როცა ამბობენ, თქვენ ომის დროს ბომბები არ გაწვიმდათ, პურის რიგში არ მდგარხართ, ჩვენსავით ტანჯვა არ გამოგივლიათო. მათი წარმოდგენით, ვინც წავიდა, განცხრომით ცხოვრობს. ასეთი წარმოდგენის შედეგად დაიწერა „სორაია კომაში“, რომელიც არნახული რაოდენობით გაიყიდა. ეს კი იმაზე მიუთითებს, თუ როგორ საღბუნევით დაედო ეს რომანი ირანში დარჩენილთა იარას. ავტორი - ესმაილ ფასიჰი - კარგი მწერალია. ამბავი კი ასეთი გახლავთ: ახალგაზრდა ქალი სორაია ავტოკატასტროფაში ხვდება და კომაში ვარდება. მას პარიზში აგზავნიან. ეს იქცევა წერის საბაზად იმ ირანელების, განსაკუთრებით, მწერლებისა და ხელოვანების შესახებ, რომლებიც იქ დახვდებიან. ავტორი უცნაურად ხატავს ამ ყველაფერს. ისე გამოსდის, თითქოს ირანელები, მაგალითად, მე და ჩემი მეგობრები, რომლებიც პარიზში ვცხოვრობთ, ღამის თერთმეტ საათზე შამპანურს გეახლებით.“<sup>15</sup>

იგივე დამოკიდებულება ჩანს „წასულების“ მიმართ ასადის ირანელი ნათესავების მხრიდანაც. წლები გავიდა და ძმამ და რძალმა წასვლა ვერ აპატიეს. თითქოს წარსულ პატიმრობაშიც და დღევანდელ ყოფით პრობლემებშიც ასადს სდებენ ბრალს და თავისუფალ და წარმატებულ ქვეყანაში ცხოვრებას ცოდვად უთვლიან. მანზარის შენიშვნაზე, თავისი წასვლის გამო ასადი დღესაც საზღაურს იხდისო, რძალი ღვარძლიანად პასუხობს: „რა საზღაურს იხდის, თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრობს. მამამისი მართალს ამბობდა, თავი გადაირჩინა, ჩვენ კი აქ დავრჩით.“<sup>16</sup>

ალბათ, ყველაზე დიდი ტკივილი და დარდი სწორედ ესაა, როცა უახლოეს ადამიანებს შორის უფსკრული ჩნდება და ამ უფსკრულის ამოვსება შეუძლებელი ჩანს.

ფარიბა ვაფის ინტერესის სფერო სწორედ ახლობელი ადამიანების ურთიერთობების რღვევა, გაუცხოების ტკივილი და სულში ჩამოწოლილი გამოუვალი სევდაა. მისი ფიქრის საგანი მუდამ ამ გამოუვლობიდან გამოსავლის ძიებაა. მას არასდროს აქვს დასმულ შეკითხვებზე კონკრეტული პასუხები, რადგან იცის, რომ ასეთი პასუხები ცხოვრებაში არ არსებობს. მის პერსონაჟებს და მკითხველებს მუდამ აქვთ არჩევნის უფლება.

რომანში „დასასრულის შემდეგ“ მარად ოპტიმისტი, მოუღალავი და კაცთმოყვარე მანზარის შემოყვანით ფარიბა ვაფი მკითხველს იმედს უტოვებს, რომ ყველაფერი მოგვარდება. მანზარისა და მარიამის, ასადისა და მისი ოჯახის, ნასრინისა და მისი შორეული ნათესავის დასრულებული ურთიერთობა გაგრძელდება. გაგრძელდება დასასრულის შემდეგ, რადგან, მანზარის თქმით, „სანამ ადამიანი ცოცხალია, არაფერი არ სრულდება“.

<sup>15</sup> გოლი თარაყი, ლექციის ჩანაწერი (თსუ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების შეხვედრა გოლი თარაყისთან), 2005 წ. 23 მაისი, ჟ. „არმადანი“ 2 (2017), 16, თარგმნა თ. შურღაიამ.

<sup>16</sup> ფარიბა ვაფი, „დასასრულის შემდეგ“, 223.

**Mzia Burjanadze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## **THE ISLAMIC REVOLUTION AND IRANIAN EMIGRANTS BEYOND FARIBA VAFI'S VEIL**

Fariba Vafi is one of the writers who has turned into an especially significant author in Iran and brought worldwide fame to the contemporary Persian prose. In 2017, her novel "Tarlan" was awarded the 'LiBeratur Prize'.

In an interview, the female writer noted: "It was my great desire to write about a woman's world. Who can describe a woman better than a woman herself? In my opinion, in our literature, there is still much to be said about the women's theme. There are plenty of hidden feelings and quiet female voices that have never been in the highlight."

Fariba Vafi's works always focus on the social problems of global importance. The author represents these problems, describing daily routine of housewives, working or intellectual women and their inner impulses. Vafi writes about gender issues, the hardships of revolutionary and post-revolutionary Iran, the problems of emigration and emigrants. She describes the pain of her characters - the real people around her. These topics form an inalienable part of her works. Her style is simple, laconic, full of humour and irony, and, at the same time, full of deep psychological nuances.

The given paper focuses on Fariba Vafi's novel "After the End", in particular, two important issues covered by the novel: the Islamic Revolution – post-revolutionary Iran, and Iranian emigrants – their problems and painful alienation between those who emigrated and those who stayed in the country.

The novel yields ample material regarding the revolutionary Iran and its post-revolutionary state. Yet, this material is presented covertly, in the form of "hints". The manner of understatement, slight "remembrance", "occasional" mention of the Islamic Revolution has been largely conditioned by strict censorship. The author speaks about this issue in her interviews, noting that, apart from official censorship, there is self-censorship, which, on the one hand, takes account of the official censorship and, on the other hand, follows the inner voice of the author. The technique of describing events and topics in half-tones is natural and organic for the author. She always speaks like this. It is her peculiar writing style, which is widely recognized and accepted by the reader.

The novel abounds in situations of discomfort and tension caused by religious dogma of Iran, but the key issues are related to the period of Revolution which has brought about an incurable wound for the country – the problem of emigration, the issue so familiar and widespread in the contemporary world.

The main character of the novel – Roya – never speaks about the dramatic events of the revolution. Only once, “slightly and accidentally”, she recalls a tragic scene: “the wrists in handcuffs flashed across my mind. My ears started to tingle and I had a hot flash”.

This is the case of censorship – self-censorship. The writer mentions a theme, but does not impose it on the reader. Whoever can see, will see; whoever can understand, will understand. Whatever has been said, is enough. The tragic reality of the revolutionary period has flashed by.

People have been forced to leave their homeland. They did not emigrate in search of better life. In the new country, they come across numerous problems: foreign language, alien culture, separation from family and severe loneliness.

“The arrival has not made me happier... Everything has lost its sense. I was spiritually destroyed to such an extent that, if anyone had noticed my state, they would have taken me to hospital and deprived me of my child”, - this is how Manzar recalls her first days in Sweden after arriving in Iran as a guest.

Personal problems and agitation are aggravated by the fact that Manzar’s child cannot adjust to the new environment and is unable to forgive Manzar for the emigration. There is a strong wall of alienation between mother and child. This wall cannot be destroyed by time, education or welfare.

Apart from numerous problems caused by culture bumps, the emigrants who seem to have settled in a peaceful, progressive and free country, suffer from severe nostalgia which, in the majority of cases, lasts for a lifetime.

Those who have remained in the country think that the emigrants are happy and often accuse them of treason.

Years have passed, but the brother and sister-in-law have not forgiven Asad. They consider his living in a free and successful country as a sin. When Manzar says that Asad still pays dear for his emigration, the sister-in-law makes a catty remark: “What does he pay for? He lives in a free country. His father was right: he has saved himself by escaping, and we have remained here”.

The gap between closely related people causes great pain and sorrow. It seems impossible to fill this gap.

Fariba Vafi constantly tries to find the way out of this situation. She never gives concrete answers to the questions in her novels, because she knows there are no answers in real life. It is Vafi’s characters and the reader who have to make a choice.

Manzar’s optimism in the novel fills the reader with hope that everything will be settled: the broken and ceased relationships between the main characters will be restored and continued after the end, because, according to Manzar, “while a person is alive, nothing ends”.

## გამოყენებული ლიტერატურა - References:

1. დაყიყი, მოჟდე, „პატარა და უბრალო რამეების გმირი“. ირანული ჟურნალი „დღევანდელი ქალები“ 2 (2015), ინტერვიუ ფარიბა ვაფისთან. <https://zananemrooz.com/article/196/%DA%AF%D9%81%D8%AA%E2%80%8C%D9%88%DA%AF%D9%88-%D8%A8%D8%A7-%D9%81%D8%B1%DB%8C%D8%A8%D8%A7-%D9%88%D9%81%DB%8C>
2. ვაფი, ფარიბა. „დასასრულის შემდეგ“; სპარსულიდან თარგმნა ბ. ბურჯანაძემ. თბილისი, „ინტელექტი“, 2021.
3. შაქერი, აჰმად, ფარიბა ვაფის რომანი „დასასრულის შემდეგ“ ლიტერატურული კრიტიკის ოცდამეათე შეკრებაზე, ბიბლიოთეკა „ფირუზი“, თეირანი. 28 ივლისი, 2020. <http://a-shakeri.ir/?p=165>
4. თარაყი, გოლი, ლექციის ჩანაწერი (ოსუ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების შეხვედრა გოლი თარაყისთან), 2005 წ. 23 მაისი, ჟ. „არმადანი“ 2 (2017), 16, თარგმნა თ. შურღაიამ.

გრიგოლ ბერაძე,  
თამაზ აბაშიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

## XVII საუკუნის რამდენიმე სპარსული ისტორიული დოკუმენტის შესახებ\*

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოვადგენთ და განვიხილავთ სეფიანთა ეპოქის ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე და ადმინისტრაციულ სარბიელზე დაწინაურებული და აღზევებული ქართული წარმომავლობის სამეფო *ლოლამები* (*ლოლამან-ე ხასსე-იე შარიფე*) ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებულ XVII საუკუნის აქამდე ნაკლებად ცნობილ რამდენიმე სპარსულ ისტორიულ დოკუმენტს.

უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი სპარსული დოკუმენტების დედნებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია, შემორჩენილია მხოლოდ მათი ასლები. ეს ასლები ნიმუშების სახით ჩართულია სეფიანთა პერიოდის დოკუმენტებისა და წერილების ორ ხელნაწერ კრებულში, რომელთაგან ერთი კრებულის ნუსხა ინახება ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში,<sup>1</sup> ხოლო მეორე ხელნაწერი კრებული დაცულია ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქ. ვენაში.<sup>2</sup> ამ დოკუმენტების (ასლების) ტექსტები უკანასკნელ ხანებამდე არ იყო გამოქვეყნებული და არ იყო ხელმისაწვდომი მეცნიერთა ფართო წრეებისთვის. პირველად ეს ისტორიული დოკუმენტები ბეჭდური სახით გამოქვეყნებულ იქნა მხოლოდ ამ ბოლო ათწლეულებში ირანელი მეცნიერების პროფ. ირაჯ აფშარის (Prof. Iraj Afshar, 1925-2011)<sup>3</sup> და პროფ. მოჰსენ ბაჰრამნეჰადის (Prof. Mohsen Bahramnezhad)<sup>4</sup> მიერ დასავლეთ ევროპაში დაცული ზემოდასახელებული ხელნაწერების ფოტოპირების საფუძველზე.

მეჩვიდმეტე საუკუნის სპარსული ისტორიული დოკუმენტების ეს ფრიად საყურადღებო პუბლიკაციები ჩვენ მოვიძიეთ და დავამუშავეთ შოთა რუსთაველის

---

\* სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „დოკუმენტები საქართველოს შესახებ ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში“ [საგრანტო ხელშეკრულება FR-18-7653] ფარგლებში.

ამ თემაზე მოკლე ანგარიში მოხსენების სახით წარვადგინეთ 2019 წლის 15 დეკემბერს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე. იხ.: გრიგოლ ბერაძე, თამაზ აბაშიძე, „მეჩვიდმეტე საუკუნის რამდენიმე სპარსული ისტორიული დოკუმენტის შესახებ“, საერთაშორისო კონფერენცია „აღმოსავლეთი და დასავლეთი: ლინგვისტური, კულტურული, ისტორიული ურთიერთობები“, მიძღვნილი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის 90-ე წლისთავისადმი, პროგრამა და თეზისები, გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), თბილისი, 2019, გვ. 147-150.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის **FR-18-7653** („დოკუმენტები საქართველოს შესახებ ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში“) ფარგლებში 2019 წლის აპრილ-მაისში ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სამეცნიერო მივლინების დროს.

ზემოდასახელებულ დოკუმენტთა კრებულებში XVII საუკუნის მრავალი სპარსული ისტორიული საბუთის და წერილების ასლებია თავმოყრილი: სახელ-დობრ, ოქსფორდში დაცული კრებული შეიცავს შაჰ აბას I-ის (1587-1629), შაჰ სეფი I-ის (1629-1642) და შაჰ აბას II-ის (1642-1666) მმართველობის დროინდელი 41 ისტორიული დოკუმენტის (ფირმანების, ჰოქმების, რაყამების) ასლებს, ხოლო ვენაში დაცულ კრებულში, რომელიც ე.წ. *ინშა*-ს ტიპის კომპენდიუმი<sup>5</sup> და შედგენილია წლების მანძილზე შაჰ აბას I-ისა და შაჰ სეფი I-ის დიდვეზირების კანცელარიაში მოღვაწე მოჰამად-ჰოსეინ იბნ ფაზლალაჰ ალ-ჰოსეინი ალ-თაფრემის (გარდ. 1631/32 წ. შემდეგ ახლო ხანებში) მიერ, წარმოდგენილია 52 წერილის (საუწყებო-სამოხელეო და პირადი მიმოწერის ნიმუშების) და 5 სამეფო ბრძანებულების ასლები.

XVII საუკუნის იმ სპარსული ისტორიული დოკუმენტებიდან, რომლებიც ასლების სახით შესულია ზემოხსენებულ ორ ხელნაწერ კრებულში, ამჟამად ჩვენთვის კონკრეტულად საინტერესოა მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტი, რომელთა შინაარსი შეეხება იმდროინდელ ირანში მოღვაწე ქართული წარმომავლობის მაღალჩინოსანი სამეფო *ლოლამების* ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა კონკრეტულ ასპექტებს. ქვემოთ წარმოდგენილია და განხილულია სწორედ ეს დოკუმენტები.

I. შაჰ აბას I-ის (1587-1629) სამი ბრძანებულება (*ჰოქმ*), რომლებიც ჰიჯრის 1033 წლის ჯუმადა I-ით (=1624 წლის 20 თებერვალი - 20 მარტი) და ჰიჯრის 1036 წლის შავვალთ (=1627 წლის 15 ივნისი - 13 ივლისი) თარიღდება. ამ დოკუმენტების ასლები წარმოდგენილია ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერ კრებულში (Bodleian Library, Oxford, MSS Polyglot Or. C.3), რომლის ტექსტი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ბეჭდური სახით პირველად გამოსცა პროფ. ირაჯ აფშარმა თეირანში.<sup>6</sup> დოკუმენტების შინაარსი ეხება ირანში ინგლისელთა (სახელდობრ, ინგლისური ოსტინდოეთის კომპანიის წარმომადგენელთა) სავაჭარო-კომერციული საქმიანობის კონკრეტულ ასპექტებს და გვიჩვენებს მათი საქმიანობის კონტროლისა და წარმოქმნილი პრობლემების დროულად მოგვარების საქმეში ძლიერი და დიდად გავლენიანი ქართული წარმომავლობის სამეფო *ლოლამის*, სახელგანთქმული ალავერდი ხან უნდილამის (გარდ. 1613 წ.) უფროსი ვაჟისა და მემკვიდრის, ფარსის, (და იმავდროულად ასევე ლარის, ქუჰგილუიეს და ბაჰრეინის)<sup>7</sup> *ბეგლარბეგის* და გამოჩენილი მხედართმთავრის იმამყული ხან უნდილამის (გარდ. 1632 წ.) ექსკლუზიურ როლსა და უფლებამოსილებას.<sup>8</sup>

**დოკუმენტი 1.** შაჰ აბას I-ის ბრძანებულება იმამყული ხან უნდილამის სახელზე,<sup>9</sup> დათარიღებული მთვარის ჰიჯრის 1033 წლის ჯუმადა I-ის თვით (=1624 წლის 20 თებერვალი - 20 მარტი). სპარსული ტექსტი და ქართული თარგმანი:

حکم جهان مطاع شد آنکه درین وقت چون ایالت و شوکت پناه، حشمت و جلالت دستگاه عالیجاه/ امیر الامرائی نظاما الایاله و الاقبال امام قلی خان بیگلربیگی فارس و لار و کوه گیلویه به موقف عرض/ رسانید که جماعت انگلیس آنچه لازمہ خدمت و جان سپاری است به عمل آورده در هیچ باب/ به تقصیر از خود راضی نمی شوند بنابراین ایشان را به شفقت شاهانه و توجه پادشاهانه سرفراز ساخته مقرر فرمودیم/ که من بعد آنچه راهداری اموال ایشان شود به شرط آنکه مال احدی را داخل مال خود ننمایند/ به انعام ایشان مقرر بوده باشد.

مستحفظان و ضابطان شوارع ممالک محروسه من بعد یک دینار به علت راهداری/ از اموال جماعت مذکورہ باز یافت ننموده به انعام ایشان مقرر دانند.

و مقرر فرمودیم که من بعد ابریشمی/ که به جماعت مذکورہ می فروشند از گیلان حمل نموده به دار السلطنه اصفهان آورند و آنچه کرایه و کمبود آن بوده باشد از سرکار/ خاصه شریفه حسب نموده از قرار وقری پنجاه تومان به ایشان مبیع نمایند.

و درین ابواب قدغن دانسته در عهده دانند.

تحریر/ فی شهر جمادی الاولی سنه ۱۰۳۳

„გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, რომ როგორც მმართველობისა და სიდიადის საფარველმა, დიდებულებისა და ბრწყინვალეების ძალამ, მაღალადგილოვანმა ამირთა ამირამ, მმართველობისა და სვებედნიერების მომწესრიგებელმა, ფარსის, ლარის და ქუჰ-გილუიეს ბეგლარბეგმა იმამყული ხანმა ამჟამად მოგვახსენა, ინგლისის (ინგლისელთა) ჯამა'ათის<sup>10</sup> [წარმომადგენლებმა] შეასრულეს, რაც კეთილმსახურებისა და თავდადებისთვის არის აუცილებელი, მაგრამ ისინი მაინც კმაყოფილი არ არიან. ამიტომ, [ჩვენი] ხელმწიფური წყალობითა და ყურადღებით მათი გაბედნიერებისთვის დავადგინეთ, რომ ამიერიდან რაც კი მათ ქონება-საქონელზე საგზაო საბაჟო გასახადი (რაჰდარი)<sup>11</sup> იქნება [დაანგარიშებული], იმ პირობით, რომ თავის საერთო ქონებაში ცალკეული [პირის] ქონებას არ მიუთითებენ, მათთვის ნაჩუქრად გამოცხადდება.

ამიერიდან ამ ღვთივდაცული ქვეყნის<sup>12</sup> გზათა გუშაგებმა და შემმოწმებლებმა საგზაო ბაჟის სახით ზემოხსენებულ ჯამა'ათს აღარ გადაახდევინონ არც ერთი დინარი და მიიჩნიონ ეს [ჩვენგან] მათთვის ნაჩუქარ-ნაწყალობევად.

და [ასევე] დავადგინეთ, რომ ამიერიდან აზრემუმი,<sup>13</sup> რომელსაც ზემოხსენებულ ჯამა'ათს მიჰყიდიან, გილანიდან<sup>14</sup> უნდა წამოიღონ და ჩამოიტანონ სატახტო ქალაქ ისფაჰანში, სადაც რაც კი ქირავნობის საზღაური და [რაიმე] დანაკლისი იქნება, ჩვენი უავგუსტოესი სამეფო ქონების მმართველ უწყებაში დაიანგარიშონ და მათ (ინგლისელ ვაჭრებს) ყოველი 1 ვაყრი<sup>15</sup> [აზრემუმი] 50 თუმნად მიჰყიდონ.

ამის შესახებ ბრძანება იცოდნენ და [მისი შესრულება] სავალდებულოდ მიიჩნიონ. დაიწერა 1033 წლის ჯუმადა I-ის თვეში.“

**დოკუმენტი 2.** შაჰ 'აბას I-ის ბრძანებულება იმამყული ხან უნდილაძის სახელზე,<sup>16</sup> დათარიღებული მთვარის ჰიჯრის 1036 წლის შავვალის თვით (=1627 წლის 15 ივნისი - 13 ივლისი). ქართული თარგმანი:

„გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, რომ მმართველობისა და სიდიადის საფარველმა, დიდებულებისა და ბრწყინვალეების ძალამ, მაღალადგილოვანმა ამირთა ამირამ, მმართველობისა და სვებედნიერების მომწესრიგებელმა, ფარსის, ლარის, ბაჰრეინის, ქუჰ-გილუიეს და ჯარუნის



(=ჰორმუზის) ბეგლარბეგმა იმამყული ხანმა კურდღლის წლის დამდეგიდან (=ჰიჯრის 1036 წ.) ყოველწლიურად ინგლისის *ჯამათს* წინაღობებისა და ხელის შეშლის გარეშე ზღვით გამგზავრებისას ცხრა ცხენის გაყვანის ნება დართოს. ევროპელთა და მუსლიმთა ჯგუფებმა ხელშეწყობის ვალდებულების შეუსრულებ-ლობით ისინი (ინგლისელი ვაჭრები) არ უნდა შეაწუხონ და ამ საკითხებში იგი (იმამყული ხანი) ვალდებულია, რომ მათ (ინგლისელებს) დახმარება გაუწიოს.

ამის შესახებ ბრძანება იცოდნენ და [მისი შესრულება] სავალდებულოდ მიიჩნიონ. დაიწერა 1036 წლის შავვალის თვეში.“

**დოკუმენტი 3.** შაჰ 'აბას I-ის ბრძანებულება იმამყული ხან უნდილაძის სახელზე,<sup>17</sup> დათარიღებული მთვარის ჰიჯრის 1036 წლის შავვალის თვით (=1627 წლის 15 ივნისი - 13 ივლისი). ქართული თარგმანი:

„გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, რომ მმართველობისა და სიდიადის საფარველმა, დიდებულებისა და ბრწყინვალეების ძალამ, მაღალადგილოვანმა ამირთა ამირამ, მმართველობისა და სვებედნიერების მომწესრიგებელმა, ფარსის, ლარის, ბაჰრეინის, ქუჰ-გილუის და ჯარუნის (=ჰორმუზის) ბეგლარბეგმა იმამყული ხანმა უნდა უწყოდეს [შემდეგი]: როგორც ინგლისელმა კაპიტანმა ბარტმა<sup>18</sup> შეგვატყობინა, საბაჟო გადასახადებთან<sup>19</sup> დაკავშირებით მას მოქმედი [პირობების] შესაბამისად არ ექცევიან. აუცილებელია, რომ ამ გადასახადებთან მიმართებაში ზემოხსენებულ კაპიტან ბარტს მოექცნენ იმგვარადვე, როგორც აქამდე კაპიტან *ჯ.ი.ი.ი.*-ს<sup>20</sup> მიმართ [ხელშეკრულებით] იყო დადგენილი, რათა ის არ შეაფერხონ და ისე იმოქმედონ, რომ ხსენებული ხელშეკრულების [პირობებს] არც რაიმე დაემატოს და არც რაიმე მოაკლდეს.

ამის შესახებ ბრძანება იცოდნენ და [მისი შესრულება] სავალდებულოდ მიიჩნიონ. დაიწერა 1036 წლის შავვალის თვეში.“

**II.** თავად ზემოხსენებული იმამყული ხან უნდილაძის (გარდ. 1632 წ.) მიერ გაცემული სამი განკარგულება (*რაცამი ან ფარვანე*) რომლებიც ჰიჯრის 1039 წლის საფარის და რაბი' I-ის თვეებით თარიღდება (=1629 წლის სექტემბერ-ნოემბერი), ანუ არონოლოგიურად განეკუთვნება შაჰ 'აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ სეფიანთა სამეფო ტახტზე ასული შაჰ სეფი I-ის (1629-1642) ზეობის პირველ წელს. თავისი შინაარსით ეს დოკუმენტებიც უცხოელ (კერძოდ კი ინგლისელ) ვაჭართა საქმიანობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს ეხება. ამ ისტორიული საბუთების ასლები ასევე წარმოდგენილია ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერ კრებულში (Bodleian Library, Oxford, MSS Polyglot Or. C.3), რომლის ტექსტი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ბეჭდური სახით პირველად გამოსცა პროფ. ირაჯ აფშარმა.

**დოკუმენტი 4.** იმამყული ხანის განკარგულება,<sup>21</sup> დათარიღებული მთვარის ჰიჯრის 1039 წლის საფარის თვით (=1629 წლის 20 სექტემბერი - 18 ოქტომბერი). სპარსული ტექსტი და ქართული თარგმანი:

مقرر است که چون حسب الحکم جهان مطاع آفتاب شعاع، لازال/ نافذ الی الاقطاع و الارباع مقرر شده که از ابتدای ٹیلان نیل همه ساله به دستور ایام شاه جنت مکان علیین/ آشیان انار الله برهانه جماعت انگلیس نه رأس اسپ به سفر دریا برند و جماعت فرنگی و مسلمان/ تکلیف مساعده به ایشان ننموده متعرض نگردند.

بنابراین می‌باید که حاکم بندر عباسی و متصدی/ عشور بنکسار و مستحفظان شوارع مانع بردن اسپان مذکور نشده گذارند که نه رأس اسپ را/ برند و نگذارند که احدی از جانب فرنگی و مسلمان تکلیف مساعده به ایشان نمایند./

و در هر باب به حکم اشرف عمل نموده قدغن دانند.

تحریرا فی شهر صفر ختم بالخیر/ و الظفر سنه ۱۰۳۹

„დადგენილია, რომ როგორც განსაზღვრულია ქვეყნიერება რომ ემორჩილება იმ ბრძანებით მზის სხივოსანი [შაჰისა],<sup>22</sup> – მარად აღწევდეს (ძალაუფლება მისი) სამყაროს ყველა მხარესა და კუთხეს! –, სამოთხეში დამკვიდრებული [და] ზემთაცის ბინადარი შაჰის<sup>23</sup> – ალაჰიმც მოჰყენს შუქს მის მტკიცებულებას! – ზეობის დროს მოქმედი განკარგულების შესაბამისად, ინგლისის ჯამა'ათს გველის წლის დასაწყისიდან (=ჰიჯრის 1038 წ.) მოყოლებული ყოველწლიურად შეუძლია ცხრა ცხენის გაყვანა ზღვით, ხოლო ფრანკთა (ფარანგი)<sup>24</sup> და მუსლიმთა ჯგუფებმა მათგან ხელშეწყობის საზღაური არ უნდა მოითხოვონ და [ისინი] არ უნდა შეაწუხონ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ბანდარ 'აბასის მმართველი, საბაჟო საწყობის გამგე და გადასახადების ამკრებები არ შეეწინააღმდეგონ ზემოხსენებული ცხენების წაყვანას და (ინგლისელებს) ცხრა ცხენის გაყვანის ნება მისცენ. [ამასთანავე] მათ არ უნდა დაუშვან, რომ ვინმემ ფრანკთა და მუსლიმთაგან მათ ხელშეწყობის საზღაურის მოთხოვნა დაუწყოს.

ამ ყველაფრის შესახებ უკეთილშობილესი ბრძანება იცოდნენ და მის შესაბამისად იმოქმედონ.

დაიწერა 1039 წლის საფარის თვეში“.

**დოკუმენტი 5.** იმამყული ხანის განკარგულება,<sup>25</sup> დათარიღებული მთვარის ჰიჯრის 1039 წლის რაბი' I-ის თვით (=1629 წლის 19 ოქტომბერი - 17 ნოემბერი). ქართული თარგმანი:

„დადგენილია, რომ ყოველთვის, როცა ინგლისის ჯამა'ათის სავაჭრო საქონლით დატვირთული ქარავანი (მარხანე) შემოვა, ყოველი პუნქტის რაჰდარებმა<sup>26</sup> და ციხე-სიმაგრეების მცველებმა საგზაო ბაჟისა (რაჰდარი) და სხვა მოსაკრებელი თანხების მოთხოვნით ზემოხსენებული [ინგლისელი ვაჭრები] არ შეაწუხონ, თავი მათ მიმართ დახმარების, ხელშეწყობის, თანადგომისა და მეთვალყურეობის [ვალდებულებისგან] განთავისუფლებულად არ წარმოიდგინონ და ისე მოიქცენ, რომ მათი კმაყოფილება გამოიწვიონ, რათა ისინი მადლობელი და მადლიერი იყვნენ. და ყველგან, სადაც კი მათი სავაჭრო საქონელი შევა, [ეს საქონელი] დაიცვან და ისე იმოქმედონ, რომ მათ ქონებას არაფერი დააკლდეს.

ამის შესახებ ბრძანება იცოდნენ და [მისი შესრულება] სავალდებულოდ მიიჩნიონ. დაიწერა 1039 წლის რაბი' I-ის თვეში.

დადგენილი არის, რომ გზათა მცველებმა იმოქმედონ იმ განაწესის შესაბამისად, რომლითაც წლების განმავლობაში მათ მიმართ მოქმედებდნენ და ეს [განაწესი] არ დაარღვიონ.“

**დოკუმენტი 6.** იმამყული ხანის განკარგულება,<sup>27</sup> დათარიღებული მთვარის ჰიჯრის 1039 წლის რაბი' I-ის თვით (=1629 წლის 19 ოქტომბერი - 17 ნოემბერი). ქართული თარგმანი:

„დადგენილის თანახმად, საბაჟო საწყობის გამგემ და გადასახადების ამკრებმა უნდა უწყოდნენ, რომ როცა მმართველობის და გამგებლობის საფარველის, დიდებულებისა და აღმატებულ ღირსებათა ძალის, ქრისტიანი ამირებიდან გამორჩეულის, მმართველობასა და დიდებულებაში სიმამაცით მოსილი ინგლისელი კაპიტან ბარტის<sup>28</sup> რწმუნებული იქ მივა, გადასახადთა განაწილებისას ზემოხსენებულის მიმართ რაიმე გადამეტება და ძალადობა არ დაუშვან. დადგენილი წესისამებრ, როცა სოვდაგრებს ქსოვილები და [სხვა] საქონელი ბანდარ 'აბასში ჩააქვთ, მთელი ეს საქონელი მათ საბაჟო საწყობში უნდა მიიტანონ და სხვა ადგილას არ უნდა წაიღონ და ზემოხსენებული მმართველობის საფარველის (კაპიტან ბარტის) რწმუნებულის თანდასწრებით უნდა მოხდეს გადასახადთა აღება. ყოველთვის, როცა საბაჟო საწყობში [საქონელი] დაილუქება, ეს დალუქვა ზემოხსენებულ რწმუნებულთან ერთად უნდა განხორციელდეს და ასევე მისი თანდასწრებითვე უნდა მოხდეს ლუქის ახსნა. ზემოხსენებულს ჩინებულად უნდა მოექცნენ და ისე იმოქმედონ, რომ იგი კმაყოფილი და მადლიერი იყოს. და თუკი რომელიმე სოვდაგარი თავის საქონელს გადასახადებისგან განარიდებს, გადამალავს და არ გამოაჩენს, ის ადრე დადგენილი წესის შესაბამისად უნდა დასაჯონ და დააკავონ, რათა ეს სხვებისთვის სამაგალითო გახდეს.

ამის შესახებ ბრძანება იცოდნენ და [მისი შესრულება] სავალდებულოდ მიიჩნიონ. დაიწერა 1039 წლის რაბი' I-ის თვეში“.

**III.** შაჰ სეფი I-ის (1629-1642) ბრძანებულება, გაგზავნილი სეფიყული ხანის სახელზე (საბუთის ასლს თარიღი არ აქვს).

შაჰის ამ ბრძანებულების ადრესატია ფრიად ავტორიტეტული სამეფო *ლოლამი*, ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე აღზევებული მირიმანიძეების საგვარეულოს თვალსაჩინო წარმომადგენელი სეფიყული ხანი (მირიმანიძე),<sup>29</sup> რომელიც იმ პერიოდში იყო ჰამადანის ბეგლარბეგი (1621 წლიდან)<sup>30</sup> და ბაღდადის (და მთლიანად „არაბული ერის“, *ერაყ-ე არაბი*) ბეგლარბეგი (1623 წლიდან). ის იმავდროულად (იმავე 1623 წლიდან) ასრულებდა ქალაქ ნაჯაფის *ყურჩიების* მეთაურის (*ყურჩი-ბაში*) ფუნქციასაც და მას ასევე მინდობილი ჰქონდა “ჰარამ ალ-ქაზიმინის“ ანუ ბაღდადის ჩრდილო-დასავლეთ შემოგარენში დაკრძალული შიიტთა ორი იმამის [მეშვიდე იმამის მუსა იბნ ჯა'ფარ ალ-ქაზიმის (გარდ. 799 წ.) და მეცხრე იმამის მუჰამად იბნ 'ალი ალ-თაყი ალ-ჯავადის (გარდ. 835 წ.)] აკლდამებისა და მეჩეთის *მუთავალიობა* (დაცვა, მოვლა-პატრონობა, ზედამხედველობა და მეურვეობა).<sup>31</sup> ეს სეფიყული ხანი ასევე ატარებდა *ლაკაბს* (ტიტული-ეპითეტი, საპატიო მეტსახელი) „შირ-ალი“ ('ალის ლომი), რომელიც მას უბოძა თვით შაჰ 'აბას I-მა 1623 წელს ოსმალებთან ბრძოლისას ბაღდადის აღების ოპერაციაში სპარსელთა ჯარის წარმატებული სარდლობისა და

გამოჩენილი პირადი მამაცობისათვის. ის დიდი ავტორიტეტით, პატივისცემით და ნდობით სარგებლობდა როგორც შაჰ 'აბას I-ის, ისე შაჰ სეფი I-ის მხრიდან (1629 წელს ის აქტიურად უჭერდა მხარს შაჰ სეფი I-ს ირანის ტახტზე ასვლაში). სეფიყული ხანი გარდაიცვალა მთვარის ჰიჯრის 1040 წლის ჯუმადა II-ის თვეში (ანუ 1631 წლის იანვარში), რის შემდეგაც შაჰ სეფი I-მა ბაღდადის მმართველობა ჩააბარა და ხანის ტიტული უბოძა განსვენებული ხანის ახლო ნათესავს ბექთაშ ბეგს (გარდ. 1639 წ.),<sup>32</sup> რომელიც მანამდე სამეფო *ლოლამების* ასმეთაური (*იუზბაში*) იყო.

ჩვენთვის საინტერესო სამეფო ბრძანებულების თანახმად, შაჰ სეფი I ავალდებულებს სეფიყული ხანს, რომ მან თავისი ქალიშვილი დაუყოვნებლივ წარგზავნოს შაჰის სასახლეში, რათა ის ცოლად შერთონ ჰაიდარ ბეგს, ცნობილი ყიზილბაში *სეფაჰალარის*, *ვაქილისა* და *დივანის იმიჯყასი-ბაშის* ზეინალ ხან შამლუს (გარდ. 1630 წ.)<sup>33</sup> ვაჟიშვილს. ბრძანებულების შინაარსი მეტყველებს შაჰის გადაწყვეტილებაზე, რომ ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი და დაპირისპირებული ეს ორი მაღალჩინოსანი (ანუ სეფიყული ხანი და ზეინალ ხან შამლუ) აუცილებლად უნდა შეურიგდნენ ერთმანეთს და დამოყვრდნენ შვილთა დაქორწინების გზით. მართალია, ამ ქორწინებას ზემოხსენებულ პირთა და მათ კლანებს შორის არსებული მტრული დაპირისპირება<sup>34</sup> არ შეუწელებია, მაგრამ ეშმაკი და ცბიერი შაჰის ამგვარი გადაწყვეტილება და შესაბამისი ბრძანებულება, რომელიც ზომაზე მეტად გაძლიერებულ-გაყოყმობილი ზეინალ ხან შამლუსა და მისი კლანის კონტროლს, მოთოკვასა და დათრგუნვას ისახავდა მიზნად (სულ მცირე ხნის შემდეგ შაჰმა ამ მიზანს სისხლიანი რეპრესიებით მიაღწია), იმდროინდელი ირანის პოლიტიკური და სოციალური ისტორიის ერთი საკმაოდ საინტერესო ეპიზოდია. განსახილველი სპარსული დოკუმენტის ასლში კონკრეტული თარიღი არ არის მითითებული, მაგრამ იმდროინდელი მოვლენებისა და ფაქტების ქრონოლოგიას თუ გავითვალისწინებთ, შაჰის ბრძანებულება გაცემული უნდა იყოს 1629-1630 წლების მიჯნაზე, ჰიჯრის 1039 წლის ზულ-ჰიჯას თვის 6 რიცხვში (=1630 წლის 17 ივლისი) იმავე შაჰ სეფი I-ის ბრძანებით ზეინალ ხან შამლუს სიკვდილით დასჯამდე<sup>35</sup> რამდენიმე თვით ადრე.

სეფიყული ხანის სახელზე გაგზავნილი ამ სამეფო ბრძანებულების სპარსული ტექსტის ასლი ჩართულია შაჰ 'აბას I-ისა და შაჰ სეფი I-ის დიდგვებების კანცელარიაში წერილებისა და სხვადასხვა საბუთების შემდგენლად მოღვაწე მოჰამად-ჰოსეინ იბნ ფაზლალაჰ ალ-ჰოსეინი ალ-თაფრემის (გარდ. 1631/32 წლის შემდეგ) მიერ შედგენილ კრებულში, რომელიც ინახება ავსტრიის ეროვნული ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში ქალაქ ვენაში და რომლის სრული ტექსტი (მათ შორის ამჟამად ჩვენთვის საინტერესო სამეფო ბრძანებულება, N.F. 50, fol. 97a-b), როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბეჭდური სახით პირველად გამოსცა ირანელმა მეცნიერმა პროფ. მოჰსენ ბაჰრამნეჟადმა 1390/2011 წელს თეირანში<sup>36</sup>, რომელმაც ამასთანავე ორი სტატია მიუძღვნა ჩვენთვის საყურადღებო დოკუმენტს.<sup>37</sup>

**დოკუმენტი 7.** შაჰ სეფი I-ის ბრძანებულება სეფიყული ხან მირიმანიდის სახელზე.<sup>38</sup> სპარსული ტექსტი (ფაქსიმილე და ბეჭდური ტექსტი) და ქართული თარგმანი:



آن که چون مکنون خاطر غیبی سرایر نواب همایون ما ایتلاف قلوب و التیام صدور کافه انام است، سیما غلامان و فدویان این درگاه که در مقام یک‌جهتی و یکسان‌نشینی ثابت قدم بوده و جهت همت‌ایشان در امثال اوامر و نواهی شاهنشاهی یگانگی و یکتادلی باشد. لهذا شمه از مراحم بی‌دریغ شاهنشاهی شامل حال ایالت و شوکت‌پناه، نصفت و معدلت‌دستگاه، عالیجاه کمالات‌لالیاله والشوکه والاقبال صفی‌قلی خان قورچی‌باشی حضرت امیرالمؤمنین و امام‌المتقین اسدالله الغالب صلوات الله علیه و متولی مشهدين و بیگلربیگی عراق عرب و قلمرو علی‌شکر فرموده، مقرر فرمودیم که صبیئه جلیله خود را به درگاه گیتی‌پناه به حرم همایون فرستد که موافق قانون شریعت مقدسه در قید ازدواج خلف‌الخوانین العظام حیدربیگ ولد ایالت و شوکت و اقبال‌پناه، حشمت و عظمت و اجلال‌دستگاه، عالیجاه مجاهداً لالیاله والعظمه والاقبال، زینل‌خان شاملو ایشیک‌آقاسی‌باشی سپهسالار درآوریم تا روابط ظاهری میانه این دو سلسله با تطابق معنوی صورت توافق پذیرفته، حقیقت یگانگی و اتحاد و یکدلی و وداد بر عالمیان روشن و هویدا گشته، توهم مغایرت ارتفاح پذیرد. تحریراً فی شهر فلان

„[გამოვიდა მაღალი ბრძანებულება] მასზე, რომ: ამ სამეფო კარის *ლოლამები* და თავდადებული მსახურები (*ფადავიან*) თავიანთ ერთსულოვნებაში მუდამ ურყევი და ხელმწიფის ბრძანებებისადმი მორჩილი უნდა იყვნენ, რითაც განაპირობებულია ჩვენი ეს უშურველი მცირედი წყალობა, რომელიც შეეხება მმართველობისა და სიდიადის საფარველს, მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის ძალას, მმართველობასა, სიდიადესა და სვებედნიერებაში სრულყოფილ მაღალადგილოვან სეფიყული ხანს, რომელიც არის მართლმორწმუნეთა მბრძანებლისა და ღვთისმოსავთა იმამის, ძლევამოსილი ალაჰის ლომის<sup>39</sup> – *ალაჰის ლოცვა-კურთხევა იყოს მასზე!* – *ყურჩიების* მეთაური (*ყურჩი-ბაში*),<sup>40</sup> ორი წმინდა აკლდამის (*მამჰადაინ*) *მუთავალი*<sup>41</sup> და არაბული ერაცისა და ჰამადანის (*ყალამროვ-ე 'ალიშაქარ*) *ბეგლარბეგი*, რომლის მიმართ ჩვენ დავადგინეთ შემდეგი: მან თავისი დიდებული ქალიშვილი უნდა გამოგზავნოს ქვეყნიერების მფარველის სამეფო კარზე ჩვენი უავგუსტოესობის ჰარემში, რათა ის წმინდა *შარი'ათის* კანონის შესაბამისად ცოლად შეერთოთ დიადი ხანების შთამომავალ ჰეიდარ ბეგს, მმართველობის, სიდიადის და სვებედნიერების საფარველის, დიდებულების, სიდიადისა და პატივის ძალის, მმართველობასა, სიდიადესა და სვებედნიერებაში თავდადებული მაღალ-ადგილოვანი *იშიქყასი-ბაშისა* და *სეფაჰსალარის* ზეინალ ხან შამლუს ვაჟიშვილს, რომ ამით ამ ორ საგვარეულოს შორის არსებული ხილული ურთიერთობა თანხმობაში მოვიდეს მათს არსობრივ ერთიანობასა და ერთსულოვნებასთან და [მათი] ერთიანობის, კავშირის, ერთსულოვნების და მეგობრობის ნამდვილობა ყველა ადამიანისთვის საცხებით ცხადი და ნათელი გახდეს და უთანხმოების მიმართ უარყოფითმა დამოკიდებულებამ იმძლავროს. დაიწერა ... თვეში<sup>42</sup> ...“.

ამ პუბლიკაციაში ჩვენ წარმოვადგინეთ მეჩვიდმეტე საუკუნის მხოლოდ რამდენიმე ახლად მოძიებული სპარსული ისტორიული დოკუმენტი, რომელთა შინაარსი შეეხება სეფიანთა ირანში მოღვაწე ქართველების (სახელდობრ, ქართული წარმომავლობის სამეფო *ლოლამების*) ცხოვრება-საქმიანობის სხვადასხვა დეტალებს. ვიმედოვნებთ, რომ შემდგომი კვლევა-ძიების პროცესში მიკვლეული იქნება და გამომზეურდება აღნიშნული თემატიკის თვალსაზრისით საყურადღებო კიდევ არაერთი სხვა აქამდე უცნობი სპარსული ისტორიული დოკუმენტი.

### შენიშვნები

1. Beeston, 1954, 81, No. 2621. ამ კრებულში (Bodleian Library, Oxford, MSS Polyglot Or. C.3) თავმოყრილი მთვარის ჰიჯრის 1033-1069 წლებით (=1624-1659 წწ.) დათარიღებული, სპარსული დოკუმენტების (ფირმანების, ჰოქმების, რაყამების) ასლები, რომელთა შინაარსი შეეხება ინგლისური (1707 წლიდან ბრიტანული) ოსტინდოეთის კომპანიის საქმიანობას ირანში. დოკუმენტები შეგროვებულია აგენტ Nicholas Buckeridge-ის მიერ, რომელიც 1645-1660 წლებში იყო ხსენებული კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი ირანში. იმავე თემატიკის სპარსული დოკუმენტების კიდევ ერთი კრებული დაცულია ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში ლონდონში (British Library, Harleian MSS 109). ორივე ეს კრებული მოკლედ არის მიმოხილული ინგლისელი მეცნიერის Ronald W. Ferrier-ის (1929-2003) ერთ-ერთ სტატიაში, რომელსაც დართული აქვს რამდენიმე საბუთის ფოტო; იხ.: Ferrier, 1986, 57-64.
2. კრებულის ხელნაწერი (N.F. 50), რომელიც შედგენილია მოჰამად-ჰოსეინ იბნ ფაზლალაჰ ალ-ჰოსეინი ალ-თაფრემის მიერ და დამოუკიდებელ ნაწილად ერთვის შაჰ სეფი I-ის (1629-1642) ზეობის პირველი წლების შესახებ იმავე ავტორის მცირე მოცულობის ისტორიული თხზულების ხელნაწერს, პირველად მოხსენიებულია Gustav Flügel-ის (1802-1870) კატალოგში; იხ.: Flügel, 1865, 261. № 281/2; Storey, 1936, 313, No. 390.
3. Afshar, 1380/2001, 3-53. ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული ამ კრებულის ხელნაწერში დოკუმენტების და წერილების ნიმუშები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არაა წარმოდგენილი, ხოლო პროფ. ირაჯ აფშარის გამოცემაში ეს მასალა ქრონოლოგიური პრინციპით არის დალაგებული.
4. Tafreshi, *Monsha'at-e Tafreshi*, 1390/2011. მოჰამად-ჰოსეინ იბნ ფაზლალაჰ ალ-ჰოსეინი ალ-თაფრემის მიერ შედგენილი კრებულის („*მონშა'ათ-ე თაფრემი*“) შესახებ იხილეთ, აგრეთვე: Bahramnezhad, 1387/ 2008, 93-124.
5. სეფიანთა ეპოქის ე.წ. *ინშა'-ს* (იგივე *მონშა'ათ-ის*) ტიპის ამგვარი კრებულების და ზოგადად ამ ჟანრის კომპენდიუმების ტრადიციის შესახებ ირანში იხ.: Mitchell, 1997, 173-209 (იქვე საკითხის ვრცელი ბიბლიოგრაფია).
6. Afshar, 1380/2001. 3-53.
7. უნდილაძეების ფეოდალური საგვარეულოს და ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა (ალავერდი ხანი, იმამყული ხანი, დაუდ ხანი, სეფიყული ხანი) სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და კულტურულ სარბიელზე

მოღვაწეობის შესახებ არსებობს ფრიად ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ, სპარსულ, ევროპულ და იაპონურ ენებზე (ზ. ავალიშვილი, ვ. გაბაშვილი, გ. ჟორდანი, ბ. გიორგაძე, დ. კაციტაძე, მ. სვანიძე, კ. კუცია, ი. ტაბაღა, მ. თოდუა, ჯ. გიუნაშვილი, მ. ფათემი, თ. ნატროშვილი, ნ. გელაშვილი, ი. რურუა, ბ. ჯავახია, ე. ხინთიბიძე, ჯ. ვათეიშვილი, ე. მამისთვალიშვილი, ა. სონღულაშვილი, თ. აბულაძე, მ. სუხიაშვილი, ზ. მჭედლიშვილი, გ. სანიკიძე, მ. ალექსიძე, გ. ბერაძე, რ. სეივორი, რ. მათე, მ. პისტოზო, ჯ. როტა, ჰ. მაედა, კ. მიტჩელი, ს. ბაბაიე, ქ. ბაბაიანი, მ. მორატო-არაგონესი, 'ა. ეყბალი, ნ. ფალსაფი, ფ. ნოვზადი, ლ. ჰონარფარი, ჯ. ყაემ-მაყამი, ჰ. ნორმური, ა. ეყთედარი, ე. ეშრაყი, ს. მულიანი, ჰ. აჰმადი, ჯ. სავაყები, მ. შაიესთეფარი, ჰ. მირ ჯა'ფარი, მ. სამი'ი, ა. ველაიათი, რ. იაჰია'ი, ა. რაფი'ი, ა. ჰექმათნია, ჯ. თუხანდე ჯანი, მ. მირ ქიაი, მ. მოჰაჯერი, ა. ყეზელბაშანი, ლ. რეზაზადე, მ. რაჰიმი და სხვ.). ამჯერად მხოლოდ უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე (2000 წლიდან) გამოქვეყნებულ ზოგიერთ პუბლიკაციებზე მითითებით შემოვიფარგლებით: გაბაშვილი, 2016, 186-199 (< გაბაშვილი, 1972, 64-84); Gabashvili, 2007, 35-58; კაციტაძე, 2001, 407, 413, 418-419, 460; კაციტაძე, 2001a, 39-41, 105-107; კაციტაძე, 2005, 119-127, 131-132, 371-372; კაციტაძე, 2012, 335; ჟორდანი, 2011, 12-15 (< ჟორდანი, 1984); გელაშვილი, 2009, 228-238; გელაშვილი, 2017, 19-20; Giunashvili, 2012, 139-156 (< Giunashvili, 1997, 51-63); Mikaberidze, 2007, 113-114, 519; *100 ქართველი უცხოეთში*, 2010, 19, 107, 167; მჭედლიშვილი, 2010, 71-85; ხინთიბიძე, 2012, 5-31; ხინთიბიძე, 2016, 133-153; მამისთვალიშვილი, 2011, 313-323; მამისთვალიშვილი, 2012, 22-45; სუხიაშვილი, 2000, 92-99; სუხიაშვილი, 2003, 93-95; სუხიაშვილი, 2005, 187-204; სუხიაშვილი, 2005a, 49-63; სუხიაშვილი, 2006; სანიკიძე, 2016, 48, 50, 53-54; ალექსიძე, 2015, 160-177, სურ. 1-10; Beradze, 2018, 59-60; ბერაძე, აბაშიძე, 2019, 147-150; ბერაძე, ალექსიძე, მოსიაშვილი, 2021; Mitchell, 2000, 104-115; Matthee, 2001, 493-496; Matthee, 2015, 20-22; მაედა, 2001, 45-46; Maeda, 2003, 262-266; Maeda, 2006, 244-245, 252; მაედა, 2008, 35-41; Maeda, 2009; Maeda, 2009a, 49-66; Maeda, 1396/2017, 81-91; Babaie et al., 2004; Morató-Aragónés, 2016, 136-164; Muliyani, 1379/2000, 244-278; Sami'i, 1380/2001, 82-83; Sami'i, 1380/2001a, 153-155; Mir Ja'fari, 1382/2003, 131-156; Savagheb, 1382/2003, 107-150; Savagheb, 1389/2010, 1-34; Velayati, 1388/2009, 883-884; Tuzande Jani, 1390/2011; Rafi'i and Bamati, 1391/2012, 47-73; Mir Kiyayi, 1394/2015; Mohajer, 2015, 31-35; Hekmatniya and Ahmadi, 1396/2017; Ghezlbashan, 1399/2020, 167-172. *შენიშვნა*: გ. ბერაძე გამოსაცემად ამზადებს სეფიანთა ირანში მოღვაწე უნდილაძეების შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომების, სამეცნიერო-პოპულარული და ინფორმაციული ხასიათის პუბლიკაციების (მათ შორის ონლაინ ელექტრონული მასალის) ვრცელ ბიბლიოგრაფიას.

8. ამ სფეროში იმამყული ხანის განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში. ასე, მაგალითად, მსჯელობს რა შაჰ 'აბას I-ის სავაჭრო-ეკონომიკურ პოლიტიკაში აბრეშუმით ვაჭრობის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და უცხოელ ვაჭართა (კერძოდ, ინგლისური ოსტინდოეთის კომპანიის წარმომადგენელ ვაჭართა) საქმიანობაზე იმდროინდელ ირანში, ამერიკელი მკვლევარი პროფ. Linda K. Steinmann-ი შენიშნავს: "They were free to negotiate with the provincial governor of the territory they passed through, who was, in this case, Emāmqolī Khān. The English factors' letters and reports contain many references to the role played by Emāmqolī Khān in the silk trade. He served in two important capacities: first, as Khān of Fars and Jarūn (Hormuz) and, second, as an important go-between for the English



merchants with the shah. He issued his own written orders, called *parvānas*, which provided for the courteous treatment of the merchants while within his borders” (იხ.: Steinmann, 1987, 73).

9. Afshar, 1380/2001, 9, doc. 1 (47).

10. დოკუმენტის ტექსტშია „ჯამა‘ათ-ე ინგლის (*Jamā‘āt-e Englis*)“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ინგლისის (ინგლისელთა) საზოგადოება, ჯგუფები“. ამ ტერმინ-განმარტებას ვხვდებით აქ წარმოდგენილ სხვა სპარსულ დოკუმენტებშიც (იხ. აქვე, დოკ. 2, დოკ. 4, დოკ. 5). იგულისხმება ირანში ჩასული ინგლისელი ვაჭრები, უმთავრესად და უპირველესად კი ინგლისური ოსტინდოეთის კომპანიის „წარმომადგენელი ვაჭრები [ამ შემთხვევაში ტერმინი „ჯამა‘ათ (*jamā‘āt*)“ „კომპანიას (company)“ უნდა აღნიშნავდეს], რომლებსაც შაჰ ‘აბას I-მა, განსაკუთრებით 1622 წლის მოვლენების შემდეგ (მხედველობაში გვაქვს სპარსეთის ყურეში პორტუგალიელებთან ბრძოლასა და ჰორმუზისა და ყემმის აღების სამხედრო ოპერაციებში ირანის დასახმარებლად ინგლისური ოსტინდოეთის კომპანიის ხომალდების მონაწილეობა), საგანგებო შეღავათები და პრივილეგიები უბოძა.

11. საგზაო საბაჟო გადასახადს „რაჰდარი“ (*rāhdārī*) ეწოდებოდა, ხოლო და ამ გადასახადის ამკრებ გზათა გუშაგებს „რაჰდარები“ (*rāhdārān*). ეს „რაჰდარები“ როგორც თვით შაჰის, ისე ადგილობრივი ხანების მხრიდან საგანგებო უფლებამოსილებით იყვნენ აღჭურვილი და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფოს გზების, ხიდების, გადასასვლელების და საზღვრების კონტროლისა და მათი სარგებლობისთვის დაწესებული სახელმწიფო გადასახადების შეგროვების საქმეში. აღსანიშნავია, რომ როგორც ეს აქ წარმოდგენილი ამ კონკრეტული საბუთიდანაც ჩანს, შაჰ ‘აბას I-ის მიერ ინგლისელი ვაჭრებისთვის მინიჭებული ერთ-ერთი შეღავათი სწორედ საგზაო საბაჟო გადასახადებისგან (*რაჰდარი*) მათ განთავისუფლებას გულისხმობდა. იხ.: *Tadhkirat al-Mulūk*, 1943, 76, 180; Emerson, 1987, 318-327; Good, 2019, 187, 188.

12. სეფიანთა ეპოქის სპარსულ წერილობით წყაროებში ირანი ხშირად „ღვთივდაცულ ქვეყნად“ („*მამალექ-ე მაჰრუსე*“) იწოდება და იხსენიება (ამაზე იხილეთ, მაგალითად.: Savory, 1986, 351-352; Matthee, 2010, 242). ყაჯართა დინასტიის მმართველობის პერიოდში კი ეს იყო ირანის ოფიციალური სახელწოდება („*მამალექ-ე მაჰრუსე-იე ირან*“).

13. იგულისხმება ნედლი აბრეშუმის, რომელსაც იმდროინდელი ირანის საგარეო ვაჭრობაში უპირველესი ადგილი ეკავა და ირანში ჩასული ინგლისელი ვაჭრებიც უმთავრესად სწორედ ამ ირანული ნედლი აბრეშუმის დიდი ოდენობით შექმნით იყვნენ დაინტერესებული.

14. გილანის პროვინცია მეაბრეშუმეობის მთავარი ცენტრი იყო ირანში და იქაური საუკეთესო ხარისხის ნედლი აბრეშუმი უცხოელ ვაჭრებში დიდი მოთხოვნით სარგებლობდა.

15. წონის ერთეული (1 *კაყრი* უდრიდა დაახლოებით 120 კილოგრამს).

16. Afshar, 1380/2001, 10, doc. 3 (50).

17. Afshar, 1380/2001, 10-11, doc. 4 (61).

18. იგულისხმება ინგლისური ოსტინდოეთის კომპანიის აგენტი კაპიტანი უილიამ ბარტი (William Burt), რომელიც 1627 წლის იანვრიდან ოთხი წლის განმავლობაში იყო ამ კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი ირანში (ის გარდაიცვალა 1631 წლის დასაწყისში). უშუალოდ აგენტ უილიამ ბარტის შემდეგ ერთი წელიწადი ირანში ზემოხსენებული კომპანიის წარმომადგენელი იყო აგენტი ედვარდ ჰეინესი (Edward Heynes), ხოლო შემდეგ 1637 წლამდე აგენტი უილიამ გიბსონი (William Gibson); იხ.: Foster, 1909, 164-165, 168, 182, 188, 286, 325, 327ff.; Foster, 1910, 2, 39, 57, 139; Ferrier, 1986, 57-58, 62-63; Matthee, 1999, 133-134; Blow, 2009, 143, 144, 147. სხვათა შორის, აგენტი უილიამ ბარტი არაერთგზისაა მოხსენიებული თომას ჰერბერტის (1606-1682) ცნობილი მოგზაურობის წიგნის იმ ნაწილში, რომელიც 1627-1628 წლებში ინგლისის ელჩონის შემადგენლობაში ირანში მისი ვიზიტის აღწერას ეხება (იხ.: Herbert, 1928, 42, 50, 121, 149, 306).
19. ტექსტშია „*უშურ*“ (*‘ushūr*, სიტყვასიტყვით: „*მეთედები*“). პორტში საბაჟო გადასახადის შინაარსით ამ ტერმინის ხმარების შესახებ („თაჰკირათ ალ-მულუქის“ მიხედვით) იხ. პროფ. ვ. მინორსკის შენიშვნა: *Tadhkirat al-Mulūk*. 1943, 109, note 2.
20. კაპიტანის სახელი აქ დამახინჯებული უნდა იყოს და მისი იდენტიფიცირება არ ხერხდება. კონტექსტის მიხედვით, უნდა იგულისხმებოდეს ირანში კაპიტან ბარტის რომელიმე წინამორბედი ინგლისური ოსტინდოეთის კომპანიიდან.
21. Afshar, 1390/2001, 15, doc. 12 (42); cf. Ferrier, 1986, 61, Fig. 5.
22. იგულისხმება შაჰ სეფი I (1629-1642).
23. იგულისხმება შაჰ ‘აბას I (1587-1629).
24. ამ შემთხვევაში „ფრანკებში“ (*ფრანგი*) იგულისხმება სხვა (არა ინგლისელი) ევროპელები (მაგალითად, ჰოლანდიელები, ესპანელები, პორტუგალები, ფრანგები, იტალიელები და სხვ.).
25. Afshar, 1380/2001, 15-16, doc. 13 (43).43).
26. იხ. აქვე შენ. 11.
27. Afshar, 1380/2001, 16, doc. 14 (39).
28. იგულისხმება იმ წლებში ინგლისური ოსტინდოეთის კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი ირანში აგენტი უილიამ ბარტი (მის შესახებ იხილეთ ზემოთ, შენ. 18).
29. სეფიყული ხანი (მაჰმადიანობის მიღებამდე ის მირმანად იწოდებოდა; გარდ. 1631 წ.) ეკუთვნოდა მირიმანიძეების ფეოდალურ საგვარეულოს, რომლებიც იყვნენ სომხეთის მელიქები (ქვემო ქართლში). ამ საგვარეულოს ეთნიკური წარმომავლობის, ქვემო ქართლში მათი სამელიქოს და ირანის სამხედრო-ადმინისტრაციულ სარბიელზე მათი წარმომადგენლების მოღვაწეობის შესახებ, იხილეთ, მაგალითად: Maeda, 2003, 243-278; მაედა, 2008, 42-48; Maeda, 1396/2017, 57-68; Maeda, 2011, 104, 117, 119, 124, 127; Maeda, 2012, 476, 481; ბოშიშვილი, 2011, 176-183; ბოშიშვილი. 2012, 36, 48-51; ბოშიშვილი, 2012a, 67-95; Röhrborn, 1966, 34-35; Muliyani, 1379/2000, 279; Floor, 2001, 148, note 206; Kazemi, 1389/2010, 104-106; Ghezelbashan, 1399/2020, 157-160; Polczynski, 2014, 70, 84; <<https://en.wikipedia.org/wiki/Mirimanidze>>; <[https://en.wikipedia.org/wiki/Safiqoli\\_Khan](https://en.wikipedia.org/wiki/Safiqoli_Khan)>. ცხადია, „შირ ‘ალიდ“ წოდებული ეს სეფიყული ხანი (მირიმანიძე) არ უნდა აგვერიოს

იმამყული ხან უნდილაძის ვაჟთან სეფიყული ხან უნდილაძესთან; შდრ. კაციტაძე, 2005., 127.

30. ცნობილია, რომ მანამდე ის იყო ღოღამების *იუზბაში* ანუ ასმეთაური (1619 წ.), რომელიც შემდეგ ისფაჰანში ახალი ჯულფას *დარულად* დანიშნეს.
31. ბაღდადთან მდებარე „პარამ ალ-ქაზიმინის“ შესახებ იხ.: Litvak. 2013, 207-210. ის ფაქტი, რომ ში'იტთა ამ წმინდა აკლდამების *მუთავალის* (მმართველ-ზედამხედველის) ფუნქციის შესრულება შაჰ 'აბას I-მა მიანდო სეფიყული ხანს (და ამ ფუნქციას ის შაჰ სეფი I-ის დროსაც ასრულებდა), ანუ ყოფილ ქრისტიანს და შემდგომში გამაჰმადიანებულ სამეფო *ღოღამს* (მანამდე და მერეც ამ ფუნქციას მხოლოდ ფრიად ავტორიტეტული მუსლიმი *სეიდები* ასრულებდნენ), უნიკალური და გამონაკლისი შემთხვევაა სეფიანთა ში'იტური სახელმწიფოს ისტორიაში, რომელიც თვალნათლივ მეტყველებს კავკასიური (მათ შორის ქართული) წარმომავლობის სამეფო *ღოღამების* განსაკუთრებულ ავტორიტეტსა და აქტიურობაზე იმდროინდელი ირანის როგორც სამხედრო-პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სარბიელზე, ისე რელიგიური ცხოვრების სფეროშიც.
32. Mohammad-Ma'sum b. Khwajagi Esfahani, *Kholasat al-Siyar*, 1368/1989, 123-124; Eskandar Beg Torkeman Monshi va Mohammad Yusef Movarrehk. *Zeyl-e Tarikh-e 'Alam-ara-ye 'Abbasi*, 1317/1938, 126, 292; Valeh Qazvini Esfahani, *Iran dar zaman-e Shah Safi va Shah 'Abbasi* (1038-1071 h.q.), 1380/2001, 156; Vahid Qazvini, *Tarikh-e Jahan-Ara-ye 'Abbasi*. 1383/2004, 237; Tafreshi, *Tarikh-e Shah Safi*, 1388/2009, 70; Rota. 2009, 102-103, 149, 376-377; Tafreshi, *Monsha'at-e Tafreshi*, 1390/2011, 125-127; Röhrborn, 1966, 34-35; Matthee, 2001, 491; Bahramnezhad, , 1391/2012, 31-34.
33. ზეინალ ხან შამლუ იყო შამლუს ძლიერი და გავლენიანი ყიზილბაშური ტომის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, გამოცდილი დიპლომატი, სამხედრო სარდალი და სახელმწიფო მალაჩინოსანი. ზეინალ ხან შამლუ შედიოდა შაჰ 'აბას I-ის მიერ 1600-იანი წლების დამდეგს რუსეთსა და ევროპაში დიპლომატიური მისიით წარგზავნილი ელჩების ჯგუფში. ის ასევე ჰიჯრის 1029-1032 წლებში (=1619/20 - 1622/23 წწ.) დიპლომატიური მისიით იყო გაგზავნილი დიდ მოღოლთა კარზე ინდოეთში. შემდგომში შაჰ 'აბას I-მა მას მიანდო ჯარის სარდლის (*სეფაჰსალარ*) და სამეფო *დივანის* მთავარი ცერემონიამისტერის (*იშიქყასი-ბაში*) თანამდებობები. ამ თანამდებობებსა და ტიტულებს ის ინარჩუნებდა შაჰ სეფი I-ის ზეობის დასაწყისშიც, როცა ის იმავდროულად დაინიშნა ასევე ახალგაზრდა შაჰის მეურვედ (*ვაქილ*). მაგრამ ახალი სეფიანი მბრძანებლის კეთილგანწყობა ზეინალ ხან შამლუს მიმართ დიდხანს არ გაგრძელებულა. ჰამადანის მისადგომებთან ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლისას გამოჩენილი გულარხეინობის, დაუდევრობის ა და უხეში შეცდომის გამო შაჰ სეფი I-ის ბრძანებით ის სიკვდილით დასაჯეს 1630 წლის 17 ივლისს. ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ შაჰ სეფი I-ს იმ დროისთვის უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა გაძლიერებული და თავგასული ზეინალ ხან შამლუსა და მისი კლანის განადგურება, რის საბაზადაც მან გამოიყენა ზემოხსენებული ინციდენტი (იხ ქვემოთ, შენ. 35). აქვე საინტერესოა აღნიშნოს, რომ ჩვენამდე მოღწეულია ზეინალ ხან შამლუს ორი რეალისტური ევროპული პორტრეტი, შესრულებული 1604 წელს რომის საღვთო იმპერიის იმპერატორ როდოლფ II-სთან (1576-1612) შესახვედრად ქალაქ პრაღაში მისი ყოფნის დროს. ერთი პორტრეტი მხატვარ Aegidius Sadelsr-ის (გარდ. 1629

- წ.) მიერ შესრულებული გრავიურაა, ხოლო მეორე პორტრეტი დახატულია საღებავებით ეტრატზე Essaias Le Gillon-ის (გარდ, 1605 წლის შემდეგ) მიერ. ამ პორტრეტების დედნები და ასლები მსოფლიოს რამდენიმე მუზეუმსა და კერძო კოლექციებშია დაცული; იხ.: Falsafi, IV, 1341/1962, 101-102; Matthee, 2013, 26-27, Pls. 3, 4; Barazesh, 1392/2013, 428; [https://research.britishmuseum.org/research/collection\\_online/collection\\_object\\_details.aspx?objectId=3759649&partId=1&searchText=Sinal+Khan+Shamlu+&page=1](https://research.britishmuseum.org/research/collection_online/collection_object_details.aspx?objectId=3759649&partId=1&searchText=Sinal+Khan+Shamlu+&page=1)
34. ზეინალ ხან შამლუსა და მისი ყიზილბაშური კლანის მტრული დაპირისპირების შესახებ სეფიყული ხანთან და ირანში მოღვაწე სხვა ქართველებთან იხილეთ: Mehmannaavaz et al., 1393/2014, 186-189; Mehmannaavaz and Siyahpur, 1395/2016, 401-405.
35. ზეინალ ხან შამლუს ცხოვრება-მოღვაწეობის ბოლო პერიოდის და მთვარის ჰიჯრის 1039 წლის 6 ზულ-ჰიჯას (=1030 წლის 17 ივლისი) მისი სიკვდილით დასჯის შესახებ იხ.: Mohammad-Ma'sum b. Khwajagi Esfahani, 1368/1989, 93-94; Eskandar Beg Torkeman Monshi va Mohammad Yusef Movarrehk. 1317/1938, 51-52, 266, 291; Astarabadi, 1366/1987, 239; Monajjem Yazdi, 1397/2018, 269-270; Molla Kamal Monajjem, 1397/2018, 116; Valeh Qazvini Esfahani, 1380/2001, 64-65; *Do ketab-e nafis*, 1334/1955, 83; Vahid Qazvini, 1383/2004, 231; Mohammad Mohsen Mostowfi. 1375/1996., 107-108; Rota, 2009, 91-94, 354-355; Tafreshi, *Tarikh-e Shah Safi*, 1388/2009, 43, 232-233; Tafreshi, *Monsha'at-e Tafreshi*, 1390/2011, 120-122. ზეინალ ხან შამლუს შესახებ იხ. აგრეთვე: Savory, 1995, 607-608; Babayan, 1993, 102, 313; Floor, 2001, 13, 21; Babaie et al., 2004, 34-35, 38, 140, 154; Matthee, 2012, 36-37; Savagheb, 1391/2012, 29-30; Bahramnezhad, 1391/2012, 34-38; Mehmannaavaz et al., 1393/2014, 185-191; Mehmannaavaz and Siyahpur, 1395/2016, 401-405; შდრ. მჭედლიშვილი, 2010, 92.
36. Tafreshi, *Monsha'at-e Tafreshi*, 1390/2011. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმავე ვენის ზემოხსენებული ხელნაწერის (Flügel, I, 1865, 260-261. No. 281; Storey, 1936, 313, No. 390) პირველი ნაწილი (ანუ მოჰამად-ჰოსეინ იბნ ფაზლალაჰ ალ-ჰოსეინი ალ-თაფრემის მცირე მოცულობის ისტორიული თხზულება, რომელსაც დამოუკიდებელ მეორე ნაწილად ერთვის მისივე წერილებისა და დოკუმენტების ჩვენთვის საინტერესო კრებული), გამოსცა იმავე პროფ. მოჰსენ ბაჰრამნეჰადმა 2009 წელს თეირანში; იხ.: Tafreshi, *Tarikh-e Shah Safi*, 1388/2009 (მოჰამად-ჰოსეინ იბნ ფაზლალაჰ ალ-ჰოსეინი ალ-თაფრემის მცირე ზომის თხზულება წარმოდგენილია ამ გამოცემის მეორე ნაწილში, ხოლო პირველი ნაწილი ეთმობა მისივე ძმის აბულ მაფახერ იბნ ფაზლალაჰ ალ-ჰოსეინი ალ-თაფრემის უფრო ვრცელ ისტორიულ თხზულებას შაჰ სეფი I-ის მმართველობის დროინდელი ამბების შესახებ; საქართველოსა და ქართველების შესახებ ამ თხზულებაში დაცულ ცნობებზე იხ.: გელაშვილი, არჩვაძე, 2016). მოჰამად-ჰოსეინ იბნ ფაზლალაჰ ალ-ჰოსეინი ალ-თაფრემის მცირე ზომის თხზულების ვენაში დაცულ ხელნაწერთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: Rota, 1998, 161ff.
37. Bahramnezhad, 1391/2012, 22-42; Bahramnezhad, 1391/2012a, 1-14. შაჰ სეფი I-ის ამავე სამეფო ბრძანებულებას სეფიყული ხანის სახელზე შეეხო აგრეთვე იტალიელი მეცნიერი პროფ. ჯორჯო როტა (Prof. Giorgio Rota) თავის საინტერესო მოხსენებაში „კავკასიელი ლოლამები და 'სეფიანი' ქალბატონები, დაახლ. 1600-1722 (Caucasian *Gholams* and 'Safavid' Ladies, ca. 1600-1722)“, რომელიც მან წაიკითხა 2019 წლის 13 დეკემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთ-

მცოდნეობის ინსტიტუტში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „აღმოსავლეთი და დასავლეთი: ლინგვისტური, კულტურული და ისტორიული ურთიერთობები“ (International Conference *East and West: Linguistic, Cultural, Historical Interactions*).

38. Tafreshi, *Monsha'at-e Tafreshi*, 1390/2011, 89 (No. 54), 120-123, 125-127; იხ. აგრეთვე: Bahramnezhad, 1391/2012, 22-42; Bahramnezhad, 1391/2012a, 1-14.
39. იგულისხმება 'ალი იბნ აბი ტალიბი (გარდ. 661 წ.; დაკრძალულია ნაჯაფში) – მოციქულ მუჰამადის ბიძაშვილი და სიძე, მეოთხე მუსლიმი ხალიფა (656-661 წწ.) და ში'იტების უპირველესი და განსაკუთრებით სათაყვანებელი იმამი, რომელიც ტექსტში მოხსენიებულია როგორც „მართლმორწმუნეთა მბრძანებელი“, „ღვთისმოსავთა იმამი“ და „ძღვევამოსილი ალაჰის ლომი (*ასადულლაჰ ალ-ღალიბ*).“ ეპითეტი „ალაჰის ლომი“ იმამ 'ალის მრავალთაგან ერთ-ერთი ფრიად გავრცელებული საპატიო სახელი-ეპითეტია (გადმოცემის მიხედვით, „ალაჰის ლომი“ მას თვით მოციქულმა მუჰამადმა უწოდა).
40. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სეფიყული ხანი შეთავსებით დანიშნული იყო ნაჯაფის *ყურჩიების* მეთაურად, ანუ იმ ქალაქში მოქმედი *ყურჩიების* თავკაცად, სადაც დაკრძალულია იმამი 'ალი.
41. ზემოთ უკვე აღვნიშნული იყო, რომ სეფიყული ხანს მინდობილი ჰქონდა ბაღდადში მდებარე, ში'იტებისთვის წმინდა ორი აკლდამის (ში'იტთა მეშვიდე და მეცხრე იმამების აკლდამების) *მუთავალის* (ანუ მმართველ- ზედამხედველის) ფუნქცია.
42. ხელნაწერ კრებულში ეს დოკუმენტი ნიმუშის სახითაა ჩართული და ბოლოში არაა მითითებული ზუსტი თარიღი (ანუ წელი, თვე და რიცხვი), აღნიშნულია მხოლოდ ზოგადად, რომ „დაიწერა ამა და ამ თვეს“ (“*tahrīran fi shahr-i fulān*”).

Grigol Beradze,  
Tamaz Abashidze

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies*

## ON SOME PERSIAN HISTORICAL DOCUMENTS OF THE SEVENTEENTH CENTURY

The paper presents and discusses some Persian historical documents related to the life and activities of the shah's royal *gholāms* (*gholāmān-e khāṣṣe-ye sharīfe*) of Georgian origin, who played an active role in the military-political and administrative arena of Iran during the Safavid period. Reference is, in particular, to the following documents of the seventeenth century, published in Iran in recent years:

I. Three royal decrees (*hokm*) of Shah 'Abbas I (r. 1587-1629), dated Jumada I of 1033 AH (=20 February-20 March, 1624 AD) and Shawwal of 1036 AH (=15 June-13 July, 1627 AD). The content of these documents concerns some aspects of the trade activities of the English in the south of Iran and testifies to the exclusive role of the powerful Georgian *gholām*, the governor-general (*beglarbegī*) of Fars, Lar, Kuhgiluye and Bahrain Imamquli Khan (Undiladze; d. 1632) in the control of foreign merchants and timely resolution of the problems.

II. Three edicts (*raqam*) of the above-mentioned Imamquli Khan, dated Safar of 1039 AH (=20 September-18 October 1629 AD) and Rabi' I of 1039 AH (=19 October-17 November, 1629 AD), and relating also to the activities of foreign (English) merchants.

III. The royal decree of Shah Safi I (r. 1629-1642) addressed to the authoritative royal *gholām* Safiquli Khan (Mirimanidze; d. 1631 AD) – the governor-general (*beglarbegī*) of Arabian Iraq (*'Erāq-e 'Arabī*) and Hamadan, and commander of *qūrchīs* (*qūrchī-bāshī*) of Najaf, who also bore the *laqab* "Shīr-'Alī", given to him by Shah 'Abbas I. According to this decree, the Safavid ruler obliges Safiquli Khan to send his daughter immediately to the royal palace in order to marry her to Haydar Beg, a son of the renowned Qizilbash military commander-in-chief (*sepahsālār*), regent (*vakīl*) and chief master of ceremony (*īshīkāqāsī-bāshī*) Zaynal Khan Shamlu (d. 1630 AD). The content of the document indicates the shah's decision that the above two opposing dignitaries (i.e., Safiquli Khan and Zaynal Khan Shamlu) must make peace with each other and become relatives by the marriage of their children. Although the extant copy of this document does not indicate a specific date, the royal decree must be issued at the turn of 1629-1630 AD, a few months before the execution of Zaynal Khan Shamlu on 6 Zu'l-Hijja of 1039 AH (=17 July, 1630 AD).

The originals of the above Persian documents, unfortunately, have not been preserved. Only copies of them have survived, which are included in collections of documents and letters of the Safavid period, kept in the Bodleian Library of the University of Oxford (Bodleian Library, Oxford, MSS Polyglot Or. C.3; < documents referred to in paragraphs I and II) and in the Austrian National Library in Vienna (Österreichische Nationalbibliothek, Wien, N.F. 50, fol. 97a-b; < document referred to in the paragraph III). The texts of these historical documents (copies) were published in recent years by the Iranian scholars Prof. Iraj Afshar (1925-2011) and Prof. Mohsen Bahramnezhad [see: Iraj Afshar, *Daftar-e Tarikh. Majmu'e-ye Asnad va Manabe'-e Tarikhi*, Vol. I, Tehran: Entesharat-e Bonyad-e Mouqafat-e Doctor Mahmud Afshar, 1380/2001, 3-53; Mohammad-Hosayn ben Fazlallah Hosayni Tafreshi, *Monsha'at-e Tafreshi (Majmu'eyi az nameha-ye ekhvani va divani az douran-e Safaviye)*, Pazhuhesh, tashih va ta'liqat-e Dr. Mohsen Bahramnezhad, Tehran: Entesharat-e Ketabkhane, Muze va Markaz-e Asnad-e Majles-e Shoura-ye Eslami, 1390/2011]. We got acquainted with their publications during our visit to Islamic Republic of Iran in April-May 2019. in the framework of the research project FR-18-7653 ("Documents about Georgia in the Archives and Libraries of Iran"), funded by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

## ბიბლიოგრაფია - Bibliography

1. აბულაძე, თამარ. „ალავერდი-ხან უნდილაძე“. *ქართველი ისტორიული მოღვაწენი*, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (<http://qim.ge/alaverdixan%20undiladze1.html>).
2. აბულაძე, თამარ. „დაუდ-ხან უნდილაძე“. *ქართველი ისტორიული მოღვაწენი*, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (<http://www.qim.ge/daud%20xan%20undiladze.html>).
3. აბულაძე, თამარ. „იმამყული-ხან უნდილაძე“. *ქართველი ისტორიული მოღვაწენი*, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (<http://www.qim.ge/imamyuli%20xan%20undiladze.html>).
4. ალექსიძე, მარინა. „ყადრი შირაზი იმამყული ხან უნდილაძის ტრიუმფისა და დაცემის შესახებ“. *საისტორიო კრებული* 5 (თბილისი: გამომც. „მხედარი“, 2015): 160-177, სურ. 1-10.
5. ბერაძე, გრიგოლ, აბაშიძე, თამაზ. „მეჩვიდმეტე საუკუნის რამდენიმე სპარსული ისტორიული დოკუმენტის შესახებ“. საერთაშორისო კონფერენცია „აღმოსავლეთი და დასავლეთი: ლინგვისტური, კულტურული, ისტორიული ურთიერთობები“, მიძღვნილი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის 90-ე წლისთავისადმი, პროგრამა და თეზისები, გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), თბილისი, 2019, 147-150.
6. ბერაძე, გრიგოლ; ალექსიძე, მარინა; მოსიაშვილი, თამარ. „ქართველები სეფიანთა ირანში: უნდილაძეების საგვარეულოს წარმომადგენლებთან დაკავშირებული

- XVII საუკუნის რამდენიმე სპარსული და არაბული წარწერის შესახებ“, 2021 (სტატია იბეჭდება გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულში).
7. ბოშიშვილი, ალექსანდრე. „გორულის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხისათვის“. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. I, თბილისი, 2011, 176-183.
  8. ბოშიშვილი, ალექსანდრე. *ქვემო ქართლის მცირე სათავადოები (მელიქიშვილები, სოლაღაშვილები, დოლენჯიშვილები)*, სადოქტორო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012.
  9. ბოშიშვილი, ალექსანდრე. „სამელიქო ქვემო ქართლში. შაჰ აბასის მიერ ქვემო ქართლის მიწების მიტაცების მცდელობა“. *საისტორიო კრებული 2* (თბილისი: გამომც. „მხედარი“, 2012a): 67-95.
  10. გაბაშვილი, ვალერიან. „უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში (ქართული წყაროების ნიხედვით)“. *მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები*, ტ. II, თბილისი, 1972, 64-84.
  11. გაბაშვილი, ვალერიან. „უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში (ქართული წყაროების ნიხედვით)“. წიგნში: ვ. გაბაშვილი, *ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. I, თბილისი, 2016, 186-199.
  12. გელაშვილი, ნანა. „უნდილაძეთა საგვარეულო ირანის კულტურულ ასპარეზზე“. *სამეცნიერო პარადიგმები*. სამეცნიერო. კრებული მიძღვნილი პროფ. ნათელა ვაჩნაძისადმი, თბილისი: გამომც. “მერიდიანი”, 2009, 228-238.
  13. გელაშვილი, ნანა. „უნდილაძეთა საგვარეულოს მოღვაწეობის აღსასრული სეფიანთა ირანში სპარსულ წერილობით წყაროთა შუქზე“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები*, პროგრამა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2017, 19-20.
  14. გელაშვილი, ნანა; არჩვაძე, მალხაზ. „XVII საუკუნის სპარსული ნსაისტორიო წყარო ირან-საქართველოს ურთიერთობების შესახებ“. *აღმოსავლეთმცოდნეობა 5* (თბილისი: თბილისის ვუნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016): 370-377.
  15. კაციტაძე, დავით. *ირანის ისტორია, III-XVIII საუკუნეები*. თბილისი, 2001 (repr. 2009).
  16. კაციტაძე, დავით. *ვალერიან გაბაშვილი. ბიობიბლიოგრაფია*. თბილისი, 2001a.
  17. კაციტაძე, დავით. „ქართველები XVII საუკუნის ირანში“. *აღმოსავლეთი და კავკასია 3* (თბილისი, 2005): 118-139, 371-372.
  18. კაციტაძე, დავით. „დაუდ-ხანი“. *საქართველო. ენციკლოპედია*. ტ. 2. თბილისი, 2012, 335.
  19. მაედა, ჰიროტაკე. „ახალი ინფორმაცია ალავერდი ხანის შესახებ აფდალ ალ-თავარიხის მესამე ტომში“. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვალერიან გაბაშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები*. თბილისი, 2001, 45-46.



20. მაედა, ჰიროტაკე. *ქართველები სეფიანთა ირანში. დულამთა ოთხი ოჯახის ეთნოსოციალური წარმომავლობა*, თბილისი: გამომც. არტანუჯი, 2008 (მეორე გამოცემა გამოვიდა 2011 წ.).
21. მამისთვალისძევილი, ელდარ. „თეიმურაზ I-ისა და უნდილაძეების ანტიირანული აჯანყება“, წიგნში: ე. მამისთვალისძევილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია*, ტ. II, თბილისი: გამომც. „უნივერსალი“, 2011, 313-323.
22. მამისთვალისძევილი, ელდარ. „თეიმურაზ I-ისა და უნდილაძეების ანტიირანული აჯანყება“. *გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომების კრებული*, № 3, თბილისი, 2012, 22-45.
23. მჭედლისძევილი, ზურაბ. *ირან-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან*, თბილისი, 2010.
24. ჟორდანია, გივი. „თეიმურაზ მეფე და ძმანი უნდილაძენი“. *ისტორიული მემკვიდრეობა* 3 (16) (თბილისი, 2011): 12-15 [სტატიის ვრცელი ვარიანტი გამოქვეყნდა 1984 წელს. იხ.: *მნათობი* 5 (თბილისი, 1984): 137-147; *მნათობი* 6 (თბილისი, 1984): 154-168).
25. სანიკიძე, გიორგი. „შაჰ აბას I“. *ჩემი სამყარო* 13 (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი / რონდელის ფონდი, 2016): 46-55.
26. სუხიაშვილი, მაია. „XVII საუკუნის ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (უნდილაძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა პოეტური ნიმუშები)“. *ქართულ-ირანული ურთიერთობანი, I საერთაშორისო კონფერენციის მასალები*, ქუთაისი, 2000, 92-99.
27. სუხიაშვილი, მაია. „ირან-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან (უნდილაძეთა ლიტერატურული მოღვაწეობა)“, *პერსპექტივა - XXI* № 5 (თბილისი, 2003): 93-95.
28. სუხიაშვილი, მაია. „ირან-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან (დაუდ-ხან უნდილაძე)“. *პერსპექტივა - XXI* № 7 (თბილისი, 2005): 197-204.
29. სუხიაშვილი, მაია. „იმამ ყული-ხან უნდილაძე (ლიტერატურული წყაროების მიხედვით)“. *ქართულ-ირანული ურთიერთობანი, საერთაშორისო კონფერენციის მასალები*, II, ქუთაისი, 2005a, 49-63.
30. სუხიაშვილი, მაია. *სპარსული თეზქერეები როგორც წყარო ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVII ს.)*. საკანდიდატო დისერტაცია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბილისი, 2006.
31. ხინთიბიძე, ელგუჯა. „ალავერდი ხანი უნდილაძის სიტყვა შაჰ-აბას პირველის სამეფო კარზე (Speech of Alaverdi-Khan Undiladze at the Court of Shah Abbas I)“. *ქართველოლოგი // The Kartvelologist, Journal of Georgian Studies* 18 (3) (თბილისი, 2012):. 5-31.
32. ხინთიბიძე, ელგუჯა. *ვეფხისტყაოსანი შექსპირის და მისი თანამედროვეების ინგლისურ დრამატურგიაში*. თბილისი, 2016.

33. 100 ქართველი უცხოეთში // 100 грузин за рубежом // 100 Georgians Abroad. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქართული ენციკლოპედია, თბილისი, 2010.
34. Afshar, Iraj. *Daftar-e Tarikh. Majmu'e-ye Asnad va Manabe'-e Tarikhi*, Vol. I. Tehran: Entesharat-e Bonyad-e Mouqufat-e Doctor Mahmud Afshar, 1380/2001.
35. Astarabadi, Seyyid Hasan b. Morteza Hosayni, *Az Shaykh Safi ta Shah Safi az Tarikh-e Soltani*. Edited by Ehsan Eshraghi. Tehran: Entesharat-e 'Elmi, 1366/1987.
36. Babaie, Sussan; Babayan, Kathryn; Baghdiantz-McCabe, Ina; and Farhad. Massumeh. *Slaves of the Shah: New Elites of Safavid Iran*. London & New York; I.B. Tauris, 2004.
37. Babayan, Kathryn. *The Waning of the Qizilbash: The Spiritual and the Temporal in Seventeenth Century Iran*, PhD diss., Princeton University, 1993.
38. Bahramnezhad, Mohsen. "Monsha'at-e Mir Mohammad-Hosayn Tafreshi", *Ayine-ye Miras* VI/4 (43) (Tehran, 1387/2008): 93-124.
39. Bahramnezhad, Mohsen. "Tahlili bar yek farman az douran-e hokumat-e Shah Safi (1038-1052 q.). Takapuha-ye bithamar dar hal-e ekhtelaf-e Torkan-e Qezelbash va Gorjiyan va peyamadha-ye tarikhi-ye an". *Tahqiqat-e Tarikhi* 22/4 (Tehran, 1391/2012): 22-42.
40. Bahramnezhad, Mohsen. "Bazkhani va barrasi-ye yek sanad-e tarikhi". *Motale'at-e Tarikh-e Iran-e Eslami* I/1 (Tehran, 1391/2012a): 1-14.
41. Barazesh, Amirhosayn. *Ravabet-e siyasi va diplomatik-e Iran va jahan dar 'ahd-e Safaviye*. Tehran: Mo,'ssese-ye Entesharat-e Amir Kabir, 1392/2013.
42. Beeston, A.F.L. *Catalogue of the Persian, Turkish, Hindustani and Pushtu Manuscripts in the Bodleian Library*, Part III (Additional Persian Manuscripts). Oxford: Clarendon Press, 1954.
43. Beradze, Grigol. "Victory Inscribed: Portuguese Cannons with Emamqoli Khan's Commemorative Inscriptions". *The Eighth Biennial Convention of the Association for the Study of Persianate Societies (March 15-18, 2018, Tbilisi, Georgia)*. Abstracts, edited by Mehdi Faraj. New York and Tbilisi, 2018, 59-60.
44. Blow, David. *Shah Abbas. The Ruthless King Who Became an Iranian Legend*. London & New York: I. B. Tauris, 2009.
45. *Do ketab-e nafis az madarek-e avvaliye-ye tarikh-e Safaviyan: Kholasat al-Tawarikh – Tarikh-e Molla Kamal*. Edited by Ebrahim Dehgan. Arak: Chap-e Farvardin, 1334/1955.
46. Emerson, John, "Rahdars and their tolls in Safavid and Afsharid Iran". *Journal of the Economic and Social History of the Orient* 30/3 (Leiden: Brill, 1987): 318-327.
47. Eskandar Beg Torkeman Monshi va Mohammad Yusef Movarrehk. *Zeyl-e Tarikh-e 'Alam-ara-ye 'Abbasi*. Edited by Soheyli Khvansari. Tehran: Chapkhane-ye Eslamiye, 1317/1938
48. Falsafi, Nasrollah. *Zendegani-ye Shah 'Abbas-e Avval*, Vol. IV. Tehran: Entesharat-e Keyhan, 1341/1962.
49. Ferrier, Ronald Whitaker. "The Terms and Conditions under which English Trade Was Transacted with Safavid Persia". *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, University of London 49/1 (1986): 48-66.

50. Floor, Willem. *Safavid Government Institutions*, Costa Mesa, California: Mazda Publishers, 2001.
51. Flügel, Gustav. *Die arabischen, persischen und türkischen Handschriften der Kaiserlich-Königlichen Hofbibliothek zu Wien*, Bd. I, Wien, 1865.
52. Foster, William. *The English Factories in India, 1624-1629*, Oxford: Clarendon Press, 1909.
53. Foster, William. *The English Factories in India, 1630-1633*, Oxford: Clarendon Press, 1910.
54. Gabashvili, Valerian. "The Undiladze Feudal House in Sixteenth to Seventeenth-Century Iran According to the Georgian Sources". *Iranian Studies* 40/1 (2007): 35-58.
55. Ghezelbashan, Amin. *Dudmanha-ye faramush shode*, Vol. I (*Iran-e 'asr-e Safavi*), Tehran: Entesharat-e Miras-e Farhikhtegan, 1399/2020.
56. Giunashvili, Jemshid. "Nokati chand dar bare-ye 'elal-e be-qatl rasidan-e Emamqoli Khan". In J. Giunashvili, *Karname-ye panjah sale: Gozide-ye neveshteha dar zamane-ye Iranshenasi va ravabet-e tarikhi-farhangi-ye Gorjestan va Iran*, Tbilisi: "Universali" Publishers, 2012, 139-156 (cf. J. Giunashvili, *Georgian-Iranian Studies (Collected Articles)*, Tbilisi University Press, Tbilisi & Tehran, 1997, 51-63).
57. Good, Perter. "The East India Company's *Farmān*, 1622-1747". *Iranian Studies* 52/1-2 (2019): 181-197.
58. Hekmatniya, Amir Hosayn; Ahmadi, Mohammad-Reza. "Eqdamat-e Allahverdi Khan va Emamqoli Khan dar Fars", *Chaharomin Konferans-e Beyn al-Melali-ye Me'mari va Shahtsazi-ye Paydar*, 1396/2017, 14 pp.
59. Herbert, Thomas. *Travels in Persia, 1627-1629*. Abridged and Edited by Sir William Foster. London: George Routledge & Sons, Ltd, 1928.
60. Kazemi, Maryam. "Najaf dar 'asr-e Shah 'Abbas-e Avval-e Safavi", *Name-ye Tarikh-pazhuhān* VI/ 21 (Tehran, 1389/2010): 100-115.
61. Maeda, Hirotake. "On the Ethno-Social Background of Four ghulam Families from Georgia in Safavid Iran", *Studia Iranica* 32/2 (2003): 243-278.
62. Maeda, Hirotake. "The Forced Migration and Reorganisation of the Regional Order in the Caucasus by Safavid Iran: Preconditions and Developments described by Fazli Khuzani.". *Reconstruction and Interaction of Slavic Eurasia and its Neighbouring Worlds*. Edied by Ieda Osamu & Tomohiko Uyama. Sapporo: Slavic Research Centre, Hokkaido University, 2006 (*Slavic Eurasian Studies*, No. 10), 237-271.
63. Maeda, Hirotake. *A History of "Slave Elites" in the Islamic World: Safavid Iran and the People of Caucasia in the 17th Century*. Tokyo, 2009 (in Japanese).
64. Maeda, Hirotake. "The Household of Allahverdi Khan: An Example of Patronage Network in Safavid Iran". In *La Géorgie entre Perse et Europe*. Edited by Florence Hellot-Bellier & Irène Natchkebia, Paris, 2009a, 49-66.
65. Maeda, Hirotake. "Slave Elites Who Returned Home: Georgian *Vālī*-king Rostom and the Safavid Household Empire". *The Memoirs of the Toyo Bunko* 69 (Tokyo, 2011): 97-127.
66. Maeda, Hirotake. "Exploitation of the Frontier: The Caucasus Policy of Shah 'Abbas I". In *Iran and the World in the Safavid Age*. Edited by Willem Floor and Edmund Herzig. London & New York: I.B. Tauris, 2012, 471-489.

67. Maeda, Hirotake. *Chahar dudman-e Gorji dar 'asr-e Safavi*. Tehran: Entesharat-e Tamsal, 1396/2017.
68. Matthee, Rudolph P. *The Politics of Trade in Safavid Iran: Silk for Silver, 1600-1730*. Cambridge and New York: Cambridge University Press, 1999.
69. Matthee, Rudi. "Georgia, vii. Georgians in the Safawid Administration". In *Encyclopaedia Iranica*, edited by Ehsan Yarshater, Vol. X. New York: Bibliotheca Persica Press, 2001, 493-496.
70. Matthee, Rudi. "Safavid Dynasty". In *Encyclopaedia Iranica*, edited by Ehsan Yarshater, New York, 2008 (<https://iranicaonline.org/articles/safavids>).
71. Matthee, Rudi. "Was Safavid Iran an Empire?". *Journal of the Economic and Social History of the Orient* 53 (Leiden: Brill, 2010): 233-265.
72. Matthee, Rudi. *Persia in Crisis: Safavid Decline and the Fall of Isfahan*, London & New York: I.B. Tauris, 2012.
73. Matthee, Rudi. "Iran's Relations with Europe in the Safavid Period: Diplomats, Missionaries, Merchants and Travel". In *The Fascination of Persia: The Persian-European Dialogue in Seventeenth-Century Art and Contemporary Art of Tehran*. Edited by Alex Langer, Museum Rietberg, Zürich, 2013, 6-39.
74. Matthee, Rudolph (Rudi). 'Allāh Virdī Khān'. In *Encyclopaedia of Islam*, THREE. Edited by Kate Fleet, Gudrun Krämer, Denis Matringe, John Nawas. Leiden & Boston: Brill, 2015, 20-22.
75. Mehmannaavaz, Mahmoud; Forughi Abri, Asghar; and Kajbaf, 'Ali Akbar. "Barrasi-ye tahlili-ye reqabat-e Gorjiyan ba e'telaf-e Torkan va Tajikan dar doure-ye Shah Safi (1038-1052 q.)". *Pazhuheshha-ye Tarikhi-ye Iran va Eslam* 14 (Tehran, 1393/2014): 177-198.
76. Mehmannaavaz, Mahmoud; Siyahpur, Keshvad. "Naqsh-e khandan-e Bagratiyan-e Gorjestan dar tasbit-e qodrat-e Shah Safi (1038-1052 q.)", *Motale'at-e Eurasya-ye Markazi (Central Eurasian Studies)* 9/2 (Tehran, 1395/2016): 395-410.
77. Mikaberidze, Alexander. *Historical Dictionary of Georgia*. Lanham, Toronto, and Plymouth: The Scarecrow Press, Inc., 2007.
78. Mir Ja'fari, Hosayn. "Zendegani-ye do sardar-e nami-ye Safaviyan". *Joghrafiya va barnamerizi, (Daneshkade-ye 'Olum-e Ensani va Ejtema'i, Daneshgah-e Tabriz)* 12 (Tabriz, 1382/2003): 131-156.
79. Mir Kiyayi, Mehdi. *Ab va Atesh (Emam Qoli Khan)*. Tehran: Amir Kabir, 1394/2015.
80. Mitchell, Colin Paul. "Safavid Imperial *tarassul* and the Persian *inshā'* Tradition". *Staudia Iranica*, 26 (1997): 173-209.
81. Mitchell, Colin Paul. "Shāh 'Abbās, the English East India Company and the Cannoneers of Fārs". *Itinerario (European Journal of Overseas History)* 24/2 (2000): 104-115.
82. Mohajer, Mohammad Bagher. "Governors of Fars in Shah Abbas Safavi Era". *Researcher*, 7/5 (2015): 31-35  
([http://www.sciencepub.net/researcher/research070515/006\\_28525research070515\\_31\\_35.pdf](http://www.sciencepub.net/researcher/research070515/006_28525research070515_31_35.pdf)).
83. Mohammad-Ma'sum b. Khwajagi Esfahani. *Kholasat al-Siyar, Tarikh-e ruzgar-e Shah Safi-ye Safavi*. Edited by Iraj Afshar, Tehran: Entesharat-e 'Elmi, 1368/1989.

84. Mohammad Mohsen Mostowfi. *Zobdat al-Tawarikh*. Edited by Behruz Goodarzi. Tehran: Bonyad-e Mouqafat-e Doctor Mahmud Afshar Yazdi, 1375/1996.
85. Molla Kamal Monajjem [Yazdi]. *Tarikh-e mokhtasar (Zobdat al-Tawarikh)*. Edited by Ref'at Khwaja-Yar, Tehran: Entesharat-e Tamaddon-e 'Elmi, 1397/2018.
86. Monajjem Yazdi, Kamal b. Jalal, *Zobdat al-Tawarikh*. Edited by Gholamreza Mahdavi Ravanji, introduction by Sholeh A. Quinn, Qum: Pazhuheshgah-e Houzeh va Daneshgah, 1397/2018.
87. Morató-Aragonés, Marc. "Entre Persia y Georgia. El clan de los Undiladze". *Historia Digital* XVI/27 (2016): 136-164 (<https://dialnet.unirioja.es/descarga/articulo/5296243.pdf>)
88. Muliyani, Sa'id. *Jaygah-e Gorjiha dar tarikh va farhang va tamaddon-e Iran*, Isfahan, 1379/2000.
89. Polczynski, Michael. "The Relacyja of Sefer Muratowicz: 1601-1602 Private Royal Envoy of Sigismund III Vasa to Shah 'Abbas I". *Turkish Historical Review* 5/1 (2014): 59-93.
90. Rafi'i, Amirteymur; Bamati, Mahbubeh. "Farmanrava'i-ye Emamqoli Khan dar Fars va naqsh-e vey dar ekhraj-e Portoghaliha". *Pazhuheshname-ye Tarikh* VII/27 (Tehran, 1391/2012): 47-73.
91. Röhrborn, Klaus-Michael. *Provinzen und Zentralgewalt Persiens im 16. und 17. Jahrhundert*. Berlin: Walter De Gruyter & Co., 1966.
92. Rota, Giorgio. "Three Little-Known Persian Sources of the Seventeenth Century", *Iranian Studies* 31/2 (1998): 159-176.
93. Rota, Giorgio. *La Vita e i Tempi di Rostam Khan (Edizione e traduzione italiano del MS. British Library Add. 7,655)*. Wien: Verlag der Österreichischen Akademie der Wissenschaften, 2009.
94. Sami'i, Majid. "Allahverdi Khan". In *Da'erat al-Mo'aref-e Bozorg-e Eslami*, edited by Mohammad Kazem Musavi Bojnurdi, Vol. X, Tehran, 1380/2001, 82-83.
95. Sami'i, Majid. "Emamqoli Khan". In *Da'erat al-Mo'aref-e Bozorg-e Eslami*, edited by Mohammad Kazem Musavi Bojnurdi, Vol. X, Tehran, 1380/2001a, 153-155.
96. Savagheb, Jahanbakhsh. "Barrasi-ye zamineha va 'elal-e sheklgiri-ye shuresh-e Daud Khan dar Qarabagh va payamadha-ye an (1042 h.q.)". *Majalle-ye 'elmi-pazhuheshi (Daneshkade-ye Adabiyat va 'Olum-e Ensani-ye Daneshgah-e Esfahan)* 34-35 (Isfahan, 1382/2003): 107-150.
97. Savagheb, Jahanbakhsh. "Barrasi-ye 'elal va payamadha-ye qatl-e Emamqoli Khan, hakem-e Fars, dar 'asr-e Shah Safi (1042 h.q.)". *Pazhuheshha-ye tarikhi (Daneshkade-ye Adabiyat va 'Olum-e Ensani-ye Daneshgah-e Esfahan)* N.S. II/ 3 (7) (Isfahan, 1389/2010): 1-34. .
98. Savagheb, Jahanbakhsh. "Sazman-e sepah va saheb-mansaban-e nezami-ye 'asr-e Shah Safi (1038-1052 q.)". *Tarikh-e Eslam va Iran (Daneshgah-e al-Zahra)* 22/14 (101) (1391/2012): 1-52.
99. Savory, Roger M. "The Safavid Administrative System". In *The Cambridge History of Iran*, Vol. 6: *The Timurid and Safavid Periods*. Edited by Peter Jackson and the late Laurence Lockhart, Cambridge University Press, Cambridge, 1986, 351-372.
100. Savory, Roger M. "The Office of Sipahsālār (Commander-in-Chief) in the Safavid State". *Proceedings of the Second European Conference of Iranian Studies*, edited by Bert

- G. Fragner, Christa Fragner, Gherardo Gnoli, Roxane Haag-Higuchi, Mauro Maggi, and Paola Orsatti, Rome, 1995, 597- 615.
101. Steinmann, Linda K. "Shah 'Abbas and the Royal Silk Trade 1599-1629". *Bulletin (British Society for Middle Eastern Studies)* I/1 (1987): 68-74.
  102. Storey, Charles A. *Persian Literature. A Bio-Bibliographical Survey*, Section II, Fasc. 2. London: Luzac & Co., 1936.
  103. *Tadhkirat al-Mulūk. A Manual of Safavid Administration (ca. 1137/1725)*. Persian Text in Facsimile (B. M. Or. 9496). Translated and explained by V. Minorsky. London, 1943.
  104. Tafreshi, Abu 'l-Mafakher b. Fazlallah al-Hosayni Savaneh-Negar. *Tarikh-e Shah Safi (Tarikh-e tahavollat-e Iran dar salha-ye 1038-1052 q.)*, be enzemam-e Mabadi-ye Tarikh-e Zaman-e Navvab-e Rezvan-Makan (Shah Safi) ta 'lif-e Mohammad-Hosayn al-Hosayni al-Tafreshi, Edited by Mohsen Bahramnezhad. Tehran; Miras-e Maktub, 1388/2009.
  105. Tafreshi, Mohammad-Hosayn b. Fazlallah Hosayni. *Monsha'at-e Tafreshi (Majmu'eyi az nameha-ye ekhvani va divani az douran-e Safaviye)*, Edited by Mohsen Bahramnezhad. Tehran: Entesharat-e Ketabkhane, Muze va Markaz-e Asnad-e Majles-e Shoura-ye Eslami, 1390/2011.
  106. Tuzande Jani, Ja'far. *Allahverdi Khan gholami ke soltan shod*. Tehran: Manadi-ye Tarbiyat, 1390/2011.
  107. Vahid Qazvini, Mirza Mohammad Taher. *Tarikh-e Jahan-Ara-ye 'Abbasi*. Edited by Seyyid Sa'id Mir Mohammad Sadeq. Tehran: Pazhuheshgah-e 'Olum-e Ensani va Motale'at-e Farhangi, 1383/2004.
  108. Valeh Qazvini Esfahani, Mohammad Yusef. *Iran dar zaman-e Shah Safi va Shah 'Abbas-e Dovvom (1038-1071 h.q.)*, *Khold-e Barin*, Section VIII, Parts 6-7. Edited by Mohammad-Reza Nasiri. Tehran: Anjoman-e Asar va Mafakher-e Farhangi, 1380/2001
  109. Velayati, 'Ali Akbar. "Allahverdi Khan". In *Taqvim-e Tarikh, Farhang va Tamaddon-e Eslam va Iran*, edited by 'Ali Akbar Velayati, Mohammad-Reza Mokhber Dezfuli, Mohammad-Reza Shams-e Ardakani, and Farid Qasemlu. Vol. I. Tehran, 1388/2009 (repr. 1392/2013), 883-884.

<https://en.wikipedia.org/wiki/Mirimanidze>

[https://en.wikipedia.org/wiki/Safiqoli\\_Khan](https://en.wikipedia.org/wiki/Safiqoli_Khan)

[https://research.britishmuseum.org/research/collection\\_online/collection\\_object\\_details.aspx?objectId=3759649&partId=1&searchText=Sinal+Khan+Shamlu+&page=1](https://research.britishmuseum.org/research/collection_online/collection_object_details.aspx?objectId=3759649&partId=1&searchText=Sinal+Khan+Shamlu+&page=1)

<https://www.bonhams.com/auctions/25435/lot/40/?category=list>

## ინგლისელთა სავაჭრო კომპანიის ურთიერთობა საქართველოსთან XVI საუკუნეში

ნაშრომი ეხება XVI საუკუნეში ინგლისელთა სავაჭრო კომპანიის ურთიერთობას საქართველოსთან. ვიდრე უშუალოდ საკვლევ თემას შევხებოდეთ, მიზანშეწონილად მივიჩნით, მოკლედ მიმოგვეხილა XVI საუკუნის პირველ ნახევარში ახლო აღმოსავლეთსა და ევროპულ ქვეყნებში შექმნილი პოლიტიკური ვითარება.

ჯერ კიდევ 1453 წელს, კონსტანტინოპოლის დაპყრობისა და ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს ის სავაჭრო გზები, რომლებიც, სირიისა და მესოპოტამიის გავლით, ინდოეთისა და ჩინეთისაკენ მიემართებოდა. მათ საკმაოდ მაღალი საბაჟო გადასახადები შემოიღეს. ამიერიდან ევროპა წითელი ზღვით უკავშირდებოდა აღმოსავლეთს, სადაც საქონლის ძირითადი მიმწოდებლები არაბები იყვნენ. სწორედ ამიტომ გაბედული ზღვაოსნები ალტერნატიული გზების მოძიებას შეუდგნენ.

ცნობილია, რომ XV საუკუნის მიწურული და XVI საუკუნის დასაწყისი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით მნიშვნელოვანია. იმ დროს რამდენიმე ძლიერმა ევროპულმა ქვეყანამ ხელთ იგდო მრავალი კოლონია. ამ გზით მათ გაიუმჯობესეს თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობა, ზოგიერთი ევროპული ქვეყანა კი ახალი მიწების მოძიებას ცდილობდა. მათ რიცხვში ინგლისიც იყო.

სწორედ ამ მიზნით, XV საუკუნის მიწურულს, ქალაქ ბრისტოლის ვაჭართა ფინანსური მხარდაჭერით, ბრიტანელებმა, აზიისკენ მიმავალი საზღვაო გზის დასადგენად, საზღვაო ექსპედიცია მოაწყვეს. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ინგლისის მეფის სამსახურში მყოფი ვენეციელი (წარმოშობით გენუელი) ზღვაოსანი ჯონ კაბოტი (ჯოვანი კაბოტო). ამ ექსპედიციამ გადაცურა ატლანტის ოკეანე და 1497 წლის 24 ივნისს (ახალი სტილით 7 ივლისს), წმინდა იოანე ნათლისმცემლის ხსენების (შობის) დღეს, მიაღწია ჩრდილოეთ ამერიკის (თანამედროვე კანადის) ნაპირებს, კერძოდ, კუნძულს, რომელსაც შემდეგ ნიუფაუნდლენდი ეწოდა. სწორედ ეს თარიღია მიჩნეული ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილის აღმოჩენის თარიღად. ერთი წლის შემდეგ, 1498 წელს, ჯონ კაბოტის ვაჟმა სებასტიანმაც (ზოგიერთი ვერსიით, ის წინა ექსპედიციისასაც ახლდა მამას) მიაღწია კუნძულ ნიუფაუნდლენდის ნაპირებს. ამის შემდეგ ინგლისელები განაგრძობდნენ საზღვაო ექსპედიციების მოწყობას ამერიკის მიმართულებით. მეტნაკლებად, მათ აითვისეს თანამედროვე კანადის აღმოსავლეთის სანაპიროს გარკვეული ნაწილი (კუნძული ნიუფაუნდლენდი და ლაბრადორის ნახევარკუნძული). ბრიტანელებმა ჰუძონის ყურეში დააარსეს პუნქტი, სადაც ვაჭრობდნენ თევზეულითა და ბეწვით. XVI საუკუნის 30-იან წლებში ინგლისელებმა ბრაზილიასა და გვინიაში იმოგზაურეს და იქ სცადეს ფეხის მოკიდება.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Joseph Christian Hamel, Early English voyages to Northern Russia: comprising the voyages of John

XVI საუკუნის შუა წლებში ინგლისელები სავაჭრო საქმეების გასაფართოებლად ახალი ბაზრების მოძიებას შეეცადნენ. სწორედ ამ მიზნით, ინგლისელებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ ვაჭარ-მეწარმეთა საზოგადოება. ეს იდეა, სხვებთან ერთად, ეკუთვნოდა სებასტიან კაბოტის, რომელიც იმ დროისათვის (1548 წელი) საბოლოოდ დამკვიდრებული იყო ინგლისში. 1551 წელს ამ ინიციატივის შედეგად ქალაქ ლონდონში შეიქმნა ვაჭარ-მეწარმეთა საზოგადოება – „გილდიისა და ვაჭარ მოგზაურთა კომპანია უცნობი რეგიონების, დომინიონების, კუნძულების და ადგილების აღმოსაჩენად.“<sup>2</sup>

ბრიტანელებს ინდოეთსა და ჩინეთისაკენ მიმავალი გზების მოძიება სურდათ. ვინაიდან იმ დროს ამ ქვეყნებთან დამაკავშირებელი სირია-მესოპოტამიის გზა ოსმალთა ხელში, ხოლო აფრიკის შემოვლითი გზა ძალზე შორი და სახიფათო იყო, ინგლისელმა პოლიტიკოსებმა და სავაჭრო წრეების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის გავლით, აზიაში გარს შემოვლითი გზები დაეზუსტებინათ. მათ XVI საუკუნის 50-იან წლებში სავაჭრო ურთიერთობა მოსკოვის სახელმწიფოსთან (რუსეთთან) დაამყარეს.<sup>3</sup> ამ ურთიერთობის შედეგად, ზემოთ ნახსენები „გილდიისა და ვაჭარ მოგზაურთა კომპანია უცნობი რეგიონების, დომინიონების, კუნძულების და ადგილების აღმოსაჩენად“ 1555 წლის 6 თებერვლის ქარტიით, „მოსკოვის კომპანიის“ სახელით შეიცვალა, რომლის პირველ ხელმძღვანელად, სწორედ, სებასტიან კაბოტი აირჩიეს.<sup>4</sup> მოსკოვის სახელმწიფოს ტრანზიტით (ვოლგა-ასტრახან-კასპიის გზის გამოყენებით), ბრიტანელებმა შუა აზიაში ერთი (1558-1560), ხოლო აღმოსავლეთ კავკასიასა და ირანში ექვსი (1561-1581) სავაჭრო ექსპედიცია მოაწყვეს.<sup>5</sup>

---

Tradescant the Elder, Sir Hugh Willoughby, Richard Chancellor, Nelson, and others (London: Richard Bentley, 1857); 3. Жорж Блон, Великие тайны океанов. Книга 2. Средиземное море. Полярные моря. Перевод с французского А. М. Григорьева (Москва: Азбука, 2021), 441. Английские путешественники в Московском государстве в XVI веке (Отв. редактор Николай Л. Рубинштейн, Техн. редактор О. С. Прохорова, Перевод с английского Юрия В. Готье, Введение Георгия А. Новицкого (Ленинград: Типография ОГИЗа РСФСР треста “Полиграфкнига” “Печатный Двор” им. А. М. Горького, 1937), 7-11. Николай К. Лебедев, Завоевание земли. Т. II. Новое время (XVI, XVII, XVIII вв.) (Москва: Государственное издательство, 1925), 9-10. Иван А. Витвер, Историко-географическое в ведение в экономическую географию зарубежного мира (Москва: Государственное издательство географической литературы, 1963), 61.

<sup>2</sup> Жорж Блон, Великие тайны океанов, 440. Hamel. Early English voyages to Northern Russia, 4-5. Armand Jacques Gerson; Earnest Vancourt Vaughn and Neva Ruth Deardorff. Studies In The History Of English Commerce In The Tudor Period (University of Pennsylvania, New York: Daniel Appleton and company, 1912), 1-5. Юрий В. Толстой, Первые сорок лет сношений между Россией и Англией, 1553-1593. Грамоты, собранные, переписанные и изданные Юрием Толстым (Санкт-Петербург: Типография и хромолитография Андрея Траншеля, 1875), 1. Лебедев, Завоевание земли, 24-27.

<sup>3</sup> Николай И. Костомаров. Очерк торговли Московского государства в XVI и XVII столетиях. составил Н. Костомаров (Санкт-Петербург: издание Николая Тиблена и компании, 1862), 13-15.

<sup>4</sup> Gerson; Vaughn and Deardorff, Studies In The History Of English Commerce In The Tudor Period, 129. Толстой, Первые сорок лет сношений между Россией и Англией, 1553-1593, 6-7. Английские путешественники в Московском государстве, 14.

<sup>5</sup> Английские путешественники в Московском государстве, 19. Percy Molesworth Sykes, A History of Persia. vol. II (London: Macmillan and Company, 1915), 249-255. დავით კაციტაძე, ირანის



ინგლისელი ვაჭრები ნახსენები ექსპედიციების პერიპეტეიბსა და თავს გადახდენილ ამბებს თავიანთ ჩანაწერებში აღწერდნენ. სწორედ ამ ჩანაწერებით ირკვევა, რომ კავკასიასა და ირანში მოსულ ბრიტანელ ვაჭრებს უშუალოდ საქართველოსთანაც ჰქონდათ გარკვეული ურთიერთობა, რომლის განხილვა, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. ხსენებულ ჩანაწერებში ქართველებთან და საქართველოსთან ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდი აღწერილი.

პირველი ეპიზოდი უკავშირდება ირანის შაჰთან, თამაზ I-თან (1524-1576), აღმოსავლეთ კავკასიასა და ირანში ინგლისელთა პირველი სავაჭრო ექსპედიციის (აღნიშნული ექსპედიცია მოეწყო 1561-1564 წლებში) მეთაურის, ენტონ ჯენკინსონის აუდიენციას, რომელიც შედგა 1562 წლის 20 ნოემბერს. სხვა საკითხებთან ერთად შაჰი დაინტერესებულა ინგლისელის სარწმუნოებით. ე. ჯენკინსონის გადმოცემით, შაჰს ამ კითხვაზე უპასუხა ქართველი მეფის შვილმა.<sup>6</sup> სამწუხაროდ, ე. ჯენკინსონი არ აკონკრეტებს, თუ რომელი მეფის ძე იყო ეს უფლისწული. ირანელი ისტორიკოსი ქუროშ მეშკათი თავის ნაშრომში ეხება რა ამ საკითხს, გადმოგვცემს, რომ ეს იყო ქართველი უფლისწული დავითი.<sup>7</sup> ეს ავტორი დავით უფლისწულში სიმონ მეფის ძმას, დაუდ ხანს, უნდა გულისხმობდეს, რასაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით. როგორც საქართველოს ისტორიოგრაფიაში არის გარკვეული, ეს უფლისწული კახეთის მეფე ლევანის (1518-1574) ძე იესე იყო, რომელიც სწორედ იმ დროს იმყოფებოდა შაჰ თამაზ I-ის კარზე.<sup>8</sup> ამ ამბავთან დაკავშირებით, ძალზე საყურადღებოა XVI საუკუნის ირანელი ისტორიკოსის, ჰასან ბეგ რუმლუს ნაშრომში დაცული ცნობა, რომელიც იუწყება, რომ ჰიჯრის 969 წლის რაბი ოს-სანის თვის ჩვიდმეტ რიცხვში, დავით ბეგი, ლუარსაბ მეფის შვილი, რამდენიმე აზნაურით საქართველოდან ირანის დედაქალაქ ყაზვინში შაჰ თამაზს ეწვია. დავითმა ისლამი მიიღო. ცნობილია, რომ მას უწოდეს დაუდ ხანი, რის შემდეგაც „რჯულის საფარველმა შაჰმა თბილისის გამგებლობა მას უწყალობა“.<sup>9</sup> ამ ცნობაზე დაყრდნობით, ისტორიკოსმა რევაზ კიკნაძემ დაადგინა, რომ ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის ძე დავითი ყაზვინში შაჰ თამაზს ეწვია 1561 წლის 25 დეკემბერს. ვინაიდან, ჰიჯრის 969 წელი დაიწყო 11 სექტემბერს და დასრულდა 30 აგვისტოს, დაუდ ხანი თბილისში უნდა დაბრუნებულიყო არა უგვიანეს 1562 წლის 30 აგვისტოსა.<sup>10</sup> აქედან გამომდინარე, დაუდ ხანი ზემოთ აღნიშნულ აუდიენციას, რომელიც შედგა 1562 წლის 20 ნოემბერს, ვერ დაესწრებოდა. რაც შეეხება ლევან მეფის ძე იესეს, ის, ჯერ კიდევ 1556 წელს მამამისმა, ლევან კახთა მეფემ, ირანისათვის ერთგულების

---

ისტორია. III-XVIII საუკუნეები (თბილისი: ჰოროსი XXI, 2009), 391.

<sup>6</sup> Английские путешественники в Московском государстве, 208-209.

<sup>7</sup> Kurosh Meshkat, "The Journey of Master Anthony Jenkinson to Persia, 1562-1563," *Journal of Early Modern History* 13, 2 (2009): 220-221.

<sup>8</sup> ვალერიან გაბაშვილი, „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიცია XVI-XVII სს.),“ ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს საკითხები, სტატიების კრებული I (2016): 29. ნანა გელაშვილი, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI ს.) (თბილისი: მეცნიერება, 1995), 102-105.

<sup>9</sup> ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ (სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურაძემ, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ) (თბილისი: მეცნიერება, 1966), 37.

<sup>10</sup> ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 64.

დასამტკიცებლად, შაჰ თამაზთან დიდი ძღვენით გაგზავნა. ირანის შაჰმა კახეთის უფლისწული უკან აღარ გამოუშვა და მიევლად დაიტოვა.<sup>11</sup> ჰასან რუმლუ ჰიჯრის 967 წლით დათარიღებული ამბების თხრობისას გადმოგვცემს (ჰიჯრის 967 წელი მიმდინარეობდა 1559 წლის 3 ოქტომბრიდან, 1560 წლის 21 სექტემბრამდე), რომ „ისა-ხანი, საქართველოს მმართველის, ლევანის შვილი, ისლამის მიღებით გაბედნიერდა და ქვეყნის საფარველმა შაჰმა მას წყალობის თვალთ დაუწყო ცქერა“,<sup>12</sup> რის შემდეგაც შაჰის კარზე მან დიდი პატივი მიიღო. მალე იესე კვლავ გაქრისტიანდა. ეს შეიტყვეს და შაჰ თამაზთან დააბეზღეს. იესე უფლისწულმა გაქცევა სცადა, მაგრამ შეიპყრეს. ჰასან რუმლუ ჰიჯრის 970 წლის ამბების მიმოხილვისას იუწყება, რომ „ოთხშაბათს, რაბი ოს-სანის თვის ოცდაექვსს, ის დაიჭირეს და ალამუთის ციხეში გაგზავნეს“. ჰიჯრის 970 წლის 26 რაბი ოს-სანი უტოლდება 1562 წლის 23 დეკემბერს.<sup>13</sup> ამრიგად, იესე უფლისწულს თავისუფლად შეემლო დასწრებოდა იმავე წლის ნოემბრის თვეში ჯენკინსონის პატივსაცემად გამართულ მიღებას.

1563 წლის 10 აპრილს ე. ჯენკინსონი შირვანის დედაქალაქ ქ. შემახაში ჩავიდა, სადაც 16 აპრილამდე დარჩა. იქ მას ქართველი მეფის (სომეხი ეროვნების) მოციქული ესტუმრა. ამ უკანასკნელმა ინგლისელ ვაჭარს აღუწერა მძიმე მდგომარეობა მეფისა, რომელიც, ოსმალეთის სულთნისა და სპარსეთის შაჰისაგან ძალზე შევიწროებული, დასახელებულ ქვეყნებს განუწყვეტლივ ეომებოდა და რჩევას სთხოვდა, თუ რა გზით შეიძლებოდა მეფე ივანე IV-სთან (1533-1547 წლებში დიდი მთავარი, 1547-1584 წლებში მეფე) ელჩის გაგზავნა, ასევე, შეძლებდა თუ არა რუსთა მეფე მის დახმარებას.<sup>14</sup> ე. ჯენკინსონი, როგორც ჩანს, დაინტერესებული იყო საქართველოსთან დაახლოებით, რადგან კახეთი განთქმული იყო აზრებუმიწის წარმოებით. ამიტომ ის არწმუნებდა სომეხ მოციქულს, რომ ქართველთა მეფეს რუსეთში ელჩობა გაეგზავნა, რადგან რუსეთის მეფე ამ ელჩობას, უეჭველად, დიდი პატივით მიიღებდა და ქართველებს დაეხმარებოდა. თან ურჩევდა, ქართველ მეფეს ელჩობა ჩერქეზთა ქვეყნის გავლით გაეგზავნა, რომლის მეფის ასული ცოლად ჰყავდა მეფე ივანე IV-ს. ცნობილია, რომ 1561 წელს ივანე IV-მ ცოლად შეირთო ყაბარდოს დიდი მთავრის, ე. ჯენკინსონის სიტყვით, ჩერქეზთა მეფის, თემრიუკ აიდარის ძის ასული კუჩენა, რომელსაც მოსკოვში მარია დაარქვეს.<sup>15</sup>

რუს ისტორიკოს იური ტოლსტოის თითქმის ანალოგიური ცნობები აქვს დაცული თავის ნაშრომში, სადაც ვკითხულობთ, რომ ქალაქ შემახაში ყოფნის დროს (1563 წელი) ენტონ ჯენკინსონს ეწვია ქართველი მეფის სომეხი ეროვნების მოციქული. ქართველი მეფე ე. ჯენკინსონს რჩევას ეკითხებოდა, თუ როგორ დაკავშირებოდა რუსთა მეფეს, ივანე ვასილის ძეს და მისგან მფარველობა და დაცვა ეთხოვა თურქებისა და სპარსელებისაგან, რომლებიც მუდმივად მარცვავენენ და არბევდნენ საქართველოს.

<sup>11</sup> მამია დუმბაძე (ტომის რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 120.

<sup>12</sup> ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 36.

<sup>13</sup> ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 37, 64-65.

<sup>14</sup> Английские путешественники в Московском государстве, 211.

<sup>15</sup> Английские путешественники в Московском государстве, 211. Николай А. Смирнов, Политика России на Кавказе в XVI-XIX веках (Москва: Издательство социально-экономической литературы, 1958), 28.

იმის შიშით, რომ ამ საუბრის შინაარსი შესაძლოა ვინმეს მოესმინა და აბდულა ბეგ შირვანშაჰისთვის ეცნობებინა, რასაც ამ უკანასკნელის დიდ უკმაყოფილება მოჰყვებოდა, ჯენკინსონი მხოლოდ რჩევით შემოიფარგლა. მან მოციქულს ურჩია, ქართველი მეფის ამ თხოვნაზე მეფე ივანე IV-სთან ეშუამდგომლა ჩერქეზთა მთავარს, თემრიუკს, რომელიც რუსთა მეფის სიმამრი იყო.<sup>16</sup>

სამწუხაროდ, ე. ჯენკინსონი არც ამჯერად აკონკრეტებს, თუ რომელი ქართველი მეფის წარგზავნილი იყო ხსენებული მოციქული. ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგი მკვლევრის ვერსიით, ეს იყო კახეთის მეფე ლევანი, ზოგისაც - ქართლის მეფე სიმონ I (1556-1569, 1578-1600). ი. ცინცაძე მიიჩნევს, რომ ეს იყო მეფე ლევანი.<sup>17</sup> მისივე აზრს იზიარებს თავისივე ნაშრომში ნ. ნაკაშიძე.<sup>18</sup> ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ მას ხელთ არ ჰქონდა ე. ჯენკინსონის ჩანაწერები. ამ საკითხის შესწავლის დროს ეყრდნობოდა ვილიამ ფოსტერის გამოკვლევებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს „უცნობი“ ქართველი მეფე ლევან მეფე იყო.<sup>19</sup> ამ მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, ნ. ბერძენიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს მეფე შესაძლებელია ყოფილიყო არა ლევან მეფე, არამედ ქართლის მეფე სიმონ I, რადგან ის, ლევან მეფისგან განსხვავებით, განუწყვეტლივ ეომებოდა ირანელებს.<sup>20</sup> ამ საკითხის შესახებ საინტერესოა ე. მამისთვალიშვილის გამოკვლევა. მისი ვერსიაც სიმონ მეფისკენ იხრება. ე. მამისთვალიშვილის მოსაზრება განმტკიცებულია ე. ჯენკინსონის გადმოცემით, რომლის მიხედვითაც, მოციქული აღწერს თავისი მეფის გასაჭირს, რომ ის მოქცეულია ორ მრისხანე ტირანსა და ძლიერ ხელმწიფეს - სულთანსა და შაჰს - შორის, რომლებსაც განუწყვეტლივ ებრძოდა. მისი აზრით, ეს სიტუაცია მეფე სიმონ I-ის მდგომარეობას უფრო შეესაბამება.<sup>21</sup> საინტერესოა, რომ, „ინგლისელი მოგზაურების“ წიგნის ინგლისურიდან რუსულ ენაზე მთარგმნელ ი. ვ. გოტიეს განმარტებით, ამ „მეფეში“ ე. ჯენკინსონი გულისხმობდა მეფე სოლომონს.<sup>22</sup> ე. მამისთვალიშვილს მიაჩნია, რომ ი. ვ. გოტიე „სოლომონში“ ქართლის მეფე სიმონს გულისხმობს, რაც მას მართებულად მიაჩნია. ე. მამისთვალიშვილი იმ „უცნობ“ ქართველ მეფეში ლევან მეფის ვარიანტს ნაკლებად იზიარებს და ამის დასამტკიცებლად კახეთის მეფის თავშეკავებულ დიპლომატიურ მოქმედებებს ასახელებს. მისივე სიტყვებით, ლევანი „მშვიდობისმოყვარე და ფრთხილი დიპლომატი იყო“, აქედან გამომდინარე, სვამს კითხვას: „სად ჰქონდა ლევანს იმის გარანტია, რომ შაჰი ვერ გაიგებდა ჯენკინსონთან მისი მოციქულის მისვლის შესახებ?“. ასევე, „უცნობი“

<sup>16</sup> Толстой, Первые сорок лет сношений между Россией и Англией, 15-16; XVII.

<sup>17</sup> ნიკოლოზ ბერძენიშვილი, „იასე ცინცაძე - ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.)“, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის 29 (1951): 337.

<sup>18</sup> Нодар Т. Накашидзе, Русско-английские отношения во второй половине XVI в. (Тбилиси: Издательство Тбилисского государственного университета, 1955), 73.

<sup>19</sup> გაბაშვილი, „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან“, 29-30.

<sup>20</sup> ბერძენიშვილი, „იასე ცინცაძე - ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“, 337.

<sup>21</sup> ელდარ მამისთვალიშვილი, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით) (თბილისი: მეცნიერება, 1981), 166.

<sup>22</sup> Английские путешественники в Московском государстве, 211.

ქართველი მეფე „ბოდიშს უხდიდა ჯენკინსონს იმის გამო, რომ წერილობით და სპეციალური წარმომადგენლის ხელით არ აცნობა თავისი სურვილის შესახებ, რადგან საეჭვო იყო, რომ მისი გაგზავნილი კაცი მშვიდობიანად მიაღწევდა დანიშნულების ადგილამდე. სიფრთხილის მიზნით, ჯენკინსონმაც ზეპირად შეუთვალა პასუხი“.<sup>23</sup> ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ „უცნობი“ ქართველი მეფის ასეთი ფრთხილი მოქმედება, თუნდაც ე. მამისთვალშიშვილის შეხედულებიდან გამომდინარე, როდესაც ის მეფე ლევანის თავშეკავებულ და ფრთხილ დიპლომატიაზე საუბრობს, სწორედაც რომ ლევან მეფის ხელწერაზე უფრო მეტად მიგვანიშნებს. აქვე უნდა აღინიშნოს ე. მამისთვალშიშვილის ნაშრომში მოყვანილი ფაქტი, როდესაც ის ამბობს, რომ სიმონ და ლევან მეფეები დამოყვრების შემდეგ გარეშე მტრების წინააღმდეგ გააქტიურდნენ და, აქედან გამომდინარე, არ გამორიცხავს ლევან მეფის მონაწილეობასაც ამ დიპლომატიურ დაზვერვაში. ეს მოსაზრება ჩვენ სრულიად მართებულად მიგვაჩნია. ცნობილია, რომ 1559 წელს სიმონ მეფე დაქორწინდა ლევან მეფის ასულ ნესტან-დარეჯანზე და ამით მათი კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა.<sup>24</sup>

ამ საკითხის ირგვლივ ზემოთ მოყვანილი მსჯელობების ურთიერთმეჯერებისა და საკუთარი მოსაზრებების შედეგად, შესაძლოა ასეთი სურათი წარმოვიდგინოთ: საკმაოდ მეზობლი სულისკვეთების მქონე სიმონ მეფემ საკუთარი ინიციატივით ლევან მეფესთან ერთად შეიმუშავა გეგმა - შემახაში მყოფ ინგლისელ კომერსანტს მოციქულის საშუალებით დაკავშირებოდნენ. რადგან სიმონ მეფე მტრებთან ბრძოლაში იყო ჩართული, მოციქულის ე. ჯენკინსონთან გაგზავნა ლევან მეფემ ითავა. ამ საქმის განხორციელება კი მან ვინმე სომეხს (შესაძლოა ვაჭარს, თავის სამეფოს სანდო ქვეშევრდომს) დაავალა, რომელმაც ეს მისია პირნათლად შეასრულა.

შემახაში მყოფმა ე. ჯენკინსონმა სცადა საქართველოს აბრეშუმით მდიდარ რაიონებთან დაკავშირება. ამ მიზნით, სომეხ მოციქულთან საუბრიდან ორი დღის შემდეგ, მან თავისი თანმხლები ედვარდ კლარკი საქართველოს საზღვრებისკენ გაგზავნა ქ. არაშში, სადაც აბრეშუმის დამზადების ცენტრი იყო. ე. ჯენკინსონის გადმოცემით, მან დაავალა ე. კლარკს, რომ ის წასულიყო საქართველოში, ქართველი მეფისაგან მის სამფლობელოში ინგლისელი ვაჭრებისათვის თავისუფალი ვაჭრობის ნება მიეღო და საჩქაროდ უკან დაბრუნებულიყო. მცდელობის მიუხედავად, ე. კლარკმა ვერ მოახერხა საქართველოში შემოდღევა. ის სომეხი ვაჭრების დახმარებით ცდილობდა საქართველოში მოსვლას, მაგრამ გაიგეს, რომ ის იყო ქრისტიანი და პრობლემები შეექმნა. ე. კლარკმა არაშში ჩასვლის მიზეზად აბრეშუმის ყიდვის სურვილი დაასახელა და უკან გაბრუნდა.<sup>25</sup> ვ. გაბაშვილი მართებულად შენიშნავს, რომ შირვანის ბეგლარბეგს მტრული დამოკიდებულება ჰქონდა კახეთთან და ეს მტრული დამოკიდებულება აბრეშუმის ვაჭრობასთან დაკავშირებული მეტოქეობის საფუძველზეც იყო აღმოცენებული.<sup>26</sup> მართლაც, შირვანის იმდროინდელ ბეგლარბეგ აბდულა ხან

<sup>23</sup> მამისთვალშიშვილი, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობანი, 166-167.

<sup>24</sup> მამია დუმბაძე (ტომის რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, 116.

<sup>25</sup> Gerson; Vaughn and Deardorff, Studies In The History Of English Commerce In The Tudor Period, 151. Английские путешественники в Московском государстве, 211-212. ელდარ მამისთვალშიშვილი, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), 168.

<sup>26</sup> გაბაშვილი, „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან“, 30.

უსთაჯლუს (1549-1565), რომელიც ირანის შაჰის თამაზ I-ის სიძე იყო, შესაძლებელია, ბრძანება ჰქონდა გაცემული, რომ თავის სამფლობელოს გავლით უცხოელები (ევროპელები) საქართველოში არ შეეშვათ, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შირვანის ბეგლარბეგი კახეთს თავისი ქვეყნის მეტოქედ მიიჩნევდა აბრეშუმის რეალიზაციის საკითხში.

როგორც ჩანს, ე. ჯენკინსონი ქართული აბრეშუმის შეძენას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და გამოსავალს საქართველოსა და მოსკოვის სახელმწიფოს დაახლოებაში ხედავდა. ამას ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ 1563 წლის 20 აგვისტოს ე. ჯენკინსონი ქ. მოსკოვში ჩავიდა და მალევე მეფე ივანე IV-სთან მოხსენებით წარდგა. სხვა საკითხებთან ერთად, ის რუსთა მეფეს საქართველოზეც ესაუბრა და შეეცადა, ზეგავლენა მოეხდინა, ეჩვენებინა მისთვის საქართველოსთან კავშირის საჭიროება.<sup>27</sup>

როგორც ეტყობა, „მოსკოვის კომპანიის“ სხვა წევრებიც დიდად იყვნენ დაინტერესებულნი აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, კახეთის ნედლი აბრეშუმის (ყაჭის) შეძენით. აღმოსავლეთ კავკასიასა და ირანში ინგლისელთა მესამე სავაჭრო ექსპედიციის (ეს ექსპედიცია მოეწყო 1565-1567 წლებში) წევრ არტურ ედვარდსის 1566 წლის 26 აპრილით დათარიღებულ ქ. შემახადან გაგზავნილი წერილით ვგებულობთ, რომ ნედლი აბრეშუმი, რომელიც ნაზი და მაღალი ხარისხის იყო, 66-70 შაჰიდ იყიდებოდა, ხოლო გადაუმუშავებელი ნედლი აბრეშუმის შეძენა ამ დროს აქ ძალიან მცირე რაოდენობით იყო შესაძლებელი. ამის შეძენა კი საქართველოში შეიძლებოდა, მაგრამ ის წუხდა, რომ მათ საქართველოში ვერავინ გამოაგზავნეს, რადგან ეს მომენტი დასაწყისშივე გაუშვეს ხელიდან. თუმცა ა. ედვარდსი იმედოვნებდა: “როდესაც აქ გვეყოლება რწმუნებულები, რომლების ზაფხულში დარჩებიან, მას ვიყიდით პირველი ხელიდან, სოფლის მაცხოვრებლებიდან, რომლებსაც ის აქ და სხვა ადგილებში გასაყიდად ჩამოაქვთ. ღმერთმა ინებოს, რომ კომპანიამ გამონახოს საშუალებები და გზები, რომ იმის ნახევარი გავყიდოთ, რასაც აქ ვიყიდით“. ა. ედვარდსი ვარაუდობდა, რომ ამით ინგლისელთა სავაჭრო კომპანია დიდ მოგებას ნახავდა.<sup>28</sup>

აღმოსავლეთ კავკასიასა და ირანში ინგლისელთა მეოთხე სავაჭრო ექსპედიციის (ეს ექსპედიცია მოეწყო 1568-1569 წლებში) წევრ ლორენს ჩეპმენის წერილში, რომელიც 1569 წლის 28 აპრილით თარიღდება, მეტად საყურადღებო მასალა მოიპოვება ინგლისელების საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობის შესახებ. ამ წერილის მიხედვით, ქ. თავრიზში ყოფნის დროს ლ. ჩეპმენი შეხვდა კახეთის მეფე ლევანის ქვეშევრდომ ვაჭარს. მას თავისი მეფისთვის ინგლისელისგან 100 ნაჭერი კრსეს (ლანდრას)<sup>29</sup> ყიდვა სურდა, თითოეული-160 შაჰიდ ღირებული. თითქოს შეთანხმდნენ

<sup>27</sup> Английские путешественники в Московском государстве, 213-214. კახაბერ დემეტრაშვილი, „ინგლისელთა პირველი სავაჭრო ექსპედიცია აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და ირანში (1561-1564)“, პერსპექტივა - XXI №VIII (2006): 75.

<sup>28</sup> Edward Delmar Morgan (editor) and Charles Henry Coote (editor), Early Voyages and Travels to Russia and Persia by Anthony Jenkinson and Other Englishmen; with Some Account of the First Intercourse of the English with Russia and Central Asia, by Way of the Caspian Sea, Volume 2 (London: printed for the Hakluyt society, 1886), 388-389. Английские путешественники в Московском государстве, 223-224. მიხეილ სვანიძე (რედაქტორი), საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო (XVI საუკუნე) (თბილისი: „ნეკერი“, 2008), 203.

<sup>29</sup> ლანდრა (კრსე) - (ინგლ. - kersey (cloth) - ქსოვილი. დასახელება მომდინარეობს ინგლისური

კიდევ, ვექსილიც დაიწერა. საქონლის ფასი უნდა გაენადდებინათ ფულითა და აბრეშუმით საქართველოში კრსეს (ლანდრას) ჩამოტანიდან სამი დღის განმავლობაში. ლ. ჩეპმენმა თავისთან მყოფი თარჯიმან-გამყოლი ქ. თავრიზში ნაყიდი საქონლით ქ. შემახაში გაგზავნა და იქ მყოფ თანამემამულე ვაჭრებთან დააბარა, ამ გარიგებისთვის ყურადღება მიექციათ. მაგრამ, როდესაც საქონელი საქართველოში ჩამოიტანეს, კახთა მეფემ, იმ მოტივით, რომ მას ასეთი საქონელი არაფერში სჭირდებოდა, გარიგებაზე უარი თქვა. ისტორიკოსი ვალერიან გაბაშვილი, რომელიც ფართოდ ეხება ამ ისტორიას თავის ნაშრომში, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შესაძლოა, ლევან მეფე კრსეს (ლანდრას) ხარისხმა არ დააკმაყოფილა ან ფასი ეძვირა. ასე იყო თუ ისე, ამ გარიგების ჩაშლით ინგლისელი ვაჭრები უკმაყოფილონი დარჩნენ.<sup>30</sup> ისტორიკოსი გივი ჟორდანიაც თავის ნაშრომში ვრცლად მიმოიხილავს ლევან კახთა მეფისა და ინგლისელი ვაჭრების ზემოთ ნახსენებ ეპიზოდს და გარიგების ჩაშლის მიზეზად ისიც საქონლის ნაკლებხარისხიანობასა და სიძვირეს ასახელებს. ის თავის ნაშრომში ამის დამადასტურებელ რამდენიმე ფაქტს იშველიებს. ერთ-ერთი არის ინგლისელი სავაჭრო აგენტის არტურ ედვარდსის წერილი, სადაც ვკითხულობთ, რომ ქ. შემახაში ინგლისელებს ლანდრა (კრსე) გაუყიდათ თითო ნაჭერი 146-147 შაჰიდ. სხვა სავაჭრო აგენტის ლორეს ჩეპმენის მოწმობით, ქ. თავრიზში არავის შეუძლევია ნაჭერ ლანდრაში (კრსეში) 140 შაჰიდზე მეტი, ხოლო ლევან მეფის ვაჭრისთვის კი ამ საქონელში 160 შაჰი დაუსახელებიათ, რაზედაც მათ კახეთის მეფისგან უარი მიუღიათ.<sup>31</sup>

თუ კარგად დავუკვირდებით იმავე სავაჭრო აგენტების წერილებს, ჩანს, რომ ზემოთ ნახსენები თანხა (140, 146 და 147 შაჰი) მათთვის მთლად მისაღები ფასი არ უნდა ყოფილიყო. იმავე ლ. ჩეპმენის წერილში ნახსენებია, რომ ინგლისელ ვაჭრებს ქ. არდებილში ნაჭერი ლანდრა (კრსე) გაუყიდათ უფრო ძვირად, 150 შაჰიდ. ბრიტანელ ვაჭრებს ლევან მეფისთვის, როგორც ჩანს, თავიანთი ინტერესების შესაფერისი ფასი დაუსახელებიათ - 160 შაჰი,<sup>32</sup> რაც კახთა მეფისთვის მიუღებელი აღმოჩენილა და უბრძანებია, უკან დაებრუნებინათ მათთვის საქონელი. შესაძლებელია, მეფე არც ლანდრას (კრსეს) ხარისხს აღუფრთოვანებია. ასე რომ, ეს გარიგება არ შემდგარა.

აღსანიშნავია, რომ ინგლისური სიტყვის („kersey“) ქართულ შესატყვისად თავის ნაშრომში ვ. გაბაშვილს გამოყენებული აქვს სიტყვა „კრსე“, ხოლო გ. ჟორდანიას კი - სიტყვა „ლანდრა“. ეს უკანასკნელი განმარტავს, რომ ლანდრა არის უხეში შალის

---

სოფელ კერსიდან (საფოლკის საგრაფო), სადაც, სავარაუდოდ, პირველად იქნა წარმოებული ეს ქსოვილი. 1262 წელს, ინგლისის სხვა ადგილებშიც აწარმოებდნენ ამ ქსოვილს) - Eric Kerridge, *Textile Manufactures in Early Modern England* (Manchester: Manchester University Press, 1985). რუს. - Каразья = იშვიათი და უხეში შალის ქსოვილი, არამკვრივი ტექსტურით, დახრილი ძაფით, რომელსაც მაუდის სარჩულადაც იყენებდნენ - Владимир И. Даль, *Тольковый словарь живого великорусского языка, том II* (Москва: Государственное издательство иностранных и национальных словарей, 1979), 90.

<sup>30</sup> გაბაშვილი, „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან,“ 30. სვანიძე (რედაქტორი). *საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში*, 210. *Английские путешественники в Московском государстве*, 239-240.

<sup>31</sup> გივი ჟორდანიას, „უცხოელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ XVII ს-ში,“ *მნათობი №8* (1962): 174-175.

<sup>32</sup> *Английские путешественники в Московском государстве*, 223, 239-241.

ქსოვილი, ხოლო კრსე კი ამ სიტყვის სომხური შესატყვისი.<sup>33</sup> საინტერესოა, რომ იოსებ გრიშაშვილის საქალაქო ლექსიკონში **ლანდრა** განმარტებულია, როგორც **მაუდი**.<sup>34</sup>

ძალზე საინტერესო ცნობებს ვკითხულობთ აღმოსავლეთ კავკასიასა და ირანში ინგლისელთა მეხუთე სავაჭრო ექსპედიციის წევრ ჯეფრი დეკეტის წერილში. აღნიშნული ექსპედიცია მოეწყო 1568/1569-1574 წლებში (ინგლისელები 1568 წლის ივლისში გაემგზავრნენ მოსკოვის სახელმწიფოში, სადაც ერთი წელი, 1569 წლის ივლისამდე შეყოვნდნენ და ამის შემდეგ დაიძრნენ ირანის მიმართულებით).<sup>35</sup> ხსენებულ წერილში ნათქვამია, რომ ქალაქ არაშიდან სამი დღის სავალზე საქართველო მდებარეობს. წერილში ყურადღება გამახვილებულია ქართველთა ქრისტიანობაზე, ქალაქ ზაგემზე. წერილში, აგრეთვე, მოთხრობილია, რომ საქართველოში ბევრი აბრეშუმი იყიდება და ყოველწლიურად წარმოუდგენელი რაოდენობის კაკალი გააქვთ სპარსეთში. წერილის ავტორი ამ კაკლის დადებით თვისებებზე საუბრობს და ხარისხითა და თხელნაჭუჭიანობით ადარებს თავისი ქვეყნის თხილს. იქვე დასძენს, რომ „ყოველწლიურად, ამ ქვეყნიდან კაკლით დატვირთული 4000 აქლემი გაჰყავთ“.<sup>36</sup>

---

<sup>33</sup> ჟორდანია, „უცხოელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ XVII ს-ში,“ 181.

<sup>34</sup> იოსებ გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა, გამოსაცემად მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა) (თბილისი: სამშობლო, 1997), 304.

<sup>35</sup> Morgan (editor) and Coote (editor), *Early Voyages and Travels to Russia and Persia by Anthony Jenkinson and Other Englishmen*, 423.

<sup>36</sup> Morgan (editor) and Coote (editor), *Early Voyages and Travels to Russia and Persia by Anthony Jenkinson and Other Englishmen*, 432. Английские путешественники в Московском государстве, 255. კახაბერ დემეტრაშვილი, „ინგლისელთა მეხუთე სავაჭრო ექსპედიცია სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიასა და ირანში (1569-1574),“ მეცნიერება და ცხოვრება 2 (4) (2011): 171.

## **RELATIONS OF THE ENGLISH TRADING COMPANY WITH GEORGIA IN THE XVI CENTURY**

The work illustrates relations between the English Trading Company - “Muscovy Company” - and Georgia.

Great geographical discoveries were recorded at the end of the XV century and at the beginning of the XVI century. In that period, several mighty European countries took over many colonies and they improved economic conditions in this way. Some of the European countries were trying to discover new lands. England was among these countries. This kingdom was trying to find new routes to India and China, because, in that period, the Syria-Mesopotamia road had been captured by Osman Empire, while the bypass route through Africa was very long and dangerous. Therefore, English politicians and representatives of the trade circles decided to specify bypass roads leading to Asia through Arctic Ocean. They established trading relations with the country of Moscow (Russia) in the 50s of the XVI century. As a result of these relations, the „Mystery and Company of Merchant Adventurers for the Discovery of Regions, Dominions, Islands, and Places Unknown” founded in England in 1551 was renamed into Muscovy Company in 1555. With transit through the State of Moscow and by use of Volga-Astrakhan-Caspian route, the British Merchants organized one trade expedition to Central Asia (1558-1560) and six trade expeditions in the Eastern Caucasus and Iran (1561-1581).

In their records and chronicles, English merchants have described adventures and stories of these expeditions. These very records reveal that the British merchants, who had arrived in the Caucasus and Iran, established direct relations with Georgia too. We believe, it is very interesting to discuss and analyze these relations. The mentioned records describe several episodes of their relations with Georgians and Georgia.

The first episode is related to the audience that Anthony Jenkinson, head of the first English trade expedition in Eastern Caucasus and Iran, had with Iran’s Shah Tahmasp I (1524-1576). The audience was held on the 20<sup>th</sup> of November, 1562.

Together with other issues, the Shah also explored the religion of the English merchant. According to A. Jenkinson, the Georgian King’s son answered to the Shah’s question. It has emerged that this Prince was Iese, the son of Kakheti King Levan (1518-1574).

In April 1563, when A. Jenkinson was visiting Shamakhi, the capital city of Shirvan, an Armenian messenger of the Georgian King visited him there. At the meeting with the English merchant, the messenger described the heavy condition of the Georgia king, who was extremely oppressed by Osman Sultan and Persian Shah amid endless wars. The



messenger asked A. Jenkinson how the Georgian King could send an ambassador to Russian King Ivan IV (the Great Principal in 1533-1547 and the King in 1547-1584), and whether the Russian King could assist the Georgian King. Apparently, A. Jenkinson was interested to establish close ties with Georgia, because this country, especially, Kakheti Kingdom, was famous for its silk manufacturing. Therefore, the English merchant promised the messenger to provide support. There are different considerations in the Georgian historiography about which of the Georgian kings could refer the messenger to A. Jenkinson. According to some versions, Kakheti King Levani sent him, while another version names Kartli King Simon I (1556-1569, 1578-1600). Having compared various sources and literature on the mentioned issue, we concluded that the initiative could have been proposed by King Simon, who was famous for his warring spirit. Apparently, King Simon and King Levan prepared a joint plan to send the messenger and contact Shamakhi-based English merchant. Since King Simon was fighting against enemies, King Levan assumed to send the messenger to A. Jenkinson and instructed one ethnic Armenian servant to fulfill this mission (maybe, he was a merchant, reliable servant of His Kingdom). The messenger has fulfilled the mission honestly and scrupulously.

Afterwards, being in Shamakhi, A. Jenkinson took efforts to establish ties with Georgian regions that were rich of silk. To this end, in two days after his conversation with the Armenian envoy, he referred his companion Edward Clark to the borders of Georgia, but the latter could not enter Georgia despite overall efforts. Apparently, E. Clark was not admitted to Georgia because of sharp competition between Shirvan and Kakheti Kingdom over mercery issues. Apparently, the then Beglarbeg of Shirvan Abdollah *Khan Ustajlu* (1549-1565), the son-in-law of Iran's Shah Tahmasp I, had been ordered not to let foreigners (Europeans) enter Georgia through its domain, because the Shirvan Beglarbeg considered Kakheti Kingdom as his rival country in mercery issues.

Apparently, it was very important for A. Jenkinson to buy Georgian silk and foster rapprochement of Georgia and Moscow. In proof of this consideration, when A. Jenkinson arrived in Moscow on August 20, 1563 and shortly, he met with King Ivan IV, together with other issues, he also spoke about Georgia and tried to persuade the Russian King that it was necessary for Russia to establish tight relations with Georgia.

Apparently, other members of the Muscovy Company were also eager to buy raw silk in Eastern Georgia, namely, Kakheti. As we learn from the letter dated by April 26 of 1566 that Arthur Edwards, member of the third trade expedition in Eastern Caucasus and Iran sent from Shamakhi, the tender and premium-quality raw silk was sold for Scahi 66-70, while unprocessed raw silk in that period could be bought only in small volumes here. This material could be bought in Georgia, but he regretted they could not send anybody, because they had missed this opportunity from the very beginning. Though, A. Edwards hoped: "When we have envoys here to remain in summer, we will be able to buy it firsthand from the country population that brings it to sell here and other places. I would to God the company could find the means to have the opportunity to sell one half of that we may buy here" (**the original version:** "When wee shall haue lidgers here to remaine in Sommer we

may bye it at the first hand of the Countrey people that bring it to sel hither, and to other places. I would to God the companie coulde finde the meanes to haue a vent to make sales for the one halfe that wee may bye here“). A. Edwards supposed that English merchants could turn huge profits from this trade.

The letter by Laurence Chapman, member of the fourth trade expedition of England to Eastern Caucasus and Iran, dated by April 28 of 1569, comprises a very interesting material on trade relations of English merchants with Georgia. According to this letter, when visiting the city of Tabriz, L. Chapman met with the merchant of Kakheti King Levan. He wanted to buy 100 pieces of Kerzey (rude silk fabric for lining of broadcloth) from the English merchant for his King. Each pieces cost 160 Scahi. The Parties seemed to have agreed everything, the promissory note was also written, but the deal was not concluded finally.

The letter by Jeffrey Duckett, member of the fifth trade expedition of English merchants in Eastern Caucasus and Iran (the expedition was held in 1568/9-1574), gives very interesting references: “Shemakha is the most beautiful town in All Media. Raw Silk is the key commodity in this country and the greater part is at the town called as Arash, a three-day journey from Shemakha. And within a three-day way from Arash, there is the country named as Groisine, whose inhabitants are Christians and they are thought to be those, who otherwise are called as Georgians. A lot of silk is also sold there. The chief town of that country is called Zegham, from where, every year, an incredible quantity of hazelnuts is carried to Persia, all of one sort ad goodness and as good and thin-shelled as our Filberts; Every year, 4,000 camels loaded with them are taken away” (**the original version**: “Shamachie is the fairest towne in all Media, and the chieftest commoditie of that countrey is rawe silke, and the greatest plentie thereof is at a towne three dayes iourney from Shamachie, called Arash; and within three dayes iourney of Arash is a countrey named Groisine, whose inhabitants are Christians, and are thought to bee they which are otherwise called Georgians. There is also much silke to bee solde. The chiefe Towne of that countrey is called Zegham, from whence is caried yeerely into Persia an incredible quantitie of Hasell nuts, all of one sort and goodnesse, and as good and thinne shaled as our Filberds; of these are caried yeerely the quantitie of 4000. camels laden”).

In our work we have used sources and literature existing in various languages. As a result of comparison of these sources and literature, we have made our own conclusions and inferences.

## გამოყენებული ლიტერატურა - References:

1. ბერძენიშვილი, ნიკოლოზ. “იასე ცინცამე - ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს).“ *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის* 29 (1951): 295-339.
2. გაბაშვილი, ვალერიან. „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიცია XVI-XVII სს.),“ *ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს საკითხები*, სტატიების კრებული I (2016): 21-67.
3. გელაშვილი, ნანა. *ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI ს.)*. თბილისი: მეცნიერება, 1995.
4. გრიშაშვილი იოსებ. *ქალაქური ლექსიკონი* (საარქივო მასალა. გამოსაცემად მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა). თბილისი: სამშობლო, 1997.
5. დემეტრაშვილი კახაბერ. „ინგლისელთა მეხუთე სავაჭრო ექსპედიცია სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიასა და ირანში (1569-1574).“ *მეცნიერება და ცხოვრება* 2 (4) (2011): 168-174.
6. დემეტრაშვილი, კახაბერ. „ინგლისელთა პირველი სავაჭრო ექსპედიცია აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და ირანში (1561-1564).“ *პერსპექტივა - XXI №VIII* (2006): 67-77.
7. დუმბაძე, მამია (ტომის რედაქტორი). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტომი IV, *საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე*. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.
8. კაციტაძე, დავით. *ირანის ისტორია. III-XVIII საუკუნეები*. თბილისი: ჰოროსი XXI, 2009.
9. მამისთვალიშვილი, ელდარ. *საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით)*. თბილისი: მეცნიერება, 1981.
10. ჟორდანია, გივი. „უცხოელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ XVII ს-ში,“ *მნათობი* №8 (1962): 174-184.
11. სვანიძე, მიხეილ (რედაქტორი). *საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო (XVI საუკუნე)*. თბილისი: ნეკერი, 2008.
12. ჰასან რუმლოუს ცნობები საქართველოს შესახებ (სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურაძემ, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ). თბილისი: მეცნიერება, 1966.
13. *Английские путешественники в Московском государстве в XVI веке*. (Ответственный редактор Рубинштейн, Николай Леонидович. Технический редактор Прохорова, О. С. Перевод с английского Готье, Юрия Владимировича. Введение Новицкого, Георгия Андреевича). Ленинград: Типография ОГИЗа РСФСР треста “Полиграфкнига” “Печатный Двор” им. А. М. Горького, 1937.
14. Блон, Жорж. *Великие тайны океанов. Книга 2. Средиземное море. Полярные моря*. Перевод с французского Григорьева Аркадия Марковича. Москва: Издательство Азбука, 2021.

15. Витвер, Иван Александрович. *Историко-географическое введение в экономическую географию зарубежного мира*. Москва: Государственное издательство географической литературы, 1963.
16. Даль Владимир Иванович. Тольковый словарь живого великорусского языка, том II. Москва: Государственное издательство иностранных и национальных словарей, 1979.
17. Костомаров, Николай Иванович. *Очерк торговли Московского государства в XVI и XVII столетиях*. составил Н. Костомаров. Санкт-Петербург: издание Николая Тиблена и компании, 1862.
18. Лебедев, Николай Константинович. *Завоевание земли*. Том II. *Новое время (XVI, XVII, XVIII вв.)*. Москва: Государственное издательство, 1925.
19. Накашидзе, Нодар Тадеозович. *Русско-английские отношения во второй половине XVI века*. Тбилиси: Издательство Тбилисского государственного университета, 1955.
20. Смирнов, Николай Александрович. *Политика России на Кавказе в XVI-XIX веках*. Москва: Издательство социально-экономической литературы, 1958.
21. Толстой, Юрий Васильевич. *Первые сорок лет сношений между Россией и Англией, 1553-1593*. Грамоты, собранные, переписанные и изданные Юрием Толстым. Санкт-Петербург: Типография и хромофотография Андрея Траншеля. 1875.
22. Gerson, Armand Jacques. Vaughn, Earnest Vancourt. Deardorff, Neva Ruth. *Studies in the History of English Commerce in the Tudor Period*. New York: University of Pennsylvania, Daniel Appleton and company, 1912.
23. Hamel, Joseph Christian. *Early English voyages to Northern Russia: comprising the voyages of John Tradescant the Elder, Sir Hugh Willoughby, Richard Chancellor, Nelson, and others*. London: Richard Bentley, 1857.
24. Kerridge, Eric. *Textile Manufactures in Early Modern England*. Manchester: Manchester University Press, 1985.
25. Meshkat, Kurosh. "The Journey of Master Anthony Jenkinson to Persia, 1562-1563". *Journal of Early Modern History* 13, 2 (2009): 209-228.
26. Morgan, Edward Delmar (editor) and Coote, Charles Henry (editor). *Early Voyages and Travels to Russia and Persia by Anthony Jenkinson and Other Englishmen ; with Some Account of the First Intercourse of the English with Russia and Central Asia, by Way of the Caspian Sea*, Volume 2. London: printed for the Hakluyt society, 1886.
27. Sykes, Percy Molesworth. *A History of Persia*, vol. II. London: Macmillan and Company, 1915.

## რუსეთ-იაპონიის ომის (1904-1905) მიმართ განწყობები საქართველოში

1904 წლის დამდეგს, შორეულ აღმოსავლეთში გავლენის გაფართოვების მიზნით რუსეთის იმპერიასა და იაპონიას შორის ურთიერთობები უკიდურესად დაიძაბა. ამის მთავარი მიზეზი იყო რუსეთის იმპერიის ინტერესი გაუყინავი პორტებისადმი, ამ მიზნით მანჯურიისკენ დაიწყო სწრაფვა და პორტ-არტურის პორტში სამხედრო-საზღვაო ბაზა განათავსება. რუსეთის იმპერიის შორეულ აღმოსავლეთში გააქტიურებამ, იაპონიის ინტერესებს, კორეის ნახევარკუნძულზე საფრთხე შეუქმნა, რის გამოც ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები საგრძნობლად გაართულდა. საბოლოოდ ორ ქვეყანას შორის დამაბულობა საომარ მოქმედებში გადაიზარდა და ორივე მხრიდან 2 მილიონზე მეტი მეომარი ჩაერთო ბრძოლაში. სასტიკ ომში, მძიმე გამარჯვება იაპონიამ მოიპოვა და მოახერხა მანჯურიიდან რუსეთის იმპერიის განდევნა.<sup>1</sup> ვინაიდან, იმ პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის მიერ იყო ანექსირებული, ქართველებიც იძულებულები იყვნენ იაპონიის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ჩართულიყვნენ.

ომის დაწყების პარარელურად, საქართველოში იაპონიის, როგორც რუსეთის იმპერიის მთავარი მტრის მიმართ ინტერესი გაღრმავდა. როდესაც რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა საქართველოში, რომ აზიური, პატარა და თითქმის უცნობი ქვეყანა შეძლებდა, იმ დროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უზარმაზარი იმპერიის დამარცხებას, ამიტომ თავდაპირველად დიდი იმედი არ არსებობდა რუსეთის იმპერიის დამარცხების. გაზეთ „ცნობის ფურცელის“ რედაქტორი, გიორგი ლასხიშვილი მემუარებში იხსენებს, რომ არ ელოდნენ ომში რუსეთის წარუმატებლობას.<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს რომ მოსახლეობაში იაპონიის მიმართ ფარული მხარდაჭერა არსებობდა. ამ კვლევის მიზანია, დადგენა თუ რა სახის განწყობები იყო ომის მიმართ მოსახლეობაში, სურდათ თუ არა იაპონიის წინააღმდეგ ომი ან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა. კვლევა ძირითადად ემყარება იმ პერიოდის ქართულ პრესას და მემუარებში აღმოჩენილ ფაქტებს.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ქართველებს დიდი იმედი არ ჰქონდათ, რომ იაპონია რუსეთის იმპერიის დამარცხებას შეძლებდა, მაგრამ როდესაც იაპონურმა არმიამ და სამხედრო ფლოტმა რუსეთის იმპერიასთან ბრძოლაში, რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, ქართველებში თანდათან გაღვივდა იმის იმედი, რომ შესაძლოა მათი დამპყრობელი დამარცხებულიყო. ამის გამო, თანდათან გაიზარდა იაპონიის მიმართ პატივისცემის გამომხატველი მოსაზრებების გავრცელება. 1904-1905 წლებში

<sup>1</sup> 宮地正人『国際政治下の近代日本』山川出版社、一九八七年、一一四。 მიაიჩი მასატო, საერთაშორისო ურთიერთობების ქვეშ მყოფი თანამედროვე იაპონია (ტოკიო, იამაგავა 1987), 114.

<sup>2</sup> გიორგი ლასხიშვილი, მემუარები, (თბილისი, 1992), 147.

საქართველოში ფართო ტირაჟით გამოდიოდა გაზეთები „ცნობის ფურცელი“ და „ივერია“, ვინაიდან იმ დროინდელი მკაცრი ცენზურა ფაქტობრივად ყველა სტატიას ცენზურის მკაცრ შემოწმებას უტარებდა, მასში იაპონიის მხარდამჭერი ინფორმაციები ღიად არ ქვეყნდებოდა, თუმცა მთელ რიგ სტატიებში, რომლებიც იაპონიას ეხებოდა, შეიგრძნობა ფარული ხოტბა და აღტაცება ამომავალი მზის ქვეყნის მიმართ.

სხვაგვარად იყო საქმე საქართველოს სოციალისტურ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტიის პარიზში გამომავალ გაზეთში „საქართველო“ (გამოდიოდა მისი ფრანგული ვერსია „La Géorgie“). აღნიშნული გაზეთი თავისუფალი იყო რუსული მკაცრი ცენზურისგან, ამიტომ თავისუფლად იბეჭდებოდა ანტირუსული ინფორმაციები, შემდეგ კი ფარულად ხდებოდა მისი საქართველოში შემოტანა და ხალხში გავრცელება. ამიტომ, ამ გაზეთში, შემორჩენელია ისეთი ინფორმაციები, რომლებიც რუსულ ცენზურის გვერდის ავლის გამო ბევრ საინტერესო ინფორმაციას ინახავს და ომის პერიოდში, საქართველოში არსებული რეალობის მეტნაკლებად ობიექტურად ანალაზისთვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისთანავე, საქართველოში გახშირდა ომის საწინააღმდეგო გამოსვლები, რომლებშიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას, როგორც ზრდასრული მოსახლეობა, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობა. ერთ-ერთი პირველი ქალაქი, სადაც ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გაიმართა იყო ქუთაისი. როგორც გაზეთი „საქართველო“ წერს, 1904 წლის 1 თებერვალს ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორს, სემინარიის მოსწავლეები შეუკრებია და გამოუცხადებია მათთვის რომ „რუსის ღმერთი არ მიანიჭებს გამარჯვებას უსჯულოებსო, ე.ი. იაპონელებსო, ქართველებო თქვენც შევედრეთ რუსის ღმერთსო“. მის ამგვარ მოწოდებას სემინარიელები გაუღიზიანებია და უპასუხეს რომ ღმერთს არ სურს თავისი მოყვასის სისხლის დაღვრაო. ამის, შემდეგ ღამით სემინარიის ეკლესია დაურბევიათ.<sup>3</sup>

1904 წლის 3 თებერვალს, საპროტესტო მუხტი, უზარმაზარ გამოსვლაში გადაიზარდა. დემონსტრაციაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ ქუთაისის სასულიერო სემინარიის სემინარიელები, საეპარქიო სასწავლებლის შეგირდები და ქუთაისის სხვა სასწავლებლების მოსწავლეები. შენგელიას მიხედვით ამ დემონსტრაციას რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი ხელმძღვანელობდა,<sup>4</sup> თუმცა სავარაუდოა რომ ეს დემონსტრაცია რსდმპ-ს გარეშე მოეწყო და ერთგვარი პასუხი იყო სასულიერო სემინარიის რექტორის მოწოდებისა და ომი საწინააღმდეგოდ.

ქუთაისში გამართული დემონსტრაციის მნიშვნელობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრ ვიაჩესლავ ფონ პლევეს ყურადღებაც მიიპყრო. მან კავკასიის მთავარმართებელს სპეციალური დეკრემი გამოუგზავნა, რომელშიც სთავაზობდა რომ ქუთაისის სასწავლებლები დახურულიყო. შეიძლება ითქვას, რომ რჩევა ფაქტობრივად ბრძანების ხასიათს ატარებდა, რადგანაც დემონსტრაციიდან 1 თვის თავზე, 1905 წლის 5 მარტს, სინოდის სპეციალური

<sup>3</sup> გაზეთი „საქართველო“ N 11, 1904 წელი, 5.

<sup>4</sup> შენგელია გ. „საქართველოს ახალგაზრდობის ბრძოლა 1905-1907 წლების რევოლუციის წინა პერიოდში“, (ცოდნა, 1975), 26-29.

დადგენილებით ქუთაისის სასულიერო სემინარია დაიხურა.<sup>5</sup> დაუსჯელნი არ დარჩნენილან არც ქუთაისის საეპარქიო საქალებო სასწავლებლის შეგირდებიც, საიდანაც 13 ქალი დაითხოვეს, მეტიც მისი სავარაუდო დახურვის შესახებაც გაისმა ხმები.<sup>6</sup> საქალებო სასწავლებელი მოგვიანებით მართლა დაიხურა თუ არა, დაუდგენელი რჩება.

1904 წლის 15 თებერვალს, ბათუმშიც გაიმართა დემონსტრაცია, რომელიც შეფასდეს როგორც ომის საწინააღმდეგოდ, ასევე იაპონიის მხარდამჭერ აქციად. ხალხმრავალ დემონსტრაციის მონაწილეებმა რუსეთის იმპერიის დროშები დაწვეს და ყვიროდნენ „ძირს ცარიზმი, ვაშა იაპონიას!“. დემონსტრაცია პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა, ხოლო რამდენიმე ადამიანი დააპატიმრეს.“ როგორც ქართველი ისტორიკოსი, ვახტანგ გურული წერს, ამ დემონსტრაციაში დაახლოებით 1 600 ადამიანს მიუღია მონაწილეობა.<sup>7</sup>

ქართველებში ომის საწინააღმდეგო განწყობა, არც ომის მიწურულს არ გამქარალა. როდესაც ომის ბედი სამხედრო თვალსაზრისით ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის იმპერიის მთავარი საზღვაო-სამხედრო ბაზა პორტ-არტური უკვე იაპონელებს ჰქონდათ დაკავებული, ხოლო შორეულ აღმოსავლეთში ომის მიმდინარეობის შემობრუნებისთვის გაგზავნილი, იმპერიის უკანასკნელი იმედი, ე.წ. „ბალტიის ესკადრა“, იაპონელი ადმირლის ჰირო ტოგოს მიერ, იაპონიის ზღვაში კუნძულ ცუშიმასთან უკვე სასტიკად იყო განადგურებული. ომის დასრულებისთვის ფაქტობრივად დარჩენილი იყო მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. ამის მიუხედავად, როგორც ჩანს ომის საკითხი ქართველებში კვლავ აქტუალური იყო.

ერთ-ერთი ასეთი საინტერესო ფაქტი მოხდა სამურზაყანოში. სამწუხაროდ ზუსტი თარიღის დადგენა ვერ შევძელი, თუმცა ჩემი ვარაუდით ეს მოხდა 1905 წლის ზაფხულში, ივლისის ბოლოს ან აგვისტოს დასაწყისში. სამურზაყანოში შეკრებილმა ხალხს მიუღია მანიფესტი, სადაც მათთვის მნიშვნელოვან პრობლემების ჩამონათვალში, მესამე საკითხად მოხვდა ომის დასრულების საკითხიც. მათ სურდათ:

1. აზრის, შეკრებისა და ბეჭდვის თავისუფლება;
2. 16 წლამდე უფასო სავალდებულო განათლების შემოღება;
3. იაპონიის წინააღმდეგ ომის დასრულება;
4. სავალდებულო სამხედრო ბეგარის გაუქმება;
5. გადასახადების შემცირება.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს, ომში რუსეთის იმპერიის გამარჯვების მომხრე ქართველები ბუნებრივია არსებობდნენ და ზოგიერთი მათგან თავგანწირვითაც ომობდა იაპონელთა წინააღმდეგ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი საქართველოში დიდი მხარდაჭერით ვერ სარგებლობდნენ. კვლევებით დასტურდება, რომ ქართველი პოეტები იაპონიის მხარდამჭერ და ომის საწინააღმდეგო ლექსებს აქვეყნებდნენ, იმ პერიოდის ქართულ პრესას ნაკლებად აინტერესებდა შორეულ

<sup>5</sup> შენგელია გ. „საქართველოს ახალგაზრდობის ბრძოლა 1905-1907 წლების რევოლუციის წინა პერიოდში“, (ცოდნა, 1975), 26-29.

<sup>6</sup> გაზეთი „საქართველო“ N12, გვ. 7.

<sup>7</sup> ვახტანგ გურული, „ქართული სოციალ-დემოკრატია 1892-1904 წლებში, ნაკვეთი მეოთხე - ქართული სოციალ-დემოკრატია 1903-1904 წლებში“. (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996), 24.

აღმოსავლეთში მიმდინარე ომი, ხოლო ბრძოლაში დაღუპულ ქართველების მეომარების მიმართაც არ გამოირჩეოდნენ დიდი თანაგრძნობით. <sup>8</sup> შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდის ქართულ საზოგადოებას ნაკლებად აწუხებდა ეს ომი, უფრო მეტიც, ისინი ფარულად იაპონიის მხარდამჭერები იყვნენ. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო მაგალითის შესახებ გვიამბობს გაზეთი „საქართველო!“, რომლის შესახებაც ზემოთ ნახსენებ კვლევებში არ მისაუბრია.

გაზეთის მესამე გვერდზე ვკითხულობთ ერთ პატარა, მაგრამ საინტერესო ინფორმაციას. სტატიის მიხედვით, თბილისის ერთ-ერთი საშუალო სასწავლებლის მასწავლებელს, იმდენად გახარებია იაპონური სამხედრო ფლოტის რამდენიმე ჯავშნოსნის ჩადირვა, რომ ფაქტის საზეიმო აღნიშვნის მიზნით სანაქებო წვეულება გაუმართავს, სადაც კოლეგა მასწავლებლის გარდა, სხვა რუსი მეგობრებიც დაუპატიჟია. მასპინძელს წვეულებაზე რუსეთის იმპერიისთვის ომში გამარჯვება უსურვებია. ამ ფაქტს დიდი უკმაყოფილება მოჰყვა ქართველებში. როგორც გაზეთი „საქართველო“ წერს „მთელს ქართველს საზოგადოებაში წრფელი გულისწყრომა დაჰბადა მთავრობის „ერთგულ“ პედაგოგის საქციელმა“. მომხდარი კიდევ ერთხელ ნათლად მიუთითებს, რომ ქართველების მნიშვნელოვან ნაწილს ომში რუსეთის იმპერიის გამარჯვებაზე მეტად, იაპონიის გამარჯვება უფრო სურდათ.<sup>9</sup>

ეს მოსაზრება მყარდება იმითაც, რომ ქართველების უდიდესი ნაწილი ყველანაირად ცდილობდა არ წასულიყო იაპონიის წინააღმდეგ ომში. ის რომ საქართველოში არსებობდა განწყობა, რომ იაპონია კი არა, რუსეთის იმპერია არის ქართველების მტერი. ამის შესახებ წერდა გაზეთი „საქართველო“.

„გურიიდან გვატყობინენ რომ გლეხებს პირობა დაუდვიათ და აღარ გადიან ჯარისკაცებად (სამხედრო ბეგარის მოსახდელად), სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ რომ თუ კავკასიაში მობილიზაცია მოხდა, როგორც გურიაში, ისე მთელ საქართველოში და სომხებ შორისაც უარს განაცხადებენ ჯარში გასვლაზე: ხალხს შეგნებული აქვს რომ იაპონია კი არ არის მისი მტერი, არამედ თვითონ რუსეთის მთავრობაა, ასე უყურებს ხალხი მთავრობას და უკანასკნელს კი იმდენად დაბრმავებულია რომ იმედი აქვს 12 ათას თავისუფალ მეომარს მისცემს „დრუჟინების“ შესადგენად და შორეულ აღმოსავლეთში სასაკლაოზე გასაგზავნად.“<sup>10</sup>

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გაზეთის ვარაუდი, მთავრობა შორეულ აღმოსავლეთში საბრძოლველად 12 000 თავისუფალ მეომარს ვერ გაიყვანდა გამართლდა. კვლევის პროცესში ვერ დადგინდა, თუ საიდან ჰქონდა გაზეთს ინფორმაცია, რომ 12 000 ქართველის გაყვანა იგეგმებოდა იაპონიის წინააღმდეგ საომრად, რადგან სამწუხაროდ სამხედრო ბეგარაზე გასაწვევ პირთა რაოდენობაზე ოფიციალური, ზუსტი მონაცემები ვერ იქნა მოძიებული. გაზეთ „ივერიის“ 31 ივლისის ნომრის მიხედვით სამხედრო ბეგარისთვის გასაწვევთა რიცხვი 8 006 კაცი იყო.<sup>11</sup>

<sup>8</sup> იხ: ჯაბა მესხიშვილი „რუსეთ-იაპონიის ომი და ქართველი მეომრები (1904-1905)“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* N X, (2017), 232-240; ჯაბა მესხიშვილი „რუსეთ-იაპონიის ომი ქართულ პოეზიაში“ *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* N XII, (2020), 58-66.

<sup>9</sup> გაზეთი „საქართველო“, N 17, 1904 წელი, 3.

<sup>10</sup> გაზეთი „საქართველო“, N 18, 1904 წელი, 2.

<sup>11</sup> გაზეთი „ივერია“ N 176, 1904 წლის 31 ივლისი, 2.



კვლევის პროცესში დადგინდა, რომ არათუ 12 000, არამედ 8 000 კაცის გაწვევაც კი უკიდურესად გაჭირდა.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ბეგარა, არ ნიშნავდა აუცილებლად შორეულ აღმოსავლეთში საომრად მოხდებოდა წვევამდებელის გაგზავნა, მაგრამ მოსახლეობის უმეტესობა ფიქრობდა, რომ სწორედ იაპონიასთან საბრძოლველად მიჰყავდათ ჯარში. ამიტომაც იყო რომ ხშირი იყო სამხედრო ბეგარაზე თავის არიდების ფაქტები. ამის შესახებ ნაწილობრივ საუბრობენ ჰიროაკი კურომია და გიორგი მამულიაც თავიანთ კვლევაში.<sup>12</sup>

თავდაპირველად, გურულებმა განაცხადეს უარი ჯარში წასვლაზე. ერთგვარ დევიზად აქციეს ფრაზა „უმჯობესია მოვკვდეთ ჩვენს გურიაში, ვინემ მანჯურიაში!“<sup>13</sup> იმის ნაცვლად რომ სამხედრო ბეგარა მოეხადათ, რამდენიმე ასეული გურული ფირალად გავიდა ტყეში და პოლიციასთან შეტაკებებში ჩაერთო. გურიიდან, მსგავსი განწყობა სამეგრელოშიც გავრცელდა და იქაც უარი განაცხადეს ჯარში წასვლაზე. რუსეთის იმპერიას ძალის გამოყენება უწევდა, რომ როგორმე შეეგროვებინა წვევამდებლები, თუმცა ვერც ძალადობით ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგს.<sup>14</sup>

იგივე განმეორდა ქუთაისშიც. 1904 წლის 7 ნოემბერს დიდი საპროტესტო დემონსტრაცია ჩაატარდა და მონაწილეებმა განაცხადეს რომ „საღდათად არ გავალთო!“. მთავრობამ მათ წინააღმდეგაც ძალადობრივი მეთოდები გამოიყენა და პოლიციამ ცეცხლი გაუხსნა დემონსტრანტებს. დემონსტრანტების ნაწილი დაიჭრა, ნაწილმა კი გაქცევით უშველა თავი, ხოლო ვინც ვერ შეძლო მიმალვა დააპატიმრეს.<sup>15</sup>

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ხევსურეთში. როდესაც მთავრობამ გადაწყვიტა რომ ხევსურეთიდან სამხედრო ბეგარით ხალხი გაეყვანა, გაწვევაზე არავინ არ გამოცხადდა. ხევსურები ამბობდნენ რომ „რუსები იმიტომ მოვიყვანეთ ჩვენში, რომ მშვიდობიანობა დაეცვათ; ამათ კი სულ ომი და დავიდარობა აქვთო“. როდესაც გასაწვევი პირები ვერ შეაგროვეს, ადგილობრივმა ბოქაულმა გადაწყვიტა ახალგაზრდები ძალით შეეკრიბა და მათ შორის აერჩიათ ჯარში წამსვლელები. ხევსურები ამ ქმედებამ ძალიან გაანაწყენა, რადგან ბოქაული ცდილობდა არა გასაწვევი ხალხი წაეყვანა ჯარში, არამედ ნებისმიერი ახალგაზრდა, რომელსაც თავად შეარჩევდნენ. გაბრაზებულმა ხევსურებმა ბოქაული ხევსურეთიდან გაამევეს და თბილისშიც იჩივლეს. თბილისში, ნაცვლად იმისა რომ მათი საჩივარი მიეღოთ და დაეკმაყოფილებინათ, პირიქით მოიქცნენ. მეორე ბოქაული, მრავალი ჩაფრის თანხლებით გააგზავნეს ხევსურეთში სამხედრო ბეგარაში წამსვლელთა შესარჩევად. ბოქაულის ჩასვლის შემდეგ ხევსურეთში მოთოვა და არათუ ხევსურები ვერ წაიყვანეს ჯარში, არამედ თავადაც ხევსურეთში ჩარჩნენ გაზაფხულამდე, საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავრობაში ღელავდნენ ხევსურეთში ჩარჩენილი ბოქაული და ჩაფრები ხევსურებს არ ამოეხოცათ.<sup>16</sup>

<sup>12</sup> Hiroaki Kuromiya and Georges Mamoulia, *The Eurasian Triangle Russia, The Caucasus and Japan, 1904-1945*, DeGruyter Open Ltd, (Warsaw/Berlin, 2016).

<sup>13</sup> მანჯურია, დღევანდელი ჩინეთის ტერიტორია, მდებარეობს ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის. 1904-1905 წლებში იყო რუსეთ-იაპონიის ომის ერთ-ერთი მთავარი საბრძოლო არეალი.

<sup>14</sup> გაზეთი „საქართველო“, N 19, 1904 წელი, 5-6.

<sup>15</sup> გაზეთი „საქართველო“, N 19, 1904 წელი, 5-6.

<sup>16</sup> გაზეთი „საქართველო“, N 19, 1904 წელი, 5-6.

საქართველოს სხვა დანარჩენ რეგიონებშიც იყო წინააღმდეგობა, თუმცა არა ისეთი აქტიური, როგორც ზემოთ ნახსენებ რეგიონებში იყო. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვერც იქ ვერ შეაგროვეს საკმარისი რაოდენობის სამხედრო ბეგარაში გასაწვევი ახალგაზრდები.<sup>17</sup>

ქართველები, არათუ არ მიდიოდნენ რუსეთ-იაპონიის ომში იაპონელთა წინააღმდეგ საომრად, არამედ რუსეთის საწინააღმდეგო სიმღერებსაც მღეროდნენ. საფრანგეთში მყოფი, ქართველი ემიგრანტი, 1968 წელს იხსენებდა რომ ქართველები მღეროდნენ „პორტ-არტური - მანჯურია, რუსის საქმე წასულია!“, ასევე გიტარაზე უკრავდნენ და მღეროდნენ აკაკი წერეთლის ალეგორიულ ლექსზე „გურული ნანინაზე“<sup>18</sup> შექმნილ სიმღერას „ოი, ამას ვენაცვალე“.<sup>19</sup> ივანე ოიამა იყო იაპონიის არმის გენშტაბის უფროსი, აკაკიმ სწორედ მას მიუძღვნა ლექსი, რომელიც შეფარვით იაპონელი სარდლის ხოტბას წარმოადგენდა.<sup>20</sup>

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას რომ აღმოჩენილი ფაქტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში არ სურდათ იაპონიის წინააღმდეგ ომი და მითუმეტეს მათ წინააღმდეგ ომში წასვლა. შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ ქართველებს ზოგადად არ სურდათ ბრძოლა, ჩემი აზრით არ იქნება სწორი, რადგან თუნდაც ის ფაქტი რომ ქართველებს ერჩივნათ ტყეში ფირალად გასულიყვნენ და იაპონელების ნაცვლად რუსებთან ეომათ, სწორედ იმას მიუთითებს, რომ მათ არ სურდათ განა ზოგადად ბრძოლა, არამედ რუსეთ-იაპონიის ომში წასვლა და ბრძოლა. ამის გამო იყო რომ საქართველოში ომის საწინააღმდეგო საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა, მიიღეს მანიფესტი და სამხედრო ბეგარას აქტიურად არიდებდნენ თავს.

---

<sup>17</sup> გაზეთი „საქართველო“, N 19, 1904 წელი, 5-6.

<sup>18</sup> გაზეთი „ივერია“, N 59, 24 აპრილი, 1905, გვ. 2.

<sup>19</sup> ვასო წულაძე „მცირე მოგონებანი“, ჟურნალი „კავკასიონი“, N13, (1968), 85.

<sup>20</sup> ჯაბა მესხიშვილი „რუსეთ-იაპონიის ომი ქართულ პოეზიაში“ *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* N XII, (2020), 62.

## **ATTITUDES TOWARDS THE RUSSIA-JAPAN WAR (1904-1905) IN GEORGIA**

In early 1904, relations between the Russian Empire and Japan had become extremely strained for expanding the influence in the Far East. The main reason for this was the interest of the Russian Empire towards the frozen ports. For this purpose it began to aspire to Manchuria and set up a naval base in the port of Port Arthur. The activation of the Russian Empire in the Far East posed a threat to Japan's interests on the Korean Peninsula, which significantly complicated diplomatic relations between the two countries. Eventually tensions between the two countries escalated into hostilities and more than 2 million warriors from both sides were involved in the battle. In a vicious war, Japan won a hard-fought victory and managed to oust the Russian Empire from Manchuria. Since Georgia was annexed by the Russian Empire at that time, Georgians were also forced to take part in hostilities against Japan.

Along with the beginning of the war, interest towards Japan as the main enemy of the Russian Empire deepened in Georgia. When the Russo-Japanese War broke out, no one in Georgia could have imagined that an Asian, small and almost unknown country would be able to defeat one of the vast empires of the world at that time. So at first there was no great hope of defeating the Russian Empire. But when the Japanese army achieved some significant success in the war, the hope was arised in Georgia that Japan would be able to defeat their invading country, the Russian Empire.

In 1904-1905 the newspapers "Tsnobis Purtseli" and "Iveria" were widely circulated in Georgia. Due to the harsh censorship of those times, actually every article was subjected to the strict censorship, and pro-Japanese information was not published in it openly. However, in a number of articles related to Japan, hidden praise and admiration for the country of the rising sun was felt.

The situation was different in the newspaper of the Georgian Socialist-Federalist Revolutionary Party published in Paris „Sakartvelo” (its French version was published as “La Géorgie”). The newspaper was free from the strict Russian censorship. Anti-Russian information was freely printed here, and then it was secretly brought to Georgia and spread among the people. Therefore, in this newspaper, there are facts that preserve a lot of interesting information due to the circumvention of Russian censorship and is an important source for a more or less objective analysis of the reality in Georgia during the war.

With the outbreak of the Russo-Japanese War, anti-war rallies became more frequent in Georgia, in which both the adult population and the student-youth population took an active part. For example, one of the first cities where anti-war demonstrations were held

was Kutaisi. On February 3, 1904, a gathering organized by the students of the Theological Seminary and other schools was held in the city of Kutaisi, the participants of which were later punished for the meeting. On February 15, 1904, a demonstration was held in Batumi, which was assessed as both an anti-war and a pro-Japanese rally. Crowds of demonstrators burned the flags of the Russian Empire and shouted "Down the Tsarism, hurrah Japan!".

An interesting fact happened in Samurzakano. Unfortunately I could not set an exact date, although I guess it happened in the summer of 1905, in late July or early August, when the fate of the war was actually decided and Japan's victory in the war lacked just a political formulation. The people gathered in Samurzakano adopted a manifesto, where in the list of important topics for them the issue of ending the war was the third number. They wanted:

1. Freedom of thought, assembly and press;
2. Introduction of free compulsory education up to 16 years;
3. End the war against Japan;
4. Abolition of compulsory military tax;
5. Tax cuts.

During the Russo-Japanese War, Georgians supporting the victory of the Russian Empire in the war naturally existed, and some of them even fought selflessly against the Japanese, although it should be noted that they did not enjoy much support in Georgia. Studies show that Georgian poets published poems against the war and supporting Japan. The Georgian press of that period was less interested in the war in the Far East. They did not show much sympathy for the Georgian soldiers who died in the battle.

Besides that, most of Georgians tried their best not to go to war against Japan. There was a feeling in Georgia that not Japan, but the Russian Empire is the enemy of the Georgians. Although military duty did not necessarily mean sending conscripts to the Far East, most people thought they were being drafted into the army to fight against Japan.

That is why the evasion of military tax was frequent. Moreover, some of them were roaming in the woods and fighting against the Russian police. It should be noted that during the war years in Georgia there were not able to collect a sufficient number of young people to be drafted into the military.

In conclusion, it can be said that the analysis of the discovered facts revealed that Georgia did not want war against Japan and especially did not want to go to war against them. There may be an opinion that Georgians generally did not want to fight. In my opinion, it is not right, because even the fact that the Georgians chose to go to the forest and fight with the Russians instead of the Japanese, indicates that they did not want to go and fight in the Russo-Japanese war. It was because of this that anti-war protests were held in Georgia, a manifesto was adopted and military duties were actively avoided.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა - References:

1. გურული, ვახტანგ. *ქართული სოციალ-დემოკრატია 1892-1904 წლებში*. ნაკვეთი მეოთხე - ქართული სოციალ-დემოკრატია 1903-1904 წლებში“. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996);
2. ლასხიშვილი, გიორგი. *მემუარები*. თბილისი, 1992.
3. მესხიშვილი, ჯაბა. „რუსეთ-იაპონიის ომი და ქართველი მეომრები (1904-1905).“ *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* N X, 2017, 232-240.
4. მესხიშვილი, ჯაბა. „რუსეთ-იაპონიის ომი ქართულ პოეზიაში.“ *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, N XII, 2020, 58-66.
5. შენგელია, გ. „საქართველოს ახალგაზრდობის ბრძოლა 1905-1907 წლების რევოლუციის წინა პერიოდში.“ თბილისი: ცოდნა, 1975.
6. წულაძე, ვასო. „მცირე მოგონებანი“. ჟურნალი „კავკასიონი“, N13, 1968.
7. გაზეთი „*საქართველო*“ 1904-1905 წლები.
8. გაზეთი „*ივერია*“ 1904-1905 წლები.
9. 宮地正人『国際政治下の近代日本』山川出版社、一九八七年      მიაიჩი      მასატო, *საერთაშორისო ურთიერთობების ქვეშ მყოფი თანამედროვე იაპონია*. ტოკიო: იამაგავა, 1987),
10. Kuromiya, Hiroaki and Mamoulia, Georges. *The Eurasian Triangle Russia, The Caucasus and Japan, 1904-1945*. Warsaw/Berlin: DeGruyter Open Ltd, , 2016).

## ნაპოლეონის წარგზავნილთა თვალით დანახული ყაჯართა რეზიდენციები (1806-1809)

XIX საუკუნის დასაწყისში ინდოეთზე ლაშქრობის გეგმაში ნაპოლეონმა სტრატეგიული მნიშვნელობა მიანიჭა ირანს და იქ 1805-1809 წლებში წარგზავნილი მისიის წევრებს ამ ქვეყნის შესახებ დეტალური ინფორმაციის შეგროვება დაავალა<sup>1</sup>. ფრანგთა მიერ შეკრებილ მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს შორის არის ინფორმაცია ირანის მმართველ ყაჯართა ახალი დინასტიის დედაქალაქის – თეირანის, ფათჰ-ალი შაჰისა და ირანის ტახტის მემკვიდრის, აბას მირზას რეზიდენციების, ერთ-ერთი სპარსელი წარჩინებულის – ბაბა ხანისა და შეძლებული სპარსელების საცხოვრისის შესახებ. ეს მასალა გვხვდება არქივებში დაცულ ფრანგ წარგზავნილთა ხელნაწერებსა და მათ გამოქვეყნებულ თხზულებებში.

**თეირანი – ყაჯართა დინასტიის დედაქალაქი.** თეირანის, როგორც პოლიტიკური ცენტრის, აღზევება XIII საუკუნეში მონღოლების მიერ ირანის უძველესი ქალაქის, რეის, დანგრევამ გამოიწვია. XV საუკუნის დასაწყისში, კასტილიის მმართველის, ჰენრი III-ის, მიერ თემურლენგთან გაგზავნილი ელჩი, რუი გონზალეს დე კლავიხო, რომელიც თეირანში 1404 წლის 6 ივლისს ჩავიდა, წერდა, რომ თეირანი ძალიან დიდი ქალაქი იყო, რომელსაც არ ჰქონდა გალავანი და ის მოიცავდა ქალაქ რეის ტერიტორიას, სადაც იმჟამად დიდი სამფლობელო თემურლენგის სიძეს ეკუთვნოდა.<sup>2</sup>

სეფიანების მმართველობის დროს თეირანი – ადგილობრივი მნიშვნელობის ადმინისტრაციული ცენტრი – პროვინციის გუბერნატორის რეზიდენცია იყო; თაჰმასპ I-მა (1524-1576) იქ კომპლექსიანი გალავანი და ბაზარი, აბას II-მ (1642-1666) რეზიდენცია ჩაპარ ბაღი, სეფი II-მ (1666-1694) კი დივან-ხანე და სასახლე, ააშენეს. 1722 წელს ავღანელებმა ქალაქი თითქმის მთლიანად გააჩანაგეს და დაანგრეს. XVIII საუკუნეში თეირანს აქტიურად ანაშენიანებდნენ ზენდები; ქერიმ ხანმა (1750-1779) იქ სასახლე, ჰარამხანა და მოხელეებისთვის დაწესებულებები ააშენებინა.<sup>3</sup>

ირანის დედაქალაქის თეირანში გადატანა აღა-მაჰმად ხანის სახელს უკავშირდება: ხანმოკლე ალყის შემდეგ მან 1785 წელს აიღო თეირანი, 1786 წლის 12 მარტს კი თავის დედაქალაქად გამოაცხადა. ნაპოლეონის წარგზავნილთა ცნობით, „ამ ფრთხილმა და ცბიერმა საჭურისმა“ თავისი საცხოვრებელი თეირანში იმიტომ დაიმკვიდრა“, რომ უფრო ახლო ყოფილიყო თავის სამშობლოსთან, მაზანდარანთან, რომლის მოსახლეობა

<sup>1</sup> Archives du Ministère des Affaires étrangères (AMFAE), Protocoles, C 13.

<sup>2</sup> Ruy Gonzalez de Clavijo, *Narrative of the Embassy of Ruy Gonzalez de Clavijo to the Court of Timour at Samarcand*. Translated for the First Time with Notes, a preface, and an introductory life of Timour Beg, by C. R. Markham (London: Printed for the Hakluyt Society, 1859), 99.

<sup>3</sup> Xavier de Planhol, “Teheran i. A Persian City at the Foot of the Alborz”. *Encyclopædia Iranica*, 2016, available at <http://www.iranicaonline.org/articles/teheran-i> (accessed on 30 December 2012).

მისი ერთგული იყო.<sup>4</sup> აღა-მაჰმად ხანი მაზანდარანში ყოველდღე გზავნიდა თავის განძს და ყველა ზომას იღებდა, რომ თუ ბედი უმტყუნებდა, იქ დამკვიდრებულიყო.<sup>5</sup> ცნობილი მკვლევარი, აბას ამანათი, აღნიშნავს, რომ მომთაბარე ტომებისთვის, რომლებიც გამუდმებით აწარმოებდნენ შორეულ და საშიშ კამპანიებს, ყველაზე უსაფრთხო, პორტატიული საშუალება მვირფასი ქვებით ქონების დაგროვება იყო.<sup>6</sup>

1807-1809 წლებში გენერალ გარდანის მეთაურობით ირანში მივლინებული მისიის წევრი, ლეიტენანტი ტრეზელი, რომელმაც 1808 წლის შემოდგომაზე იმოგზაურა გილანსა და მაზანდარანის დასავლეთ ნაწილში, თავის მოხსენებით ბარათში წერდა, რომ მაზანდარანის მთელი მოსახლეობა 150,000 ოჯახს შეადგენდა და ვარაუდობდნენ, რომ ფათჰ-ალი შაჰის განძის უდიდესი ნაწილიც აქ ინახებოდა.<sup>7</sup>

ამ მიზეზების გამო, აღა მაჰმად ხანის მემკვიდრეს, ფათჰ-ალი შაჰს არც კი უფიქრია რომელიმე სხვა დედაქალაქის აღდგენა და თეირანის ყოველგვარ გამშვენიერებას ცდილობდა.<sup>8</sup>

გენერალ გარდანის მისიის წევრების, საინჟინრო საქმეთა კაპიტნის – ბიანკი დ'ადდას, არტილერიის ლეიტენანტის – შარლ ფავიესა და მისიის ატამეს, ადრიენ დიუპრეს ცნობებით, თეირანი მართკუთხა ფორმის ქალაქი იყო, რომელიც თითქმის დაუმუშავებელ, ქვიშიან დაბლობზე მდებარეობდა. ის გარშემორტყმული იყო გალავნით და თხრილით; მისი გუმბათებით დაგვირგვინებული ოთხი ჭიშკარი

---

<sup>4</sup> ყაჯართა დინასტიის აწ გარდაცვლილი მეთაური, პრინცი სოლოთან ალი ყაჯარი (1929-2011), ამ საკითხს ასე განმარტავდა: „თეირანს ელბურსი მკვიდრი კედელივით იცავდა ჩრდილოეთიდან; ამასთან, აქ იკვეთება განსახლებისა და კომუნიკაციის სამი ღერძი: სამხრეთით იყო ფარსის გზა, რომლითაც მესოპოტამიაში, სპარსეთის ყურესა და ოსმალეთის იმპერიაში მიდიოდა; აღმოსავლეთიდან, მეშვედისა და დამლანის გზით არა მხოლოდ ქარავნები, არამედ პოტენციური მტრები – ავღანელები და უზბეკები – შემოდიოდნენ. დასავლეთიდან ტრაპიზონიდან მოყოლებული კავკასიისკენ მიმავალი გზა შავ ზღვაზე ოსმალთა და რუსთა მისადგომი იყო. ამგვარად, კასპიის ზღვის გარდა, თეირანიდან აღმოსავლეთი და დასავლეთი კონტროლდებოდა“. – Prince Ali Kadjar, *Les Rois oubliés, l'épopée de la dynastie Kadjare* (Paris: Kian, 1992), 90-91.

<sup>5</sup> AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 27, fol. 57v; Archives du Ministère des Affaires étrangères, Mémoires et Documents, Perse: vol. 3, doc. 9, fol. 159v; vol. 6, doc. 19, fol. 77r; Ange de Gardane, *Journal d'un voyage dans la Turquie-d'Asie et la Perse, fait en 1807-1808* (Paris-Marseille: Chez Jean Mossy, Imprimeur – Libraire), 1809, 76. Auguste Bontems, *Lettres d'un officier français contenant la relation d'un voyage rapidement fait en Turqui et en Perse pendant l'année 1807* (S. l., S. d) 184; J.-M. Tancoigne, *Lettres sur la Perse*, I, 159; ამედე ჟობერი, მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-1806 წლებში. თარგმანი ფრანგულიდან, გამოკვლევა და კომენტარები ი. ნაჭყებიასი (თბილისი: „მეცნიერება“, 1997), 193.

<sup>6</sup> Abbas Amanat, “The Kayanid Crown and Qajar Reclaiming of Royal Authority”. In: *Memoriam Mahmood T. Diba. Iranien Studies, “Qajar Art and Society”*. Guest Editor: Layla Diba, Vol. 34, n. 1-4, 2001, 21.

<sup>7</sup> ლეიტენანტის აზრით, სწორედ ეს გარემოება იყო იმ წინდახედულობის ჭეშმარიტი მიზეზი, რომ არც ერთ უცხოელს არ აძლევდნენ ამ ოლქში შეღწევის საშუალებას (AMFAE, MD/Perse, vol. 3, doc. 2, fol. 31v-32r). ამ განძის შესახებ ცნობა დაცულია რუსულ მასალებში და ინგლისელი ოფიცრის, ჯონ მაკდონალდ კინეირის თხზულებაში (Акты, собранные Кавказской археографической комиссией, под ред. Ад. Берже, Тифлис, 1869, III, 510; John Macdonald Kinneir, *Mémoires géographiques sur l'Empire de Perse: Traduit de l'anglais par le colonel Gaspard Drouville. Avec carte et notes du traducteur* (St. Petersburg: Pluchart, 1827), I, 25.

<sup>8</sup> AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 19, fol. 77r.

მოპირკეთებული იყო ფერადი აგურით, რომელზეც უხეში მოზაიკით ვეფხვები და სხვა ცხოველები იყო გამოსახული. ყოველი ჭიშკრის პირდაპირ კოშკი იდგა და ზარბაზნების გარეშე ამ საგუმავოების აღება ადვილი არ იყო. ქალაქი ცუდად ნაგები, ქუჩები კი ვიწრო იყო. ქალაქში ღამით სიარული განსაკუთრებით საშიში იყო სავალი გზის შუაში მდებარე ღია ორმოებისა და მეღიების დიდი რაოდენობის გამო. ერთადერთი მოკირწყლული გზა, სადაც ზარბაზნები არ იდგა, თეირანის ბულვარი იყო. ფათჰ-ალი შაჰისა და მისი კარის იქ ყოფნა იზიდავდა წარჩინებულებს, რომლებიც იქ შაჰის წყალობის საძიებლად მიდიოდნენ და სახლდებოდნენ. შაჰის კარის იქ ყოფნა, თავის მხრივ, ვაჭრებს იზიდავდა, რომლებსაც, გენერალი რომიეს თქმით, ფათჰ-ალი შაჰი ძლიერ მფარველობდა. ირანის ახალი დედაქალაქი დღითიდღე იზრდებოდა, თავისუფალ ადგილებზე სასახლეები, სახლები, ბაზრები, ქარვასლები და საზოგადოებრივი აბანოები შენდებოდა. შაჰი თავისი დედაქალაქის ახალი შენობებით გამშვენებულს ცდილობდა, მათ შორის აღსანიშნავი იყო მეჩეთი, რომლის გუმბათი ოქროს ფირფიტებით იყო დაფარული. თუ ალა მაჰმად ხანის მმართველობის დროს თეირანის მოსახლეობა 8,000-10,000 იყო, 1809 წლისთვის ის 45,000-50,000 სულს აღწევდა; სპარსელებს შორის ცხოვრობდნენ ებრაელებისა და სომხების ოჯახები. თეირანის მმართველი შაჰის მეათე ვაჟი, ტახტის მემკვიდრის, აბას მირზას მკვიდრი ძმა, ალი-შაჰი ზალ-ალ სალთანე იყო.<sup>9</sup>

საფრანგეთის მისიის ატაშე, ადრიენ დიუპრე, რომელიც მისიის სხვა წევრებისგან განსხვავებით, ლეიტენანტ ტრეზელთან ერთად თეირანში ირანის სამხრეთი ქალაქების გავლით ჩავიდა, წერდა, რომ ფათჰ-ალი შაჰის მცდელობის მიუხედავად, ექცია თეირანი აყვავებულ ქალაქად, ის ვერასოდეს გახდებოდა ისფაჰანის რანგის ქალაქი, რომელიც თავისი ცენტრალური მდებარეობის გამო კვლავ ინარჩუნებდა თავისი წარსული ბრწყინვალეების კვალს.<sup>10</sup>

**ფათჰ-ალი შაჰის სასახლე.** ფრანგი წარგზავნილები ფათჰ-ალი შაჰის თეირანის რეზიდენციის საკმაოდ ცოცხალ სურათს გვაძლევენ. ეს ნაგებობა განიერი თხრილით იყო დაცული, რომელზეც ასაწევი ხიდი მოქმედებდა, ის ციხესიმაგრეს უფრო ჰგავდა, ვიდრე სასახლეს და საკმაოდ საცოდავი იერსახე ჰქონდა. სამაგიეროდ, მის ჭიშკარს მაღალფარდოვნად „დარი სა’ადეთ“ ანუ „ნეტარების კარი“ ეწოდებოდა. ხიდზე გადასვლის შემდეგ სასახლის პირველ, ძალიან ვრცელ შიდა ეზოში მოლაშქრეთა რაზმები, რამდენიმე ზარბაზანი და შაჰის თეთრი ცხენები ჩანდა. 1806 წლის ივნისში ამ სასახლეში შაჰთან აუდიენციაზე მისულმა ნაპოლეონის ემისარმა, ამედე ჟობერმა, იქ გაცემითა და იდუმალი შიშის გრძნობით შენიშნა ბოძი, რომელზეც ცოტა ხნის წინ სიკვდილით დასჯილი წარჩინებული პიროვნების თავი იყო ჩამოცმული. საფრანგეთის მისიის მეორე მდივანი, ანჟ დე გარდანი კი წერდა, რომ 1807 წლის დეკემბერში სასახლის კარიბჭის წინ გამოდებული იყო ოთხი თავმოკვეთილი გვამი და მათ ყოველი გამვლელი ფეხს ურტყამდა.<sup>11</sup>

<sup>9</sup> AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 27, fol. 58r; AMFAE, MD/Perse, vol. 3, doc. 20, fol. 382r, Bianchi d'Adda; AMFAE, MD/Perse, vol. 3, doc. 9, fol. 159v, Fabvier; Dupré, *Voyage en Perse*, II, 189-190.

<sup>10</sup> Dupré, *Voyage en Perse*, II, 190.

<sup>11</sup> ჟობერი, მოგზაურობა, 144, 145; Gardane, *Journal d'un voyage*, 52; Dupré, *Voyage en Perse*, II, 188.



ამ სასტიკ სურათთან კონტრასტს ქმნიდა სასახლის მშვენიერი, ძალიან ხშირი მესრით შემოზღუდული ბაღი, რომელიც სავსე იყო აყვავებული ხეებითა და ბუჩქებით; იქ ყოველი მხრიდან მიიკლავნებოდა ჭადრების ლამაზი ხეივნები, რომლებშიც ვარდისა და ჟასმინის ბუჩქები იყო შერეული. ამ ხეივნებში მდებარე მარმარილოს დიდი აუზებიდან წყალი გადმოსჩქეფდა და ყვავილების კვლებს წვიმასავით ესხურებოდა. ერთმანეთში არეული ჭადარი, თელა, იასამანი და ჰორტენზია ნაირ-ნაირ კუნძულებს ქმნიდნენ. დიდი ხელოვნებით გაყვანილი ნაკადულები განუწყვეტლივ ასაზრდო-ებდნენ ძლიერ ფესვიან მცენარეებს. ხშირ ფოთლებში შემალულ გალიებში უამრავი ფრინველი ირეოდა. დაბოლოს, გაზონებში გაფანტული ტიტები, ნარგიზები, ანემონები, მიხაკები და საფრანგეთის ჰავისათვის უცხო, იშვიათი ყვავილები თვალს ახარებდნენ ფერთა ბრწყინვალეობით, ჰაერს კი საამო სურნელით ავსებდნენ. ბაღში ცოცხალი ფერებით მოხატული მსუბუქი კონსტრუქციის კიოსკი იდგა; მას მოოქროვილი ბაღე ამშვენებდა, რომელიც მზის სხივებს ირეკლავდა. ამწვანებული ალვის ხეების, კუნელისა და ტირიფის ჯგუფებს მახლობლად მდებარე პატარა მეჩეთის დახვეწილი ფორმის მინარეთი დაჰყურებდა. აუზის წინ კარავი იდგა, რომლის აბრეშუმის ფარდები გარშემო მდებარე ტირიფებზე იყო მიმაგრებული. ზაფხულში, სულთანის დაბლობზე გამგზავრებამდე თეირანის სიცხისგან თავის შესაფარებლად, ფათჰ-ალი შაჰი სადამოს ექვს საათამდე იქ ეწეოდა ნარგილეს და ისვენებდა.<sup>12</sup>

**ფათჰ-ალი შაჰის სასახლის ინტერიერი.** ფრანგ წარგზავნილთა ცნობებით, დარბაზი, სადაც შაჰი ელჩებს იღებდა, მეტად მდიდრულად იყო მორთული. შაჰის საუკეთესო მარმარილოს კარგად გაპრიალეზული ტახტი მარმარილოსვე მრავალ სვეტს ეყრდნობოდა, სხვა ოთხი სვეტი კი მის მოოქროვილ და მომინანქრებულ ბალდახინს იჭერდა. შაჰი სხვადასხვა ზომის ობოლი მარგალიტებით მოფენილ მუთაქებს ეყრდნობოდა. ყოველი მხრიდან ათასობით ბრილიანტი, ლალი, ზურმუხტი და საფირონი ბრწყინავდა.<sup>13</sup> კედლების თეთრი ფონი არაბესკებითა და ოქროსფერი წარწერებით იყო მორთული; ფერადი მინებიდან გადმოღვრილი დღის სინათლე სინატიფისა და დახვეწილობის ჩინებულ სურათს ქმნიდა, იატაკი შესანიშნავი ქაშმირული ხალიჩებით იყო მოფენილი. დარბაზს ოქროს ლარნაკები და აღმასებით მოჭედილი წყლის თუნგები ამშვენებდა, მარმარილოს აუზებში შადრევნები მოჩქეფდა. სარკით მოპირკეთებულ ჭერსა და დარბაზის კოლონებში წყარო და ბაღები

<sup>12</sup> ჟობერი, მოგზაურობა, 147-148.

<sup>13</sup> სავარაუდოა, რომ ეს ნადირ შაჰის მიერ ინდოეთიდან გამოტანილი პატიოსანი თვლები იყო. აქვე აღვნიშნავთ, რომ გენერალ გარდანის მისიის მეორე მდივნის, ჟოზეფ რუსოს პაპა, შვეიცარელი მესაათე-იუველირი ჟაკ რუსო (1679-1753) 1705 წელს ლუი XIV მიერ შაჰ სოლთან-ჰოსეინთან (1694-1722) გაგზავნილ ელჩობას გაჰყვა, ირანში დარჩა და შაჰის იუველირთა უფროსი გახდა. მას ხოლო შაჰ თაჰმასპ II-დ (1729-1732) ერთგულებისათვის მას 16 კარატისანი ლალი უბოძა, რომლის ფასიც იმჟამად 600 თუმანი ანუ დაახლოებით 9 მილიონი ფრანკი ყოფილა. ჟაკ რუსოს ძლიერ ენდობოდა ნადირ შაჰიც, რომელმაც მას სამეფო კარის იუველირის დიპლომი, რაყამი, უბოძა, მასვე ანდო ინდოეთიდან გამოტანილი ძვირფასეულობის შეფასება და თავისი გვირგვინისათვის აღმასების დახარისხება-დამუშავება (Sylvestre de Sacy, *Eloge historique de feu Jean-François Rousseau ancien consul général de France à Bagdad et à Bassora, mort à alep le 12 mai 1808. Précédé de quelques détails curieux et intéressants sur le voyage de son père à la cour de Perse, au commencement du dix-huitième siècle* (S. l.: 1810), 2-3).

ირეკლებოდა, ხოლო კარები აბანოსითა და სადაფით იყო ინკრუსტირებული. შაჰის მიერ დიდი ფუფუნებით იყო მორთული და გალამაზებულ სასახლის ის ნაწილი, რომელიც ფრანგებს დაათვალიერებინეს. ისინი აგრეთვე სარკეებით, ჭაღებითა და ძვირფასი ხალიჩებით იყო მორთული და კედლებს შაჰის მიერ მოწონებული ყველა ქალის საკმაოდ კარგად შესრულებული, არც თუ მოკრძალებული, სურათები ამშვენებდა. სასახლის მსახურებიც უძვირფასეს ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილები. ნაპოლეონის წარგზავნილებისთვის მიცემული ინფორმაციის თანახმად, ჰარამხანის ინტერიერი მასიური ოქროს ნივთებით იყო მორთული, რომელთა უდიდესი ნაწილი მარგალიტებითა და ინდოეთიდან შემოტანილი უიშვიათესი თვლებით იყო შემკული.<sup>14</sup>

შაჰი თავის სასახლეს მუდმივად ამდიდრებდა ადგილობრივი ხელოსნების მიერ შექმნილი ულამაზესი და უმშვენიერესი ნივთებით – სამკაულებით, ოქრომჭედლობის ნაწარმით, ქსოვილებითა და სხვ... ვაჭრებს მაშინვე მასთან მიჰქონდათ ევროპიდან ბაღდადში შეტანილი პატიოსანი თვლები თუ სპარსეთის ყურით შემოსული ინგლისური ნაწარმი. შაჰი ყიდულობდა ყველაფერს, რაც კი მოეწონებოდა, დანარჩენს კი ვაჭრებს უტოვებდა გასაყიდად.<sup>15</sup>

ფრანგი წარგზავნილები განცვიფრებულები იყვნენ სასახლეში ნანახი ფუფუნების გამო. 1807 წლის 28 ოქტომბერს შაჰთან აუდიენციის შემდეგ, საფრანგეთის მისიის მეორე მდივანი ჟოზეფ რუსო თავის მამას, იმჟამად ბაღდადში საფრანგეთის კონსულს – ჟან-ფრანსუა ქსავიე რუსოს – სწერდა, რომ თეირანის სასახლეში ნანახი სიმდიდრის გამო მას ვერ გაებედა შაჰისათვის ბაღდადიდან ჩატანილი მცირე საჩუქრების მირთმევა.<sup>16</sup>

ფათჰ-ალი შაჰს თავისი სიმდიდრის საჯაროდ გამოფენა უყვარდა, რაც მისი სიდიადის პროპაგანდას ემსახურებოდა, რადგან უცხოელ დიპლომატებს ეს ინფორმაცია ევროპაში გაჰქონდათ. ამ თვალსაზრისით მას ვერც ერთი აზიელი მონარქი ვერ შეედრებოდა.<sup>17</sup>

**ნეგარესთანის სასახლე.** 1808 წლის 24 თებერვალს გენერალ გარდანის მისიის წევრები თეირანიდან დაახლოებით ერთი მილის [≈1.8 კმ] მანძილზე მდებარე აბას-მირზას პატარა დასასვენებელ სასახლეს, ნეგარესთანს, ეწვივნენ, რომელიც ამ მეფისწულისთვის მის აღმზრდელსა და პირველ ვეზირს, მირზა ბოზორგს, აეშენებინა. ეს შენობა არაფრით გამოირჩეოდა, მას გარს შემოვლებული ჰქონდა მიწის კედელი, რომლის აღმოსავლეთ მხარეს დატანებულ კოშკზე უხეშ ლაფეტზე ბრინჯაოს გრძელი კულევრინა<sup>18</sup> იდგა; მის შესახებ მისიის თარჯიმანი, ტანკუანი წერდა: „ის უფრო ბაქიობის ობიექტია, ვიდრე თავდაცვისთვის საჭირო. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ სპარსეთში ვართ“... მისივე თქმით, ნეგარესთანს ორმაგი მნიშვნელობა

<sup>14</sup> Gardane, *Journal d'un voyage*, 50-54; ჟობერი, მოგზაურობა, 145-146.

<sup>15</sup> J.-B. Louis Jaques Rousseau, *Notice historique sur la Perse ancienne et moderne et sur ses peuples en général* (Marseille: Édition Achard, 1818), 38.

<sup>16</sup> AMFAE, CP/Perse, vol. 9. doc. 156, fol. 272r-173r.

<sup>17</sup> AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 19, fol. 144r

<sup>18</sup> კულევრინა (ფრ. couleuvrine) – ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც არკებუზის, მუშკეტისა და მსუბუქი ქვემეხის წინაპარი იყო.

ჰქონდა: ის ნიშნავდა იმ ადგილს, საიდანაც პერსპექტივა იხსნებოდა ან საიდანაც თვალთვალი შეიძლებოდა. ტანკუანის აზრით, ეს სახელწოდება უდავოდ აღნიშნულ კომპლექსში უკავშირდებოდა, საიდანაც ხედი მთელ თეირანსა და მის დაუმუშავებელ და ძლიერ მშრალ შემოგარენზე იშლებოდა.

ნეგარესთანის სასახლის ოთახები არც დიდი იყო და არც იმ აზიური ფუფუნებით მორთული, რისი ნახვის იმედიც ჰქონდათ საფრანგეთის მისიის წევრებს. ამ ოთახების უკიდურესი სიმარტივე მეფისწულის გემოვნებაზე მიუთითებდა.<sup>19</sup> სასახლის კომპლექსში იყო მართკუთხედი ფორმის, დაახლოებით ექვსასი ნაბიჯის სიგრძისა და სამასი ნაბიჯის სიგანის, ყვავილებითა და ახალგაზრდა ვერხვებით დამშვენებული კარგად მოვლილი ბაღი. სამი მეტრის სიგანის პატარა არხის კალაპოტი მთლიანად ლამაზი ქვებით იყო მოკირწყლული და ბაღს მთელ სიგრძეზე ჰყოფდა შუაზე; მასში დიდი ძალით მიედინებოდა შესანიშნავი წყალი და საამოდ აგრილებდა მარმარილოს პავილიონს, რომელშიც აუზი და შადრევანი იყო გამართული. ამ არხიდან წყალი ქალაქის მახლობლად მდებარე შადრევანამდე მიდიოდა, რომლის წყალსაცავი შაჰის კუთვნილება იყო და რომელიც მან, განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშნად, სარგებლობისთვის გადასცა საფრანგეთის საელჩოს.<sup>20</sup>

**ყასრი-ყაჯარის სასახლე.** ნეგარესთანის მახლობლად, თეირანიდან ჩრდილოეთით, ერთნახევარ ლიეზე [6, 75 კმ], შემადლებულ ადგილზე, აგურით ნაგები ლამაზი შენობა, შაჰის დასასვენებელი სასახლე – ყასრი-ყაჯარი, იდგა.<sup>21</sup>

1808 წლის 24 თებერვალს გენერალ გარდანის მისიის რამდენიმე წევრს, მათ შორის მისიის თარჯიმანს, ჟოზეფ-მიშელ ტანკუანს, სპარსელებმა ამ სასახლის დათვალიერების საშუალება მისცეს. ტანკუანი წერს: „(...) გაივლი გრძელ, ბნელ დერეფნებს და მარმარილოთი მოპირკეთებული აუზების მარცხნივ ჭადრებით დაჩრდილულ სასიამოვნო ეზოში მოხვდები. ეს ჰარამხანა ანუ ქალების უბანია. მხეველები იქ არ იყვნენ, რამაც ჩვენი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების ნება მოგვცა; ჩვენ შაჰისა და საჭურისების გარდა ყველა მოკვდავისათვის მიუწვდომელი ადგილი ვნახეთ; ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ჩვენი თავხედობა ძვირად დაგვიჯდებოდა“. ტანკუანის ცნობით, ფათჰ-ალი შაჰის მხეველების საცხოვრებელი ოთახები სრულიად არ იყო მოწყობილი იმ ფუფუნებით, რომელიც ევროპელი რომანისტების წარმოდგენაში არსებობდა. ეს იყო პატარა ოთხკუთხედი საკნები, რომელთა სიღრმეში ხის უბრალო ფიცარნაგზე ლეიბები ელაგა; ყოველი საკანი ხუთი მხეველისთვის იყო განსაზღვრული.

რაც შეეხებოდა აზიურ ფუფუნებას, ის ფათჰ-ალი შაჰის საწოლ ოთახში იყო წარმოდგენილი, რომელშიც პატარა, 12-15 საფეხურიანი კიბე ადიოდა. ამ ოთახის თაღები და პანელები მორთული იყო მოციმციმე მარგალიტებითა და ალმასებით;

<sup>19</sup> საფრანგეთის მისიის დრაგომანის, ანდრეს დე ნერსიასა და ატამეს, ადრიენ დიუპრეს ცნობებით, მეფისწული აბას მირზა ყველაზე დაბალი რანგის ოფიცერივით სადად იყო ჩაცმული და ძვირფასი სამოსით მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში იმოსებოდა (AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 41, fol. 103r; Dupré, *Voyage en Perse*, II, 298-299).

<sup>20</sup> Tancoigne, *Lettres sur la Perse*, I, 280-282.

<sup>21</sup> ჟობერი, მოგზაურობა, 193-194; Tancoigne, *Lettres sur la Perse*, I, 282-284; Dupré, *Voyage en Perse*, II, 189.

სარკის ფასეტებით ინკრუსტირებულ კედლებზე სპარსულ სტილში შესრულებული ქალის ოთხი პორტრეტი ეკიდა; ჭერი მკვეთრი ფერით მეტად ნატიფად იყო მოხატული. მოზაიკით დამშვენებული შესანიშნავი ორი კარი საფრანგეთის ულამაზეს სასახლეებსაც კი დაამშვენებდა – მათში უდიდესი ხელოვნებით იყო შერწყმული სპილოს ძვალი, ებანოსი, სადაფი და უძვირფასესი ხის ჯიშები. ეზოს ბოლოში მდებარე ორი დიდი დარბაზის კედლები მდიდრულად იყო მოხატული ირანის შაჰებისა და სპარსელი გმირების პორტრეტებით. სასახლის ფანჯრებიდან ჩანდა თეირანის მთელი ვაკე, ყასრი-ყაჯარის ბაღები და ტბა, რომელზეც შაჰი თავის რჩეულ ქალებთან ერთად ნავით სეირნობდა.<sup>22</sup>

**სულთანზე – ფათჰ-ალი შაჰის საზაფხულო რეზიდენცია.** 1803 წლიდან მოყოლებული, ფათჰ-ალი შაჰი ზაფხულის სამ თვეს სულთანზე დაბლობზე ატარებდა, სადაც წრიულად განლაგებულ ბანაკს შაჰის ბრძანებით აშენებული სასახლე დაჰყურებდა. მბრძანებელი იქ იძინებდა, დღის გარკვეულ ნაწილს კი ბანაკის ცენტრში მდებარე მეტად დიდებულ დივან-ხანეს ანუ აუდიენციის კარავში ატარებდა. ამ კარვის კედლები ოქრომკედით ნაქარგი აბრეშუმისა იყო, იატაკი კი – ძვირფასი ხალიჩებით მოფენილი. ამ კარავს სამი სარტყელი ჰქონდა: პირველი – უხეში ტილოსი, მეორე – მჭიდრო ტაფტისა, მესამე კი აბრეშუმის ზონრებისა იყო და სხვადასხვა ორნამენტებს ქმნიდა. ამ კარავების ყველა მისასვლელთან მუდმივად იდგა მრავალრიცხოვანი დაცვა. დივან-ხანედან ოდნავ მოშორებით ჰარამხანის<sup>23</sup> კარვები იდგა, რომლებსაც მკაცრად იცავდნენ საჭურისები. სპარსელთა თქმით, ეს კარვები დივან-ხანეზე უფრო დიდებული ყოფილა. მათ გარშემო არეულად იდგა წარჩინებულთა კარვები და მათში, მეტ-ნაკლებად მდიდრულსა და მოხდენილში, მოიძვევებოდა ყოველივე, რაც კი აღმოსავლურ გემოვნებასა და განებივრებულობას დააკმაყოფილებდა. როდესაც შაჰი და მისი კარი სულთანზეში ბანაკდებოდა, იქ მოედნებს, ბაზრებს, მეჩეთებს და სკოლებსაც კი მართავდნენ.<sup>24</sup>

ლეიტენანტ ტრეზელის ცნობით, სულთანზე იმაჟამად მხოლოდ 80 კომლისაგან შემდგარი სოფელია იყო. ამ ბანაკში ყოველთვის საგანგებოდ იყო გამოყოფილი ადგილი ზემბურაქებისთვის – აქლემებზე მოთავსებული პატარა ზარბაზნის მმართველებისთვის. ბაზარში იდგა ორი ბოძი, ორივეზე დამაგრებული იყო ჩირაღდანნი. მათზე ქურდებს კიდებდნენ, რადგან კანონის მიხედვით, ყოველი

<sup>22</sup> Tancoigne, *Lettres sur la Perse*, I, 282-284.

<sup>23</sup> გენერალ გარდანის მისიის ექიმის, ანტუან-მარი სალვატორის ცნობით, სულთანზეში მხოლოდ შაჰს ახლდა ასიოდე მხევალი, კარისკაცები კი თავიანთ კარვებში იძინებდნენ, უმწიფარ ხილსა და ფლავს შეეცეოდნენ, ეწეოდნენ ნარგილეს და გული სწყდებოდათ თავიანთი ცოლების გამო A.-M. Salvatori, *Lettera*, etc. *Lettre du Dr. Salvatori attaché à l'ambassade Française en Perse. (Mines d'Orient)*. Bibliothèque Britannique, Volume 50, dix-septième année (Genève: l'Impr. BiBliothèque Britannique), 1812, 366).

<sup>23</sup> AN, AF IV, 1686. doc. 16, fol. 13; Bontems s. d.: 134-135; Tancoigne, *Lettres sur la Perse*, I, 141-145; ჟობერი, *მოგზაურობა*, 197-198.

<sup>24</sup> Archives Nationales de France, AF IV, 1686, *Relations extérieures, Perse*, 16, fol. 13; ჟობერი, *მოგზაურობა*, 197-198.

<sup>24</sup> AN, AF IV, 1686. doc. 16, fol. 13; Bontems s. d.: 134-135; Tancoigne, *Lettres sur la Perse*, I, 141-145; ჟობერი, *მოგზაურობა*, 197-198.

ადამიანი, რომელიც შაჰის წინაშე იქურდებდა, სიკვდილით ისჯებოდა. 1808 წლის ზაფხულში სულთანის ბანაკში დაახლოებით 3,000 კარავი და, 12,000 კაცი იყო: მათ შორის 3,000 ქვეითი, 4,000 ცხენოსანი, დანარჩენი კი კარისკაცთა მსახურები, ბაზრის ვაჭრები, ჯორებისა და აქლემების გამცილებლები იყვნენ.<sup>25</sup> საფრანგეთის მისიის წევრის, მიშელ-ფრანსუა პრეოს, ერთ-ერთ ნახატზე ასახულია 1808 წლის ზაფხულში სულთანის დაბლობზე განლაგებული ფათჰ-ალი შაჰის სასახლე და ბანაკი.

ფათჰ-ალი შაჰის სულთანის სასახლის შესახებ ცნობა დაცულია ინგლისელი დიპლომატის, ჯეიმს მორიერის თხზულებაში, რომელიც იქ 1809 წლის ზაფხულში ჩავიდა. მისი თქმით, ეს შენობა ძველი სულთანის ნანგრევებიდან აღებული მასალით იყო აშენებული, გარშემო კედელი ერტყა და ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა: პირველი ქალებისათვის იყო განკუთვნილი; მეორე, იმჟამად ჯერ კიდევ მოუწყობელი, გუმბათით დაგვირგვინებული, მრავალწახნაგიანი, პატარა შენობა გარშემორტყმული იყო ღია აივნით, მას ქოლა-ფრანგე (*Koola-frangee*) ეწოდებოდა და ის „საფრანგეთის მისიის ერთ-ერთი ჯენტლმენის ნახაზის მიხედვით იყო აშენებული“<sup>26</sup>. სასახლის მესამე ნაწილში შაჰის ხალვათი ანუ პირადი აპარტამენტები იყო განლაგებული. ოთახის კედლები დამშვენებული იყო შაჰის ნადირობის სცენით და მისი უფროსი ვაჟების პორტრეტებით. ეს ნაწილი მეორე შენობას ბნელი და გრძელი თაღოვანი დერეფნით უერთდებოდა და მასში განთავსებული იყო ღია დივან-ხანე, რომელიც მთელ დაბლობს გადაჰყურებდა. მის კედლებზე გამოსახულნი იყვნენ ტახტზე მჯდომი შაჰი და ტახტის მახლობლად ფეხზე მდგომი მეფისწულები და დიდებულები. მორიერის თვალსაზრისით, ამ შენობაში ყოველივე მცირე და უმნიშვნელო ზომისა იყო; ის არც მშენებლის დიდ საზრიანობაზე მეტყველებდა და არც მფლობელის სიმდიდრეზე მიანიშნებდა.<sup>27</sup>

ამგვარად, ფათჰ-ალი შაჰის სულთანის საზაფხულო ბანაკი თავისი შინაარსით XIX საუკუნის დასაწყისის ის უნიკალური ნიმუშია, რომელშიც შერწყმულია მომთაბარე და ბინადარი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ელემენტები. ერთი მხრივ, შაჰისა და მისი კარის იქ ყოფნის დროს ის ქალაქისათვის დამახასიათებელ ნიშნებს იძენდა: ბანაკიდან მოშორებით მდებარე ნანგრევების გარდა, ერთადერთი შენობა იქ შაჰის სასახლე იყო; ბანაკში აწარმოებდნენ მართლმსაჯულებას, გრძელდებოდა დიპლომატიური მოლაპარაკებები, იყო მოედანი, საგანგებო ადგილი ბაზრისა და დუქნებისათვის. მეორე მხრივ, სულთანე გასამხედროებული ბანაკი იყო, სადაც შაჰი ყოველ წელს ატარდებოდა ლაშქრის აღლუმს. ის ახლოს იყო უკვე რუსეთის იმპერიაში მოქცეული საქართველოს საზღვართან და რუსეთ-ირანს შორის მიმდინარე ომის დროს

<sup>25</sup> AMFAE, MD/Perse, vol. 3, doc. 4, fol. 120v-121r.

<sup>26</sup> სავარაუდოა, რომ ამ სასახლის ნახაზი საინჟინრო საქმეთა კაპიტანს, ოგიუსტ ბონტამ-ლეფორს, ეკუთვნოდა, რომელსაც 1807 წლის 22 აგვისტოს მიღებულ წერილში ფათჰ-ალი შაჰი სხვადასხვა ნაგებობების გეგმების დახაზვას სთხოვდა (Bontems, *Lettres d'un officier français*, 164-166).

<sup>27</sup> ჯეიმს მორიერის ცნობით, *ქოლა-ფრანგე (Koola-frangee)* სპარსულ ენაზე ფრანგულ ქუდს ნიშნავს და პავილიონი, რომელსაც ასე უწოდეს, ფრანგულ ქუდს წააგავდა (James Morier, *A Journey Through Persia, Armenia, and Asia Minor, to Constantinople, in the Years 1808 and 1809* (London: Printed for Longman, Hurst, Rees, Orme, and Brown, 1812), 257-258).

შაჰს საშუალება ჰქონდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი აბას მირზასათვის სწრაფად მიემგებინა სულთანის ველზე განლაგებული მოლაშქრეთა ნაწილები.

**თავრიზი.** ფათჰ-ალი შაჰმა თავისი მეოთხე ვაჟი, ტახტის მემკვიდრე აბას მირზა (1788-1833) 1799 წელს აზერბაიჯანის მმართველად დანიშნა. ამ მეფისწულის რეზიდენცია თავრიზში იყო. ქალაქი სეისმურ ზონაში, დაბლობზე მდებარეობდა და მრავალი ნაკადულით ირწყვებოდა. ქალაქი აგურისა და მიწის მაღალი, მრგვალი კოშკებით ფლანკირებული კედლით იყო დაცული, გარს კი თხრილი ერტყა. ქალაქს შვიდი მთავარი ჭიშკარი ჰქონდა, რომელთა ცენტრალური ნაწილი და კოლონები სრვადასხვა ფერის მოჭიქული ქაშანურისა იყო. პირველი კარიბჭის მახლობლად მდებარე კოშკის ნიშები ომში მოკლული რუსების თავების ქალებით იყო სავსე. ადრინ დიუპრეს კომენტარით, ეს ყველაზე უფრო ბარბაროსული საუკუნის, ან უფრო კი, იმჟამინდელი სპარსეთის შესაფერისი ძეგლი იყო.<sup>28</sup>

1779 წლის ძლიერმა მიწისძვრამ თავრიზსა და მის მიდამოებში უამრავი სახლი დაანგრია, რასაც ქალაქის გარშემო შერჩენილი ქვები და ღორღი მოწმობდა. აბას მირზა ამ ნგრევის გამო გადასახლებული მოსახლეობის უკან დაბრუნებას ცდილობდა. გენერალ გარდანის მისიის წევრების ცნობით, თავრიზის მოსახლეობა დაახლოებით 40,000 სული იყო; მათ შორის ცხოვრობდა სომხების 50-60 ოჯახი.<sup>29</sup>

რეგიონის სეისმურ ზონაში მდებარეობის გათვალისწინებითა და მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი იყო ქალაქის არქიტექტურაც. მიწისძვრის შედეგებისგან შეძლებისდაგვარად თავის დასაღწევად, თავრიზი დატერასებული იყო. ისევე, როგორც ყველა სპარსულ ქალაქში, სახლები აქაც ცუდად იყო აშენებული. ისინი მეტწილად მიწური ან დაბალი, მიწის დონეზე აშენებული სართულისგან შედგებოდნენ. კედლების ასაშენებლად კირის გარდა მზეზე გამომწვარ აგურს, წყალსა და ჩალაში არეულ მიწას იყენებდნენ. სახლის ყველა ღიობი კედლის შიგნით იყო მოქცეული და ამიტომ მათი ექსტერიერი მეტად მოსაწყენი იყო. მასალის სიმყიფის მიუხედავად, ჰაერის სიმშრალის, იშვიათი წვიმისა და ყინვის გამო, ეს შენობები საკმაოდ დიდხანს ძლებდა. ქვით ნაგები მხოლოდ თავრიზის წარჩინებულთა სახლები და ბაზრები იყო. თავრიზის ქუჩები ვიწრო და მოუკირწყლავი იყო.<sup>30</sup>

თავრიზის ერთადერთი აღსანიშნავი შენობა მეფისწულ აბას მირზას ბალებით დამშვენებული, ოთხკუთხედ ეზოში მდებარე მეტად დიდი და სადად მორთული სასახლე იყო. პირველ ეზოში გაფუჭებულ ლაფეტებზე რამდენიმე ძველი ზარბაზანი იდგა, რაც ხალხში პატივისცემის გამოსაწვევად იყო განსაზღვრული იმ შემთხვევისათვის, თუკი მათ აჯანყების მოწყობა მოუვიდოდათ აზრად. საფრანგეთის მისიის თარჯიმნის, ტანკუანის, კომენტარით, აზიაში ხალხს ამგვარად განაგებდნენ – კანონის ადგილი იქ ჯოხსა და ზარბაზანს ეჭირა. სასახლის ტერიტორიაზე კიდევ ორი

<sup>28</sup> AMFAE, MD/Perse, vol. 3, doc. 20, fol. 370v-371r, Bianchi d'Adda: Bontems, *Lettres d'un officier français*, 113; Dupré, *Voyage en Perse*, II, 233-234.

<sup>29</sup> AMFAE, MD/Perse: MD/Perse, vol. 3, doc. 9 (b), fol. 155v; vol. 6, doc. 19, fol. 81 r, 83 r, 84r-85v; Bontems, *Lettres d'un officier français*, 112; Tancoigne, *Lettres sur la Perse*, I, 123-124; Dupré, *Voyage en Perse*, II, 270-271.

<sup>30</sup> AMFAE, MD/Perse, vol. 3: doc. 9 (b), fol. 155v-156r, Fabvier; doc. 20, fol. 370v-371r, Bianchi d'Adda: Bontems, *Lettres d'un officier français*, 113-114; Tancoigne, *Lettres sur la Perse*, II, 123-124.

სხვა ეზოც იყო, სადაც მოლაშქრეები იდგნენ. მესამე ეზოს ცენტრში ლამაზი აუზი იყო, რომლის წინ მდიდრულად მოქარგული კარავი იდგა<sup>31</sup>.

1809 წლის გაზაფხულზე მეფისწულის სასახლის წინ ლამაზ მოედანზე გენერალ გარდანის მისიის წევრის, საინჟინრო საქმეთა კაპიტნის – არმან-ფრანსუა ლამის, გეგმით ნიზამ-ე ჯადიდის ნაწილებისთვის აშენებული, ირანისთვის კი პირველი ყაზარმები იდგა<sup>32</sup>. ამას გარდა, კაპიტანმა ლამიმ სწორედ თავრიზში ჩამოაყალიბა ირანში პირველი სამხედრო სკოლა<sup>33</sup>. საინჟინრო საქმეთა კაპიტანი ოგიუსტ დე ბონტამ-ლეფორი, რომელმაც პირველმა დაიწყო აბას მირზას ლაშქრის რეორგანიზება, გაწვრთნილი ნაწილების შესაბამისად აღსაჭურვად და შესამოსად თავრიზში ჩამოაყალიბა სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები და იარაღის მწარმოებლების, მკერავების, მეწაღეებისა და მექუდეების საქმიანობას პირადად ხელმძღვანელობდა.<sup>34</sup>

თავრიზში იყო ოქრომკედის, აბრეშუმის, ბამბის, შალის, მოჩითული ქსოვილებისა და შაგრენის ტყავის<sup>35</sup> საწარმოები, აგრეთვე ოცი ქარვასლა: ათი – ვაჭრების, ათი – ქარავნებისთვის.<sup>36</sup>

თავრიზში იყო საკმაოდ ლამაზი მეჩეთები, რომელთა შორის აღსანიშნავი იყო შაჰ ჯაჰანის<sup>37</sup> აგურით ნაგები, მოჭიქულგუმბათიანი მეჩეთის ნანგრევები. ტანკუანის ცნობით, მიწისძვრის შედეგად დანგრეული ამ ლამაზი მეჩეთის გადარჩენილი ნაწილი მთლიანად იასპით, ალებასტრითა და სხვადასხვა ფერის მარმარილოთი ყოფილა ინკრუსტირებული<sup>38</sup>.

გენერალ გარდანის მისიის მხატვარმა, მიშელ ფრანსუა პრეომ, ასახა აბას მირზასთან საფრანგეთის მისიის წევრების 1807 წლის 14 ნოემბერს შემდგარი აუდიენცია, შაჰ ჯაჰანის მეჩეთი და თავრიზის მახლობლად მდებარე ძალიან ლამაზი კოშკებიანი ქარვასლა.

**ბაზა ხანი.** თავის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში გენერალი გარდანი აღნიშნავდა, რომ ირანში მთავრობასაც და ხალხსაც ძლიერ უყვარდა დასვენება, წარჩინებულები კი უზომოდ ეძლეოდნენ სიამოვნებას. ისინი გარეგნულად იყვნენ დიდებულნი, მაგრამ სახლებში ფუფუნება არ ჰქონდათ და დიდი სიფრთხილით ხარჯავდნენ ფულს<sup>39</sup>.

ფრანგი გენერლის ეს ცნობა ყველა სპარსელ წარჩინებულს არ ეხებოდა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ამედე ჟობერის ცნობა ფათჰ-ალი შაჰის ქართველი

<sup>31</sup> Tancoigne, *Lettres sur la Perse*, II, 123-124; Dupré, *Voyage en Perse*, II, II, 234.

<sup>32</sup> Dupré, *Voyage en Perse*, II, II, 234-235.

<sup>33</sup> AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 32.

<sup>34</sup> Bontems, *Lettres d'un officier français*, 174.

<sup>35</sup> შაგრენის ტყავი – საგანგებოდ გამოყვანილი, რბილი ხორკლიანი ტყავი (ცხვრის, თხის, ცხენის და სხვ.), რომელსაც თავისებური სახეები აქვს.

<sup>36</sup> Dupré, *Voyage en Perse*, II, 227, 240.

<sup>37</sup> თავრიზის ცნობილი ცისფერი მეჩეთი 1465 წელს ყარა ყოიუნლუს მმართველის, ჯაჰან შაჰის, ბრძანებით იყო აშენებული. ის 1779 წლის მიწისძვრის დროს დაინგრა. მისი ნაწილობრივი რეკონსტრუქცია 1973 წელს ჩატარდა.

<sup>38</sup> Dupré, *Voyage en Perse*, II, 237; Tancoigne, *Lettres sur la Perse*, II, 123-124.

<sup>39</sup> Alfred de Gardane, *Mission du Général Gardane en Perse sous le Premier Empire* (Paris: Librairie de Ad. Lainé, 1865), 300.

მხველისგან შობილი უფროსი ვაჟის, მოჰამად-ალი მირზასათვის, მიჩენილი აღმზრდელის, ბაბა-ხანის, სასახლის დახასიათება. ყაზვინში მდებარე ხანის სასახლის მეტად ვრცელი დარბაზის წინა მხარე თეატრის მსგავსად იყო გახსნილი. ოთახის სიღრმეში სინათლე ოსტატურად განლაგებული ფერადი ვიტრაჟებიდან იღვრებოდა. დარბაზის შუაში ყვავილებში ჩაფლული აუზი იყო, რომლის შუაში შადრევანი მოსქეფდა. ჩინური ფაიფურის უზარმაზრ ლარნაკებში არაბული ჟასმინი, და აღმოსავლეთში ციურად წოდებული ჭრელი ტიტები იდგა. ჭერი არაბესკებით მორთული და უხვად მოოქროვილი იყო. კედლებზე კი ლუი XIV-ის მოდაზე ჩაცმული ევროპელების სურათები ეკიდა. დარბაზის ყველაზე ამაღლებული ადგილი ჰარამხანას უერთდებოდა.<sup>40</sup>

**შემდეგულ სპარსელთა საცხოვრებელი.** ჟოზეფ რუსოს ცნობით, შეძლებული სპარსელების, ძირითადად ვაჭრების, სახლები მოხერხებულად და ლამაზად იყო ნაგები. ყოველ სახლს თავისი ბაღი და შადრევანი ჰქონდა. იმ ოთახის კედლები, სადაც სტუმრებს იღებდნენ, დაფარული იყო ბათქაშის რამდენიმე ფენით, მეტად თხელ, ბოლო ფენაში დაქუცმაცებული ტალკი იყო შერეული; უფრო ხშირად კედლები მორთული იყო მოოქროვილი ორნამენტებით და კედლის მხატვრობით, რომელიც ისევე ლამაზი იყო, როგორც ევროპული მოფარდულება და პანოები. სპარსელები მეტად დახელოვნებულები იყვნენ მოზაიკით მოპირკეთებაში; მათი სახლებისა და გალერეების სვეტები დამშვენებული იყო შუშისა და ფაიფურის ნატეხებით, რაც ძალიან ლამაზ ეფექტს ქმნიდა. სპარსელები სწორედ ამ ოთახებში იღებდნენ სტუმრებს და იქ აგვარებდნენ საქმეებს, შემდეგ კი თავიანთ ჰარამხანაში, ქალების ნაწილში შედიოდნენ. რუსოს აზრით, სპარსელებმა არ იცოდნენ პერსპექტივის წესები, არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ შუქჩრდილებს, მაგრამ იგი ობიექტურად აფასებდა სპარსული მინიატურების სილამაზეს, განსაკუთრებით – მათ ფერებს.<sup>41</sup>

**დასკვნა.** ფათჰ-ალი შაჰთან 1805 წლის მარტში წარგზავნილი ნაპოლეონის პირველი ემისარი, ამედე ჟოზერი, თავისი „მოგზაურობის“ წინასიტყვაობაში წერდა: „ის ცნობები, რომლებიც ამ საუკუნის დასაწყისში გვქონდა სპარსეთის გეოგრაფიის შესახებ, იმდენად არასრული იყო, რომ ამ იმპერიის დედაქალაქის სახელიც კი არ იყო წესიერად ცნობილი“<sup>42</sup>.

ამგვარად, XIX საუკუნის დასაწყისში ეს მონაცემები ევროპელი თვით-მხილველების პირველი ინფორმაციაა ირანის საქალაქო ცხოვრების შესახებ. ის შესაძლებლობას გვაძლევს აღვადგინოთ ირანის ახალ დედაქალაქად თეირანის ჩამოყალიბების სურათი; დავაზუსტოთ ზოგიერთი სხვა ქალაქისა და ბანაკის ფუნქციები; ზოგიერთი შენობის აღწერის მიხედვით შევისწავლოთ პირველი ყაჯარების დროინდელი სასახლეების ექსტერიერისა და ინტერიერის დეტალები, რომელთა ნაწილი, ალბათ, დღემდე არ შემორჩენილა.

<sup>40</sup> ჟოზერი, მოგზაურობა, 133-134.

<sup>41</sup> AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 19, fol. 108r-108v.

<sup>42</sup> P. Am. Jaubert, *Voyage en Arménie et en Perse, fait dans les années 1805-1806* (Paris: Chez Pélicier, 1821) v-vj.



მეტად მნიშვნელოვანია ევროპელთა მიერ თეირანის, ყასრი-ყაჯარისა და სულთანის სასახლეების კედლის ფერწერის აღწერა. ის იყო XVIII-XIX საუკუნეების სპარსული ხელოვნების განსაკუთრებული მხარე და მისი შინაარსი – ფათჰ-ალი შაჰის ნადირობის სხვადასხვა სცენები თავისი ვაჟებისა და ვეზირების გარემოცვაში, მეფისწულების პორტრეტები და სხვ. – ფათჰ-ალი შაჰის პიროვნების განდიდებასა და პირველ ყაჯართა სიდიადის პროპაგანდას ემსახურებოდა. ცნობილი მკვლევრის, ლეილა დიბას თქმით, „ფათჰ ალი შაჰის დროს, კერძოდ, ფართომასშტაბიანი ფიგურალური მხატვრობა მისი მმართველისა და დინასტიის მძლავრი „ხატი“ (“icon”) ორი ათასი წლის ფიგურალური ტრადიციის მემკვიდრეობა იყო.“<sup>43</sup>

ამრიგად, ფრანგ წარგზავნილთა მიერ მოპოვებული მასალები თავიანთ სამეცნიერო მნიშვნელოვნებას დღემდე ინარჩუნებენ.

---

<sup>43</sup> Layla S Diba, “Invested with Life: Wall Painting and Imagery before the Qajars”. *Iranian Studies*, 2001, Vol. 34, Nos.1-4, pp. 5-16.

## QAJAR'S RESIDENCES AS VIEWED BY NAPOLEON'S ENVOYS (1805-1809)

The desire of Napoleon to arrange the expedition in India in the first years of the nineteenth century conditioned the purposeful study of Iran in 1805-1809 years by the French. The article is based on both the French envoys' unpublished reports that are kept at the archives of France and their books. The water-color paintings by Michel Francois Préaux – the painter of the General Gardane's mission in Persia in 1807-1809 – are worth paying special attention to. In one of his reports, the General wrote that he had sent to Paris, together with the other documents, drawings of Préaux, made in the Asian part of Turkey and in Persia (AMG, n 1486, 1M, Russie jusqu'en 1811, Cracovie, 11.08.1811). The note in the report of Champagny proves this information (AN, AF, 1686 IV<sup>1</sup>, 1809, doc.10). Actually, only seven engravings of Préaux's paintings are available now. All our attempts to find Préaux's other works during our academic visits to Paris were vain. Therefore, in my paper, I present some illustrations made by the contemporaries of Napoleon's envoys.

**The Exterior of the Shah's Palace.** In 1786, Agha Mohammad Khan declared Tehran as the capital of Persia Iran. According to the information of the members of General Gardane's mission, 'Fath Ali Shah also chooses this city as the capital of Persia because of its proximity to Mazandaran and *Piles Caspiennes*.

Tehran was located on uncultivated sandy lowland; it had a form of a long rectangle and was limited as the other Persian towns. On the opposite side of every five gates, there was a tower, and it was not easy to take them without using cannons. The streets of Tehran were narrow. However, there were beautiful crowded markets.

The French envoys give us the vivid image of the exterior of the shah's palace: the gate of the palace called "dari sa'adet", or the "door of pleasure", in an oriental grandiloquence metaphoric style. The palace looked more like an indented fortress from outside than the shah's palace. It was encircled with an earth wall and was protected with a wide ditch, and there was no entry to this spacious building but a drawbridge. Amédée Jaubert wrote that the palace's exterior was rather miserable.

Later, the French diplomats describe a "spirit" of "dari sa'adet" to us: Amédée Jaubert writes that in the yard of the palace there was a pole, with the head of a recently executed nobleman.<sup>1</sup> Ange de Gardane notes that in front of the palace gate there were displayed four beheaded corpses, and every passer-by kicked them.

---

<sup>1</sup> This note of Amédée Jaubert is used by S.M. Shostakovich (Shostakovich, 37), and A. Lambton (Lambton, 1960, 130-137).

**The Interior of the Shah's Palace.** The Monarch of Persia was fond of showing off his luxury and wealth, and the news about him attracted a great deal of attention amongst the Europeans. The furniture of Fath Ali Shah's palaces presented his particular attitude towards luxury. All the envoys sent by Napoleon were excited, impressed, and even stupefied with the beauty of the shah's palace and the splendor of oriental luxury: the audience hall was decorated with golden vases, diamond-spangled water jugs, gorgeous carpets, and chandeliers; in marble basins, fountains were squirting. The doors were enchased with ebony and nacre. The nobles, standing by the alabaster throne of the Shah, were holding golden bowls and diamond-spangled pipes. Most of the furniture of the harem also was made of massive gold or decorated with pearls and the rarest materials from the Indian mines. The first pavilion in the yard of the Tehran palace was decorated with several quite well painted miniatures of all the favorite women of the Shah. In the next pavilion hung a big portrait of 'Abbas Mirza and those of the three other princes of the Royal family.

At the time of the preceding ruler, Tehran was too insignificant a place. The court of 'Fath Ali Shah attracted here many settlers and, correspondingly, the trade, and this city was obtaining the characteristic features of capital of Persia.

**Pleasure House of Negarestan.** French Missions Translator Tankoin provides information on Abbas Mirza's small pleasure house in Negarestan. This manor, which was nothing special, was a mile from Tehran. This building was surrounded by a clay wall; on the east side, it was flanked by a small tower, on which a stand was a long brass cannon. Tankoin wrote: "Mounted on a clumsy wagon, it seems to be more of a showpiece than a defense. But we must not forget that we are in Persia". There was from its summit a view of all the city, and surrounding country, and uncultivated plain, of great sterility. The apartments of the Nighiaristan were not spacious and presented none of that Asiatic splendor and their extreme simplicity indicated the taste of the Prince.

There was a beautiful garden in the palace complex, which was divided into two parts by a water canal. Excellent water flowed into it with great force and, not far from Tehran, flowed into a reservoir belonging to the Shah, which by a special favor, had placed this fountain at the disposition of the embassy.

**The Palace of Qasri-Qajar.** It is evident that in the first years of the 19<sup>th</sup> century there was still Oriental (Moslem) type of architecture in Persia. According to the information of Tancoigne 'Fath Ali Shah's summer place of Qasri-Qajar was built on a rock, at the foot of a mountain, like an amphitheater. It had a bronze gate. By Tancoigne's description, after passing through the long, dark corridors and a nice yard shaded with plane trees, there was the harem – the zone of women. These were small quadrangular cells, in which there were wooden floorings with mattresses on them; five women slept together in every bedroom. The rooms of concubines were not decorated as luxuriously as the European novelists imagined them to be. The true Asian luxury was presented in the Shah's bedroom. The arches and the panels of this room were decorated with pearls and diamonds and were incrustated with glass and four portraits of women in Persian style, many of the windows opened to the yard and the gardens of the harem; the ceiling and the walls were adorned with finely made frescos. Two doors, encrusted with ivory, ebony, nacre, and the most expensive wood with a great art "attracted the eye".

Tancoigne writes that these doors could be good enough to decorate even the most beautiful European palaces. At the extreme end of the yard, there were two spacious halls with sumptuously painted frescos, decorated with many portraits of the King and those of the several Persian Heros.

According to Dr. Leila Diba, “under ‘Fath Ali Shah, in particular, large-scale figural painting served as a powerful “icon” of the ruler and of his dynasty, the legacy of a two-thousand-year-old tradition of indigenous figuration.”

**Soltaniya.** Not far from the Mosque of Shah Khoda-Bende, ‘Fath Ali Shah transformed Soltaniya, destroyed by the earthquake, into his holiday place, and stayed there from June through the end of August. According to the information of Jaubert, the camp of Soltaniya had almost a round shape.

The Shah's tent was located in the center, and its entrance was directed towards Mecca. Its walls were covered with gold-embroidered silken cloths and the floor – with expensive carpets. Divankhane had three thresholds. The first of them, or the outer one, was made of crude canvas, the second – of thick taffeta, and opened like a curtain, and the third one was the net made of silken cords creating an impression of different patterns (Jaubert, 1821, 343).

Tancoigne noted that just intents it was possible to see all of the Asian luxury: the tents of the Persians were richly and more luxuriously than the most beautiful houses of the city. Inside, the tents were very comfortable.

The lieutenant Trézel – aide-de-camp of General Gardane, – wrote that ‘Fath Ali Shah had built a small palace on a hill in Soltaniya, but he preferred to pass a certain part of a day in his tent. The function of Soltaniya was not the only function a summer place usually has: there ‘Fath Ali Shah inspected his troops every year. In August 1808 in the Soltaniya camp, there were about 3 000 tents and 12 000 people, among them: 3 000 infantrymen, 4 000 riders, and the others: servants of the noblemen, merchants of the market, ox and camel guides. Trézel wrote that in that period Soltaniya looked like a town.

So, in Soltaniya the elements characteristic to settled population – a palace and the elements characteristic of nomad population – a camp, are joined.

**Tabriz.** Officers of the French mission wrote that the province of Azerbaijan was in the seismic zone. Tabriz was surrounded by a brick wall with round towers and protected by bastions. The town was terraced; the dwellings were mostly made of earth. It seems that the population built one-storied houses just taking into consideration the location of the region in a seismic zone and with a view to avoiding a disaster. In Tabriz, only the houses of the nobles and the markets were made of stones. There was a nice square, a mosque, good markets, and twenty caravanserais, ten – for merchants, and ten – for caravans.

In Tabriz, the only significant building was too big but a simply decorated palace of the Prince ‘Abbas Mirza Nayeb-al-Saltana, the ruler of Azerbaijan. This building was constructed within a quadrangular yard. On the territory of the palace, there were two more yards; warriors were dislocated there. In the first yard stood several old cannons. They were thought to stimulate the fear of people in case they considered exciting rebellion. According to the commentary of Tancoigne, people in Asia were ruled in such a way that the cane and the cannon replaced the law. In the middle of the third yard, there was a beautiful pool, and in the

heart of the yard, in front of the richly embroidered tent, there was a pavilion. On November 11, 1807, the members of the French mission were introduced to an apartment where the Crown Prince 'Abbas Mirza was sitting on the carpet.

In autumn of 1807 when the French mission members arrived in Persia, they were very much surprised when they found out that there were no military institutions, such as the Ministry of Defence, casernes, storehouses for food, and forage, military and field hospitals. But in spring of 1809 in Tabriz, there already were built casernes built under the guidance of Captain Armand François Lamy.

Thus, in the first years of the 19<sup>th</sup> century in Tabriz preference was given mainly to the building of military constructions as demanded the strategic interests of the country. Unfortunately, in the archives of Paris, we have not yet found the designs, made by the officers of the General Gardane's mission.

**Baba-Khan's Palace as an Example of Exterior and Interior of Persian Nobleman's Dwelling space.** Amédée Jaubert gives us some information about the palace of Baba Khan, tutor of Prince Mohammad Ali Mirza Dolatshah, the firstborn son of 'Fath Ali Shah. The palace of Baba Khan, situated in Kazbin, had a specially decorated spacious hall. One of the signs of the wealth of the Persians was beautiful carpets and very fine mats in their houses. The light got there through specially placed stained-glass windows. In the middle of the hall, there was a fountain surrounded by flowers. There were Arabian jasmines and variegated tulips in enormous china vases. The ceiling was decorated with arabesques and was generously gilded, and the walls were embellished with the pictures of Europeans, dressed in the fashion of Louis XIV; on the pediments of doors, the excerpts of the poems of Hafez were written (Jaubert, 1821, 211).

According to Joseph Rousseau's information, the houses of rich Persians had their own gardens. Rousseau informs us about the materials used for construction and decoration. The walls of rooms and arches were covered with multi-layer plasters; the upper, very fine layer was of talcum powder, mixed with stucco; the walls were often decorated with golden ornamental patterns and designs that made as nice an ensemble, as for wallpaper and stucco, and panel decorations in Europe. The Persians were skillful in making mosaics as well. The columns of their houses and galleries of their waiting rooms were incrustated with small pieces of mirror and china that made a very nice effect. Here the Persians received their guests and friends and settled their affairs.

In Rousseau's opinion, Persian painters did not know the rules of perspective and did not pay any attention to the treatment of light and shade. However, their miniatures were better, and they painted flowers excellently. The bright and vivid colors of the paints of the Persians endured the centuries.


However, in spite of the French authors' critical attitude towards the art of Persian painters, their descriptions also give us some impression about the Persians' paintings at the beginning of the rule of Fath-Ali shah.

**Conclusion.** Information presented by Napoleon's envoys made it possible to restore the exterior and interior of some buildings in Persia at the beginning of the nineteenth century, the most part of which probably have not remained till now, and so the materials obtained by them keep their scientific importance even today.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ჟობერი, ამედე. *მოგ ზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-1806 წლებში*. თარგმანი ფრანგულიდან, გამოკვლევა და კომენტარები ი. ნაჭყებიასი, თბილისი, „მეცნიერება“, 1997.
2. Amanat, Abbas. “The Kayanid Crown and Qajar Reclaiming of Royal Authority”. In: Memoriam Mahmood T. Diba. *Iranian Studies*, “Qajar Art and Society”. Guest Editor: Layla Diba, Vol. 34, n. 1-4, 2001, 21.
3. Archives du Ministère des Affaires étrangères (AMFAE), Correspondances Politiques, Perse (CP/Perse), vol: 9, doc. 27, 156.
4. Archives du Ministère des Affaires étrangères, (AMFAE), Mémoires et Documents, Perse (MD/Perse): vol. 3, doc. 2, 4, 9 (b), 20; vol. 6, doc. 19; vol. 7, doc. 32, doc. 41.
5. Archives du Ministère des Affaires étrangères (AMFAE), Protocoles, C 13.
6. Archives Nationales de France, AF IV, 1686, Relations extérieures, Perse, 16.
7. Bontems. *Lettres d'un officier français contenant la relation d'un voyage rapidement fait en Turqui et en Perse pendant l'année 1807*. S. l., S. d.
8. Clavijo, Ruy Gonzalez de *Narrative of the Embassy of Ruy Gonzalez de Clavijo to the Court of Timour at Samarcand*. Translated for the First Time with Notes, a preface, and an introductory life of Timour Beg, by C. R. Markham. London: Printed for the Hakluyt Society, 1859.
9. Diba, Layla S. “Invested with Life: Wall Painting and Imagery before the Qajars”. *Iranian Studies*, 2001, Vol. 34, Nos.1-4, pp. 5-16.
10. Dupré, Adrien. *Voyage en Perse, fait dans les années 1807, 1808 et 1809, en traversant la Natolie et la Mésopotamie, depuis Constantinople jusqu'à l'extremté du Golf Persique, et de la à Iréwan*. I-II, Paris: J. G. Dentu, Imprimeur-Libraire, 1819.
11. Gardane, Alfred de. *Mission du Général Gardane en Perse sous le Premier Empire*. Paris: Librairie de Ad. Lainé, 1865.
12. Gardane, Ange de. *Journal d'un voyage dans la Turquie-d'Asie et la Perse, fait en 1807-1808*. Paris-Marseille: Chez Jean Mossy, Imprimeur –Libraire, 1809.
13. Jaubert, P. Am. *Voyage en Arménie et en Perse, fait dans les années 1805-1806*. Accompagné d'une carte des pays compris entre Constantinople et Téhéran, dressée par M. le chef d'escadron Lapie, suivi d'une notice sur le Ghilan et le Mazanderan, par M. le colonel Trézel; et orné de planches lithographiées, Paris: Chez Pélicier, 1821.
14. Kadjar, Prince Ali. *Les Rois oubliés, l'épopée de la dynastie Kadjare*. Paris: Kian, 1992.
15. Macdonald Kinneir, John. *Mémoires géographiques sur l'Empire de Perse*: Traduit de l'anglais par le colonel Gaspard Drouville. Avec carte et notes du traducteur. I-II St. Petersburg: Pluchart, 1827.
16. Morier, James. *A Journey Through Persia, Armenia, and Asia Minor, to Constantinople, in the Years 1808 and 1809*. London: Printed for Longman, Hurst, Rees, Orme, and Brown, 1812.


17. Planhol, Xavier de. "Teheran i. A Persian City at the Foot of the Alborz". *Encyclopædia Iranica*, 2016, available at <http://www.iranicaonline.org/articles/tehran-i> (accessed on 30 December 2012).
18. Rousseau, J.-B. Louis Jaques. *Notice historique sur la Perse ancienne et moderne et sur ses peuples en général*. Marseille: Édition Achard, 1818.
19. Salvatori, A.-M. "Lettera etc. Lettre du Dr. Salvatori attaché à l'ambassade Française en Perse" (*Mines d Orient.*). *Bibliothèque Britannique*, Volume 50, dix-septième année. Genève: l'Impr. BiBliothèque Btitannique, 1812, 366-382.
20. Tancoigne, J.-M. *Lettres sur la Perse et la Turquie d'Asie, ornées de gravures coloriées d'après des peintures persanes*. I-II, Paris: Nerveux, Libraire, 1819.
21. *Акты, собранные Кавказской археографической комиссией*, под ред. Ад. Берже, III, Тифлис, 1869.




საინჟინრო საქმეთა კაპიტნის ბიანკი დ'ადდა მოხსენებითი ბარათის ფრაგმენტი  
 A section of the report of the engineering captain Bianchi D'Adda. – Archives du Ministère français des Affaires étrangères, Mémoires et Documents, Perse, vol. 3, doc. 20.









სულთანის ბანაკი  
Camp in Soltaniya. – By Michel François  
Préaulx. In: L. Dubeux, *La Perse*, Paris, 1841



გენერალ გარდანის მისიის მიღება მეფისწულ აბას მირზას მიერ თავრიზში  
Reception of General Gardane and his mission by the Prince Abbas Mirza in Tabriz. – By  
Michel François Préaulx.



ქარვასლა გუილიკი თავრიზის მახლობლად  
The Caravanserai Guilik nearby Tabriz.  
– By Préaux. In: L. Dubeux, *La Perse*, Paris, 1841.



მეჩეთის ნანგრევები თავრიზში  
The Ruins of Mosque in Tabriz.  
– By Préaux. In: L. Dubeux, *La Perse*, Paris, 1841.

## ხუზისტანის ქართველობა - ისტორია და დღევანდელი (ამინ ყეზელბაშანის ახალი გამოკვლევების მიმოხილვა)\*

ირანში მცხოვრები ქართველების საკითხი მუდამ იყო ქართული საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების ყურადღების საგანი, რომელიც მეტწილად ფერეიდნელი ქართველებისაკენ იყო მიმართული. მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან ქართულ პრესაში ჩნდება პირველი პუბლიკაციები ამ თემაზე. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი, საქმეში ერთვება სახელმწიფო მანქანაც, რომელიც საკუთარი პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ პროპაგანდისტული მიზნებისათვის პერიოდულად ახდენს საკითხის აქტუალიზაციას. ამაზე მეტყველებს საქართველოს არქივებში დაცული დოკუმენტური მასალა.<sup>1</sup>

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ყველა ხელისუფლების პირობებში, ირანის ქართველობის საკითხს ჩამოსცილდა იდეოლოგიური დატვირთვა, მაგრამ სხვადასხვა დოზით შეუნარჩუნდა პოლიტიკური და პროპაგანდისტული მხარე, რასაც დაემატა ეროვნულ-პატრიოტული მუხტი, რომელსაც მეტ-ნაკლები ინტენსივობით აღვივებენ როგორც ხელისუფლება, ასევე გარკვეული საზოგადოებრივი ინსტიტუტები და დამოუკიდებლად მოქმედი აქტივისტები.

განვლილი 30 წლის მანძილზე ამ სფეროში ერთ-ერთ დადებით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების პროგრესის წყალობით, სოციალური ქსელების მეშვეობით და აგრეთვე, ირანსა და საქართველოში შესაბამისი სამეცნიერო წრეების მეცადინეობით, ჩვენი საზოგადოება უფრო ვრცელ და ახალ ინფორმაციას იღებს ირანში მცხოვრები ქართველების ისტორიისა და დღევანდელი ყოფის შესახებ. გაფართოვდა განახილველ საკითხთა გეოგრაფიაც. საქართველოში ფერეიდნელი ქართველების ენის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლის ასოცდახუთწლოვან გამოცდილებას<sup>2</sup> უკანასკნელ წლებში შეემატა გამოკვლევები ირანის სხვა პროვინციებში მცხოვრები ქართველების შესახებ.<sup>3</sup>

\* სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „დოკუმენტები საქართველოს შესახებ ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში“ [საგრანტო ხელშეკრულება FR-18-7653] ფარგლებში.

<sup>1</sup> ლია ბაკურაძე და სხვები, ფერეიდნული ქრონიკები (პრესისა და არქივის მასალები ირანში მცხოვრები ქართველების შესახებ) (თბილისი: მერიდიანი, 2020).

<sup>2</sup> იგულისხმება ლადო აღნიაშვილის მოგზაურობა ფერეიდანში 1894 წელს და მისი წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“ (ტფილისი, 1896).

<sup>3</sup> პაატა ჯაფარიძე და სხვები, მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფა-ცხოვრება და კულტურა (ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017); ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში (მასალები და გამოკვლევა) (თბილისი: მერიდიანი, 2020). ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, მარინა

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ თავად ირანელი ქართველებიც იჩენენ ინიციატივას საკუთარი ისტორიისა და ყოფის შესწავლის მიმართ. 1979 წელს ირანში გამოვიდა ფერეიდნელი ქართველი მკვლევრის მოჰამად სეფიანის წიგნი “ქართველი ირანელები”<sup>4</sup>, რასაც შემდგომ წლებში მოჰყვა ქართული წარმოშობის სხვადასხვა ავტორის მრავალი ახალი ნაშრომი და სტატია სპარსულ ენაზე, რომელთა უმეტესობასაც ქართული სამეცნიერო საზოგადოება, ერთეული გამონაკლისების გარდა, არ იცნობს.<sup>5</sup>

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ამჟამად თეირანში დაფუძნებული ქართული წარმოშობის დამოუკიდებელი მკვლევრის ამინ ყეზელბაშანის მოღვაწეობა, რომელმაც უკნასკნელი 5 წლის მანძილზე გამოსცა 6 წიგნი, დაკავშირებული ირანის ისტორიულ პროვინცია ხუზისტანში ქართული საგვარეულოების ისტორიისა და იქაური ქართველების სადღეისო ყოფა-ცხოვრების შესახებ:

1. „ნასაბ-ნამე - ხუზისტანის ქართველთა ერთი მოდემის საგვარეულო ხე“. თეირანი: გამომცემლობა „არმაყან-ე თარიხ“, 2016 (436გვ.);<sup>6</sup>
2. „ბირთვისიდან ბანდებალამდე: ირანში ქართველი ბარათაშვილების საგვარეულოს ხუთასწლიანი ისტორია“. თეირანი: გამომცემლობა „არმაყან-ე თარიხ“, 2018 (311გვ).<sup>7</sup>
3. „ბარათაშვილების საგვარეულო ირანში: ქართული წარმოშობის ბარათაშვილების საგვარეულოს ექვსასწლიანი ისტორია და გენეალოგია საქართველოსა და ირანში მეთხუთმეტე საუკუნიდან თანამედროვე პერიოდამდე“. თეირანი: გამომცემლობა „მირას-ე ფარჰიხთეგან“, 2020. (606გვ.).<sup>8</sup>
4. „სტატიები ხუზისტანელი ქართველების შესახებ“ (ტომი 1). (სტატიების კრებული ხუზისტანის ქართველების, დეზფულის ლოკალური ისტორიის, სეფიანთა ეპოქასა და სხვა დაკავშირებული თემების შესახებ); თეირანი: გამომცემლობა „მირას-ე ფარჰიხთეგან“, 2020 (368გვ.).<sup>9</sup>

---

ბერიძე, ლია ბაკურაძე, ირანის ქართველობა ისტორიულ სამშობლოსთან რეინტეგრაციის გზაზე (თბილისი: აკადემიური წიგნი, 2020).

<sup>4</sup> Mohammad Sepiāni, Irāniān-e gorji. Esfahān: Entešārāt-e Āraš, 1358 (1979).

<sup>5</sup> დაინტერესებულმა მკითხველმა ამ ნაშრომების მეტ-ნაკლებად სრული ჩამონათვალი შეიძლება ნახოს: ნახუცრიშვილი, ბერიძე, ბაკურაძე, ირანის ქართველობა, 33-36; ნახუცრიშვილი, ქართულენადაკარგული, 147-150.

<sup>6</sup> Amin Ghezelbāšān, Nasabnāme-ye selsele-ye goruhi az Gorji-tabārān-e Xuzestān va barxi aqvām-e vābaste. Tehrān: Armaqān-e Tārix. 1395 (2016)

<sup>7</sup> Amin Ghezelbāšān, Az Birtvisi tā Bandebāl. Pānsad sāl tārix-e xāndān-e gorjitbār-e Bārātāšvili dar Irān (937 hejri-e qamari tā doure-ye mo’āser). Tehrān: Armaqān-e Tārix, 1397 (2018)

<sup>8</sup> Amin Ghezelbāšān, Xāndān-e Bārātāšvili dar Irān. Šešsad sāl tārix va nasabšenāsi-e xāndān-e gorjitbār-e Bārātāšvili dar Gorjestān va Irān (az qarn-e pānzdahom-e milādi tā asr-e mo’āser). Tehrān: Mirās-e Farhixtegān, 1399 (2020).

<sup>9</sup> Amin Ghezelbāšān, Goftārha-i dar bāb-e gorjiyān-e Irān (majmu’e-ye maqallāti dar bāreye tārix-e gorjihā-ye Xuzestān, tārix-e mahalli-e Dezful, safaviyān va mouzu’āt-e vābaste. Jelde 1. Tehrān: Mirās-e Farhixtegān, 1399 (2020).

5. „დავიწყებული საგვარეულოები“, (ტომი.1 - სეფიანთა პერიოდის ირანი); თეირანი: გამომცემლობა „მირას-ე ფარჰიხთეგან“, 2020 (205გვ.).<sup>10</sup>
6. „დავიწყებული საგვარეულოები“, (ტომი.2 - ყაჯართა პერიოდის ირანი); თეირანი: გამომცემლობა „მირას-ე ფარჰიხთეგან“, 2020 (220გვ.).<sup>11</sup>

ამ ნაშრომების დახასიათებამდე წარმოვადგენ ავტორის მოკლე ბიოგრაფიას:

ამინ ყეზელბაშანი დაბადებულია 1971 წლის 23 დეკემბერს ირანის ხუზისტანის პროვინციის ქალაქ აჰვაზში, სადაც გაატარა ბავშვობა და ახალგაზრდობა.

ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს თეირანში. არის ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი და აქვს ამ სფეროში პრაქტიკული და პედაგოგიური მოღვაწეობის 25-წლიანი გამოცდილება. დაწერილი აქვს ექსელის პროგრამის შესასწავლი 12 ბროშურა. მიწვეული იყო მრავალ მნიშვნელოვან სახელმწიფო დაწესებულებასა და კერძო კომპანიაში, როგორცაა ვაჭრობის სამინისტროს სასწავლო ცენტრი, ირანის რადიოტელევიზიის ორგანიზაცია, ირანის სტატისტიკის ცენტრი, სასაქონლო ბირჟა, დამავანდის მინერალური წყალი, ფარს-იზოტოპი და ა.შ.

იგი ახალგაზრდობიდანვე დაინტერესდა ხუზისტანის ქართველების ისტორიით და 17 წლის ასაკიდან შეუდგა ხუზისტანელი ბარათაშვილების საგვარეულოს გენეალოგიის კვლევას, რომლის შთამომავლადაც მიიჩნევენ თავს თვითონ და მისი დიდი სანათესაო. ამინ ყეზელბაშანს საკუთარი გენეალოგიური ხე ასე აქვს წარმოდგენილი:

ვახუშტი-ხანი → ქალბალი-ხანი → მანუჩქრალი-ხანი → თაჰმასებ-ხანი →

ნედერყოლი-ბეგი → მოჰამადჰასან-ბეგი → მოჰამად → ჰოსეინ → აბდოლქარიმ → ირაჯ → ამინ.<sup>12</sup>

ამჟამად საქართველოში მცხოვრები ფერეიდნელი ქართველის, ისტორიკოს საიდ მულიანის ხელშეწყობით, იგი 2014 წელს პირველად ჩამოვიდა საქართველოში და მიიღო მონაწილეობა წმინდა ანდრიას ქართულ უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაში, რომელიც მიემდგნა ირანში ქართველების გადასახლების 400 წლისთავს. საქართველოში მეორე ვიზიტი განახორციელა 2016 წელს და მოხსენებით გამოვიდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე.

ა. ყეზელბაშანის პირველი ნაშრომის გამოსვლის შემდეგ ფერეიდნელმა ქართველებმა საიდ მულიანიმ და ჰამიდრეზა ასლანიმ 2016 წელს მოაწყვეს ექსპედიცია ხუზისტანში იქაური ქართველების გაცნობის მიზნით.

2019 წელს ხუზისტანელმა ქართველებმა ქ. დეზფულში ჩაატარეს სამეცნიერო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდა ცნობილი იაპონელი მკვლევარი, ირანისტი და ქართველოლოგი ჰიროტაკე მაედა. ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავარმა

<sup>10</sup> Amin Ghezelbāshān, *Dudemānhā-ye farāmuš-šode*. Jelde 1 (Irān-e ‘asr-e Safavi). Tehrān: Mirās-e Farhixtegān, 1399 (2020).

<sup>11</sup> Amin Ghezelbāshān, *Dudemānhā-ye farāmuš-šode*. Jelde 1 (Irān-e ‘asr-e Qājār). Tehrān: Mirās-e Farhixtegān, 1399 (2020).

<sup>12</sup> Ghezelbāshān, *Xāndān-e Bārātāšvili*, 367.

საინფორმაციო სააგენტო „ირნა“-მ ამის თაობაზე გამოაქვეყნა ინფორმაცია სათაურით „დეზფულში ჩატარდა ქართველების ისტორიის შემსწავლელი კონფერენცია“.<sup>13</sup>

ბოლო წლებია, რაც ამინ ყეზელბაშანი წარმატებულად თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან.

2019 წლის 31 იანვარს ქ.თეირანში ირანის ერთ-ერთმა ყველაზე პრესტიჟულმა სამეცნიერო-კულტურულმა ჟურნალმა „ბოხარა“ ჩაატარა თავისი ე.წ. „დილის ხუთშაბათობის“ 141-ე სხდომა, მიძღვნილი ქართულ-ირანული ისტორიული და კულტურული ურთიერთობებისადმი, სადაც მთავარი მომხსენებლები იყვნენ პროფ. გ. სანიკიძე და დოქტ. ნ. ნახუცრიშვილი.<sup>14</sup> ქართველი მეცნიერების ინიციატივით, ამ სხდომის ორგანიზატორებმა ტრიბუნა დაუთმეს ამინ ყეზელბაშანსაც, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ხუზისტანელი ქართველების ისტორიის შესახებ საკუთარი კვლევების შედეგები.

2020 წლის დეკემბერში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წლიურ კონფერენციაზე, რომელიც ონლაინ-რეჟიმში გაიმართა, მან წარმოადგინა მოხსენება „ქართული წარმოშობის სამი საგვარეულო ხუზისტანში“.

2021 წლის 13 აგვისტოს ასევე ონლაინ-რეჟიმში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა ჩაატარა ვებინარი „ხუზისტანის ქართველების ისტორია“ (ხუზისტანში ვახუშტი-ხან ბარათაშვილის დამკვიდრების 400 წლისთავთან დაკავშირებით),<sup>15</sup> რომელზეც მოხსენებებით გამოვიდნენ პროფ. გ. სანიკიძე, პროფ. ჰ. მადეა, ა. ყეზელბაშანი, ს. მულიანი და დოქტ. ნ. ნახუცრიშვილი. ამინ ყეზელბაშანმა ამ ღონისძიებაზე წაიკითხა მოხსენება „ვახუშტი-ხანი და მისი ოჯახობა სპარსულ წყაროებში“.

ზემოხსენებულ 6 ნაშრომში ამინ ყეზელბაშანი წარმოადგენს ქართული წარმომავლობის სახელმწიფო მოხელეთა და სარდალთა და მათი შთამომავლების მოღვაწეობას, დაწყებული სეფიანთა ეპოქიდან დღევანდელობამდე. კვლევისას ავტორი იყენებს მრავალ სპარსულ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროს, ირანში ამ თემაზე შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურას, არქივებსა და ოჯახებში დაცულ დოკუმენტებსა და ფოტომასალას, უხუცესებისაგან ჩაწერილ ზეპირ გადმოცემებს, ინტერვიუებს და ა.შ.

ამინ ყეზელბაშანი არ ფლობს ქართულ ენას. ქართული ისტორიული წყაროებისა და გამოკვლევების გაცნობაში იგი უმადლის საიდ მულიანის. ა. ყეზელბაშანისათვის, ისევე, როგორც მთლიანად ირანის სამეცნიერო წრეებისათვის, ფრიად მნიშვნელოვანი იყო სეფიანთა კარზე ოთხი ქართული საგვარეულოს შესახებ იაპონელი მეცნიერის ჰიროტაკე მაედას მიერ დაწერილი ვრცელი ინგლისურენოვანი სტატიის<sup>16</sup> სპარსულად

<sup>13</sup> Hamāyesh-e barresi-e tārix-e gorjihā dar Dezful bargozār šod. Accessed 25.11.2021 [www.irna.ir/news/83238510/](http://www.irna.ir/news/83238510/).

<sup>14</sup> Didār va goftogu bā Giorgi Sānikidze va Nikoloz Nāxutsrishvili. Accessed 25.11.2021 <https://bukharamag.com/1397.11.24444.html>.

<sup>15</sup> ვებინარი ჩატარდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში: FR 18-7653 „დოკუმენტები საქართველოს შესახებ ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში“

<sup>16</sup> Hirotake Maeda, On the Ethno-Social Background of the four Gholām Families from Georgia in Safavid Iran, *Studia Iranica*, tome 32, 2003, 241-278.

თარგმნა და ცალკე წიგნად გამოცემა.<sup>17</sup> ამ ნაშრომის მეშვეობით, სპარსულენოვანი მკითხველისათვის გარკვეულწილად ხელმისაწვდომი გახდა სეფიანთა ეპოქაში ქართულ-ირანული ურთიერთობებისა და ირანში ქართული საგვარეულოების შესახებ ქართველი ისტორიკოსებისა და ირანისტების რამდენიმე თაობის მიერ გაწეული ღრმა კვლევების შედეგები, რომელსაც იაპონელი მკვლევარი იყენებს თავის სტატიაში.<sup>18</sup>

ხაზგასასმელია, რომ ამ მრავალწლიანი შრომის განმავლობაში ამინ ყეზელბაშანს არ ჰქონდა რაიმე გრანტი. მან ჩატარებული კვლევისა და ნაშრომების გამოქვეყნების ხარჯები გაიღო თავად ან ისარგებლა საკუთარი საგვარეულოს ზოგიერთი წარმომადგენლის ფინანსური მხარდაჭერით.

ა. ყეზელბაშანის წიგნებში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ირანის ერთ-ერთ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს პროვინციაზე - ხუზისტანზე, თუმცა ა.ყეზელბაშანის კვლევის შედეგები ბარათაშვილების ოჯახობის მაგალითზე აჩვენებენ, რომ ისინი იკავებდნენ მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ და სამხედრო თანამდებობებს არა მხოლოდ ხუზისტანში, არამედ სეფიანთა სახელმწიფოს სხვა პროვინციებშიც. თავისი ერთ-ერთი ნაშრომის („ბარათაშვილის საგვარეულო ირანში“) ბოლოს დართულ რუკაზე სამხრეთ კავკასიის, ირანისა და ავღანეთის არეალში ავტორს მონიშნული აქვს 17 მხარე და პროვინცია, სადაც ამა თუ იმ ფორმით ფიქსირდება ბარათაშვილების მმართველობა.<sup>19</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს გამოსული „ბარათაშვილების საგვარეულო ირანში“ წარმოადგენს წინა წლებში გამოცემული „ნასაბ-ნამეს“ (2016) და „ბირთვისიდან ბანდებალამდე: ირანში ქართველი ბარათაშვილების საგვარეულოს ხუთასწლიანი ისტორიის“ (2018) ერთგვარ შერწყმას, რომელიც გამდიდრებულია ახალი მასალებითა და ინფორმაციებით. თავად ავტორისავე განმარტებით, მან ეს შეგნებულად გააკეთა, რათა ერთ ყდაში მოექცია ორივე წიგნში წარმოდგენილი მდიდარი მასალა ბარათაშვილების საგვარეულოს გენეალოგიის, ისტორიისა და თანამედროვე ყოფის შესახებ.

სარჩევის თარგმანის მეშვეობით ქვემოთ წარმოვადგენთ იმ ფართო თემატიკას, რომელიც განხილულია ამინ ყეზელბაშანის ამ ახალ ნაშრომში.<sup>20</sup>

**პირველ რიგში, საყურადღებოა ამ წიგნის წამდღვარება: „ამ წიგნს ვუძღვნი მსოფლიოს ყველა ქართველს მშვიდობისა და მეგობრობის ნიშნად“.**

**სარჩევი:**

მიმართვა მკითხველებისადმი

წინასიტყვაობა

<sup>17</sup> Hirotake Maeda, Čahār dudmān-e gorji dar asr-e safavi. Tarjome va tahšiye: Mostafa Nāmdaāri Monfared. Tehran: našr-e temsal, 1396 (2018). ათი წლით ადრე ჰ. მაედას ინგლისურენოვანი სტატია ითარგმნა ქართულად და გამოიცა ბროშურის სახით: ჰიროტაკე მაედა, ქართველები სეფიანთა ირანში. ღულამთა ოთხი ოჯახის ეთნოსოციალური წარმომავლობა (თბილისი: არტანუჯი, 2008).

<sup>18</sup> მაედა, ქართველები, 57-61.

<sup>19</sup> Ghezelbāšān, Xāndān-e Bārātāšvili, 604.

<sup>20</sup> Ghezelbāšān, Xāndān-e Bārātāšvili, 9-17.

### **ნაწილი პირველი: ძირითადი საკითხები**

1. აზნაურები და თავადები
2. ბარათაშვილები
3. ორბელიანების საგვარეულო, ბარათაშვილების ერთი შტო
4. ბარათაშვილების სამფლობელოები
5. ბირთვისის ციხის დაცემა
6. „ნავა“-ს ტრადიცია<sup>21</sup>
7. კეთილშობილი ელიტარული ღულამები. სეფიანთა ეპოქის გამორჩეული სტრუქტურა
- ა) კეთილშობილი ელიტარული ღულამები.
- ბ) შაჰის კარზე დიდებულებისა და რჩეულების შვილების აღზრდა და სწავლება
- გ) ღულამების ლაშქარი
- დ) ყულარაღასი ანუ ღულამების ლაშქრის სარდალი
8. ქართველ მმართველთა შვილები შაჰის ღულამების რიგებში

### **ნაწილი მეორე: ირანში ბარათაშვილების საგვარეულოს ისტორიის ქრონოლოგია**

1. ელიზბარისა და მისი შთამომავლების როლი საქართველოში ძალაუფლების განაწილებაში
2. ასლამაზის და მისი შთამომავლების მემკვიდრეობით ხელისუფლება ირანში
- ა) ბარათაშვილების პირველი ოფიციალური შემოსვლა ხუზისტანში
- ბ) ვახუშტი-სოლთანის და მისი ძმების პერიოდი
- გ) საგვარეულოს წინამძღოლთა გარდაცვალება
3. ვახუშტი-ხანის, მისი შთამომავლებისა და ბიძაშვილების მემკვიდრეობითი მმართველობა
4. ინფორმაცია თანამედროვე ეპოქაში ვახუშტი-ხანის შთამომავლების მდგომარეობის შესახებ
5. მეჰრალი-ხანის შთამომავლები თაჰმასბ-ბეგის შტოდან.

### **ნაწილი მესამე: ძალაუფლების ეტაპობრივი დაკარგვის ზოგიერთი ფაქტორი თემის შესავალი**

1. საგვარეულოს შიგნით პოლიტიკურ ფრთებად დაყოფის გამოვლინება
2. საგვარეულოს (ღირსეული) წინამძღოლის არარსებობა ისტორიის ყველაზე მწვავე პერიოდში
3. ძველი მფარველებისა და თანამებრძოლების მიერ ვახუშტი-ხანის ოჯახობისათვის ზურგის შექცევა
- ა) ჩერქეზი ილდერემ-ბეგის შთამომავალთა მოპყრობა ვახუშტი-ხანის შთამომავალთა მიმართ
- ბ) გორგინ-ბეგ გორჯისა და მისი შვილების მოქცევა ვახუშტი-ხანის შთამომავალთა მიმართ
- გ) თემის შეჯამება

---

<sup>21</sup> სეფიანთა კარზე მმართველთა შვილების გაგზავნის წესი - ნ.ნ.



**ნაწილი მეოთხე: ირანელი ბარათაშვილების საგვარეულოს პიროვნებათა კვლევა**

1. ვახუშტი-ხანის წინაპრები და ძმები
  - ა) წინაპრები
  - ბ) ძმები
    - ოთარ-ხანი, წოდებული, როგორც ზოლფაყარ-ხანი - ვახუშტი-ხანის უფროსი ძმა
    - გორჯასპი-ბეგი, წოდებული, როგორც მანსურ-ხანი, ვახუშტი-ხანის უმცროსი ძმა
2. ვახუშტი-ხანის ძმისშვილები და სხვა ნათესავები
  1. სეფიყოლი-ბეგი
  2. თაჰმასბ-ბეგი
  3. ბაჰრამ-ბეგი
  4. დურმიშ-ბეგი
  5. ბაჰრამ-სოლთანი
  6. ისა-ხანი
  7. ზოლფაყარ-ბეგი
  8. ბახთან-ბეგი (ვახტანგი), წოდებული, როგორც მეჰრალი-ხანი
3. ვახუშტი-ხანი და მისი ჩამომავალნი
  - ა) ვახუშტი-ხანი
  - ბ) ვახუშტი-ხანის ვაჟისშვილები
    1. ფათჰალი-ხანი
    2. ასლამას-ბეგი, წოდებული, როგორც ასლან-ხანი
    3. ქალბალი-ხანი
    4. ბადადე-ხანი
    5. აბას-ხან ბეგი
  - გ) ვახუშტი-ხანის შვილისშვილები
    1. ფაზლალი-ხანი
    2. მოჰამადალი-ხანი
    3. აბდოლა-ხანი
    4. მოჰამადრეზა-ხანი
    5. ჰაჯი მოჰამად-ხანი
    6. მეჰრალი-ხანი
    7. ზოლფაყარ-ხანი
  - დ) ვახუშტი-ხანის სხვა შთამომავლები (შვილთაშვილები)
    1. ბიჯან-ხანი
    2. ასლამას-ბეგი, წოდებული, როგორც ხანჯანი
    3. მოჰამად-ჰოსეინ-ბეგი
    4. ესმაილ-ბეგი
    5. ქალბალი-ბეგი
    6. თაჰმასბ-ბეგი
    7. აბოლფათჰ-ბეგი
    8. აბუმანსურ-ბეგი

9. ალიმოჰამად-ხანი
10. მოჰამადთაყი-ხანი
11. აყა-ხანი
12. ვახუშტი-ხანის სხვა გამორკვეული შვილთაშვილები

**ნაწილი მეხუთე: ირანში ვახუშტ-ხანისა და მისი შთამომავლების მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა**

1. მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება
  - ა) წიგნების შექმნისა და თარგმნის მხარდაჭერა
    1. თხზულება „თადბირ ოლ-ათფალ“ (ბავშვების აღზრდა)
    2. თხზულება „თებ ოლ-აემე“ (სამედიცინო ტრაქტატი)
    3. თხზულება „ზაჰბიე-ე ემამ-რეზა“ (რელიგიური ტრაქტატი)
    4. წიგნი „შექარ-ნამე“ (ტრაქტატი ნადირობასა და თევზაობაზე)
  - ბ) პოეზია და ლიტერატურა
  - გ) კალიგრაფია
    2. აღმშენებლობითი და ინფრასტრუქტურული საქმიანობა
    3. სამხედრო-საზრძოლო მოღვაწეობა
    4. რელიგიური მოღვაწეობა

**ნაწილი მეექვსე: ხუზისტანში ბარათაშვილების მმართველობის თანამედროვე ცნობილი პიროვნებები**

1. თეოლოგები, პოლიტიკური მოღვაწეები და მოსამართლეები
  1. შეიხ აბდ ოლ-ლათიფ ჯამეი ამელი
  2. შეიხ ჯავად ქაზემი
  3. შეიხ მოჰი ად-დინ ბენ შეიხ აბდ ოლ-ლათიფი
  4. მირ მოჰამად-ისა ბენ მირ სადრ ედ-დინი
  5. მოლა ჰასანალი შუმთარი
  6. სეიედ ნე'მათოლა ჯაზაიერი
  7. ვალიყოლი-ბეგ შამლუ
  8. ჰაჯი მოჰამად-შარიფ ბენ ხაჯე ყასემ ბენ ხაჯე ალი
  9. ჰაჯი მოჰამადთაყი ქალანთარი
  10. მირზა ხალილი მირზა შოქროლას ვაჟიშვილი
  11. ყაზი მოჰამად-მა'სუმი, წოდებული როგორც ყაზი-შუმთარი
2. ხელოვნების მოღვაწეები და მეცნიერები
  - ა) პოეტები
    1. მოლა მოჰებალი ქასები
    2. მოლა ვარასთე
    3. ხაჯე აბდოლმოჰამად ზაიერა
    4. ელაჰი აყაიე მოშთაყი
    5. მაჯდ ად-დინ ბენ მოჰამად-შაიე' ალ-ჰაშემი ალ-აბასი
  - ბ) კალიგრაფები
    1. სეიედ რაშიდ ად-დინ დეზფული
    2. მირ-ბაყერი

გ) მეცნიერები

1. მოლა ეიდი მოჰამადი
2. ახუნდ მოულანა ფეიზოლა ასარე
3. ახუნდ ხაჯე აფზალ ბენ აბდოლა სარაფი

3. სწავლულები, დიდებულები, უმაღლესი რანგის სეიდები და სხვა ცნობილი პიროვნებები (სულ 15 პიროვნება)

ნაწილი მეშვიდე: ბარათაშვილების საგვარეულო ცნობილი პიროვნებების თვალთახედვით

1. ისტორიკოსებისა და მმართველთა მიერ ვახუშტი-ხანის საგვარეულოს დახასიათება
2. ლექსები ვახუშტი-ხანის, მისი ძმებისა და შვილების შესახებ
  - ა) მოლა მოჰებალი ქასები
  - ბ) წარწერა ქალაქ დეზფულში შეიხ ესმაილ ყასრის აკლდამაზე
  - გ) წარწერა ქალაქ შუშთარის ჰოსეინის მეჩეთზე
  - დ) მოლა ვარასთე
  - ე) ვალიყოლი-ბეგ შამლუ
  - ვ) მოულანა ფეიზოლა ასარე

დასკვნები

დანართები:

- ვახუშტი-ხანის შთამომავალთა გენეალოგიური ხეები დასაწყისიდან დღემდე
- ბიოგრაფიები (მათ შორის დღევანდელი შთამომავლებისა)
- ინტერვიუები
- ირანელი ბარათაშვილების ნათესაობა საქართველოში
- რუკები, ცხრილები
- ვახუშტი-ხანის შთამომავალთა საოჯახო დოკუმენტები, ბეჭდები, ფოტოები
- გეოგრაფიული ადგილებისა და ციხე-სიმაგრეების განმარტება

გამოყენებული ლიტერატურა

პიროვნებებისა და ადგილების სახელების ინდექსი

ამინ ყეზელბაშანის კიდევ ერთი ახალი წიგნი „სტატიები ხუზისტანელი ქართველების შესახებ“ (ტომი 1) (სტატიების კრებული ხუზისტანის ქართველების, დეზფულის ლოკალური ისტორიის, სეფიანთა ეპოქისა და სხვა დაკავშირებული თემების შესახებ) ასევე იქცევეს მკითხველის ყურადღებას. თუ შევადარებთ წინა ნაშრომს, გარკვეული თემები მეორდება, თუმცა ფაქტობრივი მასალა დოზირებულადაა მოწოდებული და უფრო ცოცხლად იკითხება.

წიგნი შედგენილობა ასეთია:<sup>22</sup>

<sup>22</sup> Ghezelbāshān, Goftārha, 5.

## შესავალი

### პირველი ნაწილი: სტატიები

1. გამოკვლევა ხუზისტანელი ქართული წარმოშობის ორი საგვარეულოს (აბინე გორჯი, ვახუშტი-ხანი და მათი შთამომავლები) პირველი თაობების სოციალური მდგომარეობის შესახებ მათი ტიტულების მიხედვით;
2. ქართული წარმოშობის მძევი ბარათაშვილები სეფიანთა სახელმწიფო სტრუქტურებში;
3. ხუზისტანის ქართველები ისტორიის სიღრმეებში;
4. გამოკვლევა ფათჰალი ბიქას წიგნის „თადბირ ოლ-ათფალის“ (ბავშვთა აღზრდა) ავტორის ვინაობის შესახებ;
5. გამოკვლევა ხუზისტანში ქართველი მმართველების, ხანებისა და დიდებულების გამოჩენისა და მათი როლის შესახებ (სეფიანთა ეპოქიდან ყაჯარებამდე);
6. მოკამდალი ილჩი, თახალოსით „ნეჟად“ (წოდებული, როგორც „ნეჟად“);
7. სპარსულ ტექსტებში „ვახუშტი ხანის“ განსხვავებული დაწერილობების ანალიზი;
8. აყა ქუჩეჟ-ხან ხეზრიანის ხელნაწერებს წყაროები;
9. დიდებულთა შვილების აღზრდა, როგორც სეფიანთა მმართველობის თვისობრივი განვითარების სტრატეგია;
10. ორბელიანების საგვარეულოს როლი ერთი თვალის გადავლებით;
11. დეზფულის დასავლეთ საჰრაბადრის რაიონის ხანები. შიდა-საგვარეულო ნახევარსაუკუნოვანი მკვლევლობები ყაჯართა პერიოდში;
12. დეზფულის დასავლეთ საჰრაბადრის რაიონის ხანების ეროვნული კუთვნილების შესახებ;
13. არდე-იარანის ომი (მრავალწლიანი შეიარაღებული დაპირისპირება ქართული წარმოშობის საგვარეულოს ორ უახლოეს შტოს შორის დეზფულის საჰრაბადრის რაიონში მთვარის ჰიჯრის 1256-1342 წწ.);
14. ბარათაშვილები, როგორც პროფესიონალი მმართველები;
15. ხანი და აღუნი (სახელისუფლებო ტერმინების განმარტება დეზფულის დიალექტის მიხედვით).

### ნაწილი მეორე:

#### ინტერვიუები და მოხსენებები

1. მოხსენება თემაზე „ხუზისტანის ქართველები“;
2. ინტერვიუ თემაზე „ქართველების დამკვიდრება ხუზისტანში არ იყო ირანში იძულებითი გადასახლების შედეგი“.

აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომის მეორე ნაწილში შეტანილი მოხსენება „ხუზისტანელი ქართველები: ვახუშტი ბარათაშვილის შთამომავლები ირანის ხუზისტანის პროვინციაში“ ა.ყეზელბაშანმა წაიკითხა 2014 წელს თბილისში პირველი ვიზიტის დროს, წმინდა ანდრეას ქართულ უნივერსიტეტში.

ამონარიდები ა. ყეზელბაშანის ინტერვიუდან კი ქართულად თარგმნილი და დაბეჭდილია წიგნში „ირანის ქართველობა ისტორიულ სამშობლოსთან რენტეგრაციის გზაზე“. იქვე მკითხველი ნახავს მოკლე ინფორმაციას უკანასკნელ წლებში მისი სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ.<sup>23</sup>

ამინ ყეზელბაშანმა ხუზისტანის ქართული საგვარეულოების გენეალოგიისა და ისტორიის კვლევისას გვერდი ვერ აუარა სეფიანთა თუ ყაჯართა ეპოქაში ირანის სამხრეთ-დასავლეთის არეალში დაფუძნებული სხვა წარმოშობის დიდგვაროვანი და სახელოვანი ოჯახების თემასაც, რაც კომპაქტურად ასახა ორტომეულში, სახელწოდებით „დავიწყებული საგვარეულოები“.<sup>24</sup> ამით მან ირანელი მკითხველის თვალში ერთგვარად დააბალანსა ხუზისტანის, ფარსის, ისპაჰანისა და სხვა მხარეების წარჩინებულ საგვარეულოების ფართო სპექტრში ქართული წარმოშობის ოჯახთა წილი და მათ მიერ ირანის პოლიტიკურ, სამხედრო, ადმინისტრაციულ და კულტურულ სფეროებში შეტანილი წვლილი.

პირველ ტომში (სეფიანთა ეპოქა) ა. ყეზელბაშანს შეტანილი აქვს 16 საგვარეულო, რომელთაგანაც 5 ქართულია:

1. მირშექარბაშიანების საგვარეულო (მემკვიდრეობითი მონადირეთუხუცესები);
2. ბარათაშვილების საგვარეულო (დიდებულები მემკვიდრეობითი ხელისუფლებით);
3. მირიმანიძეების საგვარეულო (წარჩინებული საგვარეულო);
4. სააკაძეების საგვარეულო (ბრძოლებში გამობრძმედილი მხედართმთავრები);
5. უნდილაძეების საგვარეულო (სეფიანთა პერიოდის სახელოვანი საგვარეულო).

ამ 5 საგვარეულოდან 4 (ბარათაშვილი, უნდილაძე, სააკაძე, მირიმანიძე) შესულია 3. მაედას ნაშრომში და ეს საგვარეულოები კარგადაა ცნობილი ქართული სამეცნიერო წრებისათვის, მაგრამ ხუზისტანის ქართველი გამგებელის ვახუშტი ხანის (ბარათაშვილის) მიერ ასევე ქართველი გორგინ ბეგის დანიშვნა მირშექარბაშის (მონადირეთუხუცესის) თანამდებობაზე მთვარის ჰიჯრის 1042 წელს (1632 წ.) და შედგომი 4 თაობის მიერ ამ პოსტის შენარჩუნება ჩვენთვის ყურადსაღები ისტორიული ფაქტი უნდა იყოს.<sup>25</sup>

მეორე ტომში ა. ყეზელბაშანი ყაჯართა პერიოდის 10 დავიწყებულ საგვარეულოს აღწერს და მათში მხოლოდ აბინე გორჯის საგვარეულოს გააჩნია ქართული ძირები. აბინე გორჯის შთამომავლების უმეტესობა ხანის ტიტულს ატარებს, მათ უკავიათ მაღალი თანამდებობები დეზფულსა და შუშტარში, ფლობენ მამულებს, ზრუნავენ

<sup>23</sup> ნახუცრიშვილი, ბერიძე, ბაკურაძე, ირანის ქართველობა, 36, 60-64; ასევე, ნახუცრიშვილი, ქართულენადაკარგულები, 129-130.

<sup>24</sup> Ghezelbāshān, Dudemānhā-Jelde 1; Ghezelbāshān, Dudemānhā-Jelde 2.

<sup>25</sup> Ghezelbāshān, Dudemānhā-Jelde 1, 131-171.

ქვეშევდრომებზე და, მთლიანობაში, ყაჯართა ეპოქის ხუზისტანში სარგებლობენ ხალხის პატივისცემით.<sup>26</sup>

ძნელია, ერთ პატარა გამოხმაურებაში სრულად აისახოს ამინ ყეზელბაშანის ექვსივე ნაშრომის მრავალფეროვნება და სიახლე. იმედია, ამ ნაშრომებით დაინტერესდებიან საქართველოში და მათ მიუჩენენ სათანადო ადგილს ირანში ქართული საგვარეულოების ისტორიის კვლევისას.

ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ამინ ყეზელბაშანი წარმოადგენს ხუზისტანში ქართული საგვარეულოების გენეალოგიის, ისტორიისა და მათი შთამომავლების დღევანდელი ყოფის გამორჩეულ მცოდნეს და მისი თავდაუზოგავი გარჯა და კვლევის ფართო დიაპაზონი ჭეშმარიტად დასაფასებელია. ამინ ყეზელბაშანი ღირსეულად ემსახურება ქართულ-ირანული სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების განმტკიცების საქმეს.

---

<sup>26</sup> Ghezelbāshān, Dudemānhā-Jelde 2, 171-181.

**GEORGIANS IN KHUZESTAN –  
HISTORY AND CURRENT REALITY  
(Review of Recent Investigations by Amin Ghezlbashan)\***

The issue of Georgians in Iran has always been in the focus of Georgian public and scientific circles. Until recently, this focus was chiefly directed towards Fereydani Georgians.

Noteworthy, in the past 30 years, due to the progress of the media and social networks, as well as the efforts of scholars in Georgia and Iran, Georgian society has obtained ample and latest information regarding the history and current state of Georgians in Iran.

The geographical area of the issues under analysis has also broadened. The experience of one hundred and twenty-five years in the field of research of the language, history and ethnography of Fereydani Georgians has recently been enriched with investigations of the life of Georgians in other provinces of Iran.

Besides, the Georgians of Iran themselves are actively involved in the research of their history and culture. In 1979, the book “Georgian Iranians” by a Fereydanian Georgian scholar Mohammad Sepiani was published in Iran. This book was followed by numerous works written in the Persian language by the authors of Georgian origin. The majority of these works is unknown to the Georgian scholarly circles.

Of special importance in this regard is the investigation carried out by Amin Ghezlbashan, an independent researcher of Georgian origin. During the past five years, he has published six books related to the history of Georgian families living in the historical province of Iran – Khuzestan and describing the current life of Georgians in this province:

1. Nassab-Nameh -The Family Tree of One Clan of Khuzestani Georgians (Tehran: Armaghan-e Tarikh, 2016), 436 pages;
2. From Birtvisi to Bandebal. 500 Years of History of the Georgian Family of Baratashvili in Iran (Tehran: Armaghan-e Tarikh, 2018), 311 pages;
3. The Baratashvili Clan in Iran (Tehran: Miras-e Farhikhtegan, 2020), 606 pages;
4. Articles on Khuzestani Georgians (Tehran: Miras-e Farhikhtegan, 2020), 368 pages;
5. Forgotten Clans. Iran of Safavid Era. Vol.1 (Tehran: Miras-e Farhikhtegan, 2020), 205 pages;
6. Forgotten Clans. Iran of Qajar Era. Vol.2 (Tehran: Miras-e Farhikhtegan, 2020), 220 pages.

In the above-mentioned six books, Amin Gheselbashan presents the biographies of public figures and military commanders of Georgian origin, gives data regarding their descendants and describes the history of Georgians in Iran from the Safavid epoch until the present day. The author uses numerous Persian historical and literary sources, Iranian scholarly literature

---

\* The research has been implemented within the project: FR 18-7653 “Documets on Georgia in the Archives and Libraries of Iran”, financed by Shota Rustaveli National Science Foundation.

on the given issue, archives, documents and photographs preserved in families, oral stories told by elderly people, interviews and so on.

In A. Ghezelbashan's books, the chief focus is made on one of the largest and most important provinces of Iran – Khuzestan. However, Ghezelbashan's research of the Baratashvili clan proves that Georgians occupied important administrative and military positions not only in Khuzestan but also in other provinces of the Safavid State. On the map appended to one of his books (“The Baratashvili Clan in Iran“), the author has designated 17 regions and provinces of South Caucasus, Iran and Afghanistan where the governance of the Baratashvili is proved in this or that form.

Amin Ghezelbashan's works gradually become part of the Georgian scientific circulation. One important interview, given in his book “Articles on Khuzestani Georgians”, is called “Georgians Were Not Displaced to Khuzestan“. It has been already translated into Georgian and included in the collective work “Georgians of Iran on the Way to Reintegration with the Historical Motherland” (Authors: N. Nakhutsrishvili, M. Beridze and L. Bakuradze. Tbilisi: Academic Book, 2020. pp. 60-64).

When investigating the genealogy and history of the Georgian clans in Khuzestan, Amin Ghezelbashan also focused on non-Georgian noble and outstanding families of the South-Western area of Iran in the Safavid and Qajar epochs. This topic was presented in the two volumes of his book “Forgotten Clans”. In this way, A. Ghezelbashan established a kind of balance between the famous clans of Khuzestan, Fars, Esfahan and other provinces and underlined the contribution of Georgian families in the political, military, administrative and cultural fields of Iran.

It is impossible to fully reflect the diversity and novelty of Amin Ghezelbashan's six books in one paper. No doubt, Georgian scholars will be interested in these investigations and A. Ghezelbashan's works will largely contribute to the research of the history of Georgian clans in Iran.

One thing is certain: Amin Ghezelbashan is exceptionally knowledgeable in the genealogy, history and current life of Georgian clans in Khuzestan. His dedicated work and broad spectrum of research are of great scientific value. Thus, it is impossible to overestimate Amin Ghezelbashan's contribution to the development of Georgian-Iranian scientific and cultural relations.

#### **დამოწმებული ლიტერატურა - References:**

ქართულ ენაზე (in Georgian)

1. აღნიაშვილი, ლადო. *სპარსეთი და იქაური ქართველები*. ტფილისი, 1896.
2. ბაკურაძე, ლია; ბერიძე, მარინა; ნახუცრიშვილი, ნიკოლოზ; ნაპირელი, ელენე; და ბარიხაშვილი, მაია. *ფერეიდნული ქრონიკები (პრესისა და არქივის მასალები ირანში მცხოვრები ქართველების შესახებ)*. თბილისი: მერიდიანი, 2020.
3. მაედა, ჰიროტაკე. *ქართველები სეფიანთა ირანში. დულამთა ოთხი ოჯახის ეთნოსოციალური წარმომავლობა*. თბილისი: არტანუჯი, 2008.



4. ნახუცრიშვილი, ნიკოლოზ. *ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში (მასალები და გამოკვლევა)*. თბილისი: მერიდიანი, 2020.
5. ნახუცრიშვილი, ნიკოლოზ; ბერიძე, მარინა; და ბაკურაძე, ლია. *ირანის ქართველობა ისტორიულ სამშობლოსთან რეინტეგრაციის გზაზე*. თბილისი: აკადემიური წიგნი, 2020.
6. ჯაფარიძე, პაატა; ბერაძე, გრიგოლ; გოცირიძე, გიორგი; დემეტრაშვილი, თამარ; შავიანიძე, დავით; და ცხვედიანი, ზვიად. *მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფაცხოვრება და კულტურა*. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017.

უცხო ენებზე (in foreign languages):

1. Ghezelbāshān, Amin. *Nasabnāme-ye selsele-ye goruhi az Gorji-tabārān-e Xuzestān va barxi aqvām-e vābaste*. Tehrān: Armaqān-e Tārix. 1395 (2016).
2. Ghezelbāshān, Amin. *Az Birtvisi tā Bandebāl. Pānsad sāl tārix-e xāndān-e gorjibār-e Bārātāšvili dar Irān (937 hejri-e qamari tā doure-ye mo'āser)*. Tehrān: Armaqān-e Tārix. 1397 (2018).
3. Ghezelbāshān, Amin. *Xāndān-e Bārātāšvili dar Irān. Šešsad sāl tārix va nasabšenāsi-e xāndān-e gorjibār-e Bārātāšvili dar Gorjestān va Irān (az qarn-e pānzdahom-e milādi tā asr-e mo'āser)*. Tehrān: Mirās-e Farhixtegān, 1399 (2020).
4. Ghezelbāshān, Amin. *Goftārha-i dar bāb-e gorjiyān-e Irān (majmu'e-ye maqallāti dar bāre-ye tārix-e gorjihā-ye Xuzestān. tārix-e mahalli-e Dezful, safaviyān va mouzu'āt-e vābaste*. Jelde 1. Tehrān: Mirās-e Farhixtegān, 1399 (2020).
5. Ghezelbāshān, Amin. *Dudemānhā-ye farāmuš-šode*. Jelde 1 (Irān-e 'asr-e Safavi). Tehrān: Mirās-e Farhixtegān, 1399 (2020).
6. Ghezelbāshān, Amin. *Dudemānhā-ye farāmuš-šode*. Jelde 1 (Irān-e 'asr-e Qājār). Tehrān: Mirās-e Farhixtegān, 1399 (2020).
7. Maeda, Hirotake. "On the Ethno-Social Background of the four Gholām Families from Georgia in Safavid Iran." *Studia Iranica*, tome 32, 2003, 241-278.
8. Maeda, Hirotake. *Čahār dudmān-e gorji dar asr-e safavi*. Tarjome va tahšiye: Mostafa Nāmdāri Monfared. Tehran: Našr-e Tamsal, 1396 (2018).
9. Sepiāni, Mohammad. *Irāniān-e gorji*. Esfahān: Enteshārāt-e Āraš, 1358 (1979).

ვებ-გვერდები (web-pages)

1. Boxārā. Majalle-ye adabi va honari. Didār va goftogu bā Giorgi Sānikidze va Nikoloz Nāxutshvili. Accessed 25.11.2021. <https://bukharamag.com/1397.11.24444.html>
2. Iranian News Agency. Hamāyesh-e barresi-e tārix-e gorjihā dar Dezful bargozār šod. Accessed 25.11.2021 [www.irna.ir/news/83238510/](http://www.irna.ir/news/83238510/)

## პოლიტიკის ზეგავლენა ისტორიის აღქმაზე: ირანისა და აზერბაიჯანის შემთხვევა

მეზობელ ხალხებს, ქვეყნებს შორის ყოველთვის არსებობს საერთო ისტორიის განსხვავებული ინტერპრეტაციები, ურთიერთსაწინააღმდეგოდ აღქმის პრობლემა. იგივე ვითარებაა ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში (ისე, როგორც საკუთრივ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთმიმართებაში). თუმცა, ისტორიის განსხვავებული აღქმის პრობლემა სხვადასხვა დონისაა და, ხშირ შემთხვევაში, მასზე ზეგავლენას ახდენს თანამედროვე პოლიტიკური რეალობა.

ისტორიული მეხსიერების შეუთავსებლობის პრობლემა მეტად უმნიშვნელოა ირან-სომხეთის ურთიერთობებში. ირედენტიზმის საკითხი ბუნებრივია, არ დგას. დღევანდელი ახლო ურთიერთობებიდან გამომდინარე, ორივე მხარის მიერ ხაზი გაესმევა თბილ თანაზიარ ისტორიულ მეხსიერებას. მაგალითისთვის, ცნობილი სომეხი მკვლევარი გ. ასატრიანი აღნიშნავს: „სომხებს და სომხეთს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ირანულ ნაციონალურ იდეაში... იმავდროულად სომხური საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მნიშვნელოვანი მახასიათებელია სომხეთი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში ირანის გამოკვეთილი როლის გააზრება. სომხეთი ირანელ პატრიოტთა აზროვნებაში ყოველთვის წარმოდგებოდა ქვეყნად, რომელიც შებურული იყო 'არიული' სიძველის ნიმუშისით, სომხები კი, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ისლამამდელი ირანის ტრადიციული ისტორიული ფასეულობითი სისტემის მატარებელი იყვნენ... სომხური კულტურის ბუნება ირანის წარსული დიდების მიმართ ნოსტალგიურ გრძნობებს აღუძრავს ირანელ ინტელექტუალებს.“<sup>1</sup> „ქვეყნებს აერთიანებთ ძველი კულტურა, ცივილიზაცია, კავშირები და ა.შ. მეგობრული და პირუთვნელი დამოკიდებულება ირანისადმი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი სომხური ეროვნული მსოფლმხედველობისა.“<sup>2</sup> თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ახლო ურთიერთობების ხანგრძლივი ისტორიისა ირანსა და სომხეთს შორის, სომხეთის სტრატეგიული მიდგომა ირანის მიმართ უფრო მეტად გამომდინარეობს „პრაქტიკული აუცილებლობიდან, ვიდრე ისტორიული კავშირებიდან.“<sup>3</sup>

სომხეთი და ირანის ბუნებრივი პარტნიორები არიან უპირველესად მათი საერთო (თუნდაც არათანაზომადი) პრობლემების გამო თურქეთთან და აზერბაიჯანთან.

<sup>1</sup> Гарник Асатрян, Этническая композиция Ирана: от «Арийского простора» до Азербайджанского мифа. (Ереван: Кавказский центр иранистики, 2012), 85-86.

<sup>2</sup> Асатрян, Этническая композиция, 24.

<sup>3</sup> Richard Giragosian, “The third powers and Armenia. In: Third Powers in Europe’s East,” Report Editors: Nicu Popescu, Stanislav Secieru (Paris: European Union Institute for Security Studies (EUISS) 2018), 97.

თურქეთი ირანის ოპონენტია რეგიონში და ბაქოს პრეტენზიები ირანის ტერიტორიაზე ორი ქვეყნის ურთიერთობებში დამაბულობას ქმნის (იხ. ქვემოთ). გეოპოლიტიკური სიტუაცია დიდი არჩევანს არ უტოვებს სომხეთს. ის „პრაქტიკულად იძულებულია ალიანსი შექმნას ‘გლობალური ისლამური რევოლუციის’ მდეროშესთან, ვაშინგტონის განრისხების რისკის ფასადაც კი.“<sup>4</sup>

ისტორიის ‘ბნელი’ მხარეები, პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, მიჩუმათებულია (სასანიანთა დროს ზოროასტრიზმზე ძალადობრივი მოქცევის მცდელობა, სეფიანთა დროს იძულებითი გადასახლებები და ა.შ.)

ორი ქვეყნის ურთიერთობაში პოზიტიურ როლს ასრულებს ასევე ირანის სომხური დიასპორა, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს. „ის კარგად არის ინტეგრირებული ირანულ საზოგადოებაში და გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობს.“<sup>5</sup>

გამომდინარე საერთო ისტორიული წარსულის პოზიტიური ‘აღქმადან’, ასევე ქრისტიანული და მუსლიმური ქვეყნების სამაგალითო კეთილმეზობლური ურთიერთობის დემონსტრირების სურვილიდან, ორივე მხარე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მათ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას. მაგალითად, უკანასკნელ ხანებში არაერთი სომხური ისტორიული ძეგლის რესტავრირება მოხდა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.<sup>6</sup> თავის მხრივ, თანამედროვე სომხეთის ტერიტორიის ჩართვამ სპარსეთის იმპერიაში, მე-17-მე-18 საუკუნეებში ფიზიკური კვალი დატოვა სპარსული მეჩეთის სახით დღევანდელი ერევნის შუაგულში, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ განახლდა და გაიხსნა ორ მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე.

ისტორიის აღქმა საქართველო-ირანის ურთიერთობში, მიუხედავად ორი ქვეყნის შეუთავსებელი პოლიტიკური ვექტორებისა, პრინციპში, დაცლილია პოლიტიკური შემადგენლისგან. თუმცა, ისტორიის განსხვავებული ხედვა თვალსაჩინოა.

---

<sup>4</sup> The Armenian-Iran Relationship. Strategic Implication for Security in the South Caucasus Region. Ed. by Claude Moniquet and William Racimora. (European Strategic Intelligence & Security Center, January 17th, 2013), 17.

<http://www.esisc.org/upload/publications/analyses/the-armenian-iran-relationship/Armenian-Iran%20relationship.pdf> (წვდომა: 14/05/2021)

ირანელი აზერბაიჯანელების და ქართველებისგან განსხვავებით, სომხებს აქვთ უმცირესობის სტატუსი, გამომდინარე იქედან, რომ ირანის კონსტიტუციით უმცირესობად აღიარება ხდება რელიგიური (მონოთეისტური რელიგიების აღმსარებლობით) და არა ეთნიკური ნიშნით. სომხებს ირანის პარლამენტში ორი ადგილი აქვთ გამოყოფილი (სხვა რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს - მხოლოდ თითო).

<sup>5</sup> დ. იაგუბიანი მიიჩნევს, რომ ირანელ სომხებში ჩამოყალიბდა ირანული იდენტობის ძლიერი აღქმა და მათ ზოგადად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ირანული ნაციონალიზმის განვითარებაში. David N. Yaghoubian, *Ethnicity, Identity, and the Development of Nationalism in Iran*. (Syracuse, New York: Syracuse University Press, 2014), XXIX. რაც შეეხება ირანში სომხური მოსახლეობის რაოდენობას, გასული საუკუნის 70-იან წლებში დაახლოებით 250 ათასს უტოლდებოდა; დღეს კი, 150 ათასს არ უნდა აჭარბებდეს. სომხების უმრავლესობა ცხოვრობს დიდ ქალაქებში - თეირანში, ისპაჰანში, თავრიზში. დაწვრილებით იხ. მაგ., Eliz Sanasarian, *Religious Minorities in Iran* (Cambridge: Cambridge University Press, 2000), 34-40.

<sup>6</sup> Jamsheed K. Choksy, “Non-Muslim Religious Minorities in Contemporary Iran,” *Iran and the Caucasus* (2012), Vol. 16, #3, 283.

საქართველოში ირანთან ურთიერთობა, ხშირ შემთხვევაში, აღიქმება, როგორც დაპყრობილისა და დამპყრობლის ურთიერთობა. ამასთანავე, ყოველთვის ხაზგასმულია, რომ საქართველო ირანთან ურთიერთობის საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, თუნდაც ნაწილობრივ. ქართულმა სამეფო-სამთავროებმა შეძლეს ადგილობრივი მმართველობის სისტემის შენარჩუნება ირანის ჰეგემონობის პირობებში (ეს უპირველესად შეეხება სეფიანთა ეპოქას). თუმცა, აღიარებულია ირანის დიდი კულტურული ზეგავლენაც. საქართველო ქრისტიანულ ქვეყნად დარჩა, მაგრამ ასევე აღსანიშნავია, რომ ქართლის სამეფოს მეფეები სეფიანთა ეპოქაში, საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, აუცილებლად მუსლიმები უნდა ყოფილიყვნენ. ისინი ქართული სამეფო დინასტიას ეკუთვნოდნენ, მაგრამ ინიშნებოდნენ ირანის შაჰის მიერ და მის მოხელეს წარმოადგენდნენ. ქართლი კი ითვლებოდა ირანის ერთ-ერთ პროვინციად - ვილაიეთად. ქართველების ისტორიულ მეხსიერებაში ირანის ნეგატიური აღქმა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სეფიანთა დინასტიის პერიოდთან დაკავშირებით. შაჰ აბასი ასოცირდება ქართველების მასობრივ გაწყვეტასა და დეპორტაციასთან ირანში. საუკუნეთა შემდეგაც ამგვარ აღქმას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქართულ ცნობიერებაში; აღბეჭდილია ქართულ ფოლკლორში, ზეპირ ისტორიაში; ასახულია ისტორიის სახელმძღვანელოებში.

ირანული აღქმა საპირისპიროა: საქართველო ისტორიულად იყო ირანის ნაწილი. სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი აღინიშნება: „აღმოსავლეთ კავკასია, ანუ საქართველო ოდითგანვე ეკუთვნოდა ირანს, მაგრამ ირანელი შაჰების დასუსტების გამო, რუსმა იმპერატორებმა წაართვეს მათ ეს მიწები.“<sup>7</sup> ქართველი მკვლევარი ა. რონდელი აღნიშნავდა, რომ თეირანში გამართული ერთ-ერთი მრგვალი მაგიდის დროს ირანელი სწავლულები საქართველოს „ირანული სახელმწიფოების კონფედერაციის“ ყოფილ წევრად მოიხსენიებდნენ.<sup>8</sup>

ნოსტალგიური განწყობა 'დაკარგული საქართველოს' შესახებ უკვე მე-19 საუკუნეში ჩნდება. ამ პერიოდის სამოგზაურო ჟანრის მდიდარ სპარსულ

---

<sup>7</sup> იხ. მაგ., Manuchehr Moradi, "Perspectives on European Union and Iran Cooperation in Provision of Stability and Security in Southern Caucasus." Amu-Darya (Iranian Magazine of Center for Caucasian and Central Asian Studies), 2006-2007, #21-22, 68, 83. საქართველოში და აზერბაიჯანში დიდი მღელვარება გამოიწვია 2019 წლის 11 თებერვალს ირანის იმდროინდელი პრეზიდენტის რუჰანის განცხადებამ ისლამური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. მან აღნიშნა, რომ „მოღალატე ყაჯართა დინასტიის მმართველობის დროს, 205 წლის წინ, კავკასიის მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი მოწყდა ირანს.“ იხ. მაგ., „საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიები ირანს ეკუთვნოდა“ - ირანის პრეზიდენტი. [http://www.resonancedaily.com/index.php?id\\_rub=4&id\\_artc=65589](http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=4&id_artc=65589) (წვდომა: 15.02.2019).

თუმცა, სინამდვილეში, პრეზიდენტის გამოსვლაში ლაპარაკი იყო არა ირედეენტისტულ პრეტენზიებზე სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მიმართ, არამედ ყაჯართა დინასტიის უნიათობაზე.

<sup>8</sup> ალექსანდრე რონდელი, „ირანი და საქართველო - ურთიერთობების დაახლოების პერსპექტივები“, ექსპერტის აზრი, 18 (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2014), 5.

ლიტერატურაში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია.<sup>9</sup> მართლაც, თბილისში ირანთან დაკავშირებული არაერთი ადგილი არსებობდა და საქართველოს დედაქალაქი ირანელთათვის თავისებურ 'მეხსიერების ადგილს' წარმოადგენდა.

დღეს ისტორიული მეხსიერების შეუთავსებლობა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში პრობლემებს არ ქმნის. თუმცა ყოფით დონეზე, საქართველოში ირანელები, რომლებიც 'უცხოდ' აღიქმებიან, ზოგჯერ გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ სომხებისგან (დიასპორა და რელიგიური უმცირესობა), და აზერბაიჯანელებისგან (ეთნიკური უმცირესობა) განსხვავებით, ქართველები ძნელად თუ შეიძლება ჩაითვალოს დიასპორად ან ეთნიკურ უმცირესობად. პირველ რიგში, იმის გამო, რომ ირანში მცხოვრები ქართველები შიიტი მუსლიმები არიან - შესაბამისად, უმბას - მუსლიმური თემის წევრები. მეორე რიგში კი, იმ მიზეზიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს ქართველთა ერთიანი თემი, ანუ ირანის სხვადასხვა მხარეებში მოსახლე წარმომავლობით ქართველებს შორის არ არის მჭიდრო კონტაქტები.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა ირანისა და აზერბაიჯანის შემთხვევაში. სწორედ ეს უკანასკნელი შემთხვევა წარმოადგენს ყველაზე წინააღმდეგობრივს ირანსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. ის არის ორივე მხრიდან (განსაკუთრებით აზერბაიჯანის) ირედენტისტული მოთხოვნების საფუძველი. შესაბამისად, წარმოდგენლ სტატიაში ძირითადი ყურადღება სწორედ ირანსა და აზერბაიჯანზე გამახვილდება.

\* \* \*

ისტორიის აღქმასთან დაკავშირებულ პირველ პრობლემას საკუთრივ დასახელება წარმოადგენს. საქმე ის არის, რომ დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიას ისტორიულად არასოდეს ეწოდებოდა აზერბაიჯანი. რეგიონი არც ერთი კონკრეტული სახელით არ ყოფილა ცნობილი - მის ცალკეულ ნაწილებს სხვადასხვა სახელები ეწოდებოდა - ალბანეთი, არანი, შირვანი და სხვ.

აზერბაიჯანი (ისტ. *ატურპატაკან*, *ადარბადაგან*) ერქვა (და დღესაც ჰქვია) ირანის ისტორიულ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, სადაც მე-11 საუკუნიდან მოყოლებული დამკვიდრდნენ თურქული მოდგმის ტომები. „ზედსართავი აზერბაიჯანელი კი ტრადიციულად გამოიყენებოდა ირანის ჩრდილოდასავლეთში მცხოვრებთა აღსანიშნავად და არა არაქსის ჩრდილოეთით იმ თურქულად მოლაპარაკე შიიტ მოსახლეობასთან მიმართებაში, რომელიც მეტად ახლოს იდგა კულტურის თვალსაზრისით ირანელ აზერბაიჯანელებთან. მათი ენაც საერთოა.“<sup>10</sup>

<sup>9</sup> იხ. მარინა ალექსიძე (კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო) საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში: სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა, რედაქტორი გრიგოლ ბერაძე (თბილისი: არტანუჯი, 2016).

<sup>10</sup> Babak Rezvani, *Ethno-Territorial Conflict and Coexistence in the Caucasus, Central Asia and Fereydan* (Amsterdam: University of Amsterdam, 2013), 355. ბ. ო'ნიელი აღნიშნავს, რომ ჩრდ. ირანი რეალურად აზერბაიჯანელთა სამშობლოს ცენტრია. იხ. Brian O'Neill, "Iran, Azerbaijan, And Islam: The Reality of Geopolitics. Shooting Irrelevance", 2017.

<https://shootingirrelevance.com/2017/03/01/iran-azerbaijan-and-islam-the-reality-of-geopolitics/> (წვდომა: 15/07/2020).

ირანის აზერბაიჯანი ჩრდილოეთით, კავკასიის მხარეს, ემიჯნებოდა ისტორიულ არანს. დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია უმეტესწილად სხვადასხვა ირანული იმპერიების ნაწილი იყო, მაგრამ საკუთრივ ირანი საუკუნეთა მანძილზე იმართებოდა თურქული წარმომავლობის დინასტიებით (სელჯუკები, ყარა ყოიუნლუ, აყ ყოიუნლუ, სეფიანები, ავშარები, ყაჯარები).<sup>11</sup> ეს ფაქტი ირანულ ისტორიოგრაფიაშიც აღიარებულია. ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორსაც კი მიდის. მაგალითისთვის, ფირუზე ნაჰავანდი ამტკიცებს, რომ დაწყებული შუა საუკუნეების შემოსევებიდან, თურქულ და თურქულენოვან მოსახლეობას ირანში უფრო მაღალი სტატუსი ჰქონდათ, ვიდრე სპარსელებს. როდესაც სეფიანთა საგვარეულო მართავდა ქვეყანას... თურქული სამეფო კარის ენას წარმოადგენდა.<sup>12</sup> თუმცა, იმავე სეფიანთა ეპოქაში, თურქული ელემენტის (ყოზილბაშების) დომინირებაზე მხოლოდ მე-16 საუკუნესთან დაკავშირებით შეიძლება საუბარი.

საუკუნეთა მანძილზე დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია ცალკეულ სახანოებად იყო დაყოფილი, სანამ XVI საუკუნიდან არ მოექცა სეფიანთა სახელმწიფოს ერთიან სივრცეში. აზერბაიჯანული ისტორიოგრაფიული ხედვით (ამ ხედვას საბჭოთა პერიოდში ჩაეყარა საფუძველი), სეფიანთა სახელმწიფო სწორედაც „აზერბაიჯანულ“ სახელმწიფოს წარმოადგენდა.<sup>13</sup> მართლაც, ის თურქული მოდგის ტომები, რომლებიც ყოზილბაშებად მოიხსენიებიან, იყვნენ ამ სახელმწიფოს შექმნელები. სეფიანთა დინასტია კი აზერბაიჯანულ დინასტიად მიიჩნევა. ამასთან, განსაკუთრებული პატივი მიეგება პირველ სეფიან მონარქს - ისმაილს, რომელიც ხათა'ის ფსევდონიმით წერდა ლექსებს თურქულ-აზერბაიჯანულად (ასევე სპარსულადაც). ბაქოს ერთ-ერთი მთავარ პროსპექტს ხათა'ის პროსპექტი ეწოდება; დგას მისი მონუმენტებიც. ლოგიკით, ბევრად უფრო დაფასებული უნდა ყოფილიყო შაჰ აბას I, რომლის დროსაც სეფიანთა სახელმწიფო ძლიერების მწვერვალს აღწევს, მაგრამ მისი ეპოქა ყოზილბაშური სახელმწიფოს 'ირანიზაციის' დასტურია (ყოზილბაშებმა პოზიციები შედარებით დათმეს სპარსელების, ქართველების, სომხების, ჩრდილოკავკასიელების სასარგებლოდ). ამდენად, შაჰ აბასის სახელმწიფოს 'აზერბაიჯანულად' აღქმა ბევრად უფრო პრობლემატურია.<sup>14</sup>

აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში 'აზერბაიჯანულ' დინასტიად მიჩნეული სეფიანები იდენტობისა და ისტორიული მეხსიერების მნიშვნელოვან წყაროს

---

<sup>11</sup> ეს დინასტიები თანამედროვე აზერბაიჯანში ხშირად მიიჩნევა 'აზერბაიჯანულად'. ზოგადად თურქული მოდგმის ხალხებმა, რომლებსაც მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს აზერბაიჯანელები, უდიდესი როლი შეასრულეს ირანის ისტორიაში, დაწყებული თურქ-სელჯუკებიდან.

<sup>12</sup> Firouzeh Nahavandi, "Russia, Iran and Azerbaijan: The Historic Origins of Iranian Foreign Policy," in *Contested Borders in the Caucasus*, ed. Bruno Coppieters (Brussels: VUB University Press 1996). <https://poli.vub.ac.be/publi/ContBorders/eng/contents.htm> (წვდომა: 25/14/2017) ეს მოსაზრება მართალია სეფიანთა პირველი მონარქების შემთხვევაში, მოგვიანებით დაიწყო სამეფო კარის 'გასპარსულება' და ის პრაქტიკულად ბილინგვურად იქცა.

<sup>13</sup> იხ. მაგ., Октай Ф. Эфендиев, Азербайджанское государство сафавидов в XVI веке (Баку: ЭЛМ, 1981).

<sup>14</sup> შაჰ აბასის ხსენება დღევანდელ აზერბაიჯანში იშვიათია, თუმცა არის გამონაკლისებიც. მაგ., 2020 წლის ივლისში განჯაში რესტავრაციის შემდეგ გაიხსნა „შაჰ აბასის ქარავან-სარაი“, რომლის გახსნასაც დაესწრო ქვეყნის პრეზიდენტიც. განჯაში ასევე არსებობს შაჰ აბასის მეჩეთი.

წარმოადგენს. 2001 წელს დინასტიის 500-წლოვანი იუბილე ფართოდ აღინიშნა სახელმწიფო დონეზე აზერბაიჯანში. დამატებით, სეფიანებს ხშირად მიეგებათ პატივი ლიტერატურასა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში, განსაკუთრებით ხალიჩების დარგში. ბაქოს ხალიჩების სახელმწიფო მუზეუმში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ხალიჩას სეფიანი შაჰების გამოსახულებით.<sup>15</sup>

მეორე მხრივ, სწორედ სეფიანთა პერიოდში გახდა ირანი სახელმწიფო რელიგია, რამაც თავისებურად გამოაცალკევა ირანი დანარჩენი მუსლიმური სამყაროსგან. ამგვარი ლოგიკით, ის, რომ შიიზმი ირანული იდენტობის განუყოფელ ნაწილად იქცა, სწორედ 'აზერბაიჯანელთა' დამსახურებაა.

აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ირანული ნაციონალიზმის საფუძვლები ჩამოყალიბებულ სახეს იღებს, მისი თეორეტიკოსები, აქტივისტები, მომხრეები ხშირ შემთხვევაში აზერბაიჯანული წარმომავლობის იყვნენ - მაგ., ფათჰ ალი ხან ახუნდზადე (ახუნდოვი), აჰმად ქასრავი, ქაზემზადე ირანშაჰრი, ჰასან თაყიზადე, მაჰმუდ ავშარი, თაყი არანი და სხვ. აზერბაიჯანული წარმომავლობის ინტელექტუალთა შემდეგმა თაობამ - იაკობ ზოქამ, რეზაზადე შაფაყმა, მოჰამად ამინ რიაჰიმ, სალიმ ნეისარიმ, ჰასან ანვარიმ, ებრაჰიმ ნასეჰიმ, ალი დეჰყანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ირანის კულტურული და ნაციონალური იდენტობის პრომოციაში და ჩართულები იყვნენ 1945-6 წლებში ირანის აზერბაიჯანში არსებული სეპარატისტული პარტიის, *ფერჟ-ე დემოკრატიის* პროსაბჭოთა, პანთურქისტული დისკურსის წინააღმდეგ ბრძოლაში. აჰმად ქასრავი იყო პირველი ირანელი აზერბაიჯანელი ინტელექტუალი, რომელმაც შეურიგებელი პოზიცია დაიკავა ოსმალური პანთურქიზმის წინააღმდეგ და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი დაწერა აზერბაიჯანის ირანულ იდენტობასა და აზერბაიჯანის ძველი ენის, *აზარის* შესახებ.<sup>16</sup> მისი ნაშრომი არაერთხელ გამოიცა ირანში. ქასრავი სამულველი პიროვნებაა აზერბაიჯანისა და ირანის პანთურქისტულ წრეებში, სადაც ის აზერბაიჯანელთა მოღალატედ მიაჩნიათ.

მირზა ფათჰ ალი ახუნდზადე (ახუნდოვი) (1812-1872) მნიშვნელოვანი ნაციონალური ფიგურაა ირანშიც და აზერბაიჯანშიც. აზერბაიჯანში მას პატივი მიეგება, როგორც თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურის ფუძემდებელს, ირანში კი - როგორც ირანული განმანათლებლობის ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგს. მისმა თხზულებებმა (ასევე სომხური წარმოშობის მირზა მალქუმ ხანისა და მირზა აყა ხან ქერმანის ნაშრომებმა) მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ირანის კონსტიტუციურ რევოლუციაზე (1905-1911). ახუნდზადე საერო განათლების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მუსლიმი მხარდამჭერი იყო. მისი არაერთი ნაწარმოები აზერბაიჯანულ ენაზეა დაწერილი, რომელსაც იგი *თურქი*-ს უწოდებდა იმისთვის, რომ უფრო გასაგები გაეხადა თავისი ლიბერალური იდეები მასებისთვის. ის მეფის

<sup>15</sup> Brenda Shaffer, *Borders and Brethren, Iran and the Challenge of Azerbaijani Identity* (Cambridge, Mass.: MIT Press, 2002), 20.

<sup>16</sup> Ahmad Kasravi, *Azari ya Zabane Bastane Azarbaijan* [Azari, or the ancient language of Azerbaijan] (Tehran: 1304/1925) (სპარსულ ენაზე). აჰმად ქასრავი მიიჩნევდა, რომ თურქული ტომების დასახლებამდე, ირანის აზერბაიჯანის რეგიონში სალაპარაკო ენა იყო *აზარი*, ირანული და არა თურქული ენების ოჯახიდან. ამ მოსაზრებას ის სათანადო არგუმენტაციით ამყარებდა და მის შეხედულებას იზიარებს ზოგიერთი მკვლევარი ირანშიც და დასავლეთშიც.

რუსეთის სახელმწიფო სამსახურში იდგა, იმავდროულად დიდად აინტერესებდა სპარსული კულტურა და თავის თხულებებში ხოტბას ასხამდა ისლამამდელი ირანის სიდიადეს, რაც გახდა მოდერნული ირანული ნაციონალიზმის განვითარების ამოსავალი წერტილი. საგულისხმოა, რომ დღეს მირზა ფათჰ ალი ახუნდზადეს სახელმწიფოში თბილისში აზერბაიჯანის საელჩოს და არა ირანის საელჩოს პატრონაჟის ქვეშაა.

ტერმინმა აზერბაიჯანმა სამხრეთ კავკასიის თურქულენოვანი ხალხებით დასახლებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით და „აზერბაიჯანელი თურქის თვითიდენტიფიკაციის კონცეპტმა პირველად გაიჟღერა თბილისში გამომავალ თურქულენოვან გაზეთ *‘ქეშქიული-ს’* ფურცლებზე.“<sup>17</sup> *‘ქეშქიულ’*-ში განიხილებოდა აზერბაიჯანელი ხალხის ერთობის საკითხიც არაქსის ორივე მხარეს და ხაზგასმული იყო კავშირი ერსა და რელიგიურ თემს შორის. ო. ალსტადტის სიტყვებით, ამ კონცეფციამ ერთი ხელის მოსმით წაშალა განსხვავება რელიგიურ და ეროვნულ იდენტობას შორის აზერბაიჯანის მიწასთან თურქულობის შერწყმით.<sup>18</sup>

რეალურად, ტერმინ აზერბაიჯანის გამოყენება სამხრეთ კავკასიაში დღეს არსებული სახელმწიფოს მიმართ მე-20 საუკუნიდან იწყება. როგორც აღინიშნა, მანამდე ამ ტერიტორიას არ ჰქონია ერთიანი სახელი, ხოლო აქ მოსახლე თურქულენოვანი მუსლიმები (ისე, როგორც მთლიანად კავკასიაში) რუსეთის იმპერიის აღწერებში მოიხსენიებოდნენ ‘თათრებად’. ამ სახელწოდების დამკვიდრება უკავშირდება თურქეთის ამბიციებს პირველ მსოფლიო ომში პანთურქული (პანთურანული) ერთობის შექმნის შესახებ. ომის პერიოდში ირანის აზერბაიჯანში ოსმალეთის ჯარები იყო შესული. თურქეთთან აზერბაიჯანის მიერთების შემთხვევაში კი, ორი აზერბაიჯანის გაერთიანება ‘ზუნებრივად’ ჩაითვლებოდა. ირანის აზერბაიჯანის, ასევე არაქსის ჩრდილოეთით ძირითადად თურქოფონი მუსლიმებით დასახლებული ტერიტორიების ანექსია, ოსმალეთის ოდინდელი მიზანი იყო.

1911 წელს ბაქოში შეიქმნა „მუსავატის დემოკრატიული ისლამური პარტია.“ პარტიამ „მოღვაწეობა დაიწყო, როგორც პანისლამურმა მოდერნისტულმა პარტიამ, რომლის საკმაოდ ბუნდოვანი მიზანიც იყო მთლიანად ისლამური სამყაროს განთავისუფლება და მოდერნიზება. მაგრამ პარტიის სათავეში მყოფი რასულზადეს წყალობით, ის თანდათანობით გადაიხარა თურქეთისაკენ“,<sup>19</sup> განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც 1917 წელს შეერწყა „თურქულ ფედერალიზმის პარტიას“ და ახალ გაერთიანებას დაერქვა „თურქული ფედერალისტური მუსავატის პარტია“. 1918 წლის მაისში პარტიამ გამოიყენა ქაოტური ვითარება ახალი სახელმწიფოს შესაქმნელად.

ვ. ბარტოლდის თანახმად, „უკიდურესად აღმოსავლურ ქვეყანას, რომელიც უმთავრესად დასახლებული იყო თურქებით და თათრებით, უნდა დარქმეოდა აღმოსავლეთის და სამხრეთის ამიერკავკასიის რესპუბლიკა.“<sup>20</sup> აღსანიშნავია, რომ იმ

<sup>17</sup> Tadeusz Swietochowski, *Russia and Azerbaijan: A Borderland in Transition* (New York: Columbia University Press, 1995), 32. გაზეთი თბილისში 1883 წლიდან გამოდიოდა.

<sup>18</sup> Audrey Altstadt, *The Azerbaijani Turks: Power and Identity Under Russian Rule*. (Stanford, CA: Hoover Institution Press, 1992), 70.

<sup>19</sup> Svante E. Cornell, *Azerbaijan since Independence*. M.E. Sharpe, Inc., 2011, 18.

<sup>20</sup> Василий В. Бартольд, *Общие работы по истории Средней Азии. Работы по истории Кавказа и Восточной Европы, Сочинения, Т. 2. Ч. 1* (М.: Наука, 1963), 703.



დროს საკუთრივ აზერბაიჯანშიც ცხარე დებატები მიმდინარეობდა ქვეყნის სახელწოდების თაობაზე. ამ დებატებში ჩართულთა ნაწილი ხაზს უსვამდა, რომ აზერბაიჯანი არ იყო შესატყვისი სახელწოდება და გამოთქვამდა აზრს, რომ სახელმწიფოს დარქმეოდა „სამხრეთ კავკასიის თურქული რესპუბლიკა.“<sup>21</sup> თუმცა, მუსავატის პარტიის ლიდერების ექსპანსიონისტური ამბიციებიდან გამომდინარე, რომელთაც მხარს უბამდნენ პანთურანისტი ოსმალოები, რასულზადეს, პარტიის იმდროინდელი ლიდერის შეთავაზებით, ახალ წარმონაქმნს დაერქვა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა. ირანელი მკვლევარი ბ. ამირაჰმადიანი წერს, რომ ახალი რესპუბლიკის მესვეურთა აზრით, მასში უნდა გაერთიანებულიყო თბილისისა და ერევნის პროვინციების სამხრეთ ნაწილები, ასევე ზაქათალა.<sup>22</sup> „მუსავატისტთა ამ ერთი გადაწყვეტილებით, ამ არეალში მცხოვრები სხვადასხვა ხალხები, ტომები და უმცირესობები, რომელთაც მანამდე ჩვეულებრივ თურქებს (ან თათრებს) უწოდებდნენ, გახდნენ ‘აზერბაიჯანელები’ ან ‘აზერები’.“<sup>23</sup>

ამ ფაქტს ხისტი ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა ირანელ-აზერბაიჯანელი პოლიტიკოსების, მაგ., შაიხ მოჰამად ხიაბანის და აჰმად ქასრავის მხრიდან. ამ უკანასკნელის სიტყვებით, „უცნაურია, რომ ისინი არანს ამჟამად აზერბაიჯანს უწოდებენ. აზერბაიჯანი ან აზერბაიგანი სხვა ტერიტორიის სახელია და ეს სახელი ფალაურია.“<sup>24</sup> ის უფრო მცირეა და ნაკლებად დასახლებული, ვიდრე არანი... ეს ორი ტერიტორია ყოველთვის განსხვავებული იყო, არანს კი ადრე არასოდეს ეწოდებოდა აზერბაიჯანი.“<sup>25</sup> პროტესტი თურქეთში ირანის საელჩომაც გამოთქვა.

ირანში შემფოთებას იწვევდა, რომ ახალი რესპუბლიკა ამგვარი სახელით, ოსმალთა მხარდაჭერით, მოინდომებდა სამხრეთ აზერბაიჯანის ჩამოშორებას ირანიდან. ირანის მთავრობა უცხოეთში გაგზავნილ კორესპონდენტებში ახალ სახელმწიფოს მოიხსენიებდა კავკასიის აზერბაიჯანის რესპუბლიკად.<sup>26</sup>

სახელწოდება აზერბაიჯანი შემდგომშიც შენარჩუნდა ახალი კომუნისტის მმართველების მიერ, რომელთაც შეეძლოთ მისი გამოყენება, როგორც პოლიტიკური ბერკეტისა საკუთარი ზეგავლენისა და მმართველობის განვრცობისთვის იმავე სახელწოდების ირანულ პროვინციაზე - საბოლოო მიზნით შემოერთებინათ ეს პროვინცია კომუნისტების მიერ კონტროლირებად სახელმწიფოში აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საშუალებით.<sup>27</sup>

<sup>21</sup> Ceyhun Mahmudlu, *Theorizing Nation Building in Azerbaijan*, In “Azerbaijani” and Beyond. Perspectives on the Construction of National Identity (Verlag-Koester, January 2016), 135.

<sup>22</sup> Bahram Amirahmadian, *Ravābete Iran va Jomhuri Azerbaijan: negāhe Azariha be Iran*. (Tehran: Institute for Political & International Studies, 2005). (სპარსულ ენაზე), 30.

<sup>23</sup> Rouben Galichian, *Clash of Histories in the South Caucasus: Redrawing the Map of Azerbaijan, Armenia and Iran*. (London: Bennett & Bloom, 2012), 17.

<sup>24</sup> ე.წ. საშუალო სპარსული ენა, გამოიყენებოდა სასანიანთა ირანში (III-VII სს.). არაბთა დაპყრობების შემდეგ, თანდათანობით ჩაენაცვლა ახალი სპარსული ენა.

<sup>25</sup> Kaveh Bayat, *Azərbayjan dar mojkhize tārīkh: negāhi be mabāhese mellīune Iran va jarāyede Baku dar taghire nāme Arrān be Azerbaijan (1296-1298 Shamsi)*. Tehran: Paradise Danesh, 2011), 14 (სპარსულ ენაზე).

<sup>26</sup> Shaffer, *Borders and Brethren*, 38.

<sup>27</sup> Galichian, *Clash of Histories*, 38. მოსკოვის ირანზე ზეგავლენის მოპოვების მცდელობის კიდევ ერთი მაგალითი გახდა მეორე მსოფლიო ომის მიწურულს ირანის აზერბაიჯანში

მოსკოვი ცდილობდა „ყველა ეროვნული ჯგუფის იზოლირებას საბჭოთა კავშირის შიგნით და ამგვარად გარესამყაროსთან კონტაქტების პრევენციას. „თურქეთთან და ირანთან ამ მიზნის მისაღწევად აზერბაიჯანი მოწყვეტეს როგორც ნათესაური კავშირებისგან, ისე საკუთარი ისტორიისგან. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გახდა ადრე 'თურქებად' წოდებული მოსახლეობის 'აზერბაიჯანელებად' მონათვლა, ანბანის შეცვლა.<sup>28</sup>

ირანთან კავშირის მოსპობა მოსკოვის ცენტრალიზებისკენ მიმართული გეგმის კიდევ ერთი ასპექტი გახდა. ამ პოლიტიკის ნაწილი იყო ფართოდ გაშლილი შეტევა ყოველივე სპარსულზე კავკასიაში. 1931 წლისათვის დაიკეტა ყველა სპარსული სკოლა და ინსტიტუცია, სადაც სპარსულს ასწავლიდნენ. კავკასიაში მცხოვრები სპარსელები აიძულეს ან უარი ეთქვათ საკუთარ ეროვნებაზე, ანდა გადასახლებულიყვნენ ირანში. 1933-1938 წლებში ათი ათასობით სპარსელს ჩამოართვეს უძრავი ქონება და გაასახლეს ირანში.<sup>29</sup> ამგვარი პოლიტიკის მიზანი იყო 'აზერბაიჯანის ისტორიული კავშირების წაშლა ირანთან'. ამასთანავე, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო ბევრად უფრო რთული გეგმისა, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა ისტორიის 'გამოგონება'.

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, რუსიფიკაციის პოლიტიკის მიუხედავად, საბჭოთა რეჟიმი ბევრად უფრო ტოლერანტული იყო აზერბაიჯანული კულტურისთვის კოლექტიური გამოხატულებების უფლების მიცემაში, ვიდრე თეირანი. თუმცა, ეს ჯდებოდა საბჭოთა ხელმძღვანელობის ეროვნულ კულტურებზე ზრუნვის ფასადური პოლიტიკის (ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური) კონტექსტში. ისტორიის 'გამოგონებას' ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის მეორე რესპუბლიკის შექმნის პერიოდშიც ისევ წამოიჭრა სახელწოდების პრობლემა, თუმცა დებატები უფრო მეტად საკუთრივ აზერბაიჯანში მიმდინარეობდა და შედარებით ნაკლებად - ირანში. წარმოდგენილი ნაშრომის ავტორთან პირად საუბრებში აზერბაიჯანელ კოლეგებსაც არაერთხელ აღუნიშნიათ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისას ქვეყნის სახელწოდების შესახებ არ იყო ერთსულოვანი აზრი. ყველაზე მეტი მომხრე სახელწოდება „მირვანს“ ჰყავდა, შედარებით ნაკლები - „არანს“. ზოგიერთი „ალბანეთსაც“ კი ემხრობოდა იმის საფუძველზე, რომ კავკასიის ალბანეთი ისტორიულად ბევრად უფრო ძველი სახელწოდება იყო, ვიდრე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ალბანეთი. ირანის

---

სეპარატისტული მოძრაობის გავლევება. მიზანი ირანში აზერბაიჯანის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა, ან რეგიონის სულაც საბჭოთა აზერბაიჯანთან შეერთება იყო. სამხრეთ აზერბაიჯანში ჩამოყალიბდა კიდევ მარიონეტული კომუნისტური მთავრობა. თუმცა, ის მალე ჩამოიშალა და ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირს შემდგომ ნაბიჯები აღარ გადაუდგამს.

<sup>28</sup> Svante E. Cornell, *The Politization of Islam in Azerbaijan*, Silk Road Paper, October 2006, (Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program, 2006), 39.

<http://www.silkroadstudies.org/new/docs/Silkroadpapers/0610Azer.pdf> (წვდომა: 09/12/2015). მე-20 საუკუნის მანძილზე აზერბაიჯანში ანბანი არაერთხელ შეიცვალა. საბჭოთა პერიოდის დასაწყისში მოხდა არაბულიდან ჯერ ლათინურზე, ხოლო შემდეგ კირილიცაზე გადასვლა. მე-20 საუკუნის მიწურულს კი თანდათანობით განხორციელდა ისევ ლათინურ ანბანზე დაბრუნება.

<sup>29</sup> იხ. მაგ., Bayat, *Azerbaijan dar mojkhize tārikh*, 14; Nazrin Mehdieva, *Power Games in the Caucasus Azerbaijan's Foreign and Energy Policy towards the West, Russia and the Middle East*. Palgrave Macmillan, 2011, 280.

ხელისუფლება კი, დღეს აზერბაიჯანს ხშირად მოიხსენიებს კავკასიის აზერბაიჯანის რესპუბლიკად.<sup>30</sup>

აზერბაიჯანული 'ნაციონალიზმის' ჩამოყალიბება საბჭოთა პერიოდს უკავშირდება. საბჭოთა აზერბაიჯანულ ისტორიულ სკოლაში შეიქმნა ერთიანი აზერბაიჯანის ისტორიის იდეა. შ. ჰანტერი აღნიშნავს, რომ „აზერბაიჯანულ ელიტას, დიდწილად სავარაუდოდ ეთნიკური საკითხებისადმი საბჭოთა მიდგომის ზეგავლენის შედეგად, ისტორიის განსხვავებული ხედვა ჰქონდა და ჩამოყალიბა დისკურსი 'დიდი აზერბაიჯანის' მითის საფუძველზე.“<sup>31</sup>

ადრეული საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული, აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა დაიწყეს აზერბაიჯანელების უშუალოდ კავკასიის ალბანეთთან დაკავშირება. მათი მტკიცებით, დღევანდელი აზერბაიჯანის მოსახლეობის წინაპრები აქ მცხოვრები ალბანელები იყვნენ, რომლებიც შემდეგ შეერწყნენ თურქულ ტომებს და 'ლინგვისტურად გათურქდნენ'. სტრაბონის, პტოლემეისოსის თუ სხვათა თხზულებებზე დაყრდნობით, ისინი ალბანეთის ტერიტორიას საზღვრავდნენ კავკასიის მთებსა და არაქსს, იბერიას და კასპიის ზღვას შორის, რაც ზუსტად შეესაბამებოდა ჩრდ. აზერბაიჯანის ტერიტორიას 1828 წლის შემდეგ.<sup>32</sup>

თანამედროვე აზერბაიჯანული ნაციონალისტური ხედვით, დღეს სწორედ 1828 წელი, რუსეთისა და სპარსეთის იმპერიებს შორის აზერბაიჯანის 'გაყოფა' მიიჩნევა აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიაში ყველაზე დიდ ტრაგედიად. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, არავითარი აზერბაიჯანი მანამდე არ არსებობდა არც სახელმწიფო წარმონაქმნის და არც ერთიანი ქვეყნისა თუ ტერიტორიის სახით.<sup>33</sup>

საბჭოთა აზერბაიჯანის მუზეუმებსა და ამავე პერიოდში აქ გამოცემულ რუკებზე საბჭოთა კავშირსა და ირანის აზერბაიჯანში არსებული ქალაქები ნახსენებია სახელმწიფოებრივი კუთვნილების აღნიშვნის გარეშე. 1981 წელს აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შეიქმნა „სამხრეთ აზერბაიჯანის კვლევის განყოფილება“.

ისტორიის ამგვარი აღქმა კიდევ უფრო გამძაფრდა აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ. დღეს აზერბაიჯანში პრაქტიკულად არ გამოიყენება ტერმინი „ირანის აზერბაიჯანი“ და ის ჩანაცვლებულია „სამხრეთ აზერბაიჯანით“. სწორედ ეს ტერმინია გამოყენებული, მაგალითად, მუზეუმებში ჩრდილოირანული არტეფაქტების წარმომავლობის აღსანიშნავად. იგივე ტერმინი დამკვიდრებულია აზერბაიჯანის ოფიციალურ სახელმძღვანელოებში.

აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საერთო შიიტურ

<sup>30</sup> ევროპაში საბერძნეთის მძაფრი რეაქცია მაკედონიის სახელწოდებაზე ასევე კარგი მაგალითია სახელმწიფოთა მიმართებაზე იმ სახელწოდებების მიმართ, რომლებიც მათი ტერიტორიის ნაწილის სახელია.

<sup>31</sup> Shireen Hunter, "Greater Azerbaijan: Myth or Reality?" in *Le Caucase Postsoviétique: la transition dans le conflit*, ed. by Mohammad-Reza Djalili (Brussels: Bruylant, 1995), 129.

<sup>32</sup> Cornell, *Azerbaijan since Independence*, 4.

<sup>33</sup> აქვე ხაზგასასმელია აზერბაიჯანული ოფიციალური ისტორიოგრაფიის (შესაბამისად სახელმწიფოს) პოზიცია - სახელის არარსებობა არ ნიშნავს ერთიანი ხალხის არარსებობას.

რწმენას<sup>34</sup>, როგორც თანაზიარი ისტორიის უმნიშვნელოვანეს შემადგენელს, თითქოსდა ხელი უნდა შეეწყოს ორი ქვეყნის დაახლოებისთვის. ირანიც შეეცადა ამ ფაქტორის გამოყენებას. თუმცა, 'რელიგიური აღორძინება', ირანისთვის სასურველი სახით, აზერბაიჯანში არ მომხდარა. საბჭოთა ათეისტურმა მემკვიდრეობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აზერბაიჯანის ხისტად სეკულარულ (ამასთანავე, ავტორიტარიზმზე დაფუძნებულ) სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე. რელიგია მთლიანად დაექვემდებარა სახელმწიფოს კონტროლს და ირანს ისლამის საკუთარი ვერსიის (ანუ ისლამური რესპუბლიკის ფასეულობების) პროპაგანდისთვის აქ სივრცე უკიდურესად შეეზღუდა. თანამედროვე აზერბაიჯანში, ერთი მხრივ, რელიგიური ფასეულობებისადმი ერთგულების დემონსტრირება და რელიგიური მემკვიდრეობისადმი პატივისცემა სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი<sup>35</sup>, მეორე მხრივ კი რელიგიური იდენტობასთან დაკავშირებით წინწამოწეულია საერთო ისლამური, და არა შიიტური თუ სუნიტური მრწამსი.<sup>36</sup> ამ შემთხვევაშიც თვალსაჩინოა ირანთან საერთო იდენტობის (რელიგიური) გაზიარებაზე უარის თქმის და სუნიტურ თურქეთთან საერთო ეთნიკური იდენტობის წინწამოწევის მცდელობა. ამგვარად, ისტორიის აღქმის რელიგიური კომპონენტი უკანა პლანზეა გადაწეული ნაციონალისტური კომპონენტის წინწამოწევის ხარჯზე.

ნაციონალისტური განწყობების გავლივებს ასევე ხელი შეუწყო ყარაბაღის კონფლიქტმა, რომელშიც აზერბაიჯანული თვალთახედვიდან, ირანს არასწორი, პრაქტიკულად პროსომხური პოზიცია ეკავა.

ისტორიის რეკონსტრუირების მთავარი სამიზნე ახალგაზრდა თაობაა. მაგალითისთვის, გამოდგება რუკები: საშუალო სკოლების მე-5 კლასის წიგნებიდან დაწყებული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების ჩათვლით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ისტორიული ტერიტორია ფარავს ირანის ჩრდ.-დას. ნაწილსაც. ისტორიის სახელმძღვანელოებში აზერბაიჯანი წარმოდგენილია უძველეს ქვეყნად, რომელსაც მუდმივად ემუქრებოდნენ ოკუპაციით სპარსეთის მეფეები. ისეთი საჯარო ფიგურები, როგორებიც არიან ნიზამი განჯელი, ხაყანი, ნასერ ად-დინ თუსი მიიჩნევიან აზერბაიჯანელებად. ირანის ქალაქები, მაგ., თავრიზი და არდებელი, ჩათვლილია აზერბაიჯანულ ქალაქებად. აზერბაიჯანი წარმოდგენილია სუვერენულ სახელმწიფოდ, რომელიც ორად გაიყო რუსეთ-ირანის ომების დროს; მისმა ჩრდილო ნაწილმა დაიბრუნა დამოუკიდებლობა, ხოლო სამხრეთი ნაწილი კვლავაც ირანს აქვს ოკუპირებული. ზემოთ ნახსენები ბ. ამირაჰმადიანი (რომელსაც, ბუნებრივია, ამ საკითხთან დაკავშირებით ანტი-აზერბაიჯანული პოზიცია აქვს), წერს: „ამგვარი სტრატეგიით, ახალგაზრდა თაობა იზრდება იმ რწმენით, რომ მათ აქვთ უფლება ირანის ჩრდ.-დას. პროვინციების ტერიტორიაზე.“<sup>37</sup>

<sup>34</sup> აზერბაიჯანი ერთადერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, სადაც შიიტები მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ და ის ასევე შედის იმ მეტად მცირე რაოდენობის ქვეყნების რიცხვში, სადაც შიიტები უმრავლესობას ან მნიშვნელოვან უმცირესობას წარმოადგენენ.

<sup>35</sup> დასტურად გამოდგება პრეზიდენტების, ჰეიდარ ალიევისა და ილჰამ ალიევის მიერ შესრულებული ჰაჯი (პილიგრიმოზა) შიიტთა წმინდა ქალაქ ქერბალაში (ერაყი) და მექაში.

<sup>36</sup> ბაქოში ახლახანს აგებული „ჰეიდარის“ (ეწოდა ყოფილი პრეზიდენტის საპატივცემულოდ) გრანდიოზული მეჩეთი ღიაა როგორც შიიტებისთვის, ისე სუნიტებისთვის.

<sup>37</sup> Amirahmadian, Ravābete Iran va Jomhuri Azerbaijan, 186.

2008 წლის შემდეგ, როდესაც იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა წამოიწყო, აზერბაიჯანმა რამდენიმე არამატერიალური ძეგლი აზერბაიჯანულად დააფიქსირა. რასაც მძაფრი რეაქცია მოჰყვა ირანში და ეს აღქმული იყო თავდასხმად ირანულ იდენტობასა და ცივილიზაციაზე.

ამ მხრივ, საუკეთესო მაგალითია მე-12 საუკუნის სპარსულენოვანი პოეტის ნიზამის 'აზერბაიჯანელ' პოეტად გამოცხადება. ამგვარი 'პრეტენზიის' ერთადერთი გამართლება კი ის არის, რომ ნიზამი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შემავალ ქალაქ განჯაში. ნიზამის მამა წარმომავლობით ირანული ქალაქიდან, ყუმიდან იყო, დიდი ალბათობით ეთნიკური სპარსელი, ხოლო დედა - ქურთი. ნიზამი ცხოვრობდა გარემოში, სადაც სპარსული ენა და სპარსული კულტურა დომინირებდა. შესაბამისად, მისი გამოცხადება 'აზერბაიჯანელ' პოეტად არც თუ ისე კორექტულია.<sup>38</sup> მისი პოემები სპარსულადაა. მაგრამ მისი თხზულებების აზერბაიჯანული მემკვიდრეობის ნაწილად გამოცხადებისთვის, ისინი ითარგმნა აზერბაიჯანულად, თარგმანებიდან კი ამოიღეს ყველა ის ადგილი, რომლებითაც პოეტი ხოტბას ასხამს სპარსეთსა და მისი დიდებულ ცივილიზაციას.

ნიზამისთვის აზერბაიჯანის ეროვნული პოეტის სტატუსის მინიჭება პოლიტიკურად და იდეოლოგიურად მოტივირებული გადაწყვეტილება იყო. ამ იდეას საფუძველი ჩაეყარა 1930-იანი წლებიდან. 1947 წელს პოეტის 800 წლის იუბილევ გადაიხადეს. ეს საბჭოთა კავშირის დეკლარატიულ მულტიკულტურულ პოლიტიკასაც შეესაბამებოდა. ისტორიის საბჭოთა სახელმძღვანელოებშიც, შუა საუკუნეების საბჭოთა ხალხების კულტურის ისტორიის სწავლებისას, ქართველი შოთა რუსთაველის გვერდით მოხსენებული იყო 'აზერბაიჯანელი' ნიზამი. დღეს კი ნიზამის საკითხი უკიდურესად პოლიტიზირებულია. ბაქოში არსებობს ნიზამის ლიტერატურის ინსტიტუტი, აზერბაიჯანული ლიტერატურის ნიზამის სახელობის მუზეუმი. 2013 წელს სპარსული კალიგრაფიული წარწერები (რამდენიმე ამონარიდი მისი პოემებიდან) ნიზამის საფლავზე შეიცვალა აზერბაიჯანულ-თურქული თარგმანით. ირანმა ამასთან დაკავშირებით იუნესკო-ში საჩივარიც შეიტანა.<sup>39</sup>

ნიზამის ეთნიკური კუთვნილება, ისე როგორც სხვა არაერთი სპარსულენოვანი პოეტისა თუ მოაზროვნისა, კონფლიქტურ ვითარებას ქმნის ორი ქვეყნის ურთიერთობებში. დაახლოებით იმავე ხანებში, აზერბაიჯანმა იუნესკოში წარადგინა მოთხოვნა 'ჩოგანის' (პოლოს, ცხენბურთის) აზერბაიჯანულ არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარებისთვის. ირანელ მკვლევრებს კი მიაჩნიათ, რომ ჩოგანი

---

<sup>38</sup> ბ. შაფერის პროაზერბაიჯანული პოზიციის გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ ნიზამის აზერბაიჯანელ პოეტად მოხსენიება (Shaffer, *Borders and Brethren*, 18). თუმცა შემდეგ ის წერს, რომ ისეთი ავტორები, როგორიცაა ნიზამი, რომელიც ეთნიკურად აზერბაიჯანელი იყო, მაგრამ სპარსულად წერდა, წარმოდგენილი არიან აზერბაიჯანელ ავტორებად და მათ თხზულებები - აზერბაიჯანული ლიტერატურის ნაწილად (იქვე, 158).

<sup>39</sup> იხ. Nezami Ganjavi va monāghesheye Iran va Azerbaijan. *Voice of America*. (2013) <[www.darivoa.com/content/nezami-ganjavi-and-iran-azerbaijan-disputc/1768716.html](http://www.darivoa.com/content/nezami-ganjavi-and-iran-azerbaijan-disputc/1768716.html)> (წვდომა: 27.11.2018); Iran protests replacement of Persian inscriptions of Nezami's tomb in Azarbaijan. Oct 12, 2013. <https://en.irna.ir/news/80856087/Iran-protests-replacement-of-Persian-inscriptions-of-Nezami-s> (წვდომა: 15.09.2021). 2012 წელს რომში, ვილა ბორგეზეს ბაღში, ჰეიდარ ალიევის ფონდის თაოსნობით, დაიდგა ნიზამის ქანდაკება წარწერით „აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი განჯელი“.

სწორედ ირანული წარმომავლობისაა.<sup>40</sup>

უფრო ახალი მაგალითია აზერბაიჯანის პრეზიდენტის აპარატის ყოფილი უფროსის რამიზ მეჰდიევის წიგნი, რომელშიც ის ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკა არის ავშართა ხელისუფლების მემკვიდრე და ნადერ შაჰი იყო არა სპარსეთის, არამედ აზერბაიჯანის მეფე<sup>41</sup>, იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის იგნორირებით, რომ ნადერ შაჰის დროს არ არსებობდა აზერბაიჯანი - არც სახელმწიფო და არც ქვეყანა; ის და მისი ტომი კი ცხოვრობდნენ ირანში.

ირანული აღქმა, ბუნებრივია, სრულიად საპირისპიროა. ირანის სახელმწიფოებრიობა „ირანულობის“ იდეას ემყარება. ეს იდეა განსაკუთრებით გაძლიერდა ფაჰლავიანთა დროს. რეზა შაჰის ირანული ნაციონალიზმის პოლიტიკა ემყარებოდა ირანული სახელმწიფოსა და ხალხის იდენტობის შერწყმას სპარსელებთან და სპარსულ ენასთან. თურქული ირანულთან შედარებით კულტურულად უფრო ქვემოთ მდგომად გამოცხადდა (ირან-თურანის დაპირისპირების მითოლოგიზებული ისტორია). რეზა შაჰის დროს ირანელი აზერბაიჯანელებიც გამოცხადდნენ ეთნიკურად ირანელებად, ოღონდ 'ლინგვისტურად თურქიზებული'ად.<sup>42</sup> ხაზი გაესმევა აზერბაიჯანელთა სრულ ინტეგრაციას ირანულ საზოგადოებაში და მათ დიდ წვლილს თანამედროვე ირანის კულტურაში. ამ წარმოდგენის თანახმად, ირანის კავკასიური ტერიტორიები (მათ შორის ის მიწებიც, რომლებზეც შემდეგ შეიქმნა 'ჩრდილოეთ აზერბაიჯანი'), ძალით იქნა მოცილებული ირანისაგან რუსების მიერ XIX საუკუნის დასაწყისში. ევროპაში მიღებული სახელწოდების - სპარსეთის შეცვლაც ირანით ამ იდეის კონტექსტში ჯდება - ირანი არის ირანელი ხალხების სამშობლო, რომლებიც დაყოფილები არიან ცალკეულ ეთნიკურ ქვეჯგუფებად - სპარსელებად, აზერბაიჯანელებად, ბელუჯებად, გილანელებად და ა.შ.). ისლამური რევოლუციის შემდეგაც კი, როდესაც ეთნიკური კუთვნილება 'ჩანაცვლდა' რელიგიურით, ირანულობის იდეა (რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მოქალაქეობის და არა ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე), კვლავაც მყარია.

აზერბაიჯანის კრიზისის დასრულებისთანავე, 1946 წელს, თეირანმა აზერბაიჯანი ორი პროვინციად (სამხრეთ და დასავლეთ) გაყო. დამოუკიდებელი აზერბაიჯანის შექმნის შემდეგ კი დასავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაც გაიყო და მესამე აზერბაიჯანული პროვინცია - არდებილი შეიქმნა. სწორედ პოლიტიკური მიზეზების გამო, ამჯერად უკვე აღარაა გამოყენებული ტერმინი 'აზერბაიჯანი', ასევე თავია არიდებული 'ჩრდილოეთის' გამოყენებისგან. აზერბაიჯანში დამკვიდრებული ტერმინი 'სამხრეთ აზერბაიჯანი' კი ირანში განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს.

ჩრდილოაზერბაიჯანული ნაციონალისტური ინტერპრეტაცია ძირეულად განსხვავდება ირანულისაგან. ამ ინტერპრეტაციის მთავარ დოგმატია ის, რომ

<sup>40</sup> "Azerbaijan Concedes that 'chogan' is not an Azeri Game: Iranian Official," The Iran Project, December 5, 2013, <http://theiranproject.com/blog/2013/12/05/azerbaijan-concedes-chogan-is-not-anazeri-game-iranian-official/> (წვდომა: 31/05/2018).

<sup>41</sup> ციტ. Marzieh Kouhi Esfahani, Iran's Foreign Policy in the South Caucasus. Relations with Azerbaijan and Armenia (Durham Modern Middle East and Islamic World Series. London and New York: Routledge, 2019), 160.

<sup>42</sup> ამავე ტიპის ნაციონალისტური კურსი აიღო ათათურქმაც, როდესაც ქურთები გამოცხადდნენ 'მთის თურქებად', ოღონდ 'ლინგვისტურად ირანიზებული'ად'.

აზერბაიჯანელები ეთნიკური თურქები არიან (ან „კასპიური“ ეროვნება, რომელთა შორეულ წინაპრებსაც კავკასიელი ალბანელები წარმოადგენენ). ირანული, ისე როგორც რუსული მმართველობა ძალადობრივი გზით იყო თავსმოხვეული და „სამხრეთ“ აზერბაიჯანში კვლავაც არსებობს.<sup>43</sup> გაერთიანებამ უნდა მიიღოს სამხრეთ აზერბაიჯანის ‘განთავისუფლების’ ფორმა, ის უნდა შეუერთდეს ჩრდილოეთს და უნდა შეიქმნას ერთიანი აზერბაიჯანული ეროვნული სახელმწიფო. აზერბაიჯანულ-თურქული ერთობა გამოიხატება ლოზუნგითაც - „ერთი ერი - ორი სახელმწიფო“, თუმცა როდესაც ერთიანობაზე საუბარი, ისტორიულად ბევრად უფრო ლოგიკურია ‘აზერბაიჯანულ-ირანულ’ ერთობაზე საუბარი. ზემოთნახსენებ ისმაილ I-ს, სეფიანთა სახელმწიფოს ფუძემდებელს და დღევანდელი აზერბაიჯანული თვალთახედვიდან აზერბაიჯანის იმპერიის შექმნელს, სწორედ ოსმალებმა აწვნიეს უმძიმესი მარცხი 1514 წელს და ბოლო მოუღეს მისი სახელმწიფოს ტერიტორიულ ექსპანსიას.

კავკასიის აზერბაიჯანისგან განსხვავებით, სადაც სეფიანთა სახელმწიფო აზერბაიჯანულად და აზერბაიჯანული იდენტობის ამოსავალ წერტილად მიიჩნევა, ირანელ აზერბაიჯანელთათვის ეს სახელმწიფო, რომელმაც შიიზმი ირანის სახელმწიფო რელიგიად აქცია, ერთიანი ირანული იდენტობის ჩამოყალიბებაში ‘აზერბაიჯანული წვლილის’ გამოხატულებაა.

მთავარი ის არის, რომ ‘ორი’ აზერბაიჯანის ისტორიული განვითარება სხვადასხვა გზებით წავიდა. თუ დღეს კავკასიის აზერბაიჯანში ‘საბჭოთა-აზერბაიჯანულ’ იდენტობას ჩაენაცვლა ‘თურქულ-აზერბაიჯანული’ იდენტობა, ირანში ‘ირანულ-აზერბაიჯანული იდენტობა’ კვლავაც მყარია. ირანელ აზერბაიჯანელთა აბსოლუტური უმრავლესობა ლოიალურია ირანული სახელმწიფოსადმი (ამ შემთხვევაში ვგულისხმობ სახელმწიფოს და არა არსებულ რეჟიმს) და ირანულობისა. „სეპარატისტული განწყობები უკიდურესად მარგინალურია, თუმცა გარკვეულ დონეზე მაინც ახდენს ზეგავლენას აზერბაიჯანისა და ირანის სახელმწიფოების ურთიერთობებზე.“<sup>44</sup> ირანელი აზერბაიჯანელები ღრმად არიან ინტეგრირებული ირანულ საზოგადოებაში (კულტურა, სპორტი, პოლიტიკა).<sup>45</sup>

დღეს ირანული იდენტობა პრევალირებს აზერბაიჯანულ იდენტობაზე. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანული ენა ირანშიც შენარჩუნებულია და გარკვეული სახეცვლილებების მიუხედავად, საზღვრის ორივე მხარეს აზერბაიჯანელებს თავისუფლად ესმით ერთმანეთის. თურაჯ ათაბაკი ამტკიცებს, რომ „ირანში აზერბაიჯანულად მოლაპარაკებმა დაკარგეს თავიანთი იდენტობა ირანელთა

<sup>43</sup> Bayram Balci, “Between Sunnism and Shiism: Islam in post-Soviet Azerbaijan.” *Central Asian Survey*, 23(2), June, 2004, 209.

<sup>44</sup> Ariane Tabatabai, “Iranian approaches to the EU’s eastern neighbourhood,” in *Third Powers in Europe’s East* (European Union Institute for Security Studies (EUISS), 2018), 39. პირველ რიგში, ეს ეხება სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტს.

<sup>45</sup> აზერბაიჯანელები ირანის უმსხვილეს ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ. მათი რიცხვი, სხვადასხვა მონაცემებით, ვარირებს 15-დან 25 მლნ-მდე; რაოდენობით მხოლოდ სპარსელებს ჩამორჩებიან; უზენაესი ლიდერი ალი ხამენეი მამით აზერბაიჯანელია, ისე როგორც ოპოზიციის ყოფილი ლიდერი მირ ჰოსეინ მუსავი.

შორის, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში.<sup>46</sup> თუმცა, არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც. მაგალითისთვის, ო. ალსტადტი მიიჩნევს, რომ „ვერც პერსიანიზაციამ და ვერც ისლამურმა რევოლუციამ ვერ შეძლო ირანის აზერბაიჯანული მოსახლეობის თურქული ცნობიერების წაშლა. ამგვარად, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ცენტრით ბაქოში - სეკულარული თურქული სახელმწიფოს ირანის ჩრდილო საზღვართან - შეიცავს საფრთხეს ირანის ტერიტორიული მთლიანობისთვის.“<sup>47</sup>

ნებისმიერ შემთხვევაში, აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა (ირანში ორი პროვინციის სახელში ფიგურირებს აზერბაიჯანი) თეირანისთვის თავისთავად გარკვეულ დისკომფორტს ქმნიდა - ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანი უმცირესობისთვის (რაოდენობრივად მეორე სპარსელების შემდეგ - დაახლ. ორჯერ მეტი, ვიდრე კავკასიის აზერბაიჯანში) ახალი 'ნაციონალური' სახელმწიფო, შესაძლებელია, მიმზიდველი გამხდარიყო - მაგრამ ეს ხიფათი, ზოგადად, არარეალური აღმოჩნდა, რაც შემდგომში მოვლენებმაც დაადასტურა.

საბჭოთა პერიოდის მიწურულსა და პირველ პოსტსაბჭოთა წლებში (განსაკუთრებით აზერბაიჯანში აბულფაზლ ელჩიბეის ხანმოკლე პრეზიდენტობის დროს), ნაციონალისტური ალტკინების ტალღაზე, ხშირად გაისმოდა მოწოდებები 'ისტორიული სამართლიანობის' აღდგენისა და ორი აზერბაიჯანის გაერთიანების შესახებ. ირანიც საპასუხოდ მსგავს მოთხოვნებს აყენებდა. შემდგომში ირედენტისტული მოთხოვნები თანდათანობით უკანა პლანზე გადავიდა, თუმცა დროდადრო კვლავაც იჩენს თავს.

ორ ქვეყანას შორის დამაბულობის კიდევ ერთი კერაა სომხეთ-ირანის მჭიდრო ურთიერთობები და თანაზიარი ისტორიის პოზიტიური ხედვა, რაც აზერბაიჯანში გაღიზიანებას იწვევს. ყარაბაღი კონფლიქტში ირანის შედარებით უფრო პროსომხური პოზიციაც ორ ქვეყნის დაპირისპირების კიდევ ერთი წყაროა.<sup>48</sup>

ისტორია ხშირად პარადოქსული გზით მიდის. ბ. ურკადი შენიშნავს, რომ ირანის

---

<sup>46</sup> Touraj Atabaki, *Azerbaijan: Ethnicity and Authority in Twentieth Century Iran* (London: British Academic Press, 1993), 182.

<sup>47</sup> Audrey Altstadt, *Frustrated Democracy in Post-Soviet Azerbaijan* (Columbia University Press; Woodrow Wilson Center Press, 2017), 18.

<sup>48</sup> ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ ამჟამად ვამზადებ ვრცელ ნაშრომს, რომელშიც დაწვრილებით იქნება განხილული ირანის პოზიციაც ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ირანისთვის ყველაზე მისაღები იყო კონფლიქტის 'გაყინულ' მდგომარეობაში დარჩენა, გამარჯვებული მხარის გარეშე. არაერთი მკვლევრის შეხედულებით, ირანი შიშობდა, რომ ძლიერი და გამარჯვებული აზერბაიჯანი მიმზიდველი გახდებოდა მისი ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეებისთვის. ე. სულეიმანოვი და ი. კრაუსი მიიჩნევენ, რომ „ყარაბაღის ომში ირანელ აზერბაიჯანელებს „ჩრდილოელი ძმების“ ხელახლა აღმოჩენის საშუალება მისცა ორხრივი იზოლაციის ათწლეულების შემდეგ.“ Emil A. Souleimanov, Josef Kraus. *Iran's Azerbaijan Question in Evolution Identity, Society, and Regional Security* (Washington D.C.: Central Asia-Caucasus Institute and Silk Road Studies Program, 2017), 5. ირანის მოქალაქე აზერბაიჯანელების ნაწილმა მართლაც გამოხატა მხარდაჭერა აზერბაიჯანის მიმართ. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ სეცესიონისტური განწყობები ირანის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში მაინც მარგინალურია და დღეს საუბარი ირანის ტერიტორიული მთლიანობისთვის არსებული საფრთხის შესახებ ამჟამად გადაჭარბებულია.



მოდერნული სახელმწიფო სეფიანებმა შექმნეს<sup>49</sup>, თურქულ და არა სპარსულ ძალებზე დაყრდნობით; შიიზმი კი სეფიანებმა გამოიყენეს მთავარ საშუალებად ახალი სახელმწიფოს ერთიანობისა და ნაციონალური იდენტობის შესაქმნელად, სუნიტ ოსმალებთან დაპირისპირების პირობებში. სხვა სიტყვებით, შიიზმი გახდა ირანული ნაციონალური იდენტობის საკვანძო კომპონენტი.<sup>50</sup> საპირისპიროდ, თავდაპირველად ისლამურმა რესპუბლიკამ თეორიულად უარყო ნაციონალიზმი რელიგიის სახელით, მაგრამ 40 წლის არსებობისა და მძიმე გამოცდილების მიღების შემდეგ, ის თითქოსდა ქმნის ახალ ირანულ ნაციონალიზმს, შესაძლებელია უფრო ძლიერსაც, უფრო რეალისტურს და უფრო ღრმას ეთნოისტორიული და რელიგიური ელემენტების კომბინირებით.

ამგვარად, ისტორიული მეხსიერების თანამედროვე პოლიტიკურ ურთიერთობებზე ზეგავლენა ირან-სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოკიდებულება შეიძლება შეფასდეს, როგორც უკიდურესად განსხვავებული და პოლიტიკურად მოტივირებული აზერბაიჯანის შემთხვევაში; განსხვავებული საქართველოს შემთხვევაში, მაგრამ არაარსებითი; ხოლო სომხეთის შემთხვევაში - პოზიტიურის წინაწამოწევა და ნეგატიურის უკანა პლანზე გადაწევა.

ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობებში მკაფიოდ იკვეთება, რომ 'ისტორია პოლიტიკის ტყვეობაშია'. ისტორიის აღქმის' შეუთავსებლობა და 'მეხსიერების ომები' ავსებს და ხშირ შემთხვევაში გარკვეულ საფუძველსაც უქმნის ორ ქვეყანას შორის არსებულ ჯერჯერობით გადაუწყვეტელ პოლიტიკურ თუ სხვა სახის პრობლემებს.

---

<sup>49</sup> სეფიანთა სახელმწიფოს ხშირად მართლაც მიიჩნევენ პირველ მოდერნულ სახელმწიფოს ირანში. თუმცა, როგორც ირანში, ისე ზოგადად ახლო აღმოსავლეთში მე-18 საუკუნის მიწურულამდე მოდერნულობის ელემენტები მეტად მცირეა (რეალურად, შუა საუკუნეები ამ პერიოდამდე გრძელდება). რეგონში მოდერნიზაციის პროცესების აჩქარება, პირველ რიგში, უკავშირდება იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ხანას. ნაშრომის ავტორი იზიარებს ზოგიერთი დასავლელი მკვლევრის თვალსაზრისს, რომ 'ახალი დრო' (Modern times) ირანში, ისე როგორც ზოგადად ისლამურ სამყაროში, მე-18 საუკუნის მიწურულიდან იღებს სათავეს.

<sup>50</sup> Bernard Hourcade, (2017). Nationalism and the Islamic Republic of Iran, In Constructing Nationalism in Iran From the Qajars to the Islamic Republic. Edited by Meir Litvak, Routledge, 218-228, 218.

George Sanikidze

*Ilia State University,  
G. Tsereteli Institute of Oriental Studies*

## HOW POLITICS AFFECTS THE PERCEPTION OF HISTORY: THE CASE OF IRAN AND AZERBAIJAN

Iran's unique geographic location – it is bordered by several regions and can also be considered as part of those regions – “...has made the country a key actor historically as well as in modern times, and both regionally and internationally.”<sup>1</sup> It should be emphasized that many Iranian authors refer to the South Caucasus as to the historical part of Iran.<sup>2</sup>

After the defeat in the last war with Russia, in 1828, Iran was forced to give up the territories of the South Caucasus for good. This date represents a certain milestone, after which the history of Iran and the South Caucasus took separate, completely different ways.

Contacts of Iran with the South Caucasian region practically broke off after the creation of the USSR.

With the collapse of the Soviet Union, the situation unexpectedly changed. The new reality created new opportunities for Iran. The new state of affairs was followed by awakening of historical memory from both sides, which was not mutually shared at all and which plays a certain role in present-day relations between Iran and the South Caucasian countries.

The problem of historical memory incompatibility is rather insignificant in Iran-Armenia relations. Due to the current close relationship, a warm shared historical memory will be emphasized by both parties. For instance, Armenian scholar G. Asatrian notes, “Armenia and Armenians have a significant place in Iranian Nationalist idea. Armenophilia is one of the crucial elements of this idea. At the same time, a highly important feature of the Armenian socio-political thinking is the prominent role of Iran in the creation and enhancement of the Armenian statehood ...”<sup>3</sup> „Although there is a long history of close relations between Armenia and Iran, Armenia's strategic approach towards Iran has been rooted more in practical necessity than historic ties.”<sup>4</sup>

Iran's Armenian diaspora, which has a long history, also plays a positive role in

---

<sup>1</sup> Katrine Barnekow Rasmussen, *The Foreign Policy of Iran: Ideology and pragmatism in the Islamic Republic* (Danish Institute for International Studies, 2009), 2.

<sup>2</sup> See, for example: Manucherh Moradi, “Perspectives on European Union and Iran Cooperation in Provision of Stability and Security in Southern Caucasus,” *Amu-Darya* (Iranian Magazine of Center for Caucasian and Central Asian Studies) (2006-2007), #21-22, 68, 83.

<sup>3</sup> Гарник Асатрян, *Этническая композиция Ирана: от «Арийского простора» до Азербайджанского мифа*. (Ереван: Кавказский центр иранистики, 2012), 85-86.

<sup>4</sup> Richard Giragosian, “The third powers and Armenia. In: *Third Powers in Europe's East*,” Report Editors: Nicu Popescu, Stanislav Secrieru (Paris: European Union Institute for Security Studies, 2018), 97.

relations between the two countries.<sup>5</sup> It is well integrated into Iranian society and also enjoys certain privileges. For instance, numerous Armenian monuments have been renovated as part of the state program.<sup>6</sup> For Iran, maintenance of good relations with Armenia is also aimed at gaining support of influential Armenian diaspora in America, Russia and Europe (Armenian population of Iran mainly migrates to the US).

Perception of History regarding Georgia is also practically free from political content. However, different approach towards understanding the history is explicit. Interactions with Iran is often seen in Georgia as relations between ‘invaded’ and ‘invader’. At the same time, it is always highlighted that for centuries of relations with Iran Georgia maintained at least partial independence. Georgian kingdoms and principalities managed to maintain a system of local governance under the hegemony of Iran (this applies primarily to the Safavid era).

In fact, Georgia remained a Christian country, but during the Safavid era, for more than a century, kings of the Eastern Georgian Kingdom Kartli had to be necessarily Muslims. They belonged to the Georgian royal dynasty, but were appointed by the Shah of Iran and were his officials. Kartli was considered to be one of the provinces of Iran.

Iranian perception is the opposite: Historically, Georgia has been part of Iran. Even in the school textbooks it is noted that the Eastern Caucasus has belonged to Iran, but due to the weakening of the Iranian Shahs, the Russian emperors have taken these lands away from them. The capital city of Georgia Tbilisi is perceived as a part of Persianate world. The name of one old district of Tbilisi was *Seydabad*, where descendents of Imam Husayn lived. There are lots of the places in Tbilisi connected with Iran. So, Tbilisi represents some kind of *Lieu de memoir* in Iranian historical imaginary.

In terms of historical memory, the most complicated situation is with Iran-Azerbaijan relations. Different perception of the history, sometimes also accompanied by irredentist claims, creates tension between the two countries.

Azerbaijan has never been the name of the present-day Caucasian region. Azerbaijan (ancient form Aturpatakan) was the part of today’s Iran. Territory of modern Azerbaijan was to a large extent part of various Iranian empires, but for centuries Iran was ruled by dynasties of Turkic origin (Seljuks, Kara Koyunlu, Ak Koyunlu, Safavi, Afshar and Qajar).<sup>7</sup> This fact is also acknowledged in Iranian historiography.

According to Azerbaijani historiographical view (this vision takes origins from the Soviet period), Safavid state was in fact the ‘Azerbaijani’ state. Indeed, the Turkic tribes that are referred to as Qizilbashs, were the founders of this state. While Safavid dynasty is considered to be Azerbaijani dynasty. Furthermore, special respect is paid to the first

---

<sup>5</sup> In the middle of the 1970s, the number of Armenians in Iran was estimated at around 250,000. Today, their number is around 150,000. Most of them live in cities such as Tehran, Isfahan, and Tabriz. See, for example: Eliz Sanasarian, *Religious Minorities in Iran* (Cambridge University Press, 2000), 34-40.

<sup>6</sup> Jamsheed K. Choksy, “Non-Muslim Religious Minorities in Contemporary Iran,” *Iran and the Caucasus* (2012), Vol. 16, #3, 283.

<sup>7</sup> These dynasties in Modern Azerbaijan often are considered as ‘Azerbaijanis’.

Safavid monarch – Isma‘il, who under the pseudonym of Khata‘i was writing poems in Turkish-Azerbaijani language. Would have been reasonable, if Shah ‘Abbas I had been given more honor, but his rule testifies ‘Iranization’ of the ‘Qizilbash’ state (Qizilbashes relatively gave up their positions in favor of Persians, Georgians, Armenians, North Caucasians). Therefore, it is much more problematic to ‘perceive’ the Shah ‘Abbas state as ‘Azerbaijani’ state.

The use of the term Azerbaijan in relation to the present-day state in the South Caucasus dates back to the beginning of the 20<sup>th</sup> century. Before that, this territory did not have a common name and the Turkish-speaking Muslims living there are referred to as Tartars in official documents of Russian Empire. Formation of the term is related to the Turkish ambitions during the WWI on establishing Panturkish unity. Turkish troops have entered the territory of the Iranian Azerbaijan during the war. And in case of accession of Azerbaijan with Turkey, unification of the two Azerbaijanians would have been considered ‘natural.’

The idea of the history of the unified Azerbaijan is created by the Soviet Azerbaijani historical school. Sh. Hunter stresses that “the Azeri elite, most probably influenced by the Soviet approach to ethnic issues, has another vision of its history, and has developed a discourse around the myth of a ‘Greater Azerbaijan.’”<sup>8</sup>

This kind of history perception was further aggravated after Azerbaijan obtained independence. The term ‘Iranian Azerbaijan’ today practically is not used in Azerbaijan; it is substituted by the term ‘Southern Azerbaijan’. This is the term used for example in the museums for describing the origin of the north Iranian artifacts.

Naturally, Iranian perception is completely the opposite. The statehood of Iran is based on the idea of the unity of ‘Iranian’ people. During Reza Shah’s rule Iranian Azerbaijanis were declared as ethnically Iranians, but ‘linguistically turkified’. Changing the name Persia to Iran in 1935 also fits into the context – Iran is the homeland of native Iranians that are divided into separate ethnic subgroups – Persians, Azerbaijanis, Baluchis, Gilaks, etc. Even after the Islamic revolution when ethnical belonging was substituted by the religious, the idea of common Iranian identity is still solid.

With the end of Azerbaijani crisis<sup>9</sup> in 1946, Tehran divided Azerbaijan into two provinces (Southern and Western). After the establishment of independent Azerbaijan, the Western Azerbaijan was also divided and the third Azerbaijanis province – Ardebil was created. Due to political reasons, the term Azerbaijan is not used anymore in this case, also using ‘North’ is avoided. While the term ‘Southern Azerbaijan’ causes particular irritation in Iran.

The main thing is that the historical development of the ‘two’ Azerbaijan took

---

<sup>8</sup> Shireen Hunter, “Greater Azerbaijan: Myth or Reality?” in *Le Caucase Postsoviétique: la transition dans le conflit*, edited by Mohammad-Reza Djalili (Brussels: Bruylant, 1995), 129.

<sup>9</sup> ‘Azerbaijani crisis’ began by the end of the WWII, when the Soviet Union in order to strengthen its positions in Iran wanted to turn Iran’s Azerbaijan into its satellite (the idea of uniting the two Azerbaijan was also considered). Eventually, the Soviet Union backed down on the issue.

different routes. If today in the Caucasus Azerbaijan, the ‘Soviet-Azerbaijani’ identity is replaced by the ‘Turkish-Azerbaijani’ identity, the ‘Iranian-Azerbaijani’ identity is still strong in Iran. Azerbaijanis of Iran are deeply integrated into Iranian society.<sup>10</sup> Absolute majority of Iran’s Azerbaijanis is loyal to the Iranian State and to being Iranian “...Separatist sentiments are very marginal, although they still affect relations between the states of Azerbaijan and Iran to some extent.”<sup>11</sup>

Turkish-Azerbaijani unity is also expressed with a slogan ‘One Nation – Two States’, however, in historical terms is more logical to discuss ‘Azerbaijani- Iranian’ unity.<sup>12</sup> T. Atabaki has claimed that “Iranian Azerbaijani speakers have lost their identity among Iranians, especially in recent years.”<sup>13</sup> However, there is also a different point of view. For instance, A. L. Altstadt considers that “neither Persianization nor the Islamic Revolution erased the Turkic consciousness of Iran’s Azerbaijani population. So, the emergence of an independent state centered in Baku - a secular Turkic state on Iran’s northern border—implied a threat to Iran’s own territorial integrity.”<sup>14</sup>

In any case, establishment of the independent state of in itself created certain inconvenience for Tehran. New ‘National’ state could have been appealing for the largest minority of the country– but in general, this threat proved to be unrealistic.

In the early stage of the existence of the independent republic of Azerbaijan, relations between the two countries became particularly tense during the short period A. Elchibey’s presidency. He propagated the ‘united Azerbaijan’ slogan.’ According to Elchibey the ‘two Azerbaijan’ had to be unified in five years period. ‘Although Elçibey’s statements did not fuel nationalist sentiments among the Azerbaijani population of Iran, their impact upon Iranian perceptions of the ‘Azerbaijani threat’ can hardly be questioned. Unsurprisingly, removal of Elchibey from power was in Iran’s interests. Relations considerably improved during governance of Aliyevs. Hence, request for unification of the ‘two Azerbaijan’ was no longer voiced on official level; however, contradictions between the two countries persisted.

---

<sup>10</sup> Azerbaijanis represent the largest ethnical minority in Iran. According to different data, the number varies from 15 to 25 million (second after Persians in number – approx. twice as much as in Caucasus Azerbaijan). The supreme leader Ayatollah Khamenei is Azerbaijani, as the former leader of the opposition Mir Hossein Mousavi.

<sup>11</sup> Ariane Tabatabai, “Iranian approaches to the EU’s eastern neighbourhood”, in *Third Powers in Europe’s East* (European Union Institute for Security Studies (EUISS), 2018), 39. First of all, this concerns the Armenia-Azerbaijan conflict.

<sup>12</sup> It were the Ottomans from whom in 1514 the above mentioned Isma‘il I, the founder of the Safavid state and the architect of the ‘Empire of Azerbaijan’, from the view point of present Azerbaijan, suffered the heaviest defeat, and who put an end to the expansion of his state.

<sup>13</sup> Touraj Atabaki, *Azerbaijan: Ethnicity and Authority in Twentieth Century Iran* (London: British Academic Press, 1993), 182.

<sup>14</sup> Audrey L. Altstadt, *Frustrated Democracy in Post-Soviet Azerbaijan* (Columbia University Press; Woodrow Wilson Center Press, 2017), 18.

## გამოყენებული ლიტერატურა – References:

1. ალექსიძე, მარინა (კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო). *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში: სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა*. რედაქტორი გრიგოლ ბერაძე. თბილისი: არტანუჯი, 2016.
2. რონდელი, ალექსანდრე. „ირანი და საქართველო - ურთიერთობების დაახლოების პერსპექტივები.“ *ექსპერტის აზრი*, 18. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2014.
3. საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიები ირანს ეკუთვნოდა - ირანის პრეზიდენტი. (წვდომა: 15.02.2019).  
<http://www.esisc.org/upload/publications/analyses/the-armenian-iran-relationship/Armenian-Iran%20relationship.pdf>
4. Altstadt, Audrey L.. *The Azerbaijani Turks: Power and Identity Under Russian Rule*. Stanford, CA: Hoover Institution Press 1992.
5. Altstadt, Audrey L. *Frustrated Democracy in Post-Soviet Azerbaijan*. Columbia University Press; Woodrow Wilson Center Press, 2017, 18.
6. Amirahmadian, Bahram. *Ravābete Iran va Jomhuri Azerbaijan: negāhe Azariha be Iran*. Tehran: Institute for Political & International Studies, (2005). (სპარსულ ენაზე).
7. Atabaki, Touraj. *Azerbaijan: Ethnicity and Authority in Twentieth Century Iran*. London: British Academic Press, 1993.
8. Azerbaijan Concedes that ‘chogan’ is not an Azeri Game: Iranian Official. The Iran Project, December 5, 2013, (წვდომა: 31/05/2018).  
<http://theiranproject.com/blog/2013/12/05/azerbaijan-concedes-chogan-is-not-anazeri-game-iranian-official/>
9. Balci, Bayram. “Between Sunnism and Shiism: Islam in post-Soviet Azerbaijan.” *Central Asian Survey*, 23(2), June, 2004, 205-217.
10. Bayat, Kaveh. *Azarbayjan dar mojkhize tārikh: negāhi be mabāhese melliune Iran va jarāyede Baku dar taghire nāme Arrān be Azerbaijan (1296-1298 Shamsi)*. Tehran: Paradise Danesh, 2011. (სპარსულ ენაზე).
11. Brian O’Neill, “Iran, Azerbaijan, And Islam: The Reality of Geopolitics. Shooting Irrelevance”, 2017. (წვდომა: 15/07/2020).
12. Cornell, Svante E. *Azerbaijan since Independence*. M.E. Sharpe, Inc., 2011.
13. Cornell, Svante E. The Politization of Islam in Azerbaijan, *Silk Road Paper*, October 2006. Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program, 2006. წვდომა: 09/12/2015. <http://www.silkroadstudies.org/new/docs/Silkroadpapers/0610Azer.pdf>
14. Esfahani, Marzieh Kouhi. *Iran’s Foreign Policy in the South Caucasus. Relations with Azerbaijan and Armenia*. Durham Modern Middle East and Islamic World Series. London and New York: Routledge, 2019.
15. Firouzeh Nahavandi, “Russia, Iran and Azerbaijan: The Historic Origins of Iranian Foreign Policy.” In *Contested Borders in the Caucasus*, ed. Bruno Coppieters. Brussel: VUB University Press, 1996. წვდომა: 25/14/2017.  
<https://poli.vub.ac.be/publi/ContBorders/eng/contents.htm>

16. Galichian, Rouben. *Clash of Histories in the South Caucasus: Redrawing the Map of Azerbaijan, Armenia and Iran*. London: Bennett & Bloom, 2012.
17. Giragosian, Richard. "The third powers and Armenia. In *Third Powers in Europe's East*. Report Editors: Nicu Popescu, Stanislav Secrieru. Paris: European Union Institute for Security Studies (EUISS) 2018, 177-206.
18. Hourcade, Bernard. "Nationalism and the Islamic Republic of Iran." In *Constructing Nationalism in Iran From the Qajars to the Islamic Republic*. Edited by Meir Litvak. Routledge, 2017, 218-228. (წვედომი: 14/08/2019)  
[http://www.resonancedaily.com/index.php?id\\_rub=4&id\\_artc=65589](http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=4&id_artc=65589)  
<https://shootingirrelevance.com/2017/03/01/iran-azerbaijan-and-islam-the-reality-of-geopolitics/>
19. Hunter, Shireen. "Greater Azerbaijan: Myth or Reality?" in *Le Caucase Postsoviétique: la transition dans le conflit*. Edited by Mohammad-Reza Djalili. Brussels: Bruylant, 1995, 115–142.
20. Iran protests replacement of Persian inscriptions of Nezami's tomb in Azarbaijan. October 12, 2013. (წვედომი: 15/09/2021). <https://en.irna.ir/news/80856087/Iran-protests-replacement-of-Persian-inscriptions-of-Nezami-s>
21. Kasravi, Ahmad. *Azari ya Zabane Bastane Azarbaijan* [Azari, or the ancient language of Azerbaijan]. Tehran, 1304/1925 (სპარსულ ენაზე).
22. Mahmudlu, Ceyhun. "Theorizing Nation Building in Azerbaijan." In *"Azerbaijani" and Beyond. Perspectives on the Construction of National Identity*. Verlag-Koester, January 2016, 124-150.
23. Mehdiyeva, Nazrin. *Power Games in the Caucasus Azerbaijan's Foreign and Energy Policy towards the West, Russia and the Middle East*. Palgrave Macmillan, 2011.
24. Moradi, Manuchehr. "Perspectives on European Union and Iran Cooperation in Provision of Stability and Security in Southern Caucasus." *Amu-Darya* (Iranian Magazine of Center for Caucasian and Central Asian Studies), 2006-2007, #21-22.
25. Nezāmi Ganjavi va monāghesheye Iran va Azerbaijan. Voice of America. (2013) წვედომი: 27/11/2018. <[www.darivoa.com/content/nezami-ganjavi-and-iran-azerbaijan-disputc/1768716.html](http://www.darivoa.com/content/nezami-ganjavi-and-iran-azerbaijan-disputc/1768716.html)> (სპარსულ ენაზე).
26. Rezvani, Babak. *Ethno-Territorial Conflict and Coexistence in the Caucasus, Central Asia and Fereydan*. Amsterdam: University of Amsterdam, 2013.
27. Shaffer, Brenda. *Borders and Brethren, Iran and the Challenge of Azerbaijani Identity*. Cambridge, Mass.: MIT Press, 2002.
28. Souleimanov, Emil A. and Kraus, Josef. *Iran's Azerbaijan Question in Evolution Identity, Society, and Regional Security*. Washington D.C.: Central Asia-Caucasus Institute and Silk Road Studies Program, 2017.
29. Swietochowski, Tadeusz. *Russia and Azerbaijan: A Borderland in Transition*. New York: Columbia University Press, 1995.
30. Tabatabai, Ariane. "Iranian approaches to the EU's eastern neighbourhood," in *Third Powers in Europe's East*. European Union Institute for Security Studies (EUISS), 2018.

31. *The Armenian-Iran Relationship. Strategic Implication for Security in the South Caucasus Region*. Ed. by Claude Moniquet and William Racimora. European Strategic Intelligence & Security Center, January 17th, 2013.
32. Yaghoubian, David N. *Ethnicity, Identity, and the Development of Nationalism in Iran*. Syracuse, New York: Syracuse University Press, 2014.
33. Эфендиев, Октай Ф. *Азербайджанское государство сафавидов в XVI веке*. Баку: ЭЛМ, 1981.
34. Асатрян, Гарник. *Этническая композиция Ирана: от «Арийского пространства» до Азербайджанского мифа*. Ереван: Кавказский центр иранистики, 2012.
35. Бартольд, Василий В. Общие работы по истории Средней Азии. Работы по истории Кавказа и Восточной Европы. *Сочинения*, Т. 2. Ч. 1 (М.: Наука, 1963).
36. Sanasarian, Eliz. *Religious Minorities in Iran*. Cambridge: Cambridge University Press, 2000.
37. Rasmussen, Katrine Barnekow. *The Foreign Policy of Iran: Ideology and pragmatism in the Islamic Republic*. Danish Institute for International Studies, 2009.
38. Moradi, Manucherh. "Perspectives on European Union and Iran Cooperation in Provision of Stability and Security in Southern Caucasus." *Amu-Darya* (Iranian Magazine of Center for Caucasian and Central Asian Studies), 2006-2007, #21-22.
39. Choksy, Jamsheed K. "Non-Muslim Religious Minorities in Contemporary Iran." *Iran and the Caucasus* (2012), Vol. 16, #3.
40. Tabatabai, Ariane. "Iranian approaches to the EU's eastern neighbourhood," in *Third Powers in Europe's East*. Report Editors: Nicu Popescu, Stanislav Secrieru. Paris: European Union Institute for Security Studies (EUISS), 2018.



**ირაკლი ფალავა<sup>1</sup>**  
*გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*  
**ევგენი ჭანიშვილი<sup>2</sup>**  
*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის*  
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **დავით აღმაშენებლის ზეობის ნუმისმატიკური ისტორია: საფასის მიმოქცევა, სამონეტო ემისიები და ფულადი პოლიტიკა**

საქართველოსა და ქართველი ერის ისტორიაში დავით აღმაშენებლის როლისა და ამ ქართველი მონარქის ღვაწლის გათვალისწინებით, არ არის გასაკვირი, რომ მისი ზეობის სხვადასხვა ასპექტი ისტორიული მეცნიერების ყურადღების ეპიცენტრში იყო და არის; გამონაკლისს არ წარმოადგენს დავით აღმაშენებლის ზეობის ნუმისმატიკური ისტორიაც.

მიუხედავად ამისა, დღემდე არ არსებობს ექსკლუზიურად დავით აღმაშენებლის სამონეტო მემკვიდრეობისადმი და ნუმისმატიკური ისტორიისადმი მიძღვნილი კომპლექსური ნაშრომი.<sup>3</sup> არადა, დავით IV აღმაშენებლის ნუმისმატიკური ისტორია უკიდურესად საინტერესოა და ამ ქართველი მონარქის მოღვაწეობას ორიგინალურად გვისახავს. დავითის ზეობის ნუმისმატიკური ისტორიის კომპლექსური კვლევა განსაკუთრებით აქტუალური ახლა გახდა, იმ მრავალი ახალი აღმოჩენის გათვალისწინებით, რომელიც არსებითად, ძირეულად თუ არა, ცვლის ჩვენს წარმოდგენას ამ გამოჩენილი მეფის მოღვაწეობაზე.

ჩვენი ნაშრომის მიზანი სწორედ ამაშია: კომპლექსურად შევისწავლოთ დავით IV აღმაშენებლის ნუმისმატიკური ისტორია, რომელშიც ვგულისხმობთ მეფის ნუმისმატიკურ მემკვიდრეობას, როგორც ხელისუფლების მონეტარული პოლიტიკის ასახვას, და, ასევე, თანადროულ საქართველოში საფასის მიმოქცევასაც.

**საკვლევი მასალა** მრავალგვარია; ესენია თავად დავით IV აღმაშენებლის ჩვენ დრომდე შემონახული მონეტები; დადგენილი ინფორმაცია მეფე დავითის ზეობის პერიოდში ტეზავირებული სამონეტო კომპლექსების შესახებ; ქვეყანაში საფასის მიმოქცევის უკვე შემუშავებული ზოგადი კონცეფცია; დოკუმენტური მასალა, რომელიც აშკარად თანადროულ სამონეტო ტერმინებს შეიცავს (კერძოდ, დავითის ანდერძი მღვიმისადმი, 1123/4 წლის; და, შესაძლოა, ნაყალბევი ანდერძი 1125 წლის

<sup>1</sup> ავტორის მიერ ძირითად განალიზებულია საფასის თანადროული მიმოქცევა და დავითის ფულადი პოლიტიკა.

<sup>2</sup> დოქტორანტი, დარგი: ისტორია (ქვედარგი: მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია), ავტორის მიერ ძირითად განალიზებულია დავითის სამონეტო ემისიები.

<sup>3</sup> ჟურნალ ისტორიანში მაია პატარიძის მიერ გამოქვეყნებული სტატია ძირითადად იმ დროისათვის ცნობილი სამონეტო ტიპების განხილვით შემოიფარგლება. მაია პატარიძე, „დავით აღმაშენებლის მონეტები“, ისტორიანი 4 (100) (2019): 12-19.

შემდგომი დროისა); ნარატიული პირველწყაროები (კერძოდ, ალ-ფარიკისა და სიბტიბნი ალ-ჯაუზის ცნობები) დავითის მიერ თბილისის აღების შემდეგ ახლებური და სპეციფიური ტიპის საფასის ემისიის შესახებ.

**მეთოდოლოგიის** კუთხით, უპირატესობას ვანიჭებთ მონაცემების შეჯერებას, კომპარატიულ ანალიზს; ასე, მაგალითად, განძების მეტა-ანალიზის შედეგებისა და თანადროული დოკუმენტური მასალის შეჯერებით ხერხდება დავით IV აღმაშენებლის ზეობაში სამონეტო მიმოქცევის სურათის მეტ-ნაკლებად აღდგენა; ხოლო სამონეტო მასალისა და ნარატიული პირველწყაროების შედარებითი ანალიზი გვეხმარება ქართული ხელისუფლების მონეტარული პოლიტიკის თაობაზე შესაბამისი დასკვნების გამოტანაში.

პირველ რიგში, აუცილებელია დავით IV აღმაშენებლის სამონეტო მემკვიდრეობის აღწერა, ტიპების მიხედვით, ახალი აღმოჩენების გათვალისწინებით.

ამ ქართველი მონარქის სამონეტო ემისიები რამდენიმე ტიპად არის ცნობილი. თუ გავითვალისწინებთ ირაკლი ფაღვას მიერ 2012 წელს აღმოჩენილ დავითის არაბულენოვან მონოეპიგრაფიკულ უწყესო ჭედვის ფულს (მეტ-ნაკლებად შეესაბამება ალ-ფარიკისა და სიბტიბნი ალ-ჯაუზის აღწერილობას),<sup>4</sup> და ევგენი ჭანიშვილის მიერ 2020 წელს აღმოჩენილ დავითის ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის საფასის ორ ახალ ტიპს<sup>5</sup> - დავით აღმაშენებლის ცნობაში მოყვანილი სამონეტო ტიპების საერთო რაოდენობა გაიზარდა ოთხიდან შვიდამდე.

მაშასადამე, ვიცნობთ დავით აღმაშენებლის 7 სამონეტო ტიპს, რომელიც ვერცხლსა და სპილენძში<sup>6</sup> იჭრებოდა; ესენია:

**ვერცხლის საფასე - ბიზანტიური ყაიდის:**

- I. ცენტრში მონარქის ბიზანტიური ტიტულით;
- II. ცენტრში ჯვრის გამოსახულებით;
- III. ცენტრში ტაონთა (?) და რანთა მეფის წოდებით;
- IV. ცენტრში ვარსკვლავის გამოსახულებით;
- V. ცენტრში ხელის გამოსახულებით;

**სპილენძის საფასე**

- VI. არაბულენოვანი მონოეპიგრაფიკული უწყესო ჭედვის მონეტები;
- VII. წესიერი ჭედვის მონეტები მეფის გამოსახულებით.

სამონეტო ტიპებს სათითაოდ განვიხილავთ.

**I. ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის საფასე ცენტრში ბიზანტიური ტიტულით**

ეს სამონეტო ტიპი დღეისთვის 4-5 ცალით არის წარმოდგენილი.

<sup>4</sup> Irakli Paghava, "The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah", The 3<sup>rd</sup> Simone Assemani Symposium on Islamic Coins, Roma, 23-24 September 2011, Proceedings. Eds. Bruno Callegger and Arianna D'Ottone (Trieste, 2012): 220-261.

<sup>5</sup> Evgeni Chanishvili, "The New Unique Georgian-Byzantine Coin Types of King David IV the Builder", საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები XVI (2020): 70-74.

<sup>6</sup> მაგრამ არა ოქროში. საზოგადოდ, დიდების პერიოდის ქართველ მონარქებს ოქროს საფასე არ გამოუშვიათ.

**შუბლი:** ღვთისმშობლის გამოსახულება წერტილოვანი შარავანდით; შარავანდის მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდის ფრაგმენტები.

**ზურგი:** წერტილოვანი (?) რკალის შიგნით ასომთავრული გრაფემები:

[ⴕⴓ ⴒⴑ]ⴓ ⴒⴕ ⴒⴕⴒⴑⴕ ⴒⴕⴓ  
ცენტრში კი ლეგენდის გაგრძელება  
ⴒⴒ ⴒⴒⴒⴒⴒⴒⴒⴒ  
*[ქ(რისტ)ე ა(დი)დ]ე დ(ავი)თ აფხ(ა)ზთ(ა) მ(ე)ფე  
და სევ(ა)ს)ტ(ო)სძ<sup>7</sup>*



## II. ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის საფასე ცენტრში ჯვრის გამოსახულებით

ეს სამონეტო ტიპი დღეისთვის 8 ცალით არის წარმოდგენილი.

**შუბლი:** ღვთისმშობლის გამოსახულება წერტილოვანი შარავანდით; შარავანდის მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდის ფრაგმენტები.

**ზურგი:** წერტილოვანი (?) რკალის შიგნით ასომთავრული გრაფემები:

ⴕⴓ ⴒⴑⴓ ⴒⴕ ⴒⴕⴓ ⴒⴒ ⴒⴒⴒⴒ  
*ქ(რისტ)ე ა(დი)დე დ(ავი)თ მ(ე)ფე და ს(ევას)ტ(ო)სძ<sup>8</sup>*  
ცენტრში გოლგოთაზე აღმართული ტოლმკლავიანი ჯვრის გამოსახულება.



<sup>7</sup> ვალერი სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა (თბილისი: არტანუჯი, 2006), 248-249.

<sup>8</sup> იქვე.

### III. ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის საფასე ცენტრში ტაონთა (?) და რანთა მეფის წოდებით

ეს სამონეტო ტიპი უნიკალური ეგზემპლარის არის წარმოდგენილი, რომელიც თავის დროზე თავად მიხეილ ბარათაევის (ბარათაშვილის) კოლექციის შემადგენლობაში შედიოდა, ახლა კი გერმანიაში, ბერლინში ინახება, ბოდეს მუზეუმის მიუნცკაბინეტში (Münzkabinett der Staatlichen Museen zu Berlin, Objektnummer 18232003, The Berlin Münzkabinett Online Catalogue [www.smb.museum/ikmk](http://www.smb.museum/ikmk)) (წარმომავლობა უცნობია).

ვერცხლი, 0.51 გ (მონეტა შემოჭრილია და გახვრეტილია), კვეთა 15-16 მმ, სიქების თანაფარდობა 1 სთ-ზე.



**შუბლი:** ღვთისმშობლის გამოსახულება წერტილოვანი შარავანდით; შარავანდის მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდის ფრაგმენტები.

**ზურგი:** წერტილოვანი (?) რკალის შიგნით ასომთავრული გრაფემები:

ბაქ  
ნაქ  
ქანთა

სამონეტო ტიპის ატრიბუცია არ არის ცალსახა - ერთადერთი შემორჩენილი ცალი ხომ შემოჭრილია, და ამ შემოჭრას ემსხვერპლა მონეტის კიდეები, სადაც, დიდი ალბათობით (ბაგრატოვანთა ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის სხვა მონეტებთან ანალოგიით) ირგვლივი ლეგენდა იყო განლაგებული, კერძოდ, ემიტენტი მონარქის სახელი.

ზურგის ცენტრში მოთავსებული ასომთავრული გრაფემები, საფიქრებელია, უნდა წავიკითხოთ, როგორც

და რ(ა)-  
ნთ(ა) და  
ტ(ა)ონთ(ა)

აღნიშნული მონეტა და სამონეტო ტიპი 2012 წელს ირაკლი ფაღავამ განიხილა, და დაადასტურა, რომ ეს საფასე დავით IV აღმაშენებლის სამონეტო მემკვიდრეობას

<sup>9</sup> ასომთავრულში ამგვარი გრაფემა (J) არ არის; ვთვლით, რომ ეს არის დეფექტური J.

მიეკუთვნება;<sup>10</sup> 2019 წელს მაია პატარიძემ სცადა დასაბუთებინა, რომ მონეტის ემიტენტი იყო ბაგრატ III, და არა დავით IV (მონეტაზე *ტაონთა [მეფის]* წოდების მითითების საფუძველზე<sup>11</sup> - *ტაო* ერთადერთხელ გვხვდება ქართველო მონარქთა წოდებულებაში, და ეს უნიკალური გამონაკლისი არის სწორედ ბაგრატ III-ის კაცხის წარწერა<sup>12</sup>). ჰიპოთეზა ძალიან გონებამახვილურია, მაგრამ ირაკლი ფალავას მიერ 2019 წელს ჩატარებულმა დამატებითმა იკონოგრაფიულმა ანალიზმა ის სარწმუნოდ გამორიცხა.<sup>13</sup> იკონოგრაფიული და სამონეტო ლეგენდის ანალიზი ადასტურებს, რომ ეს არის დავით აღმაშენებლის საფასე. ირაკლი ფალავას აზრით, ამ სამონეტო ტიპის ემისია კახეთ-ჰერეთის ანექსიისა და დავითის მიერ კახთა მეფის წოდების მისაკუთრების შემდეგ თუ განხორციელდებოდა, ანუ, 1104 წლის მომდევნო პერიოდში.

#### IV. ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის საფასე ცენტრში დავითის ვარსკვლავში ჩაწერილი ვარსკვლავის გამოსახულებით

ეს სამონეტო ტიპი უნიკალური ეგზემპლარის არის წარმოდგენილი, რომელიც ევგენი ჭანიშვილმა აღმოაჩინა.<sup>14</sup> მონეტა, გადმოცემით, შემთხვევით, სვანეთის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს, 2020 წელს. მონეტა მპოვნელის საკუთრებაში დარჩა, და მისი ამჟამინდელი მდებარეობა ჩვენთვის უცნობია.

ვერცხლი, 0.77 გ (მონეტა გახვრეტილია), მონეტის ზურგს, სიქა, როგორც ჩანს, ორჯერ დაარტყეს. ამიტომ წრიული ლეგენდის შემადგენელი გრაფემები ერთმანეთს ერწყმის და ერთმანეთში არეულია, რაც ძალიან აძნელებს წარწერის წაკითხვას.



**შუბლი:** ღვთისმშობლის გამოსახულება წერტილოვანი შარავანდით; შარავანდის მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდის ფრაგმენტები არ ჩანს.

<sup>10</sup> Irakli Paghava, “Silver Coinage of David IV the Builder with no Byzantine Title (Attribution, Dating, Significance)”, *Pro Georgia*, 22 (2012), 91-110.

<sup>11</sup> მაია პატარიძე, „იშვიათი ქართული სამეფო ტიტულისა და უნიკალური მონეტის ურთიერთმართების საკითხისათვის“, *საისტორიო კრებული 7* (2019): 212-226.

<sup>12</sup> ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.). შეადგინდა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ (თბილისი: მეცნიერება, 1980): 55-56.

<sup>13</sup> ირაკლი ფალავა, „შემოჭრილი მონეტა ღვთისმშობლის გამოსახულებითა და ასომთავრული ლეგენდით და მისი ატრიბუცია (დავით IV აღმაშენებლის ნუმისმატიკური მემკვიდრეობის კლასიფიკაციისათვის)“, *ქართული წყაროთმცოდნეობა XXI* (2019): 96-105.

<sup>14</sup> Chanishvili, “The New Unique Georgian-Byzantine Coin Types of King David IV the Builder”, 71-72.

**ზურგი:** წერტილოვანი (?) რკალის შიგნით ასომთავრული გრაფემები: ჩანს ႠႪႩ და ႠႪႥ კომპლექსები, თუ, უბრალოდ, ცალკეული გრაფემები? გადაჭრით რაიმეს მტკიცება შეუძლებელია.

ცენტრში კი დავითის ვარსკვლავში ჩაწერილი ვარსკვლავის გამოსახულება.

იკონოგრაფიული ანალიზი (დავითის მონეტებისთვის დამახასიათებელი ვლაქერნის ღვთისმშობლის გვიანი, იკონოგრაფიულად დეგრადირებული ტიპი; ახალი იკონოგრაფიული მოტივი - დავითის ვარსკვლავში ჩაწერილი ვარსკვლავი) ადასტურებს ამ მონეტისა და სამონეტო ტიპის დავით IV აღმაშენებლისადმი მიკუთვნებას.

### V. ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის საფასე ცენტრში ჯელის გამოსახულებით

ეს სამონეტო ტიპი უნიკალური ეგზემპლარის არის წარმოდგენილი, რომელიც ევგენი ჭანიშვილმა აღმოაჩინა.<sup>15</sup> მონეტა, გადმოცემთ, შემთხვევით, სვანეთის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს, 2020 წელს. მონეტა მპოვნელის საკუთრებაში დარჩა, და მისი ამჟამინდელი მდებარეობა ჩვენთვის უცნობია.

ვერცხლი, 0.63 გ (მონეტა შემოტეხილი და გახვრეტილია), სიქების თანაფარდობა დაახლოებით 12 სთ-ზე.



**შუბლი:** ღვთისმშობლის გამოსახულება წერტილოვანი შარავანდით; შარავანდის მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდა არ არის.

**ზურგი:** წერტილოვანი (?) რკალის შიგნით ასომთავრული გრაფემები:

ႠႩ ႠႪႩ ... ႠႪႥ

*ქ(რისტე) ა(დი)დე ... ტს? [სევასტოსა?]*

ზურგის ირგვლივ წარწერაში დავითი სახელი არ ჩანს. მიუხედავად ამისა, იკონოგრაფია (დავითის მონეტებისთვის დამახასიათებელი ვლაქერნის ღვთისმშობლის გვიანი, იკონოგრაფიულად დეგრადირებული ტიპი; ახალი იკონოგრაფიული მოტივი - ჯელი) ადასტურებს ამ მონეტისა და სამონეტო ტიპის დავით IV აღმაშენებლისადმი მიკუთვნებას.

<sup>15</sup> იქვე, 72-73.

## VI. უწესო ჭედვის არაბულენოვანი მონოპიგრაფიკული სამონეტო ტიპი

დავით აღმაშენებლის საფასიდან, ალბათ, ყველაზე მრავალრიცხოვანი, მაინც, არა ვერცხლის, არამედ სწორედ ეს მონოპიგრაფიკული და არაბულენოვანი, აშკარად ისლამური იერის სპილენძის მონეტებია.



ისინი ხელახლა ირაკლი ფაღვამ აღმოაჩინა.<sup>16</sup> ირგვლივი წარწერა ერთ-ერთ მხარეს კი ევგენი ჭანიშვილმა წაიკითხა.<sup>17</sup> სამონეტო ტიპის დეტალური აღწერილობა, კვლევის ისტორია, მიმოქცევის ხასიათი, დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული სამონეტო რეფორმის დახასიათება და ქართულ-არაბული საფასის გენეზი უკვე განხილულია და აქ ამ საკითხებს ადგილს აღარ დავუთმობთ. შემოვიფარგლებით მხოლოდ იმ დებულების გამეორებით, რომ, უეჭველია - სწორედ დასახელებული მონეტები მიეკუთვნება იმ ტიპს, რომელსაც გულისხმობდნენ ალ-ფარიკი და სიბტ იბნ ალ-ჯაუზი. აქვე მოვიყვანთ არაბი ავტორების ცნობებს. ალ-ფარიკის მოწმობით, დავითმა: „... მოუჭრა მათ [თბილისელ მუსლიმებს] დირჰემები, რომლის ერთ მხარეზე იყო სახელები სულტნისა და ხალიფასი, მეორე მხარეზე – სახელი ალლაჰისა და სახელი წინასწარმეტყველისა, - მშვიდობა მას. მისი (მეფის) სახელი კი დირჰემის კიდეზე [იყო ამოტვიფრული].“<sup>18</sup> სიბტ იბნ ალ-ჯაუზის მოწმობითაც, დავითი „ამოკვეთდა დირჰემებსა და დინარებზე ალლაჰის, მისი მოციქულისა და ხალიფას სახელებს.“<sup>19</sup>

რამდენად ინტენსიური იყო დავით აღმაშენებლის ამ ტიპის მონეტების ემისია? მსხვილი სავაჭრო ქალაქის მოსახლეობისათვის მოჭრილი საფასე, ლოგიკით, საკმაოდ დიდი ტირაჟით უნდა გამოემშვათ. უკვე აღმოჩენილია დავით IV აღმაშენებლის მონოპიგრაფიკული არაბული საფასის 15-20-მდე ეგზემპლარი, რაც საკმაოდ საგულისხმო ციფრია. დავით IV-ის მრავალი მონეტა, აშკარად, გადაჭედვას დაექვემდებარა. ასე, მაგალითად, ვიცნობთ დიმიტრი I-ის მონეტად გადაჭედილ ამგვარ სამ ეგზემპლარს.

<sup>16</sup> Paghava, “The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah”, 220-261.

<sup>17</sup> ევგენი ჭანიშვილი, „დავით IV აღმაშენებლის არაბულენოვანი მონეტის გარე წარწერა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები XII (2017): 165-171.

<sup>18</sup> ეთერ სიხარულიძე, „ალ-ფარიკი საქართველოში“, სემიტოლოგიური ძიებანი II. რედაქტორი კ. წერეთელი (თბილისი: მეცნიერება, 1985): 89.

<sup>19</sup> ოთარ ცეციტიშვილი, „სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები, 118, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია VI (1967): 205.



მნიშვნელოვანია, რომ დავით IV აღმაშენებლის მონოეპიგრაფიკულ არაბულ საფასეს არ დაუკარგავს თავისი სტატუსი (ვალიდურობა) მონარქის გარდაცვალების შემდეგაც. ყოველ შემთხვევაში, როგორც მომდევნო მონარქების უწესო ჭედვის მონეტების, ვიზუალურად, ჩანს, მსგავსი საფასე, დავითის უწესო ჭედვის მონეტები კვლავინდებურად მონაწილეობდნენ სამონეტო მიმოქცევაში მონარქის გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგაც. ამაზე მიუთითებს ნორიოს განძის (ტეზავრაციის მიახლოებითი დრო 1223-1226, III კლასის განძი, ირაკლი ფადავას კლასიფიკაციის მიხედვით<sup>20</sup>) შემადგენლობაში აღმოჩენილი დავით აღმაშენებლის ამ ტიპის ერთი ცალი მონეტა.<sup>21</sup>

ყურადღებას იპყრობს ზედწერილების აბსოლუტურად განსხვავებული კალიგრაფია დავით IV აღმაშენებლის მონოეპიგრაფიკულ არაბულენოვან მონეტებზე, და დიმიტრი I-ის უადრეს, ასევე მონოეპიგრაფიკულ და ექსკლუზიურად არაბულენოვან სამონეტო ტიპზე.<sup>22</sup>



<sup>20</sup> Иракли Пагава, Нумизматическое прошлое Дагестана и Грузии. Эмиссии Грузинского царства в денежном обращении Кавказа и чеканка монеты в Аварии, чеканка монеты в Кубачи (Тбилиси: Артануджи, 2018): 79-81.

<sup>21</sup> დავით ბერიკაშვილი, მაია პატარიძე, სამშვილდის განძი (თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019): 55-56.

<sup>22</sup> Severiane Turkia, Irakli Paghava, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia", *Journal of Oriental Numismatic Society* 200 (2009): 9-12; Irakli Paghava, Severiane Turkia, Gennadiy Zlobin, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum", *Journal of Oriental Numismatic Society* 207 (2011): 13-14.



დავითის მონეტებზე ლეგენდები კლასიკური ქუფურითაა შესრულებული, დიმიტრის საფასეზე კი წარწერების ხელი აბსოლუტურად განსხვავებულია. რამ განაპირობა ლეგენდების კალიგრაფიის ესეთი უეცარი და კარდინალური ცვლილება? თუ, უბრალოდ, ხელოსანი (ხელოსნები?) შეიცვალა? ალექსეი ბიკოვს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ დიმიტრის მონეტების მოსაჭრელად ხელოსნები შირვანიდან მოიწვიეს, თუმცა რაიმე წყარო ან არგუმენტი ამ მტკიცების დასასაბუთებლად მოყვანილი არა აქვს.<sup>23</sup>

სურათის სისრულის გულისა, რამდენიმე სიტყვით შევეხებით მეორე სამონეტო ტიპსაც, რომელსაც სულ ბოლო დრომდე მიიჩნევდნენ დავით აღმაშენებლის საფასედ. საუბარია ამხედრებული მონარქის გამოსახულებიან სპილენძის მონეტებზე, არაბული ზედწერილით, რომელშიც ასევე *მესიის მახვილი* და *მეფეთა მეფე* მოიხსენიება. დისკუსიის საგანს წარმოადგენდა, ამ სამონეტო ტიპის ემიტენტი დავით IV აღმაშენებელი იყო, თუ დავით VII გიორგის ძე. მონოტიპიკური არაბული ტიპის დავით აღმაშენებლისადმი მიკუთვნების შემდეგ, ბუნებრივია, შემცირდა იმის ალბათობა, რომ მხედრის გამოსახულებიანი მონეტაც მისი მოჭრილი ყოფილიყოს; თუმცა, დანამდვილებით და საბოლოოდ ამის გამორიცხვაც შეუძლებელი იყო (ეგება დავით აღმაშენებელმა თბილისის ალების შემდეგ, თავისი ზეობის ბოლო წლებში ორი სამონეტო ტიპი გამოუშვა?). ბოლოდროინდელმა აღმოჩენამ საბოლოო პასუხი გაგვცა ამ შეკითხვაზე. ირაკლი ფაღავასა და პავლე ჭუმბურიძის მიერ ახალაღმოჩენილ ეგზემპლარზე, ამხედრებული მონარქის გამოსახულების გარდა თარიღიც აღმოჩნდა მითითებული – ქართული ქორონიკონით, რომელიც ცალსახად მიუთითებს სამონეტო ტიპის XIII საუკუნეში გამოშვებაზე.



<sup>23</sup> Алексей Быков, “Грузинские монеты XII-XIII вв.”, Памятники эпохи Руставели (Ленинград: Издательство Академии наук СССР, 1938): 77-90.

რასაკვირველია, იგივე ტიპის, მაგრამ დაუთარილებელი მონეტებიც ასევე XIII საუკუნეში იქნება მოჭრილი, და არა დავით აღმაშენებლის ეპოქაში. ანუ, საბოლოოდ დადგინდა, რომ აღნიშნული სამონეტო ტიპის ემიტენტი გიორგი IV ლაშას ძე დავითია.<sup>24</sup>

**VII. წესიერი ჭედვის მონეტები დავით აღმაშენებლის გამოსახულებით.**

განსაკუთრებულ ინტერესს ყოველთვის იწვევდა წესიერი ჭედვის მონეტა დავით აღმაშენებლის გამოსახულებით.

ბრიტანეთის მუზეუმი, საინვენტარო ნომერი 1857,1226.7. A£, წონა 10.73 გ, კვეთა 35 მმ, სიქების ორიენტაცია 6 სთ-ზე.<sup>25</sup>

**შუბლი:** წვერიანი მამაკაცის გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელში გრძელბუნიაანი ჯვარი უჭირავს, მარცხენაში კი, როგორც ჩანს, globus cruciger; თავზე საიმპერატორო გვირგვინია, ე.წ. სტემა – თავზე ჯვრით და გვერდზე საკიდებით.<sup>26</sup> ფიგურის გვერდებზე განაწილებულია ასომთავრული ლეგენდაც:

ԾԸ ԺԳԴ

(ԳԴ მონოგრამად არის შერწყმული)

*დ(ავი)თ მ(ე)ფე*

**ზურგი:** მონეტის ცენტრში კარტუში (კარტუშის ელემენტები უზვეულოდ მაღალ რელიეფშია) გამოსახულია ტოლმკლავა ჯვარი, რომლის მკლავების დაბოლოებებიც განიერდება (რის ხარჯზედაც ჯვარი ბოლნურს ემსგავსება).

ირგვლივ წრიულად დაქარაგმებული ასომთავრული ლეგენდაა

Ժ ԾԸ ԺԳԴ ԸԳԸ Ժ ԽԻ ԿԸԸ ԸԸԸ

*ქ(რისტე)! დ(ავი)თ მ(ე)ფე აფ(ხაზ)თ(ა) ქ(ართველთა) რ(ა)ნ(თა) კ(ა)ხთ(ა)  
ს(ომე)ხთ(ა)*

ან,

Ժ ԾԸ ԺԳԴ ԸԳԸ Ժ ԽԻ ԿԸԸ ԸԸԸ

*Ժ დ(ავი)თ მ(ე)ფე აფ(ხაზ)თ(ა) ქ(ართველთა) რ(ა)ნ(თა) კ(ა)ხთ(ა) ს(ომე)ხთ(ა)*

დავით აღმაშენებლის გამოსახულების მატარებელ წესიერი ჭედვის მონეტას ირაკლი ფაღვამ ვრცელი სტატია მიუძღვნა, რომელიც 2019-2021 წლებში ორ ნაწილად გამოქვეყნდა.<sup>27</sup>

<sup>24</sup> Pavle Chumburidze, Irakli Paghava, “Attributing the Georgian Coin with Equestrian Figure of Davit, Son of Giorgi”, Journal of Oriental Numismatic Society 239 (2020): 21-22.

<sup>25</sup> David Lang, “Notes on Caucasian Numismatics”, Numismatic Chronicle, Sixth Series, vol. XVII (1957): 144-145; ირაკლი ფაღვა, „სპილენძის მონეტა დავით აღმაშენებლის გამოსახულებით და საქართველოს მეფეთა წოდებულება. ნაწილი I“, საისტორიო კრებული 7 (2019): 234.

<sup>26</sup> გამოსახულების დაწვრილებითი ანალიზისთვის იხ. ირაკლი ფაღვას ნაშრომი. იქვე, 234-235.

<sup>27</sup> ფაღვა, „სპილენძის მონეტა დავით აღმაშენებლის გამოსახულებით და საქართველოს მეფეთა წოდებულება. ნაწილი I“, 227-269; ირაკლი ფაღვა, „სპილენძის მონეტა დავით აღმაშენებლის გამოსახულებით და საქართველოს მეფეთა წოდებულება. ნაწილი II“, საისტორიო კრებული 8 (2021): 356-449.

I ნაწილში დაწვრილებით არის განხილული აღნიშნული მონეტის წარმომავლობა და კვლევის ისტორია; კრიტიკულად განხილულია ოლექსი ოსტროვსკის ნოვატორული ჰიპოთეზა ამ მონეტის ალტერნატიულად, 1089 წლით დათარიღების თაობაზე; მონეტაზე აღნიშნული დავით IV-ის ერთ-ერთი წოდების, კერძოდ, სომეხთა მეფის მითითების საფუძველზე მონეტას ალტერნატიულად ვათარიღებთ, 1123/1124-1125 წლების შუალედით (ავტორს მიაჩნია, რომ სომეხთა მეფის ტიტული დავით აღმაშენებელმა დაისაკუთრა ანისის, და არა სამშვილდე-ლორეს დაუფლების საფუძველზე); ამ დათარიღების საფუძველზე კი მან გამოთქვა ვარაუდი, რომ ამ სამონეტო ტიპის ემისია განხორციელდა ანისში, სომხურ ქალაქში, რომელიც დავით აღმაშენებლის საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო წარმატებების შედეგად ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა, და, ამგვარად, ქართულ ზარაფხანად იქცა (თუკი იქ მონეტა იჭრებოდა); მონეტის, ასე ვთქვათ, ტიპოლოგიური ატიპიურობის, გამორჩეულობის გათვალისწინებით, და ანისთან მისი შესაძლო კავშირიდან გამომდინარე, ირაკლი ფალავამ გამოთქვა ფრთხილი ვარაუდი, ამ მონეტის, შესაძლოა, არა რეგულარული, არამედ, მემორიალურ-დონატიური ბუნების შესახებ (ანისის ადებით განპირობებული, და ამ წარმატებისადმი მიძღვნილი ემისია?).

სტატის II ნაწილი კი მთლიანად ეძღვნება მტკიცებულებების მოყვანას, რომელთა თანახმადაც სომეხთა მეფის ტიტული დავით IV აღმაშენებელმა დაისაკუთრა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანისის, და არა სამშვილდე-ლორეს დაუფლების საფუძველზე; ასევე, გამოთქმულია მოსაზრებები საქართველოს მონარქთა წოდებულების სხვადასხვა საკითხებზე.

არსებითად, არაფერია დასამატებელი. გარდა ერთი მონეტარული არტეფაქტისა, რომელიც 2020 წელს, რამდენადაც ინფორმაცია მოგვაწოდეს, შემთხვევით აღმოაჩინეს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, საუბარია დავით აღმაშენებლის გამოსახულებიანი მონეტის, რომელიც ადრე ბრიტანეთის მუზეუმის კუთვნილ უნიკუმს წარმოადგენდა, კიდევ ერთ ეგზემპლარზე. პოვნის ზუსტი ადგილი და გარემოებები, სამწუხაროდ, უცნობია. მონეტა, გადმოცემით, მპოვნელის მფლობელობაში რჩება. ესოდენ იშვიათი და უდიდესი ისტორიული ღირებულების მქონე მონეტის განუსაზღვრელ გარემოებებში აღმოჩენის შემთხვევაში, ბუნებრივია, იბადება საკითხი, რამდენად აუთენტურია ის. აღნიშნულ არტეფაქტს მხოლოდ ფოტოებით ვიცნობთ, მით უფრო, არ გვქონდა მისი ლაბორატორიულად კვლევის საშუალება. მიუხედავად ამისა, de visu, ხსენებული მონეტა, ჩვენი აზრით, აუთენტურია.



აღსანიშნავია, რომ მონეტის ორივე მხარე სხვა სიქებითაა მოჭრილი, ვიდრე ბრიტანეთის მუზეუმის კუთვნილი ეგზემპლარი.

თუ ჩვენი ვარაუდი ამ არტეფაქტის აუთენტურობასთან დაკავშირებით დადასტურდა, მაშინ ჩვენს წინაშე ამ უკიდურესად იშვიათი ქართული მონეტის მეორე ეგზემპლარია, რომლის პოვნის ფაქტიც ნაწილობრივ და მიახლოებით მაინც არის პასპორტიზირებული – ის მაინც არის ცნობილი, რომ ეს მონეტა ქვემო ქართლშია ნაპოვნი.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მოხერხდება ამ ეგზემპლარის უფრო საგულდაგულოდ კვლევა, და, მისი აუთენტურობის დადასტურების შემთხვევაში, ის, საბოლოო ჯამში მოხვდება ეროვნულ სამუზეუმო საგანძურში.

\*

შევეცდებით, მოკლედ მაინც შემოვხაზოთ დავით აღმაშენებლის ზეობაში მის სამფლობელოებში სამონეტო მიმოქცევის ზოგადი სურათი.

რა პირველწყაროები გაგვაჩნია ამ საკითხზე მსჯელობისათვის?

უპირველეს ყოვლისა, ესაა ნუმიზმატთა თაობების მიერ დაგროვებული ინფორმაცია საქართველოსა და რეგიონში ცალკეული მონეტებისა და განძების აღმოჩენის შესახებ. ოღონდ, თავიდანვე უნდა გაიმიჯნოს ინფორმაცია ცალკეული მონეტებისა, და განძების აღმოჩენის შესახებ.

ცალკეული მონეტები არ გამოგვადგება მაინცდამაინც დავით IV აღმაშენებლის ზეობაში სამონეტო მიმოქცევაზე მსჯელობისათვის. როგორც უფრო ადრე, ასევე მის ზეობაში ემიტირებული საფასეების ტეზავრაცია შეიძლება დავითის გარდაცვალების შემდეგაც მომხდარიყო; რომ არაფერი ვთქვათ 1225 წლის შემდგომ მოჭრილ მონეტებზე. გამონაკლისია თავად დავით აღმაშენებლის ფულები; მათი შეღწევა სამონეტო მიმოქცევაში უსათუოდ მალევე მოხდებოდა (გარკვეული, სავარაუდოდ, მინიმალური პროცენტი შეიძლება ხაზინაშიც დარჩენილიყო – არ გახარჯულიყო დავითის ზეობაში). ვფიქრობთ, შეიძლება დაფუშვით გამონაკლისი ბიზანტიური ანონიმური ფოლისების მიმართ. მაინც, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ XI საუკუნის ეს მონეტები, რომელთაც მრავლად პოულობენ საქართველოსა და მთელი რეგიონის ტერიტორიაზე,<sup>28</sup> მაინცდამაინც ყველა 1225 წლის შემდეგ იყოს იმპორტირებული. მით უფრო რომ სამშვილდე-ლორეს სამეფოს მონარქის, კორიკე II-ის იკონოგრაფიულად მიმსგავსებული სპილენძის საფასე (??) აშკარად ბიზანტიური სპილენძის მონეტების მიბადებით მოიჭრა.

სხვა ამბავია სამონეტო განძები; უმცროსი მონეტის მიხედვით მიახლოებით მაინც ხერხდება მათი ტეზავრაციის თარიღის დადგენა. გავანალიზოთ ის სამონეტო კომპლექსები, რომელიც, აღნიშნული კრიტერიუმით, სავარაუდოდ, დავით IV აღმაშენებლის ზეობას მიეკუთვნება. რასაკვირველია, XI საუკუნის II ნახევრის საქართველოს სამონეტო მიმოქცევის ზოგადი სურათიც საკმაოდ რელევანტურია – დავითის დროინდელი საქართველოს სამეფოს ფულადი მიმოქცევა, რასაკვირველია, წინარე ეპოქის ქართული თუ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებული პოლიტიკური ერთეულების ტერიტორიაზე ფულადი მიმოქცევის უშუალო

<sup>28</sup> Евгений Пахомов, Монетные клады Азербайджана (Баку, 1926): 26.

მემკვიდრეა; და, გარკვეულწილად, შემადგენელი ნაწილიც კი. თუმცა, ამ შემთხვევაში რამდენადმე ვიზღუდავთ საკვლევ არეალს და უშუალოდ დავითის ზეობაში ტეზავრირებული სამონეტო კომპლექსების შესწავლით შემოვიფარგლებით.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს სხვა ტიპის პირველწყაროებს. ესაა იმ პერიოდის წერილობითი პირველწყაროები - დოკუმენტური (ნარატიული პირველწყაროები უფრო მონარქის ფულად / სამონეტო პოლიტიკას გვისახავს - *vide supra*).

დოკუმენტური პირველწყაროებიდან უნდა აღვნიშნოთ ის რამდენიმე, რომელიც დავით აღმაშენებლის ზეობით თარიღდება. ესენია:

- ანდერძი დავით მეფისა მღვიმისადმი (1123/4 წლის); მასში მოიხსენიება „კოსტანატი და პერპერა“, „ასი დრაჰკანი“;<sup>29</sup>

- „ანდერძი დავით მეფისა“ (1125 წლის შემდგომ?); სავარაუდო ნაყალბეგობის მიუხედავად, საბუთი უსათუოდ დავით IV-ის დროინდელ რეალიებს ასახავს; მასში მოიხსენიება „დრაჰკანნი კონსტანტი“, ასევე „დუკატი და ბოტინატი, ატენისა საჭურჭლისა“.<sup>30</sup>

„დრაჰკანი“, როგორც ცნობილია, საქართველოში ოქროს მონეტის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო.<sup>31</sup> მას იყენებდნენ როგორც ისლამური, ასევე ბიზანტიური ოქროს საფასის ასაღნიშნად.<sup>32</sup> სხვათა შორის, ამას ადასტურებს ჩვენს პირველწყაროშიც მოხსენიებული „დრაჰკანნი კონსტანტი“-ც.

„კონსტანტი“ / „კოსტანატი“ აღნიშნავს კონსტანტინე IX-ის (1042-1055) ოქროს საფასეს, რომელიც ჯერ კიდევ შედარებით მაღალსინჯიანია (78-94.5%).<sup>33</sup>

„დუკატი“ კი არის კონსტანტინე X დუკას ოქროს ნომისმები (75% სინჯის).<sup>34</sup>

„ბოტინატი“ არანაირ ეჭვს არ იწვევს - ეს არის ბიზანტიური ოქროს (უფრო სწორედ, ელექტრუმის, სინჯი 33-34%) მონეტა, მოჭრილი ნიკიფორე III ბოტანატის (1078-1081) მიერ.<sup>35</sup>

„პერპერა“ წარმოადგენს ბიზანტიურ ოქროს მონეტას, *ჰიპერპირონს*, რომელიც პირველმა ალექსი I კომნენოსმა (1081-1118) შემოიღო, 1092 წელს.<sup>36</sup>

გასათვალისწინებელია ასევე ალ-ფარიკის ცნობაც: „მაგრამ ქართველთა მეფის მხრიდან შევიწროებამ იმძლავრა. ასე გაგრძელდა ერთხანს. მაშინ შეთანხმდნენ, რომ გაუზზავნიდნენ მას (მეფეს) ყოველ წელს 10 000 დინარს ... ამ პირობაზე დარჩნენ რამოდენიმე ხანს.“<sup>37</sup>

---

<sup>29</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. (შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა) (თბილისი: მეცნიერება, 1984): 52-59.

<sup>30</sup> იქვე, 60-63.

<sup>31</sup> გოჩა ჯავარიძე, „ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საუკუნეების საქართველოში“, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 3 (1976): 88.

<sup>32</sup> იქვე.

<sup>33</sup> იქვე, 91-92.

<sup>34</sup> იქვე, 91.

<sup>35</sup> იქვე, 90-91.

<sup>36</sup> იქვე, 92.

<sup>37</sup> სიხარულიძე, „ალ-ფარიკი საქართველოში“, 88.

მონეტების და სამონეტო კომპლექსების აღმოჩენას რაც შეეხება, გასათვალისწინებელია:

- ბიზანტიური ოქროს მონეტების შემცველი განძები, რომელთა ტეზავრაცია დაახლოებით დავითის მეფობაში უნდა მომხდარიყო (ან, უშუალოდ მის დაწყებამდე), ე.ი., 1080-იან წლებიდან 1125 წლამდე (1120-იანი წლების ბოლომდე) პერიოდში: იდუმალას განძი (ასპინძის რაიონი) - კონსტანტინე X-ის 1 ოქროს მონეტა, ნიკოფორე III-ის 11 ელექტრუმის მონეტა;<sup>38</sup> საფარას განძი (ახალციხის რაიონი) - ნიკოფორე III-ის 13 „ოქროს“ (სინამდვილეში, საფიქრებელია, ელექტრუმის) მონეტა;<sup>39</sup> მესხეთის განძი (ქუთაისის რაიონი) - ნიკოფორე III-ის ორი სხვადასხვა ტიპის 5 ელექტრუმის მონეტა;<sup>40</sup> გუბის განძი (წულუკიდის / ხონის რაიონი) - ნიკოფორე III-ის 3 ელექტრუმის მონეტა;<sup>41</sup> ვარდისუბნის განძი - 11 „ვერცხლნარევი ოქროს ფული“, მათგან 1 ნიკიფორე III-ის (დანარჩენებიც, საფიქრებელია, მისივე იყო);<sup>42</sup> გურჯაანის განძი - ალექსი II კომნენოსის (1081-1118) 6 და იოანე II კომნენოსის (1118-1143) 1 მონეტა (ეს განძი შეიძლება დავითის სიკვდილის შემდეგაც ყოფილიყო ტეზავრირებული);<sup>43</sup>

- ქართველ მონარქთა ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის მონეტების შემცველი განძები:<sup>44</sup> ქართველ მონარქთა ბიზანტიური ყაიდის მონეტების უპასპორტო განძი - ბაგრატ IV ნოველისიმოსის 1, ბაგრატ IV სევასტოსის 3, გიორგი II ნოველისიმოსის 1, გიორგი II სევასტოსის 16, გიორგი II კესაროსის 52 მონეტა;<sup>45</sup> ციხესულორის განძი (ვანის რაიონი) - გიორგი II-ის 5 მონეტა სევასტოსის და 13 კესაროსის ტიტულით;<sup>46</sup>

- დავითის ვერცხლის მონეტების აღმოჩენის შემთხვევები:<sup>47</sup> სოხუმის მიდამოებში 1871 წელს (ერთიანი კომპლექსის - განძის სახით?) აღმოჩენილი 4 მონეტა

<sup>38</sup> თამარი აბრამიშვილი, „იდუმალას განძი“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXVI-B (1970): 149-161.

<sup>39</sup> Евгений Пахомов, Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа (Баку: Издательство Азербайджанского филиала Академии наук СССР, 1938), #407.

<sup>40</sup> Евгений Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск VIII (Баку: Издательство Академии наук Азербайджанской ССР, 1959): #1960.

<sup>41</sup> იქვე, #1959. 9

<sup>42</sup> თამარ აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები (თბილისი: მეცნიერება, 1966): 134, #197.

<sup>43</sup> Тамар Абрамишвили, „Находка византийских золотых монет в Гурджаани“, Византийский Временник. Том 13 (38) (1958): 282-285.

<sup>44</sup> ლიხნის განძი დავით აღმაშენებლის გამეფებამდე კარგა ხნით ადრე არის ტეზავრირებული, ამიტომ მას არ ვიხილავთ.

<sup>45</sup> ირაკლი ფაღავა, „ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის მონეტების უპასპორტო განძი და დავით IV-ის სვანეთში ახალნაპოვნ მონეტები (ბიზანტიური ყაიდის ქართული საფასის მიმოქცევა ახალი ცნობების გათვალისწინებით)“, წმინდა გრიგოლ ფერაძის მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისადმი. თბილისი, საქართველო. 2021 წლის 20-21 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. რედაქტორი მარიამ ჩხარტიშვილი (თბილისი, 2021): 93-97, 176-179.

<sup>46</sup> Реваз Кебуладзе, „Клад из селения Цихесулори“, *Нумизматический сборник*, ред. В.А. Леквинадзе (Тбилиси: Мецниереба, 1977): 98-108.

<sup>47</sup> ირაკლი ფაღავა, როლანდ სპანდერაშვილი, „XI-XII საუკუნის ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტები: მიმოქცევის ხასიათი“, საისტორიო კრებული 5 (2015): 297-298; Chanishvili, „The New Unique Georgian-Byzantine Coin Types of King David IV the Builder“, 68-74; მია პატარიძე, სვანეთის

- 1 გიორგი II კესაროსისა, და 3 დავით IV-ის, ჯვრის გამოსახულებით; გიორგი II-ისა ან დავით IV-ის მონეტა ნაპოვნი სოხუმის რაიონში, დაბა ბეშქარდაშში; დავით IV-ის მონეტა „დავითის ვარსკვლავში“ ჩაწერილი ვარსკვლავის გამოსახულებით, გადმოცემით, ნაპოვნი სადღაც სვანეთში; დავით IV-ის მონეტა ჯელოს გამოსახულებით, გადმოცემით, ნაპოვნი სადღაც სვანეთში; დავითის მონეტა ჯვრის გამოსახულებით, გადმოცემით, ნაპოვნი სადღაც სვანეთში; დავითის მონეტა ჯვრის გამოსახულების გარეშე მესტიის მუზეუმის კოლექციიდან (დიდი ალბათობით, ადგილობრივად აღმოჩენილი); დავითის მონეტა აღმოჩენილი ზემო სვანეთში (1949 წელს გადმოტანილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში); დავითის მონეტა ჯვრის გამოსახულებით სტეფანწმინდის მუზეუმიდან, რომელიც აღმოჩენილია ადგილობრივად, გაიბოტენის ციხის ტერიტორიაზე, სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში;

- ბიზანტიური ანონიმური ფოლისების (სპილენძის მონეტების) უკიდურესად ფართო გავრცელება რეგიონში, და, კერძოდ საქართველოში;<sup>48</sup>

- დავითის მონოეპიგრაფიკურილი არაბულენოვანი სპილენძის მონეტების აღმოჩენის შემთხვევები: საკითხი შესწავლილია ირაკლი ფაღავას მიერ, და შედეგები წარმოდგენილია 2012 წლის ნაშრომში;<sup>49</sup> აღმოჩენები ლოკალიზდებოდა ყოფილი თბილისისა და დმანისის საამიროების / მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულების ტერიტორიაზე, სამი ეგზემპლარი კი კახეთშია ნაპოვნი; მას შემდეგ დაგროვდა მონაცემები კიდევ ათიოდ ეგზემპლარის აღმოჩენის შესახებ; ყველა ლოკალიზდება თბილისის შემოგარენში; ერთის გარდა, რომელიც თბილისისგან საკმაოდ შორს, ანისის მიდამოებშია აღმოჩენილი.

- დავითის გამოსახულებიანი მონეტის აღმოჩენის შემთხვევა: აქამდე ეს სამონეტო ტიპი ბრიტანეთის მუზეუმში დავანებული უნიკალური ცალით იყო ცნობილი, რომლის წარმომავლობაც უცნობი იყო; მეორე, ახალაღმოჩენილი ეგზემპლარი, შემთხვევით, გადმოცემით, სადღაც თანამედროვე ქვემო ქართლშია ნაპოვნი.

მაშ, როგორ წარმოგვიდგება სამონეტო მიმოქცევა საქართველოსა და დავით IV აღმაშენებლის მიერ შემოერთებულ ტერიტორიებზე ამ ქართველი მონარქის ზეობაში - დოკუმენტების, ნარატიული წყაროსა და სამონეტო აღმოჩენების მიხედვით?

განვიხილოთ სამონეტო მიმოქცევა ჯერ სხვადასხვა კლასის საფასის მიხედვით, შემდეგ კი, გეოგრაფიული პრინციპით.

**დაგროვების საშუალებას წარმოადგენს და მსხვილ ტრანსაქციებში გამოიყენება ოქროს მონეტები.** ისინი ინახება „ატენის საჭურჭლეში“, დავით აღმაშენებელი სწორედ მათ განაგებს. დასახელებულია ექსკლუზიურად ბიზანტიური ოქროს მონეტები - კონსტანტინე IX-ის (1042-1055) მაღალი სინჯის „კონსტანტი“ / „კოსტანატი“;

---

ნუმიზმატიკური საგანძური (თბილისი, 2020): 49-53.

<sup>48</sup> Пахомов, Монетные клады Азербайджана, 26; გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი (თბილისი: არტანუჯი, 2006): 211-218.

<sup>49</sup> Paghava, “The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah”, 240-242.

კონსტანტინე X დუკას (1059-1067) 75% სინჯის ოქროს საფასე, ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081) ელექტრუმის საფასე.

განმეზი ერთის მხრივ ადასტურებს დოკუმენტური პირველწყაროების მონაცემებს, მეორეს მხრივ კი რამდენადმე განსხვავებულ სურათს გვიხატავს - ის სამონეტო კომპლექსები, რომელიც უმცროსი მონეტის მიხედვით შეიძლება დავით IV-ის ზეობითა ან უშუალოდ წინარე წლებით დავათარილოთ, თითქმის ექსკლუზიურად ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081) ელექტრუმის მონეტებს შეიცავს: მხოლოდ იდუმალას განძშია კონსტანტინე X-ის 1 მონეტა, ნიკოფორე III-ის კი 11 (რაოდენობრივად, მაგრამ, ცხადია, არა ღირებულებულებით, შესაბამისად, 8.3 და 91.7%); ხოლო საფარას, მესხეთის, გუბისა და ვარდისუბნის განმეზში ნიკოფორე III-ის ელექტრუმის ხვედრითი წილი 100%-ია. ამ განმეზში ნიკოფორე III ბოტანიატის ელექტრუმის მონეტების დომინირება გვაფიქრებს რომ 1080-იანი წლებისთვის წინამორბედი ბიზანტიელი იმპერატორების უფრო მაღალი სინჯის მონეტები უკვე გამოიდევენა მიმოქცევიდან.

კოპერნიკ-გრემის კანონი ამ შემთხვევაში, საფიქრებელია, არ მოქმედებდა, ვინაიდან უფრო ადრინდელი, უკეთესი, უფრო მაღალი სინჯადობის მონეტები უპირატესად დაექვემდებარებოდა ტეზავრაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა მოთხოვნილება, ისინი იგივენაირად დაფასებულიყო, როგორც უფრო გვიანდელი ნიკოფორე III-ის ელექტრუმის მონეტები; მაგრამ ასეთი მოთხოვნა არ არსებობდა - გოჩა ჯაფარიძის სამართლიანი შენიშვნით, სხვადასხვა სინჯადობის ბიზანტიური „ოქროს“ მონეტების აღსანიშნად სხვადასხვა ტერმინების წარმოშობა ადასტურებს იმას, რომ მოსახლეობა მათ არჩევდა;<sup>50</sup> ჩვენ კი დავამატებთ - მოსახლეობას ჰქონდა შესაძლებლობა, სხვადასხვა სინჯის მონეტები ერთმანეთისგან გაერჩია და გაემიჯნა. თუმცა, მიმოქცევიდან ადრინდელი მაღალსინჯიანი მონეტების გაქრობა არ გამორიცხავს საჭურჭლეში მათ დაყოვნებას.

უნდა დავასკვნათ, რომ დავით აღმაშენებლის განკარგულებაში რჩებოდა ჯერ კიდევ კონსტანტინე IX-ისა (1042-1055) და კონსტანტინე X დუკას (1059-1067) შედარებით მაღალი სინჯის მონეტები. თუმცა, მაინც, გვეუცნაურება 1120-იანი წლებისთვის, განვლილი ძნელბედობის (დიდი თურქობა) მიუხედავად, კონსტანტინე IX-ის (1042-1055) ოქროს მონეტების შემონახვა. ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, ხომ არ წარმოადგენდა (1120-იან წლებისთვის) ტერმინები „დუკატი“ და „კონსტანტი“ / „კოსტანატი“ - სინონიმებს? რომლითაც აღინიშნებოდა *კონსტანტინე X დუკას* (1059-1067) საფასე? ამ ჩვენ ეჭვს რამდენადმე ამყარებს ის გარემოება, რომ ზემოდასახელებულ პირველწყაროებში „დუკატი“ და „კონსტანტი“ / „კოსტანატი“ გვერდიგვერდ ერთხელაც არ მოიხსენიება.

დავით აღმაშენებლის საქართველო არა მარტო ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081) მიერ და იქამდე მოჭრილი ბიზანტიური ოქროსა და ელექტრუმის მონეტებით საზრდოობს. ალექსი I კომნენოსის მიერ ჩატარებული მონეტარული რეფორმის შემდეგ, ახალგაჩენილი *ჰიპერპირონები* - ქართული პირველწყაროს „პერპერაჲ“ გზას იკვლავს საქართველოში. ისინი მოიხსენიება დავით მეფის ანდერძში მღვიმისადმი, და შედის გურჯაანის განძის შემადგენლობაში, სადაც დავით IV აღმაშენებლის უფროსი

<sup>50</sup> ჯაფარიძე, „ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საუკუნეების საქართველოში“, 90.



თანამედროვის, ალექსი II კომნენოსის (1081-1118) 6 მონეტა იყო (საერთო რაოდენობის 85.7%), და კიდევ 1 (14.3%) უმცროსი თამადროვის, იოანე II კომნენოსის (1118-1143); ეს განძი საქართველოში დავითი ზეობის ბოლო წლებში შემოვიდოდა, ან, უშუალოდ მომდევნო პერიოდში.

საყურადღებოა, რომ განძების სახით ფიქსირდება მხოლოდ *ბიზანტიური* ოქროს მონეტები, და არა ისლამური; მაგრამ, გვერდს ვერ ავუვლით ალ-ფარიკის მიერ დასახელებულ 10,000 დინარს, რომელიც თბილისს დავით IV-სთვის ყოველწლიურად ხარკის სახით უნდა გადაეხადა. თბილისის ვაჭრობა, საფიქრებელია, გარკვეულწილად მაინც, საქართველოსთან გამეზობლებული ისლამური პოლიტიკური ერთეულებისკენ იყო მიმართული.<sup>51</sup> დამოუკიდებლად იმისაგან, აღნიშნულ ხარკს თბილისელები თუ რამდენად რეგულარულად იხდიდნენ, თანხის მასშტაბი საკმაოდ შთამბეჭდავია. თუმცა, იგივე გოჩა ჯაფარიძე არ იცნობდა საქართველოს ტერიტორიაზე ისლამური ოქროს მონეტის აღმოჩენის შემთხვევებს.<sup>52</sup> თუ არ ჩავთვლით ირაკლი ფაღვასა და ვასო საპანაძის მიერ 2018 წელს გამოქვეყნებულ, ქვემო ქართლში ნაპოვნ ტოდრულ I-ის (1037-1063), დიდი სელჩუკი მმართველის ოქროს დინარს,<sup>53</sup> მდგომარეობა დღესაც უცვლელია. საქართველოს ტერიტორიაზე ისლამური ოქროს მონეტის აღმოჩენების იშვიათობა, რომ არ ვთქვათ, არარსებობა, საკმაოდ უცნაურად გვეჩვენება, განსაკუთრებით, თბილისის საგარეო-სავაჭრო კონტაქტების გათვალისწინებით.

**საშუალო მასშტაბის ტრანსაქციებს ემსახურება ვერცხლის საფასე.** მის როლს კი ასრულებს ქართველ ბაგრატიონთა მიერ ემიტირებული ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის მონეტები.<sup>54</sup> ამ ეპოქის სხვა (სამამულო თუ უცხოური, ანუ, იმპორტირებული) ვერცხლის საფასე საქართველოს ტერიტორიაზე უბრალოდ, პრაქტიკულად, არ გვხდება. საბუთად შეგვიძლია ასევე მოვიყვანოთ ბიზანტიური ყაიდის ქართული ვერცხლის მონეტების საკმაო რაოდენობით შემცველი განძები - ლიხნის (43 ეგზ.), ციხესულორის (18), უპასპორტო (73); თუნდაც, წარწერებში საკმაო რაოდენობით (8 და 40; 63; 400) *აჟურის* მოხსენიება (ამ ბიზანტიური წარმოშობის ტერმინით, ჩვენი მოსაზრებით, სწორედ რომ ბაგრატიონთა ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის მონეტებს აღნიშნავდნენ, ამ ეპოქის ისედაც საკმაოდ იშვიათი ბიზანტიური ვერცხლის მონეტები საქართველოს ტერიტორიაზე ხომ თითქმის არ გვხდება - ცნობილია სულ 2 ეგზემპლარის აღმოჩენის ფაქტი).<sup>55</sup>

<sup>51</sup> ირაკლი ფაღვა, „მანსურ II ჯა'ფარიანის სამონეტო ემისია მალიქ-შაჰის სახელით - თბილისი და ქვემო ქართლი ბაგრატიონთა და დიდ სელჩუკთა შორის“, საისტორიო კრებული 5 (2015): 26, 42-43.

<sup>52</sup> ჯაფარიძე, „ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საუკუნეების საქართველოში“, 85.

<sup>53</sup> Иракли Пагава, Севериане Туркиа, Васо Сапанадзе, “Примечательные нумизматические находки XI-XII вв. из Тбилиси и его окрестностей”, Нумизматические чтения Государственного исторического музея 2018 года. Москва, 27 и 28 ноября 2018 г. Материалы докладов и сообщений. К 100-летию отдела нумизматики Государственного исторического музея (Москва, 2018): 56-58.

<sup>54</sup> ფაღვა, „ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის მონეტების უპასპორტო განძი და დავით IV-ის სვანეთში ახალნაპოვნი მონეტები (ბიზანტიური ყაიდის ქართული საფასის მიმოქცევა ახალი ცნობების გათვალისწინებით)“.

<sup>55</sup> იქვე.

თუმცა, ვერცხლის კრიზისი თანდათანობით აიძულეს დავით IV-ს, შეწყვიტოს ვერცხლის საფასის ემიტირება. ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტების სერიიდან დავით IV-ის ვერცხლის მონეტები ერთ-ერთი ყველაზე იშვიათია. როგორც დავინახეთ, ხუთი სამონეტო ტიპიდან სამი თითო ეგზემპლარით არის წარმოდგენილი; დანარჩენებიც საკმაო იშვიათობას წარმოადგენს (*vide supra*). აღარ გვხდება დავითის ვერცხლის დიდი რაოდენობით შემცველი განმებიც - სოხუმის სამონეტო კომპლექსში მისი ხვედრითი წილი კი მაღალია, 75%, მაგრამ თავად კომპლექსი ძალიან პატარაა, სულ, შემონახული მონაცემებით, 4 მონეტა.

მართალია, *რანთა მეფის* ტიტულის მქონე მონეტის არსებობიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ზოგიერთი სამონეტო ტიპის ემისია XII საუკუნეშიც, კერძოდ 1104 წლის შემდეგაც გაგრძელდა; მაგრამ, ეს ემისია, ჩანს, ინტენსიური არ იყო.

### **წვრილ ალებ-მიცემობას, საფიქრებელია, ემსახურება სპილენძის საფასე.**

ამ უკანასკნელის როლში გამოდის, ძირითადად, ბიზანტიის იმპერიის სპილენძის ფოლისები.

არ არის გამორიცხული, რომ ბიზანტიური ფოლისების მსგავს როლს თამაშობდა (თავდაპირველად, მემორიალურ-დონატიური მიზნით მოჭრილი?<sup>56</sup>) ტიპოლოგიურ-იკონოგრაფიულად მიმსგავსებული დავითის გამოსახულებიანი სპილენძის მონეტებიც (რომელიც ანისის ალების შემდეგ მოიჭრა?).

დავით IV-ის ზეობის დასასრულისკენ, უკვე 1122 წლის დასაწყისში თბილისის ალების შემდეგ, იწყება უწყესო ჭედვის მონოეპიგრაფიკული არაბულენოვანი სპილენძის მონეტების ემისიაც. ისინიც, ვთვლით, ურბანული ცენტრისთვის დამახასიათებელ წვრილ ალებ-მიცემობას ემსახურებოდნენ. როგორც უკვე ვახსენეთ, მათ არ დაკარგეს ვალიდურობა და ზოგიერთი მათგანი მიმოქცევაში XIII საუკუნის I მეოთხედის ბოლომდეც კი დარჩა.

დავით IV აღმაშენებლის სამეფოში სამონეტო მიმოქცევას **გეოგრაფიული პრინციპითაც** განვიხილოთ. (ბიზანტიური) ოქროს საფასე, როგორც ჩანს, მთელს საქართველოში იყო გავრცელებული, კახეთ-ჰერეთის ჩათვლით.<sup>57</sup> თუმცა, მისი მიმოქცევა, ბუნებრივია, საკმაოდ ინსულარული ხასიათისა იყო - მონეტები კონცენტრირდებოდა მონარქისა და დიდებულების, ეკლესიისა და მის მესვეურთა ხელში.<sup>58</sup> ბიზანტიური ყაიდის ქართული ვერცხლის მონეტების მიმოქცევა განხილული აქვთ ირაკლი ფაღავასა და როლანდ სპანდერაშვილს;<sup>59</sup> ამ საკითხს ამჟამად

<sup>56</sup> ფაღავა, „სპილენძის მონეტა დავით აღმაშენებლის გამოსახულებით და საქართველოს მეფეთა წოდებულება. ნაწილი I“, 265.

<sup>57</sup> Иракли Пагава, Гиорги Гогава, „Обращение золотых монет Византийской империи в восточной Грузии (Кახети-Эрети) и загадочный знак на монетах царицы Русудан“, Нумизматические чтения Государственного исторического музея 2019 года. К 90-летию А. С. Мельниковой и 100-летию В. В. Узденикова. Москва, 26 и 27 ноября 2019 года. Материалы докладов и сообщений (Москва, 2019): 55-60.

<sup>58</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., 39-44.

<sup>59</sup> ფაღავა, როლანდ სპანდერაშვილი, „XI-XII საუკუნის ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტები: მიმოქცევის ხასიათი“, 286-305; ფაღავა, „ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის მონეტების უპასპორტო განძი და დავით IV-ის სვანეთში ახალნაპოვნ მონეტები (ბიზანტიური ყაიდის ქართული საფასის მიმოქცევა ახალი ცნობების გათვალისწინებით)“, 93-97, 176-179.

აღარ ჩავუღრმავდებით; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დამკვიცბულად შეიძლება ჩაითვალოს ამ საფასის უპირატესად ეკონომიკური ფუნქცია, და ფართო გავრცელება საქართველოში (კახეთ-ჰერეთის გაერთიანებული სამეფოს ჩათვლით, ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის მიერ მის შემოერთებამდე). დავით IV-ის ზეობაშიც, მდგომარეობა, საფიქრებელია, არ შეცვლილა. აღმოჩენების კარტოგრაფირებით, თითქოს, ვლინდება დავითის ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის მონეტების მიმოქცევის სამი არეალი - აფხაზეთი, სვანეთი, და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ აღმოჩენების შემთხვევების (ანუ, დაკვირვებათა) სიმცირეს, ეს სურათი რეპრეზენტატიული არ უნდა იყოს. სხვა სიტყვებით, არა გვგონია, რომ, დავუშვათ, სტეფანწმინდის რაიონში დავითის მონეტები მიმოიქცეოდა, და, დავუშვათ, იმერეთში - არა. სვანეთში დავითის ვერცხლის მონეტების აღმოჩენის სიმრავლე კი ამ რეგიონის უკეთესი დაცულობით, XX საუკუნემდე დაცული საეკლესიო საგანძურების სიმრავლით უნდა აიხსნებოდეს, და არა დავითის მონეტების უპირატესად სვანეთში მიმოქცევით (ეკონომიკური თუ არა-ეკონომიკური, ვოტიური დანიშნულებით). ბიზანტიური ფოლისების გავრცელების არეალი კი - მთელი საქართველოა.<sup>60</sup> განსხვავებით ფოლისებისგან, ახალმოჭრილი თბილური მონოეპიგრაფიკული არაბულენოვანი საფასის გავრცელების არეალი შედარებით შეზღუდული ჩანს. ამგვარ არეალად წარმოდგვიდგება პირველ რიგში თბილისი და მისი შემოგარენი; თუმცა, ცალკეული ეგზემპლარები აღწევს კახეთამდეც, ასევე ანისის მხარემდეც.

თანადროული სამონეტო მიმოქცევის შესწავლის საფუძველზე დავასკვნით, რომ დავით აღმაშენებლის სამეფო წარმოგვიდგება მონეტარული კუთხით უზრუნველყოფილი, ასე ვთქვათ, მონეტარულად ჰარმონიული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოდ / ქვეყნად. სათანადო საფასე ხელმისაწვდომი იყოს ყველანაირი მასშტაბის ტრანსაქციების განსახორციელებლად და ფულის ყველა ფუნქციის შესასრულებლად.

\*

შევხოთ ასევე დავით IV აღმაშენებლის (მისი ადმინისტრაციის) სამონეტო და ფულად პოლიტიკას.

თავდაპირველად ის ტრადიციული იყო - ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის მონეტების ემისიის გაგრძელება; ანგარიშსწორების მსხვილი და წვრილი საშუალებების როლს კვლავინდებურად ბიზანტიური, შესაბამისად ოქროსა და სპილენძის მონეტები ასრულებენ.

თუმცა კი, ამ შემთხვევაშიც, დავითი გარკვეულ ინოვაციებს ნერგავს. შესაძლოა, ბიზანტიურ წოდებაზე უარის თქმიდან გამომდინარე (რაც რუის-ურბნისის კრების ჩატარებამდე მოხდა), შესაცვლელი გახდა მონეტის დიზაინი. ცენტრში, მონარქის ბიზანტიური ტიტულისთვის (და *სევასტოსი*) ალტერნატივა უნდა გამონახულიყო. ამ ალტერნატივის როლი შეასრულა, სხვადასხვა დროს (ნაკლებ მოსალოდნელია, სხვადასხვა სამონეტო ტიპი სინქრონულად მოჭრილიყო) 1) ჯვრის გამოსახულებამ; 2) ქართული წოდებულების გაგრძელებამ, ახალმა, *ქართულმა* წოდებებმა; 3) დავითის ვარსკვლავში ჩაწერილი ვარსკვლავის გამოსახულებამ; 4) კელის გამოსახულებამ.

<sup>60</sup> დუნდუა, დუნდუა, ქართული ნუმისმატიკა. I ნაწილი, 211-218.

ამ ინოვაციების სემანტიკას უკვე შეეხო ევგენი ჭანიშვილი<sup>61</sup> და ამ თემაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ; თუმცა კი, ამ ახალი იკონოგრაფიული მოტივების შერჩევის მიზეზები უკიდურესად საინტერესოა.

ცალკე საკითხია დავით IV აღმაშენებლის მიერ სხვადასხვა ვერცხლის საფასის ემისიის ქრონოლოგია. ამ საკითხს საკმაოდ დაწვრილებით ვალერი სილოგავა შეეხო.<sup>62</sup> თუმცა, ვთვლით, რომ მისი დასკვნები კრიტიკულ გადახედვას საჭიროებს, მით უფრო, ახალი მასალის შუქზე. ამ საკითხის კვლევისგან ამ ეტაპზე თავს ვიკავებთ.

საზოგადოდ კი, ჩვენამდე მოღწეული ეგზემპლარების მიზეზული რაოდენობის გათვალისწინებით, შეიძლება ფრთხილი ვარაუდის გამოთქმა, რომ დავითის ვერცხლის ემისიის ინტენსიურობა (შესაძლოა, ცალკეული ტიპების ემისიების ინტენსიურობაც) მცირდებოდა. საბოლოო ჯამში, დავითის ზეობაში ვერცხლის საფასის გამოშვება შეწყდა. დავითის მემკვიდრე დემეტრე ჭრიდა მხოლოდ სპილენძის საფასეს, მონოეპიგრაფიკულს, და, დასაწყისში მაინც, ექსკლუზიურად არაბულენოვანს.<sup>63</sup>

სამაგიეროდ, გაჩნდა ბაგრატიონი მონარქებისთვის აბსოლუტურად ნოვატორული ტიპის საფასე - მონოეპიგრაფიკული და არაბულენოვანი, რომელშიც ქართველი მონარქი, ერთის მხრივ, *მეფე მეფეთაა* და *მესიის მახვილიც* კი, მეორეს მხრივ კი, საფასეზე ჩნდება *დიდი სელჩუკი სულთნის სახელი და მაჰმადიანური რელიგიური ფორმულა* (როგორც ჩანს, 'აბასიანი ხალიფის სახელიც?'). საუბარია დავითის მიერ 1122 წელს თბილისის აღების შემდეგ მოჭრილ საფასეზე.

ზემოთ მოვიყვანეთ ალ-ფარიკისა და სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობები, რომელიც ძალიან ძვირფასია, ვინაიდან გვაწვდის ინფორმაციას ამ გადაწყვეტილების გარემოებებსა და მიზეზებზე.

რასაკვირველია, არაბი ავტორების ცნობები მთლად ზუსტი არ არის - ასე, მაგალითად, დავითის სახელი მონეტის კიდეში კი არა, ცენტრშია; ოქროს დინარები თბილისში დავითს, შემონახული სამონეტო მასალით თუ ვიმსჯელებთ, არ მოუჭრია (დირჰემები კი სპილენძის ფულის აღმნიშვნელია; ცნობის ეს ნაწილი რეალობას ასახავს); ეს უზუსტობა ცნობების სხვა კომპონენტებსაც გარკვეულწილად საეჭვოდ აქცევს). თუმცა, ცნობები უდავოდ, 1122-1125 წლის რეალიებს ასახავს და ეყრდნობა.

ალ-ფარიკის (და სიბტ იბნ ალ-ჯაუზის) მიხედვით, დავითმა ახალი, ისლამური ყაიდის საფასე ახალდამორჩილებული ქალაქის მაჰმადიანური მოსახლეობისათვის ერთ-ერთი დათმობისა თუ მინიჭებული პრივილეგიის სახით გამოუშვა. თუმცა, ამ საფასის დანიშნულება, საფიქრებელია, ასევე, სამეფოს მსხვილი (წამყვანი?) ეკონომიკური ცენტრის, და, ამასთანავე, უკვე პოლიტიკური ცენტრის მოსახლეობის ანგარიშსწორების საშუალებით უზრუნველყოფაც იყო. თბილისისნაირი მსხვილი ურბანული ცენტრის ეკონომიკური ცხოველქმედებისთვის საფასის საკმარისი რაოდენობით ხელმისაწვდომობას დიდი მნიშვნელობა აქვს. შემთხვევითი არ არის, რომ თბილისში საკუთარი საფასის ემისია გრძელდებოდა ჯა'ფარიანთა გადაშენება-

<sup>61</sup> Chanishvili, "The New Unique Georgian-Byzantine Coin Types of King David IV the Builder", 71-73.

<sup>62</sup> სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, 249-252.

<sup>63</sup> Turkia, Paghava, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia", 9-12; Paghava, Turkia, Zlobin, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum", 13-14.

გამევეების შემდეგაც, ანუ, ოთხიოდ ათწლეულში 1080-იანი წლების დასაწყისიდან და 1122 წელს დავითის მიერ თბილისის აღებამდე.<sup>64</sup>

მონოკვირაფიკული არაბულენოვანი საფასის ემისიის დაწყების გადაწყვეტილებამ კარდინალურად შეცვალა ბაგრატიონთა ტრადიციული სამონეტო პოლიტიკა (ბაგრატ IV-დან მოყოლებული - *ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის საფასის გამოშვება*). 1122 წელი ძალიან მნიშვნელოვანი ტეხილია საქართველოს ნუმისმატიკურ (და არა მარტო) ისტორიაში. ამ დროიდან და ვიდრე 1230 წლამდე, ბაგრატიონები უშვებენ ექსკლუზიურად სპილენძის, წესიერი და, უფრო, უწესო ჭედვის სპილენძის მონეტებს, რომელზედაც არაბულენოვანი ლეგენდების ხვედრითი წილი ჯერ 100%-ია, და ერთი საუკუნით გვიანაც მხოლოდ 50%-მდე თუ ჩამოდის.

ირაკლი ფაღავას გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი XI საუკუნის საქართველოში ნუმისმატიკური განვითარების ვექტორების შესახებ; განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებულ ქართულ, სომხურ, და არაბულ სახელმწიფოებში მონეტარული პოლიტიკის თავისებურებები და ევოლუცია; გაკეთებულია დასკვნა, რომ დასავლურ-ქართული (ქართლის დასავლეთი ნაწილითურთ) სახელმწიფოს სათავეში მდგომი ბაგრატიონების, კერძოდ, დავით IV აღმაშენებლის მიერ გაერთიანებულ საქართველოში გაიმარჯვა არა ეგრისის ვექტორმა (წესიერი ჭედვის ქართულ-წარწერიანი და ვლაქერნის ღვთისმშობლის გამოსახულებიანი ბიზანტიური ყაიდის ვერცხლის საფასის გამოშვებამ), არამედ დავითის მიერ შტურმით აღებული და მახვილით დამორჩილებული, მაჰმადიანური თბილისის ვექტორმა (უწესო ჭედვის არაბულ-წარწერიანი მონოკვირაფიკული ისლამური ყაიდის სპილენძის საფასის გამოშვებამ).<sup>65</sup> რატომ მოხდა ასე? რატომ გადაიზარდა დაპყრობილი (თუნდაც მსხვილი) ქალაქის მოსახლეობის შესაწყნარებლად მისთვის მინიჭებული პრივილეგია ზოგად-სახელმწიფოებრივ პოლიტიკად?

ვფიქრობთ, ირაკლი ფაღავას მიერ 2016 წელს ჩამოყალიბებული დებულებები<sup>66</sup> მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს სარწმუნოებას; რამდენადმე რედაქტირებული სახით, მათ აქაც წარმოვადგენთ:

- რეგიონის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ცენტრის, თბილისისა და მისი ეკონომიკურად აქტიური (უპირატესად?) მუსლიმური მოსახლეობის ქრისტიანულ ქართულ სახელმწიფოში ინტეგრირების მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ დავითმა გადაწყვიტა, თბილისელთა შესაწყნარებლად, მათთვის ტრადიციული, ისლამური ყაიდის სამონეტო ტიპი გამოეშვა;

- თბილისის ეკონომიკურმა წონალობამ, მაჰმადიანი თბილისელი ვაჭრების ეკონომიკურმა აქტიურობამ განაპირობა მათთვის თავდაპირველად პრივილეგიის სახით მოჭრილი საფასის ემისიის მდგრადობა;

<sup>64</sup> Irakli Paghava, "Muslim Tiflis before Georgian Conquest: Numismatic Evidence (Monetary Issues in the Name of al-Mustazhir)", *XV International Numismatic Congress. Taormina 2015. Proceedings. Volume II* (Roma-Messina, 2017): 1155-1158. ირაკლი ფაღავა მუშაობს ამ საკითხისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაზე.

<sup>65</sup> ირაკლი ფაღავა, „საქართველოს გაერთიანება და ნუმისმატიკური ევოლუციის ვექტორები (X საუკუნის დასასრული - XII საუკუნის დასაწყისი)“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო IV (2016): 247-270, 344-345.

<sup>66</sup> იქვე, 266-267.

• ამ მდგრადობას განაპირობებდა ორი დამატებითი გარემოება: გამწვავებული ვერცხლის კრიზისის<sup>67</sup> პირობებში უწესო ჭედვისა და სპილენძის გამოშვება, ჩანს, უფრო ადეკვატური იყო; არაბული რეგიონის lingua franca იყო - შესაბამისად, გაძლიერებულ და, ყველაზე ცოტა, რეგიონულ ასპარეზზე გამოსულ დავითს ერჩივნა „საერთაშორისო“ ნორმების შესაბამისი საფასე გამოეშვა;

თუმცა, მაინც ძნელი სათქმელია, „თუ რამ შეუშალა ხელი ტრიუმფატორ მონარქს პარალელურად, ყველაზე ცოტა, ლიხს-დასავლეთით მდებარე პროვინციებისათვის მაინც, კვლავინდებურად უფრო ტრადიციული, ბიზანტიური ყაიდისა და ეროვნული ელემენტების მატარებელი მონეტის გამოშვება გაეგრძელებინა.“<sup>68</sup>

დავითის ფულადი პოლიტიკიდან ერთგვარად ამოვარდნილად გვეჩვენება მისი გამოსახულებიანი საფასის ემისია. ირაკლი ფაღავას გამოთქმული აქვს ჰიპოთეზა, რომ ამ ტიპის მონეტების მოჭრა განხორციელდა ანისში, ამ ქალაქის ადგა-შემოერთების შემდეგ; და რომ ეს მონეტები გარკვეულწილად მემორიალური, ან, სულაც, დონატიური ბუნების იყო.<sup>69</sup> ეს საინტერესო და ახალი შტრიხი იქნებოდა დავით აღმაშენებლის მონეტარული პოლიტიკის დასახასიათებლად.

ამასთანავე, საფიქრებელია, რომ ტიპოლოგიურ-იკონოგრაფიულად (და მეტროლოგიურად?) მიმსგავსებული ბიზანტიური ფოლისები ახალი სამონეტო ტიპის შერჩევისას ერთგვარი შთაგონების წყაროს, პროტოტიპს წარმოადგენდნენ.

იზადება ესეთი კითხვაც - დამოუკიდებლად მათი თავდაპირველი დანიშნულებისა, დავითის გამოსახულებიანი მონეტები თამაშობდნენ რაიმე ეკონომიკურ როლს თუ არა? ქვემო ქართლში *სხვა სიქებით მოჭრილი* მეორე ეგზემპლარის აღმოჩენა გვაფიქრებს, რომ ემისია არც ისეთი სპორადული იყო, როგორც შეიძლებოდა აქამდე გვეფიქრა; და რომ ეს მონეტები, შესაძლოა, ჩაერთვნენ კიდევაც ქვეყნის ეკონომიკაში, რიგითი საფასის როლში.

\*

ახალ აღმოჩენებზე დაყრდნობითა და მასალისადმი ახლებური მიდგომის საფუძველზე გავანალიზეთ დავით IV აღმაშენებლის ზეობის ნუმისმატიკური ისტორია. რასაკვირველია, ჩვენ შევისწავლეთ და წარმოვადგინეთ შუასაუკუნოვანი ქართული ნუმისმატიკური მოზაიკის მხოლოდ ერთი, თუნდაც, ძალიან მსხვილი და მნიშვნელოვანი ელემენტი. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ნაშრომი თავის წვლილს შეიტანს ქრონოლოგიურად უფრო ვრცელი პერიოდის ნუმისმატიკური ისტორიის შესწავლაშიც.

<sup>67</sup> ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის ისტორიისათვის ამ უკიდურესად მნიშვნელოვანი ფენომენის განხილვა ნამდვილად სცდება ჩვენი ამჟამინდელი ამოცანის ფარგლებს.

<sup>68</sup> იქვე, 267.

<sup>69</sup> ფაღავა, „სპილენძის მონეტა დავით აღმაშენებლის გამოსახულებით და საქართველოს მეფეთა წოდებულება. ნაწილი I“, 265.

**Irakli Paghava**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies*

**Evgeni Chanishvili**

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

## **NUMISMATIC HISTORY OF DAVID IV THE BUILDER: MONEY CIRCULATION, ISSUED COINAGE, AND MONETARY POLICY**

The numismatic history of David IV is very multifaceted, and capable of facilitating the research of various aspects of the contemporary political, economic and cultural history of Georgia. Nevertheless, no complex scholarly work has ever been devoted to the monetary aspects of David IV's brilliant reign. Our **goal** is to fill in this gap in Kartvelian numismatic studies, by means of analyzing the numismatic legacy of David IV, as well as his monetary policy and contemporary money circulation within his realm. Our research is based on the comparative analysis of the monetary material, data on the hoards and single coin finds pertaining to the 1080s-1120s time period, and contemporary Georgian documents, as well as later Arab narrative primary sources.

Our work starts with describing the extant 7 coins types attributed to David IV (3 of these coin types were discovered by the authors and published in recent articles). 5 coin types have similar obverse, with the effigy of the Mother of God, and the reverses with Georgian legends and some effigy in four cases. These types all are extremely rare, represented by 5-8 specimens at most, three types being known by unique specimens; they are as follows:

- I. Byzantine type regular silver coinage with Byzantine title in the reverse center;
  - II. Byzantine type regular silver coinage with the effigy of Cross in the reverse center;
  - III. Byzantine type regular silver coinage with Georgian titles in the reverse center;
The graphic clearly illustrates the synchronicity between the foreign policy activities in general and Mamluks foreign initiatives. Moreover, while during the first years after taking the power (650-653 AH) the Mamluks were more an object of the foreign policy activities from abroad, in 683-697 AH (what in many aspects was a result of the first battle at Homs in October 1281) and further intensive domestic struggle inside the Ilkhanate, the Mamluks dominated in the region facing practically no resistance.

Besides that, the graphic demonstrates the absence of any statistical regularity in the Mamluk foreign policy activities in the considered period. It can be interpreted as an absence of any established system of regional relations, as well as apparent absence of a hegemon in the region. An additional argument in favor of this statement can be found in the events occurred within the history of the Mamluk state foreign policy – in spite of a number of significant victories and complete defeat of one of the rivals – the Crusader states in Palestine – the end of the discussed period was marked with a large defeat of the Mamluks in the second battle at Homs (1299 AD).

The chronological distribution of the Mamluks foreign policy activities is presented in the following table:

Number of events in a year	Number of the years, in which this number of events took place
0	12
1	13
2	4
3	4
4	6
5	2
6	4
7	1
8	0
9	2
10	2


The mean is 2.72 foreign policy events per year. The median is 1.5 events per year, while the standard deviation is 2.843. Correspondently, the outliers (mean plus two standard deviations) – i.e. the years of the maximum foreign policy activities – start from nine events per year, while the years of moderate and minimum foreign policy activities are the years with three or more events per year (the mean and below).

The year of the maximum and minimum foreign policy activities are presented in the table below:

The years of maximum foreign policy activities	Ruler	The years of minimum foreign policy activities	Ruler
659 AH	al-Zahir Baibars	650-653 AH	Shajara(t) al-Durr, al-Ashraf Musa, al-Muizz Aybek
666 AH	al-Zahir Baibars	655-658 AH	al-Muizz Aybek, al-Mansur Ali, al-Mudzaffar Qutuz

669 AH	al-Zahir Baibars	665 AH	al-Zahir Baibars
682 AH	al-Mansur Qalawun	672 AH	al-Zahir Baibars
		674-679 AH	al-Zahir Baibars, al-Said Barakah, al-Adil Solamish, al-Mansur Qalawun
		683-699 AH	al-Mansur Qalawun, al-Ashraf Khalil, al-Adil Kitbugha, al-Mansur Lajin, al-Nasir Muhammad

The foreign policy activities of certain Mamluk rulers are illustrated by the following diagram:



The diagram clearly demonstrates that the most active ruler from the point of view of foreign policy activities was al-Zahir Baibars. These results are particularly significant in the light of the fact that the author of ‘*Zubda(t) al-Fikra(t)...*’, Baibars al-Mansuri al-Nasiri, was a mamluk of the sultan al-Mansur Qalawun, he was promoted during the latter’s reign and continued his career under Qalawun’s sons – al-Ashraf Khalil and al-Nasir Muhammad. The main military events in the early history of Mamluks – the battle at Ayn Jalut (1261),

capture of Akka (Acre) and final defeat of the Crusader states in Palestine (1291), two battles at Homs (1281 and 1299) did not take place under al-Zahir Baibars rule as well.


Both the table and the diagram point out an excessive peak of the foreign policy activities under al-Zahir Baibars. The year 659 AH was an attempt of the new malik to reformat the political and military influence in the region under the conditions when a part of the traditional centers of power was destroyed during the Mongol invasion, while the invasion itself was stopped in the battle at Ayn Jalut (1261). This reformatting of political and military influence was occurring simultaneously with the active attempts of the new malik al-Zahir Baibars to legitimize his rule by restoring the Abbasid Caliphate in Cairo. This restoration itself with Cairo as the new capital of the Caliphate can be considered as a part of the process of this reformatting.

It is interesting to evaluate the foreign policy activities in the considered period not only with the quantitative indicators but with qualitative indicators as well. For this purpose, we suggest to apply a widely used by historians of international relations and political scholars the method of evaluating every single event with a number of points. In Belarus this method has been widely applied initially to the Index of Belarus Foreign Policy (developed by the Belarusian Institute of Strategic Studies in Vilnius) and later on to Minsk Barometer (developed by Minsk Dialogue Initiative).

We propose the following scale to evaluate the foreign policy events:

Event	Mamluks' initiative or their advance	Damage for Mamluks
Significant victory, capture of a city or a fortress	+3	-3
Raid, military campaign	+2	-2
Embassies exchange	+1	-1
Other event	+1	-1

All foreign policy events were evaluated according to this scale. The total amount of points is +169, their distribution according to particular years is presented in the following graphic:



The presented graphic illustrates a number of interesting observations. For instance, it is generally positive (above zero), demonstrating a general picture of undoubted success of the Mamluks foreign policy activities. In this context it clearly does not correlate to the graphic of quantitative dynamics which demonstrates that the Mamluks initiated only 49.3 per cent of the fixed foreign policy activities.

Taking into consideration this mathematic proportion one may expect more a less similar graphic of the qualitative dynamics but definitely not the apparent foreign policy supremacy of the Mamluks. The Pearson's R correlation coefficient between the quantitative and qualitative indicators of foreign policy activities is zero.

In general this situation corresponds to the genre specifics of the source, as well as to the perception of history by the Mamluk authors – from sufferings and pain experienced by the agent of the historic process (according to Baibars al-Mansuri, that are Kipchak Turks, who finally became the leaders of the umma(t)) to the glory of Islam and this very agent (Turks). In such scheme certain falls and defeats are quite possible and acceptable since they only emphasize the total general success of the foreign policy, creating allusions with the life of the Prophet Muhammad.

From the statistics point of view, the graphic of the qualitative dynamics of the Mamluk foreign policy in 650-699 AH has much less any statistical dependence, comparing to the graphic of quantitative dynamics. Thus, the mean is 3.38 points, while standard deviation is 4.869 and median is 2, i.e. the gap between the mean, median and standard deviation is larger than in the quantitative dynamics. The outliers are the years when the foreign policy index has 15 and more points. These years (including two years with little bit fewer points) are presented in the following table:

AH	Number of points	Brief description of the events
664	14	Large military campaign by al-Zahir Baibars with capture of Qaliat, Safed and Sis
666	17	Large military campaign by al-Zahir Baibars with capture of Jaffa, al-Shaqif (Beaufort castle) and Antioch
669	14	Large military campaign by al-Zahir Baibars with capture of Hisn al-Akrad (Krak des Chevaliers), Akkar, Aliqa, al-Karin, however, with failed attack against Cyprus
682	19	Large military campaign by al-Mansur Qalawun with a number of Armenian troops defeats, capture of the fortresses Katin and al-Kahta, as well as a number of diplomatic missions from the Crusaders and Ilkhan Ahmad-sultan, who became a Muslim

The table demonstrates that the peaks of the foreign policy success of the Mamluk rulers were related mainly to their military campaigns against the Crusader states in the Middle East. Moreover, these military campaigns became possible only during the period of decrease in the Middle Eastern activities of the Ilkhanate. Thus, the years 663-664 AH

witnessed a serious conflict between Abaqa Khan, who had recently come to power, and Juchi's Ulus (Golden Horde). The year 665 AH was the beginning of a major conflict between Abaqa Khan and Baraq Khan in Central Asia. The year 669 AH was the end of this conflict with Abaqa Khan's victory (and next year there was a united military campaign of the Tatars and the Crusaders against the Mamluk state). The year 682 AH witnessed serious domestic rivals in the Ilkhanate, while the Ilkhan Ahmad Sultan, who had become a Muslim, made an attempt to establish alliance with Mamluks.

It is important to look at the years of minimum foreign policy activities as well. Statistically, that are the years with below zero points, which correspond to the difference between the mean and one standard deviation. The years with the total amount of points equal to the difference between the mean and two standard deviations are not fixed<sup>44</sup>. These years presented in the table below:

AH	Number of points	Brief description of the events
650	-1	Mamluks ascent to power. Their conflict with the Syrian Ayyubids
670	-1	Coordinated attack by the Tatars and the Crusaders
679	-3	Al-Mansur Qalawun's ascent to power. Failed military campaign against the Crusader States. Sunqur al-Ashqar is contacting the Ilkhanate.
698	-2	Beginning of the large military campaign by the Tatars which will result in Mamluks defeat in the battle at Homs
699	-3	Mamluks defeat in the second battle at Homs

It is important that in the four cases from five the fail in the foreign policy occurred simultaneously with the change of power in the Mamluk state. Definitely, there is an idea to interpret this fact as an argument for the significant role of malik as a military commander. However, we also may assume that this a part of the genre specifics – a new ruler, as Turks in general, comes from the fails and hardships to his personal glory and to the glory of Islam<sup>45</sup>.

Besides that, the years of quantitative and qualitative peaks and downfall in general correspond to each other. The following table illustrates this fact:

<sup>44</sup>This fact can be considered as an additional proof of artificial narrative about the foreign policy in the 'Zubda(t) al-Fikra(t)...'.


<sup>45</sup>In this context it is apparent that for Baibars al-Mansuri the rule of al-Zahir Baibars is a logical continuation of the rule of the first Mamluk rulers, while the rule of al-Mansur Qalawun is a beginning of a new period, the period of his family ruling, where the first peak is the Tatars defeat at the first battle at Homs and Crusaders final defeat in the Middle East and the maximum peak – the further success of al-Nasir Muhammad's foreign policy.

Quantitative peaks	Qualitative peaks	Quantitative downfalls	Qualitative downfalls
659 AH		650-653 AH	650 AH
	664 AH		670 AH
666 AH	666 AH	674-679 AH	679 AH
669 AH	669 AH	683-699 AH	689 AH
682 AH	682 AH		699 AH

It is necessary to remind that this corresponding and similarity occur within the zero statistical correlation between the qualitative and quantitative indicators of the Mamluk state foreign policy in the discussed period. It seems that these years can be considered as the key period in the development and implementation of the Mamluk foreign policy. As it has been mentioned above, it is related to more active steps of the Mamluks towards the Crusader states in the Middle East during the domestic conflicts or general instability in the Ilkhanate or, vice versa, to more active measures of the Ilkhanate together with the Crusader states towards the Middle East. Thus, at least in the Mamluk foreign policy the Ilkhanate and the Crusader states were perceived as more or less united and sustainable system.

The qualitative index of foreign policy according to the Mamluk rulers is presented in the following table and diagram

Ruler(s)	Number of points
First rulers	8
al-ZahirBaibars	113
al-Said Barakah	1
al-Mansur Qalawun	39
al-Ashraf Khalil	10
Rulers in 692-699 AH	-2



From the point of view of distribution between rulers the qualitative points are corresponding to the quantitative points with the exception of increase in the qualitative share of al-Mansur Qalawun (22 per cent versus 18 per cent in quantitative distribution) and small decrease in the share of al-Zahir Baibars (65 per cent versus 67 per cent). However, even in the qualitative distribution al-Zahir Baibars remained the main agent of the Mamluk state foreign policy in the considered period.

Thus, we can make the following conclusions:

The discussed period witnessed an absence of any established system of regional international relations, the foreign policy of the Mamluk state in many aspects had a reactive nature as a response to the danger from the Tatars (mainly, from the Ilkhanate).

The Crusader states in the Middle East and the Ilkhanate were perceived by the Mamluks as parts of the one danger, regardless the real relations which de-facto existed between these polities.

The concept of the narrative of the foreign policy applied by the author of the '*Zubda(t) al-Fikra(t)...*' remains within the general frames of the Mamluk elite's perception on the nature of the historic process. The emphasis made on the foreign policy activities of al-Zahir Baibars serves as a kind of the beginning of a new cycle, which will reach its peak during the reign of al-Nasir Muhammad.



## მცველები „მცველთა ხეთური ინსტრუქციის (LÚ.MEŠ MEŠEDI)“ მიხედვით

ხეთების სამეფოში, კერძოდ, ქ. ხათუსას სასახლეში, სადაც მეფე-დედოფლის რეზიდენციები („მეფის სახლი“, „დედოფლის სახლი“) არსებობდა, თავს იყრიდნენ მეფის დიდი მოხელეები („თელიფინუს ტექსტის“ მიხედვით „უპირველესნი“). ძველი სამეფოს დროს ეს ე.წ. „უპირველესნი“ შეადგენდნენ ფანქუსა და თულიას, რომლებიც მეფე-დედოფალთან ერთად პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, სასამართლო თუ სხვა საკითხებს წყვეტდნენ. იმპერიის პერიოდში მართალია ფანქუსა და თულიას ფუნქციები შესუსტდა, მაგრამ „უპირველესნი“ მაინც ინარჩუნებდნენ დიდ მოხელის სტატუსს და დიდი უფლებებით სარგებლობდნენ. ხეთების სამეფოში სხვადასხვა თანამდებობები არსებობდა. ტექსტებში გვხვდება როგორც მაღალი, ასევე დაბალი რანგის თანამდებობის პირებიც. ქვეყნის მოხელეების უმრავლესობას მეფესთან განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ და უშუალოდ ანგარიშვალდებულნი იყვნენ მის წინაშე. ასეთი პირები იყვნენ მისი უმაღლესი რანგის ადმინისტრატორებიდან დაწყებული, რიგითი სამხედრო პირებით დამთავრებული. მათი ურთიერთობა მეფესთან ხელშეკრულებებით ან მითითებებით რეგულირდებოდა, რომლებიც მათ ოფიციალურ მოვალეობებსა და ვალდებულებებს ასახავდა. ამ დოკუმენტიდან დაახლოებით ოცი შემორჩა (Bryce, 2002:16) და ყველა დოკუმენტი მნიშვნელოვანია, რადგან ისინი გვაწვდიან ინფორმაციებს მათი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ. მაღალი რანგის პირებს ერთობლივად „დიდ ბატონებს“ (EN / BĒLU GAL) ან „დიდებს“ (LÚ.MEŠ GAL) უწოდებენ. ისინი სხვადასხვა დოკუმენტებში ჩანან, როგორც სამხედრო მეთაურები; როგორც ცერემონიების, რიტუალების, ფესტივალების მონაწილეები; როგორც მოწმეები მნიშვნელოვან სახელმწიფო დოკუმენტებში; ან როგორც ცალკეული ადმინისტრაციული ინსტიტუტების პასუხისმგებელი თანამდებობის პირები (Bilgin, 2018:113). პირები, რომლებიც უმეტესწილად ხეთების ადმინისტრაციის მაღალ თანამდებობებს იკავებენ, სწორედ GAL – „დიდი, უფროსი, მთავარი“ ტიტულს ატარებდნენ (მაგ.: GAL MEŠEDI, GAL GEŠTIN და სხვ.).

სასახლის კარზე მომსახურე მრავალფეროვან მოხელეთა შორის განსაკუთრებით მცველები გვინდა გამოვყოთ. მთელი სამეფო კარის დაცვის ორგანიზება მათ ხელში იყო და არა მარტო სამეფო დაცვის, არამედ სხვა ფუნქციებსაც ითავსებდნენ. სასახლის კარზე მცველთა უფროსს (GAL MEŠEDI), მცველთა ათმეთაურს (UGULA 10 MEŠEDI) და რიგით მცველებს (LÚ MEŠEDI) მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მცველები ელიტურ გვარდიას ქმნიდნენ, თუმცა მათი რიცხვი მცირე იყო. შესაძლოა არსებობდა კიდევ მცველთა მცირე რაზმები, რომლებიც განთავსებულნი იყვნენ სამეფო ვილებში, სხვადასხვა სასახლეებში, რომელსაც მეფე პერიოდულად სტუმრობდა (Bryce, 2002:22).

განსაკუთრებით გამორჩეულია მცველთა უფროსის (GAL *MEŠEDI*) თანამდებობა, რომელიც სასახლის კარზე საპატიოდ ითვლებოდა და როგორც ჩანს, უკვე ხეთური სახელმწიფოს ადრეული დროიდან არსებობდა. ყველაზე ადრეული GAL *MEŠEDI* გვხვდება წინა იმპერიის პერიოდის დიდაქტიკური ჟანრის ტექსტში - „სასახლის ქრონიკაში“ (CTH 8). ამ ტერმინის შესაბამისი ხეთური სიტყვა არ გვაქვს. ის იყო ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა მეფის, დედოფლისა და მეფისნაცვლის შემდეგ (Bilgin, 2018:97).

ასევე საინტერესოა, რომ მეფის ოჯახისა და საკულტო პერსონალის გარდა ფესტივალებსა და რიტუალებში ხშირად მონაწილეობდნენ მაღალი რანგის პირებიც. ტექსტებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ მცველთა უფროსს (GAL *MEŠEDI*) მნიშვნელოვანი საკულტო პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.<sup>1</sup> მაგალითად, მცველთა უფროსი კულტმსახურებაში მონაწილეობს. ის გვევლინება მეფესა და „მაღლ-კაცებს“ შორის შუამავლად დასაზეიმოდ აცხადებს, ატყობინებს მეფეს „მაღლ-კაცების“ საჩუქარს<sup>2</sup> (Haas, 1994:678-679, 691,) მცველთა უფროსი მონაწილეობდა სატრაპეზო რიტუალშიც. ალპი მიიჩნევს, რომ მცველთა უფროსი რადგან ხშირად ჩნდება ფესტივალებსა და რიტუალებში მას სამხედრო და ადმინისტრაციული მოვალებები არ ჰქონდა, არამედ მხოლოდ საზეიმო მოვალებები გააჩნდა და თარგმნა მისი ტიტული, როგორც „ცერემონიალის ოსტატი, ცერემონიამისტერი“ (Alp, 1940:5). მის მიერ მოყვანილი მაგალითები მიუთითებს GAL *MEŠEDI*-ს შუამავლის პოზიციაზე მეფესა და სხვა ოფიციალურ პირებს შორის იმ ცერემონიების დროს, როდესაც ის ბრძანებებს აძლევს სხვადასხვა მსახურებს, აკეთებს განცხადებებს მეფისთვის, ან აგრძელებს ცერემონიებს მეფის სახელით მეფის წასვლის შემდეგ (Alp, 1940:1-25; Bin-Nun, 1973:6 და შმდ.). ჩვენ ამ მოსაზრებას არ ვეთანხმებით, კულტმსახურებებში მონაწილეობა მცველთა უფროსის ერთ-ერთი მოვალეობა იყო. იგი ყველა სხვა თანამდებობის პირებზე მეტად იყო მეფის პირად უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი. მას ჰქონდა ადმინისტრაციული, სამხედრო, საკულტო-სარიტუალო ფუნქციები. შესაძლოა თავიდან არ იყო მისი ფუნქციები მრავალმხრივი და მხოლოდ მეფის დაცვით შემოიფარგლებოდა (Bilgin, 2018:113) და შემდეგ თანდათან გაფართოვდა მისი უფლება-მოვალეობები. ამ თანამდებობას ძირითადად იკავებდნენ მეფის ძმები<sup>3</sup> ან ოჯახის წევრები. მცველთა უფროსის თანამდებობა გამეფებამდე ეკავათ შემდგომში უკვე დიდ მეფეებს, მაგ.: მუვათალი I-ს, მურსილი II-ს, ხათუსილი III-ს, თუთხალია IV-ს.

მნიშვნელოვანია პეკიოლისნაშრომი, რადგან ის გვაწვდის ხეთ მოხელეებზე ინფორმაციას და GAL *MEŠEDI*-ს ტიტულის მატარებელი პიროვნებების სიას (Pecchioli, 1982:548-55). ასევე, ხეთების სამხედრო ძალების შესწავლისას, ბიალმა შეისწავლა ხეთების ისტორიაში ამ თანამდებობის ყველა ცნობილი მფლობელი და გაანალიზა მცველთა უფროსის მოვალეობები, აგრეთვე მისი რანგი სამხედრო იერარქიაში (Beal, 1992:327-342). GAL *MEŠEDI*-ი თანამდებობა ხეთების ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა ჟანრის მრავალრიცხოვან დოკუმენტებში გვხვდება. ეს დოკუმენტები გვაწვდის მცველთა უფროსის განსხვავებულ პასუხისმგებლობას, ასევე გვცხადებს

<sup>1</sup> CTH 606. KUB 25.16; CTH 612; CTH 613; CTH 626. KUB 41.44, KUB 11.34; CTH 627; CTH 634. KUB 20.76 Rs. III, KUB 25.9 Rs. IV, IBoT 2.14.

<sup>2</sup> KBo 20.67 + KBo 17.88 + KBo 24.116 + KBo 34.151.

<sup>3</sup> მაგალითად ბინ-ნუნი (1973) ვარაუდობდა, რომ ტიტული ჩვეულებრივ მეფის ძმას ენიჭებოდა.

სხვადასხვა პერიოდის მანძილზე ამ თანამდებობის რამდენიმე მფლობელის იდენტიფიცირებაში. (Bilgin, 2018:98).

ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი (Bilgin, 2018:113), სადაც მოცემულია იმ პირთა სია რომლებსაც შესაძლოა ეკავათ მცველთა უფროსის (*GAL MEŞEDI*) თანამდებობა.<sup>4</sup> ასეთი ჯგუში თოთხმეტი პირია და ბილგინი თითოეულს ცალცალკე მიმოიხილავს (Bilgin, 2018:97-117).

<i>GAL MEŞEDI</i>	მმართველი მეფე	სხვა თანამდებობა/ნათესაური კავშირი
ქიციუვა (Kizzuwa)	ხათუსილი I	
ზურუ (Zuru)	ამუნა	თარხუვაილის მამა
ხასუვას-ინარი (Haššuwāš-Inar)	თელიფინუ	
ხასუილი (Haššuiili)	ალუვამნა (?) და ხანთილი II	ციდანთა II-ის მამა.
ლარია (Lariya)	ხუცია II	
მუვათალი I (Muwatalli I?)	ხუცია II (?)	შემდგომში დიდი მეფე.
მუვა (Muwa)	მუვათალი I	
ქანთუცილი (Kantuzzili)	მუვათალი I (?) - თუთხალია I/II (?)	UGULA KUŠ <sub>7</sub> KÜ.GI, თუთხალია I/II-ის მამა.
ციტა (Zita)	სუფილულიუმა I	სუფილულიუმა I-ის ძმა.
მურსილი II (Mursili II?)	არნუვანდა II	არნუვანდა II-ის ძმა, მომავალში დიდი მეფე.
ხათუსილი III (Hattusili III)	მუვათალი	მუვათალი II-ის ძმა, შემდგომში დიდი მეფე.
თუთხალია IV (Tudḫaliya IV)	ხათუსილი III	ხათუსილი III-ის შვილი, შემდგომში დიდი მეფე.
ხუცია (Huzziya)	ხათუსილი III (?) და თუთხალია IV	თუთხალია IV-ს ძმა

ბლასვაილერი კიდევ ერთ პირს ასახელებს ხასუილსა და ლარიას შორის, ვისაც *GAL MEŞEDI*-ის თანამდებობა ეკავა - ესაა ციდანთა II, ხანთილის ძმა (Blasweiler, 2012:14).


აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლებში საინტერესო აღმოჩენა გაკეთდა. კერძოდ, ბოლაზქოიში არქეოლოგებმა გათხარეს დიდი სახლი ქალაქ ხათუსას ე.წ. შუა პლატოზე, სარიკალეს სამხრეთ-დასავლეთით (Schachner, 2015). სახლი სავარაუდოდ გამოიყენებოდა ძვ.წ. 15 ს.-სა და 13 ს.-ის დასაწყისის შუა პერიოდში. ერთ-ერთ შენობაში და მის მიმდებარედ აღმოჩნდა ლურსმნული ფირფიტების ცხრა ახალი ფრაგმენტი, მათ

<sup>4</sup> კითხვის ნიშნებით აღნიშნულია გაურკვევლობები, რომლებიც კიდევ მოითხოვს დამატებით მტკიცებულებებს დასადასტურებლად, დანამდვილებით ეკავათ თუ არა მათ მცველთა უფროსის პოზიცია.

შორის განსაკუთრებით საინტერესოა მაღალი რანგის პირებს შორის მიმოწერა (CTH 190: Bo 2007/1 + Bo 2009/2, KBo 62.29), კერძოდ სასახლის მსახურთა უფროსი (GAL DUMU<sup>MEŠ</sup>.É.GAL) უზავნის სასახლის მცველთა უფროსს (GAL MEŠEDI) წერილს (Wilhelm, 2017:268). წერილში მაღალი რანგის პირების ვინაობა არ არის დაკონკრეტებული. სწორედ ამ ფრაგმენტული წერილის გამო ვარაუდობენ, რომ სახლის მთავარი მკვიდრი შეიძლება ყოფილიყო GAL MEŠEDI (Lebrun, 1994:41-77, Bilgin, 2018:115). ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს თავად სახლის ზომა (445 მ<sup>2</sup>), შენობის ოთახების დაგეგმარება, განლაგება, ასევე იქ აღმოჩენილი დახვეწილი ჭურჭელი. ეს ყველაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ იგი გამოიყენებოდა როგორც საცხოვრებლად, ასევე საზოგადოებრივი ღონისძიებებისთვის (Schachner, 2015). თუ ეს იდენტიფიკაცია სწორია, მაშინ ეს შენობა შეიძლება გახდეს ხეთური მაღალი თანამდებობის პირის პირველი იდენტიფიცირებული საცხოვრებელი და ამ თანამდებობის პირის მაღალი სოციალური სტატუსის დემონსტრირება (Bilgin, 2018:115).



ფოტო №1: GAL MEŠEDI-ს სახლის აეროფოტო.  
(ფოტო აღებულია: Schachner, 2015:204, Abb.2)



ხათუსას გეგმა. GAL MEŞEDI-ს სახლის ადგილმდებარეობა.

მცველთა უფროსის თანამდებობის გავლენიანობას თელიფინუს ტექსტიც (ძვ.წ. 1550-1520წ.) ადასტურებს, როგორც ჩანს უზურპაციის მონაწილენი ხშირად იყვნენ დიდებულები, (მათ შორის შესაძლოა ყოფილიყო მცველთა უფროსიც) რამაც განაპირობა თელიფინუს მიერ მემკვიდრეობის წესის დადგენა და კანონთა გამკაცრება, რაც ცოდვის ჩადენის შემთხვევაში დიდებულების თუ მდაბიოების დასჯას ითვალისწინებდა. ამ დროს მოხდა სწორედ მცველთა უფროსის ფუნქციების ოდნავ შესუსტება, თუმცა ისინი სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად „უპირველესთა“ რიგში მაინც ირიცხებოდნენ. იმპერიის პერიოდში კი მცველთა უფროსის თანამდებობა ტრადიციად იქცა.

რამდენად მნიშვნელოვანი იყო დაცვის ინსტიტუტი ხეთებთან და საერთოდ მცველების როლი, ამას ტექსტის CTH 262 – „მცველთა ინსტრუქციის (LÚ.MEŠ MEŠEDI)“ არსებობაც ადასტურებს, სადაც მკაფიოდაა წარმოჩენილი მათი უფლება-მოვალეობანი, მკაცრად დადგენილი წესები და პროტოკოლი კონკრეტულ სიტუაციებში. მცველთა ინსტრუქცია ხეთების იმპერიის გვიანდელ პერიოდს (ძვ.წ. XIV-XIII ს.ს.) უნდა მიეკუთვნებოდეს. ტექსტში კარგად ჩანს ე.წ. „უპირველესნი“ და მეორე რანგის მოხელეები. იგი წარმოდგენას გვიქმნის მეფის საქმიანობის ზოგიერთ მომენტზე, სამეფო კარის ეტიკეტზე, სასახლის პერსონალზე. ამ ინსტრუქციაში კარგადაა ნაჩვენები მცველთა იერარქია, მათი ფუნქციები და ადგილი სამეფო კარზე, ასევე დამოკიდებულება სასახლის სხვადასხვა პერსონალთან და სხვა საინტერესო საკითხები. ტექსტში საუბარია სასახლის სხვა პერსონალზეც, სხვადასხვა რანგის სამხედრო პირებზეც, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მცველებზე გავამახვილებთ ყურადღებას. მანამდე პარაგრაფების მიხედვით მხოლოდ მცველებთან დაკავშირებულ მოკლე შინაარს წარმოვადგენთ:

1. მცველები წინა ეზოში და მათი როლი. §1
2. 12 მცველის ფუნქცია ეზოში და მათი ყოფნა არ ყოფნის საკითხი. §2
3. მცველის დგომის წესი სასახლის გარეთ, ჭიშკართან ახლოს და მისი ფუნქცია. §3
4. მაღალი და დაბალი რანგის მცველები სამსხვერპლოსთან. §4
5. მცველების გარეთ გამოსვლის შემდეგ ხელჯოხებთან დაკავშირებული წესი; მცველი მეფის ბრძანების შემსრულებელი. §5
6. მცველებს ეკრძალებათ დაცვის ადგილის მიტოვება. საპირფარეოში წასვლის წესები. §6, §7, §8.
7. კარიბჭეში მცველის შესვლის წესები. §9
8. მცველის და კარისკაცის დამოკიდებულება. §10
9. მცველთა გასვლის წესი კარიბჭიდან, პრივილეგირებული მცველი რომელსაც მოსარჩელე შემოჰყავს. §11
10. მცველთა დგომის წესი ეტლთან მიმართებაში და შესასვლელში. §12ა, §12ბ.
11. მცველთა განლაგება და მოვალეობები საზეიმო მსვლელობისას. §13-დან §28-მდე.
12. მცველი, მცველთა უფროსი სასამართლოზე და მათი მოვალეობები. §30-დან §36-მდე, §40

13. მცველები საომარ ჯარებთან მიმართებაში, შეიარაღებისა და დგომის წესები. §37, 38.
14. მეფის ეტლით გამგზავრებისას და უკან დაბრუნებისას მცველის, მცველთა უფროსის როლი. §41, §42, §43, §47.
15. მეფის სასახლეში შესვლის შემდეგ მცველის მოვალეობა, ეზოში დგომის წესები. §50, §51, §52, §53.
16. მცველების დაპურება. §54

თითოეული პუნქტი უფრო გავშალოთ და ვნახოთ ტექსტის მიხედვით მცველთა სხვადასხვა იერარქიის უფლება-მოვალეობები.

§1-§3 ეხება მცველთა დგომის წესებს სასახლის ეზოს შიდა და გარე პერიმეტრზე. მცველები დღის დაწყებისთანავე იკავებდნენ ეზოს ჭიმკართან მათთვის განკუთვნილ ადგილს. სასახლის მიმართულებით შიდა კედელთან იდგა შუბებით შეიარაღებული 12 მცველი, მაგრამ ზოგჯერ მათი რიცხვი ნაკლებიც იყო. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ზოგიერთ მცველს გარკვეული დავალების შესასრულებლად უშვებდნენ, ზოგიერთს კი სახლში (შეიძლება მიზეზი სხვადასხვა ყოფილიყო, შეიძლება შევბუღებაც ვიგულისხმობთ). ამ დროს მცველს იარაღი თან არ მიჰქონდა, სავარაუდოდ აკრძალული იყო. აქედან გამომდინარე იარაღი რჩებოდა ზედმეტი, რომელსაც იბარებდა კარისკაცი და ის მეთვალყურეობდა.

ასევე ერთ-ერთ რიგით მცველს ევალებოდა ოქროს შუბოსანთან ერთად სასახლის გარეთა კედელთან, კერძოდ ჭიმკართან ახლოს დგომა და დაცვა მთელი დღის განმავლობაში.

§4 ჩანს მაღალი იერარქიის მცველთა რელიგიური მხარე. როგორც ჩანს, ისინი, კერძოდ მცველთა უფროსი და მცველთა ათმეთაური როდესაც შუბის მფარველი ღვთაების წინაშე ლოცულობდნენ, ამ დროს მათ თან ახლდნენ შედარებით დაბალი რანგის მცველებიც. ლოცვის დროს მათ იარაღი თან არ უნდა ჰქონოდათ, რადგან იარაღს (ხელჯოხს) ართმევდა მცველთა უფროსს მაღალი წოდების მცველი და დებდა საკურთხეველთან, ხოლო მცველთა ათმეთაური კი გადასცემდა რიგით მცველს და მას ეჭირა. ისინი გარეთ გამოსვლის შემდეგ იარაღს კარისკაცებს აბარებდნენ.

§6-§8 საუბარია იმ აკრძალვაზე, რომელიც მცველის მიერ საკუთარი ნებით ადგილის მიტოვებას ეხება. როგორც აღვნიშნეთ, მცველებზე იყო დამოკიდებული სასახლის შიგნით თუ გარეთ დაცვის უზრუნველყოფა. როგორც ჩანს, ეს იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მცველს არ ჰქონდა თავისი ნებით დაცვის ადგილის მიტოვების უფლება, თუნდაც ფიზიოლოგიური მოთხოვნილების (შარდი შეაწუხებდა თუ კუჭ-ნაწლავი) დროს. ეს შეთანხმებული უნდა ყოფილიყო მცველთა უფროსთან. ამ დროს არსებობდა კონკრეტული წესები, რომლის მიხედვითაც უნდა ეხელმძღვანელა იმ მცველს, ვისაც საპირფარეოში სურდა წასვლა. იგი ყველა მცველს მოუვლიდა უკნიდან და მის წინ მდგომ მცველს ეუბნებოდა, რომ წასვლა სურდა. ის სხვა მცველს გადასცემდა. ის კი მესამე რანგის მოხელეს. მესამე რანგის მოხელე მეორე რანგის მოხელეს ეუბნებოდა. მეორე რანგის მოხელე კი მცველთა ათმეთაურს გადასცემდა, მცველთა ათმეთაური მცველთა უფროსს. ეს უკანასკნელი კი გასცემდა თანხმობის განკარგულებას და სავარაუდოდ ეს თანხმობა იგივე პრინციპით ბრუნდებოდა უკან, და მხოლოდ ამის შემდეგ ტოვებდა მცველი დაცვის ადგილს და მიდიოდა საპირფარეოში.

მცველს ეს წესი მკაცრად უნდა დაეცვა და თვითნებობა არ უნდა გამოეჩინა, თორემ სავარაუდოდ შესაბამისად დაისჯებოდა. მაშასადამე, ეს საკითხი საკმაოდ მოწესრიგებული იყო სასახლეში, უფრო მეტიც, თვით მეფე აკონტროლებდა მას.

საინტერესოა §9 და §10, აქ ნაჩვენებია რა შემთხვევაში ჰქონდათ მცველებს კარიბჭეში შესვლის უფლება და რა დროს არა. მნიშვნელოვანია ამ დროს მცველისა და კარისკაცის ურთიერთდამოკიდებულება. საერთოდ მცველს კარიბჭეში პირდაპირ შესვლის უფლება არ ჰქონდა „მას კარისკაცი უბრაზდება“ - ნათქვამია ტექსტში, ე.ი. კარისკაცი აკონტროლებს, არეგულირებს კარიბჭეში ვინმეს შესვლის საკითხს. თუკი მცველი მაინც შევა და მას იარაღი აქვს თან, აუცილებლად კარისკაცთან უნდა დატოვოს და ისე შევიდეს. თუ მცველი იარაღით შევა და კარისკაცი ვერ შეამჩნევს, მაშინ მცველს უფლება აქვს მას უჩივლოს უყურადღებობისთვის და სასამართლოს გადასცეს განსასჯელად. მაგრამ თუ კარისკაცი წაისწრებდა მცველს „ცოდვაზე“, მაშინ იგი მას სასამართლოს კი არ გადასცემდა, არამედ „ფეხსაცმელს უხსნიდა“. ეს თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტი საკმაოდ საყურადღებოა. როგორც ჩანს, თვით კარისკაცის კომპეტენციაში შედიოდა ასეთი სადამსჯელო ქმედება. ეს შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იყო უფრო მორალური შეურაცხყოფა, ერთგვარი დამცირება ჩადენილი „ცოდვის“ საპასუხოდ. შესაბამისად ამიტომაც არ იხილებოდა სასამართლოში. ეს ალბათ უფრო უნდა მივიჩნიოთ როგორც სამარცხვინო დანაშაული, როგორც პირადი ღირსების შელახვა.

მთავარი კარიბჭით სარგებლობის წესებზეა §11. მიუხედავად იმისა, რომ მცველებს საერთოდ სამეფო კარზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ მაინც არ ჰქონდათ უფლება მთავარი კარიბჭით სარგებლობის, ისინი სარგებლობდნენ უკანა კარით. თუცა მცველისთვის არსებობდა პრივილეგირებული მდგომარეობა იმ შემთხვევაში, როდესაც მას მოსარჩელე შემოჰყავდა, ან გაგზავნილი იყო შიკრიკთა მეთაურის მიერ რაიმე დავალების შესასრულებლად, მაშინ სარგებლობდნენ მთავარი კარიბჭით. ეს იყო გამონაკლისი შემთხვევები.

თუკი მეფე სადმე მიემგზავრებოდა, მაშინ თითოეულ სასახლის მსახურს თავისი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. კერძოდ, მცველი ქმნიდა კარისკაცთან და ოქროს შუბოსანთან ერთად იმ სამეულს, ვისაც კარიბჭის მთავარი დიდი ჭიშკრის გახსნა და დაკეტვა ევალებოდა. როდესაც მეფის ეტლს მეჯინიბეები მოაბრუნებდნენ, ანუ სასურველ მიმართულებას მისცემდნენ, ამ დროს მცველები შესასვლელის მარჯვენა მხარეს უნდა მდგარიყვნენ. თუკი რომელიმე ქალაქში ეტლის მარჯვნივ დგომა შეუძლებელი იყო, მარცხნივ დგებოდნენ (საერთოდ წესის მიხედვით კი მათი ადგილი ყოველთვის მარჯვნივ იყო). ერთ-ერთ მცველს ასევე ევალებოდა ეტლის სამეფო ტახტის ჭერა, რომ საჭირო დროს ეტლში ჩაედგა მეფისთვის, ე.ი. მცველი იყო ტახტის „დამკავებელიც“ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ტახტი აღარ იყო საჭირო, მას ტახტის კაცს გადასცემდა და საზეიმო მსვლელობას უერთდებოდა.

II სვეტის §13-დან §28-მდე და II-IV სვეტის §41-დან §50-მდე აღწერილია მეფის საზეიმო მსვლელობა. ეს რომ საზეიმო მსვლელობა იყო, ამაზე თუნდაც ერთი დეტალიც მკაფიოდ მიგვითითებს, კერძოდ, მსვლელობისას დაბალი თუ მაღალი რანგის მოხელეები, ყველა განსაკუთრებულად იყვნენ შემოსილნი, კულტმსახურების მსგავსად განსაკუთრებული ტანისამოსი და ფეხსაცმელი ეცვათ §13 (77), §24 (48-49), §25 (52-53), §26 (57-58). საზეიმო მსვლელობისას მეფის თანმხლებ პირებს თავისი



განსაზღვრული ადგილი ჰქონდათ სამეფო ეტლის წინ თუ უკან, მარჯვნივ თუ მარცხნივ. ამ დროს მცველებიც დიდ როლს ასრულებდნენ, როგორც მეფის უსაფრთხოების დამცველნი მგზავრობისას. ისინი ორ რიგად მიჰყვებოდნენ ეტლს უკან. მეფის გამგზავრების წინ მცველი ტახტს დებდა ეტლში. მეფე ჯდებოდა და როდესაც დაიძვრებოდა ეტლი, მცველთა უფროსს აუცილებლად თაყვანი უნდა ეცა მეფისთვის. იგი მეთვალყურეობდა და აცილებდა მეფეს. მცველთა უფროსი ამგვარადვე თაყვანისცემით ხვდებოდა მეფეს უკან დაბრუნებისას. საზეიმო მსვლელობის დროს კი მეფეს უკვე შუბებით შეიარაღებული რიგითი მცველები იცავდნენ.

ხელჯოხიან მეფის პირად მცველს ევალეობდა მეფის ეტლთან ყოფილიყო მეფის გამგზავრების დროს. იგი ცხენებს ლაგმით იჭერდა და სავარაუდოდ ეტლს აწონასწორებდა, რომ არ გადახრილიყო. როდესაც მეფე ეტლით შინ ბრუნდებოდა შუბებით შეიარაღებული მცველები იარაღს აბარებდნენ მეჯინიბესთან, ის კი მათ კარისკაცს გადასცემდა. ესეიგი მცველებისთვის იარაღი მეფის საზეიმო მსვლელობის დროს აუცილებელი ატრიბუტი იყო (§41, §42).

მეფის შინ დაბრუნებისას მცველი მაცნის ფუნქციასაც ითავსებდა, ანუ მას ევალეობდა დანარჩენი პერსონალი ჩაეყენებინა საქმის კურსში და შეეტყობინებინა მეფის დაბრუნება. გაცემდა ნესურად ბრძანებას: „განზე!“ ამ დროს იგი ყველას, განსაკუთრებით კი სასახლის მსახურების შესაბამის მზადყოფნას მოითხოვდა. როდესაც მეფის დახვედრის ცერემონია მთავრდებოდა ნაწილი შედიოდა სამეფო პალატებში (ზოგიერთი მათგანი კი იარაღსაც აბარებდა სასახლის ეზოში). შუბით შეიარაღებული მცველები კი მცველის ეზოში იკავებდნენ ადგილს. შუბების ძირს დაშვება ეკრძალებოდათ. ზოგიერთი მცველი კი იარაღს კარისკაცს აბარებდა და კუთვნილი ულუფის მისაღებად მიემართებოდა. შეიძლება დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაში მცველთა სმენა იცვლებოდა, ანუ ის მცველები ვინც იცავდნენ სასახლის ეზოს, სხვა მცველებით იცვლებოდნენ და „სამუშაოს“ დასრულების შემდეგ კუთვნილ ულუფას იღებდნენ. მათ რაციონს შეადგენდა: შემწვარი ბარკალი და რძის სახლიდან მოტანილი ტკბილი რძე. მცველები უპირატესობით სარგებლობდნენ საკვების მიღების დროსაც, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი იღებდნენ პირველები საკვებს, ხოლო დანარჩენი პერსონალი მათ შემდგომ. დაპურების შემდეგ გაიცემოდა ბრძანება, რომ წასულიყვნენ მოსასვენებლად, დასაძინებლად.

მეფის საზეიმო მსვლელობის ამსახველი ტექსტი გაწყვეტილია შუაში და აღწერილია ჯარების მობილიზება და მცველთა დგომის და შეიარაღების საკითხები (§37-39) და ასევე სასამართლო პროცესი, სადაც ჩანს დაბალი და მაღალი რანგის მცველის, მოვალეობები (§30-დან §36-მდე, §40).

თუკი მეფე რომელიმე ქალაქის საომარ ჯარებს გამოიძახებდა, მაშინ შუბებით შეიარაღებული ყველა მცველი ვალდებული იყო მათ გაჰყოლოდა უკან. თუ იარაღი არ იყო საკმარისი, მაშინ შუბებს შუბოსნებს ართმევდნენ. ხელჯოხებით შეიარაღებულ მცველებს არ ჰქონდათ უფლება რომ უკან გაჰყოლოდნენ. თუ შუბები აღარ რჩებოდა, იმ შემთხვევაში იღებდნენ ხელჯოხებს და მაშინ არა ჯარის, არამედ სასახლის მსახურთა უკან მიდიოდნენ. როგორც ჩანს, აქ იარაღი დიდ როლს ასრულებს, ანუ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მცველები რითი იქნებოდნენ შეიარაღებულნი, რადგან ეს განსაზღვრავდა მათი დგომის წესს ამ კონკრეტულ სიტუაციაში. შეიარაღების ეს წესი აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაცული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მცველები

მონაწილეობას იღებდნენ საომარ სიტუაციებში, ამიტომ მიჰყვებოდნენ ჯარს თან და შუბებით შეიარაღებასაც ამიტომ ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა, ან უბრალოდ გამყოლის, დაცვის ფუნქცია ჰქონდათ (§37-38).

რაც შეეხება სასამართლო პროცესს: რიგით მცველს ევალებოდა სასამართლო პროცესზე მოსარჩელის შემოყვანა. როცა მეფე იწყებდა სასამართლო პროცესს, რიგით მცველს მცველთა უფროსისთვის უნდა შეეტყობინებინა კონკრეტული მოსარჩელის საქმე. მცველთა უფროსს კი უნდა მოეხსენებინა მეფისთვის. შემდეგ მცველთა უფროსი იკავებდა ორ ბატონთან ერთად, ეს იქნებოდა ეტლის მებრძოლთა უფროსი თუ ათმეთაური, მათთვის განკუთვნილ ადგილს და იმართებოდა სასამართლო. ის მცველი კი ვისაც მოსარჩელე შემოჰყავდა, უკან გარბოდა და ოქროს შუბოსანთან ერთად დგებოდა გარეთ. როდესაც მოსარჩელის საქმის განხილვა დამთავრდებოდა, მცველთა უფროსი იკავებდა თავის ადგილს. ის ორი ბატონი კი უკან ბრუნდებოდა და მცველებს უერთდებოდა. შემდეგ გარეთ მყოფ მცველს კიდევ ახალი მოსარჩელე შემოჰყავდა. მცველს გვერდით ისევ ის ორი ბატონი უნდა გაჰყოლოდა, ვინც მცველთა მთავრის უკან იდგა. როგორც კი მოსარჩელე მცველებს გაუსწორდებოდა, ის მცველი ვინ შემოიყვანა მოსარჩელე, მის უკან დგებოდა, მაგრამ გარეთ მოსარჩელის მარჯვენა მხარეს მიდიოდა.


ამ დროს მკაცრად დადგენილი წესი იყო ის რომ, სასახლის მსახურს როცა რამე ამბავი მოჰქონდა ან საიდანმე ბრუნდებოდა, სასახლის მსახურებს უკან მარცხნიდან მოუვლიდა და უკანაც იგივე გზას გაივლიდა, მაგრამ მცველებს ჩაუვლიდა წინ. მსგავს შემთხვევაში მცველი მარჯვნივ, მცველების უკან მიდიოდა. ამგვარადვე იქცეოდნენ უკანა გზაზეც, მაგრამ ამ დროს ის მცველთა წინ კი არ ჩაივლიდა, არამედ სასახლის მსახურებს ჩაუვლიდა. სასამართლო საქმისას, მცველი მოსარჩელის წინაშე არ გამოდიოდა, ის გარეთ მყოფი მცველების გვერდით დგებოდა. სასამართლოს დამთავრებისას მოსარჩელე გაჰყავდათ. მცველი, რომელსაც მოსარჩელე გაჰყავდა, აცნობდა საქმის ვითარებას მცველთა უფროსს, ან სასახლის მსახურთა უფროსს, ან რიგით მცველს ვინც შიგნით იყო. მაღალი რანგის მცველები - მცველთა უფროსი ან მცველთა ათმეთაური, (ან ჯარის ზედამხედველი) კი მეფეს ატყობინებდნენ საქმის დასრულებას და ასე სრულდებოდა სასამართლო პროცესი.

ამავე დროს საგულისხმოა ისიც, რომ სხვა მაღალი რანგის მოხელეს შეეძლო შეესრულებინა კონკრეტული დავალებები მცველთა უფროსის არყოფნის შემთხვევაში, ანუ იგი არ ახლავს მეფეს მოცემულ დროს. მისი არ ყოფნა ძირითადად სამხედრო საქმეს უნდა უკავშირდებოდეს, რადგან მცველთა უფროსის შესახებ სხვა ტექსტები<sup>5</sup> ცხადყოფს მის საომარ საქმიანობას. (Beal, 1992: 338–40; Bilgin, 2018:114).

როგორც დავინახეთ, ტექსტში მოხსენიებულნი არიან მცველები რიგითიდან დაწყებული მაღალი თანამდებობის მცველებით (*MEŠEDI GAL*) დამთავრებული. სწორედ მაღალი თანამდებობის მცველს (ან სასახლის მსახურს, ან ოქროს შუბოსანს) აგზავნიდნენ მეფე რამე დავალების შესასრულებლად §5 (29-32). მაღალი რანგის მცველებში შეიძლება ჩავთვალოთ <sup>L1</sup>*MEŠEDI karšuwāš* - მეფის პირადი დაცვაც §41 (56), §49 (24), მეფეს აცილებდა და ხვდებოდა გამგზავრების დროს. ვფიქრობ, შესაძლოა არსებობდა კიდევ მეორე და მესამე რანგის მცველებიც §6 (37,38); §7 (39). ისინი სავარაუდოდ მცველთა ათმეთაურზე დაბალი იერარქიის უნდა ყოფილიყვნენ.

<sup>5</sup> CTH 577: KUB 16.56

მცველთა იერარქია კი სავარაუდოდ ასეთია:



რანგის მიხედვით მცველთა უფლება-მოვალეობები, ფუნქციები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

**მცველთა უფროსი GAL (LÚ.MEŠ) MEŠEDI:**

- მეფის შემდეგ ერთ-ერთი პრივილეგირებული პირი სასახლის კარზე;
- მეფის დამცველი;
- რელიგიური ფუნქცია (ლოცულობს შუბის მფარველი ღვთაების წინაზე);
- მეფეს ეტლით გამგზავრებისას აცილებს და ხვდება, თაყვანს სცემს;
- ესწრება სასამართლო პროცესს. მეფეს აცნობს მოსარჩელის საქმეს და ბოლოს ატყობინებს სასამართლო პროცესის დასრულებას;
- წყვეტს რიგითი მცველის პოსტის დატოვების საკითხს (მაგ.: ტუალეტში წასვლის დროს).

**მცველთა ათმეთაური UGULA 10 LÚ.MEŠ MEŠEDI**

- მცველთა უფროსის თანმხლები (მაგ.: შუბის მფარველი ღვთაების სამსხვერპლოსთან);
- მცველთა უფროსთან მიაქვს ინფორმაციები (მაგ.: როცა რიგით მცველს ტუალეტში გასვლა სურს);
- მასაც შეუძლია, მცველთა უფროსის გარდა, სასამართლოს დასრულება შეატყობინოს მეფეს.

### **(რიგითი) მცველი <sup>LÚ</sup>MEŠEDI:**

- სასახლის გარე და შიდა პერიმეტრს იცავს, მეთვალყურეობს. ყოველდღიურად ჭიშკართან დგას და გარეთ იცავს; მთავარ დიდ ჭიშკარს ხსნის და კეტავს;
- მეფის “ტახტის მცველია” – ევალება სამეფო ეტლში მეფისთვის ტახტის ჩადება და ამოღება;
- საზეიმო მსვლელობაში მეფეს თან ახლავს;
- სასამართლო პროცესზე ევალება მოსარჩელის შემოყვანა-გაყვანა, ასევე სავარაუდოდ იცავენ გარე პერიმეტრს.
- შუბოსანი მცველები (ხელჯოხიანები არა) მიჰყვებიან ჯარს;
- ერთგვარი მაცნე – როდესაც მეფის ეტლი ბრუნდება შუბით ნიშანს აძლევს და ატყობინებს მეფის დაბრუნებას სასახლის მსახურებს.

### **მეფის პირადი დაცვა <sup>LÚ</sup>MEŠEDI karšuwaš:**

- იცავს მეფეს გამგზავრებისას;
- ეტლის ცხენებს იჭერს და ეტლს აწონასწორებს;
- ხვდება მეფეს დაბრუნებისას.

მცველები, სიტუაციიდან გამომდინარე, შეიარაღებულნი არიან შუბებით ან ხელჯოხებით. კონკრეტულ სიტუაციებში არსებობდა იარაღის ტარების წესები, ასევე კონკრეტულ შემთხვევებში ისინი უიარაღოებიც არიან (მაგ.: შუბის მფარველი ღვთაების სამსხვერპლოსთან), ან იარაღს ტოვებენ, აბარებენ (მაგ.: როდესაც სახლში არიან, ან კარისკაცთან უკანა კარში შესვლამდე). როგორც აღმოჩნდა, მცველთათვის არსებობდა დაკანონებული წესები და გარკვეული აკრძალვებიც:


- დაცვის ადგილის მიტოვების აკრძალვა მცველთა უფროსთან შეუთანხმებლად (ფიზიოლოგიური მოთხოვნილების შემთხვევაშიც კი).
- კარიბჭით და მთავარი დიდი ჭიშკრით სარგებლობის აკრძალვა (დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში), სარგებლობენ უკანა კარით.
- შუბითა თუ ხელჯოხით შეიარაღების მკაცრად დადგენილი წესები კონკრეტულ სიტუაციებში.
- კარისკაცთან ურთიერთდამოკიდებულება იარაღთან მიმართებაში და მოქცევის წესები.
- სასამართლო პროცესზე ჩავლის წესები კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე.

ზემოთ განხილულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაცვის ორგანიზაცია ხეტებთან საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, რაც გამოიხატება სასახლის შიგნით თუ გარეთ მეფის დაცვაში, ასევე თავად სასახლის შიდა და გარე პერიმეტრის ყოველდღიურ დაცვაში და სხვ., შესაბამისად მცველთა მოვალეობებიც მრავალფეროვანია. მაღალი რანგის მცველები მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ მეფის ადმინისტრაციაში და მათი საქმიანობა როგორც სხვა ტექსტებიდანაც ირკვევა არ იყო მხოლოდ ადმინისტრაციული, მათ სამხედრო და საკულტო მოვალეობებიც გააჩნდათ. ასე რომ, მცველებს სასახლის კარზე საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ. მცველთა უფროსი (GAL MEŠEDI) კი სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან შედარებით უფრო

გავლენიანი პირი იყო და აქედან გამომდინარე, ალბათ მეტი პრივილეგიებითაც სარგებლობდა.

ბოლოს, ტექსტის საფუძველზე გვინდა წარმოვადგინოთ ჩვენს მიერ შედგენილი სქემა, ანუ ესაა რეკონსტრუქციის მცდელობა, სადაც მოცემულია მეფის საზეიმო მსვლელობისას მაღალი და დაბალი რანგის პირების სავარაუდო განლაგება ეტლთან მიმართებაში (ეტლის წინ და უკან, ეტლის მარჯვენა და მარცხენა გვერდზე)<sup>6</sup> და ასევე ინსტრუქციის (CTH 262) ჩასწორებული ქართული თარგმანი.

**სქემა: მეფის საზეიმო მსვლელობა**



<sup>6</sup> ეს სავარაუდო სქემა ჩვენს მიერ შეიქმნა და ის უკვე გამოქვეყნებულია სამაგისტრო ნაშრომში: ნ. ჩარეკიშვილი “მცველთა ინსტიტუტი ხეთებთან”, 2011. მას შემდეგ მოხდა ტერმინების და ტექსტის გარკვეული ადგილების დაზუსტება, ხელახლა გადააზრება და ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნეთ გარკვეული ჩასწორებებით როგორც სქემის, ასევე თავად საკითხის სტატიის სახით თავიდან გამოქვეყნება.

DUMU E.GAL სასახლის მსახური (კვერთხი)	LÚ MEŠEDI მცველი (შუბი)	LÚ MEŠEDI მცველი (შუბი)
LÚ.MEŠ MEŠEDI- მცველები (შუბები)		
LÚ.MEŠ MEŠEDI - მცველები (შუბები)		
DUMU <sup>MES</sup> E.GAL - სასახლის მსახურები (-)		
LÚ ŠUKUR. KÚ.SIG <sub>17</sub> ოქროს შუბოსანი (მთოქროვილი შუბი)	LÚ A. ZU ეჰიმი-მაგი (სისტრუმი)	
LÚ ŠUKUR შუბოსანი (შუბი)	LÚ ŠUKUR შუბოსანი (შუბი)	
GAL LÚ.MEŠ ŠUKUR შუბოსანთა უფროსი (ხელჯობი)	NIMGIR ÉRIN <sup>MES</sup> ჯარის ზედამხედველი (ხელჯობი)	
LIM. ŠERI საველე ათასეული (შუბები)	LIM. ŠERI საველე ათასეული (შუბები)	
UGULA LIM. ŠERI საველე ათასეულის მეთაური (ხელჯობი)	NIMGIR ÉRIN <sup>MES</sup> ჯარის ზედამხედველი (ხელჯობი)	
LIM. ŠERI საველე ათასეული (შუბები)	LIM. ŠERI საველე ათასეული (შუბები)	
UGULA LIM. ŠERI საველე ათასეულის მეთაური (ხელჯობი)	NIMGIR ÉRIN <sup>MES</sup> ჯარის ზედამხედველი (ხელჯობი)	

**LIM. ŠERI**  
საველე ათასეული  
(შუბები)

**LIM. ŠERI**  
საველე ათასეული  
(შუბები)

**LIM. ŠERI**  
საველე ათასეული  
(შუბები)

**LIM. ŠERI**  
საველე ათასეული  
(შუბები)

**CTH 262**  
**მცველთა ინსტრუქცია (LÚ.MEŠ MEŠEDI)**  
**თარგმანი**

**სვეტი I**

**§1**

1. [...] ისინი [...]
2. [...] ისინი [...]. მცველები კი [...] ზემოთ [...]
3. [...] ისინი კარისკაცების და წინა ეზოს დამსუფთავებლების წინ [...].
4. ისინი შედიან, და ისინი (სასახლის) ეზოს ჭიშკართან დგებიან.
5. თვალეზგაფაციცებული კი სასახლის
6. ერთ ეზოს თვალს ადევნებენ. ისინი (წინა ეზოს დამსუფთავებლები) ასუფთავებენ [...]
7. [...] სწევენ [...] მცველები წინ [...]
8. და ისინი [...] სწევენ (ურდულს), (მაგრამ) მთავარი კარიბჭის ურდულს არ სწევენ. ისინი: მცველები, კარისკაცები,
- 8ბ. წინა ეზოს დამსუფთავებლები გადიან.

**§2**

9. მცველები ეზოში მცველისთვის განკუთვნილ ადგილს იკავებენ.
10. სასახლის მიმართულებით შიდა კედელთან 12 მცველი
11. დგას და შუბები უჭირავთ, ხოლო როცა 12 მცველი

12. არ დგას - ან ვინმე გააგზავნეს სამოგზაუროდ,<sup>7</sup>
13. ან ვიღაც თავის სახლში გაუშვეს,<sup>8</sup> - შუბები კი ძალიან ბევრია,
14. ეს შუბები, (რომლებიც) რჩება, ისინი მიაქვთ
15. და ისინი (მათ) კარისკაცებთან დებენ.

### §3

16. ხოლო გარეთა კედელთან ოქროს შუბოსნები დგანან.
17. ერთი მცველი კი ერთ მხარეს მცველის კედელთან, ჭიშკრის ახლოს
18. დგას, ხოლო (მეორე) მხარეს ოქროს შუბოსნის კედელთან, ერთი ოქროს შუბოსანი
19. ჭიშკრის ახლოს დგას. ისინი ყოველდღე ყარაულობენ. თუ შიგნით (20) ურდულს არ სწევენ, ან (თუ) ისინი რამე საწყობს გააღებენ და ისარი<sup>9</sup> აკლია, და ის მას, ისარს თუ (21) დაბალი წოდების სასახლის მსახური გამოვა, ოქროსშუბოსანი ის მას არ აძლევს. როგორც კი მაღალი წოდების სასახლის მსახური გამოვა, ან (21ა) ათმეთაური ან ჯარის ზედამხედველი (ან) მცველი გამოვა, (მაშინ) ისარს მას აძლევენ. თუ [...] (21ბ) გამოვა. (თუ) გამოვა ან მცველი, ან ოქროსშუბოსანი [...] (21გ) [...] ხოლო მცველის ეზოს ოქროს შუბოსანთა ათმეთაური ზედამხედველობს. (21დ) თუ ვინმე ცუდად დგას [...] (21ე) ოქროს შუბოსანთა ათმეთაური ზედამხედველობს. [...] ერთი სასახლის მსახური, (21-22) თუკი მცველი [...] ერთი მეორეს ეუბნება, თუ [...] (21ვ) შემოტრიალდება ის [...] კვლავ კედელთან [...] (21ზ) და ის [...] ამბობს [...].

### §4

22. როდესაც მცველთა უფროსი და მცველთა ათმეთაური შემოდიან, მცველთა უფროსი,
23. რომელსაც უჭირავს ხელჯობი, როგორც კი ის შუბის მფარველ ღვთაებას თაყვანს სცემს, ვინცაა
24. მაღალი თანამდებობის მცველი, მას ხელჯობს ართმევს და ის მას სამსხვერპლოსთან
25. დებს. ხოლო მცველთა ათმეთაურს ვისაც ხელჯობი უჭირავს, ის მცველს გადასცემს,
26. და ის მცველს უჭირავს [...]

### §5

27. მცველებს კი ხელჯობები ყველა[ს უჭირავს], და ისინი
28. როდესაც გარეთ გამოვლენ ხელჯობებს [...] კარისკაცებს გადასცემენ.
29. თუკი მეფე [...] სასახლის მსახურს, მცველს,
30. უქროსშუბოსანს გააგზავნის [...]. [თუ]კი მეფე ბრძანებს,
31. ის მას გააგზავნის [...], თუ დაბალი წოდების ადამიანია, მას

<sup>7</sup> რაიმე დავალების შესასრულებლად რაღაც მისიით.

<sup>8</sup> სახლში გაშვების სხვადასხვა მიზეზი შეიძლება იყოს, ან შეიძლება შვებულებაც იგულისხმებოდეს.

<sup>9</sup> GI – აქ შესაძლოა ლერწმისგან დამზადებული ისრები იგულისხმებოდეს, და არა ლერწამი, როგორც მასალა.

32. საკუთარი სურვილით არ გააგზავნის.

## §6

33. მცველი საკუთარი სურვილით ჭიშკარში არ გადის, თუ მას

34. შარდი შეაწუხებს, ის მცველების, ყველას უკან გარბის,

35. ის მცველი, ვინც მის წინ დგას, მას ეუბნება:

36. „საპირფარეშოში წავალ“, ის სხვა

37. მცველს ეუბნება, ის კი მესამე რანგის მოხელეს გადასცემს.

38. მესამე რანგის მოხელე მეორე რანგის მოხელეს ეუბნება.

## §7

39. მეორე რანგის მოხელე კი მცველთა ათმეთაურს გადასცემს, თუ მცველთა უფროსი

40. იმყოფება (იქ), ის მცველის ეზოში არის, (მაშინ) მცველთა ათმეთაურს

41. მცველთა უფროსთან მიაქვს: „საპირფარეშოში ჩავიდე?“

42. მცველთა უფროსიც ამბობს: „წავიდე“.

## §8

43. თუკი ვინმეს განავალი შეაწუხებს, ერთი მეორეს ეუბნება

44. და ის მცველთა უფროსთან მიდის: „მოსაშარდად წავიდე?“

45. მცველთა უფროსიც ამბობს: „წავიდე“. მცველს კი ვინც მოსაშარდად მიდის

46. „ჩემი მზე“ (მეფე) გაითვალისწინებს. (ამგვარად) მათი მოშარდვის საქმე სასახლეში შესრულებულია,

47. საკუთარი სურვილით კი ის არ უნდა წავიდე.

## §9

48. მცველი კი კარიბჭეში პირდაპირ არ უნდა შევიდეს. თუკი პირდაპირ

49. შევა, მას კარისკაცი უბრაზდება: „ან ზემოთ წადი,

50. ან ქვემოთ წადი!“. თუკი მცველი კარიბჭეში გაივლის

51. და მას კარიბჭეში თან აქვს შუბი, ხოლო (როდესაც) ის უკანა კართან მივა, შუბს

52. კარისკაცთან დებს და ის შედის.

## §10

53. თუ კი მცველი გაიქცევა. ის შუბით უკანა კარისკენ გაიქცევა

54. და მას კარისკაცი ცოდვაზე დაიჭერს, ის მას „ფეხსაცმელს უხსნის.“<sup>10</sup> თუკი მცველი

55. კარისკაცს მოატყუებს, ის შუბით გაიქცევა და კარისკაცი კი ვერ დაინახავს,

56. (მაშინ) მცველი კარისკაცს ცოდვაზე დაიჭერს (და ეუბნება): „შენ შუბი ვერ დაინახე,

57. და თუკი ზემოთ ვინმე ადამიანი მოახერხებს (ასვლას) მას როგორ დაინახავ?!“

58. ისინი სასახლეს ატყობინებენ და კარისკაცს გამოკითხავენ. შუბებს

59. ის შიშით აკვირდება.

---

<sup>10</sup> Ia(i) – გახსნა; გათავისუფლება; შესაძლოა იგულისხმებოდეს ფეხსაცმლის გახდა, ანუ ერთგვარი სადამსჯელო ან დამამცირებელი ქმედება.



## §11

60. ხოლო მცველები და სასახლის მსახურები მთავარი დიდი ჭიშკრით არ გადიან,
61. ისინი უკანა კარიდან გადიან. ერთი მცველი, რომელსაც მოსარჩელე
62. შემოჰყავს, რომელიც შიკრიკთა მეთაურმა გააგზავნა, მთავარი (დიდი ჭიშკრით)
63. ჩამოდის. ბატონები და ათასეულის მეთაური მთავარი (დიდი ჭიშკრით) ჩამოდიან.

## §12ა.

64. როდესაც მეფე გარეთ გადის, (მაშინ) ერთი სასახლის მსახური სასახლიდან
65. გამოდის და იმახის ხათურად: „Tahaia“! Tahaia -ს კი ხათურად
66. “მწმენდავს”<sup>11</sup> ეძახიან. მცველი, ოქროსშუბოსანი და კარისკაცი
67. მთავარი კარიბჭისკენ მიდიან და მთავარი დიდი ჭიშკრის ურდულს სწევენ.
68. და ისინი კარს კვლავ აღებენ, და [...] ოქროს შუბოსანი [...] მწმენდავს კი ცოცხი<sup>12</sup> უჭირავს,
69. და ის კარს ასუფთავებს. მეჯინიბეები ეტლს აბრუნებენ, ხოლო მცველები
70. შესასვლელის(?)<sup>13</sup> ახლოს მარჯვენა მხარეს დგებიან. თუკი რომელიმე ქალაქში მარჯვნივ დგომა

## §12ბ.

71. შეუძლებელია, ისინი მარცხნივ დგებიან. (საერთოდ) კი ისინი მუდმივად დგანან მარჯვნივ, შესასვლელის
72. ახლოს მარჯვენა მხარეს დგებიან. მცველი, რომელსაც ეტლის ბორბალთან ტახტი უჭირავს(?),
73. ის შიგნით არავის უშვებს, გარეთ არავის უშვებს,
74. შემდეგ ისინი მცველის ეზოდან გამოდიან.

## §13

75. [...] სამხედრო მოხელეები<sup>14</sup> დგანან და საბრძოლო იარაღები [...]
76. [უჭირა]ვთ. მთავარსარდალიც მათთან ერთად დგას და ხელჯოხი უ[ჭირავს], [...]
77. კულტმსახურის მსგავსად აცვია და ის [...]

## §14

78. [ხოლო უკან] 1 IKU<sup>15</sup> შორის, ორი კაცი [...]
79. [...] უჭირავთ და მათ [...]
80. [...]

<sup>11</sup> LÚŠU.I – (ხათ.) დალაქი; მწმენდავი.

<sup>12</sup> G<sup>18</sup> galam(m)a- (n). კარის სახელური(?), ან საწმენდი მოწყობილობა, ცოცხი და მისთ.

<sup>13</sup> Éarkiu- (c) (ტაძრის ნაწილი) სამლოცველო? დერეფანი? ჭიშკრის ოთახი? შესასვლელი, ვესტიბიული, ფოიე ?

<sup>14</sup> LÚzinawili- - სამხედრო მოხელე. გუტერბოკთან 2 სამხედრო მოხელეა მითითებული. (Güterbock, 1991:12)

<sup>15</sup> IKU - სიგრძის საზომი (დაახლ. 15 მ.) და ფართობის საზომი.

## სვეტი II

### §15

1. [ხოლო უკან კიდევ [1 IKU შორის ...]
2. ორი საველე ათასეული დგა[ს<sup>16</sup>. მათ ...]
3. ჯარის ზედამხედველ(ებ)ი მათთან ერთად დგანან. [მათ ხელჯოხები უჭირავთ].
4. ისინი [მეფის] წინ მირზიან [...].

### §16

5. ხოლო უკან კიდევ 1 IKU შორის [...]
6. დგანან და შუბები უჭირავთ. მ[ათ ...].
7. ჯარის ზედამხედველ(ებ)ი მათთან ერთად დგანან. მათ ხელჯოხები უჭირავთ.
8. ისინი მეფის წინ მირზიან [...].

### §17

9. ორი მაღალი რანგის შუბოსანი კი მეფის პირდაპირ მარჯვენა მხარეს დგას.
10. მათ შუბები არ უჭირავთ. ოქროს შუბოსანი მა[თთან ერთად დგას].
11. მას მოოქროვილი შუბი უჭირავს. შუბის სასახლის მსახურს კი [...]
12. ეტლის მათრახი (და) სისტრუმი<sup>17</sup> უჭირავს. ის მეფის წინ
13. მირზის. ის ეტლის მარცხნივ,
14. ბორბლის გვერდით დგება.

### §18

15. მცველი კი ტახტს დებს. მეფე გამოდის [...]
16. ხოლო სასახლის მსახურთა უფროსს მისი ხელი უჭირავს. მეფე ეტლში
17. ჯდება. მაღალი რანგის შუბოსნები კი ქედს უხრიან. შემდეგ ისინი გარზიან.
18. ისინი წინ გარზიან. ისინი [ოქროს] შუბოსანთან
19. ერთად მიდიან.

### §19

20. ხოლო ოქროს შუბოსანი, რომელიც მათ გვერდით იდგა, (თავის) ადგილს იკავებს.
21. შუბის სასახლის მსახური კი მათრახს სასახლის მსახურთა უფროსს აძლევს.
22. ხოლო სასახლის მსახურთა უფროსი მას მეფეს აძლევს. ეტლის წინ
23. მეჯინიბეთა უფროსი სწრაფად მირზის, (მას) ხელჯოხი უჭირავს. ხოლო როცა
24. ეტლი დაიმჯრება, სასახლის მსახურთა უფროსი
25. ქედს უხრის. მეფეს მცველთა უფროსიც ქედს უხრის.

### §20

26. ხოლო მცველი, რომელსაც ტახტი უჭირავს, ის ეტლის ბორბლის მარცხნივ,
27. შუბის სასახლის მსახურთან ერთად მიდის. როდესაც კი ის
28. მთავარ კარიბჭეს მიადწევს, ის (ეტლის) კოფოს უკან დგება.
29. როდესაც მას მცველები და სასახლის მსახურნი გაუსწორდებიან

<sup>16</sup> ზმნა აქ მრ. რიცხვშია, თუმცა ქართული თარგმანი მხ. რიცხვს მოითხოვს.

<sup>17</sup> <sup>GI5</sup> *mukar, munkar* - (ღვთაების მოსახმობი საკრავი) სისტრუმი, ბუკი, ზარი ან ჟღარუნა (?)

30. ტახტს ტახტის კაცს გადასცემს. ის შუბს
31. იღებს და ის მცველებთან (ერთად) მიდის.

#### §21

32. ხოლო მცველები როდესაც მიდიან, ორი მცველი წინ მივრბის.
33. მათ შუბები უჭირავთ, ისინი სწორად (მიდიან). სასახლის მსახური მარცხნივ
34. მიდის და კვერთხი<sup>18</sup> უჭირავს. ის ორ მცველთან დგება მწყობრში
35. და ისინი სამნი ერთად სწორად, ხოლო მათ უკან
36. მცველები და სასახლის მსახურ(ებ)ი სამ რიგად მიდიან:
37. მცველები ორ რიგად და სასახლის მსახურები ერთი რიგად.
38. ისინი 1 IKU შორის, ეტლის უკან მიდიან.

#### §22

39. ხოლო ერთი სასახლის მსახური მიდის და მას ხაზინადარი დაჭიმულ მშვილდს აძლევს, (რომელიც)
40. კაპარჭშია, და ერთ კაპარჭს [...] ისრით
41. სავსეს აძლევს. ის უკან ბრუნდება. ის მცველებისა და
42. სასახლის მსახურებისგან შორს მიდის. ის მიდის
43. და ეტლის ბორბლის მარცხნივ დგება.

#### §23

44. უკან კი 1 IKU შორის, ოქროსშუბოსანს მოოქროვილი შუბი უჭირავს.
45. ექიმ-მაგს სისტრუმი უჭირავს. ისინი ერთად მიდიან.
46. ექიმი-მაგი წარმოთქვამს შელოცვას.

#### §24

47. უკან კი 1 IKU შორის, ორი შუბოსანი [...] მიდის.
48. (იქნებიან) ისინი როგორც მაღალი თანამდებობის პირები, თუ დაბალი წოდების მოხელეები.
49. მათ კულტმსახურის მსგავსად აცვიათ ძვირფასი სადღესასწაულო ტანსაცმელი (და) კარგი ფეხსაცმელი.
50. შუბოსანთა უფროსი და ჯარის ზედამხედველი ერთად მიდიან. მათ ხელჯოხები უჭირავთ.

#### §25

51. უკან კი 1 IKU შორის, ორი საველე ათასეული
52. ერთად მიდის, მათ შუბები უჭირავთ. (იქნებიან) ისინი როგორც მაღალი თანამდებობის პირები
53. თუ დაბალი წოდების მოხელეები, მათ კულტმსახურის მსგავსად აცვიათ ძვირფასი სადღესასწაულო ტანსაცმელი (და) კარგი ფეხსაცმელი.
54. საველე ათასეულის მეთაური და ჯარის ზედამხედველი ერთად მიდიან.
55. მათ ხელჯოხები უჭირავთ.

---

<sup>18</sup> GI<sup>8</sup> *kalmuš* - კვერთხი (მოდუნული ბოლოთი/ სამეფო ინსიგნია)

## §26

56. უკან კი 1 IKU შორის, ორი საველე ათასეული
57. მიდის. მათ შუბები უჭირავთ. მათ კულტმსახურის მსგავსად ძვირფასი სადღესასწაულო ტანისამოსი (და) კარგი ფეხსაცმელი
58. აცვიათ. საველე ათასეულის მეთაური და ჯარის ზედამხედველი ერთად მიდიან.
59. მათ ხელჯოხები უჭირავთ.

## §27

60. საველე ათასეული, რომელიც ჯარს (წარმოადგენს), მშვიდობიანად გვერდზე
61. იჭერს (ადგილს): მარცხენა - მარცხნივ იკავებს (ადგილს),
62. მარჯვენა - მარჯვნივ იჭერს (ადგილს). ისინი 3 IKU მოშორებით მიდიან.
63. თუ კი წინ სადმე გზა დავიწროვდება, ისინი გაერთიანდებიან.

## §28

64. შემდეგ თუ წინა ვინმე რამეს გაუშვებს,
65. ან ცხენებს ან მარქენალ ხარს, ეს პირველის
66. ცოდვას, თუ უკანა გაუშვებს რაიმეს –
67. ეს უკანასკნელის ცოდვაა.

## §29

68. ხოლო თუ მათ მოსარჩელე მოჰყავთ, [...] შუბოსნები რომლებიც
69. [...] შუბები და მას ყველ[ა ...]
70. [...] ისინი დებენ. [...] თუ
71. [...] მობილიზდებიან [...]
72. [...]
73. [...]
74. [...]
75. [...]

## სვეტი III

### §30

1. მცველი, ვისაც მოსარჩელე მოჰყავს
2. ოქროს შუბოსნის უკან დგება. როდესაც
3. მეფე ითხოვს სასამართლო საქმეს. ის მცველი [...]
4. ის მცველთა უფროსს ხელში უდებს [...]
5. სადავო საქმე. ის მცველთა უფროსს ეუბნება, მცველთა უფროსი კი [მეფეს ...].

### §31

6. შემდეგ მცველთა უფროსი მიდის, უკან 2 ბატონი მიჰყვება,
7. ან ეტლის მებრძოლთა უფროსი ან ათმეთაური. ისინი მცველთა უფროსის უკან დგებიან.
8. გარეთ ერთი იჭერს (ადგილს), ან მცველი ან
9. ვინმე ბატონი. მცველი, ვისაც მოსარჩელე შემოჰყავს,
10. ის უკან გარბის, ის მიდის (და) ოქროს შუბოსანთან

11. დგება. შემდეგ სასამართლო ტარდება.

### §32

12. სასახლის მსახურთა მხარეს, სასახლის მსახურთა უფროსი დგას, მის უკან
13. 2 სასახლის მსახური დგას, ისინი სამნი არიან. როცა მოსარჩელეს
14. გაათავისუფლებენ, მცველთა უფროსი თავის ადგილს იჭერს. 2 ბატონი კი
15. რომლებიც უკან დგას, ან შუბოსანი ან მცველი, ისინი უკან ბრუნდებიან და
16. მცველებს უერთდებიან. იმ მცველს, რომელსაც გარეთ უჭირავს (ადგილი)
17. სხვა მოსარჩელე შემოჰყავს.

### §33

18. 2 ბატონი ვინც მცველთა უფროსის უკან დგას, ისინი მოსარჩელეს
19. გვერდზე მიჰყვებიან შიგნით. ხოლო მცველი რომელსაც გარეთ უჭირავს (ადგილი),
20. როდესაც მოსარჩელე მცველებს გაუსწორდება,
21. შემდეგ ის მოსარჩელის უკან გადადის,
22. მაგრამ გარეთ ის მოსარჩელის მარჯვნივ მიდის.

### §34

23. თუკი სასახლის მსახურს ამბავი მოაქვს, ის მარცხნიდან
24. სასახლის მსახურების უკნიდან მოდის, ხოლო თუ საიდანმე ბრუნდება
25. უკან იგივე გზას გაივლის. მცველებს კი
26. წინ ჩაუვლის.

### §35

27. ის მცველი, რომელიც ბრუნდება, ის მარჯვნივ, მცველების
28. უკან მიდის. ის უკანა გზაზე მარჯვნივ გაივლის,
29. მაგრამ ის მცველების წინ კი არ ჩაივლის, (არამედ)
30. სასახლის მსახურებთან მიდის.

### §36

31. თუკი მოსარჩელე (იქ) დგას, ხოლო მცველის ან სასახლის მსახურის
32. სასამართლო საქმეა, ის მოსარჩელის წინაშე არ გამოდის,
33. ის უკან მიდის. გარეთ ვისაც უჭირავს (ადგილი, იმ მცველებთან),
34. მიდის და მათ გვერდით დგება.

### §37

35. თუკი რომელიმე მეზობელი ქვეყნის ჯარს, ან ქასქას მტრულ ჯარს,
36. ან ქუმახას ჯარს, ნებისმიერის ჯარს მეფე გამოიძახებს,
37. მაშინ ყველა მცველი უკან მიდის.
38. თუკი შუბები ცოტაა, ისინი შუბოსნებს
39. შუბებს ართმევენ და ისინიც უკან მიდიან. ისინი (ამას) „გარშემორტყმას“
40. ეძახიან.

### §38

41. ხოლო ხელჯოხიანები არ მიჰყვებიან უკან, დაუშვებელია.
42. ხოლო მცველები, რომლებიც რჩებიან, თუ ვინმეს შუბი

43. არ უჭირავს, (მაშინ) ვინცაა ხელჯობებს იჭერენ. კვერთხი
44. სასახლის მსახურისთვის დაუშვებელია. ერთის გამოშვებით 2 სასახლის მსახური
45. დგება. ისინი მათ წინ მწყობრში დგებიან. მცველებს კი ვისაც
46. ხელჯობები უჭირავთ, ისინი უკან მიდიან.

### §39

47. თუ ქალაქის თავი ან ჯარის ზედამხედველთა მეთაური მწყობრში დგებიან,
48. ეს მათთვის მისაღებია. თუკი ეტლს
49. უკან მიჰყვებიან, ისინი ხელჯობით არ უნდა გაყვნენ,
50. შუბები უნდა აიღონ.

### §40

51. როდესაც მოსარჩელის (საქმეს) დაასრულებენ, ბოლო ვინცაა
52. (იმ) მოსარჩელეს წაიყვანენ. ის როცა წინ ჩაივლის
53. მცველი, ვისაც მოსარჩელე გაჰყავს, მცველთა უფროსს ან სასახლის მსახურთა უფროსს, ან მცველს, ვინც შიგნით იჭერს ადგილს, ის ეუბნება:
54. „გარშემორტყმულია!“ მცველთა უფროსი, ან მცველთა ათმეთაური, ან ჯარის ზედამხედველი მეფეს ეუბნება: „დასრულებულია!“

### §41

55. როდესაც მეფე ეტლს მოითხოვს, მცველს ტახტი მიაქვს
56. და მას დგამს (ეტლში). მეფე ეტლში ჯდება. მეფის პირადი მცველი<sup>19</sup> ვინცაა,
57. ხელჯობი უჭირავს. მარჯვენა ცხენი - მარჯვენა ხელით ლაგმით
58. უჭირავს, მარცხენით კი <sup>GIS</sup> *kapur*<sup>20</sup>-ი უჭირავს ხელჯობთან ერთად.
59. ის ეტლს წინ იჭერს (აწონასწორებს), (რათა) ის არ გადაიხაროს.

### §42

60. მცველებს კი რომელთაც შუბები უჭირავთ, ისინი შუბებს მეჯინიბეს
61. აძლევენ. როდესაც სამეფო ეტლი სახლს<sup>21</sup> გაივლის, მეჯინიბე
62. შუბებს კარისკაცს აძლევს. ისინი კარიბჭეში შეაქვს.
63. თუკი (მეფე) სამეფო ეტლით ბრუნდება, (მაშინ) ერთი მცველი შუბით
64. მცველებს და სასახლის მსახურებს ნიშანს აძლევს და ნესურად ასე ეძახის:
65. „გვერდზე!“

### §43

66. მცველები და სასახლის მსახურები უკან გარბიან,
67. ხოლო მეჯინიბეები მარცხენა ჯორს შემოუვლიან
68. და ისინი ეტლს უკან აბრუნებენ. როგორც კი შუბები
69. შუბოსნებისა და საველე ათასეულის შებრუნდება, (მაშინ) პირველი
70. უკანასკნელი ხდება [...].

<sup>19</sup> L<sup>1</sup> *MEŠEDI karšuwāš* - მეფის პირადი დაცვა, რომელსაც მეფე გამოჰყავდა გარკვეული რიტუალის დასრულების შემდეგ.

<sup>20</sup> <sup>GIS</sup> *kapur* - ხე ან ხის საგანი.

<sup>21</sup> აქ შესაძლოა მეფის რეზიდენცია იგულისხმებოდეს.

#### §44

71. შემდეგ (მეფე) სამეფო ეტლით სასახლისკენ მიემართება და როცა
72. კარიბჭეს მიუახლოვდება დეკლამატორები,<sup>22</sup> კულტმსახური<sup>23</sup>
73. შუბით (შეიარაღებულ) შუბოსნებს უკან მისდევენ.
74. როდესაც დეკლამატორები კარიბჭეს მიუახლოვდებიან
75. იძახიან: „ახა!“<sup>24</sup> კულტმსახური არ იძახის [...].

#### §45

76. ხოლო როდესაც ეტლი [...]
77. მიუახლოვდება, დეკლამატორები (და) კულტმსახური „ახა!“ [...]
78. იძახიან [...].

### სვეტი IV

#### §46

1. ხოლო ხახას მცხოვრებლები უკან მისდევენ. შუბოსნები შუბებით
2. და ოქროს შუბოსნები კი (ისევე, როგორც ზემოთაა დაწერილი) წინ მირბიან. ხახას მცხოვრებლები კი უკან
3. მიჰყვებიან და მღერიან. როდესაც დეკლამატორები კარიბჭის
4. დიდ ჭიშკარს მიუახლოვდებიან, იძახიან „ახა!“ კულტმსახური კი
5. არაფერს იძახის. ხოლო როცა ჯორებს დიდი ჭიშკრიდან გაიყვანენ,
6. დეკლამატორები და კულტმსახური კვლავ იძახიან და
7. უკანა კარიდან გადიან.

#### §47

8. როდესაც შუბოსნები კარიბჭის შუა ნაწილს გაივლიან,
9. და როგორც კი შუბოსნები შუბებს დადებენ (მაშინვე) მიდიან. ისიც მიდის, შუბოსანთა უფროსიც
10. შედის. ხოლო მცველი ტახტს იღებს და ის სასახლის მსახურის
11. მარცხნივ, შორს გარბის. ის ბორბლის მარცხენა მხარეს
12. მიდის. როცა ეტლს აბრუნებენ
13. ის ტახტს დგამს.

#### §48

14. ხოლო (როდესაც) ხახამას მცხოვრებლები ჩუმად არიან [...], სასახლის მთავარ ჭიშკართან
15. არ მიდიან. თუ ორი კარიბჭეა, ისინი ქვედა
16. მთავარ ჭიშკართან მიდიან, ზედა მთავარ ჭიშკართან კი

<sup>22</sup> L<sup>1</sup>ALAM.ZU, L<sup>1</sup>ALAM.ZU<sub>9</sub> - ჯამბაზი, მასხარა (?), მსახიობი, დეკლამატორი (?) = ხათ. L<sup>1</sup>paršel (თუ L<sup>1</sup>maššel ?). ვფიქრობ აქ უფრო მართებულია „დეკლამატორის“ გამოყენება.

<sup>23</sup> L<sup>1</sup>kita- - კულტმსახური, საკულტო-სარიტუალო ტექსტების წარმომთქმელი, ღვთაებების მომხმობი.

<sup>24</sup> სარიტუალო შემახილი.

17. არ ადიან.

§49

18. როცა მეფე ეტლიდან ჩამოვა და თუ
19. მცველთა უფროსი იქ დგას, მცველთა უფროსი უკან (იხევს და) თაყვანს სცემს მეფეს
20. სასახლის მსახურთა უფროსს გადასცემს. თუკი სხვა ვინმე ბატონი
21. იქ იმყოფება, ვინც პირველი დგას, ის სცემს თაყვანს.
22. თუკი ბატონებიდან უფროსი არავინ იმყოფება,
23. (მაშინ) მცველი ვინც კი (იქ) დგას, ის სცემს თაყვანს. თუკი (მეფე) სამეფო ეტლით სადმე წავა,
24. და როდესაც მეფე ეტლიდან ჩამოვა მცველთა უფროსი მეფეს მცველებთან ერთად თაყვანს სცემს. მეფის პირადი მცველი ვინცაა, ის ეტლის მარჯვენა ბორბლის წინ (დგას და) თაყვანს სცემს. მეეტლედ ეტლის მარცხენა ბორბლის წინ (დგას და) თაყვანს სცემს.

§50

25. მეფე სასახლეში შედის. ისინი - მცველი,
26. ოქროს შუბოსანი, კარისკაციც შედიან. ისინი მთავარ
27. კარიბჭესთან ადიან და ურდულს ხსნიან.
28. ოქროს შუბოსანი მოოქროვილ შუბს, რომელიც (ხელში) უჭირავს სასახლის ეზოში დებს.

§51

29. ოქროს შუბოსანი მოოქროვილ შუბს, რომელიც (ხელში) უჭირავს სასახლის ეზოში
30. დებს, (იქ) სადაც მცველები შიდა პალატასთან არიან.

§52

31. მცველებს კი, ვისაც შუბები უჭირავთ, ისინი მცველის
32. ეზოსკენ მიდიან და იკავებენ თავიანთ ადგილებს, იქ დგანან.
33. მათ შუბები უჭირავთ, (რომელიც) ძირს არ უნდა დადონ.

§53

34. ხოლო მცველი, რომელიც [...] ის მიდის. შუბი უჭირავს.
35. ის სასახლის [...] უკანა გასასვლელთან დგება. შუბს
36. კარისკაცთან [...] ასევე.

§54

37. სანამ [...] გამზადდება *haggazuwassi*-მსახურს
38. [...] -დან ერთი შემწვარი ბარკალი და რძის სახლიდან<sup>25</sup>
39. ერთ საწყაო ტკბილ რძეს [...] მცველებს აძლევს. ისინი ჭამენ.

---

<sup>25</sup> É.GA - რძის მეურნეობა.



§55

40. სასახლის მსახურებსაც [...] ერთ შემწვარ ბარკალს და ერთ საწყაო ტკბილ რძეს აძლევენ.
41. ისინი ჭამენ [...].

§56

42. მაგრამ როდესაც [...]
43. მოდის [...]
44. ეძახის: „მოიტანეთ!“ [...]

§57

45. ოქროს შუბოსანი კი [...] შუბოსნებს ლუვიურად [...]
46. ასე ეძახის: „[საძინებლისაკენ]!“

§58

47. ხოლო შუბოსანი შუბს [...], ხოლო ბრინჯაოს შუბი ქვემოთ [...]
48. ის სამზარეულოსაკენ მიდის [...] ასე ამბობს: [...]
49. „საძინებლისაკენ!“ [...].

§59

50. შემდეგ შუბოსანი [...] ხოლო ბრინჯაოს შუბი მაღლა [...]
51. [...]
52. სასახლე [...]

კოლოფონი

53. მცველის განაწესის პირველი ფირფიტა დაუსრულებელია!

## BODYGUARDS OF HITTITES ACCORDING TO THE “INSTRUCTION FOR THE ROYAL BODYGUARD (<sup>LÚ.MEŠ</sup>MEŠEDI)”

This article is about the importance of the institution of security with the Hittites and the position of the bodyguards in general is also confirmed by the existence of the text CTH 262- "Instructions for the royal bodyguard (<sup>LÚ.MEŠ</sup>MEŠEDI)", which clearly sets out their rights and duties, strict rules and protocols in specific circumstances. The instructions for the bodyguards must have belonged to the late period of the Hittite Empire (XIV-XIII BC). The text describes the so-called "first" and "second-ranked" officials. It gives us an idea of some of the activities of the King, the royal court etiquette, the staff of the palace. This instruction clearly demonstrates the hierarchy of the bodyguards, their function and place in the royal court, as well as the relationship with the various staff of the palace and other interesting matters.

The Chief of the bodyguards (*GAL MEŠEDI*), the Commander-of-Ten of the bodyguards (*UGULA 10 MEŠEDI*) and the ordinary bodyguards (<sup>LÚ</sup>MEŠEDI) played a significant role at the palace. The bodyguards formed an elite guard, though their number was few. There may have been small detachments of bodyguards stationed in royal villas, in the various palaces, which were visited by the King periodically.

Especially noteworthy is the rank of the Chief of the bodyguards (*GAL MEŠEDI*), which was considered an honor at the palace and appears to have existed since the early days of the Hittite state. The earliest *GAL MEŠEDI* can be found in the text of the didactic genre of the pre-imperial period - "Palace Chronicles" (CTH 8). We do not have a Hittite word corresponding to this term. It was one of the higher ranks after the King, Queen and Crown Prince.

It needs to pay attention that in addition to royal family and religious persons, high privileged persons had also been participated in the festivals and rituals frequently. According to this material it can be found out that Chief of Bodyguards (*GAL MEŠEDI*) had also the important cult responsibility. According to the information given in the document, Chief of the Bodyguards (*GAL MEŠEDI*) also had an important cult responsibility, he had participated in religious ceremonies also, he solemnly used to have. For example he appears as a mediator between the King and the "dog-men" and informs the king about the gift of "dog-men". He also have been participated in Dining ritual.

Alp claims that the Chief of the Bodyguards, as he often happened on festivals and rituals, had no military or administrative duties, but only ceremonial duties, and translated his title as "Ceremonial Master". His examples point out *GAL MEŠEDI* as a mediator between the King and other officials during ceremonies when he gave instructions to different servants, made announcements for the King, or continued ceremonies on behalf of the King after the King has left. We disagree with this view, the involvement in the cult services was one of the duties of the Chief of the bodyguards. He was far more accountable for the personal safety of the King than any other official. He had administrative, military, cult-ritual roles. Maybe at first his duties were not multifaceted and were limited only to the security of the King and then his rights and responsibilities were eventually extended. This position was held mostly by the

brothers or family members of the King. Prior to the enthronement, the great kings, such as Muwatalli I, Muršili II, Hattušili III, and Tudhaliya IV, held the role of the Chief of the bodyguards.

The role of GAL *MEŠEDI* can be found in various documents of different genres throughout the history of the Hittites. These documents inform us about the duties of the Chief of the bodyguards, as well as enable us to identify various holders of this same position over a period of time.

It should also be noted that there has been an interesting discovery in recent years. In particular, in Boghazkoy, archaeologists excavated a large house on the middle plateau of the town of Ḫattuša, southwest of Sarikale on the so-called middle plateau. The house was possibly used between the 15th and 13th centuries BC. Nine new fragments of cuneiform plates have been discovered in and around one of the houses. The correspondence between high-ranking officials (CTH 190: Bo 2007/1 + Bo 2009/2, KBo 62.29), namely the Chief of the palace servants (GAL DUMU<sup>MEŠ</sup>.É.GAL) sending a letter to the Chief of the bodyguards (GAL *MEŠEDI*) is of particular interest. The letter does not specify the identities of high-ranking officials. It is because of this fragmentary letter that it is implied that GAL *MEŠEDI* may have been the main resident of the estate. This view is further supported by the size of the house itself (445 m<sup>2</sup>), the design and layout of the rooms in the building, as well as the exquisite utensils found there. All this indicates that it was used for both residential and community events. If this identification is correct, this building could become the first known residence of a high-ranking Hittite official and demonstrate the high social status of such an official.

The influence of the position of the head of the bodyguards is also supported by the text of Telipinus (1550-1520 BC), it seems that the participants in the usurpation were often noblemen (including maybe the Chief of the bodyguards) that led to the establishment of the rule of inheritance by Telipinus and to the restriction of the laws which provided for the punishment of the nobles or the rabble in the event of the sins committed. It was at this time that the roles of the Chief of the bodyguards were marginally weakened, even though they, along with other high-ranking officials, were still among the "First". During the period of the Hittite Empire, the rank of the Chief of the bodyguards became a tradition.

The hierarchy of the defenders was probably the following:

- the Chief of the Bodyguards - GAL <sup>(LÚ.MEŠ)</sup> *MEŠEDI*
- the Commander-of-10 of the Bodyguards -UGULA 10 <sup>LÚ.MEŠ</sup> *MEŠEDI*
- Second Rank Bodyguard (?)
- Second Rank Bodyguard (?)
  
- Bodyguard (ordinary) - <sup>LÚ</sup> *MEŠEDI*

According to the rank, the rights and responsibilities of the bodyguards can be presented as follows:

**The Chief of the bodyguards GAL <sup>(LÚ.MEŠ)</sup> *MEŠEDI*:**

- One of the privileged persons after the king at the palace;
- King's bodyguard's
- Religious function (praying in front of the patron deity of the spear);
- Sees the king off when he's travelling in a carriage and greets him upon arrival while, bows to him;

- Attends trials. Informs the king of the petitioner's case and finally notifies him of the completion of the trial;
- Resolves the issue of leaving the post by an ordinary bodyguard (e.g. when he's going to the restroom).

#### **The Commander-of-10 of the bodyguards UGULA 10<sup>LÚ.MEŠ</sup> MEŠEDI**

- Accompanies the Chief of the bodyguards (e.g. at the altar of the spear protector deity);
- Informs the Chief of the bodyguards (e.g. when an ordinary bodyguard wants to go to the restroom);
- Has the right, in addition to the Chief of the bodyguards, to notify the king about the completion of the trial.

#### **(Ordinary) bodyguard<sup>LÚ</sup>MEŠEDI:**

- Protects and supervises the outer and inner perimeter of the palace. Stands at the gate daily; Opens and closes the main gate;
- Is the "guardian of the throne" - is responsible for putting and removing the throne / step-stool for the king in the royal carriage;
- Accompanies the King during the solemn procession;
- During and after the trial, is in charge of bringing in and taking out the petitioner, as well as presumably guarding the outer perimeter.
- Armed with a spear the bodyguards (not armed with staffs) follow the army;
- Acts as a messenger - when the king's carriage returns he gives a sign with a spear and announces the return of the king to the palace servants.

#### **The King's Personal bodyguard<sup>LÚ</sup>MEŠEDI karšuwaš:**

- Protects the king upon his departure;
- Holds the horses and balances the carriage;
- Greets the king on his return.

The bodyguards are armed either the spears or the staff. There were guidelines for carrying a weapon in some circumstances, and in certain instances they were either unarmed (e.g. at the altar of a spear-protecting deity) or left the weapon, handing it over (e.g. when at home, or before entering the postern gate to the gatekeeper). As it turned out, legal regulations and some restrictions were in effect for the bodyguards:


- Prohibition of leaving the place of protection without the consent of the Chief of the bodyguards (even in case of physiological urge).
- Prohibition of entering through the gatehouse and the main gate (allowed only in exceptional cases), usage of the postern gate.
- Strictly established rules for spear or staff armament in specific situations.
- Interaction with the gatekeeper in relation to weapons and rules of conduct.
- Rules for movement during trial process in specific situations.


On the basis of the above, we may conclude that the security organization was rather high with the Hittites, which is expressed in the protection of the King within or outside the palace,

as well as in the regular protection of the inner and outer perimeter of the palace, etc. Bodyguards of high-rank had an important role in the king's administration, and their tasks, as is evident from other sources, were not only administrative, but also military and religious. Thus, the bodyguards were occupying a fairly significant position at the palace. The Chief of the bodyguards (GAL MEŠEDI) was more influential than any other high-ranking official and therefore probably had more privileges.

Finally, we would like to present a Scheme drawn by us. This is a reconstruction attempt where the approximate arrangement of high and low ranking persons in relation to the carriage (in front or behind the carriage, on the right or the left side of the carriage) is given.

### Scheme: King's Cortège





#### გამოყენებული ლიტერატურა -References:

1. ჩარექიშვილი, ნ. (2011). *მცველთა ინსტიტუტი ხეთებთან*. თბილისი.
2. Гиоргадзе, Г.Г. (1991). *Вопросы общественного строя Хеттов*.
3. Alp, S. (1983). *Beitrage zur erforschung des hethitischen tempels*. Ankara.
4. Alp, S. (1940). Untersuchungen zu den Beamtennamen im hethitischen Festzeremoniell, Sammlung orientalistischer Arbeiten 5. Leipzig.
5. Alp, S. (1991). *Keilschrifttafeln aus Masat-Höyük*. Ankara.
6. Alparslan, M., (2017). in press. Die Position und die Bedeutung des GAL.MEŠEDI innerhalb des hethitischen Staates. Boğazköy-Hattuša Ergebnisse der Ausgrabungen 25, cilt.1, (Diğer Kurumların Hakemli Dergileri), 287-297.
7. Altman, A. (2004). *The Historical Prologue of the Hittite Vassal Treaties*. Ramat-Gan.
8. Beal, R. (2001). Muršili II, previously GAL MEŠEDI. *N.A.B.U.* 2001/4: 79–80.
9. Beal, R. (1992). The Organisation of the Hittite Military, *THeth* 20. Heidelberg.
10. Beckman, G. (1995). Royal Ideology and State Administration in Hittite Anatolia. in *Civilizations of the Ancient Near East*, edited by J. Sasson. 529–43. New York.
11. Bilabel, F. (1927). *Geschichte Vorderasiens und Ägyptens (16-11 j.v. Chr.)*. Heidelberg.
12. Bilgin, T. (2018). Officials and Administration in the Hittite World. *Studies in Ancient Near Eastern Records*. Vol. 21. Berlin/Boston. 97-117.
13. Bilgin, T., (2015). *Bureaucracy and Bureaucratic Change in Hittite Administration*. Michigan. 102-122.
14. Bin-Nun, Sh. R. (1973). „The Offices of GAL MEŠEDI and tuḫkanti in the Hittite Kingdom”. In: *Revue hittite et asiatique* 31, 5–25.

15. Blasweiler J. (2012). *The TARTĒNU, the GAL.MEŠEDI and the Tuhkanti in the Hittite Kingdom*.
16. Bryce, T.R. (2005). *The kingdom of the Hittites*. New Edition, Oxford, New York.
17. Bryce, T.R. (2002). *Life and Society in the Hittite World by Trevor Bryce*. Oxford, New York.
18. Bryce, T.R. (1998). *The Kingdom of the Hittites*. Oxford.
19. Bryce, T.R. (1982). *The major historical texts of early Hittite Empire*. Australia.
20. Burney, Ch. A. (2004). Historical Dictionary of the Hittites. *Historical Dictionaries of Ancient Civilizations and Historical Eras*, No 14, Lanham, Maryland-Toronto, Oxford.
21. Cornelius, F. (1973). *Die Geschichte der Hethiter*. Darmstadt.
22. Friedrich, J. (1952). *Hethitisches Wörterbuch*. Lf. 1, Heidelberg.
23. Garstang, J. (1943). Hittite Military Roads in Asia Minor. *American Journal of Archaeology* 47.
24. Goetze, A. (1957). *Kleinasien*. München.
25. Gurney, O.R. (1962). *The Hittites*. London.
26. Gurney, O.R. (1980). *Die Hethite*. Dresden.
27. Güterbock, H. G., & van den Hout, T.P.J. (1991). The Hittite Instruction for the Royal Bodyguard. *Assyriological Studies*, #24. Chicago, Illinois.
28. Haas, V. (1994). *Geschichte der hethitischen Religion (HdO 1/34)*. Leiden; New York; Köln; Brill.
29. Hagenbuchner, A. (1989). *Der Korrespondenz der Hethiter*. THeth 16, Heidelberg.
30. Hoffner, H. (1987). A Hittite Note on mešedi, mešettu(m). *RA* 81. 188–89.
31. Houwink Ten Cate, P. H. J. (1970). *The records of The early Hittite empire (c. 1450-1380 B.C.)*. Istanbul-Leiden.
32. Hutter, M. (2008). Die Interdependenz von Festen und Gesellschaft bei den Hethitern”. In: *Fest und Eid. Instrumente der Herrschaftssicherung im Alten Orient, Kulturelle und sprachliche Kontakte*. Hrsg. von Doris Prechel. Würzburg.
33. Jakob-Rost L. (1965). Beiträge zum hethitischen Hofzeremoniell (IBoT 1 36), in: *MIO* 11 165-225.
34. Klengel, H. (1999). *Geschichte des Hethitischen Reiches (= HdO 34)*. Leiden-Boston-Köln.
35. McMahan, G. (1989). The History of the Hittites. *Biblical Archaeologist*, June-Sep, 64.
36. McMahan G. (1997). Hittite Canonical Compositions - Instructions: Instructions to the Royal Guard MEŠEDI, in: *Context of Scripture* 1. (Nr. 1.85). 225-230
37. Miller J.L. (2013). Royal Hittite Instructions and Related Administrative Texts. *Writings from the Ancient World*. Number 31. Atlanta.
38. Neve, P., (1992). Hattuša-Stadt der Götter und Tempel: Neue Ausgrabungen in der Hauptstadt der Hethite. *Antike Welt: Zeitschrift für Archäologie und Kulugeschichte* 23/Sondernummer (K. Bittel zum Gedenken).
39. Pecchioli D. Fr. (2004). *Palace Servants and their Obligations*. 451–68.
40. Pecchioli, D. Fr. (2002). Testi politico-amministrativi: formazione, tipologia, attribuzione. *SMEA* 44: 330–32.
41. Pecchioli, D. Fr., (1982). Mestieri, Professioni e Dignità nell’Anatolia Ittita. *Incunabula Graeca* 79. Rome.
42. Rüter, Ch. & Wilhelm G. (2012). Landschenkungsurkunden hethitischer Könige. *Studien zu den Boğazköy-Texten*, Beiheft 4. Wiesbaden.
43. Schachner, A. (2015). Zu Hause beim GAL MEŠEDI in Hattuša.” in *Speculum*. Gedenkschrift für Heinrich Otten anlässlich seines 100. Geburtstags, edited by A. Müller-Karpe, E. Rieken, and W. Sommerfeld. *StBoT* 58. Wiesbaden. 189-209

44. Sommer, F. (1947). *Hethiter und Hethitisch*. Stuttgart.
45. Tischler, J. (2011). *Hethitisches Wörterbuch*. Insburck.
46. Torri, J. (2005). Militärische Feldzüge nach Ostanatolien in der mittelhethitischen Zeit. *AoF* 32/2, 386-400.
47. Ünal, A. (1999). *The Hittites and Anatolian Civilizations*. Ankara.
48. Von Schuler E. (1967). Hethitische Dienstanweisungen für höhere Hof- und Staatsbeamte. Beiheft 10. Osnabrück.
49. Weidner, E. (1923). Politische Dokumente aus Kleinasien. Die Staatsverträge in akkadischer Sprache aus dem Archiv von Boghazköi, *Boghazköi-Studien* H.8,9, Leipzig.
50. Wilhelm, G. (2013). Texts and Royal Seals of the Middle Hittite Period from the »House of the Chief of the Guards« at Ḫattuša. In: *Beyond Hatti. A Tribute to Gary Beckman*. Hrsg. von Billie Jean Collins & Piotr Michalowski. Atlanta: Lockwood Press, 343–54.
51. Wilhelm, G. (2017). Die Textfunde aus dem Haus des GAL MEŠEDI. *Boğazköy-Ḫattusa. Ergebnisse der Ausgrabungen 25. Ausgrabungen und Forschungen in der westlichen Oberstadt von Ḫattuša II*. Berlin/Boston, 268.



ნათია დუნდუა

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

## კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული ასოებით შესრულებული სპარსული სახარება

*ავგალ ბუდ ქალიმა ვა ქალიმა ბუდ ნაზდი  
ხოდაა ვა ხოდაა წამაან ქალიმა<sup>1</sup>ასთ  
اوّل بود کلمه و کلمه بود نزد خدا و خدا همان کلمه است  
პირველითგან იყო სიტყუად, და სიტყუად იგი იყო  
ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუად იგი*

### შესავალი

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი S-16 ქართული ასოებით ტრანსკრიბირებული სპარსული სახარებაა, რომელიც მე-17-მე-18 საუკუნეებით თარიღდება და წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნიმუშს ირან-საქართველოს ურთიერთობების სხვადასხვა კუთხით საკვლევად.

ხელნაწერზე სხვადასხვა დროს ნამუშევარი აქვს სხვადასხვა მეცნიერს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში ინახება ივ. ჯავახიშვილის ხელით ჯერ ქართული, ხოლო შემდეგ სპარსული ასოებით გადაწერილი ადგილები აღნიშნული ხელნაწერიდან, ადგილ-ადგილ შენიშვნებიც აქვს მიწერილი. ლ. სულაძის სტატია<sup>1</sup> წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის შრომის დეტალურ განხილვას. ყველაზე ვრცელი გამოკვლევა ხელნაწერზე ეკუთვნის მ. ხუბუას,<sup>2</sup> სადაც მოცემულია ბგერათშესატყვისობათა ფონეტიკური ანალიზი. ხელნაწერის ისტორიულ-ფილოლოგიური ღირებულება განხილულია ე. გიუნაშვილისა და თ. აბულაძის სტატიაში „Notes on the Persian Gospel Manuscript in Georgian Script“.<sup>3</sup> თუმცა, ხელნაწერის კომპლექსური შესწავლა, დაწვრილებითი კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული აღწერილობა ფონეტიკურ ანალიზთან ერთად ჯერ არ ჩატარებულა, არც მისი

<sup>1</sup> ოლღა სულაძე, „ივანე ჯავახიშვილი სპარსული ოთხთავის ერთი ხელნაწერის შესახებ“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2 (1979): 87-90.

<sup>2</sup> მაკარ ხუბუა, „ოთხთავის სპარსული ხელნაწერები XVII-XVIII სს. საქართველოს მუზეუმში“, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, I (1954): 163-185.

<sup>3</sup> Helen Giunashvili, and Tamar Abuladze, “Notes on the Persian Gospel Manuscript in Georgian Script”, Iran Namag, Vol. 5, Num. 4 (2021): 102-119.

სავარაუდო მფლობელებისა და მომხმარებლების შესახებ გამოთქმულა ვარაუდები. წარმოდგენილ კვლევაში შევეცდებით ამ ლაკუნების შევსებას.

### პალეოგრაფია

S-16 ძვირფასი ხელნაწერია, დაწერილია ლამაზი მხედრულით ქალაღზე, მოხატულია ოქროსფერი ორნამენტებით. შეიცავს 358 ფოლიოს. ოთხივე მახარობლის ტექსტი სრულადაა წარმოდგენილი, მხოლოდ მარკოზის სახარების ბოლო ნაწილი აკლია (1 გვერდი 172 და 173 გვერდებს შორის). მათეს სახარება იწყება 3r-ზე, მარკოზის - 109r-ზე, ლუკასი - 173r -ზე, ხოლო იოანესი - 279r-ზე. გვერდის ზომაა 29,9X19,5; ტექსტისა - 23,5X14,5; აშიები - გარე - 5, შიდა - 1, ზედა - 3,5, ქვედა - 3. ტექსტი დაწერილია ერთ სვეტად, თითო სვეტში 10 სტრიქონია; სტრიქონებს შორის მანძილი - 2,5; მელანი - შავი, სათაურები - სინგურით; ხელნაწერის ყდა არის ტყავგადაკრული ხე ორნამენტებით, გარდა ორნამენტებისა, ყდის ცენტრში ამოტვიფრულია ჯვარცმის სცენა, ხოლო კუთხეებში - ოთხი მახარობელი. 2r-v და 108v ცარიელია. ყოველი გვერდის ბოლოში რამდენიმე ასო წერია მომდევნო გვერდის დასაწყისიდან, რათა მომხმარებელს გაუადვილდეს ტექსტის სწრაფად წაკითხვა და დრო არ დაეკარგოს ფურცლის გადაშლისას.

აკინძვისას ხელნაწერის ბოლო ნაწილში ფურცლები არევათ და სწორი მიმდევრობა შემდგომი იქნება: 166-168-167-169-170-172-171 (შენიშვნა ყდაზე). მხოლოდ ერთი დამატებაა აშიაზე +-ით აღნიშნული 70r-ზე. აშიები დაფარულია ოქროს და ვერცხლისფერი ორნამენტებით (უმეტესად რომბებით და ფოთლებით).

სამწუხაროდ, ხელნაწერს არ აქვს არც კოლოფონი და არც რაიმე მინიშნება შექმნის თარიღისა და ადგილის შესახებ. თუმცა, ჭვირნიშნების (მხედრიანი ცხენი, ცხენი მხედრის გარეშე, ხარი) მეშვეობით შესაძლებელია ხელნაწერის დათარიღება XVII-XVIII საუკუნეებით.

1r-ზე სათაურის „სახარება დაწერილი სპარსულ ენაზედ ქართული ასოებით“ შემდეგ სლავური ასოებით წერია „И. Андроников“ (სავარაუდოდ, ივანე ანდრონიკაშვილი, 1798-1868, რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი, იბრძოდა რუსეთ-ირანისა (1826—1828) და რუსეთ-ოსმალეთის (1828-1829) ომებში, თავად მალხაზ ანდრონიკაშვილისა და მარიამ ბაგრატიონის შვილი, დედა მარიამი ერეკლე II-ის შვილიშვილი და იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის დისშვილი იყო), შესაძლოა, ხელნაწერის ერთ-ერთი მფლობელი ან დამკვეთი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბეჭდები მიუთითებს, რომ ხელნაწერი დღევანდელ ადგილმდებარეობამდე იქ ინახებოდა. აღ. ცაგარელის მიხედვით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამდე აღნიშნული ხელნაწერი ინახებოდა სანქტ-პეტერბურგის სტუდენტთა კოლეჯიაში. ეს კოლეჯია მოიცავდა 37 ერთეულს და იყო ქართველი პრინცის სალომე ფარნაოზოვნას (ერეკლე II-ის ძის ფარნაოზის ქალიშვილი, 1797-1860) საჩუქარი სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტისადმი მე-19 საუკუნის 60-იან წლებში.<sup>4</sup>

<sup>4</sup> Александр Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности (СПб., 1886): XXI.



1. იწყვიღოთი . იას<sup>მ</sup>ჲეი . შასიიქი . შიჲყა  
 ლას . ნიწაწნი . წიგნიშთა . შაას . შათათა

იასქანი . აჲჲჲჲ .

ჭითამი . წახამი . იას<sup>მ</sup>ჲეი . შასიიქი . ჭაასწერი . ჯაჲჲჲ . ჭა  
 სწერი . იშაასქანი . ან . იშაასქანი . შიქნი . სასიიქი . იასააჲ  
 იაჲჲჲ . ჯა . ან . იაჲჲჲ . იაჲჲჲ . ჯა . შაასქანი . ჲ  
 ჯა . ან . იაჲჲჲ . ჭაასქანი . ჯა . შაასქანი . ან . შაასქანი . თა  
 შაასქანი . ან . ჯა . ან . ჭაასქანი . შაასქანი . ჯა . ან . შაასქანი .

## S-16-ის დედანი

ქართული ასოებით შესრულებული სპარსული სახარების დედანს, მ. ხუბუას მიხედვით, უნდა წარმოადგენდეს სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული C-268.

ხელნაწერი C-268 ერთხანს თეიმურაზ ბატონიშვილს ეკუთვნოდა. ტექსტის ბოლოს ასეთი მინაწერია: „სპარსული ესე სწრება თანა მქონდა გერმანიაში. ამისის მადლით წელსა 1836-ს მაისს 26 წაველ ს.-პეტერბურგიდამ და გიორგობისთვის გასულს ს.-პეტერბურგსვე მოველ.“

S-16 C-268-ის მსგავსია როგორც ტექსტუალურად, ასევე ვიზუალურად. მ. ხუბუას აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერში 118 ფოლიოა, ზომაა 23,3X15,3. ხელნაწერს ერთვის შესავალი, საიდანაც ვიგებთ, რომ ტექსტი სპარსულად არაბულიდან ითარგმნა ნადირ-შაჰის დროს. C-268 დაწერილია ისპაჰანში, შემდეგ ჩამოიტანეს თბილისში, სადაც შეიქმნა ქართული ასოებით შესრულებული ასლი (S-16).<sup>5</sup>

S-16 წარმოადგენს C-268-ის სკრუპულოზურ ტრანსლიტერაციას. ორივე ხელნაწერი მნიშვნელოვანია სპარსული ენის ისტორიისთვის.

აღნიშნული სპარსული დედნის რედაქციისაა ასევე კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სპარსული სახარება PK 55/90, რომელიც გადაწერილია ჰიჯრის 1108 წელს (=1697). სახარება თარგმნილია არაბულიდან სეფევიდ შაჰ სოლთან ჰოსეინის ბრძანებით. აშიებზე გატანილია მთარგმნელის კომენტარები და შენიშვნები. სახარების მთარგმნელია იბნ ესმაილ ალჰოსეინი მოჰამედ ბაყერი. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, S-16-ის დედანს ეს ხელნაწერი არ წარმოადგენს.

## ფონეტიკა

რადგანაც სპარსული და ქართული განეკუთვნებიან სრულიად განსხვავებულ ენათა სტრუქტურებს, საინტერესოა იმის ნახვა, თუ როგორ უმკლავდებოდა ხელნაწერის შემდგენი/გადამწერი სირთულეებს, რაც დაკავშირებული იყო ისეთი სპარსული ბგერებისთვის ეკვივალენტების არჩევასთან, რომელთაც ზუსტი (ან არანაირი) შესატყვისი არ ჰქონდათ ქართულში.

ცხრილში ნაჩვენებია სპარსულ-ქართული ფონეტიკური შესატყვისობები, სადაც წარმოდგენილია სპარსული ასოების შესატყვისი ყველა დადასტურებული ქართული ეკვივალენტი:

ا	ა, აა
ب	ბ
پ	ფ
ت	თ
ث	ს
ج	ჯ
چ	ჩ
ح	ჰ
خ	ხ

<sup>5</sup> ხუბუა, „ოთხთავის სპარსული ხელნაწერები“, 167.

د	დ
ذ	ზ
ر	რ
ز	ზ
ژ	-
س	ს
ش	შ
ص	ს, ზ
ض	ზ
ط	თ
ظ	ზ
ع	ე
غ	ღ
ف	ფ
ق	ყ
ك	ქ
گ	გ
ل	ლ
م	მ
ن	ნ
و	უ, ო, ვ
ه	ჰ, ზ, ა
ى	იი, ი
ـ	ა, ე
ـ	ე, ა, ი, ო
ـ	ო, უ

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი სპარსული ასოსთვის, რომელთაც არ მოეძებნებათ პარალელი ქართულში, სპარსული (მაგ., 'Ain ე ბა ედ ɛ) და სლავური (ფ, მაგ., ჭურუდ ڤرو) ასო-ნიშნებია გამოყენებული; სპარსულის გრძელი ხმოვნები ქართულში ორი ასოთია გადმოცემული (მაგ., آ-ა: აასიმაან آسان, ى-ი: მიიააი ىمى), მოკლე ხმოვნები სხვადასხვაგვარადაა გადმოტანილი (მაგ., - - ი, ე), ქართული ჰ ორნაირადაა წარმოდგენილი - ჰ და ზ (ჰ მხოლოდ მრავლობითის მაწარმოებელ ზ-სთან იხმარება (მაგ. ھا ها), ხოლო ზ - დანარჩენ შემთხვევებში. ეს აღრევა ალბათ გრაფიკულ მსგავსებასთან უნდა იყოს დაკავშირებული). ხელნაწერში ასევე დასტურდება ორი სპარსულ-არაბული სიმბოლო, რომელთაც არ აქვთ შესატყვისი ქართულში - თაშიდი ( - რომელიც გაორკეცებული თანხმოვნის აღსანიშნად გამოიყენება; გარდა ამ ნიშნისა, გემინირებული თანხმოვანიც ორჯერ წერია, მაგ., ამ'მა ʾم), და ჰამზა ( - გამოხატავს ყრუ ხშულ გლოტალებს მაგ., ʾين აინ); საკუთარი სახელების თავზე სპეციალური ნიშანია დასმული ( ). ʾا მიმდევრობა ორი ʾ-თია წარმოდგენილი ʾا (აა) (ხააჴად ʾاھد). იზაფეთური კონსტრუქციები გადმოტანილია ქართული ʾ-თი (e.g., ʾمادر ماسيح მადარი

მასიიწ); • სიტყვის ბოლოში ზოგჯერ ქართული ა-თია გადმოცემული (მაგ., გოქთა შოდა ბუდ ۱۰ شده بو), ზოგჯერ კი - ۱-თი (მაგ., აზ იინქი ۱۰ اینچی).

რომ შევაჯამოთ, ტრანსლიტერაცია მეტად ფაქიზადაა შესრულებული. იგი უმეტესად იძლევა სტაბილურ ეკვივალენტებს თითოეული ასოსთვის. ამის გამო აღნიშნული ხელნაწერი წარმოადგენს სპარსული ფონეტიკის ისტორიისთვის ღირებულ მასალას, რადგან ტექსტი შესრულებულია ქართული ანბანით, რომელიც თავისი არსით ენის ფონოლოგიურ ანალიზს ეფუძნება, არ არის ორაზროვანი სპარსულისგან განსხვავებით, და ყველა ბგერას ერთი ნიშანი შეესაბამება.

ცხადია, რომ S-16-ის შემდგენი ზედმიწევნით კარგად ფლობდა ქართულ და სპარსულ ენებს და კარგად იცოდა ორივე ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის ყველა ნიუანსი.

### **მფლობელები**

რაც შეეხება ჰიპოთეზებს ხელნაწერის სავარაუდო მფლობელთა და მომხმარებელთა შესახებ: განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმის შესახებ, თუ ვისთვის და რა მიზნით უნდა შექმნილიყო ხელნაწერი.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელნაწერი პრაქტიკული გამოყენებისთვის შეიქმნა და რომ ის ლიტურგიის დროს გამოიყენებოდა საქართველოში მცხოვრები ქრისტიანი სპარსული დიასპორისთვის. ნაწილს მიაჩნია, რომ ხელნაწერს სასწავლო დანიშნულება ჰქონდა და სპარსული ენის სასწავლებლად გამოიყენებოდა. განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული საქართველოს საეკლესიო კანონების კრებულის შესავალში, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: „XVII ს-ის დამდეგს არსებობდა ქართული მხედრული ასოებით დაწერილი სპარსულენოვანი სახარება, რომელიც საქართველოს სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა. ამავე ეპოქაში, XVII-XVIII სს-ში ქართული ასოებით წერდნენ სომხურენოვან სახარებებს, აგრეთვე იწერებოდა თურქულენოვანი სახარებებიც ქართული ასოებით. მიზეზი ამისა, როგორც ჩვენ მიერ არის გამორკვეული, იყო ის, რომ ამ ეპოქაში საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაშლისა და გაუქმების კვალდაკვალ, მიმდინარეობდა ქართველთა დენაციონალიზაცია სხვადასხვა სარწმუნოებრივ კონფესიაში გადასვლის გზით, ანუ თურქებსა და სპარსელებს მიუჩნევიათ, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქართული მოსახლეობა მესხეთსა და ქართლ-კახეთში, თანდათანობით, ეტაპობრივად შეეყვანათ თურქულენოვან და სპარსულენოვან წიაღში. ისინი თავდაპირველად, ქართველებს არ უგინებდნენ ქრისტიანულ სიწმიდეებს, მაგრამ ეკლესიებში წმიდა სახარებას ასმენინებდნენ თურქულ და სპარსულ ენებზე. ქართველები ამით ეჩვეოდნენ სპარსულ და თურქულ ენებს. აღარ აშინებდათ ეს სამყარო, ეთვისებოდნენ მას, რაც საბოლოოდ მათ ასიმილაციას აადვილებდა. ქართული ასოებით სპარსული, თურქული და სომხური სახარებანი იწერებოდა იმის გამო, რომ როგორც მრევლი, ისე სამღვდელთა, ქართველები იყვნენ. ცხადია, ეკლესიებში სპარსელი და ოსმალო მოხელეები არ წაიკითხავდნენ სახარებას. სახარებას როგორც თურქულ, ისე სპარსულ და სომხურ ენებზეც, ეთნიკურად ქართველი ღვთისმსახურები კითხულობდნენ, და რადგანაც მათ წერა-კითხვა იცოდნენ მხოლოდ ქართულად, ამიტომ მათთვის ქართული ასოებით იწერებოდა სპარსულენოვანი, თურქულენოვანი და სომხურენოვანი ლოცვები და სახარებანი, ანუ როგორც მრევლი, ისე სასულიერო წოდება, ქართული იყო,

განწირულნი სარწმუნოებრივი გზითაც კი ასიმილაციისათვის“.<sup>6</sup> მსგავსი მოსაზრება გამოთქმული ე. გიუნაშვილისა და თ. აბულაძის სტატიაში, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ საქართველოს მოსახლეობის თანდათანობითი ისლამიზაციის ძირითად ტაქტიკას წარმოადგენდა ეთნიკურად ქართველი მღვდლების მიერ სახარების სპარსულ და თურქულ ენებზე კითხვა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანულ ეკლესიებში. ამრიგად, სახარების აღმოსავლურ ენებზე შექმნა ხელს უწყობდა აღნიშნული ენების გავრცელებას ამ რეგიონებში.<sup>7</sup>

აქვე, აღსანიშნავია ამავე პერიოდის სომხური ასოებით შესრულებული სპარსული სახარებები (M 2044, N 8492, N 3044, მატენადარანი), რომელთა კოლოფონებიდანაც ვიგებთ, რომ სახარება სპარსულად ითარგმნა XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მცხოვრები სომხებისთვის, რადგანაც მათ სჭირდებოდათ რელიგიური ცოდნა მუსლიმებთან პოლემიკისთვის.<sup>8</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებათა შორის ყველაზე დამაჯერებლად ქ-ნი ცისანა აბულაძის მოსაზრება მიგვაჩნია, რომელსაც იგი გამოთქვამს ქართული ანბანით ტრანსლიტირებული თურქული ტექსტების შესახებ მსჯელობისას: „ძირითადად ენაში გავარჯიშების მიზნითაა ტრანსლიტირებული „თათრული ოთხთავი“. ... გასაგებია, რომ სულით ხორცამდე ქრისტიანი ბატონიშვილები ოთხთავსა და ფსალმუნს ირჩევდნენ თურქულსა და სპარსულ ენაში სავარჯიშოდ“.<sup>9</sup>

ერთი რამ უდავოა, ხელნაწერი S-16 მეტად ძვირფასია, ამიტომ ის დიდგვაროვანის მიერ უნდა იყოს დაკვეთილი. რადგანაც ხელნაწერი კარგ მდგომარეობაშია (არაა გაცვეთილი), და არის მხოლოდ ერთი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ის საჯარო მოხმარებისთვის არ უნდა შეექმნათ. მიგვაჩნია, რომ რომელიმე დიდგვაროვანის სურვილი უნდა ყოფილიყო ამგვარი სპარსული სახარების შექმნა და, სავარაუდოდ, მართლაც ენაში სავარჯიშოდ გამოიყენებოდა. ამას ადასტურებს ამავე პერიოდის სხვა მსგავსი ტიპის არაერთი ხელნაწერისა თუ ფრაგმენტის არსებობა (იხ. მაგ., „რუწული თურქთა ენათათჳს და ქართულად გარდმოღებული“ – ქართულ-სპარსული ორენოვანი ხელნაწერი (H-2290), ქართულ კრებულში (S-418) შემავალი სპარსული ტექსტი და სხვ.), რომელთა დანიშნულება ასევე ენაში გავარჯიშება უნდა ყოფილიყო.

---

<sup>6</sup> მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), შესავალი საქართველოს საეკლესიო კანონების კრებულში, ნაწილი V (თბილისი: 2016).

<sup>7</sup> Giunashvili, Abuladze, “Notes on the Persian Gospel”, 110.

<sup>8</sup> Hasmik Kirakosian, “On the Colophons to the Two Persian Gospels Manuscripts in Armenian Script (Matenadaran N 8492 and N 3044)”, Etchmiadzin, 5 (2018): 47–62.

<sup>9</sup> ცისანა აბულაძე, „ქართული ანბანით ტრანსლიტირებული თურქული ტექსტები“, მრავალთავი, XXI (2005): 180-185.

**PERSIAN GOSPEL IN GEORGIAN SCRIPT (S-16)  
PRESERVED AT THE GEORGIAN NATIONAL CENTER  
OF MANUSCRIPTS**

Manuscript S-16 presents Persian Gospel transcribed with Georgian letters. The manuscript that is dated back to 17<sup>th</sup>-18<sup>th</sup> cc. presents the unique sample of cultural heritage, that has a very important meaning for the research of Iran-Georgia's relationship of that time from different perspective. It is a rich manuscript, written with a nice *Mkhedruli* script on a paper and illuminated with golden ornaments.

S-16 is a rich manuscript, written with a nice *Mkhedruli* script on a paper and illuminated with golden ornaments. It contains 358 folios. Matthew starts on 3r, Mark – on 109r, Luke on – 173r, and John – on 279r. The size of the page is 29,9X19,5. The size of the text - 23,5X14,5; the margins: outer – 5, inner – 1, top – 3,5, bottom – 3. The material is paper; text is written in one column, 10 lines on each page, size between lines – 2,5; the ink is black, the titles are written in red ink; the cover of the manuscript is leather covered wood with ornaments, except the ornaments at the centre there is an image of crucifixion, and on the edges – the four evangelists. One page is missing (between 172 and 173, the end of Mark's Gospel); 2r-v and 108v are empty. At the bottom of each page so-called catch words - several letters from the next page are written in order to make reading easy for the reader and not to waste their time while turning the pages.

The *Vorlage* of the Persian Gospel in Georgian script should be manuscript C-268 preserved at St-Petersburg Institute of Oriental Studies, Department of manuscripts. The manuscript once belonged to Teimuraz Batonishvili. At the end of the text there is the following inscription: “this Persian Gospel I had with me in Germany. By its grace I went from St-Petersburg in 1836 May 26 and arrived back last year in November (*Giorgobis tve*)”. S-16 is similar to C-268 as textually as well as visually.

Both manuscripts are important monuments for Persian language history. S-16 presents the scrupulous transliteration of C-268. The manuscript written in Isfahan was brought to Tbilisi and its copy with Georgian letters had been made also here.

The paper except the paleographical-codicological description of the manuscript, deals with the issues of Georgian-Persian phonetic correspondences: table showing all Georgian equivalents of each Persian phoneme attested in the manuscript is presented. Furthermore, the hypothesis about probable users, owners and audience of the manuscript are expressed.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე, ცისანა. „ქართული ანბანით ტრანსლიტირებული თურქული ტექსტები.“ *მრავალთავი XXI* (2005): 180-185.
2. სულაძე, ოლა, „ივანე ჯავახიშვილი სპარსული ოთხთავის ერთი ხელნაწერის შესახებ.“ *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 2 (1979): 87-90.
3. ხუბუა, მაკარ. „ოთხთავის სპარსული ხელნაწერები XVII-XVIII სს. საქართველოს მუზეუმში.“ *ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები*, I (1954): 163-185.
4. Giunashvili, Helen, and Abuladze, Tamar. “Notes on the Persian Gospel Manuscript in Georgian Script.” *Iran Namag*, Vol. 5, Num. 4 (2021): 102-119.
5. Kirakosian, Hasmik. “On the Colophons to the Two Persian Gospels Manuscripts in Armenian Script (Matenadaran N 8492 and N 3044).” *Etchmiadzin*, 5 (2018): 47-62.
6. Цагарели, Александр. *Сведения о памятниках грузинской письменности* (СПб., 1886): XXI.

## ინტერკონფესიური საერთო ლოცვა და მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები

### ამკრძალავი კანონები

პირველ საუკუნეებში ქრისტიანების მხრიდან განსხვავებული რწმენის მქონე პირებთან რელიგიური და ყოფითი ურთიერთობა რამდენიმე საეკლესიო კანონით იგმობოდა. აკრძალული იყო არა მხოლოდ ქრისტიან ერეტიკოსებთან ერთად ლოცვა და მათ მიერ აღსრულებულ რიტუალებში მონაწილეობა<sup>1</sup>, არამედ ასევე იუდეველებთან<sup>2</sup> და წარმართებთან<sup>3</sup> რელიგიური ურთიერთობაც (ლოცვა, მსხვერპლის შეწირვა და სხვა). ამ კანონების დამრღვევებს ეკლესიიდან განკვეთა ემუქრებოდათ. არ შეიძლებოდა ერეტიკოსების ტაძარში შემოშვებაც კი.<sup>4</sup> იკრძალებოდა ასევე იმ ქრისტიანებთან ურთიერთობა, რომლებიც დისციპლინის დარღვევის და არა ერეტიკული იდეების გამო ეკლესიიდან იყვნენ განკვეთილნი.<sup>5</sup> ლოცვითი ურთიერთობა იკრძალებოდა ასევე ეკლესიისგან „განდგომილთან“ ანუ სქიზმატიკოსთან.<sup>6</sup>

თანამედროვე ქრისტიანულ სამყაროში ამ ძველი კანონების დაცვის სურვილით აღძრული ზოგიერთი ქრისტიანი ხშირად იმოწმებს მათ იმისათვის, რომ სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიების წევრთ ერთობლივი ლოცვის დაუშვებლობაზე მიუთითონ. მათი აზრით, ვინაიდან ამ კანონთა მიხედვით, ერეტიკოსებთან ყოველგვარი (არა მხოლოდ რელიგიური) ურთიერთობა იკრძალებოდა, ამიტომ ეს აკრძალვები დღესაც განუხრელად უნდა იქნეს დაცული.

### ვინ არის ერეტიკოსი?

სანამ ამ კანონთა შემოღების მიზეზებსა და გარემოებებს განვიხილავ, საინტერესოა მოკლედ აღინიშნოს, თუ ვინ იწოდებოდა ერეტიკოსად ადრეულ საუკუნეებში, როცა ამგვარი კანონები მიიღეს. თუმცა ამის გამორკვევას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს თანალოცვის დასაშვებობის საკითხის დასადგენად.

ზოგჯერ საეკლესიო კრებებზე თუ კონკრეტულ პირებს შორის მიმდინარე გაცხარებული პოლემიკებისას ყველა განსხვავებული რწმენისა და წესის ქრისტიანი განურჩევლად მოიხსენიებოდა ერეტიკოსად და ნაკლები ყურადღება ექცეოდა,

<sup>1</sup> მოციქულთა 45-ე და 46-ე კანონები.

<sup>2</sup> მოციქულთა 65-ე კანონი.

<sup>3</sup> მოციქულთა 71-ე კანონი.

<sup>4</sup> ლაოდიკიის ადგილობრივი კრების მე-6 კანონი.

<sup>5</sup> ანტიოქიის ადგილობრივი კრების მე-2 კანონი და კართაგენის ადგილობრივი კრების მე-9 კანონი.

<sup>6</sup> ლაოდიკიის ადგილობრივი კრების 33-ე კანონი.

კერძოდ, ვის რა სიმძიმის დარღვევა ჰქონდა საკუთარ თეოლოგიურ მოძღვრებასა თუ დისციპლინარულ-კანონიკურ გადახრებში. ამიტომ კრებების კანონებში გამოყენებული სიტყვით „ერეტიკოსები“ სქიზმატიკოსებიც და უკანონო შესაკრებლების წევრებიც იგულისხმებოდნენ.<sup>7</sup> აღსანიშნავია, რომ არც წმინდა კვიპრიანე კართაგენელი ანსხვავებდა ერეტიკოსებსა და სქიზმატიკოსებს, როდესაც თავის რიგორისტულ პოზიციას გამოთქვამდა მათი ეკლესიაში შემოერთების შესახებ.<sup>8</sup> მაგრამ ზოგი საეკლესიო მამის მიერ სპეციალურად ამ საკითხზე დაწერილ კანონიკურ წერილებში მკაფიოდ განისაზღვრებოდა ეკლესიას დაშორებული ჯგუფების სტატუსი.

სიტყვას „ერესი“ (ბერძნ. Hairesis) ქრისტიანობის მიღმა სამყაროში უმეტესად ნეიტრალური მნიშვნელობა ჰქონდა, რაც უბრალოდ ნიშნავდა არჩევანს, არჩეულ შეხედულებას, მოძღვრებას. ქრისტიანულ ეკლესიაში კი ეს სიტყვა ნეგატიური მნიშვნელობითაც დაიტვირთა. მაგ., წმინდა ეგნატე ანტიოქიელის (35-107 წწ.) წერილებში ამ სიტყვით მოიხსენიება თეოლოგიურად მცდარი მოსაზრება.<sup>9</sup> ახალი აღთქმის ტექსტში ამ სიტყვით აღინიშნება როგორც განხეთქილება (1 კორ. 11:19), ისე ერესი ნუ „მწვალელობა“ (გალ. 5:20; ტიტე 3:10).

ეკლესიისგან დაშორებული ჯგუფების კლასიფიკაცია მოცემულია ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, ბასილი კესარიელის პირველ კანონიკურ ეპისტოლეში, რომელიც 374 წელს დაიწერა. წმინდა ბასილი, ეყრდნობა რა ძველ მამებს, მიუთითებს, რომ ერეტიკოსების სწავლება *ძირეულად* განსხვავდება ეკლესიის სწავლებისგან. ისინი ქრისტიანული რწმენისგან „სრულიად მოწყვეტილნი“<sup>10</sup> არიან.

მაშ ასე, ბასილი კესარიელის განსაზღვრებით, ეკლესიისგან დაშორებულები სამ ჯგუფად იყოფიან:

1) ერეტიკოსებად, რომლებსაც ეკლესიაში პირველი წესით — ნათლობით იღებდნენ. მათი დამახინჯებული აზრები „საკუთრივ ღვთის მიმართ რწმენას ეხება.“ ასეთებად დასახელებულია მანიქეველები, ვალენტინელები, მარკიონელები და პეპუძელები (იგივე მონტანისტები). მაგ., მონტანისტები ნათლავდნენ მამის, ძისა და მონტანოსის სახელით, რაც სამების დოგმატის უარყოფასა და ადამიანური ბუნებით გაღმერთების აღიარებას ნიშნავდა.

---

<sup>7</sup> იხ. სერბი კანონისტის ნიკოდიმოს მილაშის მიერ მეორე მსოფლიო კრების მე-6 კანონის განმარტება: Милаш, Никодим. *Правила Православной Церкви с толкованиями*. 2 том. Перевод с Сербского. Сергиев Посад: Издательство Свято-Троицкой Сергиевой Лавры, 1996, с. 265. (არსებობს ამ ნაშრომის ქართული თარგმანიც: მილაში, ნიკოდიმი. *მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით*. ორტომეული. ტომი პირველი. რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ. თბ., ალილო, 2007, 648გვ.).

<sup>8</sup> Ware, Kallistos. *“The Rebaptism of Heretics in the Orthodox Canonical Tradition”*, Heresy and the Making of European Culture. Edited by Andrew Roach and James Simpson. Farnham-Burlington, VT: Ashgate 2013, 34.

<sup>9</sup> Richardson, Alan and John Bowden. *The Westminster Dictionary of Christian Theology*. Philadelphia: The Westminster Press 1983, 249.

<sup>10</sup> წმინდა ბასილი დიდის პირველი კანონიკური ეპისტოლის (იკონიის ეპისკოპოს ამფილოქეს მიმართ) განმარტება წიგნში: ნიკოდიმ მილაში. *მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის განმარტებებით*. ტომი მეორე. თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ. თბ., ალილო 2011, 328.

2) სქიზმატიკოსებად, რომლებიც მეორე წესით — მირონცხებით უნდა ყოფილიყვნენ მიღებულნი. წმინდა ბასილის სიტყვით, განხეთქილებაში გასულნი „ჯერ კიდევ ეკლესიაში იმყოფებიან.“<sup>11</sup> ასეთებად დასახელებულნი არიან კათარები, ენკრატიტები და სხვები.

3) უკანონო საეკლესიო თავყრილობებში (ე.წ. გარეშესაკრებლებში, კიდეშესაკრებლებში, ბერძნ. პარასინაგოგია) მყოფებად, ანუ საეკლესიო მმართველობისადმი დაუმორჩილებელ ქრისტიანებად, რომლებიც მესამე წესით — აღსარებით, საკუთარი სიჯიუტის უგულვებელყოფის შემდგომ იწყნარებდნენ.

მართლმადიდებელ თეოლოგთა შეფასებით, ეკლესია აღნიშნულ საკითხზე „ყოველთვის წმინდა ბასილის მიერ დადგენილი ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა.“<sup>12</sup> ბასილის პირველ კანონიკურ ეპისტოლეში მოყვანილი განსაზღვრებანი „მართლმადიდებლური აღმოსავლეთის სტანდარტულ ფორმულირებას წარმოადგენდა.“<sup>13</sup>

სხვათა შორის, ღირსსაცნობია, რომ წმინდა ბასილი დიდი ხსენებულ ეპისტოლეში განსხვავებული რელიგიური გაერთიანებებისადმი თავის შემწყნარებლურ და, ასე ვთქვათ, ლიბერალურ დამოკიდებულებას ორ ადგილას ამჟღავნებს. მისი აზრით, მართალია, სქიზმატიკოსებს ნათლობისა და ხელდასხმის უფლებამოსილება არ აქვთ, რადგან ეკლესიისგან განშორებულებს არ შეეძლოთ სხვებისთვის გადაეცათ მადლი, მაგრამ „ვინაიდან მრავალთა კეთილგანგებისათვის აზიიდან ზოგმა საჭიროდ ჩათვალა მათი ნათლისღების შეწყნარება, დაე, იყოს იგი შეწყნარებული.“<sup>14</sup> ცოტა ქვემოთ, სქიზმატიკოსი ენკრატიტების მიერ აღსრულებული ნათლობის უმადლობაზე საუბრისას იგი აცხადებს, რომ მათგან მონათლული „ეკლესიაში მოსვლის შემდეგ ხელახლა უნდა მოინათლოს.“ თუმცა კაბადოკიელი წმინდა მამა აქ კიდევ ერთხელ უარყოფს რიგორისტულ მიდგომას და აცხადებს, რომ „თუკი ეს შეიძლება დაბრკოლებად იქცეს საზოგადო კეთილგანგებისათვის, კვლავ ჩვეულებას უნდა მივმართოთ და მივყვეთ მამებს, რომლებმაც განაგეს, რაც საჭირო იყო ჩვენთვის. რადგან ვშიშობ, იმით, რომ გვსურს მათი შეყოვნება ნათლისღებასთან მიმართებაში, განჩინების სიმკაცრით არ დავაბრკოლოთ ისინი, ვისაც ხსნის მოპოვება სწადია.“<sup>15</sup>

აქ, ალბათ, მეოცე საუკუნეში მოღვაწე, აღმოსავლეთის პატრისტიკული მემკვიდრეობის გამორჩეული მცოდნის, გიორგი ფლოროვსკის ცნობილი წერილიდან სათანადო მონაკვეთი გაგვახსენდება:

---

<sup>11</sup> ბასილი დიდი. *ამფილოქიოსს კანონთა შესახებ: პირველი კანონიკური ეპისტოლე*, კრებულში: წმინდა ბასილი დიდი. ეპისტოლეები. ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და განმარტებები დაურთო ვიქტორია ჯულელმა. თბ., 2019, 297.

<sup>12</sup> მეიენდორფი, იოანე. *წმინდა მამათა ღვთისმეტყველების შესავალი*. ნაწილი მეორე, კაბადოკიური სინთეზი: ნეტარი თეოდორიტე კვირელი და ქალკედონის კრება. რუსულიდან თარგმნა როლანდ-რომილე ჩხეიძემ. თბ., 2017, 48.

<sup>13</sup> Ware, *The Rebaptism of Heretics*, 35.

<sup>14</sup> ბასილი დიდი. *პირველი კანონიკური ეპისტოლე*, კრებულში: წმინდა ბასილი დიდი. ეპისტოლეები. ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და განმარტებები დაურთო ვიქტორია ჯულელმა. თბ., 2019, 299.

<sup>15</sup> ბასილი დიდი, *პირველი კანონიკური ეპისტოლე*, 299.

„თუ ეკლესიის კანონიკურ ჩარჩოებს გადაღმა მყისვე უკურთხეველი სიცარიელე იწყება, თუ სქიზმატიკოსები, საერთოდ უნათლავნი, ისევ ნათლისღებამდელ წყვდიადში იმყოფებიან, მით უმეტეს, აუცილებელია ეკლესიის ქმედებებსა და მსახურებაში სრული სიცხადის, სიმკაცრისა და დაჟინების არსებობა. აქ ყოველგვარი 'მოწყალეობა' უადგილოა და, საერთოდ შეუძლებელიც. არც არავითარ დათმობაზე წასვლა არ შეიძლება... განა მართლა დასაშვებია იქნებოდა, რომ ეკლესია ამა თუ იმ განშორებულს ან თუნდაც მწვალებელს თავის რიგებში უნათლავად მხოლოდ იმიტომ იღებდეს, რომ გაუადვილოს მას გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა? ყოველ შემთხვევაში, ეს იქნებოდა ძალზე საშიში და წინდაუხედავი დათმობა. ეს იქნებოდა უფრო ადამიანური სისუსტეების, ეგოიზმის და მცირედმორწმუნეობის წაქეზება.“<sup>16</sup>

მეექვსე მსოფლიო (ტრულის) კრების 95-ე კანონით, რომლითაც, როგორც მიჩნეულია, საბოლოოდ შეჯამდა ძველი პრაქტიკა ეკლესიაში შემოერთების შესახებ, ნესტორიანელები და მონოფიზიტები მესამე წესით ანუ მხოლოდ აღსარებით უნდა მიღებულიყვნენ. ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ კრების მამები მათ ერეტიკოსებად არ თვლიდნენ? ალბათ, არა, რადგან მათ მაინც ეწოდებოდათ ერეტიკოსები კრების ამ კანონში.

მიუხედავად ამისა, კრების მამებმა ნესტორიანელებისა და მონოფიზიტების მონათლვა (ხელმეორე ნათლობა) არ ჩათვალეს საჭიროდ. რატომ? ამაზე სათანადო რეფლექსიაა საჭირო. როგორც აღინიშნა, ფლოროვსკის არ მიაჩნდა მისაღებად იკონომია, რაც ერთი ეკლესიიდან მეორეში გადასვლის „გაადვილების“ გამო, გადანათვლისგან თავის შეკავებას გულისხმობდა. მისი აზრით, ეკლესიის კანონიკური საზღვრების მიღმა არა სრულდება ღვთის მადლის მოქმედება ანუ ჩვენ არ ვიცით სად გადის ეკლესიის ქარიზმატული საზღვრები. ამ საკითხზე საინტერესოა ასევე იოანე მეიენდორფის შენიშვნა, რომელიც მან ბასილი დიდის ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციის შესახებ წერისას გამოთქვა, რომლის მიხედვითაც, ვისი „ეკლესიაში დაბრუნებაც ნათლობის გარეშეა შესაძლებელი“, ისინი, გარკვეული აზრით, „ჯერაც ეკლესიის წევრნი არიან.“<sup>17</sup>

რუსი კანონისტი, ვლადიმერ ციპინი ამ ძველი საეკლესიო კანონების საფუძველზე ასკვნის, რომ დღეს საერთო ლოცვა შეიძლება იკრძალებოდეს იმ რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებთან, რომელთა დოქტრინაც *არსობრივად, ძირეულად* განსხვავდება ქრისტიანული ეკლესიის სწავლებისგან (მაგ., მათ დოქტრინაში წმინდა სამების შესახებ დოგმატია დამახინჯებული), რომლებიც, ამის გამო, შეიძლება ერეტიკოსებად იქნენ მიჩნეულნი. ამიტომ, მათი ეკლესიაში მიღება ნათლობით უნდა ხდებოდეს. ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს იეჰოვას მოწმეები, მოლოკნები, მუნისტები, დუხობორები და მისთ. ამისგან განსხვავებით, რუსი კანონისტის ლოგიკით, მსგავს ერეტიკოსებად ვერ მოვიაზრებთ, მაგ., კათოლიკეებს და პროტესტანტებს, რომელთა რწმენაც არ განსხვავდება სამოციქულო რწმენისგან

<sup>16</sup> ფლოროვსკი, გიორგი. „ეკლესიათა საზღვრების შესახებ“, (რუსულიდან თარგმნა მზია სურგულაძემ), ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა. რედ.: თამარ გრძელიძე. თბ., კვირიონი 2000, 5. სტატიის პდფ იხ. ვებ-გვერდზე: <https://davidtinikashvili.wordpress.com/2016/07/12/ფლოროვსკი-ეკლესიათა-საზ/>

<sup>17</sup> მეიენდორფი, *წმინდა მამათა ღვთისმეტყველების შესავალი*. ნაწილი მეორე, 47-48.

იმგვარად, როგორც განსხვავდებოდა მანიქველებს, მონტანისტებს, ევნომიანელების მოძღვრება ორთოდოქსული სწავლებისგან.<sup>18</sup>

რაც არ უნდა საინტერესო და დამაჯერებელი იყოს ამ ქვეთავში განვითარებული მსჯელობა ერეტიკოსთა სტატუსისა და მათი ეკლესიაში მიღების წესებთან დაკავშირებით, მას მაინც ვერ ექნება გადაწყვეტი მნიშვნელობა ერთობლივი ლოცვის დასაშვებობის გამორკვევის თვალსაზრისით, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამკრძალავი კანონები არა მხოლოდ ერეტიკოსებს, არამედ ასევე სქიზმატიკოსებსაც და ეკლესიისგან დროებით განკვეთილებსაც გულისხმობდა. ამიტომ, ვფიქრობ, ამ ვითარებას უფრო კარგად პასუხობს კანონთა ცვალებადობასა და თანალოცვის მაგალითებთან დაკავშირებულ ქვეთავებში მოცემული მსჯელობა და ცნობები. მათ საფუძველზე ნაჩვენებია წარსულ საუკუნეებში შემოღებული კანონების შეუსაბამობა და არარელევანტურობა თანამედროვე სამყაროში არსებულ საეკლესიო რეალობასთან.

### კანონთა ცვალებადობა

ქრისტიანულ თეოლოგიაში ცვალებადობას არ ექვემდებარება მხოლოდ დოგმატური განსაზღვრებანი. ყველა დანარჩენი ხასიათის დადგენილებებს (ინსტიტუციური, კანონიკური, იურისდიქციული, დისციპლინარული, მორალური და მისთ.) არ აქვს მარადიული, უცვლელი ხასიათი. ისინი შემოიღება საჭიროებისას, მოცემული ეპოქის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც დროთა მსვლელობისას იცვლება, „იყინება“ ან უქმდება და ეს ნორმალურია. საეკლესიო კანონები შეიძლება ოფიციალურად არც გაუქმდეს, როგორც ასეთი, მაგრამ მათი პრაქტიკაში გამოუყენებლობის გამო ისინი, ფაქტიურად, გაუქმებულად ითვლება. მსგავსი მაგალითები მრავლად მოიპოვება ეკლესიის ისტორიაში.

საეკლესიო ტრადიციის დინამიურ განვითარებას საინტერესოდ აფასებს ორთოდოქსი თეოლოგი, ემანუელ კლაპსისი, რომლის აზრითაც, მართალია, სამოციქულო რწმენასთან უწყვეტობა ეკლესიამ ყველა კონტექსტსა და ეპოქაში უნდა შეინარჩუნოს, მაგრამ ეს „უწყვეტობა არ უნდა ავურიოთ იგივეობაში, წარსულის მარტივ გამეორებაში, რომელიც აწმყოს უგულვებელყოფს.“<sup>19</sup> სხვა სიტყვებით, შეიძლება უწყვეტი იყოს საეკლესიო ტრადიცია, მაგრამ მას სრულად ან ნაწილობრივ არ გააჩნდეს გარეგნული მსგავსება ტრადიციის ადრინდელ ფორმებთან.

რამდენად გამოიხატება ცვალებადობის ლეგიტიმურობა აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში? ნიკოლოზ აფანასიევის დაკვირვებით, პროტესტანტული და კათოლიკური თეოლოგია ეკლესიაში განასხვავებს დროებითსა და მარადიულს, ცვალებადსა და უცვლელს, ადამიანურსა და ღვთაებრივს, ანუ ეკლესიაში არსებობს „*jus divinum*“ („ღვთაებრივი სამართალი“) და „*jus humanum*“ („ადამიანური სამართალი“). ამ ორ სფეროს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და თვითმყოფადი მნიშვნელობაც აქვს.

<sup>18</sup> Цыпин, Владислав. *“О молитвенном общении с инославными с канонической точки зрения”*, Миссионерское Обозрение 4, 1997, 12.

<sup>19</sup> Clapsis, Emmanuel. *“Tradition: An Orthodox-Ecumenical View”*, Emmanuel Clapsis. *Orthodoxy in Conversation: Orthodox Ecumenical Engagements*. Geneva: WCC Publications 2000, 12.

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უცნობია „ადამიანური სამართლის“ არსებობა. მაგ., ტრულის მსოფლიო კრების მეორე კანონი მთავრდება სიტყვებით, რომლის მიხედვითაც დადგენილი კანონების „შეცვლისა ან გაუქმების“ ნება არავის აქვს. მსგავსი მიდგომა სხვა კრებებზეცაა გამოვლენილი. „ადამიანური სამართლის“ არსებობა მე-12 საუკუნის ბიზანტიელი კომენტატორებისთვისაც უცნობია. მაგ., კანონიკური დადგენილებები, როგორც დოგმატები, გამოცხადებულ ჭეშმარიტებად ითვლება. გამოთქმა „სათნო უჩნდა სულსა წმიდასა და ჩვენცა“ ერთნაირად გამოიყენება ორივე ხასიათის დადგენილებების მიმართ.

მიუხედავად კრებებზე ამგვარად დეკლარირებული სიტყვებისა, საეკლესიო ისტორია აშკარად სხვა რამეზე მიუთითებდა და ამიტომაც აფანასიევი სამართლიანად შენიშნავს, რომ „არა მარტო ეკლესიის ცხოვრების რეალობა იწვევდა კანონიკურ დადგენილებათა ცვლილებებსა და გაუქმებებს, არამედ ეკლესიის უმაღლესი ხელისუფლება, ანუ სწორედ საეკლესიო კრება, ცვლიდა წინამორბედი კრების მიერ დადგენილ კანონებს.“<sup>20</sup> ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს იგივე ტრულის კრების (რომელიც კანონთა უცვალეობაზე საუბრობს!) მე-12 კანონი, რომლის მეშვეობითაც შეიცვალა მანამდე არსებული წესი და ეპისკოპატის უქორწინებლობა დაკანონდა. თუმცა ტრულის კრების მამები იქვე აცხადებენ: „ამას ვამბობთ არა მოციქულთა კანონმდებლობის გასაუქმებლად ან შესაცვლელად, არამედ მრევლზე მზრუნველობის მიზნით.“ (ზოგადად, ეკლესიის ისტორიაში არც თუ ისე იშვიათი იყო ამა თუ იმ კანონის უგულვებელყოფის კერძო შემთხვევებიც, – რა თქმა უნდა, კონკრეტულ პირთა კურთხევითა და ნებართვით. მაგ., ქალკედონის მეოთხე მსოფლიო კრების მე-7 კანონის მიხედვით, ბერმონაზვნებსა და სამღვდლო დასის წევრებს ეკრძალებოდათ სამხედრო აქტივობა, თუმცა ეს კანონი მეათე საუკუნეში ათონის მთის ივირონის მონასტრის ბერმა იოანემ, ერისკაცობაში ცნობილმა სარდალმა, თორნიკე ერისთავმა, „დაარღვია“ და აჯანყების ჩასახშობად იარაღით იბრძოდა).

როგორ უნდა გავიგოთ ტრულის კრების ეს გადაწყვეტილება, რომელმაც აშკარად შეცვალა სამოციქულო წესი და ეპისკოპოსებს ქორწინება აუკრძალა, იქვე განაცხადა რა, რომ „არ ცვლის და არ აუქმებს“ ამ წესს?

ამრიგად, აფანასიევის ლოგიკური დასკვნით, ეკლესიის სამართალში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს „ადამიანურ სამართალს“ (jus humanum), რომლის კანონებიც ექვემდებარება ცვლილებებს, გაუქმებასაც კი. მაგ., იგი მიუთითებს იმ საეკლესიო კანონებზე, რომლებიც მისაღები აღარაა ჩვენი თანამედროვე რეალობისთვის: კანონები დაცემულთა ეკლესიაში შეწყნარებისა და ეპიტემიის ხანგრძლივობებთან დაკავშირებით, ასევე დიაკონისების, ეკონომოსების, ეკდიკოსების (საეკლესიო ნოტარიუსების) ინსტიტუტებთან დაკავშირებით.

აგრეთვე გვაქვს კანონები, რომელთა აღსრულებასაც უკვე თავად საეკლესიო ხელისუფლებაც აღარ ითხოვს. მაგ., თუ ადრე ყველა იმ ადამიანის ევქარისტიაში მონაწილეობას ითხოვდნენ, ვინც ლიტურგიას ესწრებოდა (მოციქულთა მე-9 კანონი და ანტიოქიის კრების მე-2 კანონი), შემდგომში ეს მოთხოვნა შეცვალა. ასეთ კატეგორიას

---

<sup>20</sup> აფანასიევი, ნიკოლოზ. „უცვალეობისა და ცვალებადის შესახებ საეკლესიო კანონებში“, თარგმნა არჩილ მეტრეველმა, 28 ივლისი 2011, <http://www.orthodoxtheology.ge/უცვალეობისა-და-ცვალებადი/> [წვდომა 27.01.2021]

განეკუთვნება აგრეთვე ის კანონებიც, რომლებიც არეგულირებდა ეპისკოპოსთა და კლირიკოსთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას.

აღნიშნული კანონიკოსის მიერ დასახელებული ამგვარი კანონების გარდა, შეიძლება, დაგვემატებინა სხვა კანონებიც, რომლებიც დღეს ეკლესიაში არ სრულდება, გაუქმებულია, შეჩერებულია. თავიდან რომ ავიცილოთ საეკლესიო კანონებში დიდი წიაღსვლები, აქ მხოლოდ ორ მათგანზე მივუთითებ, რომლებიც მკაფიოდ ათვალსაჩინოებს ყველა ეპოქაში მათი უცვლელად დაცვის აბსურდულობას.

პირველი მათგანია მეექვსე მსოფლიო (ტრულის) კრების მე-11 კანონი, რომელიც თანამედროვე სამყაროში ძველი საეკლესიო კანონების გამოყენების არაგონივრულობის თვალსაზრისით, ალბათ, ყველაზე რელევანტური და საინტერესო მაგალითია. ეს კანონი იუდეველებთან მიმართებაში ადგენდა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის არც სამღვდელო პირმა და არც ერისკაცმა მათთან „არც უნდა იმეგობროს, არც ავადმყოფობისას უნდა მოუწოდოს მკურნალობის მისაღებად, არც აბანოში უნდა შევიდეს მათთან ერთად, ხოლო ვინც ამის გაკეთებას გაბედავს, განიკვეთოს ეკლესიიდან.“

დღეს, ალბათ ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდება შეკითხვა: ნუთუ შესაძლებელია მსოფლიო საეკლესიო კრების ამ კანონის დაცვა ჩვენს თანამედროვე სამყაროში? უნდა დაინტერესდეს თუ არა საავადმყოფოში მიყვანილი ქრისტიანი პაციენტი იუდეველია თუ არა მისი ექიმი? ან მოულოდნელი გასაჭირისას უნდა დაფიქრდეს ჭეშმარიტი ქრისტიანი დახმარებისთვის მიმართოს თუ არა იუდეველ მეზობელს? ან, ძველი თბილისის გოგირდის წყლის აბანოებში მისული ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი უნდა შეუდგეს თუ არა იმის გარკვევას, იმყოფება თუ არა იქ ვინმე იუდეველი მოზანავე მოცემული მომენტისთვის?

მეორე მაგალითია მეექვსე მსოფლიო კრების 51-ე კანონი, რომლის ძალითაც იკრძალება სასულიერო პირებისა და, ზოგადად, ქრისტიანების თეატრში ვიზიტები. მაგრამ დღეს სხავადასხვა თეატრალურ, საკონცერტო თუ საოპერო წარმოდგენებზე დამსწრეთა შორის სასულიერო პირებსაც ვხედავთ, მათ შორის, მაღალი იერარქიის წარმომადგენლებს და ამას არავინ აღიქვამს საეკლესიო კანონების უპატივცემულობად ან მათ დარღვევად. ადრეულ ეკლესიაში ასეთ აკრძალვას თავისი მიზეზები ჰქონდა: თეატრალურ სანახაობებზე საეკლესიო რიტუალებს პაროდირებდნენ და დასცინოდნენ, ხშირად ეროტიული სცენებიც იყო წარმოდგენილი. ამ ყოველივეს წმინდა მამები მკრეხელობად მიიჩნევდნენ.<sup>21</sup>

ამრიგად, თუ კანონების აბსოლუტურ ხასიათზე და მუდმივ უცვალელობაზე დავიწყებთ საუბარს, ამგვარი შეხედულება თვით რეალობის საპირისპირო აღმოჩნდება. კანონები თითქმის ყოველთვის მოცემული ეპოქის წარმონაქმნია. კონკრეტულად ერეტიკოსებთან და სქიზმატიკოსებთან თანალოცვის ამკრძალავ კანონებზე ცნობილი რუსი საეკლესიო მოაზროვნე, სერგი ბულგაკოვი წერს, რომ თავდაცვის ამგვარი საშუალებები „ბრძოლის მწვავე სტადიას შეესაბამება. მაგრამ

<sup>21</sup> სხვა მსგავს უჩვეულო, წინააღმდეგობრივ კანონებზე ვრცლად იხ. ლექცია (კონკრეტული კანონები დასახელებულია 54-ე წუთიდან): Андрей Кураев. *Парадоксы Церковного Права*, 28 March 2011, Channel: Liblion, <https://www.youtube.com/watch?v=mWT5bzII5dA> (წვიდომა 23.01.2021).



თავდაცვა აზრს კარგავს იქ, სადაც აღარ არსებობს თავდასხმა, რასაც ვხედავთ დღევანდელ აღმსარებლობათა ურთიერთობებში.<sup>22</sup> ბერძენი მართლმადიდებელი თეოლოგი ნიკოს მაცუკასიც აღნიშნავდა, რომ თანალოცვის შესახებ აკრძალვები უბრალოდ რეაქცია იყო იმ მტრულ განწყობაზე, რომელიც მაშინდელი ერეტიკოსები და სქიზმატიკოსები ავლენდნენ ორთოდოქსებისადმი. ერესი არა მხოლოდ „გარკვეული აზრების ქონაა, არამედ – მტრობა. ამიტომაც ეკლესიის წევრებს ეკრძალებათ თანალოცვა რწმენის მიმართ მტრულად განწყობილ ხალხთან.“<sup>23</sup> დღევანდელი არამართლმადიდებელი ქრისტიანები კი, მაცუკასის სიტყვით, სულაც არ ებრძვიან მართლმადიდებელ ეკლესიას. ინგლისელი მართლმადიდებელი მიტროპოლიტი, კალისტოს უერიც აღნიშნავს, რომ დღეს, არამართლმადიდებელი ეკლესიების წევრნი, რომლებიც შორეული მემკვიდრენი არიან ღრმა წარსულში მცხოვრები ერეტიკოსებისა თუ სქიზმატიკოსებისა, „კეთილგანწყობილნი არიან მართლმადიდებლობის მიმართ, რასაც ვერ ვიტყვით იმ მწვალებლებზე, რომელთა შესახებაც სჯულისკანონში და პატრისტიკულ ლიტერატურაში გვაქვს ცნობები.“<sup>24</sup> იოანე მეიენდორფი ამ კონტექსტში წარსულში რელიგიურ დაპირისპირებასთან დაკავშირებულ პიროვნულ არჩევანზე ამახვილებს ყურადღებას: „სჯულისკანონის აკრძალვა მწვალებლებთან ერთად ლოცვის შესახებ გულისხმობს ეკლესიიდან განდგომილებს, და არა იმ მხურვალე ქრისტიანებს, რომელთაც ეკლესია პირადად არ დაუტოვებიათ.“<sup>25</sup>

მხოლოდ ბოლო დროინდელი თეოლოგები როდი გამოთქვამდნენ ასეთ მოსაზრებებს, რომლებიც მსგავსი ამკრძალავი კანონების აბსოლუტურ ხასიათს ეჭვის ქვეშ აყენებს. შეიძლება ეკლესიის იმ წმინდა მამების დამოწმებაც, რომლებიც იმავე ეპოქაში ცხოვრობდნენ, როცა ეკლესია ამგვარ კანონებს იღებდა. ისინი არ ფიქრობდნენ, რომ ეს რეგულაციები განუხრელად უნდა ყოფილიყო დაცული ყველას მიერ ყველა გარემოებაში. ეკლესიის მამებს დასაშვებად მიაჩნდათ შემოქმედებითი და თავისუფალი მიდგომა მსგავსი შეზღუდვებისადმი. მაგალითად, წმინდა იოანე კლემაქსი „მწყემსის მიმართ“ თავის სიტყვაში წერდა: „როგორც მამების მიერ არის დაწერილი, უძლურებმა მწვალებლებთან ერთად არ ჭამონ; ხოლო ძლიერები, თუ უფლის სადიდებლად მათთან წასვლა და ჭამა სურთ, დაე წავიდნენ.“<sup>26</sup> გასაგებია, რომ

---

<sup>22</sup> ბულგაკოვი, სერგი. „იაკობის ჭასთან“, ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა. რედ.: თამარ გრძელიძე. თბ., კვირიონი 2000, 66. (რუსულ ორიგინალში ციტატა იხ.: Булгаков, Сергей. „У Кладезя Яковля“, Православие и Экуменизм: Документы и Материалы 1902-1998. Ред. В. Боровой, А. С. Буевский. М., 1999, 120).

<sup>23</sup> მაცუკასი, ნიკოს. „ეკუმენურობა ქრისტიანული აპოკალიფსის მიხედვით 'სავსებას' ნიშნავს“, კრებულში: რაითა ყოველნი ერთ იყვნენ: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა. რედ.: თამარ მესხი. თბ., ენა და კულტურა 2002, გვ. 184. ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ამ კრებულის პდფ ვერსია იხ. ვებ-გვერდზე: <https://davidtinikashvili.wordpress.com/2017/01/19/მესხი-რაითა-ყოველნი-ერთ-ი/>

<sup>24</sup> უერი, კალისტოსი. „მარლი მართლმადიდებლობისა“, ჟურნალი „ემასი“ 1, 2004, 91.

<sup>25</sup> მეიენდორფი, იოანე. „ჭეშმარიტი და ცრუ-ეკუმენიზმი“, აღმოსავლურ-დასავლურ ქრისტიანობა. რედ.: დავით თინიკაშვილი. თბ., სულხან-საბა ორბელიანის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი 2009, 447-448.

<sup>26</sup> წმინდა იოანე სინელი. „სიტყვა მწყემსისა და წინამძღვრისადმი“, თავი 12:15, იოანე სინელი. კლემაქსი ანუ კიბე. თანამედროვე ქართულ ენაზე ტექსტი გამართა ტატიანა ცომაიამ. თბ., ახალი ივირონი 2008, 328. რუსულ თარგმანში ციტატას ამგვარი სახე აქვს: “Немощные не должны

„ძლიერში“ არ იგულისხმება მხოლოდ ის, ვისაც სასწაულმოქმედების ძალა აქვს, არამედ ისინიც რომელსაც შესაბამისი კომპეტენცია, გაბედულება და საღვთისმეტყველო განათლება, დიალოგის სათანადო დონეზე წარმოების უნარი აქვს.

### თანალოცვის მაგალითები

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე არავის უნდა გაუკვირდეს, თუკი აღმოაჩენს, რომ ეკლესიის ისტორიაში მრავლად აღსრულებულა საერთო ლოცვა თუ სხვა რიტუალები და საეკლესიო საიდუმლოებები, ერთი მხრივ, აღმოსავლეთის მართლმადიდებელი და, მეორე მხრივ, დასავლეთის (კათოლიკური, პროტესტანტული) ეკლესიების წარმომადგენელთა შორის. მაგ., მეჩვიდმეტე საუკუნის ოსმალეთის იმპერიაში ბერძენ მართლმადიდებლებსა და ლათინ კათოლიკეებს შორის ერთობლივი რელიგიური მსახურების ამსახველი ფაქტები „განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩეოდა.“<sup>27</sup> ცნობილმა ინგლისელმა ორთო-დოქსმა თეოლოგმა, კალისტოს უერმა ეუსტრატეოს არგენტისადმი მიძღვნილ თავის სადოქტორო დისერტაციაში სწორედ ეს ეპოქა გამოიკვლია, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე შემდეგს აღნიშნავს: „კათოლიკე მისიონერები მართლმადიდებელ იერარქთა მხარდაჭერით მართლმადიდებლურ ტაძრებში ქადაგებდნენ და აღსარებას იბარებდნენ მართლმადიდებელ მორწმუნეთაგან; რომის კათოლიკე მღვდლები ასევე წმინდა ზიარებასაც ამღევდნენ მართლმადიდებლებს.“<sup>28</sup> როგორც ვხედავთ, საეკლესიო საიდუმლოებებში ურთიერთმონაწილეობაც კი (ე. წ. *communicatio in sacris*<sup>29</sup>) და არა ოდენ ერთობლივი ლოცვა სრულიად მისაღები იყო ლათინებისა და ბერძნებისთვის.

თანალოცვის ფაქტები რუსულ მართლმადიდებლურ სამყაროშიც არსებობდა. მაგ., ფუნდამენტალისტ საეკლესიო მოღვაწეთა შორის პოპულარული წმინდა იოანე კრონშტადტელისთვისაც კი დასაშვები იყო პროტესტანტებთან ერთად ლოცვა. პასტორ უოტსონის მოწვევით, ანგლიკანურ ტაძარში მთავარეპისკოპოსმა იუსტინემ და წმინდა იოანე კრონშტადტელმა რუს და ინგლისელ მორწმუნეებთან ერთად ილოცეს, რის

---

вкусать пищу с еретиками, как и правила повелевают. Сильные же, если неверные призывают их для познания православной веры, и они хотят идти, пусть идут в приличное время во славу Господа” (Лествица, Слово Особенное к Пастырю, Глава 12:12). ამ მნიშვნელოვანი ციტატის ინგლისური თარგმანი შემდეგია: “As defined in the holy canons, let the weak not sit at the same table with heretics. However, if those who are strong in the Lord are invited in good faith and disposition by heretics, then they should go” (John Climacus. Letter to the Sheperd, para. 65, trans. J. Chrissyavgis, in: La theologie Byzantine et sa tradition, vol. I/1. Edited by Carmelo G. Conticello. Turnhout: Brepols, 2015, 319).

<sup>27</sup> Ware, Kallistos. “Orthodox and Catholics in the Seventeenth Century: Schism or Intercommunion?” in: Derek Baker (ed.). *Schism, Heresy and Religious Protest*. Papers read at the Tenth Summer Meeting and the Eleventh Winter Meeting of the Ecclesiastical History Society. Oxford: Blackwell 1972, 260.

<sup>28</sup> Ware, Kallistos. *Eustratios Argenti: A Study of the Greek Church under Turkish Rule*. Oxford: Clarendon Press 1964 (reprint with a new introduction: Eugene, OR: Wipf & Stock 2013), 17.

<sup>29</sup> *communicatio in sacris* – ტექნიკური სიტყვათშეთანხმებაა, რაც ნიშნავს სხვადასხვა კონფესიის ქრისტიანთა ერთობლივ ლოცვას და ასევე საკრამენტებში (ეგქარისტია, აღსარება, ხელთდასხმა და სხვა) ურთიერთმონაწილეობას.

შემდეგაც წმინდა იოანემ განაცხადა: „მე მხურვალედ ვლოცულობ ჩვენი მაცხოვრის წინაშე ქრისტიანულ ეკლესიათა გაერთიანებისთვის.“<sup>30</sup>

ერთობლივი ლოცვის შემთხვევები, ბუნებრივია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაშიც მოიპოვება. პირველ რიგში, ალბათ, უნდა აღინიშნოს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, არ იყო უცხო ინტერკონფესიური გახსნილობა, რისი დასტურიცაა სომხური სამოციქულო ეკლესიის მღვდელმსახურის (ე.ი. მაშინდელი აღქმით, მონოფიზიტის), ჰოვანესის ლოცვა გარეჯის ლავრაში, რაც კედელზე წარწერებიდანაც ირკვევა.<sup>31</sup> მღვდელი ჰოვანესი ეკუმენურად განწყობილი პირი იყო, რომელიც რომის კათოლიკე ეკლესიასთან დაახლოებისთვის იღვწოდა.<sup>32</sup> აშკარაა, გარეჯის ქართველი მართლმადიდებელი ბერმონაზვნობისათვის არ იყო უცხო ქრისტიანთა შორის ურთიერთდაახლოების ტენდენცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, ჰოვანესს არავინ მისცემდა უფლებას მართლმადიდებლურ მონასტერში ლოცვისა და ამ ლოცვის სიტყვების კედელზე ამოკვეთისა.

სომხებთან თანალოცვის შემთხვევები, როგორც იკვეთება, არ იყო იშვიათი ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგ., ნიკო ნიკოლაძის მოგონებებიდან ვლინდება, თუ როგორ ლოცულობდნენ მამამისთან ერთად ქუთაისელი სომეხი და კათოლიკე ვაჭრები სახლიდან გამგზავრების წინ და ასევე როგორ მოილოცავდნენ ხოლმე მართლმადიდებლები სომხურ ტაძრებს აღმოსავლეთ საქართველოში.<sup>33</sup>

სხვა კონფესიის წევრებთან რელიგიური ურთიერთობის თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე ქართველი ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, რომელმაც ანგლიკან მღვდელს, სოლომონ სიზარ მალანს 1872 წელს ქუთაისის მართლმადიდებლურ ტაძარში ლოცვის, სახარების წაკითხვისა და ქადაგების წარმოთქმის ნება დართო.<sup>34</sup> შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ეკუმენური თანამსახურების გამოკვეთილი მაგალითი.

საქართველოში მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ სასულიერო პირებსა და ერისკაცებს შორის ერთობლივი ლოცვის შემთხვევები მე-20-21 საუკუნეებშიც საკმარისად მოიპოვება. ასე მაგალითად, კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ 1984 წლის აპრილში საქართველოში სტუმრად მყოფ კათოლიკე მღვდლებთან, ერნსტ კრისტოფ სუტნერთან და აბატ ცელესტინ პატოკთან ერთად არა მხოლოდ ილოცა, არამედ ისინი სიონის საკათედრო ტაძარში ლიტურგიის დროს საკუთარი

<sup>30</sup> Никитин, Августин. „Святой Иоанн Кронштадтский и Инославиe“, Живое Предание. Материалы международной богословской конференций. М., Изд-во Свято-Филаретовской высшей православно-христианской школы 1999, 260.

<sup>31</sup> ჯოჯუა, თემო. „გარეჯის უდაბნოს მონასტრის 1467 ქართული და სომხური წარწერების ავტორის იდენტიფიკაციისათვის“, *Analecta Iberica*, ისტორიის, რელიგიისა და კულტურის საკითხები 1, 2001, 154-155.

<sup>32</sup> პაპუაშვილი, ნუგზარ. „სომეხთა და ქართველთა სარწმუნოებრივი ურთიერთობანი“, *სოლიდარობა* 1 (28), 2009, 14.

<sup>33</sup> ნიკოლაძე, ნიკო. *მოგონებები*. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1984, 25.

<sup>34</sup> პაპუაშვილი, ნუგზარ. „ეპისკოპოსი გაბრიელი სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ ანუ: იტყოდა თუ არა იგი უარს ეკუმენიზმზე?“, *ქურნალი „სოლიდარობა“* №3 (36), 2010, 41.

ხელით აზიარა<sup>35</sup>, რის თაობაზეც საპატრიარქოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოც იუწყებოდა.<sup>36</sup> მართალია, მოგვიანებით ქართველ ფუნდამენტალისტთა ზეწოლის შედეგად, პატრიარქი იძულებული გახდა საჯარო ბოდში მოეხადა აღნიშნული ინტერკომუნიონის გამო, მაგრამ ეს ფაქტი, ბუნებრივია, კვლავ მნიშვნელოვან ფაქტად რჩება.

საინტერესოა, რომ 1997 წლის შემდგომაც კი, როცა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეკუმენური ორგანიზაციები ემს და ეეკ დატოვა (კვლავ ფუნდამენტალისტთა შანტაჟითა და წნეხის შედეგად), სხვა ქრისტიანული ეკლესიების და უფრო მეტიც, სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან თანალოცვის პრაქტიკა მაინც არ შეწყვეტილა. მაგ., 2005 წლის 29 დეკემბერს, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ინიციატივით საქართველოს მთავარ რაბინთან, აბრაამ მიქელაშვილთან შედგა შეხვედრა. შეხვედრისას პატრიარქმა ებრაელ ხალხს ჰანუკას დღესასწაული მიულოცა, ჰანუკის სანთლები დაანთო და მთავარ რაბინთან ერთად პირველი ფსალმუნი იგალობა.<sup>37</sup> ცხადია, ამ ინტერრელიგიურმა ერთობლივმა ლოცვამაც მძაფრი აღშფოთება გამოიწვია რელიგიურ ფანატიკოსებში.

2005 წლის 7-11 ოქტომბერს საქართველოში არსებულ მართლმადიდებელი, კათოლიკე, პროტესტანტი და იუდეველი სასულიერო პირებისგან შემდგარი დელეგაცია ქალაქ ოსლოში იმყოფებოდა. დელეგაციამ მოინახულა ქალაქში არსებული სინაგოგა, მეჩეთი, კათოლიკური, ლუთერანული და ბაპტისტური ტაძრები. ბოლოს დელეგაცია, ქართველ მართლმადიდებელ ეპისკოპოსებთან, დანიელ დათუაშვილთან და გერასიმე შარაშენიძესთან ერთად, საღვთო ლიტურგიას დაესწრო.<sup>38</sup> ამავე წლის 7 ივნისს თავად პატრიარქმა ილია II-მ ბაქოში აზერბაიჯანი ერისთვის პარაკლისი აღასრულა, რომელსაც ესწრებოდნენ ბაქოს კათოლიკური სამრევლოს წინამძღვარი მამა იანი და აზერბაიჯანის ებრაული თემის წარმომადგენელი, სემიონ იხიილოვი.<sup>39</sup>

2006 წლის 6 ივლისს, მოსკოვში, რუსეთის პატრიარქი ალექსი II-ის მიერ აღსრულებულ ლიტურგიას, რუსეთში ვატიკანის ნუნცის, არქიეპისკოპოს ანტონიო მენინთან ერთად ქართველი ეპისკოპოსები, დანიელ დათუაშვილი და ნიკოლოზ ფაჩუაშვილიც ესწრებიან.<sup>40</sup> ვფიქრობ, საკმარისია ქართული სინამდვილიდან

---

<sup>35</sup> ცხადია, ამ სტატიის ფარგლებს ცდება თანაზიარების შესახებ მსჯელობა. თანალოცვისგან განსხვავებით, თანაზიარება (ე.წ. ინტერკომუნიონი) ქრისტიანთა საერთო რწმენის საბოლოო გამოხატულებაა და მიჩნეული.

<sup>36</sup> „ჯვარი ვაზისა“ №2, 1984, 17. (ტექსტს სათაური არ აქვს).

<sup>37</sup> *Патриарх-католикос Илия II и раввин Абрам михелашвили зажгли ханукальные свечи*, 30 декабря 2005, <http://www.portal-credo.ru/site/?act=news&id=39334&topic=301&type=forum> (წვდომა 23.01.2021)

<sup>38</sup> ბრაგანტინი, გაბრიელე. „*მოგზაურობა ოსლოში*“, საბა: საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე, №8, 2005, 13. (საქართველოში მოღვაწე აღნიშნული კათოლიკე მღვდელი, გაბრიელე ბრაგანტინი ამ ვიზიტის ერთ-ერთი მონაწილე იყო).

<sup>39</sup> *В Баку Патриарх всея Грузии побывал в православной и католической церквях*, 7 июня 2005, <http://www.regnum.ru/news/466688.html> (წვდომა 23.01.2021)

<sup>40</sup> *First Performance of Divine Liturgy Composed by Bishop Hylarion of Vienna and Austria*, 7.07.2006, <http://mospat.ru/archive/en/2006/07/32168/> (წვდომა 23.01.2021)

ეკუმენური ხასიათის ურთიერთობების (მათ შორის, თანალოცვის) ამსახველი ფაქტების ჩამოთვლის გაგრძელება.<sup>41</sup>

### დასკვნის მაგიერ

წარმოდგენილი მოკრძალებული კვლევის საფუძველზეც ნათელია, რომ მართლმადიდებელი ფუნდამენტალისტები უსამართლოდ ითვისებენ ეკლესიის წარსული გამოცდილებისადმი ერთგულთა სახელს, რადგან ისინი საკუთარი ეკლესიის ისტორიიდან და მისი მემკვიდრეობიდან ჩქმალავენ ან გამოიხეივანენ იმ შეხედულებასა თუ ფაქტს, რაც ვერ თავსდება მათ მიერ შექმნილ ვიწრო, სწორხაზოვან და სქემატურ სურათში. როგორც გაირკვა, განსხვავებული რწმენის პირებთან რელიგიური და საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ამკრძალავ კანონებს არ გააჩნდათ აბსოლუტური, უცვლელი მნიშვნელობა და ხასიათი.

ცნობილი კანადელი მართლმადიდებელი თეოლოგი, პაულ ლადუსირი შენიშნავს, რომ ამგვარი საეკლესიო კანონებისადმი რიგორისტული, ხისტი და პედანტური დამოკიდებულება, მათი განუხრელი აღსრულების მიზნით, „მოდერნული სიახლეა, რაც არ შეესაბამება მართლმადიდებლურ ტრადიციას.“<sup>42</sup> მსგავსი ამკრძალავი რეგულაციების მიღება და მათი სისტემატური დაცვა კონკრეტული პერიოდის სამოძღვრო პასუხისმგებლობის ნაწილი იყო, რისი საჭიროებაც მოგვიანებით გაქრა. ამიტომაც, სწორედ ამ მიზეზით არსებობდა თანალოცვისა და საკრამენტებში ურთიერთმონაწილეობის არცთუ იშვიათი ფაქტები. ეკლესიის მისიას ყველა დროში დინამიური და შემოქმედებითი ხასიათი ჰქონდა, რაც არადოგმატური დადგენილებების საჭიროებათა მიხედვით დაწესებას, შეცვლას, შეჩერებას ან გაუქმებას გულისხმობდა.

---

<sup>41</sup> ამ თემაზე უფრო ვრცელი წიადსვლებისთვის იხ. შემდეგი სტატია: Tinikashvili, David. “The Orthodox Church of Georgia and the Ecumenical Movement (before and after 1997)”, *Journal of Eastern Christian Studies* 71:1-2, 2019, 127-159. (ვაპირებ, სტატიის ქართული თარგმანის გამოქვეყნებას მომავალში).

<sup>42</sup> Ladouceur, Paul. “On Ecumenocasm: Anti-Ecumenical Theology in Orthodoxy”, *St. Vladimir's Theological Quarterly* vol. 61:3, 2017, 347. (ლადუსირის ამ სტატიის მოკლე ვერსია (ოთხ ნაწილად) ქართულ ენაზეცაა ხელმისაწვდომი: პაულ ლადუსირი. „ეკუმენიზმმებრძოლების შესახებ: ანტიეკუმენიზმი მართლმადიდებლურ თეოლოგიაში“, წერილები ინგლისურიდან თარგმნეს დავით თინიკაშვილმა და ირაკლი ჯინჯოლავამ. თარგმანი მხოლოდ ინტერნეტ-სივრცეში გამოქვეყნდა: <https://davidtinikashvili.wordpress.com/2017/01/16/1816/> (წვდომა 30.01.2021)

## INTERCONFESSIONAL COMMON PRAYER AND THE ORTHODOX CANON LAW

In the early Christian church religious as well as non-religious relationships with people of different faiths were condemned by various canons. Not only was it forbidden to pray with Christian heretics, but also to have any relationship with Jews and pagans. Violators of these laws were threatened with excommunication. Heretics could not even be admitted in the church. It was also forbidden to have relationships with Christians who had been expelled from the church for the breach of discipline.

In the modern world, some Christians, motivated by the desire to observe these ancient canons, often demand that members of different Christian churches are not allowed to pray together. In their view, since these old canons forbade religious as well as secular relationship with heretics, they must be valid even today. But these ancient interdictions against prayer with heretics were introduced under the specific circumstances, and their application are quite inappropriate nowadays. As it is well known, it is not possible to change only dogmatic definitions. All other decrees (canonical, organizational, institutional, disciplinary, moral, etc.) have no unchanging character. They can be introduced according to the historical and ecclesiastical context. Thus, these canons can be revoked, modified or superseded in practice over time.

There are many cases of revoked or superseded canons in church history. For example, 12th canon of the Council in Trullo introduced the rule of bishop's celibacy. However, Fathers of the council declare the following: "and we say this, not to abolish and overthrow what things were established of old by Apostolic authority, but as caring for the health of the people". How are we to understand this decision of the council, which clearly changed the apostolic rule and forbade bishops to marry, saying that it does not "abolish" and "overthrow" their rule?

There are also the canons, the implementation of which is no longer required by the ecclesiastical authorities. For instance with regard to the duration of penance (so called "epitimia"); the necessary reception of Holy Communion by all present at the liturgy; In connection with the moving of clergy from one place to another, and so on.

Perhaps the most interesting example of the irrelevance of the application of these ancient canons in the modern world would be the 11th canon of the Council in Trullo: "Let no one in the priestly order nor any layman eat the unleavened bread of the Jews, nor have any familiar intercourse with them, nor summon them in illness, nor receive medicines from them, nor bathe with them; but if anyone shall take in hand to do so, if he is a cleric, let him be deposed, but if a layman let him be cut off".

Nowadays, perhaps any person will have a question: Is it possible to keep this canon of the ecumenical council in our modern world? Should the Christian patient brought to the hospital be interested in whether his doctor is Jewish? Or, in the face of sudden hardship, should a Christian seek help from a Jewish neighbor? Or, should a true Orthodox Christian who arrives in the sulfur public baths of old centre of Tbilisi city begin to find out if any Jewish is there at the moment?

Thus, if we start considering the immutability of the canons, such a view turns out to be the opposite of ecclesiastical reality itself. Laws are almost always the product of a given epoch. On the regulations prohibiting worship with non-Orthodox, Sergius Bulgakov writes that what the earlier councils did was to apply “protective measures, which were then in accord with the acute struggle with heresy. But measures of defense lose their significance when there is no attacking party – and we see this state of affairs in a whole range of interconfessional relationship in our own time.”<sup>1</sup> Nikos Matsoukas, a Greek Orthodox theologian, adds that prohibitions regarding common prayer received in the past were just a reaction to the hostile attitude defining the heretics in opposition to the Orthodox of that time, for heresy is not just “having certain ideas, but enmity. This is why members of the Church were forbidden to pray with people malevolently biased towards the faith.”<sup>2</sup> On the other hand, today’s non-Orthodox Christians, notes Metropolitan Kallistos Ware, “are kindly disposed towards Orthodoxy, which cannot be said for the heretics about which we have information in the Law and patristic literature.”<sup>3</sup> John Meyendorff focuses on the personal choice connected to religious confrontation in the past: “The prohibition of church law regarding prayer with heretics implies apostates from the Church and not the fervent Christians who have personally not left the Church.”<sup>4</sup>

It should be noticed that not only contemporary Orthodox theologians take such a position, but also those writing in the early centuries. Even in the epoch itself when these canons were drafted, the Church fathers considered a creative and free stance towards similar restrictions to be permissible. For example, St. John Climacus wrote in “To the Shepherd”: “As defined in the holy canons, let the weak not sit at the same table with heretics. However, if those who are strong in the Lord are invited in good faith and disposition by heretics, then they should go.”<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> Bulgakov, Sergius. “*By Jacob’s Well*”, Journal of the Fellowship of St. Alban and St. Sergius, No. 22, 1933, 9.

<sup>2</sup> Matsoukas, Nikos. “*According to the Christian Apocalypse, Ecumenical Means ‘Fullness’*”, in: So That They May Be One: The Orthodox Church and the Ecumenical Movement. Edited by Tamar Meskhi. Tbilisi: 2002, 184. [მაცუკასი, ნიკოს. “*ეკუმენურობა ქრისტიანული აპოკალიფსის მიხედვით სავსებას’ ნიშნავს*”, კრებულში: რაითა ყოველნი ერთ იყვნენ: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა. რედ.: თამარ მესხი. თბ., 2002, 184].

<sup>3</sup> Ware, Kallistos. “*The Salt of Orthodoxy*”, Emmaus, vol. 1, 2004, p. 91. [უერი, კალისტოსი. “*მარილი მართლმადიდებლობისა*”, ჟურნალი “*ემაოსი*” 1, 2004, 91].

<sup>4</sup> Meyendorff, John. “*True and False Ecumenism*”, in: John Meyendorff. Witness to the World. New York 1987, 46.

<sup>5</sup> John Climacus. Letter to the Sheperd, para. 65, trans. J. Chryssavgis, in: La theologie Byzantine et sa

So one should not be surprised to find quite often the performances of common prayers in the history of the Church, between the representatives of the Eastern Orthodox and the Western (Catholic, Protestant) Churches. For example, in the seventeenth-century Ottoman Empire, facts of joint religious service between Greek Orthodox and Latin Catholics were “especially abundant.”<sup>6</sup> This epoch reveals some amazing examples of joint religious services conducted by Orthodox and Catholic Christians, when it was not unusual if “western missionaries, with full permission from the Orthodox authorities, preached in Orthodox churches and heard the confessions of the Orthodox faithful; the Orthodox received communion from Roman Catholic priests.”<sup>7</sup> So even a mutual participation in the Church sacraments (*communicatio in sacris*) was not a problem at all and it should be pointed out here that these kinds of facts were “especially abundant in the 17<sup>th</sup> century.”<sup>8</sup> It was not only the Greek ecclesiastical hierarchy which received Latin missionaries with marked enthusiasm, but ordinary people as well.

Facts of the prayer with non-Orthodox also existed in the Russian Orthodox Church. For example, even praying with Protestants was acceptable to St. John of Kronstadt, popular spiritual leader among Orthodox fundamentalists. Archbishop Justin and St. John have prayed in the Anglican Cathedral with Russian and English believers, after which St. John said, “I fervently pray before our Savior for the union of the Christian churches.”<sup>9</sup>

The practice of interconfessional common prayer are also found in the history of the Orthodox Church of Georgia (even after 1997 when she leaved ecumenical organizations).

Thus it is clear that Orthodox fundamentalists unjustly appropriate the name of the faithful to the long-standing experience of the church ignoring all views or facts that cannot be fitted into the narrow, linear and schematic picture created by them. As it is evident, the canons prohibiting religious relations with non-Orthodox did not have an absolute, unchanging meaning and character.

---

tradition, vol. I/1. Edited by Carmelo G. Conticello. Turnhout: Brepols, 2015, 319.

<sup>6</sup> Ware, *Orthodox and Catholics*, p. 260.

<sup>7</sup> Ware, Kallistos. *Eustratios Argenti: A Study of the Greek Church under Turkish Rule*. Oxford: Clarendon Press 1964 (reprint with a new introduction: Eugene, OR: Wipf & Stock 2013), p. 17.

<sup>8</sup> Ware, *Orthodox and Catholics*, 260.

<sup>9</sup> Августин, Никитин. “Святой Иоанн Кронштадтский и Инославиe”, Живое Предание. Материалы международной богословской конференций. М., Изд-во Свято-Филаретовской высшей православно-христианской школы 1999, 260.



## ბიბლიოგრაფია - Bibliography:

1. აფანასიევი, ნიკოლოზ. „უცვალებლისა და ცვალებადის შესახებ საეკლესიო კანონებში.“ თარგმნა არჩილ მეტრეველმა, 28 ივლისი 2011, <http://www.orthodoxtheology.ge/უცვალებლისა-და-ცვალებადი/> (წვდომა 27.01.2021).
2. ბასილი დიდი. *ეპისტოლეები*. ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და განმარტებები დაურთო ვიქტორია ჯულელმა. თბ., 2019.
3. ბრაგანტინი, გაბრიელე. „მოგზაურობა ოსლოში.“ *საბა: საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე*, №8, 2005, 12-14.
4. ბულგაკოვი, სერგი. „იაკობის ჭასთან.“ *ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა*. რედ.: თამარ გრძელიძე. თბ.: კვირიონი 2000, გვ. 61-82.
5. მაცუკასი, ნიკოს. „ეკუმენურობა ქრისტიანული აპოკალიფსის მიხედვით 'სავსებას' ნიშნავს.“ კრებულში: *რაითა ყოველნი ერთ იყვნენ: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა*. რედ.: თამარ მესხი. თბ., ენა და კულტურა 2002, გვ. 181-191. კრებულის პდფ იხ. ვებ-გვერდზე: <https://davidtinikashvili.wordpress.com/2017/01/19/მესხი-რაითა-ყოველნი-ერთ-ი/>
6. მეიენდორფი, იოანე. „ჭეშმარიტი და ცრუ-ეკუმენიზმი.“ *აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა*. რედ.: დავით თინიკაშვილი. თბ., სულხან-საბა ორბელიანის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი 2009, 447-448.
7. მეიენდორფი, იოანე. *წმინდა მამათა ღვთისმეტყველების შესავალი. ნაწილი მეორე, კაბადოკიური სინთეზი: ნეტარი თეოდორიტე კვირელი და ქალკედონის კრება*. რუსულიდან თარგმნა როლანდ-რომილე ჩხეიძემ. თბ., 2017.
8. ლადუსირი, პაულ. „ეკუმენიზმმებრძოლობის შესახებ: ანტიეკუმენიზმი მართლმადიდებლურ თეოლოგიაში.“ წერილები ინგლისურიდან თარგმნეს დავით თინიკაშვილმა და ირაკლი ჯინჯოლავამ. თარგმანი მხოლოდ ინტერნეტ-სივრცეში გამოქვეყნდა: <https://davidtinikashvili.wordpress.com/2017/01/16/1816/> (წვდომა 30.01.2021)
9. მილაში, ნიკოდიმი. *მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით*. ორტომეული. ტომი პირველი. რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ. თბ.: ალილო, 2007.
10. მილაში, ნიკოდიმი. *მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით*. ორტომეული. ტომი პირველი. რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ. თბ.: ალილო, 2011.
11. ნიკოლაძე, ნიკო. *მოგონებები*. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1984.
12. პაკუაშვილი, ნუგზარ. „ეპისკოპოსი გაბრიელი სარწმუნოებისა და მოქა ლაქეობის შესახებ ანუ: იტყოდა თუ არა იგი უარს ეკუმენიზმზე?“ ჟურნალი „სოლიდარობა“ №3 (36), 2010, 29-42.
13. პაკუაშვილი, ნუგზარ. „სომეხთა და ქართველთა სარწმუნოებრივი ურთიერთობანი.“ „სოლიდარობა“ №1 (28), 2009, 4-15.

14. უერი, კალისტოსი. „მარილი მართლმადიდებლობისა.“ ჟურნალი „ემოსი“ №1, 2004, 90-94.
15. ფლოროვსკი, გიორგი. „ეკლესიათა საზღვრების შესახებ.“ (რუსულიდან თარგმნა მზია სურგულაძემ). *ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა*. რედ.: თამარ გრძელიძე. თბ.: კვირიონი 2000, 1-14.
16. ჯოჯუა, თემო. „გარეჯის უდაბნოს მონასტრის 1467 ქართული და სომხური წარწერების ავტორის იდენტიფიკაციისათვის.“ *Analecta Iberica*, ისტორიის, რელიგიისა და კულტურის საკითხები 1, 2001, გვ. 154-155.
17. წმინდა იოანე სინელი. „სიტყვა მწყემსისა და წინამძღვრისადმი.“ თავი 12:15, იოანე სინელი. კლემასი ანუ კიბე. თანამედროვე ქართულ ენაზე ტექსტი გამართა ტატიანა ცომიაძე. თბ., ახალი ივირონი 2008, გვ. 322-332.
18. Булгаков, Сергей. “У Кладезя Яковля.” *Православие и Экуменизм: Документы и Материалы 1902-1998*. Ред. В. Боровой, А. С. Буевский. М.: 1999, 115-128.
19. Кураев, Андрей. Парадоксы Церковного Права, 28 March 2011, Channel: Liblion, <https://www.youtube.com/watch?v=mWT5bzII5dA> (წვდომა 23.01.2021).
20. Милаш, Никодим. *Правила Православной Церкви с толкованиями*. 2 том. Перевод с Сербского. Сергиев Посад: Издательство Свято-Троицкой Сергиевой Лавры, 1996, 684с.
21. Никитин, Августин. “Святой Иоанн Кронштадтский и Инославие.” *Живое Предание. Материалы международной богословской конференций*. М.: Изд-во Свято-Филаретовской высшей православно-христианской школы 1999, 389с.
22. В Баку Патриарх всея Грузии побывал в православной и католической церквях, 7 июня 2005, <http://www.regnum.ru/news/466688.html> (წვდომა 23.01.2021)
23. Патриарх-католикос Илия II и раввин Абрам михелашвили зажгли ханукальные свечи, 30 декабря 2005, <http://www.portal-credo.ru/site/?act=news&id=39334&topic=301&type=forum> (წვდომა 23.01.2021)
24. Цыпин, Владислав. “О молитвенном общении с инославными с канонической точки зрения”, *Миссионерское обозрение* 4, 1997, 7-13.
25. Bulgakov, Sergius. “By Jacob’s Well.” *Journal of the Fellowship of St. Alban and St. Sergius*, No. 22, 1933, 7-17.
26. Clapsis, Emmanuel. “Tradition: an Orthodox-Ecumenical View.” *Emmanuel Clapsis. Orthodoxy in Conversation: Orthodox Ecumenical Engagements*. Geneva: WCC Publications 2000, 5-15.
27. First Performance of Divine Liturgy Composed by Bishop Hylarion of Vienna and Austria, 7.07.2006, <https://mospat.ru/archive/en/2006/07/32168/> (წვდომა 23.01.2021)
28. John Climacus. “Letter to the Sheperd”. trans. J. Chryssavgis, in: *La theologie Byzantine et sa tradition*, vol. I/1. Edited by Carmelo G. Conticello. Turnhout: Brepols, 2015, 313-325.
29. Ladouceur, Paul. “On Ecumenoclasm: Anti-Ecumenical Theology in Orthodoxy.” *St. Vladimir’s Theological Quarterly*, vol. 61:3, 2017, 323-355.
30. Meyendorff, John. “True and False Ecumenism”, in: John Meyendorff. *Witness to the World*. New York 1987, pp. 45-47.
31. Richardson, Alan and John Bowden. *The Westminster Dictionary of Christian Theology*. Philadelphia: The Westminster Press 1983..

32. Tinikashvili, David. "The Orthodox Church of Georgia and the Ecumenical Movement (before and after 1997)." *Journal of Eastern Christian Studies* 71:1-2, 2019, 127-159.
33. Ware, Kallistos. "The Rebaptism of Heretics in the Orthodox Canonical Tradition." *Heresy and the Making of European Culture*. Edited by Andrew Roach and James Simpson. Farnham-Burlington, VT: Ashgate 2013, 31-50.
34. Ware, Kallistos. "Orthodox and Catholics in the seventeenth century: schism or intercommunion?" in: Derek Baker (ed.). *Schism, Heresy and Religious Protest*. Papers read at the Tenth Summer Meeting and the Eleventh Winter Meeting of the Ecclesiastical History Society. Oxford: Blackwell 1972, 259-276.
35. Ware, Kallistos. *Eustratios Argenti: A Study of the Greek Church under Turkish Rule*. Oxford: Clarendon Press 1964 (reprint with a new introduction: Eugene, OR: Wipf & Stock 2013).

Ярослав В. Пилипчук

*Национальный педагогический университет  
им. М. П. Драгоманова, Киев, Украина*

## ХРИСТИАНСТВО В КАВКАЗСКОЙ АЛБАНИИ

Данная статья посвящена христианству в Кавказской Албании. Первые христиане появились в Кавказской Албании в II в., а принятие христианства можно датировать 10-ми гг. IV в. Христианство пришло в Албанию из Армении. Многие для христианизации страны сделал епископ Григорис внук крестителя Армении Григория. Однако в Албании было много противников христианства и во время нашествия северных народов под руководством Санесана Григорис погиб мученической смертью. Месроп Маштоц создатель кавказской письменности создал и агванскую письменность. Агванский язык ближе всего к современному удинскому языку. Именно удинов и лезгинов стоит воспринимать как потомков населения Кавказской Албании. В V в. персидские цари царей насаждали зороастризм в Кавказской Албании и вынудили ряд ее царей отречься от христианства. Окончательное принятие христианства албанами можно датировать 484 г., то есть временем принятия Агуэнских канонов. Албанская церковь была одной из кавказских монофизитских церквей и тесно сотрудничала с Армянской апостольской церковью. Некоторое влияние в Кавказской Албании имели несториане, которых поддерживал Эраншахр Сасанидов. Окончательное разъединение с армянами произошло только в 607 г. Распространение халкедонизма в Кавказской Албании связано с Византийской империей и Картли. Сюник не подчинился албанскому католику. Нерсес-Бакур действовал в сговоре с царицей Спрамой и вызвал неудовольствие как знати, так и части клира. Письмо армянского католика багдадскому халифу привело к подчинению Албанского католикосата Армянской апостольской церкви в 705 г. Это привело к утрате албанами своей письменности. Остатки автономии Албанского католикосата были ликвидированы в 1836 г. Албанская церковь являлась одной из древнейших церквей и имела церковную литературу на агванском языке. То, что Албанский католикосат оказался в подчинении у армян привело к мусульманизации и армянизации албан. Те албаны, которые сохранили свою религию сейчас представлены удинами.

**Ключевые слова:** *Кавказская Албания, албаны, агванская письменность, Армения, армяне, удины, монофизиты, Албанский католикосат, Армянская Апостольская церковь.*

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „აშქენაზი“ თავდაპირველად ეხებოდა კონკრეტულად გერმანიის ებრაელებს, დროთა განმავლობაში იგი უფრო ფართო მნიშვნელობით მოიხსენიებდა ებრაელებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან. ამ ტერმინის შინაარსობრივი არეალი გაიზარდა და საბოლოოდ, ევროპელი ებრაელების უმეტესობა ცნობილი გახდა როგორც „აშქენაზი“ ებრაელი, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ქვეყნისა.

ებრაელების შემოსვლა ევროპაში ასეთი თანმიმდევრობით მოხდა: ჯერ მცირე რაოდენობით ებრაელი IX-X საუკუნეებში გადავიდა ჩრდილოეთ ევროპაში, განსაკუთრებით მდინარე რაინის გასწვრივ, ძირითადად დასავლეთ გერმანიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში, ხოლო შემდეგ მოსახლეობის რაოდენობის ზრდის და რელიგიური დევნის გამო ისინი ძირითადად მიგრირდნენ აღმოსავლეთისკენ. საბოლოოდ, აშქენაზების აბსოლუტური უმრავლესობა გადავიდა ყოფილი რეჩ-პოსპოლიტას ქვეყნებში (დღევანდელი პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, უკრაინა და ბელორუსია). განსაკუთრებული მრავალრიცხოვნობით უნდა გამოიყოს პოლონეთი, რის გამოც პოლონური ებრაული საზოგადოების ადათები გარკვეულწილად აისახა კიდევ აშქენაზის ლოცვის წესზე, ჩვეულებებსა და იდიშურ ენაზეც.<sup>4</sup> ბოლოს კი, XII საუკუნეში ებრაული თემები ჩამოყალიბდა რუსეთშიც. ხშირად ებრაელების მიგრაცია პირდაპირ კავშირში იყო მათ ჩაგვრასა და პოგრომებთან, რაც აიძულებდა დევნილებს განუწყვეტლივ ეძებნათ უფრო სტუმართმოყვარე ქვეყნები. XIV საუკუნის შუა ხანებში, განმეორებითი ხოცვა-ჟლეტისა და განდევნის გამო, ებრაელთა ცხოვრება გერმანიაში გაუსაძლისი გახდა. მოგვიანებით, XVII საუკუნეში და შემდეგ, ებრაელები დაბრუნდნენ დასავლეთისკენ აღმოსავლეთ ევროპაში უფრო მკაცრი პირობების გამო. მიუხედავად დევნისა და შევიწროებისა, ამ პერიოდისთვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში ებრაული ცხოვრება და განათლება ყვაოდა. იეშივას კულტურამ პოლონეთში, რუსეთსა და ლიტვაში გამოიწვია ახალი თალმუდური კვლევების მუდმივი ნაკადი. XVIII საუკუნის გერმანიაში ჰასქალას მოძრაობა მხარს უჭერდა მოდერნიზაციას

<sup>2</sup> ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989, 19.

<sup>3</sup> Marion Aptroot, Yiddish Language and Ashkenazic Jews: A Perspective from Culture, Language, and Literature. <https://academic.oup.com/gbe/article/8/6/1948/2574117>

<sup>4</sup> С.М. Дубнов, Краткая история евреев, Средние века и новое время, Часть 3, Глава 6 - Евреи в Польше и Руси [ID: 2551377] <http://jhist.org/code/dubnov36.htm>

თანამედროვე კონფესიებისა და საერო ებრაული კულტურის ინსტიტუციების დანერგვით.

XIX საუკუნეში რუსეთში ებრაელების დევნის გამო აშქენაზების უმრავლესობა მასობრივი ალით (ემიგრაციით) გადავიდა აშშ-ში. ამ პერიოდში აშქენაზების რაოდენობა გაცილებით აღემატებოდა სეფარდებისას ევროპის ყველა თემში, აშშ-ში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში და პალესტინაში. სეფარდები უპირატესობდნენ ჩრდილო აფრიკაში, აზიის ქვეყნებში, იტალიაში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

აშქენაზი ებრაელები წარმოადგენენ თანამედროვე ებრაელების დიდ ნაწილს, რომელიც მსოფლიოს ყველა ებრაელის 70% -დან 80% -მდეა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სეფარდ ებრაელებს. მეორე მსოფლიო ომამდე და ჰოლოკოსტამდე ეს იყო გაცილებით მაღალი მაჩვენებელი. მართალია, როგორც აღინიშნა, აშქენაზების ისტორია ძირითადად ევროპაში ჩაისახა და განვითარდა, მაგრამ სამოქალაქო დაპირისპირებისა და ომების პერიოდში ისინი იძულებულები გახდნენ მასიური ემიგრაციით უკეთესი შესაძლებლობები მოემძებნათ. ამის შედეგად აშქენაზები გახდნენ ებრაელთა უმრავლესობა ახალი სამყაროს კონტინენტებსა და ქვეყნებში, სადაც ადრე ებრაელები არ სახლობდნენ. მათ შორისაა შეერთებული შტატები, კანადა, მექსიკა, ბრაზილია, არგენტინა, გაერთიანებული სამეფო, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, და სხვა. XXI საუკუნის დასაწყისში აშქენაზი ებრაელები დაახლოებით 11 მილიონს შეადგენენ. ისრაელში აშქენაზებისა და სეფარდების რიცხვი დაახლოებით თანაბარია და მთავარ რაბინატს თანაბარ მდგომარეობაში ჰყავს როგორც აშქენაზი, ასევე სეფარდელი მთავარი რაბინი.<sup>5</sup>

აღსანიშნია ის გარემოებაც, რომ ვინაიდან აშქენაზი ებრაელები წარმოიშვნენ შედარებით მცირე რაოდენობის თავდაპირველი პოპულაციიდან, ბევრი მათგანი მიუხედავად ერთმანეთისგან გეოგრაფიული სიშორისა, იზიარებს საერთო გენეტიკურ მახასიათებლებს.<sup>6</sup>

**სეფარდი** ებრაელი სიტყვასიტყვით ნიშნავს ესპანელ ებრაელს, სიტყვიდან სფარად, რაც ებრაულად ნიშნავს ესპანეთს (ეს სიტყვა ასევე გვხვდება ბიბლიის ძველი აღთქმის წიგნებში, აბდია 1:20)<sup>7</sup>. თანამედროვე რეალობაში ამ ტერმინმა თავისი ტრადიციული მნიშვნელობა დაკარგა, მისი შინაარსიც გაფართოვდა და დღეს იგი თავისუფლად გამოიყენება (განსაკუთრებით არა-სეფარდების მიერ) ყველა არა-აშქენაზი ებრაელის მიმართ.

ებრაელები ესპანეთიდან, პირენეის ნახევარკუნძულიდან და ესპანური დიასპორიდან ცნობილია სეფარდების სახელით. ებრაელები ამ ტერიტორიებზე გამოჩნდნენ არაუგვიანეს ახ. წ. I საუკუნისა. უკვე V- VII საუკუნეებში დაიწყო მათი შევიწროება, რის შედეგადაც ისინი ღიად ვერ მისდევდნენ იუდაიზმს. VIII საუკუნიდან ისინი სარგებლობდნენ ესპანეთის ქრისტიანებთან და მუსლიმებთან ჰარმონიული ურთიერთობის შესაძლებლობით ე.წ. „ოქროს ხანაში“, რომელიც გაგრძელდა

<sup>5</sup> “Ashkenazi.” Encyclopedia Britannica. <https://www.britannica.com/topic/Ashkenazi> Accessed August 28, 2020;

<sup>6</sup> Краткая Еврейская Энциклопедия, главные редакторы: Ицхак Орен (Надель), Майкл Занд, том I, Издательство "Катер", Иерусалим, 1976, 264-265.

<sup>7</sup> ბიბლია, 836.

დაახლოებით 200 წელი. VIII საუკუნიდან მუსლიმთა მმართველობის ქვეშ ესპანეთი გახდა განსაკუთრებით აყვავებული და შემწყნარებული ქვეყანა და ებრაული თემები წარმატებით განვითარდა იქ, როგორც ეკონომიკურად, ასევე რელიგიურად. ამ პერიოდის ებრაელები იყვნენ თავდაპირველი სეფარდი ებრაელები. სეფარდული ოქროს ხანა დასრულდა, როდესაც ქრისტიანმა მთავრებმა გააერთიანეს თავიანთი სამეფოები და აღადგინეს ქრისტიანული მმართველობა მთელ ესპანეთსა და პორტუგალიაში. 1492 წელს მეფე ფერდინანდმა და დედოფალმა იზაბელამ გააძევეს ყველა ებრაელი ესპანეთიდან; ცოტა ხნის შემდეგ, მსგავსი კანონი განდევნის ებრაელებს პორტუგალიიდან. სეფარდი ებრაელები ემიგრაციაში წავიდნენ ამსტერდამში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.<sup>8</sup> ებრაელები გვიანი ანტიკური პერიოდიდან ცხოვრობდნენ ჩამოთვლილი რეგიონების ბევრ ქვეყანაში ხოლო თანამედროვე პირობებში რიგ ქვეყნებში ჭარბობენ აშქენაზების რაოდენობას<sup>9</sup> მაგალითად, ამერიკის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც დომინანტობენ აშქენაზები, ვენესუელა და პანამა გამონაკლისია, რადგან სეფარდები შეადგენენ ებრაული თემების უმრავლესობას ამ ორ ქვეყანაში. ასევე, საფრანგეთში, ჩრდილოეთ აფრიკიდან სეფარდი ებრაელი ემიგრანტები და მათი შთამომავლები ახლა აღემატებიან აშქენაზებს.

როგორც აღინიშნა, სეფარდები გაიფანტნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და თან გაიყოლეს თავიანთი უნიკალური ტრადიციები, მათ შორის ენა - ლადინო.

ლადინო - ენა, რომელსაც ასევე უწოდებენ იუდეო-ესპანურს. მასზე საუბრობენ სეფარდი ებრაელები, რომლებიც ძირითადად ცხოვრობენ ისრაელში, ბალკანეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, საბერძნეთსა და თურქეთში. იგი წარმოადგენს ესპანურის არქაულ ფორმას, რომელიც გარკვეულწილად შერეულია ებრაულ ელემენტებთან (ისევე, როგორც არამეულ, არაბულ, თურქულ, ბერძნულ, ფრანგულ, ბულგარულ და იტალიურთან) ანუ შუა საუკუნეების ესპანური ნაზავია ებრაული, არაბული და პორტუგალიური ენებიდან მნიშვნელოვანი ნასესხობებით, ჰქონდა როგორც ოფიციალური ლიტერატურული დიალექტი, ასევე მრავალრიცხოვანი ყოველდღიური სასაუბრო დიალექტები, რომლებიც განვითარდა სეფარდი ებრაელების ახალ ქვეყნებში ცხოვრების დროს. ლადინო ადრე იწერებოდა ებრაული დამწერლობით, მაგრამ 21-ე საუკუნეში ხშირ შემთხვევაში ლათინურმა ანბანმა ჩაანაცვლა იგი, თუმცა მისი გამოყენება შეზღუდულია და იგი უკვე გადაშენების გზას ადგას.<sup>10</sup> ლადინო საუკუნეების მანძილზე აერთიანებდა ნახევარკუნძულის ებრაელებს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რიტუალსა და სიმღერაში. სიმღერები ამ ენაზე ატარებდა ტრადიციულ ხასიათს ოჯახებში შაბათის მაგიდასთან. სეფარდი ებრაელები ხშირად იცავდნენ დღესასწაულის უნიკალურ ჩვეულებებს, როგორცაა რომ ჰამანას სედერი, რომელიც მოიცავს საახალწლოდ რიგი სპეციალური კერძების მომზადების ტრადიციას, რასაც

<sup>8</sup> Tobias Brinkmann, Jewish Migration, European History Online: <https://d-nb.info/1020549025/34>

<sup>9</sup> Carsten L. Wilke, Losing Spain, securing Zion: allegory and mental adaption to exile among refugees of the Iberian Inquisitions; Expulsion and Diaspora Formation: Religious and Ethnic Identities Flux from Antiquity to the Seventeenth Century, Submitted on 16 Mar 2018. <https://halshs.archives-ouvertes.fr/halshs-01730360/document>

<sup>10</sup> "Ladino language." Encyclopedia Britannica, <https://www.britannica.com/topic/Ladino-language>. Accessed April 22, 2016;

მიერთმევედნენ კარგი ახალი წლის ნიშნად. ასევე, პასექზეც ჩვეულებად დადგინდა სხვა კულინარიული ვალდებულებები. სეფარდ ებრაელებს გადასახლების დროს თან მიჰქონდათ თავიანთი განსაკუთრებული რიტუალური წეს-ჩვეულებები ხელოვნებასა და არქიტექტურაში. სეფარდული სინაგოგები ხშირად ინარჩუნებენ ისლამურ გავლენას არქიტექტურაში, უპირატესობას ანიჭებენ ყვავილოვან, კალიგრაფიულ და დეკორატიულ მოტივებს. სეფარდმა ებრაელმა მსოფლიო კულტურის განვითარებაში თავის წვლილი შეიტანეს. ბევრი მათგანი ცნობილი გახდა არაებრაულ წრეებში, როგორც პოეტი, მეცნიერი და ექიმი. გამოჩნდა ებრაული პოეზიის ახალი ფორმები და თალმუდისა და ჰალახას (ებრაული კანონი) შესწავლა უფრო დახვეწილი გახდა.<sup>11 12</sup>

საუკუნეების მანძილზე აშქენაზებსა და სეფარდებს შორის ურთიერთობა სხვადასხვა ხასიათს ატარებდა, რაც ეპოქასა და მათი განსახლების ლოკაციაზე იყო დამოკიდებული. XVII -XVIII საუკუნეებში იერუსალიმში დამკვიდრების პროცესში მათ შორის ურთიერთობა გამწვავდა, თუმცა XIX საუკუნეში თურქ მართველობასთან სეფარდებმა მხარი დაუჭირეს იერუსალიმში აშქენაზური საზოგადოების (თემის) აღდგენის საკითხს.

ბუნებრივად ისმის კითხვა: რა განასხვავებს ებრაელების ამ ორ ეთნიკურ განშტოებას ერთმანეთისგან?

აშქენაზ და სეფარდ ებრაელებს შორის განსხვავება უპირველეს ყოვლისა ემყარება მათ ისტორიულ წარმოშობას. მას შემდეგ, რაც ეს თემები დიდწილად დამოუკიდებლად განვითარდნენ, მათ შორის ბევრი უმნიშვნელო განსხვავება ფიქსირდება ებრაულ კანონებსა და ჩვეულებებში. შუა საუკუნეების ორი უდიდესი რაბინი - რაბი იცხაკ ალ-ფასი ფეზიდან, მაროკო („რიფი“)<sup>13</sup> და მაიმონიდი, რომლებიც საბოლოოდ დასახლდნენ ეგვიპტეში გახდნენ ებრაული სამართლის ერთ-ერთი მთავარი ავტორიტეტები სეფარდთა შორის. საუკუნეების შემდეგ, რაბი იოსებ კარომ დაწერა თავისი ძირითადი ნაშრომი ებრაული სამართლის შესახებ - შულხან არუხი (გაშლილი სუფრა), სადაც პირველ რიგში დაადგინა სამართლის კანონები და მცნებები.<sup>14</sup> წიგნი პირველად გამოქვეყნდა 1564 წელს, შესაბამისად, ეს ნაშრომი გახდა სეფარდული ებრაული კანონის საფუძველი.<sup>15</sup> ამავე პერიოდში ჩრდილოეთ ევროპაში, ძირითადად გერმანიასა და საფრანგეთში, იყვნენ სხვადასხვა დიდი ავტორიტეტები, როგორცაა რაბი გერშომი, შლომო იცხაკი (რაში), აშერ ბენ იეჰიელი („როშ“), თოსაფოთის სკოლის წარმომადგენლები და სხვანი. მათი შრომები აშქენაზის კანონის საფუძველს წარმოადგენდა. მას შემდეგ რაც რაბი კარომ დაწერა თავისი შულხან არუხი, დიდმა აშქენაზმა რაბინმა რაბი მოშე ისერლისმა ( რომელიც კრაკოვიდანაა, ცნობილია როგორც „რემა“ მისი აბრევიატურადან გამომდინარე), დაწერა შულხან არუხის

<sup>11</sup> Краткая Еврейская Энциклопедия, том 7, 1994, 772.

<sup>12</sup> Телушкин Иосиф, «Еврейский мир»; Ашкеназы и Сефарды, (2012, 4 ноября).

<http://www.istok.ru/library/78- evreyskiy-mir-4-chast-chetvertaya-novoe-vremya.html>

<sup>13</sup> יוסף אשכנזי, תורת, תורה ודאית <https://daat.ac.il/encyclopedia/value.asp?id1=189>

<sup>14</sup> ר' יוסף קארו, שולחן ארז, תורת, תורה ודאית <https://daat.ac.il/encyclopedia/value.asp?id1=180>

<sup>15</sup> Шульхан Арух — основной кодекс еврейских законов.” Toldot.ru — Иудаизм и евреи.

<https://toldot.ru/shulhanAruh.html>. Accessed November 4, 2021.



ინტერპრეტაციების კრებული, რომელიც ასახავს ებრაულ კანონს აშქენაზური პრაქტიკის შესაბამისად.<sup>16</sup>

სეფარდებისაგან განსხვავებით, რომლებიც რელიგიასთან მიმართებაში აშკარა გარე გავლენას ექვემდებარებოდნენ, აშქენაზი ებრაელები იცავდნენ მყარ, ურღვევ რწმენას. მათი სწავლულები უფრო დიდ ყურადღებას უთმობდნენ თალმუდის შესწავლასა და წმინდა წიგნების კომენტარებს, ვიდრე ჰალაქის სისტემურ კოდიფიკაციასა და განზოგადებული ნორმების შექმნას. აშქენაზური და სეფარდული კულტურული ცენტრები გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდნენ ერთმანეთზე.<sup>17</sup>

მიუხედავად იმისა, რომ აშქენაზი და სეფარდი ებრაელები, ფაქტობრივად, საკმაოდ განსხვავებული და მრავალფეროვანი კულტურის და წეს-ჩვეულებების მატარებლები არიან, მათ შორის არსებობს რელიგიური პრაქტიკის ერთგვაროვნების მნიშვნელოვანი ხარისხი. სინამდვილეში, ორივე ძირითად მცნებებში მიჰყვება შულხან არუხის მიმართულლებას.

აქ ჩამოთვლილია აშქენაზისა და სეფარდის რელიგიურ პრაქტიკაში და ჩვეულებებში რამდენიმე ყველაზე თვალსაჩინო განსხვავება:<sup>18</sup>

(ა) აშქენაზური ებრაული გამოთქმა ოდნავ განსხვავდება სეფარდულისგან (მრავალი დამატებითი განსხვავებით თითოეულის სხვადასხვა ჯგუფს შორის).

ბ) ბევრი განსხვავებაა ლოცვის ლიტურგიაში, ისევე როგორც მელოდიებში, რომლებიც გამოიყენება როგორც თორის, ასევე წინასწარმეტყველთა წიგნების გალობისას.

გ) აშქენაზებს აქვთ ჩვეულება, პასექზე არ მიირთვან ბრინჯი, პარკოსნები და მსგავსი რამ, ხოლო სეფარდები მიირთმევენ.

დ) აშქენაზები არ არქმევენ ბავშვებს ცოცხალი ნათესავების სახელს, ხოლო სეფარდებს აქვთ ტრადიცია შვილებს მათი ცოცხალი ბებია-ბაბუის სახელები დაარქვან.

ე) აშქენაზი მამაკაცების უმეტესობა არ ატარებს ტალიტს ქორწინებამდე ან ბარ მიცვას შემდეგ, ხოლო სეფარდი ატარებს ტალიტს ახალგაზრდა ასაკში.

ვ) ბევრ სეფარდ ადამიანს აქვს ჩვეულება არ ჭამოს თევზი და რძე ერთად.

ზ) ბევრი დაქორწინებული სეფარდიელი ქალი არ ატარებს პარიკს თმის დასაფარავად, ხოლო აშქენაზი - ატარებს.

გარდა ამისა, სეფარდებს უფრო მკაცრად აქვთ დაცული ქაშრუთის (ნებადართული საკვები) წესები - ხორცის ჭამის შემდეგ უნდა გავიდეს დრო, რომ მათ მიირთვან რძის პროდუქტები. სეფარდიმთა შორის საქონლის დაკვლა განსხვავდება „აშქენაზისგან“, მაგრამ მხოლოდ ჰალაქას<sup>19</sup> სპეციალისტს შეუძლია ამ განსხვავების შემჩნევა.

<sup>16</sup> Краткая Еврейская Энциклопедия, т.4., 1988, 119

<sup>17</sup> Ашкеназы. Электронная еврейская энциклопедия ОПТ. <https://eleven.co.il/diaspora/ethno-linguistic-groups/10358/>

<sup>18</sup> Ashkenazi versus Sephardic Jews: Ask the Rabbi Response (aish.com)

<https://www.aish.com/atr/Ashkenazi-versus-Sephardic-Jews.html>

<sup>19</sup> ნორმატიული დებულებები, კანონები, რომელიც არეგულირებს მორწმუნე ებრაელის რელიგიურ, სოციალურ და ოჯახურ ცხოვრებას

არსებობს მათ შორის არსებითი განსხვავებები ლოცვაში? - ორივე (აშქენაზები და სეფარდები) და ყველა სხვა ებრაელი ლოცულობს ებრაულად - წმინდა ენაზე.<sup>20</sup> გამოთქმა ოდნავ განსხვავებულია, მაგრამ მათ მშვენივრად ესმით ერთმანეთის. ლოცვების რიგი ოდნავ განსხვავებულია, თუმცა, თუ აშქენაზი ებრაელი სეფარდულ სინაგოგაში სამი დღის ლოცვიდან ერთს მაინც დაესწრება, ის არანაირ სირთულეს არ წააწყდება და მყისიერად გაიგებს ყველაფერს და პირიქით, იგივე მოხდება სეფარდების შემთხვევაში.

აშქენაზები სინაგოგებში ინახავენ თორის გრაგნილებს ხავერდოვან ყდაში ულამაზესი ნაქარგებით, რომლებიც მოიხსნება ხოლმე ყოველკვირეული თავის ან დღესასწაულისთვის განკუთვნილი მონაკვეთის კითხვისას. სეფარდების უმეტესობა გრაგნილებს ინახავს ხისტი ლითონის ცილინდრებში, რომელიც წაკითხვისას მარტივად იხსნება.

დაბოლოს, როგორც აღინიშნა, ჩამოთვლილი მაგალითების გარდა, მთელს მსოფლიოში აშქენაზსა და სეფარდ ებრაელებს შორის არსებობს არაარსებითი ხასიათის განსხვავებები პრაქტიკაში და ჩვეულებებში, ასევე ფიქსირდება ბევრი სხვაობა კულტურულ სფეროში, როგორცაა ჩაცმულობა, ენა, მუსიკა, სამზარეულო და სხვა, მაგრამ აღნიშნული განსხვავებები ერთიდაიგივე ხალხის ორ ნაწილს შორის, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში იზოლირებულად ცხოვრობდნენ, არცთუ ისე მნიშვნელოვანია. უფრო მეტიც, მათი უმეტესობა არ არის რელიგიური, არამედ კულტურულია. რელიგიურობა კი ყველა ებრაელისთვის, რომელი ეთნიკური განშტოების წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, იდენტობის ძირითადი და მთავარი მახასიათებელია. აშქენაზები და სეფარდები ერთია ხალხია, ერთი კანონით, თორას მცნებების მორჩილებით და წარმოდგენს ორ ისეთ განშტოებას, რომელზეც ებრაელი ხალხი მყარად დგას.

---

<sup>20</sup> ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებული ებრაელები, რომლებიც უკვე აღარ ლაპარაკობდნენ ებრაულად (იგი არამეულმა ჩანაცვლა), ლოცვებს მაინც ებრაულოდ კითხულობდნენ და ეს გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე. სადაც არ უნდა ეცხოვრა ებრაელს და რომელ ენაზეც არ უნდა ესაუბრა, ლოცვები მხოლოდ წმინდა ენაზე სრულდებოდა.

## **THE MAJOR ETHNIC DIVISIONS OF THE WORLD'S JEWS – THE ASHKENAZIM AND THE SEPHARDIM**

The international Jewish community has a shared Jewish history, rituals, laws, and values. However, the stories of Jewish communities and their interaction with other cultural influences make Jewish ethnic groups different from one another, giving each a unique Jewish identity. The world's Jews in different geographical regions vary markedly in terms of laws, traditions, cuisines, clothes, rituals, traditions and language. In other words, there is a distinct ethnic division among Jews, mainly influenced by the geographical dispersion of Israel's indigenous population, their assimilation with local communities and subsequent independent evolution.

The largest ethnic groups among Jews are the Ashkenazim (from Central and Eastern Europe, to be more precise, almost all Jews in Russia), the Sephardim (originally from Spain and Portugal, and then scattered across the Mediterranean), and the Mizrahi Jews from the Eastern countries.

As it is known, the name "Ashkenaz" appeared in the Torah (Genesis10:3) as a grandson of Japheth, the son of Noah, and the predecessor of one of the nations formed after the Flood. In medieval Hebrew, the term means Germany and refers to Jews living in Germany. Their spoken and written was Yiddish – a hybrid of German and Hebrew. It is written in the alphabet based on Hebrew characters. Various literary works have been produced in this language. Although the name "Ashkenaz" was initially used to apply only to German Jews, over time, it has gained a broader meaning and referred to the Jews from Central and Eastern Europe. Over time, the meaning of the term has broadened, and it now lumps most European Jews as "Ashkenazi" Jews, regardless of their country of residence.

The literary meaning of Sephardic Jews is "Spanish Jews", originating from "Sepharad" – the Hebrew word for "Spain" (the word is also found in the Old Testament, Obadiah 1:20). Today, this term has lost its historic connotation and gained a broader meaning that usually refers to all non-Ashkenazi Jews (particularly by non-Sephardim).

The paper discusses the establishment process of the Ashkenazim and the Sephardim as independent and distinct ethnic divisions of the Jews, based primarily on their historical origins. An overview of some of the most striking differences in religious practices and customs is also given in the study.

Cultural and linguistic diversity among Jewish communities has existed since ancient times. Whereas Ashkenazi and Sephardi Jews have quite diverse and unlike cultures and customs, there is a great degree of religious homogeneity among them. Both follow the same core laws and commandments.

There are minor disparities in practices and customs, as well as many cultural distinctions between Ashkenazi and Sephardi Jews around the world, but since they have lived in isolation for millennia, these variances between the two segments of the same people are not so significant. Furthermore, the majority of them are cultural rather than religious. For all Jews, regardless of which ethnic group they belong to, religiosity is the most central and crucial feature of their identity. The Ashkenazim and the Sephardim are the same people united by common law and commitment to the Tora laws and represent two pillars that the Jewish people strongly rely on.

### ბიბლიოგრაფია:

1. *ბიბლია*. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 1989.
2. Ашкеназы. *Электронная еврейская энциклопедия*. ОРТ, 1976.  
<https://eleven.co.il/diaspora/ethno-linguistic-groups/10358/>
3. Дубнов, Семён. *Краткая история евреев, Средние века и новое время*. Часть 3, Глава 6 - Евреи в Польше и Руси. - jhist.org. Accessed November 4, 2021; [ID: 2551377];  
<http://jhist.org/code/dubnov36.htm>.
4. *Краткая Еврейская Энциклопедия*. Главные редакторы: Ицхак Орен (Надель), Майкл Занд, том I (1976); том 4, (1988); том 7 (1994). Еврейский Университет в Иерусалиме, Иерусалим: Издательство “Катер”.
5. “Шульхан Арух — основной кодекс еврейских законов.” Toldot.ru — Иудаизм и евреи. <https://toldot.ru/shulhanAruh.html>. Accessed November 4, 2021.
6. Aptroot, Marion. “Yiddish Language and Ashkenazic Jews: A Perspective from Culture, Language and Literature.” *Genome Biology and Evolution* 8, no. 6 (June 2016): 1948–49; <https://academic.oup.com/gbe/article/8/6/1948/2574117>
7. Ashkenazi versus Sephardic Jews, The Aish Rabbi Replies.  
<https://www.aish.com/atr/Ashkenazi-versus-Sephardic-Jews.html>
8. Brinkmann, Tobias. “Jewish Migration.” <https://d-nb.info/1020549025/34>. Accessed November 4, 2021.
9. Ashkenazi. *Encyclopedia Britannica*. <https://www.britannica.com/topic/Ashkenazi>. Accessed August 28, 2020.
10. Ladino language. *Encyclopedia Britannica*. <https://www.britannica.com/topic/Ladino-language>. Accessed April 22, 2016;
11. Wilke, Carsten L. Losing Spain, securing Zion: allegory and mental adaption to exile among refugees of the Iberian Inquisitions. *Expulsion and Diaspora Formation: Religious and Ethnic Identities Flux from Antiquity to the Seventeenth Century*. Ed. Tolan, John. <https://halshs.archives-ouvertes.fr/halshs-01730360/document> Accessed November 4, 2021;
12. 'צחק אלפס', 'הודת', <https://daat.ac.il/encyclopedia/value.asp?id1=189>
13. אנציקלופדיה יהודית, שולחן ארוך, קארו 'וסף' <https://daat.ac.il/encyclopedia/value.asp?id1=180>

თამარ მოსიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

## რუზ ალ-იუსუფი: ლიბანელი ობოლი გოგონა, რომელიც ეგვიპტის თეატრისა და პრესის ვარსკვლავი გახდა

ვინ იყო მსახიობი რუზ (როუზ) ალ-იუსუფი (იგივე ფატიმა ალ-იუსუფი), რომელსაც მეტსახელად „აღმოსავლეთის სარა ბერნარს“ ეძახდნენ და ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ეგვიპტის პრესის ისტორიაში. ალ-აზბაქიას (الأسبوعية) და იმად ად-დინის (شاعر عماد الدين) ქუჩის თეატრებში მრავალი ეგვიპტელი ვარსკვლავის სახელი ბრწყინავდა, მაგრამ ეგვიპტურ თუ საერთოდ არაბულ პრესაში რუზ ალ-იუსუფი ყველაზე ცნობილი ქალის სახელად იქცა. როგორც სამირ ატა ალ-ლაჰი აღნიშნავს, ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ რუზ ალ-იუსუფი ყველაზე გამოცდილი ჟურნალისტი გახლდათ, ისეთივე პროფესიონალი, როგორც მსახიობი იყო, არამედ იმიტომ რომ იმ პერიოდში, ოქროს ხანაში, ის ყველაზე მამაცი ქალი აღმოჩნდა. ასეთი პოპულარობის მიზეზი ის გახდა, რომ პარტია ვაფდს დაუპირისპირდა მაშინ, როდესაც პარტია დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა.<sup>1</sup>

ასეთი საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრება ჰქონდა ფატიმა ალ-იუსუფს (ფატიმა მუჰი ად-დინ იუსუფი /اليوسف الدين محيي فاطمة), რომელიც მოგვიანებით რუზ ალ-იუსუფის სახელით გახდა ცნობილი. ფატიმა ლიბანში, ტრიპოლიში 1898 წლის დაიბადა მუსლიმთა ოჯახში. მამა წარმოშობით თურქი ჰყავდა, დედა კი ლიბანელი. დედა მშობიარობის დროს გარდაიცვალა. ფატიმა მამასთან ერთად იზრდებოდა, თუმცა მამამისი მუჰი ად-დინი ვაჭარი იყო და ხშირად უწევდა მოგზაურობა. ერთხელ მამა ბრაზილიაში გაემგზავრა და ფატიმა ქრისტიანი ლიბანელების ოჯახში დატოვა, რომელიც მასზე ზრუნავდა ხოლმე. მალე ფატიმას მამისგან ახალი ამბები აღარ მოდიოდა და როდესაც მასთან კავშირი სრულიად შეწყდა, ოჯახმა ფატიმა იშვილა, გოგონას სახელად რუზს (როუზს) ეძახდნენ და ნამდვილი ოჯახის ამბებსაც აღარ იხსენებდნენ.

როდესაც რუზი 10 წლის იყო, ოჯახმა, რომელიც მას ზრდიდა, თანხმობა განცხადა, რომ გოგონა ოჯახის მეგობრისთვის გაეყოლებინათ ამერიკაში. ამ ამბავმა რუზი გააკვირვა, ვერ გაეგო, ასე ადვილად რატომ უშვებდა მას ოჯახი და უარს ამბობდა მასზე. სწორედ ამ პერიოდში გაუმხილა მას ძიძამ სიმართლე: უთხრა, რომ ის მუსლიმი იყო და

<sup>1</sup> سمير عطا الله، "ثلاث مصريات من لبنان يا لهجة الطرابلسية: قف"، الشرق الأوسط، الاثنين - 6 صفر 1443 هـ - 13 سبتمبر 2021 م، رقم العدد 15630

سمير - عطا-الله-ثلاث-مصريات-من-لبنان-يا-اللهجة-الطرابلسية-قف/ <https://aawsat.com/home/article/3185601> accessed September 25, 2021

არა ქრისტიანი, მისი ნამდვილი სახელი ფატიმა იყო და არა რუზი. ამის შემდეგ გოგონამ ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა ოჯახის მეგობართან ერთად. თუმცა, მოგზაურობისას, როდესაც გემი ალექსანდრიაში გაჩერდა, რუზი გემიდან ჩავიდა და ალექსანდრიაში დარჩა.<sup>2</sup>

გოგონა მსახიობმა აზიზ აიდმა<sup>3</sup> იპოვა და სწორედ ის შეუძღვა ფატიმას ხელოვნების სამყაროში. მან აზიზ აიდთან თეატრში დაიწყო მუშაობა და ძირითადად დამხმარის ფუნქციას ასრულებდა. ის სცენაზე 14 წლის ასაკში გამოჩნდა. თავდაპირველად მცირე როლები ჰქონდა, ვიდრე შესაძლებლობა არ მიეცა, მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა. მას პოპულარობა ერთმა შემთხვევამ მოუტანა, როდესაც აზიზ აიდმა ის აირჩია მოხუცი ქალის როლზე სპექტაკლში „შვილების ემოციები“ (الأبناء عاطف), რომლის შესრულებაზეც ყველა მსახიობი უარს ამბობდა. ფატიმამ ეს როლი გენიალურად შეასრულა და მაყურებელის დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

აზიზ აიდის თატრალური ჯგუფი ერთგვარი მომზადება იყო შემდგომი სამსახიობო კარიერისთვის. მალე მან მნიშვნელოვანი როლების თამაში დაიწყო და ასევე მუსიკალურ ნაწარმოებებსაც ასრულებდა ხოლმე მუჰამად აბდ ალ-კუდუსთან<sup>4</sup> ერთად. ფატიმა ცდილობდა, თეატრის რეჟისორის ისკანდერ ფარაჰი<sup>5</sup> გაეცნო, რომელიც მოგვიანებით მისი მასწავლებელი გახდა და საკუთარ ოჯახშიც წაიყვანა. გოგონა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისკანდერ ფარაჰის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, მათთან ერთად ხშირად დადიოდა თეატრში სხვადასხვა თეატრალური წარმოდგენის სანახავად.<sup>6</sup>

1912 წელს რუზ ალ-იუსუფი ალექსანდრიიდან კაიროში გადავიდა, სადაც იმ დროის ეგვიპტური თეატრის ვარსკვლავებთან მუშაობდა. თავდაპირველად ჯორჯ აბიადის<sup>7</sup> დასს შეუერთდა. შემდეგ მუშაობა იუსუფ ვაჰბესთან<sup>8</sup> გააგრძელა, როდესაც მან 1923 წელს თეატრალური დასი „რამსესი“ დააარსა.<sup>9</sup> სწორედ ამ დასში მოღვაწეობის დროს მიაღწია რუზმა დიდების მწვერვალს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი, რომელიც მან ამ პერიოდში შეასრულა იყო მარგარიტა გოტიეს როლი, რომანის „ქალი კამელიებით“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლში. გოგონამ კრიტიკოსების საყოველთაო აღიარება და ქება დაიმსახურა და სწორედ მაშინ უწოდეს მას

<sup>2</sup> أوقاتك، فن و مشاهير، "روز اليوسف جنسيتها ديانتها زوجها ميلادها وفاتها معلومات وصور"،

<https://www.awqatk.com/روز-اليوسف> Accessed October 1, 2021

<sup>3</sup> აზიზ აიდი / عزيز عيد (1884-1942) - ლიბანური წარმოშობის ეგვიპტელი მსახიობი, თეატრალური დასის ხელმძღვანელი და დრამატურგი.

<sup>4</sup> მუჰამად აბდ ალ-კუდუსი / محمد عبد القدوس (1888-1969) - ცნობილი ეგვიპტელი მსახიობი.

<sup>5</sup> ისკანდერ ფარაჰი / إسكندر فرح (1851-1916) - ლიბანელი დრამატურგი და არაბული თეატრის ერთ-ერთი პიონერი. ემიგრაციაში წავიდა ეგვიპტეში, სადაც ბევრ სპექტაკლში ითამაშა და საკუთარი თეატრალური დასი შექმნა.

<sup>6</sup> أوقاتك، فن و مشاهير، "روز اليوسف جنسيتها ديانتها زوجها ميلادها وفاتها معلومات وصور"

<sup>7</sup> ჯორჯ აბიადი / جورج أبييض (1880-1959) - ეგვიპტეში მოღვაწე ლიბანელი მსახიობი. ბევრი როლი შეასრულა თეატრსა და კინოში.

<sup>8</sup> იუსუფ ვაჰბე / يوسف وهبي (1898-1982) - ეგვიპტური თეატრისა და კინოს მსახიობი და რეჟისორი, 1930-1940-იანი წლების ვარსკვლავი.

<sup>9</sup> Nevill Barbour, "The Arabic Theatre in Egypt." *Bulletin of the School of Oriental Studies, University of London* 8, no. 1 (1935): 180-181. <http://www.jstor.org/stable/608109>. Accessed September 20, 2021.

„აღმოსავლეთის სარა ბერნარი“. იმ დროის ეგვიპტის საუკეთესო თეატრალურ დასებში<sup>10</sup> მოღვაწეობით ლიბანელი ობოლი ეგვიპტეში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარი ქალი მსახიობი გახდა და წლების განმავლობაში სხვადასხვა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სცენაზე. საყოველთაო აღიარებისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო 1920 წელს მისი მონაწილეობა ეგვიპტურ ოპერეტაში სახელწოდებით „კარგი ათი“ (العشرة الطيبة) საიდ დარვიში<sup>11</sup> მიწვევით. ამის შემდეგ მას კიდევ უფრო მეტი თეატრალური ჯგუფი იწვევდა.

მიუხედავად ასეთი წარმატებული თეატრალური კარიერისა, იუსუფ ვაჰბესთან დავის შემდეგ, რუზმა გადაწყვიტა თეატრი და სამსახიობო კარიერა მიეტოვებინა. ის ამბობდა, რომ მსახიობმა უნდა დატოვოს თეატრი, სანამ თეატრი მიატოვებს მას.<sup>12</sup>

თეატრს კიდევ ერთხელ მიუბრუნდა 9 წლის შემდეგ, როდესაც პარიზში მოგზაურობის შემდეგ ეგვიპტეში დაბრუნებულმა სოფელ მაჰალა ზიადას დაწვის ამბავი გაიგო. სოფლის დასახმარებლად თავის ძველ კოლეგებთან ერთად მონაწილეობა მიიღო სპექტაკლში, რომლიდან შემოსული თანხაც სოფლის აღდგენას მოხმარდებოდა.<sup>13</sup>

ეს მოვლენები ერთგვარი ბიძგი გახლდა რუზ ფატიმა აღ-იუსუფის პოლიტიკურ და სოციალურ ასპარეზზე გააქტიურებისთვის. მან გადაწყვიტა, ძალები პრესაში მოესინჯა და გამოექვეყნებინა ჟურნალი. მან გამოუცხადა მეგობრების ჯგუფს, მუჰამად აღ-თაბიის<sup>14</sup> მეთაურობით, რომ ის მზად იყო, გაეყიდა ყველაფერი, რაც ჰქონდა, თორმეტი ფუნტის მოსაგროვებლად. სწორედ ეს თანხა იყო საჭირო ჟურნალის 3000 ეგზემპლარის გამოცემისთვის.<sup>15</sup> ყველა გააკვირვა იმ ფაქტმაც, რომ ჟურნალს თავისივე სამსახიობო სახელი რუზ აღ-იუსუფი უწოდა.

ამგვარად დაიწყო ფატიმა აღ-იუსუფმა პრესაში მოღვაწეობა. მან ახალი მიმართულებითაც შეძლო წარმატების მიღწევა და ამ ახალმა სფერომ კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოუტანა. მისი ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყო, როდესაც 1925 წელს თავისი გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა და ჟურნალი „რუზ აღ-იუსუფის“ გამოცემა დაიწყო. ჟურნალის პირველი ნომერი 1925 წლის 26 ოქტომბერს გამოვიდა. რუზ აღ-იუსუფი თავდაპირველად ყოველკვირეული პოპულარული ჟურნალი იყო, რომელშიც ქვეყნდებოდა სტატიები კულტურისა და ლიტერატურის შესახებ. ჟურნალი აქტიურად აშუქებდა თეატრისა და კინოს ამბებს როგორც ეგვიპტეში, ისე დასავლეთში. თუმცა, ფატიმა სულ უფრო მეტად ინტერესდებოდა პოლიტიკით და იმ ეპოქის სხვა

<sup>10</sup> ეგვიპტის თეატრალური დასების შესახებ იხ. Barbour, Nevill. "The Arabic Theatre in Egypt."

<sup>11</sup> საიდ დარვიში / سيد درويش (1892-1923) - ეგვიპტელი მომღერალი და კომპოზიტორი, რომელიც ითვლებოდა ეგვიპტური პოპულარული მუსიკის მამად.

<sup>12</sup> أوقاتك، فن و مشاهير، "روز اليوسف جنسيتها ديانتها زوجها ميلادها وفاتها معلومات وصور"

<sup>13</sup> ibid.

<sup>14</sup> მუჰამად აღ-თაბი / محمد التابعي (1896–1976) - ეგვიპტის წამყვანი პოლიტიკური ჟურნალისტი და თანამედროვე პრესის პიონერი არაბულ სამყაროში. მას „ჟურნალისტიკის პრინცი“ შეარქვეს.

<sup>15</sup> إبراهيم العريس، فاطمة اليوسف أو حكاية سيدة عربية استثنائية من القرن العشرين: الطرابلسية المراهقة تخوض المسرح والصحافة والسياسة في مجاهل المجتمع القاهري، "Independent العربية"

الثلاثاء 11 أغسطس 2020. Accessed September 25, 2021.

ثقافة-فاطمة-اليوسف-أو-حكاية-سيدة-عربية-استثنائية-من-القرن-العشرين/142381/node

ქალების მიერ დაარსებული ჟურნალების მსგავსად<sup>16</sup>, რუზ ალ-იუსუფიც პოლიტიკურ თემებზე გადაერთო. ამ გადაწყვეტილებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ბრიტანეთის არმიის გენერალ-მაიორ სერ ლი ოლივერ ფიცმორის სტეკის მკვლელობა კაიროში და საად ზაღლულის პრემიერის თანამდებობიდან გადაყენება.<sup>17</sup> ამგვარად, ჟურნალმა თანდათან მიმართულება შეიცვალა და დაახლოებით 1928 წლისთვის პოლიტიკურ ჟურნალად იქცა.

ფატიმა ალ-იუსუფმა ბევრი ცნობილი სახე და პროფესიონალი შემოიკრიბა თავისი ჟურნალის ირგვლივ. ფატიმამ შეეძლო, დაერწმუნებინა მუჰამად ალ-თაბიი, რომ პარლამენტის კორესპონდენტის თანამდებობდა დაეტოვებინა და მის ჟურნალში ემუშავა პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების რედაქტორად. სწორედ ის გახდა ჟურნალის პირველი რედაქტორი და ეს თანამდებობა ეკავა 1934 წლამდე. მან დიდი როლი შეასრულა ფატიმასთან ერთად ჟურნალის დაარსებასა და შემდგომ წარმატებაში. ამ ჟურნალში მოღვაწეობდნენ ცნობილი ეგვიპტელი ჟურნალისტები, როგორცაა მუსტაფა ამინი<sup>18</sup> და მისი ძმა ალი ამინი<sup>19</sup>, რომლებიც მოგვიანებით რედაქტორებიც გახდნენ. ჟურნალის ყდას კი ცნობილი ეგვიპტელი კარიკატურისტი ისკანდერ სარუხიანი<sup>20</sup> აფორმებდა 1928-34 წლებში; ასევე ნახავდით რახას<sup>21</sup> და ზუჰდი<sup>22</sup> შესრულებულ კარიკატურებს.<sup>23</sup> ჟურნალისთვის წერდნენ ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც იყვნენ ნაჯიბ მაჰფუზი<sup>24</sup>, აბას მაჰმუდ ალ-აკადი<sup>25</sup> და აიშა აბდ ალ-რაჰმანი.<sup>26</sup>

საინტერესო ამბავს იხსენებს სამირ ატა, თუ როგორ შეძლო ფატიმა ალ-იუსუფმა ცნობილი ლიტერატორი და კრიტიკოსი, აბას მაჰმუდ ალ-აკადი დაეთანხმებინა, რომ

---

<sup>16</sup> Cathlyn Mariscotti, *Gender and Class in the Egyptian Women's Movement, 1925-1939: Changing Perspectives*. (Syracuse University, 2008): 114.

<sup>17</sup> Ibid.: 95

<sup>18</sup> მუსტაფა ამინი / مصطفى أمين - (1997-1914) ეგვიპტელი მიმოხილველი და ჟურნალისტი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა არაბულ სამყაროში.

<sup>19</sup> ალი ამინი (علي أمين) (1914-1976) - ცნობილი ეგვიპტელი ჟურნალისტი, რომელმაც დააარსა ახალი ამბების სააგენტო „ალ-იაუმი“.

<sup>20</sup> ისკანდერ სარუხიანი / إسكندر صاروخان (1898-1977) - სომხური წარმოშობის ეგვიპტელი კარიკატურისტი, რომლის ნახატები ბევრ არაბულ და საერთაშორისო გაზეთებსა და ჟურნალებში იბეჭდებოდა. არაბულ სამყაროში ერთ-ერთ საუკეთესო და ყველაზე ცნობილ კარიკატურისტად ითვლებოდა.

<sup>21</sup> რახა / رخا (1913-1989) - თანამედროვე ეგვიპტური კარიკატურისტების მამა იწოდებოდა.

<sup>22</sup> ზუჰდი / زهدى (1917-199) - ცნობილი ეგვიპტელი კარიკატურისტი, დააარსა კარიკატურების ბიბლიოთეკა და ეგვიპტური კარიკატურისტების საზოგადოება.

<sup>23</sup> Talaat I Farag. "Satirical Papyrus and Modern Cartoonists (Part II): Saroukhan and the History of Egyptian Cartoons". *FEATURES*. <http://ambassadors.net/archives/issue15/features2.htm>. Accessed September 27, 2021

<sup>24</sup> ნაჯიბ მაჰფუზი / نجيب محفوظ (1911 - 2006) - ცნობილი ეგვიპტელი მწერალი, მას 1988 წელს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურაში და პირველი არაბი ნობელიანტი გახდა.

<sup>25</sup> აბას მაჰმუდ ალ-აკადი / العقاد محمود عباس (1889 - 1964) - ცნობილი ეგვიპტელი ჟურნალისტი, პოეტი და ლიტერატურის კრიტიკოსი, ასევე არაბული ენის აკადემიის წევრი.

<sup>26</sup> აიშა აბდ ალ-რაჰმანი / عائشة عبد الرحمن (1913-1998) - ეგვიპტელი მწერალი და ლიტერატურის პროფესორი, რომელიც ბინთ ალ-შატის ფსევდონიმით წერდა.



მისი ჟურნალისთვის სარედაქციო სტატია დაეწერა. თავდაპირველად აბასმა უარი უთხრა შემოთავაზებაზე პოლიტიკური მიზეზების გამო (ის პარტია ვაფდის მხარდამჭერი იყო). რუზმა უპასუხა, რომ ის აუცილებლად დათანხმდებოდა ამ შემოთავაზებას, როდესაც ყოველ თვე ოთხმოცი ფუნტის ღირებულების ჩეკს მიიღებდა და მანაც უყოყმანოდ მიიღო შემოთავაზება.<sup>27</sup> ამ ამბავის სხვა დეტალებს მოგვითხრობს მარისკოტი. რუზ ალ-იუსუფმა ალ-აკადს სთხოვა, მის გუნდს შეერთებოდა, მან თავდაპირველად უარი უთხრა შეთავაზებაზე და თქვა, რომ არ დაწერდა ჟურნალისთვის, რომელსაც ერთი ქალის სახელი ერქვა. მოგვიანებით შეცვალა ეს განცხადება და თქვა, რომ არ დაწერდა ჟურნალისთვის, რომელსაც ერთი პიროვნების სახელი ერქვა, საად ზადლულიც<sup>28</sup> რომ ყოფილიყო. თუმცა, კარგი ანაზღურების შეთავაზების შემდეგ მწერალი დაეთანხმა ამ წინადადებას (Mariscotti, 98).

ჟურნალმა მალე დიდ წარმატებას მიაღწია, ეგვიპტეში ფართოდ გავრცელდა და იმ პერიოდის ისეთ მნიშვნელოვან გაზეთებსაც კი ეპაექრებოდა, როგორც გაზეთი ალ-აჰრამი იყო.<sup>29</sup> ამასთანავე, მალე ის სხვა ჟურნალისტი ქალების კონკურენტად იქცა, მათ შორის ყველაზე გამოჩეული მუნირა საბითი<sup>30</sup> იყო, რომელსაც ფრანგული სამართლის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და რამდენიმე წელი ჟურნალისტად მუშაობდა, ფატიმას კი სკოლაც არ ჰქონდა დამთავრებული. მისი დასის ხელმძღვანელმა, აზიზ აიდმა დაიქირავა შეიხი, მისთვის წერა-კითხვა რომ ესწავლებინა. როგორც ქასლინ მარისკოტი აღნიშნავს, ფატიმა ალ-იუსუფს, როგორც მსახიობს, უკვე საექვო რეპუტაცია ჰქონდა. ის ძალიან შორს იყო იმ დროს ქალის გაბატონებული იმიჯისგან, დიასახლისისა და დედის საზოგადოებაში მიღებული სახისგან. მარისკოტი ვარაუდობს, რომ თუ რუზ ალ-იუსუფი ჟურნალისტიკაში შესვლით და პოპულარული გამოცემების ფლობით უფრო „ლეგიტიმურ“ პროფესიაში გადასვლას და ამ გზით საზოგადოების მიერ მისი აღქმის შეცვლას გეგმავდა, ის ძალიან ცდებოდა. თავად ფატიმა თავის მოგონებებში წერდა, თუ რამდენად რთული იყო, თავდაპირველად მისი ჟურნალი სერიოზულად აღექვათ, რადგანაც უცნაურად ეჩვენებოდათ, რომ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ჟურნალს ქალის სახელი და თან მსახიობი ქალის სახელი ერქვა.<sup>31</sup>

რუზ ალ-იუსუფი ზოგადად ცდილობდა, შეეცვალა ქალის ის სახე და როლი, რაც საზოგადოებაში იყო გაბატონებული. მაგალითად, ინგლისისა და ეგვიპტის შეთანხმების კრიტიკისას პოლიტიკაში ქალის როლის საკუთარ პერსპექტივაზეც საუბრობდა. ის თვლიდა, რომ ამ ეტაპზე ქალის ძირითადი მოვალეობა იყო, გაეცნობიერებინა საკუთარი უფლებები და მოეპოვებინა ეს უფლებები, მაგალითად: არჩევნებში ხმის მიცემის უფლება, სხვადასხვა საჯარო თანამდებობის დაკავების

<sup>27</sup> عطا الله، "ثلاث مصريات من لبنان يا للهجة الطرابلسية: قف"

<sup>28</sup> საად ზადლული / سعد زغلول (1857-1927) - ეგვიპტელი სახელმწიფო მოღვაწე და პატრიოტი, ვაფდის პარტიის და ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერი 1918-1919 წლებში, რის შედეგადაც ბრიტანეთმა ეგვიპტეს დამოუკიდებლობა მიანიჭა 1922 წელს. პრემიერ მინისტრი იყო მოკლე პერიოდი 1924 წელს.

<sup>29</sup> أوقاتك، فن و مشاهير، "روز اليوسف جنسيتها ديانتها زوجها ميلادها وفاتها معلومات وصور"

<sup>30</sup> მუნირა საბითი / منيرة ثابت (1967-1902) - ეგვიპტელი ჟურნალისტი და მწერალი. ის იყო პირველი ქალი, ვინც ჩაირიცხა კაიროს ფრანგულ სამართლის სკოლაში.

<sup>31</sup> Mariscotti, Cathlyn. *Gender and Class in the Egyptian Women's Movement*. 99

უფლება, კაცთან ინტელექტუალური თანასწორობის უფლება და სოციალურ შეკრებებში კაცების გვერდის გამოჩენის უფლება. ამ უფლებების მიღება და გამოყენება ქალს საშუალებას მისცემდა, პატრიოტული მოვალეობა უფრო სწორი ფორმით შეესრულებინა.<sup>32</sup> მისი ნაწერებიდან ჩანს, რომ ქალისთვის ძირითად როლად ცოლობას და დედობას არ მიიჩნევდა და „ნამდვილი ეგვიპტელი ქალის“ მისი კონცეფცია საკმაოდ განსხვავდებოდა ეგვიპტური ელიტის ქალების ხედვისგან.

მისი მოგონებებიდან ისიც ჩანს, თუ როგორ ცდილობდა, დახმარებოდა ღარიბ ქალებს, ეშვავთ სამსახური. მან რეკლამაც გააკეთა, რომ გაზეთის და ჟურნალის გასაყიდად 50 ეგვიპტელი გოგო სჭირდებოდა. მან პარიზში მოგზაურობისას ნახა, რომ გაზეთების გამყიდველების უმეტესობა ქალი იყო. ამიტომ სურდა, კარგი სამუშაო შეეთავაზებინა მისი სოციალური ფენის გოგონებისთვის, რაც საშუალებას მისცემდა, ღარიბ გოგონებს ემუშავათ და არ ემათხოვრათ ან მხოლოდ სახლის საქმე ეკეთებინათ. ის ცდილობდა, ქალებისთვის ისეთი სამსახური შეეთავაზებინა, რაც არ იქნებოდა ცოლისა და დედის როლების გაგრძელება და მათ საზოგადოებრივ სივრცეშიც შეიყვანდა. იმასაც ამბობდა, რომ ქალებისთვის სახლში ყოფნა უფრო საშიში იყო ხშირად, იქ უფრო ცუდად ეპყრობოდნენ მათ, ვიდრე ქუჩაში. თუმცა, ირონიულად იხსენებდა, რომ მისი გეგმა წარუმატებლობისთვის იყო განწირული.<sup>33</sup> მიუხედავად ამისა, რუზ ალ-იუსუფმა ცხადად მოახერხა, მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა ქალის დამკვიდრებული იმიჯის შეცვლაში.

წარმატების გზაზე რუზ ალ-იუსუფს ბევრი სირთულე და დაბრკოლება შეხვდა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ვაფდის პარტიასთან დაპირისპირება იყო. რუზ ალ-იუსუფის და ვაფდის ურთიერთობა მეგობრობით დაიწყო და მწვავე დაპირისპირებაში გადაიზარდა. პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურებასთან ერთად ფატიმა ალ-იუსუფი პარტია ვაფდს მიემხრო და 1920-იან წლებში ვაფდთან მჭირდო კავშირი ჰქონდა. მისი ჟურნალიც ვაფდის მხარდამჭერი იყო. ოპოზიციური ლიბერალ კონსტიტუციური პარტიის წევრები ხუმრობით ვაფდს რუზ ელ-იუსუფის პარტიასაც კი ეძახდნენ.<sup>34</sup> თუმცა, ეს მხარდაჭერა კრიტიკული იყო. ვაფდის შესახებ კრიტიკული სტატიების გამოქვეყნების გამო კარგი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ეს კავშირი შესუსტდა და 1930-იანი წლების დასაწყისში ნელ-ნელა დაპირისპირებაში გადაიზარდა. რუზ ალ-იუსუფი ვაფდს დაშორდა სიდკის<sup>35</sup> რეჟიმის დაცემის და ვაფდის მუსტაფა ალ-ნაჰასის<sup>36</sup> მეთაურობით დაბრუნების შემდეგ. ის თვლიდა, რომ ვაფდი სათანადოდ არ აწარმოებდა მოლაპარაკებებს ბრიტანეთთან, მეფე ფუადთან<sup>37</sup>

<sup>32</sup> *Ibid.*: 115

<sup>33</sup> *Ibid.*: 99.

<sup>34</sup> *Ibid.*: 114

<sup>35</sup> ისმაილ სიდკი / إسماعيل صدقي (1875-1950) - ეგვიპტელი პოლიტიკოსი, რომელიც ორჯერ იყო ეგვიპტის პრემიერ მინისტრი (1930-33, 1946).

<sup>36</sup> მუსტაფა ალ-ნაჰას ფაშა / مصطفى النحاس باشا (1879-1965) - სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც, როგორც ნაციონალისტური ვაფდის პარტიის ლიდერი, დომინანტი ფიგურა იყო ეგვიპტის პოლიტიკაში 1952 წ. რევოლუციამდე.

<sup>37</sup> ფუად I / فؤاد الأول (1868-1936) - ეგვიპტის პირველი მეფე (1922-36) დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ.

დაპირისპირების გამო.<sup>38</sup> ჟურნალი მწვავედ აკრიტიკებდა პრემიერ მინისტრს და დაჟინებით მოითხოვდა 1923 წლის კონსტიტუციის დაბრუნებასა და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. გაზეთი აქტიურად წერდა იმ დროის პოლიტიკურ მოვლენებზე და ახალგაზრდებს ხშირად საპროტესტო გამოსვლებისკენ მოუწოდებდა, მხარს უჭერდა სტუდენტების პროტესტს 1934 წელს. ასე აღმოჩნდა რუზ ალ-იუსუფი სასტიკ ბრძოლაში ჩართული საად ზაღლოულის მემკვიდრეების წინააღმდეგ.

1935 წლის მარტიდან რუზ ალ-იუსუფმა იმავე სახელწოდების ყოველდღიური გაზეთის გამოცემა დაიწყო, რომელშიც აბას ალ-აკადის და მაჰმუდ აზმის<sup>39</sup> კრიტიკული სტატიები იბეჭდებოდა ვაფდის შესახებ. ვაფდმა ბრძოლა დაიწყო რუზ ალ-იუსუფის წინააღმდეგ, მაგრამ ის მარტო არ იყო, მისი გუნდის წევრები კრიტიკული სტატიების წერით ედგნენ გვერდით. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვაფდის მხარდამჭერები თავს დაესხნენ ჟურნალის შენობას და ქვები დაუშინეს. ამ დაპირისპირებამ ჟურნალს ფინანსური პრობლემებიც მოუტანა. ჟურნალის 100-ზე მეტი ნომრის გამოცემა იყო დაგეგმილი, მაგრამ მხოლოდ 42 ნომერი გამოვიდა. ჟურნალის გამოცემა რამდენჯერმე შეჩერდა ეგვიპტის მთავრობის ზეწოლის გამო, ამ ყველაფერმა კი მისი გაკოტრება და რუზ ელ-იუსუფის დაპატიმრება გამოიწვია. თუმცა, ის მალე გამოვიდა ციხიდან და ისევ საგამომცემლო საქმეს დაუბრუნდა.

რუზ ელ-იუსუფმა გადაწყვიტა, რამდენიმე სხვა პუბლიკაციაც გამოეცა და ჟურნალის მუშაობის შეწყვეტით გამოწვეული ზარალი აენაზღაურებინა. აღსანიშნავია ჟურნალი „საბაკ ალ-ხაირ“, რომელიც 1951 წლის აპრილში დაარსდა, თუმცა მისი პირველი ნომერი მხოლოდ 1956 წლის იანვარში გამოვიდა. რუზ ალ-იუსუფმა ამ ჟურნალით დიდი როლი ითამაშა ეგვიპტური ლიტერატურისა და კულტურის აღორძინებაში. „საბაკ ალ-ხაირ“ ახალგაზრდული იდეების გავრცელების ადგილად და ახალი იდეების სიმბოლოდ იქცა. აქ მოხვედრას ყველა ახალგაზრდა ჟურნალისტი და მწერალი ცდილობდა.<sup>40</sup> სამირ ატა წერს, რომ როდესაც „საბაკ ალ-ხაირ“ პოპულარობის მწვერვალზე იყო, მწერლებისთვის მნიშვნელოვანი იყო მათი სახელების ამ ჟურნალის გვერდებზე მოხვედრა, რომელსაც ახალი თაობა კითხულობდა უნივერსიტეტში წიგნებში ჩუმად ჩაკეცილი ფურცლებიდან.<sup>41</sup> მოგვიანებით რუზ ალ-იუსუფმა დაიწყო ჟურნალის „ალ-ქითაბ ალ-ზაჰაბის“ გამოცემაც.

რუზ ალ-იუსუფი თავის ჟურნალ-გაზეთებში არ ერიდებოდა კარიკატურული ილუსტრაციების გამოყენებას და ისეთ ტაბუდადებულ თემებსაც ეხებოდა, როგორც რელიგია და სექსუალობა იყო, ხშირად „ფლეპერების ეპოქის“ ეგვიპტური საზოგადოების შესახებ მოგვითხრობდა. აქტიურად წერდა სხვადასხვა სოციალურ საკითხზეც. ასევე სალიტერატურო არაბულისა და სასუბრო ენის - ამიას გამოყენების საკითხებაც ეხებოდა. მაგალითად, აღნიშნავდა, რომ სალიტერატურო არაბული ადგილს ვერ იმკვიდრებდა თეატრში და ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ ხალხმა მხოლოდ სასუბრო ენა იცოდა; და თუ მაღალი არაბულის მწერლებს ტაკვა ჰუსეინს და

<sup>38</sup> Mariscotti, Cathlyn. *Gender and Class in the Egyptian Women's Movement*. 116

<sup>39</sup> მაჰმუდ აზმი / محمود عزمي (1889-1954) - გამოჩენილი ეგვიპტელი ჟურნალისტი და პარლამენტარი. ეგვიპტის დელეგაციის ხელმძღვანელი გაეროში 1952 წლის ივლისის რეგოლაციის შემდეგ.

<sup>40</sup> أوقاتك، فن و مشاهير، "روز اليوسف جنسيتها ديانتها زوجها ميلادها وفاتها معلومات وصور"

<sup>41</sup> عطا الله، "ثلاث مصريات من لبنان يا لهجة الطرابلسية: قف"

თავიკ ალ-ჰაქიმს სურდათ, საკუთარი ნაწარმოებები წარმატებით სცენაზე ეხილათ, თავისუფალი არაბულისთვის უნდა მიემართათ.<sup>42</sup>

ამ გამოცემებმა დიდი წვლილი შეიტანა სატირული პრესის განვითარებაშიც. აქ ფართოდ იყენებდნენ პოლიტიკურს კარიკატურებს, სადაც მინაწერებიც ასევე ამიაზე ანუ სასაუბრო არაბულ ენაზე იყო შესრულებული. ამ ნახატების ყველაზე პოპულარული გმირი იყო „ალ-მისრი ეფენდი“, რომელიც 1932 წელს შეიქმნა.<sup>43</sup>

რუზ ალ-იუსუფი 1958 წლის 9 აპრილს 60 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგაც წარმატებით გამოდიოდა მისი ჟურნალ-გაზეთები. 1960 წელს რუზ ალ-იუსუფის გამომცემლობა სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა, თუმცა თავდაპირველ ხასიათს გარკვეულწილად ინარჩუნებდა. აღსანიშნავია, რომ რუზ ალ-იუსუფი არაბული გაზეთების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, ვინც გაზედა და 1994 წელს სალმან რუშდის „სატანური აიების“ ნაწყვეტები დაბეჭდა. გამომცემლობა დღემდე წარმატებით მუშაობს და საინფორმაციო პორტალზე [rosaelyoussef.com](http://rosaelyoussef.com) თავმოყრია ყველა ჟურნალი და გაზეთი.

საინტერესოა, როგორ შეძლო მსახიობმა გოგონამ ასეთი მნიშვნელოვანი საინფორმაციო და პოლიტიკური პლატფორმის შექმნა და მართვა, როგორ იქცა ლიბანელი ობოლო გოგო მნიშვნელოვან ფიგურად ეგვიპტის პოლიტიკურ სივრცეში. სამირ ატა წერს, რომ ლიბანის პირველი პრეზიდენტის ბიშარა ალ-ხურის მოგონებებში ამოიკითხა ერთი საინტერესო ისტორია. ის ეგვიპტეში აპირებდა ჩასვლას ნაჰას ფაშათვის გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით დახმარების სათხოვნელად. ის ფიქრობდა, რა იქნებოდა ნაჰას ფაშასთან დაკავშირების უკეთესი გზა და იქვე კითხვის სახით აქვს მიწერილი: იქნება ტარაბლუსელი ობლის სიტყვამ გაჭრას?<sup>44</sup>

პროფესორი მუსტაფა ამინში კი ფატიმას შესახებ ერთ-ერთ წიგნში წერს, რომ ამ საოცარი ქალის ისტორიაში ყველაზე უცნაური ერთი ფაქტი იყო: რუზ ალ-იუსუფმა, რომელიც არაბულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოლიტიკური ჟურნალის მფლობელი იყო, თავად წერა კარგად არ იცოდა, მისი ხელნაწერი პატარა ბავშვის ნაწერს ჰგავდა. თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ შესანიშნავი მკითხველი, ლიტერატურის მშვენიერი მცოდნე და კარგი მწერალიც იყო.<sup>45</sup> შეიძლება ითქვას, რომ ის არ იყო პროფესიონალი ჟურნალისტი, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეგვიპტის ჟურნალისტიკის განვითარებაში. არც მაღალი კლასის ქალბატონი იყო, რომლის ფილანტროპული საქმიანობის ნაწილი შეიძლება ყოფილიყო გაზეთის თუ ჟურნალის გამოცემა, მაგრამ არც მარგინალიზებული ქალი იყო. ის იყო ქალი, რომელმაც საკუთარი თავი შექმნა და სხვების განვითარებასაც ხელი შეუწყო.<sup>46</sup>

თავად რუზ ფატიმა ალ-იუსუფის კი წერდა თავის ჟურნალში, რომ ჩვენ ყველანი მოვკვდებით, მაგრამ არსებობს განსხვავება, ზოგი მუდამ ცოცხალია თავისი ბიოგრაფიითა და ისტორიით.<sup>47</sup> სწორედ ასეთების რიცხვს ეკუთვნოდა თავად რუზ ფატიმა ალ-იუსუფი.

<sup>42</sup> Mariscotti, *op.cit.*: 130

<sup>43</sup> *Ibid.*: 131

<sup>44</sup> عطا الله، "ثلاث مصريات من لبنان يا لهجة الطرابلسية: قف"

<sup>45</sup> أوقاتك، فن و مشاهير، "روز اليوسف جنسيتها ديانتها زوجها ميلادها وفاتها معلومات وصور"

<sup>46</sup> Mariscotti, *op.cit.*: 94-95

<sup>47</sup> أوقاتك، فن و مشاهير، "روز اليوسف جنسيتها ديانتها زوجها ميلادها وفاتها معلومات وصور"

## RUZ AL-YUSUF: LEBANESE ORPHAN GIRL WHO BECAME A STAR OF EGYPTIAN THEATER AND PRESS

Who was the actress Ruz (Rose) Al-Yusuf (same as Fatima Al-Yusuf), nicknamed “Sarah Bernard of the East” and who left a significant mark in the history of the Egyptian press. The names of many Egyptian stars shone in the theaters of Al-Azbakiya (الأزبكية) and Imad Ad-Din street (شارع عماد الدين), but Ruz Al-Yusuf became the most famous woman in the Egyptian or Arab press. As Samir Atallah points out, this was not because Ruz Al-Yusuf was the most experienced journalist, but because she was the bravest woman in that period. The reason for such popularity was that she opposed the Wafd party, while it was at the peak of its glory.<sup>1</sup>

Fatima Al-Yusuf (Fatima Muhi ad-Din Yusuf / فاطمة محيي الدين اليوسف), who became known as Ruz Al-Yusuf had a very interesting and diverse life. Fatima was born in Tripoli, Lebanon in 1898 to a Muslim family. Her mother died during childbirth. Fatima grew up with her father who was a merchant and often traveled. Once he left for Brazil and left Fatima with a Christian Lebanese family who was taking care of the girl. Soon news from Fatima’s father stopped and the Christian the family adopted Fatima, the girl was named Ruz (Rose) and the real family story was no longer remembered. When she was 10 years old she found out that she was adopted, her real name was Fatima and she was muslim. When traveling to the US with a friend of family by ship, she left the ship in Alexandria, Egypt and stayed there<sup>2</sup>. In Alexandria she met actor Aziz Eid and it was him who guided Fatima into the world of art. She started working in the theater with Aziz Aid as an assistant. She started appearing on the stage at the age of 14. Initially Ruz had small roles before she was given an opportunity to play an important role. She became famous when Aziz Eid chose her for the role of an old woman in the play “Emotions of Children” (عاطف الأبناء), as all the actresses refused to play it. Fatima played this role very well and deserved great approval from the audience. Aziz Eid’s theater group was a preparation for her future acting career. She attracted attention of the notable actor and director Iskandar Farah, who later became her teacher and took her to his own family.<sup>3</sup> In 1912, Ruz Al-Yusuf moved

---

<sup>1</sup> سمير عطا الله، "ثلاث مصريات من لبنان يا للهجة الطرابلسية: ق: قف"، الشرق الأوسط، الاثنين - 6 صفر 1443 هـ - 13 سبتمبر 2021 م، رقم العدد 15630،

<https://aawsat.com/home/article/3185601/قف-للحجة-الطرابلسية-قف/>  
accessed September 25, 2021

<sup>2</sup> أوقاتك، فن و مشاهير، "روز اليوسف جنسيتها ديانتها زوجها ميلادها وفاتها معلومات وصور"،

<https://www.awqatk.com/روز-اليوسف/> 2021 Accessed October 1, 2021

<sup>3</sup> أوقاتك، فن و مشاهير، "روز اليوسف جنسيتها ديانتها زوجها ميلادها وفاتها معلومات وصور" <sup>3</sup>

from Alexandria to Cairo, where he worked with the stars of the Egyptian theater, like George Abyad and Yusuf Wahbi in his the theater company "Ramses".<sup>4</sup> One of the most important roles she played during this period was the role of Margarita Gauthier in a play based on the novel "Lady of the Camellias". The girl earned universal acclaim and praise from critics, and she was called "Sarah Bernard of the East". Soon the Lebanese orphan became one of the most popular female actors in Egypt.

Despite such a successful theatrical career, after a dispute with Yusuf Wahbi, Ruz decided to leave the theater and acting career. She announced to a group of friends, among them to Mohamed El-Tabii, that she was ready to sell everything just to raise twelve pounds, the amount needed to publish 3,000 copies of the magazine.<sup>5</sup> A new phase of her life began when, in 1925 she fulfilled her decision and began publishing the journal Ruz Al-Yusuf. The first issue of the magazine was published on October 26, 1925. Ruz Al-Yusuf was originally a weekly popular magazine writing about culture and literature, covering the news of theater and cinema both in Egypt and in the West. However, Fatima became increasingly interested in politics, and like other women-founded magazines of that era<sup>6</sup>, Ruz Al-Yusuf switched to political topics, and by about 1928 had become a political magazine.

Fatima Al-Yusuf gathered many celebrities and professionals around her magazine. She was able to persuade Mohamed El-Tabii to resign from the position of Parliamentary Correspondent and work for her magazine, so he became the first editor of the journal. Together with Ruz Al-Yusuf, he played a major role in the success of the magazine. This journal featured other well-known Egyptian journalists, like Mustafa Amin and his brother Ali Amin, the cover was designed by the famous Egyptian cartoonist Iskandar Sarukhan in 1928-34, famous writers like Naguib Mahfouz, Abbas Mahmoud Al-Aqqad and Aisha Abd Al-Rahman wrote for the magazine. Samir Atallah recalls an interesting story of how Fatima Al-Yusuf managed to persuade the famous writer and critic Abbas Mahmoud Al-Aqqad to write for her journal by offering a very good salary.<sup>7</sup>

The magazine soon became a huge success, spreading widely in Egypt and even competing such important newspapers of the period as Al-Ahram. Ruz Al-Yusuf soon became a competitor to other women journalists like Munira Thabit, who graduated from French law school and worked as a journalist for several years, while Fatima did not even attend school. Mariscotti points out, Fatima Al-Yusuf, as an actress, already had a dubious

---

<sup>4</sup> Nevill Barbour, "The Arabic Theatre in Egypt." *Bulletin of the School of Oriental Studies, University of London* 8, no. 1 (1935): 180-181. Accessed September 20, 2021 <http://www.jstor.org/stable/608109>

<sup>5</sup> إبراهيم العريس، فاطمة اليوسف أو حكاية سيدة عربية استثنائية من القرن العشرين: الطرابلسية المراهقة تخوض المسرح والصحافة والسياسة في مجاهل المجتمع القاهري، "Independent العربية"  
الثلاثاء 11 أغسطس 2020. Accessed September 25, 2021.

ثقافة/فاطمة-اليوسف-أو-حكاية-سيدة-عربية-استثنائية-من-القرن-العشرين/142381/node/142381  
[www.independentarabia.com/node/142381/](http://www.independentarabia.com/node/142381)

<sup>6</sup> Cathlyn Mariscotti, *Gender and Class in the Egyptian Women's Movement, 1925-1939: Changing Perspectives*. (Syracuse University, 2008): 114.

<sup>7</sup> عطا الله، "ثلاث مصريات من لبنان يا للهجة الطرابلسية: قف " 7

reputation. She was very far from the dominant image of a woman at that time. Mariscotti suggests that if Ruz Al-Yusuf planned to move into a more "legitimate" profession by entering journalism and owning popular publications, then she was mistaken. Fatima herself wrote in her memoirs how difficult it was at first to take her magazine seriously. It seemed strange that an important political magazine was called a woman name and especially the name of an actress.<sup>8</sup>

Ruz Al-Yusuf sought to change the image and role of women that was accepted in the society. For example, she wrote that women's main duty was to realise and exercise their rights, such as the right to vote in elections, the right to hold various public positions, the right to intellectual equality with men, and the right to stand next to men in social gatherings. Her writings show that her concept of a "true Egyptian woman" was quite different from the vision of Egyptian elite women. Her memoirs also show how she tried to help poor women to get a job. She published an advertisement that 50 Egyptian girls were needed to sell the newspaper and magazine.

On the road to success Ruz Al-Yusuf faced many difficulties and obstacles, the most difficult of which was confrontation with the Wafd party. The relationship between Ruz Al-Yusuf and Wafd began as a friendship and escalated into a heated confrontation. With his activism in the political arena, Fatima Al-Yusuf sided with the Wafd party in the 1920s. Her magazine was also a supporter of the Wafd. Members of the opposition Liberal Constitutional Party even jokingly called Wafd "Ruz Al-Yusuf's party". However, this support was critical. The good relationship did not last long due to the publication of critical articles about the Wafd. This connection weakened and slowly escalated into controversy in the early 1930s. The magazine sharply criticised the Prime Minister, insisted on returning the 1923 Constitution and the holding of fair elections, often called on the youth to protest, supporting the student protest in 1934.

In March 1935, Ruz Al-Yusuf began publishing a daily newspaper of the same name, in which critical articles about the Wafd were published by Abbas Al-Aqqad and Mahmoud Azmy. The conflict went so far that the Wafd supporters attacked the magazine building throwing stones. This controversy also brought financial problems to the magazine, its publication has been suspended several times due to pressure from the Egyptian government. All this led to his bankruptcy and the arrest of Ruz Al-Yusuf. However, she was soon released from prison and returned to publishing activities.

Ruz Al-Yusuf decided to publish several other periodicals, among them were journals "Sabah Al-Khair" and "Al-Kitab Al-Zahabi" which played a major role in the development of Egyptian literature and culture.<sup>9</sup> Her periodicals also contributed to the development of the satirical press, where political cartoons were widely used. The most popular character in these paintings was Al-Misri Effendi created in 1932.<sup>10</sup>

---

<sup>8</sup> Mariscotti, Cathlyn. *Gender and Class in the Egyptian Women's Movement*. 99

<sup>9</sup> أوقاتك، فن و مشاهير، "روز اليوسف جنسيتها ديانتها زوجها ميلادها وفاتها معلومات وصور"

<sup>10</sup> Ibid.: 131

Ruz Al-Yusuf died in 1958 at the age of 60. Even after his death, her magazines and newspapers were published successfully. In 1960 the Ruz Al-Yusuf publishing house became state-owned, although it retained some of its original character. The publishing house is still working successfully and is accessible at the news portal [rosaelyoussef.com](http://rosaelyoussef.com).

It is very interesting how the actress who hardly knew how to write<sup>11</sup> managed to create such an important information and political platform? How did the Lebanese orphan girl become an important figure in the Egyptian political scene? Samir Ata writes that he found one interesting story in the memoirs of Lebanon's first president Bechara El Khoury. He was going to Egypt to ask Mostafa Nahhas Pasha for support about some issues. While thinking what would be a better way to reach Nahhas Pasha he wrote a question: Maybe a word of the orphan from Tripoli?<sup>12</sup>

We can say that Ruz Fatima Al-Yusuf was not a professional journalist, but played an important role in the development of Egyptian journalism. Nor was she a high-class woman whose philanthropic activities could have been the publication of a newspaper or a magazine, but neither was she a marginalised woman. She was a woman who created herself and contributed to the development of others.<sup>13</sup> Ruz Al-Yusuf wrote in her journal that we will all die, but there is a difference, some always stay alive with their biographies and histories.<sup>14</sup> Ruz Fatima Al-Yusuf was one of them.

### ბიბლიოგრაფია:

1. Ashur, Radwa, Ferial Jabouri Ghazoul, Hasna Reda-Mekdashy and Mandy McClure (eds). *Arab Women Writers: a critical reference guide, 1873-1999*. Cairo, New York: The American University in Cairo Press, 2008.
2. *Arab Studies Quarterly* 43, no. 2 (2021): 204–6. <https://www.jstor.org/stable/10.13169/arabstudquar.43.2.0204>. Accessed September 5, 2021
3. Baron, Beth. *Egypt as a Woman: Nationalism, Gender, and Politics*. 1st ed. University of California Press, 2005. <http://www.jstor.org/stable/10.1525/j.ctt1ppc6z> Accessed September 6, 2021
4. Barbour, Nevill. "The Arabic Theatre in Egypt." *Bulletin of the School of Oriental Studies, University of London* 8, no. 1 (1935): 173–87. <http://www.jstor.org/stable/608109>. Accessed September 20, 2021

---

<sup>11</sup> أوقاتك، فن و مشاهير، "روز اليوسف جنسيتها ديانتها زوجها ميلادها وفاتها معلومات وصور"

<sup>12</sup> عطا الله، "ثلاث مصريات من لبنان يا للهجة الطرابلسية: قف"

<sup>13</sup> Mariscotti, *op.cit.*: 94-95

<sup>14</sup> أوقاتك، فن و مشاهير، "روز اليوسف جنسيتها ديانتها زوجها ميلادها وفاتها معلومات وصور"



5. Farag, Talaat I. "Satirical Papyrus and Modern Cartoonists (Part II): Saroukhan and the History of Egyptian Cartoons". *FEATURES*. Accessed September 27, 2021 <http://ambassadors.net/archives/issue15/features2.htm>
6. Gorman, Anthony, and Didier, Monciaud (eds). *The Press in the Middle East and North Africa, 1850-1950: Politics, Social History and Culture*. Edinburgh University Press, 2018. <http://www.jstor.org/stable/10.3366/j.ctt1tqx9c6>. Accessed September 7, 2021.
7. Hammond, Andrew. *Pop culture Arab world! media, arts, and lifestyle*. Oxford ABC-CLIO 2004.
8. Heshmat, Dina. *Egypt 1919: The Revolution in Literature and Film*. Edinburgh University Press, 2020. <http://www.jstor.org/stable/10.3366/j.ctv136c4pd>. Accessed August 31, 2021.
9. Mariscotti, Cathlyn. *Gender and Class in the Egyptian Women's Movement, 1925-1939: Changing Perspectives*. Middle East Studies Beyond Dominant Paradigms. Syracuse University, 2008.
10. Russell, Mona. "Marketing the Modern Egyptian Girl: Whitewashing Soap and Clothes from the Late Nineteenth Century to 1936." *Journal of Middle East Women's Studies* 6, no. 3 (2010): 19–57. <https://doi.org/10.2979/mew.2010.6.3.19>. Accessed September 2, 2021.
11. Stumpo, P. J. Review of *Egypt as a Woman: Nationalism, Gender and Politics*, by B. Baron. *International Journal of Middle East Studies*, 39(4), 2007, 650–652. Accessed August 31, 2021. <http://www.jstor.org/stable/30069493>
12. أوقاتك، فن و مشاهير، "روز اليوسف جنسيتها ديانتها زوجها ميلادها وفاتها معلومات وصور"، <https://www.awqatk.com/روز-اليوسف/>  
Accessed October 1, 2021
13. سمير عطا الله، ثلاث مصريات من لبنان يا للهجة الطرابلسية: قف، الشرق الأوسط، الاثنين – 6 صفر 1443 هـ – 13 سبتمبر 2021 م، رقم العدد 15630 ،  
<https://aawsat.com/home/article/3185601> /سمير-عطا-الله/ثلاث-مصريات-من-لبنان-يا-اللهجة-الطرابلسية-قف  
accessed September 25, 2021
14. إبراهيم العريس، فاطمة اليوسف أو حكاية سيدة عربية استثنائية من القرن العشرين: الطرابلسية المراهقة تخوض المسرح والصحافة والسياسة في مجاهل المجتمع القاهري، " Independent العربية"  
الثلاثاء 11 أغسطس 2020.  
<https://www.independentarabia.com/node/142381/>  
ثقافة/فاطمة-اليوسف-أو-حكاية-سيدة-عربية-استثنائية-من-القرن-العشرين  
Accessed September 25, 2021
15. ابراهيم خليل العلاف، فاطمة اليوسف 1897-1958 رائدة الصحافة النسائية العربية، الحوار المتمدن-العدد: 2806 -  
Accessed September <https://www.ahewar.org/debat/show.art.asp?aid=188789>، 21 / 10 / 2009  
4, 2021



ჟურნალის პირველი ნომერი - The first issue of the magazine



1934 წლის ერთ-ერთი ნომერი - One of the 1934 issues



რუზ ალ-იუსუფი - Ruz Al-Yusuf

**თინათინ კუპატაძე**

*გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

**ფემინიზმის საწყისები ირანში - პრინცესა  
თაჯ ოს-სოლთანეს მემუარები**

ფემინიზმი, როგორც ქალთა მოძრაობის ნაწილი, ფართო/ზოგადი გაგებით, წარმოადგენს იმ მოძრაობების, თეორიებისა და იდეოლოგიების ერთიანობას, რომელიც იბრძვის ქალთა თანაბარი უფლებებისათვის პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ თუ ეკონომიკურ სფეროში.

დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში სიტყვა „ფემინისტი“ ქალთა იმ კოლექტიური ერთიანობისა და მოძრაობის აღსანიშნად გამოიყენება, რომელთა მიზანაც საკუთარი უფლებების გაუმჯობესებაა. თუმცა, სიტყვა ფემინიზმის მნიშვნელობა არც მკაცრად განსაზღვრული არაა და არც სტაბილური. ისტორიულ ჭრილში თუ განვიხილავთ, მანამ, სანამ ტერმინი დამკვიდრდებოდა, უკვე არსებობდა ქალთა კოლექტიური ერთიანობისა თუ მოძრაობის მაგალითები, რაც მოგვიანებით ფემინიზმად იწოდა. ამ ყველაფერს კი წინ უძღოდა ცალკეული აქტივისტების მოღვაწეობა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა შემდგომი მოძრაობების იდეოლოგიური ფონი. დასავლეთის შემთხვევაში ასეთად მერი უოლტენსკრაფტი და მისი ტრაქტატი „ქალის უფლებების დაცვა“ (1792 წ.) შეგვიძლია მოვიანოთ, რომელიც ლიბერალური ფემინიზმის ერთგვარ იდეოლოგიურ ჩანასახს წარმოადგენს. განსხვავებით დასავლური სამყაროსგან, ფემინისტური მოძრაობა აღმოსავლეთში, კერძოდ ირანში, მართალია, არ ჩამოყალიბებულა ამ ცნების კლასიკური გაგებით, თუმცა, უკვე მე-19 საუკუნეში ირანში გამოჩნდნენ ის ქალები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქალთა მოძრაობის ფორმირებასა თუ მიმართულების განსაზღვრაში. ქურათ ალ აინი, ბიბი ხანომ ასთარაბადი და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყაჯართა დინასტიის წარმომადგენელი, ნასერ ოდ-დინ შაჰის ქალიშვილი, პრინცესა თაჯ ოს-სოლთანე ირანის ქალთა მოძრაობის ისტორიაში გამორჩეულ ადგილს იკავებენ თავიანთი რეფორმისტული ნააზრვისა და მოღვაწეობის გამო, რომელიც ერთ-მნიშვნელოვნად იყო მიმართული ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ თაჯ ოს სოლთანეს მემუარებს, რომელიც მსგავსად მერი უოლტენსკრაფტის „ქალთა უფლებების დაცვისა“, შეგვიძლია მივიჩნიოთ „ირანული ფემინიზმის“ ერთგვარ იდეოლოგიურ საფუძვლად.

თაჯ ოს-სოლთანე პირველი ქალია სამეფო ოჯახიდან, რომელმაც დაწერა ავტობიოგრაფიული ხასიათის მემუარები იმ საზოგადოებაში, რომელიც ამ ჟანრს გაურბის, თავს არიდებს. ფარზანე მილანის თანახმად, ავტობიოგრაფიული ჟანრის სიმწირე ირანში „შესაძლოა ლოგიკური გაგრძელება იმ კულტურის, სადაც მკაცრად

არის გამიჯნული ერთმანეთისგან შინაგანი და გარეგანი, პირადული და საზოგადო.<sup>1</sup> დიდი ხნის განმავლობაში ირანელი კაცებისთვისაც და ქალებისთვისაც სამარცხვინოდ მიიჩნეოდა პირადი ცხოვრების შესახებ საზოგადოების წინაშე საუბარი, განსაკუთრებით კი ავტობიოგრაფიის სახით მისი გასაჯაროება. თაჯ ოს-სოლთანე პირველი ქალია, რომელმაც ლიტერატურული ფორმალიზმის ბარიერები გადალახა და მემუარების სახით წარმოგვიდგინა თავისი ცხოვრების ოცდაათი წელი, დაწყებული ჰარემის ჩაკეტილი ცხოვრებიდან - „თავისუფალ ცხოვრებამდე“.

თაჯ ოს-სოლთანემ მემუარები 1914 წელს დაწერა, ანუ მაშინ, როდესაც უკვე ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა ჰქონდა და ადექვატურად შეეძლო შეეფასებინა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, თუნდაც, საკუთარი გამოცდილებისა და ცხოვრების საფუძველზე. საკუთარი ისტორიის გადმოცემით კი ერთგვარი ემანსიპატორული ნარატივი შექმნა, რომელმაც თავის მხრივ მოამზადა საფუძველი რეზა ხანის მოდერნიზაციისა და ემანსიპაციის ეპოქისათვის. თაჯ ოს-სოლთანეს მემუარები შეიძლება შევადაროთ იმ პრო-ლიბერალი ფემინისტების ნამუშევრებს, რომლებიც ავტორის თანამედროვე, ამ შემთხვევაში ყაჯართა ეპოქის, სოციალური, კულტურული და ისტორიული გარემოს დეტალური კონცეპტუალიზაციისა და ანტიპატრიარქალური განწყობის შესწავლის/გაანალიზების საშუალებას გვაძლევს. მართლაც, ყაჯართა პრინცესას მემუარები უნიკალური პირველწყაროა, რომელიც გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს ნასერ ოდ-დინ შაჰის ანდარუნისა და იმ პერიოდის პატრიარქალურ საზოგადოებაში არსებული ქალთა პრობლემატიკისა და მდგომარეობის შესახებ (რა თქმა უნდა, მემუარებში ძირითადად მაღალი წრის ქალების ცხოვრებისეული ფაქტები და თვითონ პრინცესას ცხოვრებისეული პრობლემებია გაშუქებული, მაგრამ მე-19-მე-20 საუკუნეების ირანული საზოგადოების ქალი რომ სავალალო მდგომარეობაში იყო, ცხადია და ის, რომ ასევე მძიმე იყო მაღალი წრის საზოგადოების ქალების მდგომარეობაც, უფრო მეტად თვალსაჩინოს ხდის პრობლემის სიმწვავეს).

მე-19 საუკუნის ირანი ბევრი გამოწვევის წინაშე იდგა. მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ვითარების ფონზე, როდესაც აქტუალური გახდა რეფორმების გატარება სხვადასხვა სფეროში და ზოგადად, ქვეყნის მოდერნიზაცია, გაჟღერდა ფემინისტური მოთხოვნებიც. მე-19 საუკუნის ირანში ქალი აღიქმებოდა ნახევრად ბავშვად, რომელსაც მთელი ცხოვრება უნდა მიაქციო ყურადღება და მიხედო. მის მთავარ ფუნქციას ოჯახზე ზრუნვა და შვილის აღზრდა წარმოადგენდა.<sup>2</sup> ქალისთვის დაწესებული შეზღუდვები საყოველთაო იყო და მეტ-ნაკლები სიმკაცრით აისახებოდა სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებზე. შედარებით განსხვავებული გახლდათ სამეფო ოჯახის წარმომადგენელი ქალების ყოფა და რეალობა. პრინცესა თაჯ ოს-სოლთანეს შეხედულებების ჩამოყალიბებაზეც, რა თქმა უნდა, გავლენა სწორედ

---

<sup>1</sup> Behrooz Mahmood-Bakhtiari and Esmail Najari, “Zahra Khanom Taj al-saltana and Mary Wollstonecraft: A Comparative Study of “Memoirs of Taj al-Saltana” and “A Vindication of the Rights of Woman”, *International Journal of Persian Literature* 161 (2017): 163, accessed November 15, 2019, doi.org/10.5325/intejperslite.2.1.0161

<sup>2</sup> Mansoureh Etehadieh, “The Origins and Development of the Women’s Movement in Iran 1906-41”, in *Women in Iran from 1800 to the Islamic Republic*, ed. Lois Beck, Guity Neshat (University of Illinois Press, 2004), 85.

მისმა გარემო პირობებმა იმოქმედა, თუმცა არა დადებითი კუთხით. ქალების უუფლებობა და მათი ჩამორჩენილობა ქვეყნის ზოგადი პრობლემა იყო. თავს ოს-სოლთანემ მემუარებში ნათლად წარმოაჩინა ირანული საზოგადოების მანკიერი მხარეები, თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ტრადიციული ინსტიტუტებისადმი და შეეცადა პრობლემის გადაჭრის გზებიც დაესახა.

თავს ოს-სოლთანე დაიბადა 1883 წელს თეირანში, სამეფო ოჯახში, დედა – თურან ალ-სალთანე, მამა - ნასერ ოდ-დინ შაჰი. ბავშვობა, ტრადიციისამებრ, გაატარა სამეფო კარის ჰარემში, დედისგან განცალკევებით, იზოლირებულ სახლში. მის აღზრდაზე პასუხისმგებელი იყვნენ: დაიე - მემუძური ძიძა, ზანგი მონა ქალი - დადე და თეთრკანიანი ძიძა, გადია - ნანე. დედის ნახვის უფლება პრინცესას დღეში ორჯერ ჰქონდა, ხოლო მამის - დღეში ერთხელ, შუადღეს. თავს ოს-სოლთანე მშობლებისგან, განსაკუთრებით კი დედისგან, მოშორებით ყოფნას ძალიან განიცდიდა. ტრადიციების გამო ის ბავშვობიდან „დაიხაგრა“, რამაც შეუწყო ხელი მისი, როგორც ერთგვარი მემამოხის ჩამოყალიბებას, რომელიც პროპაგანდას უწევდა ქალების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათთვის განათლების აუცილებლობას და ზოგადად, ზრუნავდა ჩაკეტილი ირანული საზოგადოების ცნობადობის ამაღლებაზე, რამდენადაც ეს მის ეპოქაში იყო შესაძლებელი.

თავს ოს-სოლთანე მემუარებს თავისი ბავშვობის პერიოდის აღწერით იწყებს, სადაც მკვეთრად იგრძნობა მისი პროტესტი ძიძის ინსტიტუტისადმი, რაც რეალურად განაპირობებდა დედასთან, მშობელთან, დაშორებას. მისი აზრით, ბიოლოგიური დედა არ უნდა ჩაენაცვლებინა აღმზრდელსა და მემუძურ ძიძას. ქალს თვითონ უნდა ეზრუნა როგორც ბავშვის კვებაზე, ისე – მის აღზრდასა და სწორ განვითარებაზე. დედას თავი უგულვო, ცივ პიროვნებად წარმოაჩენს, რომლის ადგილიც შავკანიან მონა ძიძას ეკავა: „როგორ მინდოდა, იგივე მეგრძნო დედის მიმართ, რასაც განვიცდიდი ძიძის მიმართ“... „კარგი დედა გავლენას ახდენს თვისებების ჩამოყალიბებაზე. მცოდნე დედაა ის, ვინც ზრდის გამორჩეულ შვილს. მაგრამ დღეს ჩვენ გვყავს დედები, რომლებმაც უცოდინრობისა და უბედურებისთვის გაგვწირეს. ადრეული ბავშვობიდანვე ჩაახშეს ჩვენში პატრიოტული სული და სურვილი ცვლილებისა. არაფერი უსწავლებიათ მათ ჩვენთვის გარდა ძილის, ჭამისა და საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებისა.“<sup>3</sup>

თავისთვის მტკივნეული იყო ნაადრევი ქორწინების თემა და ტრადიცია, რომელიც მაღალი წრის საზოგადოებაში სარფიანი გარიგების დატვირთვასაც იძენდა. სამეფო ოჯახის წარმომადგენელი გოგონების ბედი და მომავალი ქმარი მამის ან მეურვის მხრიდან ხშირად წინასწარ განისაზღვრებოდა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესების გამო. თავს ოს-სოლთანეც თავისი ნებით არ გათხოვილა. იგი ჯერ კიდევ 9 წლის ასაკში თავისივე თანატოლზე, სამეფო გვარდიის მეთაურის შვილზე, ჰასან ხანზე დანიშნეს. მიუხედავად იმისა, რომ ქორწინება ერთგვარი „მხსნელი“ აღმოჩნდა თავისთვის, რომლის საშუალებითაც მან თავი დააღწია ჰარემს, სადაც აუტანელი გახდა მისთვის ცხოვრება მამის, ნასერ ოდ-დინ შაჰის, მკვლელობის შემდეგ, მისი მოლოდინები არ გამართლდა. თავს ოს-სოლთანეს იმედგაცრუება პირდაპირპროპორციულად აისახა მის დამოკიდებულებაზე ტრადიციული

<sup>3</sup> Anna Vanzan and Amin Neshati, trans., *Taj Al-Saltana Crowning Anguish, Memoirs of a Persian Princess, From the Harem to Modernity*, (Mage Publishers, Washington DC), 80.

ქორწინების საკითხისადმი. თაჯ ოს-სოლთანემ საკუთარი განცდები ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირების დაუფარავად აღწერა მემუარებში. მართალია, ის მხოლოდ 13 წლის ასაკში გადავიდა მეუღლის სახლში საცხოვრებლად, მაგრამ მისი ბავშვური გონება და ილუზიები მზად არ აღმოჩნდა ამ ძირეული ცვლილებისათვის. იგი ქორწინებას მონობას ადარებდა, როდესაც უუფლებო ადამიანს, ამ შემთხვევაში ქალს, უკითხავად ჰყიდდნენ სრულიად უცნობ მამაკაცზე ისე, რომ მომავალი პატრონის გაცნობის საშუალებაც კი არ ეძლეოდა ტყვეობისთვის განწირულ ქალს, „ეს რა დაწყევლილი დღეა, დაწყევლილი საათი! არასდროს დამავიწყდება ის წუთი, როდესაც თავისუფლება და ღირსება წამართვეს, ჩამინაცვლეს ის სიძულვილითა და ზიზღით,“<sup>4</sup> - წერს თაჯი იმ დროზე, როდესაც ჰასან ხანის სახლში გადავიდა საცხოვრებლად. მიუხედავად იმისა, რომ თაჯიც პატარა იყო, საკმაოდ რეალისტურად აფასებდა მის გარშემო შექმნილ მდგომარეობას. როგორც თავადვე აღნიშნავს, სინანულის ანალიტიკური გრძობით შეხედა თავის დატყვევებულ ბავშობას: „ადამიანი, რომელიც თავისუფლად ცხოვრებისთვის შეიქმნა, რატომ უნდა იყოს სხვების სურვილების ტყვე, ან რატომ უნდა გაატაროს თავისი ცხოვრება სხვების განკარგულებების შესრულებაში. არანაირი განსხვავება არაა ხალხს შორის. ყველა ერთია. ყველას შეუძლია ცხოვრება ბუნებრივი თავისუფლებით.“<sup>5</sup> აქ გარდა იმისა, რომ იკვეთება თაჯ ოს-სოლთანეს დიდი გულისტკივილი და წუხილი ნაადრევ და იძულებით ქორწინებასთან დაკავშირებით, ასევე თავს იჩენს ლიბერალური ფემინიზმის იდეაც, რომ კაციც და ქალიც თანასწორია და ქალის პიროვნული თავისუფლებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია მამაკაცისაზე.

მე-19 საუკუნის ირანში ჯერ კიდევ ნორმას და საკმაოდ გავრცელებულ ფენომენს წარმოადგენდა ჰომო და ბისექსუალიზმი, განსაკუთრებით კი სამეფო ოჯახსა და მაღალ სოციალურ წრეებში. გამონაკლისს არც ჰასან ხანი წარმოადგენდა, რომელსაც, როგორც მემუარებში ვკითხულობთ, გაცილებით მეტად აინტერესებდა შავკანიანი მონები, მოახლე და მოცეკვავე მამაკაცები, ეტრფოდა გოგონებსაც, განსაკუთრებით რუსული ცირკის წევრ კატიას, და, ამასთანავე, არ ივიწყებდა თავის მოვალეობებს, როგორც „მეუღლე“. შესაბამისად, თაჯ ოს-სოლთანეს უარყოფითი დამოკიდებულება და კრიტიკა ნაადრევ თუ იძულებით ქორწინებასთან დაკავშირებით გამომდინარეობდა როგორც ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, ისე მისი რეფორმისტული აზროვნებიდან: „კაცობრიობის მარცხი და მანკიერი თვისებაა, როდესაც ადამიანი საკუთარი მშობლების სურვილის მიხედვით ქმნის ოჯახს. ამ უაზრო ჩვეულებას არანაირი ახსნა არ აქვს და კანონის წინააღმდეგია. ამ შემთხვევაში ევროპელები მართლები არიან... და რატომ არ შეგვიძლია განვასხვავოთ კარგი ცუდისგან და სულ ცოტა კარგი ვისწავლოთ სხვისგან?! ... კაცმა ყოველთვის უნდა ამოირჩიოს თავისი მუდმივი პარტნიორი კარგად, უნდა გაეცნოს მას საფუძვლიანად საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ისე, რომ არ გაანადგუროს თავისი ცხოვრება მთლიანად და არ აღმოჩნდეს ცდუნების წინაშე.“<sup>6</sup> აფსანე ნაჯმაბადის თანახმად, თაჯ ოს სოლთანეს

<sup>4</sup> Vanzan, Neshati, *Memoirs*, 111.

<sup>5</sup> Vanzan, Neshati, *Memoirs*, 104.

<sup>6</sup> Anna Vanzan and Amin Neshati, trans., *Taj Al-Saltana Crowning Anguish, Memoirs of a Persian Princess, From the Harem to Modernity*, (Mage Publishers, Washington DC), 108.

შეხედულებები ქორწინებაზე, რომელიც განპირობებული იყო პირადი მტკივნეული გამოცდილებით ირანში ქორწინების რეფორმისტული დისკურსის განვითარების ჩანასახს წარმოადგენს.

კრიტიკულად იყო განწყობილი თავს ოს-სოლთანე პოლიგამიის მიმართაც, რის დასტურსაც ასევე მისი მემუარები წარმოადგენს, კერძოდ კი პასაჟები მამის, ნასერ ოდდინ შაჰის ჰარემის, ანდარუნის შესახებ. „მის აღმატებულებას, მამაჩემს, დაახლოებით 80 ცოლი და საყვარელი/ხასა ჰყავდა. რომელთაგანაც თითოეულს 10-დან 2-მდე მოსამსახურე ჰყავდათ. ქალების საერთო რაოდენობა, ჯამში, ჰარემში 500-600 კაცს აღწევდა. მეტიც, ყოველდღე ცოლები, საყვარლები და მოსამსახურეები ნათესავებს მასპინძლობდნენ და ჰარემის ქალების რიცხვიც 900-მდე იზრდებოდა. გარდა ამისა, თითოეულ ქალს ჰქონდა საცხოვრებელი ჰარემის გარეთ, მოსამსახურეებით და ყველა საჭირო ნივთით და სტიპენდია/ხელფასი.“<sup>7</sup>

მიუხედავად იმისა, რომ თავჯის დამოკიდებულება მამისადმი გაცილებით თბილი ჩანს, ვიდრე დედის მიმართ, იგი მკაცრად აფასებდა მამის უარყოფით მხარეებს, რამაც თავჯის აზრით, მნიშვნელოვნად განაპირობა ქვეყნის დეგრადირება და ჩამორჩენილობა სხვადასხვა სფეროში: „ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ მას [შაჰს] სძლია თავისმა სისუსტემ ქალებისადმი... იმდენად იყო ის შეპყრობილი ვნებითა და ხორციელი სიამოვნებით/ტკბობით, რომ თავისი სამეფო პრივილეგიები სულ დაავიწყდა“...<sup>8</sup> მამის ნაკლოვანებებზე საუბრისას თავჯ ოს-სოლთანე ახლოს გვაცნობს შაჰის ჰარემს და მისი წევრების ცხოვრების საკმაოდ მძიმე სურათებსაც გვაწვდის. განსაკუთრებული სენსიტიურობით გამოირჩევა ე.წ. „სინათლის ანთება-ჩაქრობის“ თამაშის სცენა, სადაც იგრძნობა, როდენ დიდ სიამოვნებას იღებდა შაჰი თავისი ცოლების მანიპულირებითა და დამცირებით: „თამაში ითვალისწინებდა შუქის ანთებასა და ჩაქრობას. სიბნელეში ქალებს სრული თავისუფლება ჰქონდათ ერთმანეთისთვის კოცნის, ცემის, კბენის, ერთმანეთის დაბრმავების, თუნდაც, თავებისა და კიდურების გატეხვა/მოტეხვის. თამაშის დასაწყისში ყველა ცოლი დარბაზის შუაგულში იჯდა. ისინი საუბრობდნენ ერთმანეთში. მამაჩემი იჯდა სკამზე, სინათლესთან ახლოს... მოულოდნელად ის შუქს აქრობდა და... იწყებოდა ნამდვილი ჯოჯოხეთი.“ ის, თუ როგორ სრულდებოდა ეს ე.წ. „თამაში“, ცალკე თემაა, მაგრამ ის, თუ რამდენად მძიმე იყო ჰარემის ქალების ცხოვრების სტილი, კიდევ უფრო შემაშფოთებელი და დამთრგუნველია. თითოეულ მათგანს ერთგავრი ბრძოლა უწევდა გადარჩენისთვის, ადგილის დამკვიდრებისა თუ უპირატესობის მოპოვებისთვის. თავჯ ოს-სოლთანეც ამ ჰარემის, ანდარუნის, წარმომადგენელი იყო და შესაბამისად, მისი მოგონებები საკმაოდ დამძიმებელი გახლდათ მსგავსი თამაშობებითა და გართობებით. „რა კარგი იქნებოდა, მამაჩემს თავისი თავი მიეძღვნა... თავისი ერისთვის, მისი გაუმჯობესებისთვის, განათლებისთვის, ხელოვნებისთვის... რომ არ ყოფილიყო ის ქალებზე ასე მიჯაჭვული და ხორციელი სიამოვნებისკენ მიდრეკილი და თავისი დრო აგროკულტურის განვითარებისთვის მოეხმარა, რამდენად უკეთესად ვიქნებოდით დღეს ჩვენ. რამდენად დიდებული იქნებოდა, დამეწერა მის საქმისადმი ერთგულებაზე, სამეფო მიღწევებზე.

<sup>7</sup> Vanzan, Neshati, Momoirs, 88.

<sup>8</sup> Anna Vanzan and Amin Neshati, trans., Taj Al-Saltana Crowning Anguish, Memoirs of a Persian Princess, From the Harem to Modernity, (Mage Publishers, Washington DC), 88.



რამდენად ბედნიერი ვიქნებოდი, ახლა რომ ვწერდე მასზე, როგორც იღბლიან და არა როგორც უბედურ ადამიანზე...“<sup>9</sup>

სამეფო „ანდარუნზე“ საუბრისას თაჯ ოს-სოლთანე რამდენიმე პრობლემურ საკითხს ეხება. გარდა იმისა, რომ ის მიანიშნებდა მრავალრიცხოვანი ჰარემის უარყოფით გავლენაზე, რაც მას ქვეყნის ეკონომიკაზე ჰქონდა, ასევე მიუთითებდა, ზოგადად, მრავალცოლიანობის ფენომენის ნეგატიურობაზე. მართალია, სიტყვებს პოლიგამია, ან მონოგამია არ ვხვდებით მემუარებში, თუმცა, ავტორის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები, სწორედ, პოლიგამიის წინააღმდეგ მის პროტესტზე მიგვითითებს.

იგი ქორწინებას მოიაზრებდა როგორც ორ ადამიანს შორის კავშირს, რომელიც ურთიერთპატივისცემასა და ორმხრივ სიყვარულზე იყო დაფუძნებული. თაჯ ოს-სოლთანე ასევე გულისტკივილს გამოთქვამდა იმ ქალების ბედის გამო, რომლებიც, ფაქტობრივად, პატრიარქალური სისტემის მსხვერპლად ქვეულიყვნენ. იგი ჰარემს ციხეს ადარებდა, ხოლო მის წარმომადგენლებს – სრულიად უუნარო პატიმრებს, რომლებსაც არც საკუთარი ადგილი ჰქონდათ ცხოვრებაში და ვერც მისი მოპოვებისთვის იბრძოლებდნენ როდესმე. მათი ცხოვრება მხოლოდ გართობით, ჭორაობითა და ჩაცმაზე ფიქრით შემოიფარგლებოდა: „ისინი უმეტეს დროს გართობასა და „ლასკანას“ თამაშში ატარებდნენ... სანამ სადილის დრო არ მოვიდოდა... ყველა ერთმანეთს ეჯიბრებოდა ჩაცმასა და გამოპრანჭვაში, ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტად ექსტრაორდინალურად წარმოეჩინათ თავი და შაჰის ყურადღება მიექციათ. ყოველ საღამოს ორ საათს მაინც უთმობდნენ მორთვა-მოკაზმვას, გარდაიქმნებოდნენ „ქალღმერთებად“ და მხოლოდ ამის შემდეგ წარსდგებოდნენ ხოლმე შაჰის წინაშე, მაგრამ [ვაი, რომ] შაჰი ვერანაირ განსხვავებას ვერ ამჩნევდა...“<sup>10</sup> თაჯ ოს-სოლთანეს მემუარების ეს პასაჟი კიდევ უფრო ტრაგიკულს ხდის ჰარემის ქალების ყოფას, რომლებსაც არანაირი ცხოვრებისეული მიზანი, გარდა შაჰის გულის მოგებისა, რაც მათ მატერიალურ კეთილდღეობას უზრუნველყოფდა, არ ჰქონიათ.

აღსანიშნავია, რომ თაჯ ოს-სოლთანეს მოსაზრება ჰარემის ქალებთან დაკავშირებით ზუსტად იმეორებს ევროპელი მოგზაური ქალების სულისკვეთებას, რომლებსთვისაც ისინი (ჰარემის ქალები) სისტემის მსხვერპლს წარმოადგენდნენ, კოლონიზებული სხეულითა და გონებით. ჰარემი მათთვის იყო სამარცხვინო ინსტიტუცია, დესპოტური პატრიარქალური ძალაუფლების ადგილი.<sup>11 12</sup>

<sup>9</sup> Vanzan, Neshati, *Memoirs*, 90.

<sup>10</sup> Anna Vanzan and Amin Neshati, trans., *Taj Al-Saltana Crowning Anguish, Memoirs of a Persian Princess, From the Harem to Modernity*, (Mage Publishers, Washington DC), 94.

<sup>11</sup> Shirley Foster, *Colonialism and Gender in the East: Representations of the Harem in the writings of Women Travellers*, *The Yearbook of English Studies*, Vol. 34, Nineteenth-Century Travel Writing (2004): 10, accessed November 28, 2019, <https://doi.org/10.2307/3509480>.

<sup>12</sup> ჰარემის ქალებს შორის გამონაკლისებიც არსებობდნენ. ასეთად შეიძლება მოვიზიაროთ ანის ად-დოულე, რომელსაც არა მხოლოდ შაჰის ჰარემში, არამედ, ზოგადად, ირანის ისტორიაში, ყველაზე გავლენიანი ქალების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი თავის ეპოქაში არაფორმალურ დედოფლადაც კი მიიჩნეოდა. თაჯ ოს-სოლთანეს დამოკიდებულებაც მის მიმართ ძალიან დადებითი იყო და პატივისცემა მემუარებშიც იგრძნობა: „დიდებული, პატივსაცემი ქალბატონი“, „ჩემი სულიერი დედა“. იგი მონაწილეობას იღებდა მნიშვნელოვანი

აღნიშნული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ყველაზე მნიშვნელოვან გზად თავს ოს-სოლთანეს განათლება და აკადემიური სივრცის შექმნა ესახებოდა, სადაც ქალები შეძლებდნენ ცნობადობის ამაღლებას როგორც ზოგად საკითხებზე, ისე თავიანთ უფლებებზე.<sup>13</sup>

„სამწუხაროა, ჩემმა თანამემამულე ქალებმა თავიანთი უფლებების შესახებ არაფერი იციან... ერის ტრადიციები და ეთიკაა, რამაც ქალებს ბედნიერებისაკენ მიმავალი ყველა გზა ჩაუკეტა, დატოვა ისინი გაუნათლებელი, უბედური და გამოუსადეგარი... ყოველგვარი მორალური დეფექტი და ბოროტება ამ ქვეყანაში ქალების გაუნათლებლობის გამო წარმოიშვა და გავრცელდა.“<sup>14</sup>

ქალების განათლება, რაც ლიბერალური ფემინიზმის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, ქვეყნის პროგრესისა და განვითარების ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო თავს ოს-სოლთანესთვის. დასავლელი თანამოაზრეების მსგავსად, თავს ოს-სოლთანეც მიიჩნევდა, რომ განათლებული ქალი, დედა იყო საწინდარი განათლებული შვილების აღზრდისა, განათლებული თაობა კი საწინდარი იქნებოდა ქვეყნის პროგრესისა. თავს ოს-სოლთანეს მემუარებში ამ შეხედულების განსამტკიცებლად მოჰყავს ფრანგი ფილოსოფისის, ჟიულ სიმონის, ნააზრევი: „განათლება სკოლამდე სახლში იწყება. ეს უკანასკნელი პირველის პროგრესს განაპირობებს. ეს კი ქალისთვის ნაბოძები ღვთის განსაკუთრებული საჩუქარია. აქედან გამომდინარე, ერის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება... მისი ჩართვა თანამედროვე ცივილიზაციის ქარავანში, ქალების განათლებისა და მათი სტატუსის გაუმჯობესების ნაწილია, რომლებიც, შემდგომ, თავის მხრივ ამ განათლებას თავის შვილებს გადასცემენ.“<sup>15</sup>

მაგრამ მემუარებში საუბარია საშუალო და მაღალი წრის წარმომადგენლებზე, რომლებიც კიდევ არ იყვნენ განათლების აუცილებლობის საჭიროებაში დარწმუნებული, სამწუხაროდ, უმეტესად კვლავ არჩევდნენ საკუთარი შვილების სახლში დატოვებას. ახლა, როდესაც პროგრესის გზა გარკვეულწილად გახსნილია ქალებისათვის და ოჯახებს უკვე შეუძლიათ ქალიშვილების გაგზავნა სასწავლებლად და ამასთან ერთად, შეუძლიათ, იზრუნონ მათი ნათელი მომავლისთვის, უმეტესობა მათგანი კვლავ უარს ამბობს ამ შესაძლებლობაზე და საწყალ გოგონებს საბედისწერო უფსკრულისთვის იმეტებს, იმის გაუაზრებლად, რომ მომავალში ეს გოგონებიც მშობლები გახდებიან და მათ მოუწევთ უკვე შვილების აღზრდა.<sup>16</sup>

მე-19 საუკუნის ირანის საგანმანათლებლო სივრცე მაქთაბებით და სემინარიებით შემოიფარგლებოდა, სადაც სასწავლო პროცესს უმეტეს შემთხვევაში არაკომპეტენტური სასულიერო პირები ხელმძღვანელობდნენ, რომელთათვისაც პრიორიტეტი არაბული

---

გადაწყვეტილების მიღებაში და ნებისმიერი საკითხის ბედი, რასაც ის შაჰთან განიხილავდა, აუცილებლად დადებითად წყდებოდა.

<sup>13</sup> დასავლეთში ჯერ კიდევ საუკუნის წინ დაისვა აქცენტები განათლების აუცილებლობასთან დაკავშირებით ფემინისტურ კონტექსტში. ჯერ იყო მერი უოლშტენკრაფტი და შემდგომ - ლიბერალური ფემინისტები.

<sup>14</sup> Anna Vanzan and Amin Neshati, trans., *Taj Al-Saltana Crowning Anguish, Memoirs of a Persian Princess, From the Harem to Modernity*, (Mage Publishers, Washington DC), 78.

<sup>15</sup> Vanzan, Neshati, *Memoirs*, 84.

<sup>16</sup> Anna Vanzan and Amin Neshati, trans., *Taj Al-Saltana Crowning Anguish, Memoirs of a Persian Princess, From the Harem to Modernity*, (Mage Publishers, Washington DC), 84.

ენა, რელიგიური ტექსტები და ყურანი იყო, რაც აისახებოდა განათლების საერთო დონეზე. მე-19 საუკუნის მიწურულს წერა-კითხვის მცოდნეთა საერთო მაჩვენებელი ქვეყნის მოსახლეობის 5%-ს აღწევდა, რომლის უმნიშვნელო ნაწილსაც ქალები წარმოადგენდნენ. მათ ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა სამღვდლოება, როგორც არაისლამურ ფენომენს, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა საზოგადოების ზნეობრივ და მორალურ ასპექტს. დასაშვებად მიიჩნეოდა ქალისთვის მხოლოდ კითხვის სწავლება, მაგრამ არა წერის, რადგან „როგორც კი ქალი წერის ხელოვნებას დაეუფლება, ის მაშინვე სასიყვარულო წერილების წერას დაიწყებს და არსებულ საზოგადოებრივ წესრიგს დაარღვევენ.“<sup>17</sup>

შედარებით უკეთესი იყო მდგომარეობა არისტოკრატიულ წრეებსა და სამეფო ოჯახში, სადაც ახალგაზრდების განათლებაზე ზრუნავდნენ ტუტორები. ისწავლებოდა ევროპული ქვეყნების ისტორია, გეოგრაფია, ფრანგული ენა. ასე იყო თავჯ ოს-სოლთანეს შემთხვევაშიც, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს დასავლური ლიტერატურისა და ფილოსოფიისადმი იჩენდა, რაც აისახა კიდევ მის ლიბერალურ აზროვნებაზე.

იმდენად დიდი იყო დასავლური იდეების გავლენა თავჯ-ოს სოლთანეზე და ზოგადად რეფორმების და პროგრესის მოთხოვნილება, რომ მან ნელ-ნელა დაიწყო ტრადიციების წინააღმდეგ წასვლა. ის იყო პირველი ქალი მაღალი არისტოკრატიული წრიდან, რომელმაც საჯაროდ მოიხსნა ჩადრი და დაგმო ის, როგორც ქვეყნის ჩამორჩენილობის ერთ-ერთი სიმბოლო. მისი აზრით, ბევრი პრობლემა ირანულ საზოგადოებაში, სწორედ ჩადრიდან მომდინარეობდა, რომელიც ზღუდავდა ქალის, როგორც ინდივიდის, უფლებებს. მის გარეშე ქალი მეტად რეალიზებული იქნებოდა დასაქმების სფეროში, რაც სარგებელს მოუტანდა არა მხოლოდ მას, როგორც საზოგადოების სრულუფლებიან/შემდგარ წევრს, არამედ მის ოჯახსაც, მატერიალური თვალსაზრისით.

ჩადრი იყო ასევე დაბრკოლების სიმბოლო იძულებითი ქორწინების შემთხვევაშიც, როდესაც ქალს არანაირი საშუალება არ ჰქონდა თავისი ბუნებრივი სახით წარმდგარიყო მომავალი ქმრის წინაშე, დაახლოებოდა მას და სწორად შეერჩია ცხოვრების მეგზური. ადამიანის თავისუფლებაზე საუბრისას იგრძნობა თავჯ ოს-სოლთანეზე ნატურალისტური იდეოლოგიის გავლენა: რადგან ადამიანი ღმერთმა შექმნა, როგორც თავისუფალი არსება, ის არ უნდა აიძულო, დაემორჩილოს რაიმე დოგმებსა და წესებს. „ადამიანი შეიქმნა იმისთვის, რომ ჭამოს, სვას, დაიძინოს, ისიამოვნოს და იცხოვროს თავისუფლად.“<sup>18</sup>

მემუარების ბოლოს, სადაც თავჯი მკაფიოდ აყალიბებს ირანელი ქალის უპირველეს მოვალეობებს, ერთ-ერთი, სწორედ ჩადრისგან გათავისუფლებაა: საკუთარი უფლებების მოთხოვნა, საკუთარი შვილების განათლებაზე ზრუნვა, ევროპელების მსგავსად მამაკაცების გვერდში დგომა, როგორც მომუშავე ძალა, პატრიოტიზმი, სიზარმაცესა და უმოძრაო ცხოვრების წესზე უარის თქმა, ჩადრის მოშორება. „ქვეყნის ნგრევის, მისი მორალური სისუსტისა და ნებისმიერი სფეროს განვითარებაში

<sup>17</sup> Hamideh Sedghi, *Women and Politics in Iran, Veiling, Unveiling and Reveiling* (Cambridge University Press, 2007), 53.

<sup>18</sup> Anna Vanzan and Amin Neshati, trans., *Taj Al-Saltana Crowning Anguish, Memoirs of a Persian Princess, From the Harem to Modernity*, (Mage Publishers, Washington DC), 216.

დაბრკოლების მიზეზი ჩადრია.<sup>19</sup> თაჯისთვის ჩადრი იყო როგორც ფიზიკური, ისე სულიერი საბურველის სიმბოლო, რაც სოციალ-ეკონომიკურ ჩამორჩენას განაპირობებდა, რომლის მოშორებაც გაათავისუფლებდა დიდ სამუშაო ძალას და შეამცირებდა ზეწოლას კაცზე, როგორც ოჯახის მარჩენალზე. ამ ჰიპოთეზის განსამტკიცებლად მას მოჰყავს მაგალითი ერთი ჩვეულებრივი ოჯახის, რომლის უფროსიც, ვთქვათ, დღეში ორ ქერანს გამოიმუშავებს. ეს თანხა მან უნდა გაანაწილოს ისე, რომ არჩინოს დედაც, დაც, დისშვილიც, ცოლიც, და ქალიშვილიც. ორ ქერანს თუ გავყოფთ ხუთზე, გამოდის, რომ ოჯახიდან კაცზე შვიდი შაჰი მოდის. ამ შვიდი შაჰით როგორ უნდა მოახერხოს ადამიანმა, რომ საკვებისა და ჩაცმის ხარჯებს გასწვდეს?!... თუ დავუშვებთ, რომ ეს ხუთი ქალი და მათი შვილები არ იქნებიან იძულებული ჩადრით შეიმოსონ და მიიღებენ განათლებას, შემდეგ მათ ექნებათ დასაქმების საშუალებაც მაღაზიაში, ჩაიხანაში, სკოლაში... შესაბამისად, ამ ხუთივეს უკვე საკუთარი ორი ქერანი ექნება დღეში, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ექვსსულიანი ოჯახი უკვე 12 ქერანს გამოიმუშავებს დღიურად და გაცილებით კომფორტულად შეძლებენ ზრუნვას საკუთარ ჩაცმაზეც და ჭამაზეც, ისე, რომ არ მოუწევთ ცხოვრების სტილის შეცვლა და დეგრადირება.<sup>20</sup> დაახლოებით იმავე მაგალითს განიხილავს საზოგადოების მაღალი წრეების შემთხვევაშიც, მაგრამ იქ ხელფასიც და მოთხოვნილებებიც განსხვავებულია, თუმცა, ძირითადი ფინანსური დაწოლა ისევ ოჯახის მარჩენალზე, თანამდებობის პირზეა. თაჯ ოს-სოლთანე ირანული საზოგადოების სწორედ ამ მანკიერი ტრადიციის შეცვლის აუცილებლობას უსვამდა ხაზს, როდესაც საუბრობდა ქალთა ემანსიპაციის მნიშვნელობაზე, მათ განათლებაზე, სამუშაო სფეროში ჩართვასა და ჩადრის მოხსნაზე. მისთვის შესაშური იყო სოფლის მოსახლეობის ცხოვრება. სპარსი ქალების ცხოვრება ორი რამისგან შედგება: თეთრისა და შავისგან. როდესაც ისინი გარეთ გადიან, ისინი შავით მოსილ შიშისმომგვრელ გამოსახულებას წარმოადგენენ, როდესაც კვდებიან, თეთრ სუდარაში ეხვევიან. მეც ამ უბერდურ ვარკვლავზე დაბადებულ ქალთაგანი ვარ გლოვის სულისშემძრელ ფორმას, თეთრი სუდარა მირჩევნია. ფატალურობის გამო მამაკაცების რაოდენობა ქალებთან შედარებით ყოველთვის დაბალია. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ორი მესამედი სახლში ზის და დანაჩენი მესამედი მაქსიმალურად იხარჯება და შრომობს სხვების კომფორტის, ტანსაცმლისა და საზრდოს შესაქმნელად და არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ერის საქმესა და მის განვითარებაში. თუ ეს ორი მესამედი დასაქმებული იქნება მნიშვნელოვანი საქმით, ქვეყანა ორმაგ პროგრესს განიცდის, და ყველა იქნება კარგად.<sup>21</sup>

თაჯ ოს-სოლთანეს მიერ ქალების დასაქმების პროპაგანდა განპირობებული იყო მისი თანამედროვე ეპოქით. ირანში ურბანიზაციის ზრდამ მე-20 საუკუნის დასაწყისში პირველად გახადა შესაძლებელი ამ საკითხის განხილვა. თაჯი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქალების განათლება, ჩადრის მოხსნა და დასაქმება მნიშვნელოვნად შეასუსტებდა ირანის პატრიარქალურ კულტურას.

ყაჯარების მმართველობის ბოლო პერიოდი ქრონოლოგიურად ემთხვევა

<sup>19</sup> Vanzan, Neshati, *Memoirs*, 204.

<sup>20</sup> Vanzan, Neshati, *Memoirs*, 202-203.

<sup>21</sup> Anna Vanzan and Amin Neshati, trans., *Taj Al-Saltana Crowning Anguish, Memoirs of a Persian Princess, From the Harem to Modernity*, (Mage Publishers, Washington DC), 204.

დასავლეთში სუფრაჟისტების მოძრაობასა და წარმატებებს. შესაბამისად, პროგრესულად მოაზროვნე ქალები მაღალი სოციალური წრიდან, მათი იდეებისა და მიღწევების თაყვანისმცემლები იყვნენ, მათ შორის თავჯ ოს-სოლთანეც, რომელიც ოცნებობდა დასავლეთში მოგზაურობასა და იქაურ მებრძოლ ქალებთან შეხვედრაზე:

„ჩვენ შორიდან გვესმის და ვხედავთ, ვკითხულობთ გაზეთებს, თუ როგორ ითხოვენ სუფრაჟისტები თავიანთ უფლებებს: უნივერსალური ფრანშიზა, პარლამენტში ხმის მიცემის უფლება, სახელისუფლებო საქმეებში მონაწილეობის უფლება. ისინი წარმატებებს აღწევენ, იმარჯვებენ ბრძოლაში. ამერიკაში მათი უფლებები სრულადაა დაკმაყოფილებული და სერიოზული დეტერმინაციისკენ მიისწრაფვიან, იგივე ხდება ლონდონსა და პარიზშიც.“<sup>22</sup>

თავჯ ოს-სოლთანეს შეხედულებებიდან გამომდინარე, მისი მოღვაწეობა და აქტივობა არაა გასაკვირი კონსტიტუციური რევოლუციის დროს. იგი კონსტიტუციონალიზმს მიიჩნევდა ეროვნული თავისუფლებისა და წინსვლის გარანტიად, როდესაც ქვეყნის მართვა და ფუნქციონირება ხდება კონსტიტუციისა და კანონების ძალით, დესპოტიზმის გარეშე. სწორედ ამიტომ იდგა ის პიონერი ქალი აქტივისტების გვერდით კონსტიტუციური რევოლუციის დროს და ცდილობდა, საკუთარი წვლილი შეეტანა ქვეყნის და ირანელი ქალების კეთილდღეობისთვის ბრძოლაში.

თავჯ ოს-სოლთანემ, შეიძლება ითქვას, რომ გაუსწრო დროს და სულ მცირე ათი წლით ადრე წამოწია წინ ქალთა ემანსიპაციის ის ძირეული საკითხები და პრობლემები, რომლის გარშემოც დაიწყო ირანში ქალთა მოძრაობა 1910-იან წლებში და აყვავების ზენიტს 1920-იან წლებში მიაღწია.

„ვფიქვამ, როდესაც დადგება ის დღე, რომ მე ჩემს სქესს ემანსიპირებულს ვნახავ, ხოლო ჩემს ქვეყანას – პროგრესის გზაზე დამდგარს, ჩემს თავს თავისუფლების ბრძოლის ველზე შევწირავ და შვებით დავღვრი სისხლს ჩემი თავისუფლებისმოყვარე არმიის ფეხქვეშ, რომელიც საკუთარი უფლებებისთვის იბრძვის“ (206).

მართლაც, თავჯ ოს-სოლთანემ ირანის ქალთა მოძრაობის ისტორიაში შექმნა ლიბერალი ქალის სახე, რომელმაც იდეური საფუძველი მოუშადა შემდგომი თაობის ფემინისტებს. სამწუხაროა, რომ თანამედროვე ირანის ქალები კვლავ იმ დოგმებისა და ტრადიციის ჩარჩოში არიან მოქცეულნი, რომლის წინააღმდეგაც ასე გულანთებული იბრძოდა პრინცესა თავჯ ოს სოლთანე. თავჯ ოს-სოლთანემ თავისი მემუარების სახით არა მხოლოდ „თავისი ცხოვრების ანგარიში დაგვიტოვა“, არამედ შექმნა ერთგვარი ფემინისტური ტრაქტატი და ისტორიული წყარო ჰარემის ინსტიტუტისა და ფენომენის სიღრმისეულად შესასწავლად.

---

<sup>22</sup> Vanzan, Neshati, *Memoirs*, 201.

**THE BEGINNING OF FEMINISM IN IRAN –  
THE MEMOIRS OF QAJAR PRINCESS TAJ AL-SALTANA**

The emergence of the women's movement in Iran, that takes its jump start back in the 19th century, had its historical roots and causes. In accordance with the country's regime and government policy, the movement was characterized with different specifics. It went through different stages of development and as a result of it women created a social unity that has been playing an important role in the country's political life. The contribution of the women who raised their voices against the patriarchal regime of the country for the first time and tried to defend women's rights is particularly notable. Among these pioneers was the Qajar princess, the daughter of Nasser al-Din Shah, Zahra Khanom Taj al-Saltana. She was a prominent figure and activist of the country known with her beauty, education, liberal ideas and sympathy for the West. Taj al-Saltana was one of those women who actively supported the Constitutional revolution.

Unfortunately, the only source about the life and work of princess Taj al-Saltana is her own, unnamed memoirs, that takes the special place in the modern history of Iran. It presents the original work either because of the content and writing style or manners. The uniqueness of the memoirs is stipulated because of its biographical genre. Taj al-Saltana was the first woman in the Qajar royal family who broke the barriers of literary formalism and revealed all her feelings, sorrow, dreams, attitudes and critique to the political, social and cultural life of her homeland. In her memoirs, which she wrote in 1914, author presented thirty years of her life from the royal harem's closed life to "liberated life". By telling her own story, Taj al-Saltana created emancipatory narrative, that framed ideological route either for the women rights defenders and activists of 1910s or Reza Khan's modernization era.

The memoirs of Taj al-Saltana can be compared to the works of pro-liberal feminists, that allow us to study/analyze the author's contemporary period (in this case late 19th century) and its social, cultural and historical environment and anti-patriarchal sentiments.

The memoirs are interesting from both a feminist and historiographical point of view. It gives us very interesting and useful information about the last years of the reign of Nasser Od-Din Shah, his assassination, the reign of Mozaffar Od-Din Shah, Jamal ad-Din Al-Afghani and Mirza Ali Khan. The Princess is very critical to the royal family, especially to Naser al-Din Shah's governance and his lifestyle, that were regarded as the main cause of backwardness of the country. The commitment to democratic and liberal ideas as well as strong feminist character of Taj al-Saltana are sharply presented in her memoirs. The author shares all defected traditions and customs of her country to readers, including polygamy,

forced marriage, rising children by nannies and not mother, veiling, that were main reasons of backwardness of Iran. Taj al-Saltana tried to find out ways that would be the guarantee of progress for her country. She insisted, like her western counterparts, that the most important thing in the way of women's emancipation was education, growing of women's awareness of their rights, then women employment and removing veil: "the duties of Persian Women consist of: insisting on their rights...educating their children; helping the men; being patriotic; serving their kind; eradicating laziness and a sedentary lifestyle; removing the veil."

Taj al-Saltana is regarded as one of the most influential pioneers of Iranian feminism because of her views on gender equality and women's place and role in the country's social and political life.

In this paper, I will try to discuss the characteristics of the activity and worldview of Taj al-Saltana as a pioneer of Iranian feminist movement and the very first female author of memoirs from royal family.

#### **ბიბლიოგრაფია - Bibliography:**

1. Vanzan, Neshati, trans., *Taj Al-Saltana Crowning Anguish, Memoirs of a Persian Princess, From the Harem to Modernity*. Washington DC: Mage Publishers, DC, 2003;
2. Mahmood-Bakhtiari, Najjar. "Zahra Khanom Taj al-saltana and Mary Wollstonecraft: A Comparative Study of "Memoirs of Taj al-Saltana" and "A Vindication of the Rights of Woman". *International Journal of Persian Literature* 161 (2017): 163, accessed November 15, 2019, [doi.org/10.5325/intejperslite.2.1.0161](https://doi.org/10.5325/intejperslite.2.1.0161);
3. Mansoureh, E. "The Origins and Development of the Women's Movement in Iran 1906-41". in *Women in Iran from 1800 to the Islamic Republic*, edited by Lois Beck, Guity Neshat, 85-106. University of Illinois Press, 2004;
4. Fosterer. *Colonialism and Gender in the East: Representations of the Harem in the writings of Women Travellers*. *The Yearbook of English Studies*. Vol. 34, Nineteenth-Century Travel Writing (2004): 10, accessed November 28, 2019, <https://doi.org/10.2307/3509480>.

ინტერდისციპლინური კვლევები -  
Interdisciplinary studies

თამარ დემეტრაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ჩიქვან-ლიპარტიანთა ირანული სამოსი  
მარტვილის მონასტრის ფრესკებზე<sup>1</sup>

XVI-XVII საუკუნეებიდან ისლამურ-აღმოსავლური სამყაროსა და კულტურისადმი საქართველოს განსაკუთრებული ინტერესი აიხსნება იმ ისტორიული ფაქტით, რომელიც დაკავშირებული იყო 1453 წელს ქრისტიანული სახელმწიფოს დედაქალაქის, კონსტანტინოპოლის დაცემასთან. შედეგად, საქართველო მოწყდა ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ მრავალსაუკუნოვან ერთობას და მისდა უნებურად, ისლამური გარემოთი გახდა შემოსაზღვრული.

ამ პოლიტიკურმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინა ქართულ კულტურულ გარემოზე. აღმოსავლურ-ისლამური გავლენები თავისებურად აისახა ქართულ ლიტერატურულ, ხუროთმოძღვრულ და სახვითი ხელოვნების არაერთ ნიმუშზე, ქართული მხატვრული შემოქმედების საერო ნაკადში - საერო მინიატურასა<sup>2</sup> და ხუროთმოძღვრებაში.<sup>3</sup>

ქართული სამინიატურო მხატვრობა ხელნაწერ წიგნთანაა დაკავშირებული. XVI-XVII საუკუნეებიდან ჩნდება სპარსულიდან თარგმნილი საგმრო, სამიჯნურო და დიდაქტიკური ჟანრის ლიტერატურული თხზულებები, რომლებიც მდიდრულად იყო დასურათებული. როგორც ხელოვნებათმცოდნეები და ხელოვნების ისტორიკოსები აღნიშნავენ, ამ პერიოდის ქართულ საერო ხელნაწერთა დასურათება მუსულმანურ-აღმოსავლური ხელოვნების, კერძოდ სპარსული მხატვრობის გავლენის სფეროშია მოქცეული და ირანული სამინიატურო ხელოვნების უშუალო გავლენითაა შექმნილი.<sup>4</sup>

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [FR-19-118, ირანული ზეგავლენა ქართველ დიდგვაროვანთა სამოსში XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ფრესკების მიხედვით]“.

სტატიაში გამოყენებული ფოტოები გადაღებულია პროექტის ფარგლებში მოწყობილი მივილინების დროს (2020 წლის აგვისტო).

<sup>2</sup> იუზა ხუსკივაძე, „ისლამი და ქართული სახვითი ხელოვნება“, ლიტერატურა და ხელოვნება 3 (1999): 100; იუზა ხუსკივაძე, ისლამი ქართულ სახვით ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებაში (თბილისი: სეზანი, 2018), 16.

<sup>3</sup> Георгий Чубинашвили, „Иранское влияния в памятниках архитектуры Грузии“, წიგნში Вопросы истории искусства: Исследования и заметки. Т. 1 [Грузинское средневековое искусство] (Тбилиси: Хеловнеба, 1970), 309, 319.

<sup>4</sup> ხუსკივაძე, ისლამი ქართულ სახვით ხელოვნებასა..., 20, 28-30, 58; ხუსკივაძე, ისლამი და ქართული სახვითი ხელოვნება..., 101-102.



ამ პერიოდის ქართულ მინიატურებში გამოიყოფა ორი ჯგუფი: 1) მექანიკურად გადმოღებული ირანული სამინიატურო ტრადიცია (მაგ.: ვეფხისტყაოსნის წერეთლისეული ნუსხის მინიატურების პირველი ნაწილი), რომელსაც მკვლევარი იუზა ხუსკივამე მაირანიზებელ მინიატურებს უწოდებს. მაირანიზილებელ მინიატურებში გამოიყოფა მოქმედ პერსონაჟთა ერთმანეთისგან განსხვავებული ორი ტიპაჟი: ერთში ისპანური სკოლის მხატვრობაში დაკანონებული ე. წ. „მონღოლურ ტიპი“ შეინიშნება, მეორეში კი - პერსონაჟთა სახეები ხასიათდება ეროვნული ნიშნებით, ამიტომ მათი შედარება უფრო მიზანშეწონილად ითვლება XVI-XVII საუკუნეების ქართულ ტაძართა კედლის მხატვრობის ქტიტორთა პორტრეტებთან; 2) მეორე ჯგუფის მინიატურები, სპარსული გავლენების მიუხედავად, ქართული მხატვრული აზროვნების სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება, გრძელდება თვითმყოფად საფუძველზე ჩამოყალიბებული ადგილობრივი მხატვრული ტრადიცია (მაგ.: როსტომიანის, ვისრამიანის ქართულ ვერსიათა დასურათება).<sup>5</sup>

რაც შეეხება აღმოსავლურ-ისლამურ გავლენებს XVI-XVII საუკუნეების ქართულ ეკლესიათა მონუმენტური მხატვრობის ნიმუშებზე, საქტიტორო პორტრეტებში ისლამურ-აღმოსავლური კულტურის გავლენა უფრო ზედაპირული და უმნიშვნელოა.<sup>6</sup> ზედაპირულ გავლენაში კი იგულისხმება კედლის მხატვრობაში გამოსახულ ისტორიულ პირთა ჩაცმულობა - უხვი ორნამენტებით შემკული სამოსის ტარების წესი, ქუდისა და ქამრის ფორმა, რომელიც, იმ პერიოდის ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, ირანიდან შემოსულ მოდად მიიჩნევა და რომელმაც ამა თუ იმ სახით კედლის მხატვრობაში გამოყვანილ ისტორიულ პირთა ჩაცმულობაშიც იჩინა თავი. ამ უცხოური გავლენით გამოირჩევა მარტვილის ტაძრის ჩრდილოეთ მკლავის მოხატულობა, რომელზეც ჩიქვანთა გვარის ქტიტორებია გამოსახული.

ხელოვნებათმცოდნე ნინო ჩიხლაძე ჩიქვან-ლიპარტიანების ოჯახის პორტრეტებს პოსტიზანტიური სტილის სულ გვიანი ეტაპის პროფესიული მხატვრობის სახედ მიიჩნევს და „დასავლურად“ აფასებს, თუმცა ხაზს უსვამს აღმოსავლური გემოვნების ამსახველ დეტალებს ამ ისტორიული პირების ყოფაში (ვარცხნილობა, თავსამკაული), რაც გარემომცველ სამყაროსთან გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს როგორც ყოფითი, ასევე ქართული კულტურის მჭიდრო და შემოქმედებითი ურთიერთობებითაა ახსნილი.<sup>7</sup>

ჩიქვან-ლიპარტიანთა ოჯახის წარმომადგენლების სამოსში ირანული მოდის ესოდენ დიდი გავლენის ასახსნელად, უნდა ვუპასუხოთ კითხვას: რამ განაპირობა ამ გვარის წარმომადგენლების დაწინაურება ოდიშის სამთავროში, რატომაც თავიანთ განსასვენებლად სალიპარტიანოში შემავალი მარტვილის მონასტერი გაიხადეს?

<sup>5</sup> ხუსკივამე, ისლამი და ქართული სახვითი ხელოვნება, 105; ხუსკივამე, ისლამი ქართულ სახვით ხელოვნებასა..., 30-32, 34-36, 46.

<sup>6</sup> ხუსკივამე, ისლამი და ქართული სახვითი ხელოვნება..., 100, 114; ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში აღმოსავლურ-ისლამური გავლენების, მხატვრული ხერხების ზოგად მსგავსებებსა და განსხვავებებზე დაწვრილებით იხ.: ხუსკივამე, ისლამი ქართულ სახვით ხელოვნებასა..., 92-110.

<sup>7</sup> ნინო ჩიხლაძე, „XVI-XVII საუკუნეების ისტორიულ პირთა გამოსახულებები მარტვილის ეკლესიაში,“ შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ნარკვევები III (1997): 113.

XV საუკუნის ბოლოს საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ იმერეთის სამეფო და ოდიშის სამთავრო სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ ლეჩხუმის, მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო (ერთდროულად ოდიშს, სვანეთს, რაჭას და იმერეთს ესაზღვრებოდა), თავიანთი მმართველობის ფარგლებში მოქცევას. ლეჩხუმი ამ დროს იმერეთის სამეფოს საზღვრებში შედიოდა.<sup>8</sup>

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ამ პოლიტიკურმა ბრძოლამ განაპირობა ლეჩხუმელ ჩიქვანთა (ჩიქოვანი/ჩიქუანი/ჩიქვანი) გვარის დაწინაურება ჯერ თავად ლეჩხუმში, ხოლო ცოტა მოგვიანებით - ოდიშის სამთავროში. ჩიქვანებმა 1673 წლიდან სალიპარტიანო დაიკავეს,<sup>9</sup> 1704 წლიდან კი მათი შთამომავლები „დადიანობასაც“ აღწევნ.<sup>10</sup>

კაცია ჩიქვანი ლეჩხუმელი, „გორდელი მდაბალი აზნაური“ იყო,<sup>11</sup> თუმცა ჩიქვანების საგვარეულოს დაწინაურება უკავშირდება მისი ძმის, გაბრიელ ჩიქვანის საეკლესიო მოღვაწეობას. იმერეთის მეფეებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლეჩხუმის აზნაურების მხარდაჭერას. ამიტომ ოდიშის მთავარზე განაწყენებულ გაბრიელ ჩიქვანს ჯერ იმერეთის მეფე გიორგი III (1604-1639) მფარველობს, ხოლო მოგვიანებით მის მემკვიდრეს ალექსანდრე III-ს (1639-1660) მისთვის ცაგერლობა ანუ ცაგერის ეპისკოპოსობა უწყალობებია, - აღნიშნულია გაბრიელის მიერ ცაგერის ღვთისმშობლისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულობის წიგნში (1656 წ. Qd-9085=ვ).<sup>12</sup> ის „ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ლეჩხუმი „სადადიანო“ არ გახდეს, ანუ ოდიშის სამთავროს ფარგლებში არ შევიდეს.“<sup>13</sup> თუმცა, იმერეთის მეფის, ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ, 1660 წლიდან გაბრიელ ცაგერელი ოდიშის მთავრის, ვამეყ III დადიანის მომხრე ხდება. მოგვიანებით ოდიშის მთავარმა, ლევან III დადიანმა (1661-1680) მას ჭყონდიდლობა ანუ ჭყონდიდის ეპისკოპოსობა უბოძა (1665 წ.).<sup>14</sup>

გაბრიელის რჩევით „რამეთუ ამისგან დაიპყრას ლეჩხუმიცა“ ლევან III დადიანმა კაცია ჩიქვანს „მისცა სალიპარტიანო და თვსად მისანდობელ-ჰყო ფრიად, რამეთუ იყო კაცი მჯნე და შემძლებელი საქმეთა,“<sup>15</sup> რაც 1666-1672 წლებს შორის უნდა მომხდარიყო.<sup>16</sup> უმაღლეს მოხელედ - ვეზირადაა ნახსენები 1673 წელს „ლევან III დადიანის მიერ დავით ნემსაძის კათალიკოზად დამტკიცების წიგნში“ - მოწმეებსა და შუამავლებს

<sup>8</sup> თამაზ ბერაძე, ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე, შრომების კრებული: 1 (თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018), 405.

<sup>9</sup> ოლა სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადობები). წ. III (თბილისი, 1990), 88.

<sup>10</sup> თამაზ ბერაძე, „ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან“. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული 2 (1964): 125.

<sup>11</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. 4, რედ. ს. ყაუხჩიშვილი (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 842.

<sup>12</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. V, ტომის შემდგ. და რედ. მზია სურგულაძე (თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2015), 212.

<sup>13</sup> ბერაძე, ოდიშის სამთავრო..., 405.

<sup>14</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. V, 212.

<sup>15</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., 842.

<sup>16</sup> ბერაძე, ოდიშის სამთავრო..., 406.

შორის ყველაზე ადრე დასახელებული არიან „ჰყონდელი ცაგერელი ბატონი გაბრიელ, ჩვენის სახლის უფროსი და ვეზირი ლიპარტიანი კაცია.“<sup>17</sup> ხოლო 1675 წელს გაცემულ ლევან III-ის შეწირულობის წიგნში მოწმეებად იხსენიებიან „ჰყონდელ ცაგერელი ბატონი გაბრიელ, ჩიქუანი კაცია“<sup>18</sup> - ამ საბუთში კაცია ლიპარტიანად არა დასახელებული.

სალიპარტიანო<sup>19</sup> ოდიშს ესაზღვრებოდა, დაახლოებით დღევანდელ მარტვილის რაიონს მოიცავდა. ვახუშტის აღწერით, „და არს ჰყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი სალიპარტიანო“,<sup>20</sup> რომელიც დადიანთა საუფლისწულო მამული XV საუკუნიდან ხდება.<sup>21</sup> მათი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ფეოდალური ერთეული მემკვიდრეობით ეკუთვნოდა დადიანთა გვარის უმცროს შტოს.<sup>22</sup>

ლიპარტიანად ცნობილია მანუჩარ I დადიანის ძმა და ლევან II-ის ბიძა გიორგი ლიპარტიანი. წალენჯიხის ეკლესიაში ლევან დადიანის ეგვიპტერში არსებობს მისი ფრესკა და წარწერა: „ლიპარტიანი ბატონი გიორგი ძმა, ჯელმწიფისა მანუჩარისა, ბიძა დიდისა ჯელმწიფისა დადიანისა ლევანისა და ძე დიდისა ჯელმწიფისა ბატონისა მამია დადიანისა.“<sup>23</sup> ცაიშის ჯვარცმის ხატზე არის წარწერა: „მოიჭედა და შეიმკო ხატი ესე ბატონობასა მანუჩარის ძისა ბატონისა ლევანისა და ლიპარტიანობასა ბატონისა ბიძისა მისისა ბატონის გირგისა. ღმერთმან ადიდნეს ორთავე შინა ცხორებათა.“<sup>24</sup> როგორც ქართველი მკვლევარი თამაზ ბერაძე მიიჩნევს, სახელწოდება სა-ლიპარტიანო გვარი ლიპარტიანისგანაა წარმოებული, თუმცა „სამეგრელოს ისტორიის რომელიღაც მონაკვეთში ეს ფეოდალური გვარი მოხელეობის გამომხატველ ცნებად გადაქცეულა“ - XVII საუკუნის დასაწყისში ლიპარტიანობა გვარის გამომხატველი ცნება არაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მამია დადიანის შვილი გიორგი ლიპარტიანი ვერ იქნებოდა, ლევან II დადიანის ბიძისთვის ლიპარტიანობა უკვე ტიტულია.<sup>25</sup>

როგორც ცნობილია, გიორგი ლიპარტიანს ორი შვილი - ვამეყი და გიორგი ჰყავდა, რომლებიც იხსენიებიან ცაიშის გულანის მინაწერში: „ღმერთო და ამ გულანის მადლო, აცოცხლე და ადღეგრძელე ლიპარტიანი ბატონი ვამეყ და ძმა მათი გიორგი სიგრძესა შინა ჟამთასა.“<sup>26</sup> ამ მინაწერში ლიპარტიანის ტიტულით მხოლოდ უფროსი შვილი, ვამეყი იხსენიება, ვინაიდან ლიპარტიანობა, როგორც მოხელის სტატუსი,

<sup>17</sup> სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. 1 (ტფილისი, 1921), 75-76.

<sup>18</sup> კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს..., 76-77.

<sup>19</sup> სალიპარტიანოს გეოგრაფიულ საზღვრებს და ამ ფეოდალურ ერთეულში შემავალ სოფლებს ადგენს თამაზ ბერაძე, იხ.: ბერაძე, ერთი საკითხი..., 126-130.

<sup>20</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., 777.

<sup>21</sup> სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის..., 86.

<sup>22</sup> სერგი მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია (თბილისი, 2006), 188 (სქოლიო 1).

<sup>23</sup> ექვთიმე თაყაიშვილი, ძველი საქართველო: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. 3 (ტფილისი: ს. ლოსაბერიძის სტამბა, 1914), 218.

<sup>24</sup> თაყაიშვილი, ძველი საქართველო..., 166.

<sup>25</sup> ბერაძე, ერთი საკითხი..., 120; ამ მოსაზრებას სრულად ეთანხმება ო. სოსელია, იხ.: სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის..., 87.

<sup>26</sup> თაყაიშვილი, ძველი საქართველო..., 192.

მემკვიდრეობით მხოლოდ ერთ პირზე შეიძლება გადასულიყო.<sup>27</sup> ვამეყის გადადიანების შემდეგ (1658 წ.) კი მისი უმცროსი ძმა გიორგი ხდება ლიპარტიანი.<sup>28</sup>

გაბრიელ ჩიქვანმა ლეჩხუმში, სოფელ ნაკურალეშში ეკლესია ააშენა, სადაც გამოსახულნი არიან მისი ოჯახის წევრები: „ქ. ქრისტიანე და ღვთის მოყუარე საყდრისა ამის აღმშენებელი ჭყონდიდელი ჩიქვანი გაბრიელ.“<sup>29</sup>

მათ შორისაა სამთავრო ტანისამოსში გამოწყობილი კაცია ჩიქვანი მეუღლესთან ერთად: „ლეჩხუმისა და სალიპარტია[ნოს] პატრონი, ოდიშისა თა [ვი (ანუ თავადი) და] იმერეთისა და ოდის (უნდა იყოს ოდიშის) სარდალ[ი], ჩიქვანი ბატონი კაცია“<sup>30</sup> - კაცია ჩიქვანის ფრესკის წარწერა ნაკურალეშში. ეს მოხატულობები XVII საუკუნის 70-იანი წლებით თარიღდება.<sup>31</sup>

ჩიქვანთა გვარის სამკვალეა სალიპარტიანოში შემავალი მარტვილის მონასტერი, თუმცა სასაფლაოს ქვების წარწერები აღარ მოიპოვება.<sup>32</sup> მონასტრის ჩრდილოეთ სამხრო მათი ფრესკებითაა მოხატული: „ჩვენ ცვაფარვათა შენთა მინდობილმან ლეჩგომის და საინასარიძოს და სალიპარტიან(ო)ს პატრონმან დიდისა ჯელმწიფისა მეფისა და დადიანისა ვაზირმან იმერეთისა ოდიშისა თაუმან და სარდალმან ჩიქვანმან კაციამ და თანა მე(ც)ხედრემან ჩვენმან დიდისა [ერისთავთ ერისთვის ქალმან თამარ] და ძემან ჩვენმან გიორგიმ იოსებ ოტიამ დავახატვინეთ სამხრო ესე ტაძრისა შენისა ჩვენად საფლავად...“<sup>33</sup>

ფრესკაზე გამოსახულია კაცია ჩიქვანი ცოლთან და მცირეწლოვან შვილთან, იესე ჩიქვანთან ერთად. მათ ეკლესიის გეგმა უჭირავთ ხელში. ფრესკას ახლავს მხედრული წარწერა: „ქ. ჩიქვანი ბატონი კაცია. ქ. თანა მეცხედრე მათი ... ქალი“ შვილის ზემოთ წარწერა: „ქ. ჩიქვანი იესე.“<sup>34</sup>

მკვლავის დასავლეთით გამოსახული არიან კაციას უფროსი ვაჟი, გიორგი, მეუღლე სეუდია მიქელაძის ქალსა და მცირეწლოვან ოტია ჩიქვანთან ერთად. ახლავს წარწერა: „ლიპარტიანი გიორგი ჩიქვანი. ქ. და თანა მეცხედრე მიქელაძის ქალი სევდია.“ „ქ. ჩიქვანი ოტია.“<sup>35</sup>

პორტრეტების შესრულება ნავარაუდებია 1673-1681 წლებს შორის.<sup>36</sup>

საქტიტორო წარწერაში კაცია ჩიქვანი სალიპარტიანოს პატრონად იხსენიება, ასევე ლიპარტიანადაა დასახელებული ფრესკაზე მისი შვილი გიორგიც: „ლიპარტიანი გიორგი ჩიქვანი.“ თუ დავეყრდნობით ზემოთ განხილულ საკითხს და მკვლევართა დასაბუთებულ მოსაზრებას, რომ ლიპარტიანობა მოხელის გამომხატველი ცნება იყო

<sup>27</sup> ბერაძე, ერთი საკითხი... 123.

<sup>28</sup> სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის..., 88.

<sup>29</sup> ექვთიმე თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს (პარიზი, 1937), 73.

<sup>30</sup> თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია..., 74.

<sup>31</sup> ნინო ჩიხლაძე, ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი, თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2017, 297.

<sup>32</sup> ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (ტფილისი: ს. ლოსაბერიძის სტამბა, 1914), 123.

<sup>33</sup> თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი..., 121-122.

<sup>34</sup> თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი..., 120.

<sup>35</sup> თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი..., 120.

<sup>36</sup> ჩიხლაძე, XVI-XVII საუკუნეების ისტორიულ პირთა..., 111.

და ეს ტიტული მემკვიდრეობით მხოლოდ ერთ პირზე შეიძლება გადასულიყო, მარტვილში მოხატული კაცისა და მის შვილ გიორგის ერთდროულად ვერ ექნებოდათ ლიპარტიანის ტიტული. ლევან III დადიანის გარდაცვალების შემდეგ „ოდიში იყო უპატრონოდ და კაცია ჩიქვანი იყო თავ და გამგე მათი.“<sup>37</sup> 1681 წელს კაცია ჩიქვანიც გარდაიცვალა და ვახუშტის გადმოცემით, ამის შემდეგ „დაიპყრა ლიპარტიანობა ძემან კაცისამან გიორგიმ უმეტეს მამისა თვისისა, და სრვიდა უწყალოდ და ჰყიდა ტყუედ ოდიშართა.“<sup>38</sup> აქედან გამომდინარე შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ გიორგი ლიპარტიან-ჩიქვანის და მისი ოჯახის ფრესკა (ცოლთან და შვილთან ერთად) კაცისა გარდაცვალების, ანუ 1681 წლის შემდეგ იყოს შესრულებული.

XVII საუკუნის მოდის მიხედვით აღმოსავლური ყოფისა და გემოვნების ამსახველი დეტალებია - ვარცხნილობა, თავსამკაული, გადაბმული წარბები, მუქი თვალები, ლოყაზე რიგად დაყოლებული თმის ხვეულები. წელში გამოყვანილი კაბა, კაბის ზედა ნაწილი ტანზე მომდგარი, ქვედა კი - თავისუფლად გაშვებული, წინ მთლიანად ჩახსნილი წვივამდე ან კოჭამდე სიგრძის. კაბაზე მოსხმული ცრუსახელოიანი მოსასხამები - ძვირფასი ქსოვილის, მოლოვილი ან ძაღარაშემოვლებული, გრძელი და ასეთივე სიგრძის ვიწრო სახელოებით, ერთი ღილით ან ბაფთით შეკრული, მოსასხამის გულისპირი ბუზმენტებით გაფორმებული - ასე აღიწერება ჩიქვანთა სამოსი მარტვილის მონასტრის ფრესკებზე.

ექტიტორებს ქუსლიანი, წაწვეტებულცხვირიანი ფეხსაცმელები აცვიათ.<sup>39</sup> XIV საუკუნემდე საქართველოში დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი იყო გავრცელებული. რელიეფებსა და ფრესკებზე შემორჩენილ ფეხსაცმლის სახეობებს შორის ყველა უქუსლოა.<sup>40</sup> ქუსლიანი ფეხსაცმლის ნიმუშები საქტიტორო პორტრეტებზე XVI ს-ის შუა წლებიდან ჩნდება და მას ირანული მოდის ელემენტად მიიჩნევენ.<sup>41</sup>

დაწინაურებული მდგომარეობის ხაზგასასმელად კაცია ჩიქვანსა და მის ცოლს უკეთიათ ოქროსფერი, თვლებითა და მარგალიტებით შემკული გვირგვინები, რომელზეც დამაგრებულია ჯიდა - დიდებულთ თავსამკაული. ეს ნივთი XVII საუკუნის 30-იან წლებამდე არ გვხვდება არც საქტიტორო ფრესკებზე და არც ლექსიკური ერთეულია დადასტურებული წერილობით წყაროებში. მარტვილის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საქტიტორო წარწერაში, რომელიც კაცია ჩიქვანის დაკვეთითაა შექმნილი, იკითხება: „...შევამკეთ მურასათ პატიოსანისა ხატითა...“<sup>42</sup>

<sup>37</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., 845.

<sup>38</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., 845-846.

<sup>39</sup> ხელოვნებათმცოდნე ირინა კომორიძე მიიჩნევს, რომ ისპაჰანში შეკერილი ქართული ფეხსაცმელი - „გიურჯი დუზი“, რომელიც მაღალქუსლიანი იყო და შუაში ისპაანური სკოლის ზედაპირი ჰქონდა, XVII ს-ის ისპაანური სკოლის ფერწერულ ტილოებზე გამოსახულ პერსონაჟებს აცვიათ, იხ.: ირინა კომორიძე, „XVI-XVII საუკუნეების ირანში მოღვაწე სამხედრო არისტოკრატთა ქართული სამოსი“, წიგნი: საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან (თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2011), 17, 35.

<sup>40</sup> ნინო ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.) (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964), 141.

<sup>41</sup> ნინო დათუნაშვილი, „ქართული სამოსი და მისი სოციალური ასპექტები XV ს-დან XIX ს-ის დასაწყისამდე“ (PhD დის., საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2018), 124, 238.

<sup>42</sup> თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი..., 121-122.

„მურასა,“ რომელიც ‘ოქროთი ან თვალმარგალიტით მოჭედილს, მოოჭვილს’ ნიშნავს,<sup>43</sup> ლექსიკური ერთეული XVI საუკუნის II ნახევრიდან შემოვიდა ქართულში. ამ ტექნოლოგიით შემკული შესაძლოა ყოფილიყო როგორც ხატი, ქამარი, ტახტი და უნაგირი, ასევე ჯიდაც. ჯიდაცა და მურასაც არაბული ლექსიკური ერთეულებია, რომლებიც ქართულში სპარსული ენის საშუალებით შემოვიდა.<sup>44</sup> XVII საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ჩიქვანთა ოჯახის ფრესკები შეიქმნა, ამ საქტიტორო წარწერაში დადასტურებული ლექსიკური ერთეული „მურასა“ მიანიშნებს, რომ როგორც ლექსიკური ერთეული, ასევე ამ ტექნოლოგიით დამზადებული საგნები ფართოდ გამოიყენებოდა იმდროინდელ ქართულ რეალობაში, რომელიც ირანის გავლენითაა საქართველოში შემოსული.

ლიპარტიანი გიორგი ჩიქვანი მარტვილის ფრესკაზე გამოსახულია ჭადრაკული ნახატით გაწყობილ თავსამკაულში, რომელსაც დოლბანდი ეწოდება. ქართველი მეფეები და დიდებულები დოლბანდს არ ატარებდნენ, ამ ფუნქციას გვირგვინი ასრულებდა.<sup>45</sup> მხოლოდ აშოტ კუხის (ტბეთი, X ს.) თავსაბურავში განარჩევენ მკვლევრები თავსაკრავს, რომელიც სომეხ მეფეთა მსგავსად იყო თავდაბურული<sup>46</sup> და რომელსაც ჩალმას<sup>47</sup> და დოლბანდს<sup>48</sup> უწოდებენ.

საქართველოში დოლბანდის ანუ ჩალმის ხმარება XVII საუკუნის დასაწყისიდან იწყება და ირანულ ზეგავლენად განიხილება.<sup>49</sup> იტალიელი მისიონერი დონ ქრისტოფორე დე კასტელი დოლბანდით გამოსახავს იმერეთის სამეფოში გახიზნულ ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-სა და მის მეუღლეს. ორივეს დოლბანდზე ძვირაფასი ქვებით შემკული ჯიდაც უკეთიათ.<sup>50</sup> დოლბანდებით არიან გამოსახულნი თეიმურაზ I, თეიმურაზ II და ერეკლე II მინიატურასა და ფერწერულ პორტრეტებზე.<sup>51</sup>

კაპუცინი მისიონერი დიონიჯო კარლი, რომელიც თბილისში 1681 წელს იმყოფებოდა და დაესწრო ქართლის მეფის გიორგი XI-ის (1676-1688 – ვახტანგ V-ის

<sup>43</sup> შაჰნამე, ქართული ვერსიები, II, რედ. აბულაძე, ი., ბარამიძე, ა., ინგოროყვა, პ., კეკელიძე, კ., & შანიძე, ა. (ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1934), 601; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული (თბილისი: მერანი, 1991), 527.

<sup>44</sup> „მურასა“ და „ჯიდა“ ლექსიკური ერთეულების შესახებ იხ.: თამარ დემეტრაშვილი, თამარ ლეკვეიშვილი, „მარიამ დადიანის ირანული სამოსი (ფრესკებისა და მზითვის წიგნში დაცული ლექსიკის მიხედვით)“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო XI (2018): 381-382.

<sup>45</sup> ივანე ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ნაკვ. 3, ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1962), 39.

<sup>46</sup> ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი..., 154; გიორგი კალანდია, ქსოვილი საქართველოდან, ნაწ. 2 (ქართველთა თავსაბურავი) (თბილისი: სეზანი, 2019), 29.

<sup>47</sup> Шалва Амиранашвили, История грузинского искусства. Т. 1 (Москва: Искусство, 1950), 213.

<sup>48</sup> ივანე ციციშვილი, მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის (თბილისი: ხელოვნება, 1954), 71.

<sup>49</sup> გულნარა კვანტიძე, ეთნოგრაფიული სურათები XVII-XVIII სს. საქართველოს ისტორიიდან (ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა) (PhD დის., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014), 133.

<sup>50</sup> დონ კრისტოფორე დე კასტელი, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბუჟან გიორგაძემ (თბილისი: მეცნიერება, 1976), 74 (სურათი N1).

<sup>51</sup> დათუნაშვილი, ქართული სამოსი..., 94.

(შაჰნავაზის) შვილი) შაჰის გამოგზავნილ საპატიო ხალათის ჩაცმის ცერემონიას, ახასიათებს მეფის სპარსულ თავსაბურავს „[მეფეს] თავზედაც, ხალათის ფერისავე, დიდი დოღბანდი ეხურა, ისეთივე როგორსაც ჩვეულებრივ სპარსეთის შაჰები ატარებენ. მე რომ არ მცოდნოდა რომ ეს გიორგი მეფე იყო, ისე მას ვერ ვიცნობდი.“<sup>52</sup> იტალიურ ტექსტში ნახმარია სიტყვა „turbante.“<sup>53</sup> ტურბანი იგივეა რაც დოღბანდი, ჩალმა. მიუხედავად იმისა, რომ „ტურბანი“ ისლამამდელი წარმოშობისაა და ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ახლო აღმოსავლეთში, ისლამის პერიოდში ის გახდა ერთგვარი მარკერი, რითაც გამოარჩევდნენ მუსლიმს არა მუსლიმისგან.<sup>54</sup>

XVI საუკუნიდან „ტურბანი“ სეფიანთა ირანის იდეოლოგიის გამომხატველი გახდა, მას *mandil* ეწოდებოდა - სეფიანთა ირანში კაცის კოსტიუმის ყველაზე გამორჩეული ნიშანი სწორედ „ტურბანი“ იყო, რომელიც რელიგიურ და პოლიტიკურ კუთვნილებას უჩვენებდა. 1501 წელს ისმაილ I-მა (1501-1524) თავრიზში თავი შაჰად გამოაცხადა, თავრიზი - დედაქალაქად, შიიზმი კი ირანის ოფიციალურ რელიგიად აქცია, რითაც სახელმწიფოს ძლიერი იდეოლოგიური საფუძველი შეუქმნა.<sup>55</sup> შიიტური 12-ნავეციანი წითელი თავსაბურავი სეფიანთა დინასტიის სპარსეთის მმართველობის სათავეში მოსვლის ძირითადი მოკავშირეების, ყიზილბაშების სახელთანაა დაკავშირებული, რატომაც მათ წითელთავიანებს უწოდებდნენ. ეს თავსაბურავი სეფიანი მმართველის ერთგულებასა და 12 შიიტი იმამის სიმბოლოს განასახიერებდა. მიუხედავად ტურბანის სიმბოლური დატვირთვისა, ის სეფიანთა დროს სხვადასხვა ვარიაციებით იხმარებოდა. განსხვავდებოდა ქსოვილის, ზომის, შემკულობის, თავზე მოხვევისა და დაბოლოებული ნაწილის დამაგრების მიხედვით. აბრეშუმის ან ბამბის ქსოვილის დაქარგულ და ბოლოებდამუშავებულ „ტურბანს“, სამოსის შესაფერისად, ზოგჯერ სხვა ფერებსაც ატარებდნენ და ოქროს ჯაჭვებით ან ბუმბულით ამშვენებდნენ.<sup>56</sup>

ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და უხვად ილუსტრირებულ შაჰნამეს ხელნაწერში, რომელიც „Houghton Shahnameh“ (The Shahnameh of Shah Tahmasp სპ. شاهنامه شاه تهماسب)-ს სახელითაა ცნობილი და 1549 წლით თარიღდება, გამოვლენილია 22 სახეობის თავსაბურავი. მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობით ე. წ. „ჯოხიანი ტურბანის“ (დოღბანდი) და „ბუმბულით გაფორმებული ჯოხიანი ტურბანის“ ტიპები გამოიყოფა.<sup>57</sup>

ირანელ დიდებულთა ყოფიდან ნასესხები სამოსი, მათი ტარების წესი, „მურასა ჯიღებით“ გაწყობილი დოღბანდები და გვირგვინები XVII საუკუნის 70-იან წლებში

<sup>52</sup> „დიონიჯო კარლის თბილისის აღწერა“, იტალიური ტექსტი თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 29 (1951): 176.

<sup>53</sup> იქვე, 176.

<sup>54</sup> Hamid Algar, "AMĀMA", Encyclopædia Iranica, Vol. I, Fasc. 9, pp. 919-921, available online at <https://www.iranicaonline.org/articles/amama-or-ammama-arabic-emama-the-turban> (accessed on 10 October 2021).

<sup>55</sup> Rudi Matthee, "Safavid dynasty", Encyclopædia Iranica, online edition, available online at <https://iranicaonline.org/articles/safavids> (accessed on 10 October 2021).

<sup>56</sup> Layla S. Diba, "CLOTHING x. In the Safavid and Qajar periods," Encyclopaedia Iranica, V/8, pp. 785-808, available online at <http://www.iranicaonline.org/articles/clothing-x> (accessed on 10 October 2021).

<sup>57</sup> Shirazi-Mahajan, Faegheh, "Costumes and textile designs of the Il-Khanid, Timurid and Safavid dynasties in Iran from the thirteenth to the seventeenth century" (PhD diss., The Ohio State University, 1985), 217.

უკვე საქართველოში საკმაოდ დამკვიდრებულია. ხოლო, როგორც იუზა ხუსკივამე აღნიშნავს, ამ ქტიტორთა სახის მოყვანილობა და ზოგადი იერი, შეერთებული წარბები, მოკლე ბაგეები, თვალების დაგრძელებული ჭრილი, თმის ვარცხნილობა, მსხვილი და კლაკნილი ხაზით მონიშნული და მკერდის ორივე მხარეს გრძლად დაშვებული წყვილი ნაწნავი ქალის იმ იკონოგრაფიული იდეალის სახის ნაწილებს შეგვახსენებს, რაც სეფიანთა ირანის სამინიატურო ხელოვნებაში გამოყვანილ პერსონაჟებთან გვხვდება.<sup>58</sup>

როგორც გიორგი ჩუბინაშვილი აღნიშნავს, „სეფიანთა ეპოქაში ირანის აღმავლობამ, შეიძლება ითქვას, საქართველოში ხელოვნების საგნებისა და დომინანტური ელემენტების, ასევე მხატვრული შემოქმედების ფორმებისა და ნორმების ერთგვარი ექსპორტი გამოიწვია. როგორც წესი, მაღალი ფენები უფრო მალე მოერგნენ მოდის მდინარეებს, ამ ახალ ირანულ მხატვრულ გემოვნებას. ამ მოძრაობის სათავეშია ცენტრები და დიდი ქალაქები, საითაც მიიღტვის ელიტა - საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლები. სწორედ ისინი ითვისებენ ცხოვრების წესს, უცხოურ სახელებს, სასაუბრო ენას, ემსგავსებიან გარეგნულად. სახლებისა და ახალაგებული შენობების ფორმაც კი არ განსხვავდება ირანულისგან - ასეთ დაკვეთას იღებენ ხელოვნები და მხატვრები.“<sup>59</sup>

ჩიქვან-ლიპარტიანთა ყოფაში და შემდეგ უკვე მათ ფრესკებზე ასახული ირანული მოდის ელემენტები განპირობებული იყო მათი „დადიანობის“ და ოდიშის სამთავროში გაბატონების სწრაფვით, რასაც მიაღწიეს კიდეც 1704 წლიდან და შეცვალეს ძველ დადიანთა გვარის დინასტია. ისინი ცდილობდნენ დამსგავსებოდნენ დადიანებს და მარტვილში, რომელიც იმ დროის სალიპარტიანოს ცენტრად ითვლებოდა, მონასტრის ფრესკებზე უფრო მდიდრულად და ირანული მოდის გავლენით ნაკარნახევი სამოსით გამოისახნენ, ვიდრე მათ საგვარეულო ეკლესიაში, ნაკურალეშში.

---

<sup>58</sup> ხუსკივამე, ისლამი ქართულ სახვით ხელოვნებასა..., 106-108.

<sup>59</sup> Чубинашвили, Иранское влияния в памятниках..., 310.



## **CHIKVANI-LIPARTIANIS' IRANIAN CLOTHING ON THE FRESCOES OF MARTVILI MONASTERY**

Georgia's growing interest in the XVI-XVII Islamic-Eastern world and culture was preconditioned by the 1453 collapse of the Christian City State of Constantinople, when the country was ejected from the multi-century Christian-Orthodox unity and became surrounded by the Islamic World. These political changes influenced the Georgian cultural environment. Islamic-Eastern influence was reflected on various masterpieces of Georgian literature, architecture and fine arts, particularly, on secular arts.

Georgian miniature painting is interconnected with manuscripts. Starting the XVI-XVII centuries, a great number of literary works, including heroic, romantic and didactic works translated from Persian Language appear in Georgia. These literary works are rich of illustrations. Therefore, Georgian miniature art greedily absorbed this material. Illustrations of Georgian secular manuscripts of that period are influenced by Islamic-Eastern Art.

Islamic-Eastern Miniature became a colourful ornament of Georgian handwritten books. Illustrations from the end of the XVI century to the middle of the XVIII century demonstrate an evident impact of Iranian miniature art.

Miniatures of this period are divided in two groups: 1) Iranian miniature tradition adopted mechanically (for instance, miniatures of the Tsereteli manuscript of the Knight in the Panther's Skin). They are called as Iranization miniatures and they reveal two different types of acting characters: 1) the so-called Mongolian Type rooted in the Isfahan School of Arts and 2) characters with national origins. Therefore, it is more expedient to compare them with the Ktitors' portraits on wall paintings of the XVI-XVII Georgian Churches.

2) Miniatures of the second group, despite Persian influences, reveal special signs of Georgian creative thinking and domestic creative tradition is based on indigenous principles (for instance, illustrations of Georgian versions of Rostomiani and Visramiani).

The Ktitors' portraits on monumental wall painting of the 16-17 Georgian Churches reveal rather superficial influence of Islamic-Eastern Culture – only outward similarity is seen.

The Islamic world was quite attractive for Georgian artists operating in various fields of arts, but this factor could not alter fundamental direction of this or that field of Georgian art, despite common influences and borrowed forms, it rather remained as an ornament on the surface.

The surface and ornaments reveal the dressing of historical figures illustrated on the wall painting – the style of wearing clothes adorned with rich ornaments, the shapes of headwear and belt that are considered to have been penetrated from Iran, taking into account the historical situation in that period.

Islamic Iran is less represented in Georgian wall painting patterns of the XVI century. The situation changed by the XVII century and traces of this foreign influence became more evident

in paintings of the northern part of Martvili Church, where representatives of the Chikvani Family are illustrated.

After Georgia's defragmentation into separate Kingdoms and Principalities at the end of the XV century, Imereti Kingdom and Odishi Principality used to take multiple efforts to subdue Lechkhumi because of its favourable geographical location. In that period, Lechkhumi belonged to Imereti Kingdom.

In the second half of the XVII century, the Chikvanis family took advantage during this political struggle, initially, in Lechkhumi and later in Odishi Principality. Initially, the Chikvanis became the Lipartianis, while in the XVIII century their descendants reached even the title of the Dadianis.

Salipartiano (the Land of the Lipartianis) was the northern-east part of Odishi. It covered the contemporary district of Martvili. Salipartiano belonged to the junior branch of the Dadianis surname, by right of succession. Based on the political interests of the Dadianis, the Salipartiano was governed by their close relative. As noted by historians, Salipartiano became the Dadianis' Land in the XV century.

Representatives of this Surname owned a family graveyard at Martvili Monastery that was part of Salipartiano. The northern part of the Monastery illustrates their frescoes – 1. Katsia Chikvani together with Spouse and child Iese Chikvani; 2. Katsia's elder son Lipartiani Giorgi together with his spouse Seudia Mikeladze and child Otia Chikvani. The portraits are dated 1673-1681.

Details reflecting the Eastern life and tastes of the XVII century fashion are as follows: haircut, the style of making moustache and beard and hair, tiara and headpiece, connected eyebrows, hair curls on cheeks that reveal much resemblance in Persian miniatures and Georgian secular miniatures created under Persian influence, and images on Persian things of everyday life.

Based on the above-mentioned examples, and considering the biography of Chikvani family, the historical environment and vocabulary used in dowry books, the study reviews their clothes and analyses what they wear under the influence of "Iranian fashion" of that time.

## დამოწმებული ლიტერატურა – References:

1. Амиранашвили, Шалва. *История грузинского искусства*, Т. 1. Москва: Искусство, 1950.
2. ბერაძე, თამაზ. ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე. *შრომების კრებული*, 1, სამეცნიერო რედაქტორები: სანაძე მანანა, ქორიძე თამარ; რედაქტორი ჟღენტი მარინა, 404-427. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.
3. ბერაძე, თამაზ. „ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან“. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული* 2 (1964): 115-130.
4. დათუნაშვილი, ნინო. „ქართული სამოსი და მისი სოციალური ასპექტები XV ს-დან XIX ს-ის დასაწყისამდე“. PhD დის., საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2018.
5. დემეტრაშვილი, თამარ და ლეკვეიშვილი, თამარ. „მარიამ დადიანის ირანული სამოსი (ფრესკებისა და მზითვის წიგნში დაცული ლექსიკის მიხედვით)“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, XI (2018): 372-391.
6. დიონიჯო კარლოს თბილისის აღწერა. იტალიური ტექსტი თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკ. 29 (1951): 153-182.
7. Diba, Layla S. “CLOTHING x. In the Safavid and Qajar periods,” *Encyclopaedia Iranica*, V/8, pp. 785-808, available online at <http://www.iranicaonline.org/articles/clothing-x> (accessed on 10 October 2021).
8. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ. ტექსტი გამოიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი: მეცნიერება, 1976.
9. ვახუშტი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება*, ტ. 4, რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.
10. თაყაიშვილი, ექვთიმე. *ძველი საქართველო: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული*, 3. ტფილისი: ს. ლოსაბერიძის სტამბა, 1914.
11. თაყაიშვილი, ექვთიმე. *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს*. პარიზი: 1937.
12. თაყაიშვილი, ექვთიმე. *არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი*. ტფილისი: ს. ლოსაბერიძის სტამბა, 1914.
13. კაკაბაძე, სარგის. *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები*, წ. 1. ტფილისი: 1921.
14. კალანდია, გიორგი. *ქსოვილი საქართველოდან*, ნაწ. 2 (ქართველთა თავსაბურავი). თბილისი: სეზანი, 2019.
15. კვანტიძე, გულნარა. „ეთნოგრაფიული სურათები XVII-XVIII სს. საქართველოს ისტორიიდან (ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა)“. PhD დის., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.

16. კოშორიძე, ირინა. „XVI-XVII საუკუნეების ირანში მოღვაწე სამხედრო არისტოკრატთა ქართული სამოსი“ წიგნში *საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან*, 10-38. თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2011.
17. მაკალათია, სერგი. *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია*. თბილისი: საარი, 2006.
18. Matthee, Rudi. “Safavid dynasty”, *Encyclopædia Iranica*, online edition, available online at <https://iranicaonline.org/articles/safavids> (accessed on 10 October 2021).
19. ორბელიანი, სულხან-საბა. *ლექსიკონი ქართული*, ტ. 2. თბილისი: მერანი, 1991.
20. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. V, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: დარეჯან კლდიაშვილმა, ნანა მშვიდლობაძემ, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ; ტომის შემდგენელი და რედაქტორი მზია სურგულაძე. თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2015.
21. სოსელია, ოლა. *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები) III*. თბილისი: 1990.
22. *შაჰნამე, ქართული ვერსიები*, II, რედ. აბულაძე, ი., ბარამიძე, ა., ინგოროყვა, პ., კვეკელიძე, კ., & შანიძე, ა. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1934.
23. Shirazi-Mahajan, Faegheh. “Costumes and textile designs of the Il-Khanid, Timurid and Safavid dynasties in Iran from the thirteenth to the seventeenth century”. PhD diss., The Ohio State University, 1985.
24. ჩიხლაძე, ნინო. „XVI-XVII საუკუნეების ისტორიულ პირთა გამოსახულებები მარტვილის ეკლესიაში.“ *შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ნარკვევები III* (1997): 104-114.
25. ჩიხლაძე, ნინო. *ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი*, თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2017.
26. ჩოფიკაშვილი, ნინო. *ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.)*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964.
27. Чубинашвили, Георгий. „Иранское влияния в памятниках архитектуры Грузии“. წიგნში *Вопросы истории искусства: Исследования и заметки*, Т. 1 [Грузинское средневековое искусство], 308-320. Тбилиси: Хеловнеба, 1970.
28. ციციშვილი, ივანე. *მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის*. თბილისი: ხელოვნება, 1954.
29. ხუსკივაძე, იუზა. „ისლამი და ქართული სახვითი ხელოვნება“, *ლიტერატურა და ხელოვნება N3* (1999): 100-118.
30. ხუსკივაძე, იუზა. *ისლამი ქართულ სახვით ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებაში*. თბილისი: სეზანი, 2018.
31. ჯავახიშვილი, ივანე. *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*. ნაკვ. 3, ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1962.
32. Algar, Hamid. “AMĀMA”, *Encyclopædia Iranica*, Vol. I, Fasc. 9, pp. 919-921, available online at <https://www.iranicaonline.org/articles/amama-or-ammama-arabic-emama-the-turban> (accessed on 10 October 2021).



გიორგი ლიპარტიან-ჩიქვანის ოჯახის საქტიტორო კომპოზიცია. მარტვილი.  
XVII ს-ის 70-იანი წწ.

The church-building donorship composition of the Giorgi Lipartiani-Chikvani's family.  
Martvili. 1670ies.



კაცია ჩიქვანის ოჯახის საქტიტორო კომპოზიცია. მარტვილი. XVII ს-ის 70-იანი წწ.  
The church-building donorship composition of the of Katsia Chikvani. Martvili. 1670ies.

## სამოსი, როგორც პოლიტიკური ორიენტაციის ინდიკატორი: ოდის მთავარი ლევან II დადიანი<sup>1</sup>

მე-15 საუკუნის მიწურულს საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების დაშლის პროცესი დასრულდა და ოდიშის საერისთავო იმერეთის სამეფოს ნაწილი გახდა, რის შემდეგაც ოდიშის ერისთავი იმერეთის მეფის ძალაუფლების გავლენისგან გამოსვლას ცდილობს.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები, რომლებიც ჯერ კიდევ 1555 წლის ზავის თანახმად ოსმალეთის გავლენის სფეროდ იყო გამოცხადებული, აღიარებდნენ მის უზენაესობას, თუმცა საშინაო პოლიტიკაში დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ.

მე-16 საუკუნის შუახანები ერთგვარი შემობრუნების ეტაპი იყო დასავლეთ საქართველოს ისტორიაში. საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლის მტკიცენული პროცესი მის ერთ-ერთ რეგიონში, იმერეთის სამეფოშიც მიმდინარეობდა. დადიანი და გურიელი, რომლებიც ადრე ნომინალურად მაინც ცნობდნენ იმერეთის მეფის სიუზერენიტეტს, ახლა უკვე აშკარად სრული დამოუკიდებლობისკენ იხრებიან.<sup>2</sup> ასე რომ, მე-16 საუკუნეში ოდიშისა და გურიის სამთავროებმა მოიპოვეს ფაქტობრივი დამოუკიდებლობა, მე-17 საუკუნის ათიანი წლების ბოლოს კი, როდესაც შესამჩნევად გაძლიერდა ოსმალეთის აგრესია შავის ზღვის სანაპიროებზე, ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა აფხაზეთიც.

ქართული წყაროების მიხედვით, ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში სამეგრელოს მთავარი ბედიანი ფლობდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას.<sup>3</sup>

გიორგი VIII, ქართლისა და შემდეგ კახეთის მეფე (1446-66/1466-76), ლიპარიტ პირველ დადიანს, თავის 1459 წლის ეპისტოლეში მოიხსენიებს, როგორც სამეგრელოს მეფეს. მეფედ მოიხსენიებს მას ამავე წელს ლაშქრობაში მონაწილე პირთა შორის ყვარყვარე ათაბაგიც (1451-1498). იხსენიება იგი ასევე, როგორც სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფე.<sup>4</sup>

„ბედიანი ცალკე ერთეულის მთავრად ითვლებოდა, იგი სამეგრელოსა და აფხაზეთის მფლობელი იყო და იმდენად ფართო უფლებებით ყოფილა მოსილი, რომ მეფედაც კი იწოდება. ჯარიც საკუთარი ჰყოლია და მართვა-გამგეობაც საკუთარი ექნებოდა“, - წერს ივ. ჯავახიშვილი.<sup>5</sup> მიუხედავად ასეთი სიძლიერისა, დადიანები

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [FR-19-118, ირანული ზეგავლენა ქართველ დიდგვაროვანთა სამოსში XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ფრესკების მიხედვით]“.

<sup>2</sup> ილია ანთელავა, ლევან II დადიანი. თბილისი: მერანი, 1990, 19.

<sup>3</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. იქვე. 12-18.

<sup>4</sup> სერგი მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი: საარი, 2006, 167.

<sup>5</sup> ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია წ. IV, ნაწ. I. თბილისი: 1924, 59.

მანც ცნობდნენ საქართველოს მეფის უზენაეს უფლებებს, თუმცა - ნომინალურად. ბუნებრივია, რომ გაძლიერებულ დადიანებს არ სურდათ იმერეთის მეფის ვასალობა. იმერეთიც საკმაოდ დასუსტებული იყო იმისათვის, რომ შეძლებოდა არსებული სამთავროების პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანება. თუმცა, დამოუკიდებლობის სანქციის მიღების მიზნით, ლიპარიტ I თავდაპირველად მიემხრო იმერეთის მეფე ბაგრატ მეორეს (1510-1548).

ასეთი იყო ლიპარიტის მემკვიდრეების პოლიტიკაც, მაგრამ როდესაც ბაგრატ ისე გაძლიერდა, რომ ქართლი ჩაიგდო ხელში, ვამეყ მეორე დადიანმა (1474-1482) უკვე მისი შესუსტება გადაწყვიტა და განუდგა მას (მსგავს პოლიტიკას ატარებდა ლიპარიტ II-ც (1482-1512)).

1545 წელს გამართულ სოხოისტას ბრძოლის შემდეგ, რომელშიც ოსმალებმა ბაგრატ II დამარცხეს, ხოლო საათაბაგო დაიპყრეს, ისარგებლა ლევან I დადიანმა. იგი განუდგა ბაგრატს, განიზრახა თავისი სამთავროს დამოუკიდებლად გამოცხადება და კიდევ შეძლო ამის გაკეთება. გაძლიერებული ლევან I ფლობდა სამეგრელოსა და აფხაზეთის ტერიტორიას და ცდილობდა გურიელის დამორჩილებას.

მამია IV დადიანმა (1573-78 და 1582-90) კიდევ გაილაშქრა იმერეთზე და დაამარცხა იმერეთის მეფე ლევანი (1585-1590), რომლის გარდაცვალების შემდეგაც შეძლო, იმერეთი მიეცა ლევანის ბიძაშვილ როსტომ-კონსტანტინესთვის (1590-1605).

ოდიშის შემდეგი მთავარი, მანუჩარ I, მამიას ძმა, არ გამოირჩეოდა განსხვავებული პოლიტიკით. მისი მმართველობისას გურიელთან მეტოქეობა დადიანის გამარჯვებით დასრულდა. „დადიანის გავლენის ქვეშ მოექცა იმერეთის მეფეც და გურიელიც. ერთი სიტყვით, XVI საუკუნის დასასრულს ოდიშის სამთავროს ლიხთ-იმერეთში ეჭირა პირველი ადგილი, იგი იყო ყველაზე ძლიერი სამთავრო, რომელსაც ემორჩილებოდა აფხაზეთი და გურია. მასვე ძლიერი გავლენა ჰქონდა იმერეთის სამეფოზე და იმერეთის მეფის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში დადიანების კეთილგანწყობილებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთანავე, სადადიანოს საკმაოდ დიდი ტერიტორია ეჭირა, მისი საზღვარი აღწევდა ჯიქეთამდის.“<sup>6</sup>

ბუნებრივია, დადიანის ამგვარი გაძლიერება უკმაყოფილებას იწვევდა არა მარტო მეზობელ სამთავროებში, არამედ ოსმალეთშიც, რომელთა მიზანიც შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობა და სადადიანოს თავიანთი პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენის ქვეშ მოქცევა იყო.

მე-17 საუკუნის დასაწყისში ოსმალებმა დადიანის და გურიელის წინააღმდეგ გამოიყენეს აფხაზეთის მმართველი წრეები (ამ დროს აფხაზეთში ძლიერი იყო ოსმალური გავლენა). აფხაზეთის მთავართა შორის ყველაზე ძლიერმა შარვაშიძეების გვარმა ოსმალეთის დახმარებით მოახერხა აფხაზეთის ცალკე საერისთავოდ გამოყოფა.

ამგვარად, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მე-17 ს-ის დასაწყისში, დასავლეთ საქართველოში რამდენიმე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული აღმოცენდა. იმერეთის სამეფო, ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები. მათი მოსაზღვრე კი ახალციხის საფაშო იყო. თითოეული მათგანი ცდილობდა, გაეფართოებინა თავისი საზღვრები და ლიდერის ადგილი დაეკავებინა. რა თქმა უნდა, ამისკენ მისწრაფოდა ოდიშიც.

<sup>6</sup> მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია..., 173.



საქართველოს ისტორიისთვის ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1603 წელს, შაჰ-აბასის მიერ წამოწყებულ ირან-ოსმალეთის ომში, რომელიც 1612 წ-დე გაგრძელდა და შაჰის მიზანი ამ ომში 1555 წლის ამასიის ზავის აღდგენა იყო, ირან-ოსმალეთის დიპლომატიურ ურთიერთობებში ქართველებს საკმაო როლი ეკისრათ.

ჯერ კიდევ ამ ომის მიმდინარეობის პროცესში სამეგრელოსა და გურიის მთავრებმა ოსმალეთს ხარკი შეუწყვიტეს, თუმცა ოსმალებმა მათ ეკონომიკური სანქციები დაუწესეს, რის შედეგადაც ოდიშსა და გურიას არსებული ვითარების გათვალისწინება მოუხდათ.

ამავდროულად, 1612 წელს დასრულდა ირან-ოსმალეთის ომიც. მათ შორის დაიდო ზავი, რომელშიც აღდგა 1555 წლის ამასიის პირობები.

წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილია ლევან II დადიანი (1611-1657), მანუჩარის ძე, ოდიშის მთავარი, რომელსაც ასევე უწოდებდნენ ლევან დიდს. განხილულია, რამდენად აისახება მის სამოსზე ურთიერთობები ირანთან - ურთიერთობები, როგორც მისი პოლიტიკური „არჩევანი“.

ლევან II დადიანი პატარაობიდანვე იზრდებოდა კახეთში. დედამისი, ნესტან-დარეჯან ბატონიშვილი, კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1574-1605) ქალიშვილი იყო. რუსი ელჩების (კუზმა სოვინი და ანდრია პოლუხანოვი) ცნობების მიხედვით, ალექსანდრე კახთა მეფე ატყობინებდა მათ, ქალიშვილი დადიანს გავაყოლე და დიდი მზითვიც გავატანეო. რუსი ელჩებისგან ვიგებთ, ასევე, რომ ნესტან-დარეჯანი შაჰ-აბასს ნდომებია ცოლად და ამიტომ ალექსანდრე მეფეს დაუჩქარებია ქალიშვილის ოდიშის მთავარზე გათხოვება (საინტერესო ფაქტია, რომ შაჰის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები კახეთის მეფეს ქალიშვილისთვის მზითვად გაუტანებია), ბოდიში მოუხდია შაჰისთვის, სანამ თქვენ მის ხელს მთხოვდით, მე ჩემი ქალიშვილი ოდიშის მთავარზე უკვე დანიშნული მყავდა და ნუ განმირისხდებითო.<sup>7</sup>

ნესტან-დარეჯანი მშობიარობას გადაჰყოლია და როცა მანუჩარ დადიანს მეორე ცოლად ვახტანგ გურიელის ქვრივი, თამარ ათაბაგის ასული შეურთავს, ლევანი მას მერე კახეთში ბაბუამისთან ცხოვრობდა. „არამედ შემდგომად შობისა ყრმისა ლევანისა მოკუდა ნესტან-დარეჯან. ხოლო ალექსანდრემ შემდგომად წარმოიყვანა ყრმა იგი ლევან და ზრდიდა თვით“<sup>8</sup> და როგორც ისტორიკოსები ამბობენ, ლევანს, რადგანაც იგი ბაბუის კარზე იზრდებოდა, პატარაობიდანვე უნდა სცოდნოდა შაჰ აბასის პოლიტიკის სისტემის შესახებ. ჩვენის მხრივ, დავამატებთ, რომ გარემო, რომელშიც იგი იზრდებოდა, რომელიც ასე ახლო იქნებოდა ირანთან, შესაძლოა, მისი შემდგომი პოლიტიკის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორიც კი ყოფილიყო.

ლევან მეორე დადიანს წყაროები ახასიათებენ, როგორც ნიჭიერ მთავარს, უშიშარსა და მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანს, რომელიც საკმაოდ კარგად ერკვეოდა იმ დროის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მოხერხებულად იბრძოდა თავისი სამთავროს გასამდიერებლად (ბუნებრივია, მას ჰქონდა ამბიცია, რაც, ჩვენი აზრით, განპირობებული იყო იმ, თუ შეიძლება ასე დავარქვათ, პრეტენზიითაც, რომელიც თავისთავად ექნებოდა ოდიშს, გამომდინარე თავისი ისტორიიდან. „მჯდომი მეფეთა

<sup>7</sup> ანთელავა, ლევან II დადიანი... , 34.

<sup>8</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973, 579.

ადგილას“ - ასეთ საერისთავოს მთავრად მოიაზრებოდა ლევან მეორე დადიანიც, ისევე, როგორც მისი წინაპარი ოდიშის მმართველები.<sup>9</sup>

ლევანი განაგრძობდა სადადიანოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის აქტიურ ბრძოლას. მისი მიზანი იყო იმერეთის მეფის ტახტის ხელში ჩაგდება და მეზობელი სამთავროების დამორჩილება. ბუნებრივია, თავისი მიზნების განსახორციელებლად იგი ყველა პოლიტიკურ ხერხს იყენებდა. ოსმალებთან და რუსებთან აწარმოებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს, ქმნიდა ძლიერ ჯარს და გამუდმებით ესხმოდა თავს იმერეთს; გავლენიანი თავადების გადმობირებით აწყობდა შინაურ ამბოხებებს, ასევე, უნათესავდებოდა სამთავროებს. მისი საგარეო პოლიტიკა იყო საკმაოდ მოხერხებული. ცდილობდა, ოსმალეთისგან და ირანისგან საფრთხე არ შეჰქმნოდა.

ლევან დადიანი თანდათან დაუახლოვდა ირანს, რომლის მოწინააღმდეგე ჯგუფსაც ეკუთვნის იმერეთის მეფე გიორგი IV. 1634 წელს კი ლევან II თავის დას, მარიამს, ცოლად შერთავს ირანში გაზრდილ შაჰის მოხელეს, ქართლის მუსლიმ მეფეს, როსტომ ხანს (1632-1658), რაც, ცხადია, ლევანის პრაქტიკული ინტერესი იყო.<sup>10</sup> ირანის მფარველობის ქვეშ მყოფ ქართლის ვალთან დანათესავება, მნიშვნელოვან მოკავშირეს ნიშნავდა იმერეთის (ასევე კახეთის) წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ქორწინება შაჰის თანხმობით განმტკიცდა. მან საქორწინო საჩუქრებიც კი გამოუგზავნა როსტომ ხანს და ჯამაგირიც დაუნიშნა მას - წელიწადში 1000 თუმანი: „აქეთგან ქართველნი წავიდნეს დიდის ლაშქრითა გამოჩვენებით და იქიდან დადიანი მოვიდა დიდის ლაშქრითა და მოკაზმულობით. იმერეთში ერთგან შეიყარნეს, ერთმანეთს მრავალი კარგი ლხინი აჩვენეს და მრავალი საჩუქარი მიართვეს და მოირთმიეს და ორმოცდაათი ათასი მარჩილი შაჰსეფი ყაენს გამოეგზავნა ლევან დადიანისათვის. ის მიართვეს და წელიწადში ათასი თუმანი ჯამაგირი გაეჩინა დადიანისათვის.“<sup>11</sup> „ლევან დადიანს ირანი 'ვალის' ტიტულით მოიხსენიებდა და საქართველოს ერთ ერთ 'უდიდეს ხელმწიფეთაგანადაც' აღიარებდა.“<sup>12</sup> „ამ შემთხვევაში, 'ვალი' უფრო ეპითეტია და პატივისცემის დადასტურებაა, ვინაიდან ეს წოდება ენიჭებოდათ მხოლოდ სეფიანთა სახელმწიფოს ყველაზე დიდ მოხელეებს (მათ შორის, ქართლის - გორჯესთანის მეფეს), მაგრამ გარკვეულწილად შეიძლება მივიჩნიოთ დასავლეთ საქართველოს მიმართ

---

<sup>9</sup> ლევან II დადიანის მმართველობის პერიოდის შესასწავლად, მნიშვნელოვანია ასევე უცხოელ მოგზაურთა თუ მისონერთა ჩანაწერები და ჩანახატები: დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი: მეცნიერება, 1976; დელა ვალე პიეტრო, მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს მოხსენება საქართველოზედ პაპ ურბანუს მერვისადმი 1627 წ. ჟურნ. ივერია, #3, თბილისი: 1879; არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, თბილისი: 1938; ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს მზია მგალობლიშვილმა და გიორგი სანიკიძემ. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018.

<sup>10</sup> სარგის კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“ წ. II, 1925 წ. ტფილისი: 1926, 33.

<sup>11</sup> იქვე, 33-34.

<sup>12</sup> ი. ანთელავა, დასახ.ნაშრ., 89.

ირანის 'ამბიციების' გამოხატულებადაც.<sup>13</sup> ცნობილია ასევე, რომ ზუგდიდში ლევან II დადიანმა გამართა ზარაბხანა, სადაც იჭრებოდა სეფიანური ტიპის მონეტები.<sup>14</sup>

ლევან II დადიანი, როგორც ოდიშის მთავარი, სამეგრელოს არაერთ ტაძარსა და მის სამჭედლოში<sup>15</sup> შექმნილ ჭედურ ხატზეა გამოსახული. ხობი (ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია XIII-XIV სს.); ცაიში (ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერი XIII-XIV სს.); კორცხელი (ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტერი XVII ს.), წალენჯიხა (მაცხოვრის ფერისცვალების საკათედრო ტაძარი, X-XI სს.)

ლევან II დადიანის ყველაზე ადრინდელი გამოსახულებები დაცულია:

ა) წარჩეს მთავარანგელოზის ხატზე - ამ ხატის მოჩარჩოების მარცხენა არშიაზე ლევან მეორე, მეფურ სამოსში გამოწყობილი, გამოსახულია მარტოდ. მიუხედავად იმისა, რომ ხატზე არაა დასმული თარიღი, ის ლევან II დადიანის მმართველობის პირველ წლებს მიეკუთვნება.<sup>16</sup>

ბ) ცაიშის მონასტრის ფრესკაზე - იგი აქ გამოსახულია თავის პირველ ცოლთან, აფხაზეთის მთავრის, სეტემან შერვაშიძის ასულ თანურიასთან ერთად 1616-1619 წწ-ში.<sup>17</sup>

ლევან მეორის ქვემოთ ჩამოთვლილი გამოსახულებები მისი მმართველობის უფრო გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება:

წალენჯიხის ეკლესიის ლევან II დადიანის ეკვდერში დაცული ლევან დადიანისავე ფრესკა ცოლ-შვილთან ერთად 1636 წლის სიახლოვესაა შექმნილი.<sup>18</sup> ეკვდრის სამხრეთ კედელზე გამოსახულია ლევან II დადიანი, მისი მეუღლე ნესტან-დარეჯან ჭილაძე<sup>19</sup> და მათი ორი შვილი - ალექსანდრე და ზილიხანი.

XVII ს-ის 30-იან წლებშია გამოსახული ლევან II დადიანის ოჯახის საექტიტორო კომპოზიცია ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. ფრესკაზე წარმოდგენილია: ლევან II დადიანი, მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი და შვილი - მანუჩარი. ახლავს ასევე წარწერა: „დადიანი ლევან“, „ბატონიშვილი მანუჩარ“, ნესტან-დარეჯანის წარწერა დაზიანებულია.<sup>20</sup>

<sup>13</sup> ჟან შარდენი, დასახ. ნაშრ., 62.

<sup>14</sup> И. Пагава, Чеканка сефевидской монеты в восточном Причерноморье. *Восточная нумизматика в Украине. Часть III. Улус Джучи, Крымское ханство и сопредельные государства в XIII-XVIII вв.* Сборник Публикаций. Под ред. Константина Хромова. Киев: 2013, 125-142; არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1938, 24;

<sup>15</sup> იხ. ლეილა ხუსკივაძე, ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო (ნარკვევი XVII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან). თბილისი: მეცნიერება, 1974.

<sup>16</sup> ლ. ხუსკივაძე, დასახ. ნაშრ., 20.

<sup>17</sup> ნინო ჩიხლაძე, ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი. თბილისი: 2017, 270.

<sup>18</sup> ეკვდრის მოხატულობისა და თარიღების დადგენის საკითხის შესახებ იხ.: ნინო ჩიხლაძე, *ქართული საერო პორტრეტის ისტორიიდან (XV-XVII სს.)*. ნარკვევები X, 2005, 78-80.

<sup>19</sup> თავადი რომანოზ ჭილაძის ქალიშვილი, რომელიც ცოლად ჰყავდა ლევან II დადიანის ბიძას-გიორგი ლიპარტიანს, ხოლო შემდეგ შეირთო იგი ცოლად ლევანმა. ლევან დადიანის მცირეწლოვანების დროს ოდიშის სამთავროს რეგენტი გიორგი ლიპარტიანი იყო და შემდგომაც, ვიდრე გარდაცვალებამდე (1620-იანი წწ.), ლევან მეორესთან ერთად მართავდა ოდიშს.

<sup>20</sup> ექვთიმე თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი, წიგნი მეორე, ტფილისი: 1914, 135.

XVII ს-ის პირველ ნახევარში, 1624-1639 წწ-ში, ლევან II დადიანისვე აგებულ კორცხელის ეკლესიაში დაცული ფრესკა მისივე გამოსახულებით ამავე პერიოდისა უნდა იყოს.<sup>21</sup>

1640 წლით თარიღდება ოთხი ჭედური ხატი, რომელზეც ლევან მეორე გამოსახულია მეუღლესთან, ნესტან-დარეჯანთან ერთად: კორცხელის წინასწარმეტყველთა ხატი, კორცხელის მაცხოვრის ხატი, მარტვილის ღვთისმშობლის ხატი და ილორის ხარის მოყვანის სახის ხატი, რომელზეც ლევან მეორე გამოსახულია ნესტან-დარეჯანთან და შვილებთან - ალექსანდრე, მანუჩარ და ზილიხანთან ერთად. ასევე, 1651 წლის ილორის წმინდა გიორგის ხატზე ლევან დადიანი გამოსახულია მარტოდ.<sup>22</sup>

ლევან დადიანის ზემოთ მოყვანილ ადრინდელ და შემდგომი პერიოდის გამოსახულებებს შორის სამოსის თვალსაზრისით აშკარა განსხვავებაა. მე-17 საუკუნის 30-იან, თუ უფრო მოგვიანო წლების დადიანისა და მისი ოჯახის ჩაცმა-დახურვის სტილი და, ასევე, კონკრეტული დეტალები მათ სამოსზე უფრო მეტად სპარსულია, ვიდრე მე-17 საუკუნის 30-იან წლებამდე გამოსახულებებისა. ჩვენი აზრით, ეს განპირობებულია სწორედ დადიანის გააქტიურებული ურთიერთობით ირანთან.

ცაიშის 1616-19 წწ-ის ფრესკისა და წარჩეს ხატისგან განსხვავებით, რომელიც მიეკუთვნება ლევან დადიანის მმართველობის პირველ წლებს, ჯიღებთაა<sup>23</sup> გამშვენებული ლევან მეორე დადიანის და ნესტან-დარეჯანის გვირგვინები წალენჯიხის, 1636 წლით დათარიღებულ ფრესკაზე, გვირგვინის ქვეშ კი ნესტან-დარეჯანს ახურავს ლეჩაქი.<sup>24</sup> ჯიღა ამშვენებს ასევე ლევანის ქალიშვილის, ზილიხანის ქუდსაც, რომელსაც ნავისებური ფორმა აქვს. მაღალი, თეთრი, კონუსის ფორმის, წვეტიანი და ჯიღიანი ქუდითაა დახატული ალექსანდრე ლევანის ძეც.<sup>25</sup>

1640 წლით დათარიღებული კორცხელის წინასწარმეტყველთა ხატზეც ლევან დადიანს „ძვირფასი თვლებით მორთული კონუსისებრი მასიური გვირგვინი ადგას თავზე. გვირგვინი შემკულია გრძელი, გაშლილი ფოჩით<sup>26</sup> „დედოფლის გვირგვინი თავის ფორმით დადიანის გვირგვინს ემსგავსება... წვერში გვირგვინს პატარა ყუნწი აზის, მარცხნივ კი ჯიღა ამკობს. გვირგვინის ქვეშ დედოფალს ლეჩაქის ბოლოები მოუჩანს.“<sup>27</sup> ილორის ხარის მოყვანის სახის ხატზეც (1640 წ.), რომლის ქტიტორთა გამოსახულება საკმაოდ დაზიანებულია, თუმცა მოჩანს სამოსის ცალკეული დეტალები, ვხედავთ ნესტან-დარეჯანის გვირგვინის ჯიღას და ასევე, ერთ-ერთი

<sup>21</sup> იქვე, 200;

<sup>22</sup> ლ. ხუსკივაძე, დასახ. ნაშრ., 67.

<sup>23</sup> არაბული სიტყვა - ჯიღა ცოცხალი ენობრივი ურთიერთობის გზით უნდა იყოს შემოსული და შეთვისებული სპარსულიდან ქართულში. ირანული წარმოშობისა და ირანის გზით შემოსული სამოსის აღმნიშვნელი ლექსიკის შესახებ იხ.: თამარ დემეტრაშვილი, თამარ ლეკვეიშვილი, მარიამ დადიანის ირანული სამოსი (ფრესკებისა და მზითვის წიგნში დაცული ლექსიკის მიხედვით), ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XI, 2018, 374-393.

<sup>24</sup> იხ. დემეტრაშვილი, ლეკვეიშვილი, დასახ. ნაშრ.,

<sup>25</sup> ქტიტორთა ჩაცმულობის აღწერილობის შესახებ იხ.: ნინო დათუნაშვილი, ქართული სამოსი და მისი სოციალური ასპექტები XV ს-დან XIX ს-ის დასაწყისამდე. სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი: 2018; გ. კვანტიძე. ეთნოგრაფიული სურათები XVII-XVIII სს. საქართველოს ისტორიიდან (ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014.

<sup>26</sup> ლ. ხუსკივაძე, დასახ. ნაშრ., 28

<sup>27</sup> იქვე, 29

უფლისწულის ქვებითა და ჯილით შემკული კონუსური ფორმის გვირგვინს. საკმაოდ დაზიანებულია კორცხელის ფრესკა, თუმცა ლევან დადიანის გვირგვინზე მოჩანს შვერილი, რომელსაც მთავრის სხვა გვირგვინებს თუ შევადარებთ, არაა გამორიცხული, ჯილა რომ ყოფილიყო.

ქუსლიანი, წაწვეტებული ცხვირით, მცენარეული ორნამენტით და თვალ-მარგალიტით შემკული ფეხსაცმლით არიან წარმოდგენილები ლევან დადიანი, ნესტან-დარეჯანი და მათი შვილები წალენჯიხის ფრესკაზე. ასევე, ხობის მონასტრის საქტიტორო ფრესკაზეც ლევან მეორესა და მის ცოლ-შვილს ქუსლიანი ფეხსაცმელი აცვიათ.

XIV საუკუნემდე საქართველოში გავრცელებული ფეხსაცმლის ტიპი უქუსლოა. ფრესკებ სა, თუ რელიეფებზე შემორჩენილ ფეხსაცმლის სახეობებს შორის ქუსლი არ მოჩანს.<sup>28</sup> ქუსლიან ფეხსაცმელს საქტიტორო პორტრეტებზე XVI ს-ის შუა წლებიდან ვხვდებით. მკვლევრები მას ირანული მოდის ელემენტად მიიჩნევენ.<sup>29</sup>

ლევან მეორე დადიანის ფრესკებსა თუ ჭედურ ხატებზე ასახულ ჩაცმა-დახურვის წესში, რომლებიც მისი მმართველობის 30-იან წლებსა და შემდგომ პერიოდს მიეკუთვნება, ვხედავთ ე.წ. ირანულ მოტივებს, ირანულ მოდას, რომელსაც, ბუნებრივია, ბევრი პარალელი მოეძებნება XVI-XVII სს-ის სპარსული ხელოვნების ნიმუშებთან.<sup>30</sup>

ლევან დადიანისეულ ზემოთ მოყვანილი გამოსახულებების ნიმუშებს შორის ორი ქრონოლოგიური ეტაპი გამოიყოფა:

ა) გამოსახულებები, რომლებიც მიეკუთვნება მისი გამთავრების პირველ წლებს, ნესტან-დარეჯანის ცოლად შერთვამდე, როცა ლევან დადიანი ოდიშს ბიძასთან, გიორგი ლიპარტიანთან ერთად მართავდა: წარჩეს მთავარანგელოზის ხატი და ცაიშის ფრესკა.

ბ) გამოსახულებები, რომლებიც განეკუთვნება პერიოდს, როდესაც ლევან დადიანი უკვე დამოუკიდებელ მმართველად გვევლინება. 1622 წლის შემდგომ, მეტადრე კი 1634 წლიდან, კერძოდ, როსტომ-ხანთან დანათესავებისა და, შესაბამისად, ირანთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების ფონზე, ირანული გავლენა მის სამოსზე, გაცილებით შესამჩნევია (წალენჯიხის, ხობის, კორცხელის ფრესკები და კორცხელის „წინასწარმეტყველთა“ ხატი, კორცხელისვე მაცხოვრის ხატი, მარტვილის ღვთისმშობლის ხატი, და ილორის „ხარის მოყვანის სახის“ ხატი, ილორის წმინდა გიორგის ხატზე).

<sup>28</sup> ნინო ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი: 1964, 141.

<sup>29</sup> ნ. დათუნაშვილი, დასახ.ნაშრ.,124, 238.

<sup>30</sup> Max Tilke, Oriental costumes their designs and colors. ERNST wadmuth LTD/ Berlin: 1922; Arthur Upham Pope, A survey of Persian art, London and New-York: 1939; Rokn od Din Homayun Farrokh, History of books and the imperial libraries of Iran. Translated by: Abutaleb Saremi. Ministry of culture and art, Tehran: 1968; Marta Dal Farra, A Safavid Cadabi in the royal Ontario museum reconsidered. Iranian Studies, vol. 25, No ½ The carpets and textiles of Iran: New perspectives in research, Teylor and Francis: 1992, pp. 81-90; Yedida K. Stillman and Nancy Micklewright, Costume in the Middle East. Middle east studies association of North America (MESA), July: 1992, pp. 13-38.

ამგვარად, XVII საუკუნეში ლევან დადიანის პოლიტიკურმა ორიენტაციამ და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისმა „პოლიტიკურმა არჩევანმა“ განსაზღვრა ამ უკანასკნელის, მისი ოჯახის წევრებისა და ოდიშის დიდებულთა წრის არა მხოლოდ ამ კონკრეტული პერიოდის, არამედ, შეიძლება ითქვას, მომდევნო წლების ირანული ელემენტებით გაჯერებული სამოსის ხასიათიც.

**Tamar Lekveishvili**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies*

## **DRESS AS AN INDICATOR OF THE POLITICAL ORIENTATION: IRANIAN CLOTHING OF LEVAN II DADIANI, RULER OF THE SAMEGRELO PRINCIPALITY**

The last period of the 15<sup>th</sup> century recorded a full disintegration of Kingdoms and Principalities of Georgia. Odishi Principality was assigned to Imereti Kingdom, after which Odishi took efforts to get rid of the Imereti King's Power. Announced as the Osman Empire's sphere of influence under the 1555 truce agreement, Kingdoms and Principalities of Western Georgia recognized the Imereti King's superiority, but maintained independence in internal affairs.

The middle of the 16<sup>th</sup> century emerged as a certain turning point in the history of western Georgia. The painful process of disintegration of feudal Georgia had crept to Imereti Kingdom too. Earlier, Dadiani and Gurieli nominally recognized the superiority of the Imereti King, but now they were aspiring for full independence. Thus, in the 16<sup>th</sup> century, Odishi and Guria Principalities obtained factual independence. At the end of 1610s, when Ottoman aggression intensified, the separate principality of Abkhazia was established on the Black Sea coastline.

Thus, at the beginning of the 17<sup>th</sup> century, several independent political units arose in western Georgia - Kingdom of Imereti, Principalities of Odishi, Guria and Abkhazia. They were bordered by Akhaltsikhe pashalik. Each of them was trying to broaden their borders and take leading positions in the region. Naturally, Odishi Principality also followed this objective.

This work narrates the life of Levan II Dadiani (1611-1657) the Ruler of Odishi, called as Levan the Great. This work illustrates how the relations with Iran influenced His dressing and outlines these relations as his political "Choice".

Levan II Dadiani grew up in Kakheti from his very childhood. His mother Princess Nestan-Darejan was the daughter of Kakheti King Aleksandre II (1574-1605). According to references by Russian Ambassadors (Kuzma Sovin and Andria Polukhanov), Aleksandre, the King of Kakheti notified them that he had given his daughter in marriage to Dadiani, together with huge dowry... Nestan-Darejan passed away amid childbirth and since then Levan used to live in Kakheti. As noted by historians, Levan was brought up at the court of his grandfather and

therefore, from his childhood He should have known the Shah Abas policy system. We also add that the environment, where he grew up and that was so familiar with Iran could predetermine his future policy priorities.

Historical sources characterize Levan II Dadiani as a talented ruler, fearless person with cast-iron will, who profoundly understood the political life of that period and fought masterfully to strengthen his own Principality. His objective was to take over the throne of Imereti Kingdom and subdue the neighboring Principalities. In order to achieve his goals, naturally, He used to apply all political instruments and mechanisms. He launched diplomatic negotiations with Ottoman Empire and Russia, started building strong army and launched permanent attacks on Imereti Kingdom. By conspiring with influential Nobles, he used to organize internal revolts. He also familiarized with principalities through establishing kin relations. He followed very convenient foreign policy and tried to stay protected from Osman Empire and Iran threats.

Levan Dadiani gradually established closed contacts with Iran, while Imereti King Giorgi IV represented his rival group. In 1634, Levan Dadiani gave his sister Mariam in marriage to Moslem King of Kartli Rostom Khan (1632-1658), brought up in Iran as the Shah's Official.

This marriage was strengthened by shah's approval. He even sent presents for this event to Rostom Khan and gave him salary, 1000 tumans annually. It is also known that Levan II Dadiani founded zarabkhana in Zugdidi where the Safavid coins were cut. Naturally, Levan considered this marriage from practical points of view. Establishing family relations with the Iran-protected Kartli Vali meant an acquisition of an important ally against Imereti Kingdom (as well as against Kakheti Kingdom).

As the Odishi Rule, Levan II Dadiani is illustrated in many churches of Mingrelia and on embossed icon made in his own smithy.

The earliest preserved representations of Levan II Dadiani are on the fresco of the Tsaishi cathedral (Belongs to the first years of Levan Dadiani's reign) and on the Archangel Icon of Tsaishi (dated as 1616-1619).

The further representations of Levan II belong to the relatively later period of his reign and can be seen on the frescoes of : Tsalenjikha Cathedral (near the 1636); Khobi Monastery (1630s); Kortskheli Cathedral (presumably between the years of 1624 and 1639) and on the four engraved icons dated as 1640 - the icon of the prophets of Kortskheli Cathedral, Icon of the savior also in Kortskheli Cathedral, Icon of St. Mary in Martvili Monastery and Ilori icon of sacrificing the bull (dated as 1651).

According to the examples which were presented above, there is obvious difference between the clothes of earlier and later period of Levan II Dadiani's reign. To illustrate, concrete details on Royal apparel in 1730s and relatively further years are more Persian than the ones before 1730s. It appears that this fact is conditioned by Levan II's activated relations with Iran.

Thus, in the XVII century the political orientation of Levan II Dadiani, or as we mentioned above his "Political choice", defined the character of clothing (which were loaded with Iranian details) of Levan II, his family and noblemen of Odishi not only in this particular period but in the following years as well.

## დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. ანთელავა, ილია. *ლევან II დადიანი*. თბილისი: მერანი, 1990.
2. ბატონიშვილი ვახუშტი. *ქართლის ცხოვრება*, ტომი IV. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.
3. დათუნაშვილი, ნინო. *ქართული სამოსი და მისი სოციალური ასპექტები XV ს-დან XIX ს-ის დასაწყისამდე*. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი: 2018.
4. თაყაიშვილი, ექვთიმე. *არქეოლოგიური მოგზაურობანი*. წიგნი მეორე, ტფილისი: 1914.
5. დემეტრაშვილი, თამარ და ლეკვეიშვილი, თამარ. მარიამ დადიანის ირანული სამოსი (ფრესკებისა და მზითვის წიგნში დაცული ლექსიკის მიხედვით). *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, XI, 2018, 374-393.
6. კაკაბაძე, სარგის. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“ წ. II, 1925 წ. ტფილისი: 1926.
7. ლამბერტი, არქანჯელო. *სამეგრელოს აღწერა*. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, თბილისი: 1938.
8. მაკალათია, სერგი. *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია*. თბილისი: საარი, 2006.
9. შარდენი, ჟან. *მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*. ფრანგულიდან თარგმნეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს მზია მაგლობლიშვილმა და გიორგი სანიკიძემ. თბილისი: 2018.
10. ჩიხლაძე, ნინო. *ქართული საერო პორტრეტის ისტორიიდან. (XV-XVII სს.)*. ნარკვევები X, 2005, 68-82.
11. ჩიხლაძე, ნინო. *ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამბეები*. თბილისი: 2017.
12. ჩოფიკაშვილი, ნინო. *ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს)*. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი: 1964.
13. ხუსკივაძე, ლეილა. *ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო (ნარკვევი XVII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან)*. თბილისი: მეცნიერება, 1974.
14. ჯავახიშვილი, ივანე. *ქართველი ერის ისტორია*. წ. IV, ნაწ. I, თბილისი: 1924.






ფრესკა კორცხელის ეკლესიიდან. Fresco from Kortskheli church



კორცხელის წინასწარმეტყველთა ხატი. The Kortskheli icon of prophets



ფრესკა ცაიშის ეკლესიიდან. Fresco from Tsaishi church



ფრესკა წალენჯიხის ეკლესიიდან. Fresco from Tsaledjikha church

## მირანდა ბაშელეიშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### რბილი ძალის როლი ირანის რეგიონულ პოლიტიკაში

#### ანოტაცია

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამ და ცივი ომის დასრულებამ, რომლის შედეგს ბიპოლარული საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგის შეცვლა წარმოადგენდა, ირანის ისლამური რესპუბლიკა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. მოიხსნა საბჭოთა კავშირისგან მომდინარე საფრთხე, თუმცა ქვეყნის საზღვრებთან ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში დამოუკიდებელი სახელმწიფოები წარმოიშვა, რომელთა მიმართაც თეირანმა თანდათანობით შეიმუშავა რეგიონული პოლიტიკა.

თანამედროვე ეპოქაში ირანის როლი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ძირითადად პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტებით განისაზღვრება და არა სამხედრო კომპონენტით. ასეთ პირობებში კი თეირანისთვის რეგიონული პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად „რბილი ძალის“ გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ირანის ისლამური რესპუბლიკის რეგიონულ პოლიტიკაში „რბილი ძალის“ მთავარ კომპონენტებს რელიგია - შიიტური ისლამი, სპარსული ენა და ირანული კულტურა წარმოადგენს.

#### თეორიული ჩარჩო

ტერმინი „რბილი ძალა“ პირველად გამოიყენა და დაამკვიდრა საერთაშორისო ურთიერთობებში ამერიკელმა მეცნიერმა, ნეოლიბერალიზმის სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ჯოზეფ ნაიმ 1990 წელს. ჯოზეფ ნაი თავის ნაშრომებში განიხილავს, რომ აშშ უძლიერესი სახელმწიფოა არ მხოლოდ სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებლობებით, არამედ „მოხიბვლის ძალით“, რაც იგივე „რბილ ძალას“ წარმოადგენს. მოგვიანებით ნაიმ „რბილი ძალის“ იდეა სრულყოფილ თეორიად აქცია. რბილი ძალა არის შესაძლებლობა სხვების საქციელზე ზეგავლენით მიიღო სასურველი შედეგი. „რბილი ძალა“ არის შესაძლებლობა საკუთარ მიზნებს მიაღწიო სხვების მოხიბვლით და არა იძულებით.<sup>1</sup>

„რბილი ძალა“ არ არის იგივე რაც გავლენა. გავლენა შესაძლოა მოპოვებულ იქნას „ხისტი ძალით“ ან გადახდით. რბილი ძალა კი არის მოხიბვლის უნარი, რომლის შედეგადაც ხშირად მიიღწევა თანხმობა. ჯოზეფ ნაის თეორიის მიხედვით, „რბილი ძალა“ შესაძლებელია განვიხილოთ „ხისტი ძალის“ დანამატად ან მის ალტერნატივად. საერთაშორისო პოლიტიკის ზოგიერთი აქტორი „რბილი ძალით“ აღწევს უფრო დიდი

<sup>1</sup> Joseph Samuel Nye Jr, Soft Power: Means to Success in World Politics, 1-4 (New York: Public Affairs, 2004).

მასშტაბის შედეგებს, ვიდრე მიაღწევდა „ხისტი ძალის“ გამოყენებით. ამა თუ იმ ქვეყნის „რბილი ძალა,“ ძირითადად ეყრდნობა სამ რესურსს: **კულტურას, პოლიტიკურ ღირებულებებს და საგარეო პოლიტიკას.**<sup>2</sup>

### ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ფორმირება

1979 წლის ირანის ისლამურმა რევოლუციამ ძირეული ცვლილებები გამოიწვია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. რევოლუციის შედეგად მონარქია ისლამურმა რესპუბლიკამ შეცვალა. ისლამურ რესპუბლიკაში მიღებულმა კონსტიტუციამ განსაზღვრა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაც. ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში **ისლამური იდეოლოგია, რაციონალიზმი და პრაგმატიზმი** მონაცვლეობით იკავებდა წამყვან როლს. ისლამური რევოლუციის წინამძღოლის იმამ ხომეინის პერიოდში (1979-1989) ირანის საგარეო პოლიტიკა ძირითადად შიიზმის იდეოლოგიას ეფუძნებოდა და „ისლამური რევოლუციის ექსპორტზე“ იყო ორიენტირებული. ისლამური რევოლუციის ლოზუნგმა „ არც დასავლეთი, არც აღმოსავლეთი - არამედ ისლამური რესპუბლიკა“, ირანი პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში მოაქცია. 1989 წელს იმამ ხომეინის გარდაცვალების შემდეგ საგარეო პოლიტიკაში იდეოლოგიის გაბატონებული როლი პრაგმატიზმმა შეცვალა.<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ ისლამური რესპუბლიკის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა **„მთელს მსოფლიოსთან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარების დამყარების“** ჩარჩოებში ვითარდება და ძირითადად, ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვას, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას და მრავალმხრივი განვითარების გრძელვადიან პერსპექტივას ეფუძნება.<sup>4</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრული საგარეო პოლიტიკის პრინციპები სხვადასხვა პრეზიდენტების პერიოდში გარკვეულ ინტერპრეტაციას განიცდიდა, რაც ძირითადად ქვეყნის მოთხოვნებს, რეგიონსა და საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს უკავშირდება.

ირანის ისლამური რესპუბლიკის რეგიონულ პოლიტიკაში „რბილი ძალის“ მთავარ კომპონენტებს **რელიგია - შიიტური ისლამი, სპარსული ენა და ირანული კულტურა წარმოადგენს.** „რელიგიური რბილი ძალის“ საკითხში ირანის მთავარი რეგიონული მეტოქე თურქეთია. ამის მაგალითია მათი ურთიერთობა რეგიონის ქვეყნებში არსებულ მუსლიმურ მოსახლეობასთან აზერბაიჯანსა და საქართველოში. ირანის მოსაზღვრე აზერბაიჯანის მოსახლეობის უმრავლესობა შიიტია, მაგრამ ის სეკულარული სახელმწიფოა და მხოლოდ რელიგიურ ელემენტზე დამყარებული „რბილი ძალის“ მეშვეობით ირანი თურქეთსა და სხვა რეგიონსგარეთა აქტორებს კონკურენციას ვერ გაუწევს, რომ არაფერი ვთქვათ ქრისტიანულ საქართველოსა და სომხეთზე. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ძალე გააცნობიერეს, რომ რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად და გასამყარებლად ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას კულტურული დომინირება

<sup>2</sup> Nye, Soft Power, 11-15

<sup>3</sup> Ali Masoud Ansari, “Iranian Foreign Policy under Khatami: Reform and Reintegration“, Iran&Eurasia (2000): 45, accessed October 14, 2021

<sup>4</sup> Mohamad Javad Zarif, “What Iran really wants”. Foreign Affairs 93 (2014):50, Accessed August 15, 2014.

წარმოადგენდა. ეს მიდგომა განსაკუთრებით განვითარდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, რაც გამოიხატა რეგიონის საერთო კულტურული მემკვიდრეობის პროპაგანდით.

ახალმა მიდგომამ გამოიწვია 80-იან წლების ბოლოს არსებული მკაცრი ისლამური იდეოლოგიური კურსის შესუსტება საგარეო პოლიტიკაში და კულტურული ცხოვრების ტრადიციული, ირანული ელემენტების წინ წამოწევა. „ირანის კულტურულ-პოლიტიკური დოქტრინა კავკასიის მიმართ გამოდის სუფთა ისლამური პოსტულატებიდან და ორიენტირებულია ირანული კულტურული ტრადიციების, სპარსული ენისა და პოეზიის პროპაგანდაზე. ირანი თავს მიიჩნევს, რომ ეს არის არა პროპაგანდა, არამედ დაბრუნება საკუთარ ფასეულობებთან. თეირანის პოზიციით, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან საერთო კულტურის, ისტორიის, ხელოვნების, ლიტერატურის არსებობა არის მყარი საფუძველი მათი ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისთვის.“<sup>5</sup>

### ირანი და საქართველო

მიუხედავად იმისა, რომ ირანს საქართველოსთან საერთო საზღვარი არ აქვს, ის ისტორიულად მეზობელ ქვეყნად მიიჩნევა. საქართველოსა და ირანის ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ირანი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო. 1992 წელს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა. აღსანიშნავია, რომ პირველი ხელშეკრულება საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ირანთან გაფორმდა. 1993 წლიდან თბილისში მოქმედებს ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო, ხოლო 2010 წელს ბათუმში ირანის გენერალური საკონსულო გაიხსნა.

ირანისთვის საქართველოსთან სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების განვითარებას ამ ეტაპზეც დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ხელს შეუწყობს რეგიონში ირანის პოზიციების გაუმჯობესებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თეირანმა საქართველოში რელიგიაზე დაფუძნებული რბილი ძალის ელემენტების გამოყენებით დაიწყო გავლენის მოპოვება. ამ მხრივ თეირანის სამიზნე ჯგუფი საქართველოში მცხოვრები მუსლიმები, განსაკუთრებით კი შიიტური ისლამის მიმდევრები გახდნენ.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოში 398 ათასი მუსლიმი ცხოვრობს. ისინი დასახლებულები არიან საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. ირანისთვის განსაკუთრებით საინტერესო რეგიონს ამ მხრივ წარმოადგენს ქვემო ქართლი. ქვემო ქართლში 182,3 ათასი მუსლიმი განსახლებული კომპაქტურად.<sup>6</sup> მათი უმრავლესობა ეთნიკური აზერბაიჯანელია და შიიტური ისლამის მიმდევარია. 90-იან წლებში ირანი ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა შიიტურ ჯგუფებს, ხდებოდა სტუდენტების სასწავლო პროგრამებში ჩასმა და ირანელი სასულიერო პირების მოვლინება რეგიონში. ამ რეგიონში მოქმედ აქტიურ ირანულ

<sup>5</sup> С.Б. Дружиловский, В. В. Хуторская, “Политика Турции и Ирана в Центральной Азии и Закавказье”, Иран и СНГ(2003):61

<sup>6</sup> არჩილ სიხარულიძე და სხვ., ისლამი საქართველოში: პოლიტიკა და ინტეგრაცია. (კავკასიური სახლი, 2016) 16-17, 24-25. წვდომა 14 ოქტომბერი, 2021 <http://regional-dialogue.com/islam-geo/>

ორგანიზაციებად სახელდება „ალჰ ალ-ბაით“ (Alh Al-Bayt) და ქ. ყუმის ალ-მუსტაფას საერთაშორისო უნივერსიტეტი. აღნიშნული უნივერსიტეტის წარმომადგენლობა გაიხსნა თბილისშიც. ირანის ისლამური რესპუბლიკა აფინანსებდა და რელიგიური ლიტერატურით უზრუნველყოფდა ადგილობრივ რელიგიურ სასწავლებლებს. ამასთანავე, ხდებოდა შიიტი მუსლიმების ირანში რელიგიური განათლების მისაღებად გაგზავნა.<sup>7</sup> ეს აქტივობები თეირანის მიერ საქართველოს ხელისუფლების ეთნიკური უმცირესობებისადმი საშინაო პოლიტიკაში ჩარევას წარმოადგენდა, თუმცა აღნიშნულ ფაქტებს ორი ქვეყნის ურთიერთობების გაუარესება არ გამოუწვევია. საქართველოს ხელისუფლებამ ირანის რელიგიურ პოლიტიკას ეკონომიკური და საგანმანათლებლო პროგრამები დაუპირისპირა, ქვემო ქართლის მოსახლეობის ინტეგრაციის მიზნით.

ქვემო ქართლში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, გამოიკვეთა რომ ადგილობრივ მუსლიმურ მოსახლეობაში ირანის გავლენის გაზრდას მნიშვნელოვნად უშლის ხელს მათი ლინგვისტური სიახლოვე აზერბაიჯანთან და თურქეთთან. ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს, რომ მათ შვილების გაგზავნა სასწავლებლად ურჩევნიათ აზერბაიჯანში ან თურქეთში, შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. რაც შეეხება რელიგიური განათლების მიღებას, ამ მხრივ უპირატესობა ირანს ენიჭება. თუმცა აღსანიშნავია ქვემო ქართლში მცხოვრები მუსლიმების რელიგიურობის შედარებით დაბალი ხარისხი, რაზეც დიდი გავლენა იქონია 70 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ცხოვრებამ.

საქართველოსთან ერთობლივი კულტურულ-ისტორიული წარსული ირანს აძლევს საშუალებას ურთიერთობების განვითარებისთვის გამოიყენოს სპარსული ენა-ლიტერატურა და ხელოვნება. ირანელი მკვლევარები ელაჰე ქოლაე და მოჰამად ჰოსეინი (თეირანის უნივერსიტეტი) თავის სტატიაში „ირანის ისლამური რესპუბლიკა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები“, ამას მოიხსენიებს საკმაოდ მართებულად „კულტურული და სამეცნიერო დიპლომატიის“ სახელით, რადგან ეს ურთიერთობები ძირითადად საელჩოსა და დიპლომატიური მისიების კულტურული განყოფილების მეშვეობით ხორციელდება. აქ საუბარია ძირითადად საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ირანისტიკის მიმართულების არსებობაზე, ასევე რამდენიმე სკოლაში სპარსული ენის სწავლებაზე. ირანელი მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ირანისა და საქართველოს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმიც არის გაფორმებული, თუმცა ურთიერთობების განვითარება სამეცნიერო და კულტურულ სფეროშიც საკმაოდ შეზღუდული რჩება. თუ არ ჩავთვლით ირანში სპარსული ენის შემსწავლელ მოკლევადიან კურსებზე ირანისტიკის მიმართულების სტუდენტთა მონაწილეობას, უმაღლესი განათლების საფეხურზე ირანში სულ რამდენიმე სტუდენტი იმყოფება (ირანის განათლების სამინისტროს მონაცემების მიხედვით). ამას განაპირობებს უმაღლესი სასწავლებლების სტრუქტურული შეუსაბამობაც - იყო შემთხვევები, როცა ირანის უნივერსიტეტის მიერ არ მოხდა ქართველის სტუდენტების საბუთების აღიარება, ან პირიქით. ამდენად, მიუხედავად არსებული პოტენციალისა,

---

<sup>7</sup> Mariam Gabedava, Koba Turmanidze, “Iran’s Soft power policy in Georgia”, in Religion and Soft Power in the South Caucasus, ed. by Ansgar Jodicke, (1<sup>st</sup> Edition, 2017), 1 0-11.

ურთიერთობები „კულტურული და სამეცნიერი დიპლომატიის“ ფარგლებშიც საკმაოდ შეზღუდულ დონეზე რჩება.<sup>8</sup>

### ირანი და აზერბაიჯანი

ირანის მოსაზღვრე აზერბაიჯანი რეგიონში ერთადერთი მუსლიმური ქვეყანაა. ამასთანავე აზერბაიჯანის მოსახლეობის უმეტესობა, დაახლოებით 85% შიიტი მუსლიმია, ხოლო 15% სუნიტი. მეზობელ აზერბაიჯანში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ირანის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ლინგვისტური იდენტიფიკაციისა თურქებთან, აზერბაიჯანელებს ძლიერი კულტურული და რელიგიური კავშირები აქვთ ირანთან. აზერბაიჯანში არსებული განწყობა კი ირანის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიების მიმართ ნაციონალისტურ ხასიათს ატარებს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შეიქმნა და მოქმედებდა „სამხრეთ აზერბაიჯანის განთავისუფლების ეროვნული კომიტეტი“. ქვეყანაში მოქმედი ზოგიერთი პოლიტიკური პარტიაც აღნიშნული კომიტეტის პოზიციას იზიარებდა. მაგალითად, „ეროვნული ფრონტის“ წევრთა მოთხოვნით „უნდა შეიქმნას ერთიანი აზერბაიჯანი, რომლის საზღვრები ყაზვინამდე აღწევს.“<sup>9</sup>

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ირანმა ბაქოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აქტიურად დაიწყო აზერბაიჯანთან ურთიერთობების განვითარება. 1992 წელს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა. ირანისთვის აზერბაიჯანში გავლენის მოპოვების ერთ-ერთ საშუალებად რელიგიაზე დაფუძნებული რბილი ძალის გამოყენება იქცა: 1990-იან წლებში ეს გამოიხატებოდა ისლამური რესპუბლიკის მიერ რელიგიური ჯგუფებისადმი ფინანსურ მხარდაჭერაში, სტუდენტებისა და სასულიერო პირების საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის ხელშეწყობაში, საქველმოქმედო პროექტების დაფინანსებაში.<sup>10</sup> ირანის ინიციატივით, მაუწყებლობდა ირანული ტელეარხი Sahar TV. აღსანიშნავია, რომ ირანი ცდილობდა ახალგაზრდა აზერბაიჯანელი შიიტი სასულიერო პირებისთვის ყუმში მიეცა განათლება და ეს იყო თეირანის მხრიდან გათვლა გრძელვადიანი სარგებლის მიღებაზე. ირანის აღნიშნულმა ტაქტიკამ გამოიწვია აზერბაიჯანის სეკულარული პოლიტიკური ელიტის შეშფოთება. შედეგად, შეიქმნა ნარატივი „საშიში ირანული გავლენის“ შესახებ და მომზადდა ნიადაგი კონკრეტული რელიგიური შიიტური ჯგუფებისა და უცხოელი რელიგიური მქადაგებლების წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების მიღებისთვის. 2001 წელს ხელისუფლებამ რელიგიაზე კონტროლის მიზნით დაარსა „რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი“.<sup>11</sup>

<sup>8</sup> Elaheh Koolaee and Mohammad H. Hoseein, *the Islamic Republic of Iran and the South Caucasus Republics*. *Iranian Studies* 43(2010): 393, Accessed January 24, 2020. doi:10.1080/00210861003693935

<sup>9</sup> С.Б. Дружиловский, „Политика Турции и Ирана в Центральной Азии и Закавказье“, 111

<sup>10</sup> Seumur Huseinly, „Soft power struggle in the South Caucasus: the case of Azerbaijan“, in *Eurasian Politics and Society*, ed Erman Akili et al. (Cambridge Scholars Publishing, 2017), 83.

<sup>11</sup> Ansgar, Jodicke „Religious soft power in the South Caucasus: The Influence of Iran and Turkey“ (2018), Accessed October 10, 2021.



ირანელი მკვლევარები მოჰამად ალი ბასირი, ფაჰიმე ხანსარი ფარდი (ისპაჰანის უნივერსიტეტი) აზერბაიჯანში ირანის რელიგიური პოლიტიკის წარუმატებლობას ახლო ისტორიული წარსულით ხსნიან. ისპაჰანის უნივერსიტეტის პროფესორი მიიჩნევს, რომ 1828 წელს ირანსა და რუსეთს შორის „თურქმანჩაის ზავის“ დადების შემდეგ მდ. არაქსის სასაზღვრო ხაზის სამხრეთით მცხოვრები შიიტი ეთნიკური აზერები ირანის შიიტი სასულიერო პირების კონტროლის ქვეშ დარჩნენ, ხოლო ჩრდილოეთით მცხოვრები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცნენ და დაშორდნენ მთავარ, ძირითად შიიტურ ქალაქებს, როგორცაა ყუმი, მაშჰადი და თავრიზი. იგივე ავტორი ხაზს უსვამს ასევე თურქეთის როლის მნიშვნელობას, აზერბაიჯანში ირანის რბილი ძალის პოლიტიკის მეტ-ნაკლებ წარუმატებლობაში.<sup>12</sup>

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის თურქეთი რეგიონში დასავლეთის მოკავშირე და თანამედროვე დემოკრატიული ქვეყანა იყო. აღნიშნული ფაქტორების გარდა, თურქეთის რბილი ძალის პოლიტიკის წარმატება აზერბაიჯანში, ირანულ ტაქტიკასთან შედარებით, საერთო ეთნიკურმა, კულტურულმა, ისტორიულმა და ენობრივმა ღირებულებებმა განაპირობა. ამასთანავე ირანისგან განსხვავებული იყო თურქეთის რელიგიური პოლიტიკაც. 2000-იან წლებში ფეთულულაჰ გიულენის მოძრაობისა და თურქეთის სახელმწიფო რელიგიურ საქმეთა დირექტორატის - „დიანეთის“ ფორმალური გაყოფა ანკარასთვის წარმატებული აღმოჩნდა. „დიანეთი“ ორიენტირებული იყო რეგიონში სუნიტური მუსლიმური ჯგუფების მხარდაჭერაზე, მეჩეთების მშენებლობაზე და თანამშრომლობა ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიურ დეპარტამენტთან. „გიულენის მოძრაობა“ უფრო ინტეგრირებული იყო საზოგადოებაში და უფრო კარგად ესმოდათ, როგორ გაესვათ ხაზი საკუთარი თურქული ფესვებისთვის სხვა ქვეყანაში. რეგიონის ქვეყნებში არსებული „გიულენის მოძრაობის“ დაარსებული სკოლები ერთნაირად მიმზიდველი იყო ადგილობრივი თუ თურქი დიპლომატებისა და ბიზნესმენებისთვის. ის, რომ „გიულენის მოძრაობა“ და თურქეთის ხელისუფლება ორი სხვადასხვა ინსტიტუტი იყო, ანკარას აძლევდა შესაძლებლობას დაებალანსებინა რელიგიური რბილი ძალა საკუთარი პოლიტიკური ინტერესებით.<sup>13</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ირანის რბილი ძალის წარუმატებლობა აზერბაიჯანში ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გარდა, ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურმა დამაბულობამაც განაპირობა, რაც თავის მხრივ, აზერბაიჯანის მიერ ირანთან დაპირისპირებულ დასავლეთთან დაახლოებამ და განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში ისრაელთან სამხედრო ინდუსტრიის სფეროში განვითარებულმა ურთიერთობებმა გამოიწვია. ირანისა და აზერბაიჯანის ურთიერთობები პერიოდულად დამაბულია, თუმცა ორივე მხრიდან პოლიტიკოსთა მიერ ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ გამოთქმულ მუქარებს არ გასცდენია. ოფიციალური თეირანი ღიად აცხადებს, რომ მიუღებელია მის საზღვრებთან მოწინააღმდეგე ქვეყნის, ისრაელის წარმომადგენელთა ყოფნა. ამაში კი თეირანი ბაქოს დებს ბრალს. ბოლო

<sup>12</sup> Mohamad Ali Basiri and Fahime Khansari Fard, “Tabin-e jaigah-e diplomasi-e farhangi-e jomhuri-e eslami-e Iran dar ghafghaz-e jonubi”, Political Science Quarterly 35 (2017):99, accessed October 15, 2021.

<sup>13</sup> Ansgar, Jodicke “Religios soft power in the South Caucasus: The Influence of Iran and Turkey” (2018), Accessed October 10, 2021.

პერიოდში თეირანსა და ბაქოს შორის ურთიერთობების დაძაბვა საზღვართან ახლოს ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის სახმელეთო ძალების მიერ წვრთნების ჩატარებამ გამოიწვია. დიდი ალბათობით საპასუხოდ, ბაქოში ირანის სულიერი ლიდერის წარმომადგენლობა და მასთან არსებული ჰოსეინიე დაიხურა. ამის ოფიციალურ მიზეზად კი კოვიდ-19-ის გავრცელების გამო ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუარესება დასახელდა.<sup>14</sup> რამდენიმე დღიანი დაძაბულობის შემდეგ, ირანისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების დიპლომატიური გზებით გადაწყვეტაზე.<sup>15</sup>

სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული რეალობიდან გამომდინარე, ირანსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების პერიოდული დაძაბვა კვლავ მოსალოდნელია. განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ამის გამომწვევი მიზეზები კომპლექსურია, ცდება ორ ქვეყანას შორის არსებულ პრობლემატურ საკითხებს და რეგიონულ თუ რეგიონსგარეთა საერთაშორისო აქტორების ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენს. ასეთ პირობებში, კი ირანს რბილი ძალის წარმატებით გამოყენებისთვის აზერბაიჯანში ნაკლები სივრცე რჩება.

### ირანი და სომხეთი

სომხეთი რეგიონში ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანაა, რომელსაც ირანთან საერთო საზღვარი აქვს. ირანსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წელს დამყარდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები გეოპოლიტიკური ინტერესების ფარგლებში ვითარდება. რაც შეეხება ირანის მიერ რბილი ძალის გამოყენებას, სომხეთთან მიმართებაში, რეგიონის დანარჩენ ორ ქვეყანასთან შედარებით, განსხვავებული ვითარებაა.

სომხეთში მუსლიმი მოსახლეობის მცირერიცხოვნების გამო (დაახლოებით 1000 ადამიანი) ირანს „რელიგიური რბილი ძალის“ ფარგლებში აქტიური მოქმედება არ უწევს. თეირანი ძირითადად ორიენტირებულია კვლავ კულტურისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთობების განვითარებაზე. 2012 წელს სომხეთის კულტურის მინისტრმა აღნიშნა, რომ ერთობლივი კულტურული პროექტების, განსაკუთრებით სალიტერატურო თარგმანების სფეროში განხორციელების შედეგად, ირანსა და სომხეთს შორის „სომხეთ-ირანის სალიტერატურო ხიდი“ შეიქმნა. ამან კი თავის მხრივ, ხელი შეუწყო ორმხრივი ვიზიტების და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.<sup>16</sup>

ირან-სომხეთის ურთიერთობების აღწერისას ცალკე უნდა აღინიშნოს ირანში მცხოვრები ეთნიკური სომხები. ირანში დაახლოებით 80,000 ეთნიკური სომეხი

<sup>14</sup> “Iran’s Supreme Leader Khamenei’s Office in Azerbaijani capital closed due to pandemic”, accessed October 15,2021

<https://www.aa.com.tr/en/middle-east/iran-s-supreme-leader-khameneis-office-in-azerbaijani-capital-closed-due-to-pandemic/2383913>

<sup>15</sup> “Azerbaijani, Iranian top diplomats try to turn down heat”, accessed October 15,2021

<https://eurasianet.org/azerbaijani-iranian-top-diplomats-try-to-turn-down-heat>

<sup>16</sup> “The current level of the Armenian-Iranian cultural relations is highly appreciated”. Accessed October 12,2021

<https://armenpress.am/eng/news/688703/hay-iranakan-mshakutayin-haraberutyunneri-nerka-makardaky.html>

ცხოვრობს. მათ ირანის საკანონმდებლო ორგანოში, განსხვავებით სხვა რელიგიური უმცირესობებისგან, ორი წარმომადგენელი ჰყავთ. სომხური მოსახლეობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს და აქტიურად მონაწილეობს ირან-სომხეთის ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობების განვითარებაში. მაგ., 2007 წელს დაახლოებით 3000 ირანელი სტუდენტი იყო ერევანში, მაშინ როცა 10 სომეხი სტუდენტი სწავლობდა ირანის უნივერსიტეტებში. წელიწადში დაახლოებით 50-60 000 ათასი ირანელი ჩადის სომხეთში. მიუხედავად იმისა რომ ირანს არ უღიარებია „სომეხთა გენოციდი“, ყოველი წლის 24 აპრილს ირანში მცხოვრები სომეხები ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ უფლებამოსილნი არიან აღნიშნონ „1915 წლის სომეხთა გენოციდის“ დღე. ამასთანავე, ისპაჰანში სომხური მუზეუმის ნაწილი ეძღვნება გენოციდის ხსოვნას.<sup>17</sup>

დღეისათვის ირან-სომხეთის ურთიერთობა შეიძლება დახასიათდეს როგორც უფრო მჭიდრო, ვიდრე სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ორ რესპუბლიკასთან. ამის უმთავრესს საფუძველს კი წარმოადგენს მათი სტრატეგიული თანამშრომლობა და საერთო ინტერესები.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში პოზიციების გამყარების და გავლენის გაზრდის შესაძლებლობა თეირანმა ვერ გამოიყენა. მიუხედავად იმ პოტენციალისა, რასაც ირანს რეგიონთან საერთო ისტორიული და კულტურული წარსული აძლევდა. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ირანის პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაცია, რაც 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ დასავლეთთან და კერძოდ აშშ-ის დაწყებული დაპირისპირების შედეგია. არსებული ვითარების შეცვლა და ირანის პოლიტიკური და ეკონომიკური დეიზოლაცია დასავლეთთან ირანის დამაბული ურთიერთობების გამომწვევი საკითხების, როგორცაა „ბირთვული პროგრამა“, „სარაკეტო პროგრამა“, ირანის რეგიონული პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში, მოგვარების გარეშე ნაკლებად მოსალოდნელია.

სწორედ დასავლეთის გავლენის დასაბალანსებლად ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლებების წარმომადგენლები წლების განმავლობაში აღიარებდნენ და ეგუებოდნენ რუსეთის გავლენის ზრდას და პოზიციების გამყარებას სამხრეთ კავკასიაში. 2020 წელს „მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენების შემდეგ რეგიონში არსებული სტატუს კვო მეტ-ნაკლებად დაირღვა, რაც ირანისთვის ხელსაყრელ ვითარებას არ ქმნის. ამან შესაძლოა თეირანს გააქტიურებისა და რეგიონულ პოლიტიკაში ცვლილებების შეცვლისკენ უბიძგოს. ამ მხრივ კი თეირანისთვის რბილი ძალის გამოყენებით საკუთარი პოზიციების გამყარებაზე მუშაობა კვლავ ერთ-ერთ ალტერნატივად იქნება განხილული, ვიდრე ხისტი ძალის გამოყენება.

---

<sup>17</sup> Clement Therme, “The Irano-Armenian alliance” accessed October 13, 2021

## **ROLE OF SOFT POWER IN IRAN'S REGIONAL POLICY**

Nowadays Iran's role in the South Caucasus is determined by the political and economic aspects and not by the military component. Therefore, using "soft power" to achieve regional policy goals is important for Tehran.

Joseph Nye, an American scholar and one of the founders of the school of Neoliberalism used first the term "soft power". Joseph Nye argues in his works that the United States is the strongest state, not only in military and economic capabilities, but also in the "power of attraction", which is the same "soft power". Joseph Nye later formulated the idea of "soft power" as a theory. Soft Power is the ability to influence the behavior of others in order to get the outcomes one wants. It is the ability to accomplish one's goals through attraction rather than through coercion or payment.

Soft power is not merely the same as influence. After all, influence can also rest on the hard power of threats or payments. And soft power is more than just persuasions or the ability to move people by argument, though that is an important part of it. It is also the ability to attract, and attraction often leads to acquiescence. The soft power of a country rests primarily on three resources: its culture (in areas where it is attractive to others), its political values (when it lives up to them at home and abroad) and its foreign policies (when they are seen as legitimate and having moral authority).<sup>1</sup>

In Iran's "soft power" policy religion is one of the main components. In this regard, Iran's main rival in the region is Turkey. Both countries are trying to gain influence over the region's Muslim population based on "religious soft power". In the region only population of Azerbaijan are mainly Shia Muslims. But Azerbaijan is a secular country, therefore only with its "religious soft power" Iran will not be able to compete with Turkey. This approach applies to Georgia and Armenia too, where the majority of the population is Christian. In the 90s of the 20<sup>th</sup> century in the Islamic Republic of Iran was realized that cultural dominance is one of the best ways to gain and strengthen influence in the South Caucasus. After that Iran intensified the regions common cultural heritage propaganda.

The new approach weakened the tough Islamic ideological course in the foreign policy, which was dominant in the late 1980s. Tehran began to promote traditional, Iranian elements of cultural life. Iran's cultural-political doctrine towards the Caucasus is free from Islamic postulates and is focused on the propaganda of Iranian cultural traditions, Persian language and poetry. Iran declares itself to be part of this common culture and believes that it is not propaganda but return to its own values. According to Tehran's position, the existence of common culture, history, art and literature with the countries of Central Asia and the South Caucasus is an important component for the development of their bilateral relationships.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> Nye, *Soft Power*, 11-15

<sup>2</sup> С.Б. Дружиловский, В. В. Хуторская, "Политика Турции и Ирана в Центральной Азии и Закавказье", *Иран и СНГ*(2003):61

## დამოწმებული ლიტერატურა - References

1. Ansari, Ali Masoud. “Iranian Foreign Policy under Khatami: Reform and Reintegration“. *Iran & Eurasia* (2000): 35-58. Accessed October 14, 2021.
2. Basiri Mohamad Ali and Fard Fahime Khansari. “Tabin-e jaigah-e diplomasi-e farhangie jomhuri-e eslami-e Iran dar ghafghaz-e jonubi”, *Political Science Quarterly* 35 (2017): 74-104. accessed October 15, 2021
3. Gabedava, Mariam & Turmanidze, Koba. “Iran’s Soft power policy in Georgia”, in *Religion and Soft Power in the South Caucasus*, ed by Ansar Jodicic (2017). 3-21. Accessed October 13, 2021
4. Huseinly, Seumur. “Soft power struggle in the South Caucasus: the case of Azerbaijan”, in *Eurasian Politics and Society*, ed Erman Akili et al. 77-91. Cambridge Scholars Publishing, 2017.
5. Jodicic, Ansgar. “Religious soft power in the South Caucasus: The Influence of Iran and Turkey” (2018), Accessed October 10, 2021
6. Koolae, Elaheh, and Hafezin Hosein, Mohammad. “The Islamic Republic of Iran and the South Caucasus Republics”. *Iranian Studies*, 43 (2010): 391-409. Accessed January 24, 2020. doi:10.1080/00210861003693935
7. Nye, Joseph Samuel Jr. *Soft Power: Means to Success in World Politics*. New York: Public Affairs, 2004.
8. Zarif, Mohamad Javad. “What Iran really wants”. *Foreign Affairs* 93 (2014): 49-54 55-59. Accessed August 15, 2014.
9. სიხარულძე, არჩილ, ურუშაძე, მაია, ხმალაძე, ჯიჟინაძე, რაულ. ისლამი საქართველოში: პოლიტიკა და ინტეგრაცია, (კავკასიური სახლი, 2016). წვდომა 14 ოქტომბერი, 2021 <http://regional-dialogue.com/islam-geo/>
10. Дружиловский, С.Б. Хуторская В.В, “Политика Турции и Ирана в Центральной Азии и Закавказье.” *Иран и СНГ* (2003): 57-106.
11. “Iran’s Supreme Leader Khamenei’s Office in Azerbaijani capital closed due to pandemic”, accessed October 15, 2021 <https://www.aa.com.tr/en/middle-east/iran-s-supreme-leader-khameneis-office-in-azerbaijani-capital-closed-due-to-pandemic/2383913>
12. “Azerbaijani, Iranian top diplomats try to turn down heat”, accessed October 15, 2021 <https://eurasianet.org/azerbaijani-iranian-top-diplomats-try-to-turn-down-heat>
13. “The current level of the Armenian-Iranian cultural relations is highly appreciated”. Accessed October 12, 2021 <https://armenpress.am/eng/news/688703/hay-iranakan-mshakutayin-haraberutyunneri-nerka-makardaky.html>
14. Therme, Clement. “The Irano-Armenian alliance”, accessed October 13, 2021 [https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/Iran\\_alliance\\_russoarmenienne\\_Therme.pdf](https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/Iran_alliance_russoarmenienne_Therme.pdf)

## US-TURKEY RELATIONS: LONG-TERM STRUGGLE

### Annotation

The relationship between Turkey and the United States traditionally has been described as a strategic partnership backed by NATO. The nature of the US-Turkey relationship mostly has changed since the conclusion of the Cold War and the emergence of a more multipolar system. Washington's main focus is directed to Competitive rivalry between great powers. The long-term strategic goal of the Biden administration is to resist China's and Russia's growing international aggressiveness and influence. In general, the perspectives of Washington and Ankara on foreign issues are diverging. At a time when the United States views China as a systemic rival and relations with Russia are expected to deteriorate, Turkey's ruling coalition — which includes President Recep Tayyip Erdogan, the far-right Nationalist Movement Party (MHP), and Eurasianist groups and figures (who argue that Turkey should align more closely with Russia and China) — appears to believe that today's international system is not as Western-centric as it once was (if not post-Western). Many topics have recently caused friction between the US administration and Turkey. The Iraq challenge, then the YPG issue, and finally the July 15 coup attempt, Fethullah Gülen's non-extradition, and rights and freedoms issues. There is insufficient room for progress on the major points of conflict in US-Turkey relations at this time. On the S-400 systems, a mutually acceptable formula is unlikely to be established anytime soon, and this problem is destined to become a long-term issue in the partnership.

**Key words:** *Turkey, United States, S-400, NATO*

The relationship between Turkey and the United States traditionally has been described as a strategic partnership backed by NATO. This definition is no longer valid and does not reflect the changing reality of the relationship. Unlike in previous eras, Washington and Ankara no longer share overarching threats or interests that bind them together.<sup>1</sup>

The Biden administration took over a relationship between the United States and Turkey that has been strained for almost a decade as tensions have risen and confidence has eroded. The litany of serious policy disagreements between Washington and Ankara is long and well-known, revolving primarily around Turkey's autocratic lurch under President Erdogan, President Barack Obama's initial refusal to create safe zones in Syria

---

<sup>1</sup> Steven A. Cook, *Neither Friend nor Foe: The Future of U.S.-Turkey Relation* (Council on Foreign Relations, 2018) 6

and subsequent decision to support the predominantly Kurdish People's Protection Units (YPG) against the Islamic State group, and Ankara's decision to purchase the Russian S-400 air defense system, among other issues.<sup>2</sup>

Turkey serves as a crossroads between the Middle East and Europe. During the Cold War, its favorable geography allowed for greater penetration into Soviet territories. Together with Greece it was seen as a stronghold against communism and a protector of NATO's southern borders. It is located amid a hotspot of current tensions, with Syria, Iraq, and Iran as neighbors. For centuries, the Turkish straits, which connect the Black Sea to the Aegean and Mediterranean seas, have been crucial in world politics. NATO and the US rely heavily on Turkish air bases and airspace for strategic and tactical needs.<sup>3</sup>

ტომობრივი სისტემის ევოლუციასთან დაკავშირებით ჯ. ე. პეტერსონი გამოყოფს სპარსეთის ყურის ქვეყნებში პოლიტიკური განვითარების 3 ფაზას: (1) გარკვეული

<sup>1</sup> Franz Rosenthal, trans., *The Muqaddimah* -Abd Ar Rahman bin Muhammad ibn Khaldun ([https://asadullahali.files.wordpress.com/2012/10/ibn\\_khaldun-al\\_muqaddimah.pdf](https://asadullahali.files.wordpress.com/2012/10/ibn_khaldun-al_muqaddimah.pdf)), 851.

<sup>2</sup> Maryam Al-Kuwari, “Tribal Revival in the Gulf: A Trojan Horse or a Threat to National Identities?” (LSE Middle East Centre, August, 2018)

<https://blogs.lse.ac.uk/mec/2018/08/31/tribal-revival-in-the-gulf-a-trojan-horse-or-a-threat-to-national-identities/>

<sup>3</sup> Steffen Hertog, „The Political Decline and Social Rise of Tribal Identity in the GCC“ (LSE Middle East Centre, 2018) accessed October 1, 2021.

<https://blogs.lse.ac.uk/mec/2018/07/25/the-political-decline-and-social-rise-of-tribal-identity-in-the-gcc/?fbclid=IwAR1alCOFxpPkUGMq4wpTXgMbE-USwQrZgfp05j1hF415aCIL5qB-j5v3UI-w>

<sup>4</sup> J.E. Peterson. “Tribes and Politics in Eastern Arabia.” *Middle East Journal*, Vol. 31, No. 3 (Summer 1977), pp. 297-312. N.B. The text in this online edition has not been updated from the originally published version

[http://www.jepeterson.net/sitebuildercontent/sitebuilderfiles/Tribes\\_and\\_Politics\\_in\\_Eastern\\_Arabia.pdf](http://www.jepeterson.net/sitebuildercontent/sitebuilderfiles/Tribes_and_Politics_in_Eastern_Arabia.pdf)

ძლევამოსილი ტომის პოლიტიკური აღზევება და სანაპირო არეალებში (მანამა, დოჰა, აბუ-დაბი, დუბაი და ა.შ.) დასახლება; (2) ამ ტომების შეიხების ავტოკრატიული ძალაუფლების მოპოვება და (3) კონსტიტუციის ჩარჩოებში ტერიტორიული სახელმწიფოების ჩამოყალიბება.<sup>5</sup>

ზოგადად „ტრაიბალიზმის“, როგორც საზოგადოებრივი მოწყობის ხარისხი იცვლებოდა რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. 1990-იან წლებიდან დაიწყო „ტრაიბალიზმის“ კვლავ გაძლიერება, რაც დღემდე შენარჩუნებულია. აღნიშნული განაპირობა რამდენიმე მიზეზმა, მათ შორის სპარსეთის ყურის პირველმა კრიზისმა და რეგიონის არაბული ქვეყნების დაპირისპირებამ ერთგვარად. ეს ქვეყნები დარწმუნებული იყვნენ, რომ ტომები შეძლებდნენ ქვეყნის დაცვას საგარეო საფრთხეებისგანაც. ამ მიზეზით, ტომობრივი საზოგადოების გაძლიერება წახალისებული იყო უშუალოდ ხელისუფლებისგან, ხოლო შედარებით მშვიდობიან პერიოდში ნაკლები ყურადღება ეთმობა.

ან ლონგვა „ტრაიბალიზმს“ მიიჩნევს ნაციონალიზმის ერთ-ერთ ფორმად, რომელიც არსებობდა თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე. მისი შეხედულებით, როდესაც სახელმწიფო წარმოიშვა და შეიძინა ფუნქციონირებისთვის საჭირო თანამედროვე შტრიხები, ავტომატურად ტომებმა და მათმა მნიშვნელობამ გადაინაცვლა უკანა პლანზე. 1990-იანი წლებიდან ტომის მნიშვნელობის გაძლიერებას ავტორი მიიჩნევს ნაციონალიზმისკენ დაბრუნების ერთგვარ ფორმად, როდესაც გლობალიზაციის ზეწოლის გამო სახელმწიფოზე დაფუძნებული ნაციონალიზმი სუსტდება.<sup>6</sup>

მეჰრან კამრავა კი „ტრაიბალიზმის“ აღორძინებას წარუმატებელი ან არარსებული პოლიტიკური რეფორმების შედეგად თვლის, სადაც ტომი აძლევს მოქალაქეს ერთადერთ საშუალებას, იყოს პოლიტიკურად აქტიური.<sup>7</sup>

წინამდებარე სტატიის მიზანია, კატარის მაგალითზე აჩვენოს თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ტომს პოლიტიკური პროცესის წარმოებისას სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებში. კვლევაში წარმოდგენილია თანამედროვე კატარის ყველაზე გავლენიანი საგვარეულო კლანები, რომლის შესახებაც განსაკუთრებულ ცნობებს იძლევა იუსენოს „გზამკვლევი კატარის ყველაზე ძლიერი ოჯახების შესახებ“.<sup>8</sup>

სპარსეთის ყურის თანამედროვე სახელმწიფოებისთვის ტომები ერთი მხრივ, წარმოადგენენ მმართველი ხელისუფლების დასაყრდენს, მათი ერთგულებისა და მხარდაჭერის გამო, თუმცა მეორე მხრივ, შესაძლოა იქცნენ პოტენციურ საფრთხედ, ვინაიდან ტომობრივი იდენტობა რეგიონში არაერთი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კონფლიქტის საწყისი გამხდარა. როგორც შაფექ ლაბრა მიიჩნევს, როდესაც სახელმწიფო სუსტდება, შესაძლოა სწორედ ტომობრივი იდენტობა გახდეს

<sup>5</sup> Peterson. "Tribes Arabia," 297-312.

<sup>6</sup> Anh Longva. „Nationalism in Pre-Modern Guise: The Discourse on Hadhar and Badu in Kuwait“ (International Journal of Middle East Studies, Vol. 38, No. 2 (May, 2006), pp. 171-187 (17 pages). Published by Cambridge University Press.

<https://www.jstor.org/stable/3879969?socuid=8f6a0468-c22f-41f0-9962-fe0a8ac1fd46&socplat=email>

<sup>7</sup> Mehran Kamrava. "Qatar Small State Big Politics" (Cornell University Press, London, 2013), 79.

<sup>8</sup> Jure Snoj, "A guide to the most powerful families in Qatar" (Priya Dsouza Communications, February, 2017) <http://priyadsouza.com/powerful-families-qatar-al-thani/>



საფრთხე მმართველი ელიტისთვის.<sup>9</sup> თანამედროვე კატარის შემთხვევაშიც ტომები/გავლენიანი საგვარეულო ოჯახები წარმოადგენენ ალ-თანების მმართველი ოჯახის მთავარ საყრდენს ხელისუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნებაში და ამავე დროს ტომები და თავად მმართველი გვარის შიგნით წევრები არაერთხელ ყოფილან გამოყენებულნი გარე აქტორების მიერ ხელისუფლების შესაცვლელად, თუმცა წარუმატებლად. ყველაზე გახმაურებულ საკითხს წარმოადგენს მმართველი ალ-თანებისა და კატარის რიცხოვრივად უმსხვილესი ტომის ალ-მურას ცალკეული შტოების დაპირისპირება. ამ ორი კლანის ურთიერთობის ისტორიის შესახებ ამომწურავად მიმოხილვას აკეთებს ალი ჰადი ალშავი თავის ნაშრომში „ალ-მურას ტომი კატარში: პოლიტიკური გავლენა“.<sup>10</sup>

## მეთოდოლოგია

საკითხის კვლევისთვის შერჩეული იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდები. „ტრაიბალიზმის“, როგორც პოლიტიკური ელემენტის მნიშვნელობის ცვლილების ჩვენები-სთვის გამოყენებულია კონტენტ ანალიზი და წარმოდგენილია მოკლე ისტორიული მიმოხილვა კატარის სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ტომების როლის შესახებ.

სიღრმისეული ანალიზის მიზნით გამოყენებულია ასევე შემთხვევის შესწავლის მეთოდი და შერჩეულია კატარის მაგალითი. ნაშრომში განხილულია დღეს კატარში მცხოვრები და მოღვაწე ყველა ძირითადი ტომი/გავლენიანი საგვარეულო ოჯახი. ნაჩვენებია სახელმწიფოსა და გავლენიან ოჯახებს შორის თანამშრომლობა.

საკითხის უკეთ გასაგებად, კატარში სახელმწიფოსა და ტომებს შორის ურთიერთობა ასევე განხილულია თეორიულ ჭრილში.

სტატია ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემების ანალიზს. გამოყენებულია ძირითადად საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო კვლევები და აკადემიური ნაშრომები, ასევე ღია წყაროების მეშვეობით მიღებული მასალები.

## ისტორიული ექსკურსი

კატარელი ხალხი არის უძველესი არაბული ტომების შთამომავალი. ქვეყნის მოსახლეობა ჩამოყალიბდა მეზობელი არეალიდან (ძირითადად, ნაჯდი, ალჰასა, ბაჰრეინი და ომანი) ემიგრირებული ტომებიდან. დღემდე კატარში წარმოდგენილია არაერთი ტომი: ალ-მურა, ალ-ჰავჯერ, ბანუ თამიმი, ალ-მუნასირ, ალ-დვასირი, ქაჰთანი. გარდა ამისა კატარში ცხოვრობენ სხვა მსხვილი ტომების ცალკეული ოჯახებიც, მაგალითად, ალ-ნაიმი, აბუ ქუვარა, ალ-მუიჰანდა, ალ-მურახი, ალ-ანსარი, ალ-კუბისი, ალ-მადჰიდი, ალ-ქუბანი, ალ-სულეტი, ალ-მულკი და ა.შ. ტომთა გეოგრაფიული განსახლების, არაბულ ნახევარკუნძულთან სიახლოვისა და საერთო მემკვიდრეობის გათვალისწინებით, მათ შორის დღემდე ძლიერია კულტურული კავშირები და მსგავსებები. როგორც წესი, ტომები იბრძვიან სოციალური და

<sup>9</sup> Shafeeq Ghabra “Kuwait: At the Crossroads of Change of Political Stagnation”, May 20, 2014. Middle east Institute. <https://www.mei.edu/publications/kuwait-crossroads-change-or-political-stagnation>

<sup>10</sup> Ali A. Hadi Alshawi, “The Al-Murrah Tribe in Qatar: Political Impact” (Master’s Theses, Western Michigan University, 1994).

პოლიტიკური სტატუსისთვის. ხშირია ცალკეული ტომების ერთმანეთთან დაპირისპირებაც უპირატესი სტატუსის მოპოვებისთვის.<sup>11</sup>

კატარის მმართველი ალ-თანის ოჯახი არის ბანუ თამიმის ტომის შთამომავალი. უძველესი და ცნობილი არაბული ტომი ათვლას მე-7 საუკუნიდან იწყებს. ალ-თანის გვარი არაბეთის ნახევარკუნძულის ცენტრალური ნაწილიდან - ნაჯდიდან - მე-18 საუკუნეში ემიგრირდა კატარის ნახევარკუნძულზე. კატარში ჩასვლამდე გვარი ჯერ სოფელ ჯაბრინში გაჩერდა, რომელიც მდებარეობს ქ. ალ-ჰასას სამხრეთ-დასავლეთით, საიდანაც ტომი შემდეგ ალ-მურას ტომის ტერიტორიაზე ცხოვრობდა გარკვეული პერიოდი. სწორედ აქედან იწყება ალ-მურასა და ალ-თანების ურთიერთობა. კატარში ალ-თანები თავდაპირველად დასახლდნენ ქვეყნის სამხრეთით მდებარე ქ. სიკაკში. მოგვიანებით კი გადავიდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთით ზუბარასა და ალ-რუვაისში, ხოლო დოჰაში გადავიდნენ მე-19 საუკუნის შუა ხანებში.<sup>12</sup>

ალ-თანების კატარში დასახლების პერიოდში ვითარება არასტაბილური იყო. სხვადასხვა ტომებს ერთმანეთთან დაპირისპირება ჰქონდათ დომინანტობისთვის. განსაკუთრებული წინააღმდეგობა ალ-თანებს ალ-ხალიფას ტომის (რომელიც მართავდა ბაჰრეინს) და ალ-მოსალემის ტომისგან შეხვდათ, თუმცა მოკავშირეების დახმარებით შეძლეს უპირატესობის მოპოვება. ერთ-ერთი კლანი, რომელიც ალ-თანებს ეხმარებოდა, ალ-მურას ტომი იყო.

შეიხი ჯასიმ იბნ მუჰამედ ალ-თანი იყო პირველი, ვინც დაიწყო კატარის ახალი სახელმწიფოს მშენებლობა 1879 წლიდან. მან გააერთიანა ურთიერთდაპირისპირებული არაბული ტომები და ჩამოაყალიბა კატარის სამთავრო.<sup>13</sup> ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შეიხმა დაიწყო შეთანხმებების/კონტრაქტების გაფორმება სხვა ქვეყნებთან, რომელთაგან პირველები იყვნენ სუდანი და თურქეთი. თუმცა, მოგვიანებით მათთან თანამშრომლობას ამჯობინა ბრიტანეთის მთავრობასთან კავშირი, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შემდგომ კატარის პოლიტიკურ ისტორიაში.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში კატარის შიდაპოლიტიკური ვითარება უკიდურესად არასტაბილური იყო. მოსახლეობის ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავდა ალ-თანების მმართველობის მიმართ, ხოლო მომთაბარე ტომები კი ამჯობინებდნენ საუდიანების მმართველობას. შექმნილ ვითარებაში 1916 წელს შეიხმა აბდულა ბინ ჯასიმ ალ-თანიმ დიდ ბრიტანეთთან გააფორმა დაცვის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც 1916-1971 წლებში კატარი გადავიდა დიდი ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ.<sup>14</sup> ადგილობრივ დონეზე კატარს ჰქონდა ავტონომიური მმართველობა ტრადიციული ტომობრივი საზოგადოებით, ბრიტანელები კი მეტწილად განსაზღვრავდნენ მის საგარეო საქმეებს.

კატარში ტომობრივი მოწყობის მიმართ სახელმწიფოს მიდგომას ახასიათებს პერიოდული ცვალებადობა, რაც დიდწილად დამოკიდებული იყოს ქვეყნის

<sup>11</sup> Alshawi, “The Al-Murrah Tribe“.

<sup>12</sup> „Line of succession: The Al Thani rule in Qatar“, last modified June 24, 2013, <https://gulfnews.com/world/gulf/qatar/line-of-succession-the-al-thani-rule-in-qatar-1.1201210>

<sup>13</sup> ნანი გელოვანი, „თანამედროვე არაბული ქვეყნები“ (უნივერსალი, 2008), 170.

<sup>14</sup> გელოვანი, არაბული ქვეყნები, 170.

ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოებებზე. ზოგადად, ამ მიმართულებით კატარის ისტორია შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ეტაპად: ნავთობის აღმოჩენამდე და მისი შემდგომი პერიოდი.<sup>15</sup>

ნავთობის აღმოჩენამდე კატარში ეკონომიკის ორი მთავარი დარგი იყო მარგალიტის მოპოვება და მეცხოველეობა. შესაბამისად, ტომები და მუშახელიც იყოფოდა ორ კატეგორიად: ქალაქის მაცხოვრებლები („ჰადრ“-ი) და მომთაბარეები („ბადუ“/„ბედუინები“). როგორც წესი, ქალაქში დასახლებულ/დამკვიდრებულ ტომებს უფრო მეტად ძლიერი ცენტრალიზებული ორგანიზაციის სახე ჰქონდა ვიდრე მომთაბარეებს, რომლებიც ძირითადად შედგებოდა დამოუკიდებელი ოჯახებისა და ოჯახური კლანებისგან. თუმცა, გვხვდებოდა შერეული ტიპის ტომებიც.<sup>16</sup> ქალაქის მაცხოვრებლები ძირითადად მარგალიტის მოპოვებითა და ვაჭრობით იყვნენ დაკავებულები, რაც მათ ეკონომიკურ უპირატესობას ანიჭებდა, ხოლო ბედუინები მისდევდნენ მეცხოველეობას.

კატარის შემთხვევაში სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი მიმდინარეობდა რეგიონის დანარჩენი ქვეყნებისგან ნაწილობრივ განსხვავებულ გარემოებებში. საუდის არაბეთის, ქუვეითის ან ბაჰრეინისგან განსხვავებით, კატარში ადვილად ხელმი-საწვდომი პორტების სიმწირემ და მარგალიტის მრეწველობის განუვითარებლობამ განაპირობა ვაჭართა შედარებით სუსტი კლასის ჩამოყალიბება, ხოლო ძლიერი ურბანული ცენტრების არარსებობამ შეაფერხა მტკიცე რელიგიური ისტებლიშმენტის ზრდა. ხსენებულმა ფაქტორებმა ხელი შეუწყო ძალაუფლებისთვის მებრძოლი მსხვილი ალ-თანების კლანის ორგანიზებულ ჯგუფად ჩამოყალიბებას და ამასთან გაათავისუფლა სხვებთან, პოლიტიკურად კონკურენტ ჯგუფებთან დათმობებზე წასვლის საჭიროებისგან. პოლიტიკური კონკურენცია შეზღუდული იყო თავად მმართველ ოჯახშიც.

ნავთობის აღმოჩენამ კიდევ უფრო გააძლიერა ალ-თანების მმართველობა. საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად და უსაფრთხოებისთვის თავდაპირველად ემირს უწევდა საგვარეულოს წევრთა მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება ნავთობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე. 1952 წელს ალ-თანების ოჯახი იღებდა ქვეყნის ნავთობიდან მიღებული შემოსავლების მესამედს. უკვე 1958 წელს ეს მაჩვენებელი 45%-მდე გაიზარდა. მოგვიანებით, 1950-60-იან წლებში, ბრიტანელების რჩევის საფუძველზე ამირამ დაიწყო საგვარეულო ოჯახის უფრო მეტი წევრის ჩართვა სახელმწიფო ადმინისტრირების პროცესში, რათა მსგავსი მოქმედებით გაენეიტ-რალეზინა „მემკვიდრეობის საკითხზე“ მუდმივი საფრთხე. შედეგად ამირამ მოიპოვა საგვარეულოს უკმაყოფილო წევრების და პოტენციურ მოწინააღმდეგეების კეთილგანწყობა და იმავდროულად, გააძლიერა თავისი საგვარეულოს გავლენა სახელმწიფოს სხვადასხვა სექტორში.<sup>17</sup>

<sup>15</sup> ხმელეთზე პირველი ნავთობსაბადო (დუხანის) აღმოაჩინეს 1940 წელს, ხოლო პირველი ნავთობსაბადო ზღვაზე - 1960 წელს (იდ ალ-შარჯის და მაიდან ამჰამის).

<sup>16</sup> J.E. Peterson. "Tribes and Politics in Eastern Arabia." Middle East Journal, Vol. 31, No. 3 (Summer 1977), pp. 297-312. N.B. The text in this online edition has not been updated from the originally published version

[http://www.jepeterson.net/sitebuildercontent/sitebuilderfiles/Tribes\\_and\\_Politics\\_in\\_Eastern\\_Arabia.pdf](http://www.jepeterson.net/sitebuildercontent/sitebuilderfiles/Tribes_and_Politics_in_Eastern_Arabia.pdf)

<sup>17</sup> Michael Herb, "All in the Family" (Albany, NY, 1999), 111-113.

## „რენტე სახელმწიფო“

სპარსეთის ყურის სხვა არაბული ქვეყნების მსგავსად, კატარი და მისი მმართველი ალ-თანების ოჯახი ხშირად განიხილება „რენტე სახელმწიფოს“ (Rentier State) თეორიის ჭრილში. 1970 წელს ჰოსეინ მაჰდავის მიერ წამოყენებული საერთაშორისო ურთიერთობების ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფოს შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს იმ უცხოური კომპანიებისგან მიღებული ქირა, რომელთაც აქვთ წვდომა ქვეყნის ეროვნულ რესურსებზე.<sup>18</sup> კატარის შემთხვევაშიც, სახელმწიფო თავისი შემოსავლების ძირითად ნაწილს იღებს ბუნებრივი რესურსების, ბუნებრივი აირისა და ნავთობის, გაყიდვებით. შემდგომ ეს შემოსავალი გამოიყენება ალ-თანების ოჯახის ლეგიტიმაციის გასამყარებლად და როგორც საგვარეულოს შიგნით, ისე სხვა გავლენიან ოჯახებსა და რიგით კატარელებში მმართველი რგოლის მიმართ ლოიალობის უზრუნველსაყოფად.

„რენტე სახელმწიფოს“ თეორია ყველაზე ხშირად გამოიყენება ახლო აღმოსავლეთში ავტორიტარული რეჟიმების შენარჩუნების ასახსნელად და გასაანალიზებლად. როგორც წესი, მდიდარი რესურსების მქონე „რენტე სახელმწიფოებისთვის“ გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არ ვითარდება სამოქალაქო საზოგადოება და ფერხდება დემოკრატიზაციის პროცესი.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „რენტე სახელმწიფოებში“ ერთნაირად ვერ მუშაობს სახელმწიფო მმართველობის მოდელი. ზოგიერთ ქვეყნებში, როგორცაა კატარი, საუდის არაბეთი ან არაბთა გაერთიანებული საამიროები უზრუნველყოფილია შიდაპოლიტიკური სისტემის სტაბილურობა მაშინ, როცა ისეთი „რენტე სახელმწიფოები“, მაგალითად როგორცაა ბაჰრეინი, სუდანი, ლიბია, არაერთი შიდა სახელმწიფოებრივი არეულობისა და ამბოხის მომსწრე გახდა.<sup>19</sup> ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწორედ შიდაპოლიტიკური მოწყობისა და მართვის სისტემა, რომლის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს შეადგენენ ტომები/საგვარეულო კლანები.

კლასიკური გაგებით, პოლიტიკური მმართველობა დამყარებულია ძალაუფლების 4 ძირითად წყაროზე: იდეოლოგიური, ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ორგანიზაციის ძალა.<sup>20</sup> კატარის შემთხვევაში, სახელმწიფოს მთავარ ძალაუფლებას წარმოადგენს მფარველობა. „მფარველი-კლიენტის“ მოდელის ურთიერთობების დამყარებას აქვს საკმაოდ ძლიერი ფესვები არაბეთის ნახევარკუნძულზე და დღემდე შენარჩუნებულია თანამედროვე არაბულ მონარქიებში.<sup>21</sup>

კატარში ე.წ. „პოლიტიკურ ტრაიბალიზმს“ უნიკალურობას მატებს ის ფაქტიც, რომ კატარელად ითვლება მხოლოდ ის, ვისი წინაპრებიც ქვეყანაში იმიგრირდნენ 1930 წლამდე, რაც „ნამდვილ“ კატარელს მატებს ექსკლუზიურობის აღქმას. „კატარელობის“ მკაცრად განსაზღვრული პირობები განაპირობებს იმ გარემოებას, რომ კატარელი

<sup>18</sup> Hazem Beblawi, “The Rentier State in the Arab World”. (Arab Studies Quarterly, 9 (4), 1987).

<sup>19</sup> Uriel Abulof. “Can’t buy me legitimacy: The elusive stability of Mideast rentier regimes”, (Journal of International Relations and developments, February, 2015), DOI:10.1057/jird.2014.32.

<sup>20</sup> Michael Mann, “The Sources of Social Power” (Cambridge, 1993), 9–10.

<sup>21</sup> Mehran Kamrava, „Qatar Small State Big Politics” 145.

წარმოადგენს ეროვნულ უმცირესობას საკუთარ ქვეყანაში. სახელმწიფო სტატისტიკის სააგენტოს 2021 წლის სექტემბრის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობა შეადგენს 2,636,078 ადამიანს, საიდანაც კატარელი არის დაახლოებით 300,000 პირი. მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს შეადგენენ უცხოელები, ძირითადად ინდოეთიდან, ნეპალიდან და აზიის სხვა ქვეყნებიდან.<sup>22</sup>

რეგიონის სხვა ქვეყნებისა და, ზოგადად, „რენტეი სახელმწიფოებისგან“ განსხვავებით, სადაც სახელმწიფო მიღებულ შემოსავლებს მოსახლეობას აწვდის მხოლოდ არაპირდაპირი გზით (სახელმწიფო დასაქმებით, რიგი ლიცენზიის გაცემით ან, ზოგადად, ინსტიტუციების მეშვეობით), კატარი ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც სხვადასხვა არაპირდაპირი სარგებლის გარდა, ხელისუფლება მოქალაქეებს უნაწილებს სახელმწიფო შემოსავლებს პირდაპირი გზითაც. ოფიციალურ დონეზე, კატარის ყველა მოქალაქეს სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებული აქვს დასაქმება, სადაც მათი საშუალო თვიური ხელფასი უმაღლესი განათლების შემთხვევაში, შეადგენს დაახლოებით 6,100 აშშ დოლარს, ხოლო საშუალო განათლების მქონეთათვის 4,400 აშშ დოლარს (2012 წლის მონაცემები). თუმცა, იშვიათია, რომ კატარელი დამოკიდებულია მხოლოდ სახელფასო ანაზღაურებაზე, რადგან მათ უმეტესობას აქვს ბიზნესინტერესები.<sup>23</sup>

სახელმწიფო დახმარებას უწევს კატარელებს ასევე სოციალური საკითხების უზრუნველყოფით, კომუნალური გადასახადების მოხსნით ან მინიმალური ზღვარის დაწესებით. არ იბეგრება მათი შემოსავალი, განათლება და ჯანდაცვა კატარის მოქალაქეებისთვის უფასოა. კატარელები იკავებენ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მაჩვენებლითმსოფლიოში პირველ ადგილს (წლიურად 50,805,46 აშშ დოლარი).<sup>24</sup>

აქვე აღსანიშნავია, რომ იგივე შეღავათებითა და სიკეთებით ვერ სარგებლობენ კატარში მცხოვრები უცხოელები, მათ შორის არც ისინი, რომელთაც აქვს ბინადრობის უფლება. დასაქმებისას აშკარა უპირატესობა ენიჭება კატარელს. ამასთან, განსხვავდება ერთსა და იმავე პოზიციაზე მომუშავე კატარელისა და უცხოელის ანაზღაურება. შედარებისთვის, 2014 წლის მონაცემებით, რიგითი კატარული ოჯახი თვიურად გამოიმუშავებდა საშუალოდ 20,000 აშშ დოლარს, ხოლო კატარში მცხოვრები უცხოელის ოჯახის თვიური საშუალო შემოსავალი შეადგენდა დაახლოებით 7,000 აშშ დოლარს.<sup>25</sup>

მფარველობისა და სოციალური ზრუნვის პარალელურად, კატარის პოლიტიკური მმართველობის მეორე მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს უშუალოდ ამირას ფიგურა და უნარი, დააბალანსოს კატარის საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია. მიზანმიმართული გათვლილი პოლიტიკა გულისხმობს ყურადღების ცენტრში ტრადიციებისა და კულტურის მოქცევას, ანუ იმას, რასაც აფასებენ და უპირატესობას ანიჭებენ საზოგადოების კონსერვატიული წევრები. არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ აბსოლუტური მონარქიის პირობებში, კატარის მმართველობის სისტემა ავტორიტარულია, თუმცა

<sup>22</sup> <https://www.psa.gov.qa/en/statistics1/StatisticsSite/Pages/KeyIndicators.aspx>

<sup>23</sup> Kamrava, “Qatar Politics”. 146-147.

<sup>24</sup> The World Bank. “GDP per capita (current US\$) – Qatar”

<https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=QA>

<sup>25</sup> <https://www.dohanews.co/ministry-stats-show-average-qatari-household-earns-qr72000-monthly/>

განსხვავდება ახლო აღმოსავლეთის სხვა ტიპური „მუხაბარათ სახელმწიფოს“ (სადაზვერვო სახელმწიფო) მოდელისგან და ითვლება „კეთილთვისებიანად“.<sup>26</sup>

### კატარის გავლენიანი საგვარეულო ოჯახები

კატარის მოდერნიზაციის შედეგად სახელმწიფო წარმოადგენს მთავარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ აქტორს, იმის პარალელურად, რომ ტომის როლი და ფუნქცია კვლავ შენარჩუნებულია ქვეყანაში და მათი მკაფიო იდენტობა მხარდაჭერილია უშუალოდ სახელმწიფოს მიერ. კატარის პოლიტიკის წარმოების/მართვის მექანიზმი განსხვავებულია თავისი ბუნებითა და შემადგენლობით. წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილია ყველა ის ტომი/საგვარეულო ოჯახი, რომელიც თანამედროვე კატარში ფლობს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან ეკონომიკურ გავლენას.

**ალ-თანი** (არაბ. **ال ثاني**) - ქვეყნის მმართველი საგვარეულო ოჯახი კატარში ყველაზე გავლენიანი გვარი/ტომია. ალ-თანები ქვეყანას მართავენ მე-19 საუკუნიდან.

ალ-თანის მმართველი ოჯახი შეიძლება დაიყოს სამ ურთიერთგადაჯაჭვულ ჯგუფად. პირველ ჯგუფს შეადგენს გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი რგოლი - ამირა თამიმ ბინ ჰამად ალ-თანი და მისი უახლოესი გარემოცვა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას. ამ ჯგუფშია თამიმის მამა ჰამად ბინ შეიხი, რომელმაც 2013 წელს ქვეყნის სადავეები ოფიციალურად გადააბარა თავის ვაჟს, მაგრამ დღემდე ჩართულია ქვეყნის მართვაში. ამავე ჯგუფშია ამირის დედა შეიხა მოზა, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის პირველი ლედის სახეს ქვეყნის გარეთ და მნიშვნელოვან ფიგურაა ქვეყნის შიგნითაც. ჯგუფის წევრია ასევე კატარის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰამად ბინ ჯასიმ ბინ ჯაბერ ალ-თანი, რომელიც მამა ამირის გადადგომასთან ერთად 2013 წელს ოფიციალურად წავიდა პოლიტიკიდან. ის ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ადამიანად და ამ დრომდე ინარჩუნებს პოზიციებს ქვეყნის მართვის პროცესში.<sup>27</sup> უშუალოდ მმართველი ოჯახის წევრი არ არის, თუმცა მამა ამირის ნდობით აღჭურვილი პირი და შესაბამისად, უახლოესი გარემოცვის წევრია აბდულა ბინ ჰამად ალ-ატიია, რომელსაც წარსულში ეკავა ვიცე-პრემიერის პოსტი. ის არის ამირ თამიმის შიძა და ითვლება მამა ამირის ნდობით აღჭურვილ პირად. 2011 წელს ის დაინიშნა ამირის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად რათა თვალი ედევნებინა აღმასრულებელ ორგანოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესებისთვის. ამირისადმი მისი ერთგულების გამო, ალ-ატიია ითვლება კატარის ენერგოპოლიტიკის მთავარ არქიტექტორად.

ალ-თანების გვარის მეორე ჯგუფში ერთიანდებიან ასევე მაღალი თანამდებობის პირები და პირველ ჯგუფის (უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები პირები) წევრებთან პირდაპირი კავშირის მქონე ადამიანები. ამგვარად, უმაღლეს

<sup>26</sup> Mehran Kamrava, „Qatar Small State Big Politics, 151

<sup>27</sup> ბრიტანულ კომპანიებში მისი წილების ფლობის გამო მას ასევე უწოდებენ „კაცი, რომელმაც ლონდონი იყიდა“. ფლობს წილებს ისეთ კომპანიებში როგორცაა „The Shard; harrods, Intecontinental London Park Lane“. ასევე Deutsche Bank; Banque International a Luxembourg; KBL European private Bankers“. მის საკუთრებაშია ფრანგული საფეხბურთო კლუბი „პარი სენ-ჟერმენი“. წილები აქვს ასევე კომპანიებში „Qatar Airways“; „The Foreign Investment Company“; „Qatari Diar Real Estate“; „Investment Company“ და „The Pearl“.

ხელმძღვანელობასთან ერთად მეორე ჯგუფის წევრები უზრუნველყოფენ სისტემაში ალ-თანების დომინანტურ როლს.<sup>28</sup>

მესამე რგოლს შეადგენენ ალ-თანების ის წარმომადგენლები, რომლებიც კონცენტრირებულნი არიან კერძო ბიზნესზე და ნახევრად-კერძო სექტორზე. ბევრი მათგანი ფლობს კომერციულ და უძრავ ქონებას, განსაკუთრებით ცათამბჯენებსა და საცხოვრებელ კომპლექსებს, სადაც ძირითადად ცხოვრობენ უცხოელები დასავლეთის ქვეყნებიდან (ვინაიდან აზიელი მუშახელი, დაბალი შემოსავლების გათვალისწინებით, ცხოვრობს დოჰას შედარებით ღარიბულ უბნებში). ზოგიერთი ასევე დასაქმებულია სახელმწიფოს კუთვნილ ობიექტებში, როგორებიცაა “Qatar Stock Exchange”, “Qatar Telecom”, “Qatar National Bank”, “Qatar Petroleum”, “Qatar Museum Authority” “Qatar Foundation” და ა.შ.<sup>29</sup>

ალ-თანების საგვარეულო ოჯახის ცნობილ სახეებს წარმოადგენენ შეიხ აბდულა ბინ ჰამად ალ-თანი - კატარის ამირის მოადგილე; შეიხ მუჰამედ ბინ აბდურაჰმან ალ-თანი - მოქმედი საგარეო საქმეთა მინისტრი; შეიხ ხალიდ ბინ ხალიფა ბინ აბდულაზიზ ალ-თანი - კატარის პრემიერ-მინისტრი და შს მინისტრი; აბდულა ბინ მუჰამად ალ-თანი - კატარის საინვესტიციო სააგენტოს (QIA) ყოფილი ხელმძღვანელი და ამჟამად კატარის ელჩი გერმანიაში.<sup>30</sup>

ბუნებრივი პოლიტიკური ძალაუფლების გარდა, ალ-თანებს ძლიერი პოზიციები აქვთ ასევე ქვეყნის ეკონომიკის სფეროშიც. კატარის საფონდო ბირჟის 44 კომპანიიდან 27% ალ-თანების ოჯახს უკავია. ამ 44 კომპანიიდან 36-ში დირექტორთა საბჭოს შემადგენლობის მინიმუმ ერთი წევრი ალ-თანია. ზოგიერთი ფიზიკური პირი კი რამდენიმე მსხვილ კომპანიასთანაცაა დაკავშირებული. ალ-თანების გვარი გვხვდება კატარის სხვადასხვა მსხვილი კომპანიების შემთხვევაშიც, მათ შორის NBK; HBK; Doha Group; 7 Brdothers Group Holding; Al Jabor Group; TransInd Holding; Al Ahli Hospital; Al Faisal Holding; ARTIC; Ghanem Al-Thani Holding; Rumailah Groul; QIPCO.

ალ-თანები ლიდერობას ინარჩუნებენ ხელოვნებისა და განათლების მიმართულებითაც. განათლების სფეროში ქვეყნის ყველაზე გავლენიან პირად ითვლება შეიხა ჰინ ბინთ ჰამად ალ-თანი. მოქმედი ამირის და, რომელიც ხელმძღვანელობს „კატარის ფონდს“, რომელიც გასცემს უმაღლესი განათლების სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიებს კატარში განათლების მიღების მსურველთათვის; ასევე ამირის მეორე და, შეიხა ალ-მაიასა ბინ ჰამად ბინ ხალიფა ალ-თანი, რომელიც კურირებს კატარის ხელოვნების სექტორს. ის ხელმძღვანელობს კატარის მუზეუმების გაერთიანებას და მის სახელს უკავშირდება კატარის პოპულარიზაციის მიზნით, ქვეყანაში ცნობილი სახეების მიწვევა. საერთაშორისო ჟურნალ “Artreview“-ის თანახმად, შეიხა ალ-მაისა დასახელებულია მსოფლიოში ხელოვნების სფეროში 10 ყველაზე გავლენიან პირს შორის, ის ასევე შესულია “TIME“-ის ყველაზე გავლენიან და “Forbs“-ის ძლიერი ქალების ასეულში.<sup>31</sup>

<sup>28</sup> Mehran Kamrava. “Qatar Small State Big Politics” (Cornell University Press, London, 2013), 133-134.

<sup>29</sup> Kamrava, „Qatar Politics”, 137-138.

<sup>30</sup> “Council of Ministers”, last modified October, 2021,

Council of Ministers - Government Communications Office (gco.gov.qa)

<sup>31</sup> “ Revealed: Top 5 most powerful Arabs in Qatar”, last modified April, 2021

<https://gulfbusiness.com/revealed-top-5-powerful-arabs-in-qatar/>

**ალ-ქუვარი / ალ-ქავარი (არაბ. الكواري)** - ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საგვარეულოა კატარში, რომლის წევრები, როგორც წესი, იკავებენ პრესტიჟულ თანამდებობებს დიპლომატიისა და პოლიტიკის მიმართულებით. ასევე გვხვდებიან კატარის სხვადასხვა კომპანიების დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში. გასული საუკუნის 70-იან წლებში საგვარეულო განსაკუთრებით ცნობილი იყო გოგონების საზღვარგარეთ განათლების მიღების მხარდაჭერით. შედეგად, დღეისათვის ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულია გვარის წარმომადგენელი არაერთი ქალი.<sup>32</sup>

- დოქტორი ჰანან მუჰამად ალ-ქუვარი არის კატარის ჯანდაცვის მინისტრი. ის ასევე მართავს ჰამადის სამედიცინო კორპორაციის (“Hamad Medical Corporation”), რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ჰოსპიტალური სისტემის მთავარ პროვაიდერს.
- ფატმა ალ-ქუვარი - ერთ-ერთი პირველი ქალი იყო, ვინც ცენტრალური მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობაში მოხვდა.

სხვა გავლენიანი წარმომადგენლები არიან: ქვეყნის ფინანსთა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ალი ბინ აჰმად ალ-ქუვარი და ისლამურ საკითხთა მინისტრი ღაით ბინ მუბარაჟ ალ-ქუვარი.

**ალ-ატიია (არაბ. العتيبة)** - ისტორიულად ითვლებოდა პოლიტიკურად ყველაზე გავლენიან საგვარეულოდ ალ-თანების შემდეგ. ხშირია ასევე ორ გვარს შორის ქორწინებით ნათესაური კავშირები. ალ-ატიიას გვარი ძირითადად დაკავშირებულია ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორთან, თუმცა გვარის წარმომადგენლები გვხვდებიან ასევე ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში.<sup>33</sup>

დღეისათვის გვარის ყველაზე ცნობილი პირია ხალიდ ბინ მუჰამედ ალ-ატიია - კატარის მოქმედი ვიცე-პრემიერი და თავდაცვის მინისტრი, რომელსაც წარსულში ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი, ხოლო მამამისი იყო კატარის შეირადებული ძალების დამფუძნებელი. გვარის კიდევ ერთი ცნობილი წარმომადგენელია აბდულა ბინ ჰამად ალ-ატიია - კატარის ენერჯეტიკისა და მრეწველობის ყოფილი მინისტრი. ის ამჟამად ფლობს გამომცემლობას “Gulf Publishin & Printing Co.”, რომელიც უშვებს კატარის ყოველდღიურ გამოცემებს “Gulf Times” (ინგლისურენოვანი) და “Al Raya” (არაბულენოვანი).

**ალ-ემადი (არაბ. العمادي)** - ოჯახი, ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შედის კატარის ყველაზე გავლენიანი ოჯახების სიაში. ის არის რიგით მეორე ოჯახი (ალ-თანების შემდეგ), რომლის ყველაზე მეტ წარმომადგენელსაც უკავია მნიშვნელოვანი პოზიციები ქვეყანაში. კატარის უმსხვილესი კომპანიების დირექტორთა თუ სამეურვეო საბჭოში წარმომადგენლობის გარდა, გვარი ასევე საკუთარებაში ფლობს კატარის უმსხვილესი საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონების კომპანიას “Al-Emadi enterprises”, ასევე კომპანიებს “Al-Emadi Hospital” და “Al-Emadi Business Center”.

**ალ-მანა (არაბ. المناع)** - საგვარეულო მიეკუთვნება ბანუ თამიმის ტომს. ის წარმოადგენს კატარის ბიზნესსექტორში. ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე ოჯახს. ალ-მანას საგვარეულო არის კატარის რამდენიმე უმსხვილესი კომპანიის

<sup>32</sup> Jure Snój, “A guide to the most powerful families in Qatar” (Priya Dsouza Communications, February, 2017) <http://priyadsouza.com/powerful-families-qatar-al-thani/>

<sup>33</sup> “A guide to the most powerful families in Qatar”.



დამფუძნებელი: “Mohammed Abdul Latif Almana & Bros (Almana & Partners)”, “Mohammed Hamad Al Mana”, “Almana Group”.<sup>34</sup> თავდაპირველად საგვარეულოს მოღვაწეობის მთავარ სამიზნეს საავტომობილო სექტორი წარმოადგენდა, თუმცა თანდათანობით გაფართოვდა მათი მუშაობის არეალი და მოიცვა საბანკო და სადაზღვევო სექტორები. ალ-მანას წარმომადგენელი აბდულა სალეჰ ალ-მანა იყო ასევე კატარის პირველი ელჩი აშშ-ში. თანამედროვე წევრებიდან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახეა ამერიკელი მომღერლის ჯენეტ ჯექსონის მეუღლე ვისამ ალ-მანა, რომელიც არის “Al Mana Group“-ის აღმასრულებელი დირექტორი.<sup>35</sup>

**ალ-სულაიტი (არაბ. السليطي)** - ძირითადად წარმოდგენილები არიან დოჰას მახლობლად ალ-სალატას დასახლებულ პუნქტში. ალ-სულაიტის ოჯახს ძლიერი პოზიციები აქვს კატარის ბიზნეს სექტორში, კერძოდ ისეთ მსხვილ კომპანიებში, როგორებიცაა ნავთობქიმიური პროდუქტების მწარმოებელი “Mesaieed petrochemicals Holding”, უძრავი ქონების სააგენტო “Barwa”, ნავთობისა და გაზის კომპანია „Woqod“ და შიფინგისა და გადაზიდვების კომპანია “Nakilat”. გვარის წარმომადგენელი გვხვდება კატარის მოქმედ მთავრობაშიც - ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი არის ჯასემ ბინ საიფ ალ-სულაიტი.

**ალ-მუჰანადი/მაჰანადა (არაბ. المهندي)** - კატარის დამოუკიდებლობამდე ტომი მართავდა ალ-ხორის რაიონს. დღეისათვის განსაკუთრებით აქტიურია კატარის ბიზნესსექტორში, კერძოდ, ნავთობის, გაზისა და სპორტის მიმართულებით. მისი წარმომადგენლები იკავებენ მაღალ თანამდებობებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. ტომის წამყვანი ოჯახია ალ-მისნედის გვარი.

**ალ-ჰაჯრი (არაბ. الهجري)** - ალ-ჰაჯრის ოჯახი ეკუთვნის ბანუ ჰაჯერის ტომს. წარსულში საგვარეულო ძირითადად ჩართული იყო საპოლიციო ძალების რიგებში. დღეისათვის კი ალ-ჰაჯრის საგვარეულო უფრო მეტად წარმოდგენილია კატარის ბიზნეს და დიპლომატიურ სფეროებში. გვარის პოზიცია კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ანუდ ბინთ მანა ალ-ჰაჯრი კატარის მოქმედ ამირას შეიხ თამიმ ბინ ჰამად ალ-თანის გაჰყვა ცოლად.<sup>36</sup> გვარი ერთ-ერთი მოწინავეა კატარის ცენტრალურ მუნიციპალურ საბჭოში წარმომადგენლების რაოდენობით.<sup>37</sup>

**ალ-ხატირი (არაბ. الخاطر)** - ოჯახის ნათესაური კავშირი ალ-თანების საგვარეულოსთან თანამედროვე კატარის ისტორიის დასაწყისიდან მოდის, როდესაც აქტიურად ხდებოდა ძალის კონსოლიდაციის მიზნით ორ საგვარეულოს შორის ქორწინებები. ალ-ხატირის წარმომადგენლები ძირითადად ქ. ვაკრაში გვხვდებიან. ისინი წარსულში უფრო ინტენსიურად იყვნენ წარმოდგენილები პოლიტიკისა და დიპლომატიის უმაღლეს პოზიციებზე, ვიდრე დღეს. გვარის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახეა ლოლა რაშიდ მუჰამედ ალ-ხატირი, რომელიც პირველი ქალია ქვეყნის საგარეო საქმეთა სპიკერისა და მინისტრის თანაშემწის პოზიციაზე.

<sup>34</sup> <https://almana.com/>

<sup>35</sup> “A guide to the most powerful families in Qatar”.

<sup>36</sup> კატარის ამირას შეიხ თამიმ ბინ ჰამად ალ-თანის ჰყავს სამი მეუღლე ჯავაჰერ ბინთ ჰამად ბინ სუჰაიმ ალ-თანი (2005 წ.), ანუდ ბინ მანა ალ-ჰაჯრი (2009 წ.) და ნუურა ბინ ჰათალ ალ-დოსარი (2014 წ.)

<sup>37</sup> <https://www.gco.gov.qa/en/about-qatar/municipal-council/>

**ალ-სუვაიდი (არაბ. السويدي)** - ტომი წარმოშობით საუდის არაბეთიდანაა, თუმცა წარმომადგენლობა ჰყავს კატარსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. წარსულში აქტიურად იყვნენ დაკავებულები მარგალიტის მოპოვება-ვაჭრობის საქმით. თანამედროვე კატარში გვარის წარმომადგენლები გვხვდებიან სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაში. ალ-სუვაიდის საგვარეულო ცნობილია ალ-თანებთან ქორწინებების სიხშირით. ალ-სუვაიდები ითვლებიან მმართველი ოჯახისთვის ალ-თანების შემდეგ ქორწინებისთვის ყველაზე სასურველ პარტნიორებად.

**ალ-ფახრუ/ალ-ფახრო (არაბ. الفخرو)** - ალ-თანის გვარის მსგავსად, ალ-ფახრუ ეკუთვნის ბანუ თამიმის ტომს. ოჯახი ერთ-ერთი უძველესია და ჩართულია ქვეყნის ბიზნესექტორში. მისი წარმომადგენლები იკავებდნენ ემირის მრჩეველების პოსტებს. საგვარეულო იყოფა რამდენიმე განშტოებად: ალ-ჰასანი, ალ-დარვიში, ალ-ობაიდი, ალ-ოსმანი, ალ-ხალი და ალ-კასიმი. საგვარეულოს კუთვნილ ბიზნესებს შორისაა “Darwish Holding” და “Darwish Trading Company”.

**ალ-ქააბი (არაბ. الكعبي)** - ტომი მძლავრად არის წარმოდგენილი კატარის ბიზნესექტორში. ტომის ცნობილი სახეა საად შერიდა ალ-ქააბი, რომელიც არის კატარის ენერჯეტიკის მინისტრი და კატარის სახელმწიფო ნავთობ კომპანიის “Qatar Petroleum (QP)” პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი.

**ალ-ჯაიდა (არაბ. الجيدة)** - კატარში ალ-ჯაიდას ოჯახის შესახებ ცნობები ჩნდება 1898 წლიდან, როდესაც ვაჭარმა იბრაჰიმ იუსუფ ჯაიდამ დააარსა “Jaida Group”.<sup>38</sup> მისმა შთამომავლებმა თანდათანობით გააფართოვეს ბიზნესი და დღეისათვის ჰოლდინგი მოიცავს სხვადასხვა სფეროზე (საავტომობილო, მძიმე ტექნიკის, სამშენებლო) ორიენტირებულ კომპანიებს. ჰოლდინგი ასევე ფლობს ქ. ვენეციაში მდებარე სასტუმროს “The Gritti palace”.

**ალ-ფარდანი (არაბ. الفردان)** - საგვარეულო ოჯახი დომინანტია კატარის მდიდრულ და ელიტურ საზოგადოებაში ათწლეულების განმავლობაში. ჰუსეინ იბრაჰიმ ალ-ფარდანი წარმატებული და გავლენიანი საოჯახო კონგლომერატის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ის არის “Alfardan Group Holding Co.”-ის თავმჯდომარე.<sup>39</sup>

სხვა საგვარეულო ოჯახები/ტომები, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ კატარის ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროებში არიან: **ალ-რუმაიჰი (არაბ. الرميحي)**, **ალ-სუბაი (არაბ. السبيعي)**, **ალ-მანაი (არაბ. المناعي)**, **ალ-ნუაიმი (არაბ. النعيمي)**, **ალ-სადა / საადა (არაბ. السادة)**, **ალ-ხულაიფი (არაბ. الخليفة)**, **ალ-მაჰმუდი (არაბ. المحمود)**. მათი წარმომადგენლები იკავებენ მნიშვნელოვან პოზიციებს სხვადასხვა ბიზნეს თუ სახელმწიფო კორპორაციებისა და ინსტიტუტების აღმასრულებელ საბჭოებში.<sup>40</sup>

**ალ-მურა /ალ-მირა/ალ-მარარ (არაბ. المرّة)** - ტომი რიცხოვნად ერთ-ერთი ყველაზე დიდია კატარში. ქვეყნის მოსახლეობაში ალ-მურას ტომის ხალხის რაოდენობრივი წილის გათვალისწინებით, ისინი დასაქმებულები არიან სამთავრობო და ბიუროკრატიულ ინსტიტუტებში. ასევე ალ-მურას ტომის ხალხს ვხვდებით არმიაში, საპოლიციო დანაყოფებსა და სანავთობე სექტორში. 1996-2013 წლებში ტომის

<sup>38</sup> <https://jaidah.com/>

<sup>39</sup> <https://www.alfardan.com.qa/en/Pages/about>

<sup>40</sup> Snój, “A guide to the most powerful families in Qatar”.

წარმომადგენელი აჰმედ აბდულა ალ-მური იყო ისლამურ საკითხთა მინისტრი. მოჰამედ სალემ ალიან ალ-მური არის ნავთობკომპანია “Mesaieed Petrochemical Holding”-ის ვიცე-თავმჯდომარე. კიდევ ერთი ცნობილი სახეა ნასერ ჯარალა საედ ალ-მური, რომელიც “Al Rayan Investment Co.”-ის თავმჯდომარე და “Vodafone”-ის დირექტორთა საბჭოს წევრია. უმაღლესი განათლების და განსაკუთრებით დასავლური განათლების მიღებამ განაპირობა ტომის ახალგაზრდების ცოდნისა და მსოფლმხედველობის ამაღლება. შედეგად, ალ-მურას ტომის ცალკეული შტოების გაუჩნდათ კატარის პოლიტიკური გუნდის წევრობის ამბიციის, რაც გახდა მოქმედ ხელისუფლებასთან მათი დაპირისპირების საგანი.

### **ალ-თანისა და ალ-მურას დაპირისპირება**

ალ-მურას ტომს აქვს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია საუდის არაბეთთან და კატართან დაკავშირებით. სპარსეთის ყურის რეგიონში ტომის მნიშვნელობისა და გავლენების გათვალისწინებით, ისტორიის მანძილზე იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც საუდის არაბეთიც ცდილობდა კატარის პოლიტიკური სისტემის შეცვლას სწორედ ტომის ფაქტორის გამოყენებით. კატარის სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორიამ აჩვენა, რომ ტომების მოკავშირეობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების პარალელურად, შესაძლოა სწორედ ტომი გახდეს მმართველი დინასტიისთვის მთავარი საფრთხის შემქმნელი, რაზეც მეტყველებს ალ-თანისა და ალ-მურას ტომის ურთიერთობის ისტორია.

ალ-მურა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ არაბულ ტომს არაბეთის ნახევარკუნძულზე, რომელიც ითვლის დაახლოებით 36,000 წევრს. თავად ტომი დაყოფილია წარმომავლობისა და კლანების მიხედვით. კატარის გარდა ტომის სხვადასხვა შტოები წარმოდგენილები არიან საუდის არაბეთში, არაბთა გაერთიანებულ სამიროებში, ქუვეითსა და ბაჰრეინში.<sup>41</sup>

დღეისათვის ალ-მურას ტომის განსახლების ცენტრალური ადგილი კატარია. ისინი ძირითადად სახლობენ ქალაქებში: ალ-მურა, ალ-მუდირ, ალ-რაიანი, ალ-ვაკრა, ალ-შაჰანი, ალ-სილია, ალ-კარანი და დახანი. მე-20 საუკუნეში კატარი განსაკუთრებით მიმზიდველი იყო ალ-მურას ტომისთვის ეკონომიკური შესაძლებლობების გამო. ამასთან ალ-მურას ახლო კავშირი ჰქონდა ალ-თანის მმართველ ოჯახთან. კატარში მათი ფართო წარმომადგენლობის გათვალისწინებით, ალ-მურას ხალხი სხვა არაბების მიერ აღიქმებიან „კატარელებად“.<sup>42</sup>

კატარის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ისტორიაში ალ-მურას ტომს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მმართველი ალ-თანის საგვარეულოს დახმარების თვალსაზრისით. ალ-მურას ტომი მუდმივად უჭერდა მხარს კატარში ალ-თანის საგვარეულოს გადაწყვეტ ბრძოლებსა და სხვა ტომებთან დაპირისპირებაში. 1937 წელს ბაჰრეინის მმართველი ალ-ხალიფას წინააღმდეგ კატარის ისტორიაში ყველაზე ცნობილ „ალ-ზაბარას“ ბრძოლაში ალ-თანებს სხვებთან ერთად დახმარება

<sup>41</sup> Ali A. Hadi Alshawi, “The Al-Murrah Tribe in Qatar: Political Impact” (Master’s Theses, Western Michigan University, 1994).

<sup>42</sup> Alshawi, “The Al-Murrah Tribe”.

ალ-მურას ტომმა გაუწია.<sup>43</sup> ალ-მურა მონაწილეობდა ასევე მეორე ცნობილ „ალ-ვაჯბას“ ბრძოლაში, რომელიც ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ გაიმართა 1893 წელს. ალ-მურას ტომი მხარს უჭერდა შეიხ ხალიფა ალ-თანის, როგორც კატარის ემირად გახდომასა, ისე ბრიტანეთის პროტექტორატისგან გათავისუფლების საკითხშიც.<sup>44</sup>

ალ-მურას ტომი მიიჩნევს, რომ თანამედროვე კატარის სახელმწიფოს შექმნაში მას გაცილებით დიდი წვლილი აქვს შეტანილი, ვიდრე დანარჩენ ტომებს, რის გამოც უნდა სარგებლობდნენ უპირატესობებით. ამ მიდგომამ ტომებს შორის დაპირისპირება წარმოშვა.

კატარის მმართველებსა და ალ-მურას ტომის წევრებს შორის პირველი დაპირისპირება მოხდა 1995 წელს. 1990-იანი წლების დასაწყისში სპარსეთის ყურის კრიზისთან დაკავშირებით, ქვეყანაში წესრიგის დამყარების მიზნით, კატარის ამირა ხალიფამ დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები და „ძირგამომთხრელი ელემენტების“ განეიტრალება. გამკაცრდა ტელე და რადიომალუწყებლობების ცენზურა. აიკრძალა უცხოური გამოცემების ქვეყანაში შეტანა. მოსახლეობის მოთხოვნები რეფორმების თაობას არ იქნა შესრულებული. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მთავარი აქცენტი კეთდებოდა საუდის არაბეთთან თანამშრომლობაზე. შექმნილ ვითარებაში 1995 წელს შვეიცარიაში მყოფი კატარის ამირა ხალიფა მისმა შვილმა ჰამიდმა გადატრიალების გზით მმართველობას ჩამოაცილა. ჰამიდმა დაიწყო ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ლიბერალიზაცია, შემოიღო ახალი კონსტიტუცია, 1996 წელს კი დააარსა ტელეკომპანია „ალ-ჯაზირა“.<sup>45</sup> იმავე წელს საუდის არაბეთის საზღვართან აღკვეთილი იქნა გადატრიალების მცდელობა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ხალიფას ამირად დაბრუნება. ეს შედიოდა საუდის არაბეთის ინტერესებშიც. 2005 წელს კატარი-საუდის არაბეთის ურთიერთობების გაფუჭებას მოჰყვა ოფიციალური დოჰას გადაწყვეტილება „ალ-მურას“ ტომის ალ-დაფრანის შტოს 5000-ზე მეტი წევრისთვის კატარის მოქალაქეობის ჩამორთმევასა და ქვეყნიდან მათი გაძევების თაობაზე. აღნიშნულ პირებს ბრალად ედებოდათ 1996 წელს კატარის ამირას წინააღმდეგ გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობა, რისთვისაც სავარაუდო მხარდაჭერას იღებდნენ საუდის არაბეთიდან და არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან. ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ის ფაქტი, რომ ტომის ეს წევრები იმავდროულად იყვნენ საუდის არაბეთის მოქალაქეები, ორმაგი მოქალაქეობა კი აკრძალულია კატარის კონსტიტუციით.<sup>46</sup> მომდევნო წლებში კატარი-საუდის არაბეთის ურთიერთობების ნორმალიზების შემდეგ, ნაწილმა შეძლო კატარის მოქალაქეობის დაბრუნება, თუმცა 21 წევრი, რომელთაც 40 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ მისჯილი, გათავისუფლდნენ

<sup>43</sup> Peter Polak-Springer, “Bordering Zubara: oil politics, the 1937 Qatari-Bahraini conflict, and the making of a modern Arabian (Persian) Gulf Borderland”, (Journal of Borderlands Studies, 2020). doi:10.1080/8865655.2020.1855228

<https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/08865655.2020.1855228>

<sup>44</sup> „The Founder al-Wajba Battle”, last modified September 25, 2021.

<https://www.qatar.qa/en/the-founder/alwajba-battle/>

<sup>45</sup> ნანი გელოვანი „თანამედროვე არაბული ქვეყნები“ ( „უნივერსალი“, თბილისი 2008), 170-171.

<sup>46</sup> “Thousands in Saudi Arabia after losing Qatari citizenship”, last modified April, 2005.

<https://gulfnews.com/world/gulf/qatar/thousands-in-saudi-arabia-after-losing-qatari-citizenship-1.283103>

მხოლოდ 2010 წელს, საუდის არაბეთის მეფე აბდულას პირადი თხოვნის საფუძველზე. მომდევნო წლებში სახელმწიფოს ძალისხმევამ, მოეხდინა ალ-მურას ტომის მარგინალიზება, გამოიწვია ის, რომ გაიზარდა ტომის შიგნით სახელმწიფოს მიმართ უკმაყოფილება.

2017 წელს საუდის არაბეთმა, თავის მოკავშირე არაბულ ქვეყნებთან ერთად, კატარი ტერორიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულა და ბლოკადაში მოაქცია. კატართან გაწყდა ყველა სახის ურთიერთობა, შეწყდა საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო მიმოსვლა. ურთიერთობების აღდგენისთვის ოფიციალურ დოკას დაუყენეს რიგი მოთხოვნები, რომელთა შესრულებაზეც ამირამ უარი განაცხადა. იმავდროულად, საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრემ მუჰამად ბინ სალმანმა მოახდინა ქვეყნის აღმოსავლეთით, კატარის ამირას წინააღმდეგ ტომობრივი ფრაქციების მობილიზება. უმეტესწილად ეს ეხებოდა კატანის ტომის ბანი ჰაჯრის შტოს ათასობით წევრს. ტომის წევრები ძირითადად ცხოვრობენ საუდის არაბეთის ტერიტორიაზე, თუმცა ნაწილი წარმოდგენილია კატარშიც. პარალელურად, დაიწყო მმართველი ალ-თანების ოჯახიდან საზღვარგარეთ მცხოვრები ნაკლებად ცნობილი და ოპოზიციურად განწყობილი წევრების მობილიზება. საუდის არაბეთისა და საამიროების მედია აქტიურად აშუქებდა ცნობებს შეიხ აბდულა ბინ ალი ალ-თანის პიროვნების შესახებ და ცდილობდა ის წარმოეჩინა, როგორც გავლენიანი ფიგურა ალ-თანების ოჯახის რიგებიდან და შეემლო ბლოკადის დასრულება და მოვლენებში სასიკეთო გარდატეხის შეტანა. კამპანიის მიზანს წარმოადგენდა შეიხ აბდულას მიმართ კატარელების კეთილგანწყობის მოპოვება და მისით (ერ-რიადისთვის მეტად მისაღები კანდიდატი) ამირა თამიმის ჩანაცვლება. ბლოკადის დაწყებიდან რამდენიმე თვეში, 2017 წლის სექტემბერში კატარის მთავრობამ, სავარაუდოდ საუდის არაბეთთან თანამშრომლობის ბრალდებით, მოქალაქეობა ჩამოართვა ალ-მურას ტომის ალ-ლაფრანის შტოს მეთაურს შეიხ ტალეხ ბინ ლაჰემ ბინ შრეიმსა და მის 54 ნათესავს, რომლებმაც ქვეყანა დატოვეს და საუდის არაბეთში გადავიდნენ.<sup>47</sup>

ალ-თანებსა და ალ-მურას ტომის ნაწილს შორის ბოლო დაპირისპირებას ადგილი ჰქონდა 2021 წელს, როდესაც კატარში გაიმართა საკანონმდებლო ორგანოს პირველი არჩევნები. საარჩევნო კანონის გამკაცრების შედეგად, ალ-მურას ზოგიერთი შტოს წევრებს შეეზღუდათ არჩევნებში კენჭისყრისა და ხმის მიცემის უფლება.

## საკონსულტაციო ასამბლეის არჩევნები

კატარის 2005 წლის კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოა - საკონსულტაციო ასამბლეა/საბჭო („მაჯლის ალ-შურა“), რომელსაც ძირითადად გააჩნია საკონსულტაციო დანიშნულება. საბჭო ძირითადად ორიენტირებულ იქნება ისეთ სოციალურ და შიდაპოლიტიკურ თემებზე როგორცაა მოქალაქეობის გაცემის ან ჯანდაცვის საკითხები, სხვა საკვანძო სფეროები, როგორცაა საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა ან უსაფრთხოება კვლავ რჩება ალ-თანების მმართველი ოჯახის პრეროგატივად.<sup>48</sup>

<sup>47</sup> “Saudi-UAE Push to Mobilize Tribes against Qatar Emir”, last modified November, 2017.

<https://intpolicydigest.org/saudi-uae-push-mobilize-tribes-qatari-emir/>

<sup>48</sup> “Qatar’s first legislative elections see 63.5% voter turnout”, last modified October 3, 2021.

საბჭო 1972 წელს დაარსდა და შედგებოდა 20 წევრისგან. 1975 წელს შემადგენლობას დაემატა 10 წევრი. ამ დრომდე საბჭოს ყველა წევრს ამირა ნიშნავდა. 2005 წლის კონსტიტუციის თანახმად, საბჭოს შემადგენლობა 45 წევრით განისაზღვრა, რომელთაგან 15 ნიშნავს ამირა, ხოლო დანარჩენი 30 აირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით, 4 წლის ვადით.

თავდაპირველი გადაწყვეტილებით საბჭოს არჩევნები უნდა გამართულიყო 2013 წელს, თუმცა მას შემდეგ გადაიდო, რაც ქვეყნის მმართველმა ამირამ ჰამად ბინ ხალიფა ალ-თანიმ ხელისუფლება თავის ვაჟს თამიმ ბინ ჰამად ალ-თანის გადააბარა. მოქმედი საკონსულტაციო ასამბლეის არსებული შემადგენლობით უფლებამოსილების ვადა გახანგრძლივდა ჯერ 2015, ხოლო შემდეგ 2019 წლამდე. 2019 წლიდან დაიწყო არჩევნებისთვის მზადება, რომელიც საბოლოოდ გაიმართა 2021 წლის 2 ოქტომბერს.

არჩევნებში კენჭისყრისა და ხმის მიცემის უფლებების განსაზღვრის საკითხმა დაპირისპირება გამოიწვია ალ-მურას ტომის რიგებში. კატარის კონსტიტუციის 80-ე მუხლის თანახმად, საბჭოს წევრობისთვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: იყოს ეროვნებით კატარელი, მინიმუმ 30 წლის, თავისუფლად ფლობდეს არაბულ ენას, არ იყოს ნასამართლევნი და აკმაყოფილებდეს საარჩევნო კანონის პირობებს.<sup>49</sup> უკმაყოფილება მოჰყვა „კატარელობის“ განსაზღვრას. 2005 წელს მიღებული კატარის ეროვნული კანონის (#38) თანახმად, კატარელად ითვლება პირი, რომლის წინაპრებიც ქვეყანაში ცხოვრობენ 1930 წლის შემდეგ და აქვს ქვეყანაში მუდმივად/უწყვეტად ცხოვრების კანონიერი უფლება. 2021 წლის 7 ივლისის ამირას ბრძანებით, კატარის საარჩევნო კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც კატარის მოქალაქეობისა და 18 წლიანი ასაკობრივი ზღვარის გარდა არჩევნებში მონაწილეობისთვის პირობად აყენებს ფაქტს, რომ პირის პაპა ასევე იყოს დაბადებული კატარში და იყოს „კატარელი“. შედეგად კატარელებს, რომელთა ოჯახები არ ცხოვრობდნენ კატარში 1930 წლამდეც, შეეზღუდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ახალი გადაწყვეტილებით ყველაზე მეტად არჩევნებში ჩართვის მხრივ შესაძლებლობები შეეზღუდა ალ-მურას ტომის წევრებს, ვინაიდან მათი წინაპრები დიდწილად საუდის არაბეთში ცხოვრობდნენ ან/და არ ჰქონდათ მუდმივად კატარში ცხოვრების ისტორია. გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ალ-მურას ტომის წევრებმა დაიწყეს კამპანია სოციალურ ქსელებში, სადაც აკრიტიკებდნენ ემირს. აღნიშნულს მოჰყვა საპროტესტო აქციები დოჰაში. შედეგად, სამართლდამცავებმა „რასისტული და ტომობრივი შუღლის“ გაღვივების ბრალდებით დააკავეს დემონსტრაციის ლიდერები, ხოლო აქციის სხვა მონაწილეები - კოვიდ-რეგულაციების დარღვევის გამო.<sup>50</sup>

არჩევნებთან დაკავშირებით მეორე საკამათო საკითხს წარმოადგენდა საარჩევნო უბნების დელიმიტაცია. ხელისუფლების მთავარ მიზანს წარმოადგენდა უბნების იმგვარად გადანაწილება, რომ დაცული ყოფილიყო ყველა მნიშვნელოვანი ტომის წარმომადგენლობა საბჭოში, რათა რომელიმე მათგანს არ გასჩენოდა უკმაყოფილებისა

<https://www.reuters.com/world/middle-east/qatar-holds-first-legislative-elections-2021-10-02/>

<sup>49</sup> „Qatar’s Constitution of 2003”, last modified August, 2021.

[https://www.constituteproject.org/constitution/Qatar\\_2003.pdf?lang=en](https://www.constituteproject.org/constitution/Qatar_2003.pdf?lang=en)

<sup>50</sup> „Qatar arrests seven people for racial speech, 88 others for breaking COVID measures“, last modified August 10, 2021. <https://english.alarabiya.net/News/gulf/2021/08/10/Qatar-s-Shura-Council-election-requirements-spark-controversy-lead-to-arrests->

და უსამართლობის განცდა. ოქტომბრის აღნიშნული არჩევნები წარმოადგენდა კატარის სახელმწიფოებრივი განვითარებისა და მოქალაქეების პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის პირველ მცდელობას.<sup>51</sup>

## დასკვნა

ისტორიულად ტომებს არაბეთის ნახევარკუნძულზე განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდათ სახელმწიფოსა და საზოგადოების ფორმირებასა და ურთიერთობაში. მათი მნიშვნელობა პერიოდულად იცვლებოდა ქვეყნის შიგნით და რეგიონში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. XX საუკუნის შუა პერიოდიდან სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნების სახელმწიფოებრივ მოწყობაში „ტრაიბალიზმმა“ წამყვანი ფუნქცია დაკარგა. ნავთობის აღმოჩენამ განაპირობა კატარის გარდაქმნა კვაზი-ტრაიბალური ინსტიტუტიდან შედარებით ბიუროკრატიულ სისტემად. 1970-იან წლებში კატარს ჰქონდა ძლიერი მოტივაცია, რომ გამხდარიყო თანამედროვე სახელმწიფო. შესაბამისად, სახელმწიფოს ლიდერებისთვის „ტრაიბალიზმმა“ დაკარგა აქტუალურობა. ზოგიერთი ტომის ხალხი ცდილობდა ურბანული ცხოვრების სტილზე გადასვლას, რამაც დაასუსტა ტომობრივი საზოგადოება და ერთიანობა. ვითარება 1990 წლის სპარსეთის ყურის კრიზის შემდეგ შეიცვალა, როდესაც ტომების სიძლიერე, ერთიანობა და მხარდაჭერა კვლავ აქტუალური გახდა მმართველებისთვის.

მიუხედავად ცვლილებებისა, ტომები კვლავ წარმოადგენენ კატარის ყველაზე მსხვილ „თვითიდენტიფიცირებულ“ ჯგუფებს. ქვეყანაში ამ დრომდე შენარჩუნებულია ძლიერი ტომობრივი სისტემა. სხვადასხვა გავლენიანი საგვარეულო ოჯახი და ტომობრივი გაერთიანებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკისა თუ უსაფრთხოების სექტორში. შედეგად, ტომი/საგვარეულო ოჯახი კვლავ რჩება მისი წევრების მომავლისა და სოციალური პოზიციის განმსაზღვრელი.

ქვეყანაში, პოლიტიკური კონსოლიდაციის, სახელმწიფო მართვის პროცესში ტომების სახით საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებისა და მათთან სახელმწიფოს კავშირი შენარჩუნების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პოლიტიკური მართვის პროცესში რიგითი კატარელების მინიმალური ჩართვა. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის ოქტომბრის არჩევნები წარმოადგენდა მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს კატარის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით, წარმომადგენლობის შერჩევის მექანიზმი სავარაუდოდ გააძლიერებს უფრო ტომობრივ, ვიდრე ეროვნულ იდენტობას.

---

<sup>51</sup> Luciano Zaccara, “Qatar: The First Shura Council Elections”, Gulf Studies Center, Gulf Insight No.48 (2021)

## THE ROLE OF TRIBALISM IN THE FORMATION NOWADAYS POLITICAL SYSTEM OF QATAR

Socio-economic transformation and political progress have inevitably led to diminished importance of tribalism as a political element. However, tribes, influential families and clans still continue to play an important role in social and political lives of contemporary Arab states of the Persian Gulf. There are multiple tribes in each Arab states which differ from each other in their numbers as well as power they can wield or their socio-political status. Qatar, with its robust tribal structure and state-sponsored strong tribal identity, remains as a clear example. In case of Qatar, the importance of tribalism is underpinned by a certain social compact between the state and the tribes. This, particularly, involves loyalty of the tribes to the ruling Al Thani family which is one of the major pillars for the stability of the authorities, providing assured safety for both foreign and domestic policy matters. In exchange, tribes have guaranteed social, political and economic benefits from the government. However, Qatar's experience is also instructive to see that a tribe may become a potential threat. This is confirmed by the attempts of external actors, in particular Saudi Arabia, to manipulate Qatar's largest Al Murrah tribe to overthrow Qatar's political system in 1995, 2005 and 2017. The first legislative elections held in Qatar in October 2021 was yet another demonstration of importance of tribalism in the country's political life.

### გამოყენებული ლიტერატურა - References:

1. გელოვანი, ნანი. *თანამედროვე არაბული ქვეყნები*. თბილისი: უნივერსალი, 2008.
2. Abulof, Uriel. "Can't buy me legitimacy: The elusive stability of Mideast rentier regimes". *Journal of International Relations and developments*, February 2015. DOI:10.1057/jird.2014.32
3. Al-Kuwari, Maryam, "Tribal Revival in the Gulf: A Trojan Horse or ar Threat to National Identities?" (LSE Middle East Centre, August, 2018) <https://blogs.lse.ac.uk/mec/2018/08/31/tribal-revival-in-the-gulf-a-trojan-horse-or-a-threat-to-national-identities/>
4. Alshawi, Ali A. Hadi, "The Al-Murrah Tribe in Qatar: Political Impact". Master's Theses, Western Michigan University, 1994.



5. Beblawi, Hazem. "The Rentier State in the Arab World". *Arab Studies Quarterly* 9. 1987.
6. Council of Ministers, last modified October, 2021, Council of Ministers - Government Communications Office (gco.gov.qa)
7. Dohanews. "Report: Qatari families earn almost three times as much as expats" Last modified June, 2014. <https://www.dohanews.co/ministry-stats-show-average-qatari-household-earns-qr72000-monthly/>
8. Gulfnews. "Line of succession: The Al Thani rule in Qatar". Last modified June 24, 2013. <https://gulfnews.com/world/gulf/qatar/line-of-succession-the-al-thani-rule-in-qatar-1.1201210>
9. Gulfnews. "Revealed: Top 5 most powerful Arabs in Qatar", last modified April, 2021 <https://gulfbusiness.com/revealed-top-5-powerful-arabs-in-qatar/>
10. Herb, Michael. *All in the Family*. Albany, NY, 1999.
11. Hertog, Steffen "The Political Decline and Social Rise of Tribal Identity in the GCC" (LSE Middle East Centre, 2018) accessed October 1, 2021. <https://blogs.lse.ac.uk/mec/2018/07/25/the-political-decline-and-social-rise-of-tribal-identity-in-the-gcc/?fbclid=IwAR1alCOFxPkUGMq4wpTXgMbE-USwQrZgfp05j1hF415aC1L5qB-j5v3UI-w>
12. International Policy Digest. "Saudi-UAE Push to Mobilize Tribes against Qatar Emir". Last modified November 20, 2017. <https://intpolicydigest.org/saudi-uae-push-mobilize-tribes-qatari-emir/>
13. Kamrava, Mehran. Qatar: Small State Big Politics. Cornell University Press, 2013.
14. Longva, Anh. "Nationalism in Pre-Modern Guise: The Discourse on Hadhar and Badu in Kuwait" (*International Journal of Middle East Studies*, <https://www.jstor.org/stable/3879969?socuid=8f6a0468-c22f-41f0-9962-fe0a8ac1fd46&socplat=email>)
15. Mann, Michael. "The Sources of Social Power". Cambridge, 1993. <https://www.psa.gov.qa/en/statistics1/StatisticsSite/Pages/KeyIndicators.aspx>
16. Peterson, J.E. "Tribes and Politics in Eastern Arabia." *Middle East Journal*, Vol. 31, No. 3 (Summer 1977). [http://www.jepeterson.net/sitebuildercontent/sitebuilderfiles/Tribes\\_and\\_Politics\\_in\\_Eastern\\_Arabia.pdf](http://www.jepeterson.net/sitebuildercontent/sitebuilderfiles/Tribes_and_Politics_in_Eastern_Arabia.pdf)
17. Polak-Springer, Peter. "Bordering Zubara: oil politics, the 1937 Qatari-Bahraini conflict, and the making of a modern Arabian (Persian) Gulf Borderland", (*Journal of Borderlands Studies*, 2020). doi:10.1080/8865655.2020.1855228
18. Rosenthal, Franz (trans.), The Muqaddimah -Abd Ar Rahman bin Muhammad ibn Khaldun ([https://asadullahali.files.wordpress.com/2012/10/ibn\\_khaldun\\_al\\_muqaddimah.pdf](https://asadullahali.files.wordpress.com/2012/10/ibn_khaldun_al_muqaddimah.pdf))
19. Reuters. "Qatar's first legislative elections see 63.5% voter turnout", last modified October 3, 2021. <https://www.reuters.com/world/middle-east/qatar-holds-first-legislative-elections-2021-10-02/>

20. Shafeeq Ghabra “Kuwait: At the Crossroads of Change of Political Stagnation”, May 20, 2014. Middle east Institute.  
<https://www.mei.edu/publications/kuwait-crossroads-change-or-political-stagnation>
21. Snoj, Jure. “A guide to the most powerful families in Qatar”. Priya Dsouza Communications. February, 2017. <http://priyadsouza.com/powerful-families-qatar-al-thani/>
22. “Qatar arrests seven people for racial speech, 88 others for breaking COVID measures”, last modified August 10, 2021.  
<https://english.alarabiya.net/News/gulf/2021/08/10/Qatar-s-Shura-Council-election-requirements-spark-controversy-lead-to-arrests->
23. „Qatar’s Constitution of 2003”, last modified August, 2021.  
[https://www.constituteproject.org/constitution/Qatar\\_2003.pdf?lang=en](https://www.constituteproject.org/constitution/Qatar_2003.pdf?lang=en)
24. “Qatar’s first legislative elections see 63.5% voter turnout”, last modified October 3, 2021. <https://www.reuters.com/world/middle-east/qatar-holds-first-legislative-elections-2021-10-02/>
25. “Thousands in Saudi Arabia after losing Qatari citizenship”. Last modified April, 2005.  
<https://gulfnews.com/world/gulf/qatar/thousands-in-saudi-arabia-after-losing-qatari-citizenship-1.283103>
26. “The Founder al-Wajba Battle”. Last modified September 25, 2021.  
<https://www.qatar.qa/en/the-founder/alwajba-battle/>
27. The World Bank. “GDP per capita (current US\$) – Qatar”.  
<https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=QA>
28. Zaccara, Luciano. “Qatar: The First Shura Council Elections”, Gulf Studies Center, *Gulf Insight* No.48. 2021.

## ირანის თემა და 2020 საარჩევნო წელი საქართველოში (ქართული მედიამასალების მიხედვით)

პარტიებს შორის ურთიერთობები ავლენს პასუხისმგებლობას პოლიტიკური კონკურენციის პრაქტიკისადმი.<sup>1</sup> კონკურენცია პიკს, ჩვეულებრივ, წინასაარჩევნოდ აღწევს, თუმცა 2020 წლის საპარლამენტო წინასაარჩევნო მარათონი, ხანგრძლივი პოლარიზაციის პირობებში, ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის არჩევნებამდე გაცილებით ადრე დაიწყო და სხვადასხვა პერიოდში არაერთი თემა მოიცვა. ზოგჯერ არსებობს მნიშვნელოვანი საგარეო მიზეზები, რომლებიც გარკვეულ პარტიებს სხვაზე მეტ უპირატესობას ანიჭებს; ხანდახან შეიძლება შეიქმნას ვითარება, როდესაც მშვიდობის და დემოკრატიის ერთადერთ ხელშემწყობ საშუალებას წარმოადგენს პროგრამები, რომლებიც ერთ კონკრეტულ პარტიას ეხმარება და პარტიულობა გარდაუვალია.<sup>2</sup> ხშირად კი პიროვნებებს და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით მანიპულირებას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე პარტიულ ორგანიზაციას.<sup>3</sup> პოლიტიკის სფეროში, როგორც იდეოლოგიური ლანდშაფტის, ისე პარტიების პოზიციების და მათი პოლიტიკის გაგება, მხოლოდ დემოკრატიული მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.<sup>4</sup>

ირანის თემა, მრავალი სუბიექტური და ობიექტური მიზეზის გამო, საქართველოში მშენებარე დემოკრატიის თითქმის არც ერთ ნარატივს არ ესადაგება. მიუხედავად ამისა, 2020 წელს ქართულმა მედიასაშუალებებმა ირანთან დაკავშირებული არაერთი „საერთაშორისო სკანდალი“ პარტიული დაპირისპირების ჭრილში გადაიტანეს, რომელთა „აფთერშოქები“ 2021 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინაც შეიმჩნეოდა.

2020 წლის დადგომისთანავე, 13 იანვარს, ირანის თემას ტელეკომპანიებმა „მთავარმა“ და „ფორმულამ“ ერთდროულად დაუთმეს ეთერი. ამ თემასთან დაკავშირებით, ოპოზიციური სატელევიზიო არხების სამიზნე საქართველოს იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი გახდა. სიუჟეტები სათაურით „გიორგი გახარიას საიდუმლო ირანული თამაშები“<sup>5</sup> და „გიორგი გახარია, შესაძლოა, ფულის გათეთრების

<sup>1</sup> Peter Burnell, Building Better Democracies. Why Political Parties Matter, Westminster Foundation for Democracy, Dec. 2004, 5

<http://www.eods.eu/library/WFD.%20Building%20Better%20DemocraciesWhy%20political%20parties%20matter.pdf>

<sup>2</sup> Ibid. 9.

<sup>3</sup> Ibid. 6.

<sup>4</sup> Matthew Loveless, “Information and Democracy: Fake News as an Emotional Weapon”, in Democracy and Fake News, Information Manipulation and Post-Truth Politics, Routledge, 2021, 64

<sup>5</sup> <https://www.facebook.com/watch/?v=553585075231447>

საქმეს შეეწიროს“<sup>6</sup>, ერთი და იმავე ამერიკულ წყაროზე დაყრდნობით, ირანთან პრემიერის შესაძლო კავშირების გამოვლენას ცდილობდა. ამერიკელი მიმომხილველი ქ. თიმერმანი<sup>7</sup> „მთავართან“ პრემიერ-მინისტრის შს მინისტრობის პერიოდში, 2018 წ. თებერვალში, მისი დავალებით, გაყალბებული მტკიცებულებით და „გამოგონილი ბრალდებებით“ დაკავებულ ირანელ მოქალაქეზე ა. სოლეიმან პაკის შესახებ საუბრობდა<sup>8</sup>, რომელიც 9/11-ის საქმეზე ამერიკული სამსახურების მნიშვნელოვანი ინფორმატორი იყო. მეორე წყარო, ამერიკელი ანალიტიკოსი ქ. ფუშოუ<sup>9</sup> იმავე მტკიცებულებებთან ერთად, 2014 წელს ამერიკის სახაზინო დეპარტამენტის მიერ გამოვლენილ 150 ირანულ კომპანიასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ სკანდალს იხსენებდა, რომლებსაც „საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები სანქციებისთვის თავის არიდებაში ეხმარებოდნენ“. პრემიერის არასანდო რეკუტაციასთან ერთად, ყურადღება გამახვილდა ერთ-ერთ უცხოურ გამოცემასთან მიმომხილველის ინტერვიუდან ამონარიდზე, სადაც ის საუბრობდა შავი ზღვის სანაპიროზე ახალი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის მნიშვნელობაზე, რომელიც საქართველოს სერიოზულ მოთამაშედ ჩამოყალიბების შანსს მისცემდა. სიუჟეტში ავტორებმა ყოფილი პრემიერის მ. ბახტაძის აშშ-ში ბოლო ვიზიტიც გაიხსენეს, „სადაც მას განუცხადეს, რომ არ ენდობოდნენ და შეუძლებელია, ამერიკასთან პარტნიორობის პოლიტიკასთან ერთად, რუსეთის, ჩინეთისა და ირანის ეკონომიკური ინტერესები დაიცვას.“<sup>10</sup> წარმოდგენილი მასალის საფუძველზე, კეთდებოდა დასკვნა, რომ „მოქმედი პრემიერ-მინისტრის ხელისუფლებაში მოსვლას უკავშირდებოდა ანაკლიის პორტის პროექტის ჩაშლა, 9/11-ის ირანელი „გმირის“ დაკავება, 20 ივნისის მოვლენები თბილისში და ამჯერად უკვე, მისი მჭიდრო ურთიერთობები ირანის ხელისუფლებასთან.“<sup>11</sup>

„ფორმულამ“ იმავე საკითხის შესახებ იმავე წყაროსთან საუბრიდან ამჯერად პრემიერ-მინისტრის ირანთან კავშირების ის მაგალითები დაასახელა, რომელიც, მისი ეკონომიკის მინისტრის პოსტზე მუშაობის პერიოდს ეხებოდა: „საინტერესო და საეჭვო ის იყო, რომ როდესაც გახარია ეკონომიკის მინისტრად დანიშნეს, ირანიდან ინვესტიცია 600%-მდე გაიზარდა. ეს შეიძლება, კანონიერი ყოფილიყო, თუმცა Wall Street Journal-მა და შერთებული შტატების ხაზინამ დაადგინა, რომ 150-ზე მეტი საფარქვეშ მომუშავე კომპანია გამოიყენა საქართველოში ირანის რეკოლუციის გულშემატკივარად, რომელსაც ჩვენ ტერორისტულ ორგანიზაციად ვთვლით. ამ კომპანიებს ისინი ირანული ფულის გასათეთრებლად იყენებენ, სანქციებს რომ თავი აარიდონ. ეს არ

<sup>6</sup> <https://formulanews.ge/News/18884>

<sup>7</sup> Kenneth R. Timmerman – მწერალი, ანალიტიკოსი; ახლო აღმოსავლეთის და თავდაცვის თემების ვეტერანი მიმომხილველი.

<sup>8</sup> 2018 წლის 9 თებერვალს თბილისში სპეცოპერაციის შედეგად, ირანის მოქალაქე ა.სოლეიმან პაკი მკვლელობის მომზადების ბრალდებით დააკავეს. <https://reginfo.ge/people/item/5044-tbilisshi-spezoperaziis-shedegad-mkvlleobis-momzadebis-braldebit-iranis-moqalaqe-daakaves>

<sup>9</sup> Ch. Pushaw - პოლიტიკური კონსულტანტი;

(მის შესახებ: <https://www.tampabay.com/news/florida-politics/2021/07/27/press-secretary-christina-pushaw-sought-job-after-admiring-desantiss-handling-of-pandemic/>)

<sup>10</sup> <https://www.facebook.com/watch/?v=553585075231447>

<sup>11</sup> იქვე.

ადასტურებს იმას, რა ურთიერთობა აქვს გახარიას ირანთან. ჩემთვის ამან უბრალოდ კითხვები გამოიწვია იმ ამბის გამო, რომ ბოლო პერიოდში, გახარიას ბრძანებით, ამერიკის ოქროს მოწმეც დააკავეს.<sup>42</sup>

საინფორმაციო პორტალმა *newsreport.ge* ფბ გვერდიდან მკითხველს შესთავაზა პოსტი, სადაც იგივე ანალიტიკოსი წერდა: „პრობლემა მდგომარეობს არა ირანის მხრიდან კანონიერ ინტერესებში, არამედ იმაში, რომ საქართველო ხვრელებს უტოვებს ირანის რევოლუციურ გვარდიას – ტერორისტულ ორგანიზაციას – საქართველოში ფულის გასათეთრებლად, სანქციებისგან თავის ასარიდებლად და გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე წვდომისთვის. გახარია ეკონომიკის მინისტრის რანგში 2017 წელს წარმოდგენილად იყო დაინტერესებული ირანიდან დიდი რაოდენობის ინვესტიციების მოზიდვით, მასპინძლობდა საქართველოში კონფერენციებზე ირანის მაღალი რანგის სამთავრობო ჩინოვნიკებს და ტრამპობდა პირდაპირი ირანული ინვესტიციების ექვსჯერ გაზრდით. მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქართველოში ლეგალური, აშკარაა, რომ გახარიას აქტიურობა ამ მხრივ არ უწყობდა ხელს საქართველოს ღია სურვილს აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობის გაფორმების შესახებ. აშშ საერთოდ არ ვაჭრობს ირანთან, მცირედი გამონაკლისების გარდა. კონგრესმენების სხდომამ 2018 წელს დატვიტა, რომ მიზეზი, რის გამოც საქართველო ვერ მიიღებს ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობას, იქნება ის, რომ საქართველო მეტისმეტად ბევრ რუსულ და ირანულ ინვესტიციებს უხსნის კარს, იმ დროს, როცა ამერიკელ ინვესტორებს ცუდად ექცევა.“<sup>43</sup>

პორტალის თანახმად, ანალიტიკოსი ფეისბუქგვერდზე განმარტავდა, რომ ეს მისი პირადი აზრი იყო და არა აშშ-ს პოზიცია. იგი იქვე დასძინდა: „მართალია, 2013–2014 წლებში საქართველოს მთავრობამ (მეოცნებებმა) იმუშავა აშშ-ს ხაზინასთან ირანის რევოლუციური გვარდიის 150 კომპანიის ფრონტ ოფისის დასახურად საქართველოში, მაგრამ შემდეგ წლებში, ირანის რევოლუციური გვარდიის ეს კომპანიები კვლავ გამოჩნდნენ შეცვლილი სახელებით და განაგრძეს ბიზნესის კეთება საქართველოში, სადაც აშშ-ის სანქციების სიაში მყოფი ირანელები დღემდე აქტიურები არიან. ირანის რეჟიმის რუსეთთან კავშირი საიდუმლო არავისთვის არის, ისევე როგორც გახარიასი.“<sup>44</sup> „ნიუზრეპორტის“ ცნობით, ამერიკელმა ანალიტიკოსმა ფეისბუქის გვერდზე აშშ-ს კონგრესის სხდომის ოქმიც გამოაქვეყნა, რომელშიც მოყვანილი იყო ერთ-ერთი კონგრესმენის ციტატა საქართველოდან საგანგაშო სიგნალების შესახებ: „ბოლო დროს საქართველოს მთავრობამ დაიწყო რიგი აგრესიული და გამოგნებელი ქმედებები ამერიკული კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოში ოპერირებენ. ამავე დროს ვხედავთ ინფორმაციას, მათ დადებით დამოკიდებულებას რუსული, ირანული და ჩინური კომპანიების მიმართ. ეს არის საგანგაშო სიგნალი, რომელიც სერიოზულად უნდა იყოს აღქმული.“<sup>45</sup>

ირანის თემა ქართულ საინფორმაციო საშუალებებში არც მაშინ მივიწყებულა, როდესაც 2020 წლის პირველ ნახევარში მსოფლიოში კორონავირუსი გავრცელდა და

<sup>12</sup> [shorturl.at/mxENQ](https://shorturl.at/mxENQ)

<sup>13</sup> <https://newsreport.ge/gakharia-shesadzloa-iranuli-fulis-gathethrebis-sqemebes-sheetsiros/>

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> იქვე.

ირანი, მწვავე ეპიდვითარების გამო, ერთ-ერთი პირველი გამოცხადდა წითელ ზონად. საქართველოს სანიტარული პროტოკოლების შესაბამისად, ამ ქვეყანასთან აიკრძალა როგორც მგზავრთა ნაკადი<sup>16</sup>, ასევე ტვირთბრუნვა<sup>17</sup> და მინიმუმ ექვსი თვის მანძილზე ეს მაჩვენებლები ნულოვან ნიშნულზე იყო. ამას ემატებოდა ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავებით შექმნილი ახალი რეალობა, რომელსაც ექსპერტების აზრით, რეგიონში ირანის პოზიციების დაკნინება მოჰყვა.

ამ ვითარებაში, 2020 წლის 15 მაისს ორი კონგრესმენისა და ორი სენატორის აშშ-ს იმჟამინდელი სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოსა და ფინანსთა მინისტრ სტივენ მნუჩინისადმი წერილის შესახებ ინფორმაციას ირანთან დაკავშირებული სიუჟეტების კასკადი ახლდა თან.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის 27-თვიანი დავა ამერიკულ (ტეხასში დაფუძნებულ) კომპანია Frontera Resources-თან 17 აპრილს, სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლოში, ქართული მხარის გამარჯვებით დასრულდა<sup>18</sup>, რასაც მოჰყვა წერილი, რომელშიც ტეხასის წარმომადგენელი სენატორები ტედ კრუზი, ჯონ კორნინი, ჯუდი არინგტონი და მარკვენ მალინი ოკლაჰომას შტატიდან, შემფოთებას გამოთქვამდნენ „[ამერიკის] გეოსტრატეგიული და ბიზნესინტერესების ხარჯზე საქართველოს მიერ კავშირების დამყარებით ამერიკის მიმართ მტრულად განწყობილ მოწინააღმდეგეებთან და მტრებთან“<sup>19</sup>. წერილში სენატორები საქართველოს ხელისუფლებას და მმართველ პარტიას - „ქართულ ოცნებას“ საქართველოში ამერიკული ბიზნესინტერესების შევიწროებაში, დასავლური ბიზნესისთვის საგადასახადო და ბიუროკრატიული ბარიერების შექმნასა და მათ ხარჯზე, ამერიკის მოწინააღმდეგეებთან, კერძოდ, რუსეთთან და ირანთან საქართველოს უკანონო კავშირების დამყარების მცდელობაში ადანაშაულებდნენ და ფედერალურ მთავრობას

---

<sup>16</sup> საქართველომ ირანთან მგზავრების საჰაერო გზით შემოყვანა 2020 წ. 23 თებერვალს, ხოლო 28 თებერვალს საერთაშორისო საავტომობილო სამგზავრო გადაყვანისა და საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვის გაცემა და გაცემული ნებართვის მოქმედება შეაჩერა. ამასთან, ავიაკომპანიებს შესაძლებლობა მიეცათ, ჩამოფრენილიყვნენ საქართველოში ცარიელი ბორტებით და მოეხდინათ საქართველოდან ტურისტების გაყვანა ირანის მიმართულებით. *საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. COVID-19 ფაქტები და მოვლენები* <https://gcaa.ge/covid-19-facts-and-figures/>;

<sup>17</sup> <https://bm.ge/ka/article/iranis-da-italiis-mimartulebit-samgzavro-da-satvirto-gadazidvebi-shecherda--saagento-/49889/>

<sup>18</sup> 2020 წლის 17 აპრილს საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, ერთი მხრივ, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ და ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს, ხოლო მეორე მხრივ, „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენსა“ და „ფრონტერა აშშ-ის“ შორის წარმოშობილ სადავო საკითხებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა, რომელიც 1997 წ. 25 ივნისის პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ კონტრაქტიდან გამომდინარეობს. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მხარი დაუჭირა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს მიერ კონტრაქტის ნორმათა ინტერპრეტაციას და მათი სასარჩელო მოთხოვნების აბსოლუტური უმრავლესობა დააკმაყოფილა. სასამართლომ დაადგინა, რომ „ფრონტერამ“ კონტრაქტი არსებითად დაარღვია და კომპანიას მოსარჩელებისთვის ხარჯებისა და ზარალის ანაზღაურება დააკისრა, რაც ჯამში \$6 მლნ. დოლარს შეადგენს. <https://report.ge/economics/frontera-mtavrobas-sitsrueshi-adanashaulebs/>

<sup>19</sup> <https://tabula.ge/ge/news/646420-ashsh-senatorebis-cerili-pompeos-ivanishvilze>

ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების დაცვისკენ მოუწოდებდნენ.<sup>20</sup> წერილის საგულისხმო პასაჟი ეთმობოდა საქართველოს ხელისუფლების კრიტიკას ირანისთვის დაწესებული სანქციების არასათანადო შესრულების გამო: „*ლეგალური ბიზნესის გაგდების შემდეგ მისი ადგილი უკანონო ვაჭრობამ დაიკავა. წლების განმავლობაში ქართული ბიზნესი და საქართველოს ფინანსური სისტემა აშშ-ის ოფიციალური პირების მიერ ცნობილი იყო, როგორც ირანზე ამერიკული სანქციების გვერდის ავლის საშუალებები, რაც სულ მცირე 2013 წელში გვაზრუნებს, როდესაც ჩვენმა ხელისუფლებამ გაიგო, რომ სამმა ირანელმა ბიზნესმენმა კონტროლი დაამყარა თბილისში მცირე საბანკო ინსტიტუტზე და ისინი მას ფულის გადასატანად და დამატებითი საქმიანობისთვის იყენებდნენ, რაც მოიცავდა ფულის გადაცვლას, კომპანიებს შავი ზღვის სანაპიროზე და ასევე ავიაკომპანიას. ქვეყნის დასავლური ორიენტაცია, მის პორტებთან ერთად, ირანელებისთვის იდეალური სამიზნეა. სინამდვილეში, ბოლოდროინდელი ცნობებით, ბათუმის პორტი კვლავ ირანის უკანონო ნავთობის აქტივობების სამიზნეა.*“<sup>21</sup>

სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ერთი თვის შემდეგ, სენატორების წერილის კვალდაკვალ, ქართულ სატელევიზიო სივრცეში არაერთი სიუჟეტი მომზადდა როგორც ოპოზიციასთან ასოცირებულ არხებზე „ფორმულა“, „მთავარი“, ისე პროსახელისუფლებო „იმედსა“ თუ ზოგადად, გაშუქების ნეიტრალური ტონის მქონე „ტვ პირველზე“. წარმოდგენილმა ფაქტებმა თუ სავარაუდო ვერსიებმა ერთი თვის განმავლობაში მრავალრიცხოვანი საინფორმაციო პორტალებიც მოიცვა. მათში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა კომპანია „ფრონტერას“ პრობლემებს, დავის მიზეზებს ან რუსეთთან კავშირ-ურთიერთობების დეტალებს; ირანთან ბუნდოვანი საქმიანი სქემების სავარაუდო ვერსიები კი შედარებით ადვილად მოერგო ისედაც დამაბული წინასაარჩევნო დაპირისპირების კონტექსტს, ხოლო უკიდურესად პოლარიზებულ მედიაგარემოში, სადაც იმ პოლიტიკური პლატფორმის შესაბამისად მომზადებული სიუჟეტები შესთავაზეს მაცურებელს, რომელსაც ცალკეული არხები იზიარებდნენ, ირანის თემამ ძირითადი რეიტინგული პარტიებისთვის (როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური) მაკომპრომეტირებელი ეფექტი შეიძინა. მით უფრო, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ირანთან დაკავშირებული საკითხები ქართულ პოლიტიკაში რადიკალურად დაპირისპირებულ მხარეთათვის ერთგვარ „სამხილად“ იქცა.

16 მაისს, სენატორების წერილის გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, გადაცემაში „შაბათის ფორმულა“ ვრცელი სიუჟეტი გავიდა სათაურით „სახიფათო კავშირები“. „*ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც აშშ-დან საქართველოს ხელისუფლების მისამართით ირანთან დაკავშირებით ბრალდებები ისმის*“ - ასე იწყებოდა სიუჟეტი, რომელშიც ექსპერტები ოპოზიციური სპექტრიდან ყურადღებას ამახვილებდნენ სენატორების მიერ გამოთქმული კრიტიკის მნიშვნელობაზე საქართველოსთვის და აღნიშნავდნენ, რომ ბოლო წლების განმავლობაში მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ ასეთი მასშტაბის სკანდალში პირველად გაეხვა. იმავე წყაროს, რომელიც 13 იანვარს „ფორმულასა“ და „მთავარის“ გადაცემებში საუბრობდა, არც ახალ სიუჟეტში აკვირვებდა წერილის შინაარსი, რადგან, „*ქართველი მაღალჩინოსნები ტერორისტულ*

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> იქვე.

ორგანიზაციებად აღიარებულ ირანულ კომპანიებს ფულის გათეთრებაში ხელს უწყობენ<sup>22</sup>; კვლავ განმეორდა იანვრის ინტერვიუს შინაარსი არალეგალურ ბიზნეს-გარიგებებსა და „2017 წლიდან, [პრემიერ-მინისტრ] გ. გახარიას ეკონომიკის მინისტრად დანიშვნის დროიდან, საექვოდ გაზრდილ ირანულ ინვესტიციებზე საქართველოში და აქ მცხოვრები არაერთი ირანელის ბიზნეს-საქმიანობაზე, რომლებიც დაკავშირებული არიან ტერორისტულ ორგანიზაციებთან და აშშ-ის სანქციების სიაშიც შეყვანილი.“<sup>23</sup> საქართველო-ირანს შორის უკანონო გარიგების ერთ-ერთ მაგალითად ისევე, როგორც 13 იანვარს, პრემიერის შს მინისტრის პოსტზე მოღვაწეობის ისტორიიდან (2018 წ.) „მისი ბრძანებით, ირანის საელჩოსთან შეთანხმებით, საქართველოში მცხოვრები ირანელის დაკავება“ გაიხსენეს, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტის ფაქტთან დაკავშირებით, ამერიკის სამსახურებისთვის მნიშვნელოვან მოწმეს წარმოადგენდა.<sup>24</sup> სიუჟეტის ავტორები კონკრეტული განცხადებებისა და მაგალითების მოშველიებით, შემფოთებულნი აცხადებდნენ, რომ „ამ საექვო სქემებით, საქართველოს ხელისუფლებას ფაქტობრივად, საერთაშორისო პარტნიორის წინააღმდეგ წავიდა“. ოპოზიციური პარტიების (ენმ, რესპუბლიკელები, „სტრატეგია-აღმამენებელი“) ლიდერები „ფორმულასთან“ საუბარში ამერიკელი კანონმდებლების ღია ბრალდებების სკანდალს უპრეცედენტოს უწოდებდნენ. იქვე „საექვო ფულისა და ირანთან გარიგებების გამო, „ოცნების“ მთავრობის კრიტიკის“ მაგალითს 2013 წლიდან იხსენებდნენ, რის გამოც მაშინ „აღმასრულებელ ხელისუფლებას 150-მდე ირანული ანგარიშის გაყინვა მოუწია გამოცემა The Wall Street Journal-ში გამოქვეყნებული კრიტიკული სტატიის გამო“.

იმავე 16 მაისს, სენატორების წერილი გადაცემა „ფორმულა ნიუზმაჯ“ გააშუქა, სადაც „ოცნების“ ხელისუფლებას ირანთან საექვო ფინანსურ გარიგებებში პირდაპირ ადანაშაულებდა. მორიგ მასალაში მაყურებელმა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების სახით, კვლავ ცალკეული კონკრეტული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა შეხედულებები მოისმინა.<sup>25</sup>

სენატორების წერილზე სახელისუფლებო პარტიის კომენტარი იგვიანებდა. დუმილი ოპოზიციის ექვემს კიდევ უფრო ამძაფრებდა. საქართველოს ხელისუფლების მიმართ სენატორების კრიტიკული მოსაზრებები გაიზიარეს ოპოზიციური პარტიების („გირჩი“, ენმ, ლეიბორისტული, „ლელო“) თავმჯდომარეებმა სიუჟეტში სათაურით „წერტილს ყოველთვის აშშ სვამს“, რომელიც 17 მაისს გავიდა „მთავარი“ არხის გადაცემაში „პოსტ ფაქტუმ“.<sup>26</sup> ისინი ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის თავმჯდომარის ბ. ივანიშვილის კრიტიკასთან ერთად, საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესებას პროგნოზირებდნენ. ცალკეული პარტიების ლიდერების განცხადებებს ლაიტმოტივად გასდევდა ამონარიდები წერილიდან ამერიკული კომპანიების „ფრონტერასა“ და „კონტი გრუპის“ მიერ ფოთისა და ანაკლიის პორტებში განხორციელებული ინვესტიციების შეზღუდვისა და საფრთხეების შესახებ. წერილის შინაარსიდან გამომდინარე, რესპოდენტები რუსეთთან არაფორმალურ კავშირებზე,

<sup>22</sup> <https://bit.ly/3voEBEZ>

<sup>23</sup> იქვე

<sup>24</sup> [https://formulanews.ge/?m=41&news\\_id=18921&lng=geo&cat\\_id=](https://formulanews.ge/?m=41&news_id=18921&lng=geo&cat_id=)

<sup>25</sup> [shorturl.at/ejBR8](http://shorturl.at/ejBR8)

<sup>26</sup> <https://www.facebook.com/107065540663565/posts/299859184717532/>



ხოლო სიუჟეტის ავტორი - ხელისუფლების დუმილზე ამახვილებდნენ ყურადღებას. დასკვნა ასეთი იყო: „ოცნებას“ მოუწევს, ვაშინგტონი დაარწმუნოს, რომ ირანის მეგობარი საქართველო ამერიკის მეგობარია.“<sup>27</sup>

მედიასთან სახელისუფლებო პარტიის პირველი კომენტარი სენატორების წერილზე 19 მაისს გაკეთდა. ჟურნალისტების შეკითხვებზე, თუ რა უკანონო ვაჭრობაზე საუბრობდნენ კონგრესმენები და რომელ ირანულ კომპანიასთან თანამშრომლობდა ბათუმის პორტი, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რომელ ირანულ კომპანიაზე ან რა ვაჭრობაზე იყო საუბარი“. მისი განცხადებით, პოლიტიკურად ანგაჟირებული ლობისტების წერილის მიღმა ის მხოლოდ კონკრეტულ ამერიკულ კომპანიას ხედავდა, რომელთან ბრძოლა საერთაშორისო არბიტრაჟში საქართველოს გამარჯვებით დასრულდა.<sup>28</sup> სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობის შესახებ და ირანთან დაკავშირებულ ბრალდებებზე კი უპასუხა, რომ „საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც თავის ამერიკელ პარტნიორებთან ერთად, 2013 წლიდან, ირანისთვის სანქციების დაწესების პირობებში გადადგა ქვეყნის ეკონომიკისთვის უკიდურესად მძიმე ნაბიჯები, სწორედ სტრატეგიული პარტნიორის ინტერესების გათვალისწინებით.“<sup>29</sup> პრემიერ-მინისტრი იქვე ხაზს უსვამდა „ბოლო 5 წელში საქართველოს ევროატლანტიკური თანამშრომლობის უკიდურესად გაღრმავებულ დონეს“ და კონკრეტულ მიმართულებებს, „რასაც ლოგიკურად ეფუძნება ეს პარტნიორობა.“

სენატორების წერილის ერთ ნაწილთან დაკავშირებით, სადაც ისინი უთითებდნენ ბოლოდროინდელ ცნობებზე, რომელთა თანახმად, ბათუმის პორტი კვლავ გახდა ირანული ნავთობით უკანონო ვაჭრობის სამიზნე, 19 მაისს ჟურნალში „ბათუმელები“ გამოქვეყნდა ინტერვიუ ნავთობტერმინალის კომერციულ დირექტორთან.<sup>30</sup> ის აცხადებდა, რომ „ბათუმის ნავთობტერმინალს არ მიუღია, არ იღებს და არ ახორციელებს ირანული წარმოშობის ნავთობის ტრანსპორტირებას, პორტსა და ტერმინალში არ შემოდის არანაირი ნავთობი ირანიდან. მეტიც, არანაირი საქმიანობა არ ხორციელდება ამ რესპუბლიკის სახელით და ასეთი განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს.“<sup>31</sup> პორტის წარმომადგენელი ინტერესდებოდა, რა მონაცემების საფუძველზე კეთდებოდა ამერიკელი სენატორების დასკვნები და განმარტავდა, რომ პორტი ბოლო პუნქტია ნედლეულის მიღების პროცესში. ირანიდან ბათუმში მისაწოდებლად ნავთობმა გრძელი გზა უნდა გაიაროს და, თუ ეჭვი არსებობს მონაცემებთან დაკავშირებით, ნებისმიერ დროს შეიძლება ინფორმაციის გადამოწმება საქართველოს რკინიგზასა და საბაჟოსთან.<sup>32</sup>

ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენელთა განცხადებების ჭრილში მთელი კვირის მანძილზე პრესაში სკანდალი არ ცხრებოდა. 21 მაისს პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის წინაშე ნებისმიერ აქტუალურ კითხვაზე პასუხის გასაცემად მზადყოფნა გამოთქვა. მედიის აქტიურობა ვნებების დაცხრომისა და თემის სიმწვავის განელების

<sup>27</sup> იქვე

<sup>28</sup> <https://www.myvideo.ge/v/3934188>

<sup>29</sup> იქვე

<sup>30</sup> <https://batumelebi.netgazeti.ge/news/278008/>

<sup>31</sup> იქვე

<sup>32</sup> იქვე

საშუალებას არ იძლეოდა. 23 მაისს „მთავარმა“ მაყურებელს მორიგი მასალა შესთავაზა სათაურით „საქართველოში ირანული ნავთობით არალეგალურად ვაჭრობენ“.<sup>33</sup> სიუჟეტში მმართველი პარტიის წინააღმდეგ ირანული სამხილები ასე ჩამოყალიბდა: „სტრატეგიული პარტნიორები ვარაუდობენ, რომ საქართველოში ირანული ნავთობით არალეგალური ვაჭრობა მიმდინარეობს, რასაც ხელს კონკრეტული მაღალჩინოსნები უწყობენ“. ტერმინალის ხელმძღვანელობამ სიუჟეტში კატეგორიულად უარყო ირანული ნავთობით უკანონო ვაჭრობის ფაქტი და განმარტა, რომ „წლების განმავლობაში ისეთ კომპანიებს ემსახურებოდნენ, სადაც ირანული სახელმწიფოს ინტერესი იყო. ბოლო თვეებში კი თანამშრომლობა შეწყდა“. ტერმინალის წარმომადგენელი სწორედ ამის გამო ვარაუდობდა, რომ ამერიკელი პოლიტიკოსები შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი: „ირანული წარმომავლობის ტვირთებს საერთოდ არ უვლია, და ირანული ფაქტორი სადაც მონაწილეობდა, ვთქვათ, ტვირთმფლობელის სახით, ირანული ნაციონალური კომპანია NICO-ს ტვირთი, რომელიც აზერბაიჯანული წარმომავლობის ტვირთია, ბოლოს მისი მოწოდება მოხდა 2018 წლის ივნის-ივლისის თვეში“. პორტის წარმომადგენელი თვლიდა, რომ წერილის ავტორებს არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ. ამის დასტურად განმარტავდა, რომ პორტის ხელმძღვანელობის ინფორმირების გარეშე, მალულად ან თუნდაც სხვა ქვეყნის სახელით ირანული ნავთობის უკანონო ბრუნვა ვერ მოხდება, გადაზიდვაში პორტი არ არის ერთადერთი რგოლი; ამ პროცესში მიწოდების მთელი ჯაჭვია - საზღვაო სააგენტო, გემთმფლობელი, რკინიგზა და ა.შ. შესაბამისად, ირანიდან ტვირთის შემოსვლა რომელიმე რგოლზე აუცილებლად დაფიქსირდებოდა.<sup>34</sup>

„მთავარის“ ძიება ტერმინალ-1-ში გაგრძელდა, რომელიც პორტის ტერიტორიაზე დამოუკიდებლად ოპერირებს. სიუჟეტის ავტორი იქ „ოცნების“ ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნების ბიზნეს-ინტერესებს და მათთან დაახლოებული მფლობელების კვალს იკვლევდა. ერთ-ერთი მათგანის თქმით, „პორტი რუსულ კომპანიებთან თანამშრომლობს; ნავთობტანკერების მფლობელი კომპანიების ინფორმაციას ენდობიან და ტვირთის წარმომავლობასთან დაკავშირებით დამატებით კვლევას აღარ აწარმოებენ. ზოგიერთი ვერსიით, ირანული კასპიის ზღვის ნავთობი შესაძლოა, საქართველოში სწორედ რუსეთის გავლით, ვოლგა-დონის არხით შემოდიოდეს შავ ზღვაში. ამ გზით შემოსული ირანული ნავთობი კი ზოგ შემთხვევაში, საქართველოშიც მუშავდება. „მთავარის“ წყაროს ინფორმაციით, ტერმინალ 1-ში მიღებული ნედლი ნავთობი რკინიგზით თბილისში ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მიდის, მიღებულ საწვავს კი შემდეგ საბიუჯეტო გადასახადების გარეშე საქართველოს ტერიტორიაზე ყიდიან. მსგავსი მაქინაციებით სახელმწიფო ბიუჯეტი და საწვავის ბაზარზე კონკურენცია ზიანდება.“<sup>35</sup> ექსპერტები კი ირანული ნავთობით ვაჭრობაში სახელმწიფო ინტერესებსაც ვარაუდობდნენ, რამდენადაც გემების პორტამდე მისვლას რამდენიმე უწყება აკონტროლებს; შპს „ჰაბ ჯორჯიას“ წარმომადგენელი, 2018-2019

<sup>33</sup> [https://mtavari.tv/news/5467-sakartveloshi-iranuli-navtobit-aralegalurad?fbclid=IwAR081EJc\\_m9Pg1ZkCGEwr1DfH8wb5qWe-3oUNrBRGSEdVCIHWvXeYhoz1o8](https://mtavari.tv/news/5467-sakartveloshi-iranuli-navtobit-aralegalurad?fbclid=IwAR081EJc_m9Pg1ZkCGEwr1DfH8wb5qWe-3oUNrBRGSEdVCIHWvXeYhoz1o8)

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> იქვე

წლებში ქვეყანაში დიზელის იმპორტის 12 %-იან შემცირებას ალოგიკურად და საეჭვოდ მიიჩნევდა. მისი აზრით, ქვეყანაში შემოდის ისეთი ნავთობი და შემდეგ ხდებოდა მისი გადამუშავება ნავთობპროდუქტებად, რომელიც არ აღირიცხებოდა. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ სავარაუდოდ, სწორედ სანქციების ქვეშ მყოფი ირანული კომპანიისგან უნდა ყოფილიყო ნავთობი შეძენილი.

ეს თემა 4 ივნისს „ფორმულა ნიუში“ გაგრძელდა, რომლის ინფორმაციით, ამერიკული კომპანია „ფრონტერა“ საქართველოს მთავრობას სასამართლო განჩინების უგულვებელყოფაში ადანაშაულებდა.<sup>36</sup> პრემიერ-მინისტრისადმი მიმართულ წერილში კომპანია სახელმწიფოსთან დადებული კონტრაქტის უკანონო შეწყვეტაზე, აქტივების ჩამორთმევასა და საქართველოში ამერიკული კერძო სექტორისთვის არასახარბიელო საინვესტიციო კლიმატზე, სანაცვლოდ კი რუსულ ენერგოგიგანტზე და ირანული კომპანიების კერძო სექტორში გააქტიურებაზე საუბრობდა. განჩინების საფუძველზე, კომპანია კახეთის რეგიონში გაზისა და ნავთობის მოსაპოვებელი სამუშაოების განახლებისთვის ემზადებოდა და, ამასთან, მთავრობის მიერ კომპანიის საკუთრების ექსპროპრიაციის გამო წუხილს გამოთქვამდა. წერილიდან დავიმოწმებთ ირანთან დაკავშირებულ ორ აზრს: „ბუნებრივი აირის საქართველოში შემოტანის ხელსაყრელი მონოპოლიები რუსულ გაზპრომს და აზერბაიჯანის სოკარს მიენიჭა; ამასთან, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები თეირანშიც ჩადიან და ირანის მთავრობასთან ღია მოლაპარაკებებს ასაჯაროებენ, რათა საქართველოში მეტი გაზი შემოიტანონ. ამის მიუხედავად, „ფრონტერას“ ძალისხმევა, განავითაროს გაზის შიდა აღმოჩენები აღმოსავლეთ საქართველოში, რასაც შეუძლია უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკა კონკურენტული იაფი შიდა გაზის რესურსით, შეეჯახა წინააღმდეგობებს, ხელშეკრულების გაუქმებას, დეზინფორმაციას სახელმწიფო მედიაში და ექსპროპრიაციას. ამავე პერიოდში იზრდება ირანული კომპანიები საქართველოს კერძო სექტორში; ერთ შემთხვევაში მათ სერიოზული პრობლემა შეუქმნეს ჩვენს ბიზნესს საგარეჯოს რაიონში, რაზეც საქართველოს მთავრობამ უარი თქვა ჩვენს დახმარებაზე. 2017 წ. თბილისში ჩატარებულ ქართულ-ირანულ ბიზნეს ფორუმზე თქვენ განაცხადეთ საქართველოში ირანული კომპანიების ინვესტიციების 657 % -იანი ზრდის შესახებ. იმავე წელს, თქვენმა მთავრობამ წამოიწყო საარბიტრაჟო განხილვა ჩვენი კომპანიის წინააღმდეგ, რომელიც მიმართული იყო ჩვენი ხელშეკრულების შეწყვეტისაკენ. შარშან და წელს, საქართველოს ხელისუფლების წევრები გაემგზავრნენ ირანში საჯარო შეხვედრებზე, „ეკონომიკური თანამშრომლობის“ გაზრდისა და ეკონომიკური, საბანკო ურთიერთობებისათვის ბარიერების აღმოსაფხვრელად. ბოლო წლებში საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული სექტორის მაღალჩინოსნები უფრო მეტად სტუმრობდნენ ირანს, ვიდრე აშშ-ს.“<sup>37</sup>

<sup>36</sup> <https://www.youtube.com/watch?v=xdjr5oYGrF4>

<sup>37</sup> „ფრონტერას“ წერილზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნ. თურნავამ განაცხადა, რომ „ფრონტერას“ მსგავს განცხადებებს საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის სიმშვიდითა და საერთაშორისო ნორმების დაცვით პასუხობდა, რადგან საერთაშორისო არბიტრაჟი მიმდინარეობდა და ქართული მხარე ზედმეტი რიტორიკისგან თავს იკავებდა. მინისტრმა კომპანია „ფრონტერას“ საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილების დროულად შესრულებისკენ მოუწოდა და დასძინა: „თუ გასურთ, მეტი დეტალი და საბოლოო სიმართლე

ოპოზიციური ტელევიზიების მიერ დაწყებული ირანული სამხილების გამოვლენის პროცესი უკვე სახელისუფლებო არხზე გაგრძელდა - 7 ივნისს „იმედის კვირის“ სიუჟეტში პარტია ენმ-ის ხელისუფლებაში ყოფნის დროს თანხის გათეთრების მასშტაბური სკანდალური საქმე გამოშხურდა. საქმის სააშკარაოზე გამოტანა 3 ივნისით დათარიღებული აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის საქართველოს გენერალური პროკურატურისადმი წერილს მოჰყვა, რომელშიც ადრესატის მიმართ გამოთქმული იყო მადლიერება საერთაშორისო თაღლითური სქემის გამოვლენისა და თანამშრომლობისათვის. სქემაში კვლავ ირანელი მოქალაქეები ფიგურირებდნენ, რომელთაც საქართველოში ბიზნესი ჰქონდათ.<sup>38</sup> ალიასკის სასამართლოში მიმდინარე გამოძიების მასალების მიხედვით, „აშშ-ის მოქალაქე და მასთან ერთად, სამი ირანელი თანამზრახველი ცდილობდნენ, თავი აერიდებინათ ირანის მიმართ დაწყებული საერთაშორისო სანქციებისთვის და ფიქტიური თაღლითური ტრანზაქციებით 1 მლრდ. დოლარის კონვერტაციას ახდენდნენ. საქართველოში „ინვესტ ბანკის“ წილების შესყიდვით და ბანკის დახმარებით, ენმ-ის მმართველობის დროს, ისინი ცდილობდნენ, იარაღის უკანონო ვაჭრობიდან მიღებული თანხების გათეთრებას, რომელზეც როგორც მოქმედი ხელისუფლება, ისე ეროვნული ბანკის მამინდელი ხელმძღვანელობა თვალს ხუჭავდა.“<sup>39</sup> სიუჟეტში აღნიშნული საერთაშორისო მასშტაბური სქემის დეტალებს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოსთან იკვეთებოდა, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელი მიმოიხილავდა. გამოძიების მასალებზე დაყრდნობით, „2011-2012 წწ. სქემის მონაწილეებმა სცადეს პრესტიჟული სასტუმრო შეეძინათ თბილისში 20 მლნ დოლარად, რომლის რეალური მიზანი არა ლეგალური ინვესტიცია, არამედ ფულის გათეთრება წარმოადგენდა. თანამზრახველებს შორის ერთ-ერთი ირანელი მოქალაქის ფ. ნაიების მიმართ წლების განმავლობაში აშშ-ში გამოძიება მიმდინარეობდა. აშშ-ის სახაზინო სამსახურის მიერ 2014 წ. გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ფინანსურ მაქინაციებთან ერთად აშშ-ის სანქცირებულთა სიაში მოხვედრილი ირანელი მოქალაქე, იარაღით უკანონო ვაჭრობაშიც იყო მოხვედრილი. ენმ-ს მმართველობის პერიოდში ამ ირანელმა მოქალაქემ ბანკის მართვისა და უკანონო ფინანსური მაქინაციების უფლება მიიღო. სწორედ ამ დროს, 150 ირანულ კომპანიას ოპერირების უფლებაც ენიჭება. აღნიშნული პირის საქართველოში ბიზნეს-საქმიანობაზე 2013 წელს გამოცემა *The Wall Street Journal* წერდა.<sup>40</sup> სიუჟეტში ავტორები დასავლური სანქციების თავის არიდების რთული სქემის

შეიტყობ, მოდით, ერთად მოვუწოდოთ კომპანია „ფრონტერას“, გაასაჯაროვოს ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო საერთაშორისო არბიტრაჟმა“. <https://publika.ge/fronteras-werili-gakharias-da-turnavas-pasukhi/>

<sup>38</sup> <https://www.facebook.com/watch/?extid=SEO---&v=266221221126966>

<sup>39</sup> იქვე

<sup>40</sup> 2013 წელს, ამ გამოცემის პუბლიკაციაში მითითებული ფაქტების გამო, იუსტიციის მინისტრმა თ. წულუკიანმა საქართველოში ირანელების საბანკო ანგარიშების დალუქვასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა; ოპოზიციის ეს ბრალდებები 2020 წლის სიუჟეტებში „ოცნების“ ხელისუფლების „ირანული კომპრომატების“ სიაში მოხვდა. ამასთან, 2014 წ. 1 სექტემბერს ამოქმედებული სავიზო მიგრაციის რეფორმა, რომელმაც იუსტიციის მინისტრის განცხადებით, „ტურისტები - ჩინელები, ერაყელები, ირანელები და ეგვიპტელები 4 თვეში 42 000-ით შეამცირა“ და „რეფორმის შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა უკვე დადგენილ ჩარჩოში კონტროლი და შემოშვება მათი, ვინც ქვეყნის კეთილმოსურნეა, ან ტურისტია, და რაც მთავარია, ინვესტორია“ -

დეტალებით ენმ-ის მმართველობასთან მივიდნენ, რომელსაც სანქცირებული ირანელი ბიზნესმენების ჯგუფის ლობირებაში ადანაშაულებდნენ. 2014 წლის აშშ-ის სახაზინო სამსახურის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ კომპანია, რომელიც საქართველოში, „ინვესტ ბანკის“ გარდა, ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიასაც“ ფლობდა, სხვა ირანულ კომპანიებთან ერთად დაიხურა. ამჯერად, სახელისუფლებო არხის სიუჟეტი, საერთაშორისო გამოძიების მასალებსა და ფედერალური ბიუროს დასკვნის საფუძველზე, წინა ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირების მიერ იარაღის უკანონო გადაზიდვებში ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიას“ და „ეარ ვესტის“ მონაწილეობით დაინტერესდა. განხილული ფაქტებიდან გამომდინარე, სიუჟეტში განმარტებული იყო, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 150-მდე ფიქტიური ირანული კომპანიის ანგარიშები დაიხურა და ირანელები ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიას“ მესაკუთრეობიდანაც გავიდნენ.<sup>41</sup> „იმედთან“ ინტერვიუში ამჯერად ხელისუფლებასთან ასოცირებული ექსპერტი საუბრობდა. იგი სიუჟეტში მოყვანილ ფაქტებს თუ ვერსიებს სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობაში სრულიად დაუშვებლად მიიჩნევდა და წინა ხელისუფლების ქმედებებს ცალსახად მატერიალური დაინტერესებით ხსნიდა.

მორიგი ირანული სამხილის მეშვეობით ახალი სკანდალი მედიაში უკვე არჩევნების შემდეგ აგორდა. 25 დეკემბერს „მთავარმა არხმა“, ტვ „პირველმა“ და „ფორმულამ“ თბილისის მერიის მიერ მოსაპირკეთებელი დეკორატიული ქვების შესყიდვას დღის ყველა საინფორმაციო გამოშვებაში დაუთმეს საეთერო დრო. ტელეკომპანიებმა თბილისის საკრებულოს ენმ-ის დეპუტატებზე დაყრდნობით, გაავრცელეს ინფორმაცია, რომ დედაქალაქის მერიამ, ტენდერის პირობებით, 3 მილიონ ლარად შეიძინა თეთრი ქვები ირანული Arvand Petrochemical company-სგან, რომელსაც აშშ-მა სანქციები დაუწესა და შავ სიაში შეიყვანა.<sup>42</sup> „კორუფციული ბიზნესგარიგება და ქვეყნის მთავარი პარტნიორის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი“, „თუ ეს ყველაფერი

---

სავარაუდოდ, „იმედის“ ეთერში 7 ივნისს გასულ სიუჟეტში მოთხრობილ სქემას უკავშირდებოდა. უცნაურია, რომ 2020 წლის მაის-ივნისში ოპოზიციის ბრალდებები ხელისუფლების მიმართ ქვეყანაში ირანელი ინვესტორების არალეგალურ ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებით, იმავე ოპოზიციის მხრიდან, იუსტიციის მინისტრისგან პასუხის მოთხოვნის მიზეზი გახდა 2014 წელს, როდესაც საიმიგრაციო რეფორმის ფარგლებში ირანელების შემოშვება ქვეყანაში დროებით შეჩერდა. მაშინ მინისტრი ქსენოფობიური განცხადებების, ხოლო მთავრობა - არასწორი საიმიგრაციო პოლიტიკის, ტურისტული სფეროს დაზარალებისა და ქვეყნის შემოსავლების შემცირების გამო იმავე ოპოზიციის კრიტიკის ობიექტად იქცა. გახანგრძლივებულ, მწვავე კრიტიკას და კომენტარებს 2014 წ. 9 მარტს თბილისში ირანის საელჩოც შეუერთდა იუსტიციის მინისტრის მიმართ მკაცრი განცხადებით. (საელჩოს განცხადება იხ. <https://civil.ge/ka/archives/153949>).

<sup>41</sup> “Wall Street Journal”-ის პუბლიკაციის საპასუხოდ, იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა ირანის მიმართ გაეროს სანქციების შესრულებას მკაცრად აკონტროლებს და ირანის 150-მდე იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს საბანკო ანგარიში გაუყინეს. „ირანული ბიზნესი საქართველოში ცუდის მოლოდინშია“. 28 ივნისი 2013 <https://www.amerikiskhma.com/a/the-iranian-business-in-georgia-in-expectations-of-the-worst/1691028.html>

<https://tabula.ge/ge/news/554045-culukiani-iranis-mimart-sanktsiebis-shesrulebas>

<sup>42</sup> <https://mtavari.tv/news/27327-kaladzem-3-milionad-tetri-kvebi-sanktsirebuli>

დამტკიცდა, მაშინ ქვეყანა საერთაშორისო სკანდალში გაეხვევა“, „ამ ქვების შემოტანისთვის საქართველოს, შესაძლოა, ურთიერთობა მის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან დაეძაბოს“, „მერიის დანაშაულის თუ გულუბრყვილობის პარალელურად, ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა საბაჟო სამსახურიც - საზღვრის გადმოკვეთისას არავის გაუჩნდა კითხვა, რამდენად ლეგალური იყო სანქციების ქვეშ მოყოლილი ქვეყნიდან პროდუქციის შემოტანა“, „ოპოზიცია მოითხოვს, მერიამ და ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ დოკუმენტაცია გაასაჯაროოს, რათა დადგინდეს, შეისყიდეს თუ არა დეკორატიული ქვები ირანული კომპანიისგან..“<sup>43</sup> - ამგვარი შინაარსის განცხადებებთან ერთად, ირანულ კომპანიასთან შესაძლო ანგარიშსწორების უკანონო ვერსიებიც განიხილებოდა. სიუჟეტებში მერიის ტენდერში გამარჯვებული შპს „გრინსერვისი“ ხელმძღვანელი აცხადებდა, რომ ქვები შეიძინეს არა ირანული, არამედ ქართული კომპანიისგან, კერძოდ - „როიალ სტოუნისგან“, ხოლო რაც შეეხება ტომრებს, კომპანიის წარმომადგენელი ადასტურებდა, რომ ტომრები ირანულია, რომლებშიც ოდესღაც მშენებლობისთვის საჭირო მასალა იყო მოთავსებული, ახლა კი მეორადად გამოიყენეს და ქართული წარმოების ქვები ჩაყარეს. ენმ-ის წარმომადგენლები კომპანიას სთხოვდნენ, წარმოედგინა ყველა დოკუმენტი და მტკიცებულემა, რომ მასალა არა ირანიდან, არამედ საქართველოში რომელიმე კარიერიდან იყო შეძენილი. ისინი თეთრი ქვების შეძენასა და ბიუჯეტის გაფლანგვაზე პასუხისმგებლობას მერს აკისრებდნენ. ქალაქის მერი კი აცხადებდა, რომ *“თბილისის მერიამ გააფორმა კონტრაქტი ქართულ კომპანიასთან, რომელიც არანაირად არავისთან მიმართებაში არ არის სანქცირებული, შესაბამისად სპეკულაციები ამ თემაზე აბსოლუტურად უსაფუძვლოა.”*<sup>44</sup> სიუჟეტის ავტორები არ გამორიცხავდნენ, რომ ხელისუფლება კომპანიასთან, რომელიც სანქცირებულთა სიაში ამერიკაში ნავთობით უკანონო ვაჭრობის გამო მოხვდა, კიდევ უფრო ღრმად იყოს დაკავშირებული და მეტიც, ამ კომპანიისგან ნავთობი შავი ფულითა და კანონის გვერდის ავლით შემოდიოდა.

ეს სტატია განხილული მედიამასალების აუთენტურობის დადგენას არ ემსახურება, არამედ მის მიზანს იმ შედეგების ანალიზი წარმოადგენს, რომელსაც ახალი მედია და პოლიტექნოლოგიების მნიშვნელოვანი როლი წარმოაჩენს ზოგიერთი საგარეო საკითხის გაგებისათვის ინტერპარტიული კონკურენციის ჭრილში, კერძოდ:

- 1) ირანის თემასთან დაკავშირებული მასალების სიმრავლე ქართულ მედიასაშუალებებში, რაც 2020 საარჩევნო მეტოქეობის კონტენტის ნაწილი გახდა, შემთხვევითი არ უნდა იყოს. გავიხსენოთ 2019 წლის ბოლოს და 2020 წლის პირველ ნახევარში აშშ-ირანის კონფრონტაციაში შექმნილი კრიზისული პერიოდი.<sup>45</sup> ცხადია, ამ საერთაშორისო დაპირისპირების მწვავე ფაზამ

<sup>43</sup> <https://mtavari.tv/news/27378-tetri-kvebi-pulis-gatetreba-sami-milioni-ashsh>

<sup>44</sup> <https://mtavari.tv/news/27327-kaladzem-3-milionad-tetri-kvebi-sanktsirebuli>

<sup>45</sup> 2019 წ. 29 დეკემბერს აშშ-ის საჰაერო ძალებმა იერიში მიიტანეს სირიასა და ერაყში ირანის მიერ მხარდაჭერილ შიიტურ „ქათაიებ ჰეზბოლას“ ობიექტებზე. 31 დეკემბერს, აშშ-ის იერიშის გამო, საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ბაღდადში აშშ-ის საელჩოზე თავდასხმა განახორციელეს. 2020 წ. 2 იანვარს, ბაღდადის აეროპორტთან აშშ-ის სარაკეტო დარტყმას ირანის ისლამური

საქართველოს სტრატეგიული მოკავშირის ჩართულობით, ასახვა ჰპოვა ქვეყნის შიგნით წინასაარჩევნო პარტიულ დაპირისპირებასა და პოლარიზებულ მედიაში, რის უშუალო გამოძახილადაც შეიძლება მივიჩნიოთ 13 იანვარს დაწყებული სიუჟეტები და ირანის თემის გააქტიურება საინფორმაციო საშუალებებში.

- 2) ცალსახად აქტუალურია (წარმოდგენილი მასალაც ადასტურებს) საქართველოს საერთაშორისო ტრანზიტული პოტენციალი, რომელიც საინტერესოა, როგორც დასავლელი პარტნიორებისთვის, ისე რეგიონის ქვეყნებისთვის. პორტების ფუნქცია, კერძოდ, ღრმაწყლოვანი პორტების პროექტები, რომელთაც არამარტო ქვეყანაში, არამედ რეგიონში არსებული სურათის შეცვლა შეუძლია, დღის წესრიგში აყენებს მათ როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ მნიშვნელობას.

---

რევოლუციის გუშაგთა კორპუსის სპეცდანიშნულების რაზმის „ყოდის“ მეთაური, გენერალი ყ. სოლეიმანი და „ქათაიებ ჰეზბოლას“ ლიდერი ალ-მუჰანდისი ემსხვერპლნენ. პენტაგონის ინფორმაციით, „სოლეიმანის მკვლელობით, უცხოეთში მყოფი ამერიკელების დასაცავად ქმედითი ზომები იქნა მიღებული. „ყოდის“, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, პასუხისმგებელია ასობით ამერიკელი და კოალიციური ჯარის სამხედრო სიკვდილზე და აშშ-ში ტერორისტული ორგანიზაციების სიაში იყო შეყვანილი. გენერალი სოლეიმანი ამერიკელ დიპლომატებზე, ასევე ერაყსა და მთელ რეგიონში მყოფ სამხედროებზე თავდასხმებს გეგმავდა“. ირანში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა. ირანის სულიერი ლიდერი აშშ-ს შურისძიებით დაემუქრა. ერაყის პრემიერმა აშშ ქვეყნის სუვერენიტეტისა და ერაყში აშშ-ის სამხედროების ყოფნის შეთანხმების პირობების დარღვევაში დაადანაშაულა. აშშ-მა თავის მოქალაქეებს ერაყის დაუყოვნებლივ დატოვება ურჩია და რეგიონში დამატებით 3000 სამხედროს გაგზავნის შესახებ განაცხადა. 5 იანვარს, ბაღდადში აშშ-ის საელჩოსთან რაკეტა აფეთქდა. რაკეტები ჩამოვარდა ქალაქის ცენტრში; აფეთქებები მოხდა ბაღდადის სამხედრო ბაზაზეც, სადაც ამერიკელი ჯარისკაცები იყვნენ განთავსებული. 6 იანვარს ირანმა განაცხადა, რომ 2015წ. დადებული ბირთვული შეთანხმებით დაწესებულ შეზღუდვებს აღარ დაემორჩილებოდა. ერაყის პარლამენტმა კი მიიღო რეზოლუცია, რომელიც უცხო ქვეყნების სამხედროებს ქვეყნის დატოვებას აიძულებდა. აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ერაყიდან სამხედროებს არ გაიყვანდა და ბაღდადს სანქციების დაწესებით დაემუქრა. 7 იანვარს ირანის პარლამენტმა აშშ-ის არმიისა და პენტაგონის ტერორისტულ ორგანიზაციებად გამოცხადებას ერთხმად დაუჭირა მხარი. 8 იანვარს ირანმა ერაყში ამერიკულ სამხედრო ბაზაზე სარაკეტო იერიში მიიტანა. ირანში განაცხადეს, რომ იერიში გენერალ სოლეიმანის მკვლელობის გამო შურისძიება იყო და აშშ-ს საპასუხო ნაბიჯებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდეს. ოფიციალურმა ბაღდადმა ირანი ერაყის სუვერენიტეტის დარღვევაში დაადანაშაულა. 8 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტმა საგანგებო განცხადება გააკეთა ირანის მიერ ერაყში აშშ-ის ბაზებზე განხორციელებულ სარაკეტო იერიშთან დაკავშირებით. ტრამპმა აღნიშნა, რომ აშშ ახალ, მძლავრ ეკონომიკურ სანქციებს უწესებდა ირანს. ამავე დროს მან დიდ ბრიტანეთს, გერმანიას, საფრანგეთს, რუსეთსა და ჩინეთს მოუწოდა, ირანის ბირთვული პროგრამის თაობაზე 2015 წ. ხელმოწერილი შეთანხმებიდან გასულიყვნენ. 9 იანვარს, ბაღდადში სამი რაკეტა ჩამოვარდა. ერთ-ერთი რაკეტა ამერიკის საელჩოს შენობის სიახლოვეს დაეცა, თუმცა ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია. 12 იანვარს, ბაღდადის ავიაბაზაზე, სადაც ამერიკელი სამხედროებიც არიან განლაგებულები, 7 ბომბი ჩამოვარდა, რომელიც ასაფრენ ბილიკს დაეცა. 11 იანვარს, ირანმა უკრაინული ავიალაინერის შეცდომით ჩამოგდება აღიარა, რომელზეც 180 ადამიანი დაიღუპა. შეიარაღებული ძალების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ თვითმფრინავი სამხედრო ობიექტებთან ახლოს მიფრინავდა და ის „ადამიანური შეცდომის“ შედეგად ჩამოაგდეს. უკრაინული ლაინერის ჩამოგდების აღიარებას თეირანში საპროტესტო აქციები მოჰყვა, სადაც მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგები გაჟღერდა და გენერალ სოლეიმანის ფოტოები დახიეს. აქციაში მონაწილეობის გამო პოლიციამ ირანში დიდი ბრიტანეთის ელჩი რამდენიმე საათით დააკავა.

მასთან დაკავშირებული შეკითხვები კი უფრო რთული და კომპლექსურია და სცილდება ქართული მედიის ფოკუსს; კონკრეტულ კომპანიასთან ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზებსა და საერთაშორისო დავის დეტალებზე არასაკმარისი თუ არასაჯარო ინფორმაციის პირობებში, მედიაში ის ირანის თემით გადაიფარა, რომლის შესახებ მწირი ტონების ხშირი რეპრიზით, სკანდალის ეფექტს ადვილად აღწევს.

- 3) ირანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონული ძალაა, რომელიც საქართველოსთან, ძირითადად, ეკონომიკურ დონეზე თანამშრომლობს. ეს ურთიერთობა ცვალებადი იმპულსებით ვითარდება. სახეზეა ირანის დაინტერესება შავი ზღვის პორტებით საკუთარი პროდუქციის ახალ ბაზრებზე ექსპორტის მიზნით. 2010 წელს გაუქმებულ სავიზო რეჟიმს ირანთან, საქართველოში მუდამ ახლავს, ერთი მხრივ, მზარდი ტურიზმით გამოწვეული იმედები და, მეორე მხრივ, შემფოთება ირანზე დასავლური ზეწოლის გამო, რომელიც მის ბირთვულ პროგრამას უკავშირდება. 2012 წელს, CNN-ის ერთ-ერთ რეპორტაჟში, საქართველო-ირანის ამგვარ სიახლოვეს „დელიკატური“ ეწოდა, საქართველოს ნატოსა და ევროკავშირის წევრობის მოლოდინებიდან გამომდინარე.<sup>46</sup> ირანის წინააღმდეგ მზარდი დასავლური სანქციების, მისი ფინანსური და დიპლომატიური იზოლაციის პირობებში, აგრეთვე, საქართველოს პროდასავლური კურსის გათვალისწინებით, სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ქართული პოლიტიკური სპექტრის სიფრთხილე სტრატეგიული პარტნიორების რეაქციის მიმართ, რაც საფუძველს მოკლებული არ არის.<sup>47</sup>
- 4) როგორც ძირითადი რეიტინგული პარტიები („ოცნება“, ენმ), ისე, შედარებით მცირენი საქართველოში, მხარს უჭერენ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ირანის მიმართ დაწესებულ სანქციებს და საერთაშორისო ვალდებულებებისადმი ერთგულებას ინარჩუნებენ. პარტიები, სახელისუფლებო თუ ოპოზიციური, მედიასთან ერთად, საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების ურთიერთმაკონტროლებლადაც გვევლინებიან, რაზეც მეტყველებს წინასაარჩევნოდ ამ თემის არაერთგზის წინ წამოწევა. შესაბამისად, პარტიებს შორის ურთიერთობაში ირანთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი სენსიტიური თემაა, რომელიც წინასაარჩევნო რადიკალიზაციასა და პოლარიზაციაში ადვილად გადაიქცევა კომპრომატად. ამასთან, მოყვანილი მაგალითების საფუძველზე, როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების

<sup>46</sup> Courting Iran and the West, Georgia walks a fine line

<https://edition.cnn.com/2012/06/15/world/europe/georgia-iran-west-relations/index.html&gt>

<sup>47</sup> 2019 წ. Georgia Petrochemical and Aviatech დამატა იმ თოთხმეტი კომპანიის სიას სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებსაც ამერიკული პროდუქციის შეძენა აკრძალათ, ირანული კავშირების გამო. The Bureau of Industry and Security (BIS) of the US Department of Commerce has imposed sanctions on Yerevan Telecommunications Research Institute (YETRI), Markel, and Georgia Petrochemical and Aviatech. Georgia Petrochemical and Aviatech was sanctioned over unlawfully attempting “to procure and divert export-controlled aluminium tubing via Malaysia to Iran. <https://emerging-europe.com/news/us-imposes-sanctions-on-armenian-and-georgian-companies-for-iran-links/>



მიდგომები თემის მიმართ იდენტური ან შემთხვევით თანხვედრაშია, და ორივე მხრიდან ბრალდება-თავის მართლების ჩარჩოებს არ სცილდება. ეს ყველაფერი კი კარგად აჩვენებს იმ ბეწვის ხიდს, რომელზე გავლაც უწევს ნებისმიერ მმართველ პარტიას, ერთი მხრივ, ირანის მიმართ დასავლური სანქციების პირობებში და, მეორე მხრივ, რეგიონში მეზობელთან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების გზაზე.

- 5) საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაციის შესახებ საუბარი იოლია. ერთ-ერთ საერთაშორისო ანგარიშში საქართველო ევროპის ყველაზე პოლარიზებულ ქვეყნებს შორის დასახელდა.<sup>48</sup> უკიდურესად პოლარიზებული და პლურალისტულია მედია.<sup>49</sup> წინასაარჩევნო კონკურენციაში, მხარეთა ბრალდებებზე ორიენტირებულ სიუჟეტებში, სადაც ირანთან დაკავშირებული შესაძლო არალეგალური სქემები და ოფიციალური ლეგალური ღონისძიებების ამსახველი მასალა თანაბრად კვეთს ერთმანეთს, მცირე დეტალი იქცევს ყურადღებას: ეს სიუჟეტები ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც პოლიტიკური რადიკალიზაციის პირობებში, ცალკეულ პიროვნებებზე, პარტიულ სახეებზე იერიშით, ნებსით თუ უნებლიეთ, უცხო ქვეყანასთან ფარული გარიგებებისა თუ მაქინაციების დაუდასტურებელი ბრალდებების სამიზნედ იქცა ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტები, როგორცაა: პრემიერ-მინისტრის, მინისტრების, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტები, მოქმედი და ყოფილი მთავრობები... ეს კი, სავარაუდოდ, იმ ტიპის პლურალისტული გარემოს შედეგია, რომელიც დემოკრატიისკენ გარდამავალი პოლიტიკური სისტემებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ნაკლებად პასუხობს დემოკრატიულ სტანდარტებს.<sup>50</sup>

---

<sup>48</sup> CRR Policy Bulletin October, 2020, p.4 ac. DRI and GYLA. 2018. “The High Price of Extreme Political Polarisation in Georgia and What to Do About It.” At [https://democracy-reporting.org/dri\\_publications/the-high-price-of-extreme-politicalpolarisation-in-georgia-report/](https://democracy-reporting.org/dri_publications/the-high-price-of-extreme-politicalpolarisation-in-georgia-report/), accessed July 12, 2020

<sup>49</sup> The EU for Georgia, Post-election media monitoring: Georgian media stays pluralistic and polarized <https://eu4georgia.eu/post-election-media-monitoring-georgian-media-stays-pluralistic-and-polarized/>

<sup>50</sup> Christofer Berglund, Sten Berglund, Chapter: Feckless Pluralism, *In* The SAGE Encyclopedia of Political Behavior, Jan. 2017. pp. 295-296

[https://www.researchgate.net/publication/314208492\\_Feckless\\_Pluralism](https://www.researchgate.net/publication/314208492_Feckless_Pluralism)

## **IRAN-RELATED TOPIC AND ELECTION YEAR 2020 IN GEORGIA (Based on Georgian Media Materials)**

The competition between the political parties, usually reaches its peak in the pre-election period, though pre-election marathon, in the conditions of long-lasting polarization, commenced much earlier before 2020 parliamentary elections for Georgian political parties and covered numerous fields and topics in different periods, including Iran. In the field of politics, having both a sense of the ideological landscape and the positions of parties and their policies can only serve to improve the quality of democratic governance. While Iran-related topic is hardly compatible with any of the narratives of building democracy in Georgia, during entire election year, Georgian mass media have elucidated “international scandals” related to it, in the context of parties’ confrontation.

The article provides discussion of some stories prepared in 2020 by Georgian TV channels associated with the opposition, as well as the pro-governmental and neutral ones and frequently spread by the information portals. The described media items deal with the proposed versions of some unclear business schemes of the acting and former authorities with Iran, with due regard of western sanctions against Iran. Iran-related topics, presented in such format suited well to the context of strained pre-election struggle; and in the extremely polarized media environment, where each of the channels offered to the audience the stories prepared on the basis of the political platforms shared by them, this theme acquired compromising effect for the highly rated parties (both, ruling party and opposing the government).

This article is not an attempt to establish authenticity of the considered media materials. The goal of this article is to analyze, based on the offered examples, the outcomes emphasized by the significant role of the new media and political technologies for understanding of some foreign issues, within the framework of inter-party competition, in particular:

- 1) Great quantity of the materials about Iran-related topics in Georgian mass media, that have become the part of election contest in 2020 should not be a simple coincidence. For this, we should recall the crisis in confrontation between the USA and Iran, in late 2019 and first half of 2020. Naturally, the acute phase of this international confrontation, with involvement of Georgia’s strategic ally was reflected in the pre-election parties’ competition in the country, as well as in the highly polarized mass media and we should regard the TV stories and extensive discussion of topic of Iran in Georgian mass media as direct reflection of this.
- 2) Georgia’s international transit potential is apparently significant (and provided materials evidence this), and it cause interest of both, the western partners and

countries of the region. Function of Georgian seaports that can change the situation in the country, as well as in the region, puts on agenda their economic and political significance. And the questions related to it are very complicated and complex and are beyond the focus of Georgian media; with insufficient information about the causes of termination of the contract between certain US company and Georgia, international dispute details and lack of their publicity, it was overlapped with the themes related to Iran in the mass media and, regarding frequent repetition of certain topics related to it, easily achieved the effect of scandal.

- 3) Iran is one of significant powers in the region, cooperating with Georgia mostly at the economic level. These relations develop with varying impacts. Iran is interested in Black Sea ports for exporting of its products to the new markets. In 2010 the visas were revoked and this permanently causes in Georgia, on one hand, tourism industry growth expectations and on the other – concerns related to the western pressure over Iran related to its nuclear program. Regarding increasing western sanctions against Iran, its financial and diplomatic isolation, as well as Georgia's pro-western course, it is apparent that Georgian politicians are cautious with respect of the reaction of their strategic partners and this is not unreasonable.
- 4) Highly rated political parties, as well as the relatively small ones in Georgia support the UN Security Council's sanctions against Iran and are loyal to the international obligations. Moreover, the parties, both, the governing and opposition, together with mass media, provide mutual control of compliance with the international obligation and this is evidenced by wide consideration of this issue in the pre-elections period. Hence, in the relations between the parties, any topic related with Iran, is sensational theme that, in the situation of pre-elections radicalization and polarization, can easily become the compromising subject. Based on the provided examples, it is clear that the government and opposition have the same positions, in relation to Iran issues, or the positions coincide by chance and do not go beyond blaming and making excuses. And all above clearly show that any ruling political party walks on tightrope between the western sanctions against Iran and development economic relations with the neighboring country.
- 5) The TV stories prepared by extremely polarized and pluralist media in the pre-elections competition, that contain the subjects dealing with the possible illegal schemes with Iran and those, dealing with the official legal actions, overlapping each other, attract attention to one detail: this was one of the rare cases, there, in the conditions of political radicalization, attacks to the certain politicians, whether willingly or not, the targets of the ungrounded accusations in concealed deals with the foreign country and contrivances were such significant state institutes as: the posts of prime minister, ministers, president of the national bank, acting and former governments... and this, supposedly, results from the kind of pluralism that refers to political systems that fall short of democratic standards.

## გამოყენებული ლიტერატურა - References:

1. Burnell, Peter. *Building Better Democracies. Why Political Parties Matter*. Westminster Foundation for Democracy, Dec. 2004  
<http://www.eods.eu/library/WFD.%20Building%20Better%20DemocraciesWhy%20Political%20parties%20matter.pdf>
2. Berglund, Christofer and Berglund, Sten. Chapter: "Feckless Pluralism." In *The SAGE Encyclopedia of Political Behavior*, Jan. 2017.  
[https://www.researchgate.net/publication/314208492\\_Feckless\\_Pluralism](https://www.researchgate.net/publication/314208492_Feckless_Pluralism)
3. Loveless, Matthew. "Information and Democracy: Fake News as an Emotional Weapon." In *Democracy and Fake News, Information Manipulation and Post-Truth Politics*. Ed. By S. Giusti and E. Piras. Routledge, Jan. 2021.  
[https://www.researchgate.net/publication/342946132\\_Democracy\\_and\\_Fake\\_News\\_Information\\_Manipulation\\_and\\_Post-Truth\\_Politics](https://www.researchgate.net/publication/342946132_Democracy_and_Fake_News_Information_Manipulation_and_Post-Truth_Politics)
4. *CRRC Policy Bulletin*, October, 2020, DRI and GYLA. 2018. "The High Price of Extreme Political Polarisation in Georgia and What to Do About It." At [https://democracy-reporting.org/dri\\_publications/the-high-price-of-extreme-politicalpolarisation-in-georgia-report/](https://democracy-reporting.org/dri_publications/the-high-price-of-extreme-politicalpolarisation-in-georgia-report/), accessed July 12, 2020.
5. The EU for Georgia, Post-election media monitoring: Georgian media stays pluralistic and polarized. <https://eu4georgia.eu/post-election-media-monitoring-georgian-media-stays-pluralistic-and-polarized/>
6. Courting Iran and the West, Georgia walks a fine line.  
<https://edition.cnn.com/2012/06/15/world/europe/georgia-iran-west-relations/index.html>
7. Ron DeSantis impressed Christina Pushaw so much, she asked him for a job  
<https://www.tampabay.com/news/florida-politics/2021/07/27/press-secretary-christina-pushaw-sought-job-after-admiring-desantiss-handling-of-pandemic/>
8. US imposes sanctions on Armenian and Georgian companies for Iran links  
<https://emerging-europe.com/news/us-imposes-sanctions-on-armenian-and-georgian-companies-for-iran-links/>

## პირველწყაროები ქართულ ენაზე - Primary sources in Georgian:

1. გიორგი გახარიას საიდუმლო ირანული თამაშები  
<https://www.facebook.com/watch/?v=553585075231447>
2. გიორგი გახარია შესაძლოა, ირანული ფულის გათეთრების საქმეს შეეწიროს.  
<https://formulanews.ge/News/18884>
3. თბილისში სპეცოპერაციის შედეგად ირანის მოქალაქე დააკავეს.  
<https://reginfo.ge/people/item/5044-tbilisshi-spezoperaziis-shedegad-mkvlelobis-momzadebis-braldebit-iranis-moqalaxe-daakaves>
4. გიორგი გახარია შესაძლოა, ირანული ფულის გათეთრების საქმეს შეეწიროს (formulanews.ge)
5. გახარია შესაძლოა ირანული ფულის გათეთრების სქემებს შეეწიროს | [newsreport.ge](https://newsreport.ge)

6. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. COVID-19 ფაქტები და მოვლენები <https://gcaa.ge/covid-19-facts-and-figures/>;
7. ირანის და იტალიის მიმართულებით სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები შეჩერდა - სახმელეთო სააგენტო <https://bm.ge/ka/article/iranis-da-italiis-mimartulebit-samgzavro-da-satvirto-gadazidvebi-shecherda---saagento-/49889/>
8. აშშ-ის სენატორების წერილი პომპეოს ივანიშვილზე, რუსეთზე და აშშ-ს სტრატეგიულ ინტერესებზე <https://tabula.ge/ge/news/646420-ashsh-senatorebis-cerili-pompeos-ivanishvilze>
9. ფუშოუ: არის ეჭვი, რომ ქართველი მაღალჩინოსნები ტერორისტებს ფულის გათეთრებაში ეხმარებიან <https://bit.ly/3voEBEZ>
10. ირანთან საექვო კავშირის გამო შესაძლოა საქართველოს პრემიერ მინისტრს პოსტის დატოვება მოუხდეს [https://formulanews.ge/?m=41&news\\_id=18921&lng=geo&cat\\_id=](https://formulanews.ge/?m=41&news_id=18921&lng=geo&cat_id=)
11. სენატორები მაიკ პომპეოს ეუბნებიან, რომ ივანიშვილი კოლაბორაციაშია ირანთან და რუსეთთან [shorturl.at/ejBR8](http://shorturl.at/ejBR8)
12. წერტილს ყოველთვის აშშ სვამს <https://www.facebook.com/107065540663565/posts/299859184717532/>
13. რა იცის პრემიერმა იმ საერთაშორისო სკანდალზე, რომლის ეპიცენტრშიც საქართველო აღმოჩნდა <https://www.myvideo.ge/v/3934188>
14. ნავთობტერმინალის განმარტება ბათუმის პორტში „ირანული ნავთობით უკანონო ვაჭრობაზე“ <https://batumelebi.netgazeti.ge/news/278008/>
15. საქართველოში ირანული ნავთობით არალეგალურად ვაჭრობენ. [https://mtavari.tv/news/5467-sakartveloshi-iranuli-navtobit-aralegalurad?fbclid=IwAR081EJc\\_m9Pg1ZkCGEwr1DfH8wb5qWe-3oUNrBRGSEDvCIHWvXeYhoz1o8](https://mtavari.tv/news/5467-sakartveloshi-iranuli-navtobit-aralegalurad?fbclid=IwAR081EJc_m9Pg1ZkCGEwr1DfH8wb5qWe-3oUNrBRGSEDvCIHWvXeYhoz1o8)
16. „ფრონტერა“ მთავრობას სიცრუეში ადანაშაულებს
17. <https://report.ge/economics/frontera-mtavrobas-sitsrueshi-adanashaulebs/>
18. „ფრონტერა“ საქართველოს მთავრობას სასამართლო განჩინების უგულვებელყოფაში ადანაშაულებს <https://www.youtube.com/watch?v=xdjr5oYGrF4>
19. „ფრონტერას“ წერილი გახარას და თურნავას პასუხი (publika.ge)
20. ნაციონალური მოძრაობის დროს თანხის გათეთრების სკანდალური საქმე“ <https://www.facebook.com/watch/?extid=SEO----&v=266221221126966>
21. ირანის საელჩო საქართველოს იუსტიციის მინისტრს ‘გაუაზრებელი’ განცხადების გამო აკრიტიკებს <https://civil.ge/ka/archives/153949>
22. ირანული ბიზნესი საქართველოში ცუდის მოლოდინშია
23. <https://www.amerikishma.com/a/the-iranian-business-in-georgia-in-expectations-of-the-worst/1691028.html>; <https://tabula.ge/ge/news/554045-culukiani-iranis-mimart-sanktsiebis-shesrulebas>
24. კალამქმ 3 მილიონად თეთრი ქვები სანქცირებული კომპანიისგან იყიდა <https://mtavari.tv/news/27327-kaladzem-3-milionad-tetri-kvebi-sanktsirebuli>
25. თეთრი ქვები და ფულის გათეთრება <https://mtavari.tv/news/27378-tetri-kvebi-pulis-gatetreba-sami-milioni-ashsh>

## მეცნიერის არქივიდან

პროფესორ ალექსანდრე გვახარიას არქივში დაცულია ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ეს არის აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანაში მეცნიერის მოგზაურობის ჩანაწერები, მოგზაურის დღიური, რომელიც გვაცნობს საბჭოთა ინტელიგენციის ერთი ჯგუფის ტურისტულ მარშრუტს მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში.

ეს დოკუმენტი საინტერესო წყაროა იმ ეპოქის საბჭოთა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევართათვის, იმავდროულად, ტექსტის ლაკონიური და ექსპრესიული სტილი მეცნიერის პორტრეტსაც გვიხატავს.

1975 წელს თბილისში ჩატარებული ერთ-ერთი საკავშირო კონფერენციის სამუშაო წიგნაკზე დატანილ ტექსტს უმნიშვნელო ცვლილებით გთავაზობთ (ორთოგრაფიის რამდენიმე დეტალი გასწორდა, ერთ შემთხვევაში გამოყენებულია კუპიურა).

**ალექსანდრე გვახარია**

**1975**

**18-26 ივნისი - 18 ივლისი**

თბილისი - მოსკოვი - ტაშკენტი - ქაბული - ბამიანი - თეირანი - შირაზი - ისპაჰანი - თეირანი - მამჰადი - თუსი - თეირანი - სტამბოლი - მოსკოვი - თბილისი

26 ივნისი - 3 ივლისი

შირაზი 1975

...შირაზის დროით 3 საათია. ვისვენებ და ვიხსენებ განვლილ კვირას, პირველად ახლა მომეცა ამის საშუალება. თავიდან დავიწყებ:

### I

ლამის 1 საათზე გამოვფრინდი მოსკოვიდან ქაბულს. მანამდე იყო მოსკოვური სიგიჟე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კვირას კობას ქალაქგარეთ გავყევი, მდინარეში ვიბანავე და გავცივდი თუ ვირუსული გრიპი შემეყარა, არ ვიცი, ჯერაც არ გაუვლია საშინელ სურდოს და ხველებას. მაღალი სიციხით წამოვედი, ძლივს მოვუსწარი ავტობუსს, გასაწური ვიყავი შერემეტიევოში. როგორც იქნა, გავფრინდით. სულს ვითქვამ და ჯგუფს ვათვალისწინებ. ასატანია, თუმც ხელმძღვანელი [...] ცოტა ზედმეტს ჭიჭყინებს, აუტანლები არიან შუააზიელი ბებრები, სამაგიეროდ უცებ დავუახლოვდი მეთევზე-კაპიტანს რიგიდან, ვალდის ლიცისს, ერთად ვართ სულ, ბევრს მაცინებს და მართობს. ტაშკენტში შევჩერდით და 26-ის 10 საათზე ქაბულში ვართ. აეროპორტი არ შეცვლილა, ისეთივე ერთი ბენოა. დაგვხვდა „ავღანტურის“ წარმომადგენელი და ვიდაც რუსი საელოჩოდან. სრულიად მოულოდნელად გავვიყვანეს ქალაქგარეთ მთაზე ახლადნაგებ უბრწყინვალეს ოტელში „ინტერკონტინენტალ“! შესანიშნავი ნომერი, აბაზანა, „კონდიცია“, მუსიკა, სიჩუმე და სიგრილე. ნაზი და მსუყე საჭმელი.

ნასადილევს ქალაქში გაგვატარეს, გიდმა რუსული არ იცის, მე და ტაჯიკები ვებმარებით. ქალაქი საკმაოდ შეცვლილია, გაზრდილა, მთაზე ამოთხრილი სოროების ნაცვლად ვილებია, თუმც სიბინძურე და სუნი ისეთივეა, ისევ ის მდინარე ქაბული, სადაც რეცხავენ და რომელსაც სვამენ ერთდროულად. ჩვენ დაშინებულნი მხოლოდ ჩაის, მწვანეს, ვეტანებით. მოგვცეს 470 ავღანი, როგორც რუსმა გვითხრა, ამით ვერაფერს იყიდით, გარდა ნაჭრებისო, ყველაფერი ერთისამად გაძვირდაო (მართლაც, მერე ვნახე ერთი იაპონური სერვიზი, ჩვენ რომ, მგონი, 300-ად ვიყიდეთ, ახლა 900 ღირდა). ქალაქი ერთ სადამოში მოვათავეთ და შიში მქონდა, 4 დღე რა უნდა ვაკეთოთ ამ დამპალ ქაბულში-მეთქი, მაგრამ აქ მეორე მოულოდნელობა მელოდა!

(ხო, ადას<sup>1</sup> ვერაფრით დაუვკავშირდი მოსკოვიდან, არ ვიცოდი, ენციკლოპედიას<sup>2</sup> რა აინტერესებდა, ისე ქაბულის ციხე-სიმაგრეების სახელები გავიკითხე: ერთს ეწოდება ქულულა-ფუშთა, მეორეს - ბალაიე სარ).

მეორე დღეს 27-ში პროგრამის მიხედვით წაგვიყვანეს ჯელალაბადში, 2 საათის სავალზე პატარა პროვინციული ქალაქია, რაღაც მეურნეობის სანახავად, სადაც ჩვენი სპეციალისტებიც მუშაობენო. აქ კი გზაში ვიგრძენით ავღანური სიციხე, 42 გრადუსი! გზა კარგია, მდინარის გასწვრივ, გადახრიოკებულ მინდორს აქა-იქ ჩორკნიან ხის კავებით. ჯელალაბადში სასტუმროში შევისვენეთ, პირველად მივირთვით ფლავი და ვეძგერეთ ყინულიან წყალს, რამეთუ ჩაი არ იყო (ეს უნდოდა ჩემს გაციებას!). ჩვენს ბედზე, მეურნეობაში არავინ იყო და არ შეგვიშვეს. მაშინ ერთ ჩვენს თანამგზავრს, არქეოლოგს, ე. კუზმინას<sup>3</sup> (მისი ქმარი ვ. პევზნერი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტშია და ვიცნობ) გაახსენდა, რომ აქვე, მახლობლად, გათხარეს ბუდისტური ტაძარი „ჰადა“. გიდმა ბუზღუნით გადაუხვია და მცირე ჯანჯღარის შემდეგ გამოჩნდა თიხის კედლების ნანგრევები, ბუდას ფეხები, ყველაზე შთამბეჭდავი, ალექსანდრე მაკედონელის თავი. სიციხის გამო თვალში ვერ ვიხედები, მაგრამ რაღაც საინტერესოს მოლოდინში ვარ. სადამოს გათანგულები დაგზრუნდით ჩვენს გრილ ოტელში, გიჟური წყურვილი ჩაიმაც ვერ მოგვიკლა და სხვები რომ ნომრებში შელაგდნენ, მე და ვალდისი ბარში შევედით და ცივი კოკა-კოლა გეახელით. „სპინზარ-ოტელის“ ისტორია განმეორდა. ისე თუ 8 ავღანი ღირს ბოთლი, აქ 30-30 დაგვიჯდა მუსიკის, ყინულისა და ფისთას<sup>4</sup> წყალობით. კინალამ სკამიდან გადმოვცვივდით, იმდენი ვიცინეთ. 28-ში დილით ვივაჭრეთ, ქალების დაჟინებით (ა. ბერტელსის<sup>5</sup> ცოლი დამიახლოვდა, ძალზე სასიამოვნო ქალია, ლეილა ბიგბაბოვა) ცირას<sup>6</sup> ვუყიდე ლურჯი საკაბე - კრიმპლინგიო

<sup>1</sup> მეუღლის, ცირა კალამის და, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელი, ირანისტი ინგა კალამე.

<sup>2</sup> სავარაუდოდ, იგულისხმება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერთა მონაწილეობა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სტატიების შექმნაში. მრავალტომეულის გამოცემა სწორედ 1975 წელს დაიწყო.

<sup>3</sup> რუსი არქეოლოგი, კულტუროლოგი ელენა კუზმინა (1931-2013), რომლის სამეცნიერო ინტერესთა სფეროში ინდოირანული პრობლემატიკაც შედიოდა.

<sup>4</sup> ფსტა.

<sup>5</sup> ანდრეი ევგენის ძე ბერტელსი (1928-1995), აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, ასევე ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის, ევგენი ედუარდის ძე ბერტელსის (1890-1957), ვაჟი.

<sup>6</sup> მეუღლე - ცირა კალამე (1930-1995).

თუ რაღაც, აკას<sup>7</sup> ფლომასტერები, ჩემთვის - ქამარი (300 – 40 - 100). ალბათ სხვა რამის მოძებნა შეიძლებოდა, მაგრამ დრო მოგვცეს ერთი საათი, შემდეგ წავგვართიეს შეხვედრებზე, ჯერ მეცნიერებათა აკადემიაში - „კომპიუტერული“ (საინტერესო იყო, ახალგაზრდა ენთუზიასტები, უმთავრესად, ენის საკითხებზე მუშაობენ, სპეციალისტებს მოგვცეს წიგნები), შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტში (ჩვენ შორის 4 ექიმია და ისინი ალაპარაკეს. დირექტორი დოქტორ შირზაი, სიმპათიური ჭადარაჭაბუკი, რუსი ექიმები). ამ დროს მოვარდა საელჩოს წარმომადგენელი, რომელსაც თურმე იცნობდა ჩვენი არქეოლოგი და ტვინიც ამოუღო, რომ დაგვართეს ნება ბ ა მ ი ა ნ შ ი გამგზავრებისა!!! ეს მართლაც სიურპრიზი იყო, თუმცა არა ყველასათვის. შუააზიელმა ბებრებმა (2 დუშანბედან და 2 აშხაბადიდან) პროტესტი განაცხადეს, დავიღლებითო (7 საათის გზა უსაფალო, მთებში), თურმე სხვა გეგმა ჰქონიათ, როგორც შემდეგ გაირკვა. სასწრაფოდ დავბრუნდით ოტელში, დავტოვეთ ისინი, ჩვენ გავემზადეთ იქ ღამის გასათევად და 6 საათზე გავუდექით გზას (მძღოლის საამებლად მე გავიღე ბოთლი არაყი, გიდს რაღაც საჩუქრები მიართვეს, რადგან ორივე შიშობდა, გვიანააო). ჯერჯერობით ეს არის ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემი. ზღაპრული გზა უმაღლეს მთებს შორის, ხეობაში ჩაკარგული პატარა სოფლები, უცარი სიბნელე, ვიწრო გზაზე შემხვედრი ჭრელი საბარგოები, გვერდს ძლივს რომ ვუქცევდით, თანდათან აცივება და ბოლოს ყველაზე ძნელ უღელტეხილზე ჩვენი მანქანის გაფუჭება. ღამის 12 საათია! მძღოლმა უჩხიკინა, იმედი დაკარგა, ჩვენ აზუზულები გადმოვედით მანქანიდან და სული შემეკრა: ალბათ იმიტომ, რომ ღამე მთაში არ ვყოფილვარ, ასე ახლო ასეთი მოჭედილი ცა არ მინახავს. დიდრონ ვარსკვლავებს თითქოს ხელით ვწვდებოდი. უცებ საიდანღაც ამ ტრიალ ხრიოკში რაღაც ლანდი გამოჩნდა ჩალმოსანი. ცოტა უკირკიტა მოტორს და აამუშავა! ვიძრეთ სიგარეტები და ორივე კმაყოფილნი დავშორდით. იდუმალ ბამიანს ღამის პირველ საათზე მივალწიეთ. უზარმაზარი ჭადრების ხეივანი გავიარეთ და ორსართულიან ჩაბნელებულ შენობას მივადექით. დიდხანს არავინ ჩანდა. ბოლოს რაღაც ლანდები აბორიალდნენ, თურმე აღარ გველოდნენ, ცივი ჩაით გაგვიმასპინძლდნენ და დასაძინებლად მომთაბარე ავღანელთა იურტების ტიპის სასტუმროში მოგვათავსეს. მთვარით განათებული თეთრთავიანი კარავები, შიგ კი უკანასკნელი ტექნიკით მოწყობილი საწოლი და სათავსოები! დიდხანს არ დამეძინა. დილით ადრე ვალდისმა გამაღვიპა (კაპიტანი 5 საათზე ფეხზეა), გავედით და პირდაპირ, მდინარის გადაღმა აღმართულ უზარმაზარ კედელს წავაწყდით მზერით. წითელი კირქვა კლდეა, სულ დასერილი გამოქვაბულებით, მათ შორის კი სამი ბუდა მოჩანს ნიშებში, ორი ფეხზეა, ერთი - ფეხმორთხმული. ახლოს რომ მივედით, ადამიანი ჭიანჭველად მოჩანს. ერთის (წითლის) სიმაღლეა 53 მ., მეორის (თეთრი) – 33 მ. ასეთი გრანდიოზული შთაბეჭდილება ჩემზე არ მოუხდენია არც პირამიდებს, არც ლუქსორს, არც პერსეპოლისს (შემდგომ). სახე ჩამოთლილი აქვთ, მარტო ბაგვა შერჩენილი, იდუმალად მომღიმარე ბაგე. სამოსი, ნაკეცები ველური სიმძლავრითაა ნაქანდაკევი. აქა-იქ ფრესკებიც შემორჩა, რაც არაბებს გადაურჩა. დაახლო. V საუკუნის ქვაში ნაკვეთი კიბეებით ავძვერით სულ მაღლა, პატარა ბუდას თავს

<sup>7</sup> შვილი - აკა (აკაკი) გვახარია (1962-2017).

<sup>8</sup> დაარსდა 1937 წელს ქაბულისა და ყანდაპარის სამეცნიერო ცენტრების გაერთიანებით.

<sup>9</sup> უძველესი ბუდისტური სამონასტრო ცენტრი ბამიანის ველზე.



მივალწიეთ და რა ხედი გადაიშალა იქიდან. შორს - ჰინდუკუშისა და სპინდარის მთები (სპინდარი= თეთრი ოქრო= ბამბა პუმტუზე), ძირს - რუხი-მოწითალო ხეობა, სიჩუმე და გარინდება...<sup>10</sup>

29-ში სადამოს დავბრუნდით, დაღეწილები და კმაყოფილები, თუმცა სიცივემ ჩემს ხველებას და სურდოს ცეცხლი შეუკეთა, თანაც ყინულიანი წყალი! ამასობაში გაირკვა, რომ თუქსუს შუაზიელებს საელჩოში მანქანა უთხოვიათ და ღაზნა დაუთვალეირებიათ (2 საათის კარგი გზა), ანსარის, ბირუნის, მაჰმუდ ღაზნელის<sup>11</sup> საფლავები. ოდნავ გამკენწლა, მაგრამ ბამიანს რა შეედრება. 30-ში შუადღისას თეირანს გამოვფრინდით „ბოინგ 727“-ით.

#### 4 ივლისი - 14 ივლისი

... ორი დღეა მოსკოვში ვარ. სულ მეძინება. პირველად ვარ ასე მშვიდად ამ ქალაქში, კობასთან კარგად მოვეწყვე (გუშინ რესტორანშიც კი ვიყავით), არაფერი სასწრაფო, ამ სამ-ოთხ დღეში საჯაროს ამბებსაც მოვასწრებ, მცირე საყიდლებსაც. კიდევ უფრო დავწყნარდი, ცირას და აკას წერილები რომ მივიღე, ადას კი ვერაფრით დავუკავშირდი (ტელეფონი დუმს, ისე, ვით წასვლის წინ). ახლაც საჯაროში ვარ, მიკროფილმს ველოდები და ვცდილობ გავაგრძელო ჩემი მგზავრობის ამბავი:

## II

ქაბულში სიცხეს თითქმის არ შევეუწუხებოვართ, სასტუმროში ბრწყინვალე „კონდიონ“, დღისით იშვიათად გავდიოდით, თანაც ქალაქგარეთ ვიყავით. ეს სიგრძილე „ბოინგშიც“ გაგვეყვა, უცებ ჩემიანებში ვიგრძენი თავი, დახვეწილი სტიუარდები და სტიუარდესები, შესანიშნავი სადილი, ჟურნალ-გაზეთები. მაგრამ თეირანში რომ დავეშვით და თავი გამოვყავით გარეთ, ყველას გული შეგვიწუხდა: გავარვარებული ჰაერი თითქოს ცხელ ტალღებს გვახლის თავში, პირი ისე გამიშრა, ტუჩები დამისკდა. სასწრაფოდ აეროპორტს შევაფარეთ თავი. შორიდანვე ვიცანი თვალეზ-გადმოკარკლული საედი, ჩვენი მასპინძელი. გახურებული ავტობუსით გადავსერეთ ქალაქი, ჩავუარეთ მეტად ორიგინალურ მონუმენტს, 2500 წლისთავის<sup>12</sup> აღსანიშნავად რომ აუგიათ ნაციონალურ სტილში, გავედით ფეჰლევის პროსპექტზე შამირანისკენ და შევჩერდით ცენტრს საკმაოდ მოშორებულ ოტელთან „მაიამი“. იქ ფარზანე დაგვხვდა, სადილი თვითმომსახურების რესტორანში, იმდენნაირი კერძებია, დავიბენით არჩევაში, „კოკა-კოლას“ კი ვემგერეთ გამეტებით. იმავ სადამოს ვინახულეთ რეი<sup>13</sup>, რეზა-ფეჰლევის<sup>14</sup> სამარხი, ქალაქგარეთ რესტორანი „დერბენდი“. მეორე დღის ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იყო „ზურ-ხანე“, ფალავანთა რიტუალური ვარჯიში

<sup>10</sup> ბუდას ორი მონუმენტური ქანდაკება (VI საუკუნით დათარიღებული) 2001 წელს თალიბებმა გაანადგურეს.

<sup>11</sup> მაჰმუდ ღაზნელი (971-1030), აბუ რეიჰან ბირუნი (973-1048), აბულ ყასემ ონსორი (961-1039).

<sup>12</sup> 1971 წ. მონარქიის 2500 წლისთავთან დაკავშირებით თეირანში დაიდგა ე.წ. „მეფეთა მონუმენტი“, რომელსაც 1979 წლის რევოლუციის შემდეგ „თავისუფლების მონუმენტი“ („ბორჯე აზადი“) ეწოდა.

<sup>13</sup> ერთ-ერთი უძველესი ქალაქი თეირანის პროვინციაში.

<sup>14</sup> რეზა ფეჰლევის (1878-1944) საფლავის მონუმენტი 1980 წელს დაანგრიეს.

დოლისა და გაბმული სიმღერის თანხლებით. ბანაკი და განძეული, ხელოსანთა ოსტატობა, საღამოს ვიზიტი ფურუშანისთან. ორში დილით ძალიან სიმპათიური შაჰნაზის თანხლებით გაფვრინდით შირაზში (ბოინგ 727). შირაზში შესანიშნავი გიდი გყავდა - ჰოსეინ ქაშეფი, ძველი ირანის კულტურისა და ისტორიის სპეციალისტი, ჰაფეზის მეტრეფე. ნაშუადღევს დავათვალიერეთ ქალაქი, „ბაღე ერამი“ - ნასრ-ედ დინ შაჰის საზაფხულო რეზიდენცია, ფრესკებით შემკული მისი სასახლე (გარედან). ბაღი ევროპულ ყაიდაზეა გაწყობილი, ვარდები შემქნარი, წყალი დამშრალი. შთამბეჭდავი იყო მართლაც ტანკენარი სარვები (სარო) და საკმაოდ მაღალი ქაჯები (ფიჭვი). საღამოს ვეცნობოდით შესანიშნავ ოტელს „მეჰმანსარა“ („სასტუმრო სახლი“). ვალდისმა ისევ აამუშავა მთელი ძალით „კონდიცია“, რაც ჩემს სურდოს და ყელს არც თუ უხდება, მაგრამ მშრალი სიცხე ისევ წყურვილით გვახრჩობს. ერთადერთი ხსნა - ყინულიანი წყალი. სხვები აუზშიც ნებივრობენ.

მეორე დღეს - პერსეპოლისი, ანუ „თახთე ჯამშიდი“. პირველი შთაბეჭდილება არც თუ დიდი - ქვემოდან რაღაც მინიატურულ შთაბეჭდილებას ტოვებს მთელი პლატო. მხოლოდ თანდათან კიბეებზე წელი ასვლისას იმსჭვალეები სიდიადით: შიშველი სვეტები, ორმოში ჩარჩენილი ლომი, ცნობილი ფრიზების კედელი, განსაკუთრებით კი პირადი მოსასვენებლის ნანგრევები, საიდანაც იშლება დიდებული სივრცე - ძალზე შთამბეჭდავია პირველ მეფეთა კლდეში ნაკვეთი სამარხებით.

მესამე დღეს კვლავ ქალაქი: „შაჰ-ჩირადი“ უამრავი სარკეებითა და იმამ რეზას<sup>15</sup> ძმის მდიდრული სამარხით. უზომო ხალხი, ზრიალი, ჩადრების ფრიალი, ჩაყრილი ფული, „ვაქილის მეჩეთი“, გადახურული ბაზარი, ბაზრის ბოლოს საოცრად მყუდრო ძველი ქარვასლა, ამჟამად ჩაი-ხანა. „ჰელალ-აბადი“, ჩვეულებრივი ჭიშკრის იქით გაშენებული აღმოსავლური ბაღი, მყუდრო, იდეალური:

Мангалочий дворик,  
Как дым твой горек  
И как твой тополь высок...  
Шехерзада  
Идёт из сада...  
Так вот ты какой,  
Восток!<sup>16</sup>

ახმატოვას სტრიქონები მიტრიალებს სულ და შურა ციბულევსკის<sup>17</sup> სახე, სევდით განათებული.

ოთხში დილით რაღაც უნიჭო იტალიურ-ამერიკული დეტექტივი ვნახეთ, ქუჩებში ვიხეტიალეთ, შემდეგ თვითმფრინავის დაგვიანების გამო ოტელში ვიცადეთ საღამომდე. პირველად ვიგრძენი თავი უკეთ და აუზში გაგრილებაც გავბედე. საღამოს

<sup>15</sup> შიიტთა მერვე იმამი (765-818).

<sup>16</sup> ნაწყვეტი ანა ახმატოვას (1889-1966) ლექსიდან „Заснуть огорченной“.

<sup>17</sup> ალექსანდრე (შურა) ციბულევსკი (1928-1975), რუსი პოეტი, პროზაიკოსი, რომელიც ორი წლის ასაკიდან ცხოვრობდა საქართველოში, იყო მთარგმნელი, ვაჟა-ფშაველას რუსული თარგმანების მკვლევარი, ფოტოხელოვანი (თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფოტოლაბორატორიის გამგე), ალექსანდრე გვახარიას ახლო მეგობარი. გარდაიცვალა 1975 წლის 17 ივნისს, ალექსანდრე გვახარიას მოსკოვში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე.

აეროპორტში ჩხრეკა და უამრავ უცხოელ ტურისტთან ერთად „ბოინგით“ ისპაანს გამგზავრება. ოტელი „ფოლ“ (ხიდი). გვიან ჩავფრინდით, მაინც წავედით სავაზმოდ სხვაგან, იქვე ახლოს მდებარე ღამის რესტორანში „საპრა“ („განთიადი“). დაღლილობამ უცებ გაგვიარა, ისე ლამაზად იყო მორთული ბანზე განლაგებული დარბაზები, ჭერის ნაცვლად მავთულებზე, ადამ რომ ჩამოიტანა, ისეთი წითელი ნათურები ციმციმებდნენ, უფრო ზემოთ კი ვარსკვლავები, ისპაანის ვარსკვლავები, თეიმურაზისა და ქეთევან დედოფლის ვარსკვლავები...

ალავერდი-ხანის დღესაც დიდებული ხიდი გადავკვეთეთ და „ჩარ-ბაღის“<sup>18</sup> დასაწყისთან შევჩერდით. აქედან იწყება ქალაქი. მეორე დღეს „ჩეკელ სუთუნს“<sup>19</sup> ვეწვიეთ თავისი ოცი სვეტით. საკმაოდ შელანძლულია, თუმცა დიდი ფრესკები მინიატურების სტილში – შთამბეჭდავია. შემდეგ კი მსოფლიოში უდიდესი (500X160მ.) და ულამაზესი „მეიდანე შაჰ“. ალი-ყაფუდან<sup>20</sup> ლამაზად მოჩანს მთელი მოედანი და ძველი ისპაანი. მოედანს ამჟამად ამცირებს შუაში გაშენებული ხეივანი აუზითურთ და უამრავ მანქანათა ზომიზომი. „შაჰის მეჩეთი“ – შაჰ-აბასის ძლევამოსილების ზეიმი. ბოლოს ბაზარს მიგვიყვანეს, რომელიც იქვე, მოედანზე იწყება, მაგრამ იყო ისეთი ხალხმრავლობა, სუნი, არეულობა, რომ ის ერთი საათი ისევ მოედნის გარშემო სეირნობა და ხელოსანთა დუქნების თვალიერება ვარჩიე. დღის მეორე ნახევარში ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ძველმა მეჩეთმა, არაბობის დროიდან მოკიდებული შაჰ-აბასამდე რომ შენდებოდა. განსაკუთრებით მომეწონა სელჩუკთა დროის თაღები, თავისებური „ჩეკელ სუთუნი“, აგურით სადად და მკვიდრად ნაგები. უცებ წარმოვიდგინე, როგორ შემოდიოდა აქ თოდრული<sup>21</sup> და მისი მდივანი გორგანი.<sup>22</sup> ჩვენმა გიდმა ალა მუსტაფამ შორს რუმის „მესნევის“ დასაწყისი წაიღიღინა, მთელი მეჩეთი აგუგუნდა.

ძალზე უბრალოდ მეჩვენა ე.წ. მოქანავე მინარეთები.<sup>23</sup> ერთს ვილაც შეკვებებული სპარსელი მთელი ძალით აჯანჯლარებდა, მეორე კი უძრავად იყო! ქალაქგარეთ შორიდან შევავლეთ თვალი მაზდეანური ტაძრის ნანგრევებს, ახლოს ვნახეთ „მტრედების კოშკი“, ვიძრომიალეთ საოცრად მტვრიან ალუბლის ბაღებში.

ექვსში დილით კვლავ „ბოინგით“ თეირანს ვიფრინეთ. ისევ სულისშემზუთველი სიცხე, ისევ საედი, შაჰნაზთან ნაზი დამშვიდობება, რომელიდაც უნივერსალის თავზე

---

<sup>18</sup> ისტორიული ქუჩა ისპაანში, რომელიც გაშენდა შაჰ აბასის ეპოქაში. „ჩარ ბაღის“ (ოთხი ბაღის) კონცეფცია, რომელიც გავრცელებულია აღმოსავლეთის ქვეყნებში ყურანის 55-ე სურაში ნახსენებ სამოთხის ოთხ ბაღს უკავშირდება.

<sup>19</sup> XVII ს.-ის ისტორიული კომპლექსი ისპაანში სამეფო სასახლითა და ბაღით. სასახლის მთავარი ფასადი შემკულია ოცი სვეტით, რომელიც ირეკლება წინამდებარე აუზში და გაორმაგებულად წარმოუდგება მნახველს. სწორედ აქედან იღებს სათავეს სასახლის სახელწოდება – „ჩეკელ სოთუნ“ („ორმოცი სვეტი“).

<sup>20</sup> სამეფო სასახლე „ნაყშე ჯაჰანის“ მოედანზე.

<sup>21</sup> თოდრულ-ბეგი (დაახლ. 990-1063) სელჩუკთა სახელმწიფოს დამფუძნებელი. მან 1042 წელს აიღო ქალაქი ისპაანი.

<sup>22</sup> ფახრ ედ-დინ გორგანი, „ვის ო რამინის“ ავტორი, სავარაუდოდ, თოდრულის კარზე მსახურობდა, მისი პოემა კი ისპაანში უნდა იყოს დაწერილი.

<sup>23</sup> XIV ს.-ის მონუმენტი ისპაანში ვიწრო მინარეთებით, რომლებიც უცნაური სისტემითაა დაკავშირებული ერთმანეთთან. თუ ერთ-ერთს შიგნიდან შევანჯღრევთ, მეორე მინარეთიც ამომრავდება.

სწრაფი სადილი და იმავე დღის მეორე ნახევარში მაშჰადისაკენ გამგზავრება. აეროპორტიდანვე იგრძნობა, განსაკუთრებულ ვითარებაში რომ ვიქნებით.<sup>24</sup> ჩადრშემოხვეული მგზავრები, სასულიერო პირები ჩამოქნილი, დახვეწილი სახეებით, ჩურჩულით საუბარი, საგანგებო ჩხრეკა...

მაშჰადს რომ მივუახლოვდით, თვითმფრინავიდანვე გამოჩნდა გაჩირაღდებული ოთხკუთხედი - საედმა ამიხსნა, იმამ რეზას სამარხიაო. მოვთავსდით შესანიშნავ ოტელში „თეჰრან“. ვახშმის შემდეგ, რომელმაც ასეთივე გამოუცნობლად ჩუმ ვითრებაში ჩაიარა, საედმა შემოგვთავაზა სამარხის ღამით დათვალიერება, ოღონდ სულ შეშინებული თვალს აცეცებდა, არავინ ჩამოგვრჩესო. დიდებულ ანსამბლს ფეხით შემოვუარეთ, რაღაც ლანდები დაჟინებით გვიმზერენ, სირბილით ჩაატარეს მიცვალებული, ბაზრის ბნელი დერეფნიდან რაღაც შემახილები ისმის. მეორე დილით ეს იდუმალება, ცხადია, გაქრა, თუმც დაძაბულობა დარჩა. იმამ-რეზას ანსამბლი მართლაც უზარმაზარია. ყველა შაჰს, თემურელებით დაწყებული, თავისი ნაწილი მიუშენებია (გოუჰარ-შადის მეჩეთი, შაჰ-აბასის მეჩეთი, რომლის ასაგებად ისპაანიდან ფეხით ამოსულა, მოჰამედ რეზა შაჰის სარკეებიანი დარბაზი და უზარმაზარი, ძალზე საინტერესო მუზეუმი). უამრავი მლოცველი, ოჯახები ეზო-გასასვლელებში, ერთ კუთხეში ფანატისკოსთა მყვირალა ბრბო, გულში რომ ხელს იბრაგუნებდა. იმამ რეზას საფლავთან არც მიგვიშვეს, საშიშიაო.

ნაშუადღევს გავემგზავრეთ ავტობუსით თუსს (7 კმ.). ეს კიდევ ერთი მოულოდნელი სიურპრიზი ამ მგზავრობისა. შორიდანვე გამოჩნდა თუსის გალავნის ნანგრევები, უკაცრიელი ტრამალები მტვრის თხელ ღრუბლებს გაეყავისფერებინა. ფირდოუსის საფლავმა ყველაზე უფრო ამაფორიაქა, იქნებ იმიტომ, რომ არ ველოდი მის ნახვას, თან ხალხი შედარებით ცოტა იყო. ლამაზი მავზოლეუმი, სასანური დახმების<sup>25</sup> ტიპისა, ამოტვიფრული ციტატებით. ქვეშ დიდი დარბაზია, შუაში საფლავი, კედლებზე ფრიზებია „შაჰ-ნამეს“ ეპიზოდების ამსახველი. საფლავის კუთხეს ვაკოცე, მერე გამოვედი და ვიდრე სხვები იწერდნენ, ბაღში ვეხეტე მარტო. შემდეგ მუზეუმი-ბიბლიოთეკა დავათვალიერეთ, დირექტორმა მიგვიღო. იქ შევიტყვე „შაჰ-ნამესადმი“ მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის შესახებ, 13-ში რომ იწყებოდა. დასანანია, ჩვენ რომ არაფერი ვიცით, რა ხდება ირანის სამეცნიერო წრეებში.

ორასი მეტრის დამორებით გუმბათიანი მაზარია<sup>26</sup>, რომლის წინ ასვენია იმამ ღაზალი (XII ს.). გამოფრენამდე დავათვალიერეთ ხრიოკში გაშენებული უზარმაზარი პარკი, ევროპულ-ადმოსავლური სინთეზი, მწერალთა ქანდაკებები, არხები, ატრაქციონები, უამრავი ხალხი, ბავშვები, სივრცე და სინათლე. საღამოს გვიან თეირანში ჩამოვფრინდით. ისევ ნაცნობი „მაიამი“, ფარზანეს გამოსათხოვარი ვახშამი და კაბარე, მომღერალი ქალი აიდე.

რვაში დილით სტამბოლისაკენ ავიღეთ გეზი. აეროპორტში თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა საედი, ვერც კი დავემშვიდობეთ. ირანის სტუმართმოყვარეობა სტამბოლის აეროპორტშივე ვინატრეთ, როცა კაცმა არ მოკიდა ჩვენს ბარგს ხელი უფულოდ, მერე კი

<sup>24</sup> მაშჰადი შიიტების წმინდა ქალაქი და გამორჩეული რელიგიური ცენტრია, რადგან იქ შიიტთა მერვე იმამის - იმამ რეზას საფლავია.

<sup>25</sup> (სპარ.) ყორღანი, სამაროვანი.

<sup>26</sup> აკლდამა, სამარხი.

ერთმა ისეთი სიბრაზით იწყო ავტობუსის დატვირთვა, რომ ჩემს ჩემოდანს სახელური ააგლიჯა. მაგრამ ყველაფერი დამავიწყდა, ნესტიანი სიცხეც, როცა ავტობუსიდან პირველი თურქული მინარეთი დავინახე, უცნაურად წამეხილი ნემსი, ცაში ატყორცნილი. ოქროს რქა, ბოსფორი გადავიარეთ ვიწრო ხიდით და შევედით კიდევ უფრო ვიწრო ბიზანტიურ თაღებქვეშ. არც კი გჯერა და შინაგანად გრძნობ მხოლოდ უზარმაზარ წარსულს ამ ქალაქისას. რაღაც ბინძური და ვიწრო ქუჩებით მივადექით სოროს - ოტელ „იმპერატორს“! ოთახში 30 გრადუსი და ვალდისს გული შეუწუხდა, არც „კონდიშნ“, არც ცივი წყალი... რას იზამ, თურქეთია! და ისევ მავიწყდება ყველაფერი, როცა გარეთ გამოვდივარ, ისთიკლალით თავსიმის მოედანზე, იქიდან კი დოღმაზახჩეს სანაპირო გამოჩნდება, ტერასებად ასული წითელი კრამიტის სახურავები, თანდათან ჩალურჯებული „ოქროს რქა“, შორს ანთებული ძაფი ახალი ხიდისა, გაღმა კი აია სოფიას და ლურჯი მონასტრის თუ მეჩეთის განთქმული მინარეთები. ორმა დღემ სიზმარივით გაირბინა. აქედან ერთი მთლიანად უფლისწულის კუნძულზე<sup>27</sup> გავატარეთ: სიჩუმე, ჯერ წვიმა, მერე მზე, ცხენის ფეხის ხმა, აყვავებული ეზოები და მარმარილოს ზღვის მსუსხავი წყალი. მეჩეთების აღწერას აზრი არა აქვს, ლურჯი მეჩეთის სამირკველში გათხრილი მოზაიკის მუზეუმი უფრო მახსოვს, საოცრად ცოცხალი ფერები, ბერძნული სახეები. ბოლოს თოფ-ყაფუ<sup>28</sup>, უმდიდრესი და საცოდავი, სევდის მომგვრელი, მიტოვებული, ნახევრადდამწვარი ჭადარი იანიჩართა...  
თერთმეტში საღამოს მოსკოვს ჩამოვფრინდი.

20.7.75

*კომენტარები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა თამთა ფარულავამ*

---

<sup>27</sup> საერთო სახელი მარმარილოს ზღვაში, სტამბოლის სიახლოვეს, არსებული კუნძულებისა.

<sup>28</sup> თოფკაპი - სამეფო სასახლე, რომლის მშენებლობა ოსმალებმა კონსტანტინოპოლის აღებიდან რამდენიმე წელში - 1459 წელს დაიწყეს.